

F

17.246

2

UNIVERSITY  
OF TORONTO

ГЕРЦЕЛЬ БААЗОВ



# П Е Т Х А И Н

Р О М А Н

Книга первая

Г о с и з д а т Г р у з и и

Т и ф л и с

1935



გერცემლ ბააზოვი



# ფ ე თ ხ ა ი ნ ი

რომანი

წიგნი პირველი

**სპეგ-2000**  
**შეოწმებულია**

*Handwritten:*  
F17.240  
~~15841~~  
~~2~~



სახელმწიფო გამომცემლობა

ტფილისი

1985

ნაწილი პირველი



ერთი ლაგე

# 1

როცა მატარებელი ჩამოდგა ტფილისის სადგურზე და ნათანი გადმოვიდა მესამე კლასის ვაგონიდან, მხოლოდ მაშინ იგრძნო აშკარად, რომ მის ცხოვრებაში იწყებოდა სრულიად ახალი პერიოდი. ეს ახალი პერიოდი კი დაიწყო მისთვის მეტად მოულოდნელი და უსიამოვნო ფაქტით. პირველი შთაბეჭდილება იყო მიზეზი თუ მატარებელი, რომელმაც დაიგვიანა და შეღამებისას შემოვიდა — ამის განოსაარკვევად არ ეცალა ამჟამად ნათანის გონებას.

არ ეგონა, თუ ქალაქი ასე მკაცრად შეხვდებოდა. მატარებლიდან გადმოსვლის დროს ვიღაცამ „შეამსუბუქა“ მისი ჯიბე. წაიღეს მისი სახარჯო ფული და პატარა წიგნაკი, სადაც ჩამოწერილი იყო მისი ამხანაგების მისამართები.

სადგურიდან გამოსვლისთანავე მის წინ ეს ფაქტი მთელი თავის სიმწვავეთ წამოიჭრა. ფაქტის სიმწვავეს კი უფრო და უფრო ამწვავეებდა ქალაქი, რომელსაც პირველად ჰხედავდა. იგი გაჩირაღდნებული იყო ათასი ელნათურით და შუქის სივრცეს არ ჰქონდა ბოლო. მიჰქროდნენ სამგზავრო და საბარგო ავტომობილები, ავტობუსები, ტრამვაი, ეტლები. უთვალავი ხალხი მიდიოდა წინ და მიდიოდა უკან. ყველას შრისხანე სახე ჰქონდა და ყველა აჩქარებით მოძრაობდა, სიცოცხლე სდებდა და პროვინციელის ყუროსათვის უჩვევეი ხმაური ისმოდა.

იდგა ნათანი და იცქირებოდა გაოცებით. ყველა მიდიოდა თავის გზით. ყველას ჰქონდა მიზანი. ყველას ეჩქარებოდა. ვის რაში ენადვლებოდა ნათანის ბედი?

ასსანთლიანი ელნათური ანათებდა ნათანის დაღვრემილ სახეს. იგი იდგა ქანდაკებასავეით გარინდებულ და ვერ გამორკვეულიყო.

ოცი წლისა იყო; ეცვა თეთრი ხალათი, ლურჯე შარვალი, ყვითელი სანდლები. მხარზე გადაკიდებული პქონდა ხურჯინი, რომელიც სავსე იყო სხვადასხვანაირი სახის წიგნებით და ხელთნაწერებით. არა ჰგონობდა ტვირთის სიმძიმეს. აწუხებდა მხოლოდ ფაქტი, რომელიც შეენთხვა უცნობ ადგილას. მისი დიდი და ფართო შუბლი ოდნავ შენაოჭებული იყო. ღრმა და ჭკვიან თვალებში მოჩანდა მწუხარება, რომელსაც საკმაოდ შეეცვალა მისი სახის კეთილშობილი გამომეტყველება.

არ იცოდა რა ექნა. გამოსავალის პოვნა ძნელი იყო. შექმნილ მდგომარეობას თავის შემეცნებაში იგი ასე აყალიბებდა:

„პირველად ჩანოვედი ამ ვებერთელა ქალაქში... ჩამოვედი პატარა დაბიდან.. ლარიბი ოჯახის შვილი... წამოვიღე ერთი თვის სახარჯო და ამხანაგების მისამართები... დავკარგე ყველაფერი ერთად: ფულიც და ამხანაგებიც... რა ვქნა ეხლა, როდესაც გამოსავალი აღარ არის?“

იდგა შუაგულ მოედანში და უცნაურად ეჩვენებოდა ყოველივე. არ სჯეროდა, რომ ის ტფილისში იყო. საითკენაც ის მიიღებოდა მრავალი წლის განმავლობაში. არ სჯეროდა, რომ ჩანოსელისთანავე მას დასჭირდებოდა მტკიცედ გადაეწყვიტა საკითხი: რა უნდა ჰქნას?

არასოდეს ისე რეალური არ ყოფილა ეს საკითხი მისთვის, როგორც ამჟამად იყო. ყოველთვის გაურბოდა ამ საკითხს: მისმა წარსულმა ცხოვრებამ არ იცოდა ნიადაგი. ეჯავრებოდა გეგმა, შორეულ მომავალში მზერა. ამავე დროს იგი ცხოვრობდა მხოლოდ წარსულით და უცნობი მომავლით. აწმყოზე არასოდეს არ ჰფიქრობდა. მისი აწმყო მიმდინარეობდა ჩვეულებრივად, მექანიკურად. გადაწყვეტილებას მიიღებდა ხოლმე მოულოდნელად, დაუფიქრებლად. უყვარდა კაპრიზები და სიურპრიზები. უყვარდა ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში გადავარდნა.

იყო ტემპერამენტითა და ენერჯით აღსავსე. უყვარდა ახალი იდეები, ახალი აზრები. უყვარდა ადამიანებში ძლიერი სიყვარულით, მაგრამ სამაგიეროდ ვინც ეჯახებოდა — ეჯახებოდა ძლიერი სიძულვილით.

ვილაყა რაღაცას აკეთებდა. ამიტომაც არ ჰფიქრობდა ნათანი პირად საკითხზე. მაგრამ ეს იყო ოდესღაც, წარსულში. ამ წუთში კი, ცხოვრების ახალი პერიოდი მთელი თავისი სისასტიკით და მრისხანებით მოითხოვდა პასუხს: „რა უნდა ჰქნა, ნათან?“

გამოერკვა, აშკარად იგრძნო, რომ საჭირო იყო რამე ვზას დასდგომოდა. მიმოიხედა გარშემო. დაინახა ერთი მოხუცი, ღარიბი. ილღიაში წვერილმანი ჰქონდა ამოდებული. პირისახეზე ოფლი ჩამოსდიოდა. ჰქონდა შეშინებული თვალები, დანაოჭებული შუბლი, სემიტური ცხვირი, მოშვებული წვერები. აშკარა იყო, რომ მეწვერილმანე ებრაელი უნდა ყოფილიყო.

უცბად ნათანმა მიიღო გადაწყვეტილება, იმედიანად გაუბრწყინდა სახე და სასწრაფოდ მიუახლოვდა მოხუცს.

— უკაცრავად, ბატონო, თუ არა ვცდები, თქვენ ისრაელი ხართ?

— კი, შეილო. ისრაელი ვარ.

— მე პირველად ვარ ქალაქში. როცა გადმოვედი მატარებლიდან, ამომაცალეს ფული და ქალაქდები. მე ქალაქში მყავს ამხანაგები, მაგრამ იმათი მისამართი დაეკარგე. უფულოდ ვარ და არ ვიცი ღამე სად გავათიო.

— რა ექნა შეილო, მე ღარიბი კაცი ვარ და ამ მატარებლით კახეთში მივდივარ. აქ რომ ვრჩებოდე, წავიყვანდი ჩვენსას, თუმცა მე თვითონ ჩემი ოჯახით ძლივს ვცხოვრობთ ერთ პატარა ოთახში. ისევ გირჩევენია, წახვიდე ვაყად-ჰაკეილაში<sup>1</sup>. ამაღამ სადმე დაგაწვენენ. დღეს სწორედ ხუთშაბათია და ყარბითის<sup>2</sup> შემდეგ გაბაები<sup>3</sup> კანტორაში იყრიან თავს. შენისთანა გაჭირვე-

<sup>1</sup> ვაყად-ჰაკეილა — „ჯამათის საბჭო“. იგულისხმება რელიგიურ საზოგადოების საბჭო.

<sup>2</sup> ყარბით — დღის მესამე ლოცვა, დაღამების დროს თქმული.

<sup>3</sup> გაბაი — სალოცავის მამისახლისი.

ბულები სხვებიც ბევრი მიდიან იქ. წადი პირდაპირ, ეხ-  
ლავე.

— ძალიან შორსაა აქედან ვაყად-პაკეილა?

— ფეხით თუ წახვალ შორს იქნება. იქნება ტრამ-  
ვაის ფულიც აღარ შეგარჩინეს? ვაიმე, საწყალი ბიჭი.  
აიღე, გამომართვი, ნუ გრცხვენია. ჰო, ასე. აგერ ამ  
ტრამვაის ხომ ხედავ, სამი ნომერია. მაგაზე დაჯექი და  
ნიხვალ ერეენის მოედნამდე. ერეენის მოედანზე ჩამოხ-  
ტები და პირდაპირ სომხის ბაზარზე წადი. ცოტას რომ  
გაივლი, იკითხე სად არის სალოცავი-თქო და ყველანი  
ვასწავლიან. კანტორაში რომ შეხვიდე, ყველაზე უფ-  
როსი იქ იქნება ბენიამინ ბერიძე. იმასთან მიდი და აუხ-  
სენი ყველაფერი.

— დიდი მადლობელი, ჩემო ბატონო...

— არა უშავს რა, შეილო. ცხოვრებაში ყველაფერი  
ხდება, გული არ გაიტეხო. რა გქვიან სახელი?

— ნათან ჯანაშვილი.

— ისხაკ ჯანაშვილს თუ იცნობ?

— მამაა ჩემი. — შორცხვად მიუგო ნათანმა.

— ძალიან მესიამოვნა, პატიოსანი ადამიანია. ლა-  
რიბებისთვის თქვეამოდებული კაცია. წერილი თუ მის-  
წერო, უსათუოდ მომიკითხე. ასე ჩაუწერე: დანიელ თაფ-  
ლიაშვილმა მოგიკითხა-თქო. ღმერთმა გაამრავლოს ჩვენს  
ნალხში იმისთანა ისრაელები.

— მშვიდობით ჩემო ბატონო, არ დაგვიწყებთ ამ  
პატივისცემას.

— რა პატივისცემაა, ამაზე ლაპარაკიც არა ღირს.  
აბა კარგად იყავი, ყოჩაღად. არ დაგავიწყდეს: ტრამვაის  
სამი ნომერი, ერეენის მოედანი, სომხის ბაზარი, ბენიამინ  
ბერიძე... ყალხებმ შალომ...<sup>1</sup>

და ამ სიტყვებით მოხუცმა დანიელმა მაგრად ჩა-  
მოართვა ხელი და გამოეხალმა. ნათანიც გზას გაუდგა.  
ვიდრე ტრამვაის ვაგონში ავიდოდა, ერთხელ კიდევ  
გააყოლა მადლიერი თვალები გულკეთილ მოხუცს.

<sup>1</sup> ყალხებმ შალომ — „მშვიდობა თქვენდა“, ე. ი. გამარჯვებით-  
ნახვამდის.

ინ ოთახში, რომელსაც მოხუცმა დანიელმა უკანტონო  
რა“ უწოდა, ნათანის ყურადღება უპირველეს ყოვლისა  
მიიპყრო ერთმა დიდმა სურათმა, რომელიც კედელზე  
იყო გაკრული: ლომები და ცხვრები ერთად სძოვდნენ ბა-  
ლახს და პატარა ბავშვი, სათნოიანი და დამშვიდებული.  
ასრულებდა მწყემსის როლს, სურათს ჰქონდა წარწერა  
დიდი ებრაული ასოებით: „ვეაია ბეახარით ჰაიამიმ“...<sup>1</sup>

მოაგონდა რომ ეს სიტყვები ეკუთვნოდა იეშაყია<sup>2</sup>  
წინასწარმეტყველს. უდიდესი ცნობისმოყვარეობით დაე-  
წაფა სურათის დეტალებს, მაგრამ ხმაურობა, რომელიც  
ოთახში იდგა, მას ხელს უშლიდა.

გრძელ მაგიდას შემოსხდომოდა ათიოდე კაცი. აღ-  
ბად ესენი იყვენ „გაბაები“. მათ ირგვლივ იდგნენ  
მრავალი მთხოვნელები — ქალები და კაცები. ყველა  
თითქმის ერთად ლაპარაკობდა, ყვიროდა, მოითხოვდა.  
მხოლოდ როდესაც თავმჯდომარე დაიწყებდა ლაპარაკს  
ყველანი უცბად ჩაჩუმდებოდნენ და უგდებდნენ ყურს.

ვერ გაიგო ნათანმა ამის მიზეზი. რა იწვევდა ამ პა-  
ტივისცემას, სიყვარული თუ შიში, მდგომარეობა თუ  
ავტორიტეტი?

ნათანი იდგა მთხოვნელების, უკან, თავმჯდომარე  
იჯდა მის პირდაპირ და მისი სახის გარჩევა ადვილი იყო.  
ნათანმაც მიაპყრო მას თვალები.

ბენიამინ ბერიძე საშუალო ხნის კაცი იყო. ტანად  
გამხდარი იყო და ჰქონდა მოგრძო სახე. წვერი გაპარ-  
სული ჰქონდა სუფთად, ხოლო უღევაშები — „ინგლი-  
სურად“ შეკრეპილი. თვალები ჰქონდა: რაღაც საოცარი:  
ფერად-მწვანე ფერისა. მისი მეტოქეობა მეტად ძნელი  
იყო. არ შეიძლებოდა დიდხანს გეცქირათ ამ თვალებისა-  
თვის. ამ თვალების პატრონი დამცინავი ღამილით ყო-  
ველთვის ჰგრძნობდა განარჯვებას. ხშირად ეს თვალები

<sup>1</sup> ვეაია ბეახარით აიამიმ — „და იქნება ბოლო დღეებში“.

<sup>2</sup> იეშაყია — ისაი.

დაიწყებდენ ჩქარ მოძრაობას, სირბილს, ცვალებადობას, ადგილიდან ადგილზე გადასვლას, გადაბტომას, როგორც ეს ხდება კინო-ეკრანზე პარალელური სურათების ჩვენების დროს.

ო, ეს თვალები...

საოცრად მოეჩვენა ნათანს. სადღაც უნახავს ასეთი თვალები, უფრო წვრილი, მაგრამ სწორედ ასეთი. სად? როდის?

მეხსიერებამ უღალატა, ვერ მოიგონა.

შემდეგ ყურადღება მიაპყრო თავმჯდომარის ტანისამოსს. ეცვა ევროპიული ტანსაცმელი, მდიდრული. ნათანის სამშობლოში ასეთი ტანისამოსი იშვიათად ეცვა ვინმეს.

რა დიდი განსხვავება იყო მაგიდის იქით და აქეთ მყოფ ხალხს შორის! გრძელი მაგიდა საზღვარი იყო.

ნათანმა დაინახა, რომ მაგიდას მიუახლოვდა ახალგაზრდა ქალი. მკლავზე ბავშვი ჰყავდა. თავმჯდომარესა და ამ ქალს შორის გაიმართა შემდეგი საუბარი:

— თქვენ რაღა გნებავთ?

— მე ძია ბინო... იმაზე გიახვლით... ალბად ვაიგებდით... ჩემი ქმარი ვაგიჟდა... გუშინ საავადმყოფოში წაიყვანეს... შინ არაფერი ვაგვაჩნია... ორი შვილი დამჩნია... უპატრონოდ... არ მინდოდა თქვენი შეწუხება...

— კარგი გაათაფე. შენი ქმარი გვარად ფრიდმანია, არა?

— დიად. მერე რა?

— მერე ის, რომ თქვენ ახლა აშქენაზების<sup>1</sup> ობზესტვას ეკუთვნით. იქ წადით და ისინი დაგებმარებიან.

— ბატონო, როგორ შეიძლება ასეთი სამართალი! ჩემი ქმარი თუ აშქენაზია, მე ხომ თქვენებური ვარ, თვალაღაშვილია ჩემი გვარი. აშქენაზებთან რა საქმე მაქვს?

<sup>1</sup> აშქენაზები — ევროპიელ და საერთოდ დასავლეთის ებრაელებს უწოდებენ „აშქენაზებს“ — განსასხვავებლად აღმოსავლეთელ ებრაელებსაგან, რომლებსაც უწოდებენ „სეფარადებს“.



იმათი არც ენა ვიცი და არაფერი. ღეთის გულისთვის  
თორის<sup>1</sup> გულისთვის...

— ნუ აბამ ლაპარაკს, დედაკაცო! გითხარე და ახლა  
იყო. მორჩი. ხომ ხედავ, სხვებიც არიან მთხოვნელები<sup>2</sup>  
წადი, წადი აშქენაზებთან.

ქალმა ვაღმომპყარა ცრემლები და გამოვიდა რიგი-  
დან. მაგიდას მიუახლოვდა მეორე ქალი, საშუალო ხნისა  
და გაჩერდა გაუბედავად. თითქოს ელოდა თავმჯდომარის  
გამოხმაურებას.

— აბა დედი, თუ რამე გაქვს სათქმელი, ჩქარა  
სთქვი.

— დახმარებას ვთხოვთ. ჩემი ქმარი გადასახლებულ-  
ლია. ჩვენ გაჭირვებაში ჩავევარდით. არ შეგონა, თუ სანე-  
დაბოდ<sup>3</sup> ვამიხდებოდა საქმე. ძალიან რომ არ მიჭირდეს,  
ან ვინმე რომ მეხმარებოდეს, მაშინ თქვენ არ შეგაწუხებ-  
დით.

— რა გვარი ხართ?

— ნასიმოვი...

— ნასიმ-ოლლი?

— არა. ნასიმოვი.

— ახლა თქვენ უნდა მასწავლოთ? ლახლუხა<sup>4</sup> ხართ.

ხომ?

— დიახ.

— ხომ გითხარით, ნასიმ-ოლლი. ნასიმოვი და ნასიმ-  
ოლლი სულ ერთია. თქვენ ჩვენთან ტყუილად მოსულ-  
ხართ. წადით ლახლუხებთან.

— ჩემი ქმარია ლახლუხა. მე ხომ ახალციხელი  
ვარ?

— ეგ არაფერია. ცოლი ქმრის გვარზე იწერება. —  
ისე ავტორიტეტულად წარმოსთქვა უკანასკნელი წინა-

<sup>1</sup> თორა — ბიბლია.

<sup>2</sup> სანედაბოდ — სამათხოვროდ. ეს სიტყვა „გაქართულებულია,  
და წარმოდგება სიტყვიდან „ნედაბა“ — რაც ნიშნავს დახმარებას, მო-  
წყალებას.

<sup>3</sup> ლახლუხა — ასე ეძახიან ტფილისში დამახი ნეჯებით სპარსე-  
თის ებრაელებს, რომლებიც ლაპარაკობენ თავისებურ სპარსულ ებრა-  
ულ ეარგონზე.

დადება, რომ მთხოვნელი იძულებული შეიქნა დაეტრევიდინა ოთახი და გასულიყო.

ნათანი იდგა გამტერებული. ყურს არ უჯეროდა. თავი ეგონა სადღაც მოჯადოებულ წრეში. ესმოდა ახალი ამბები. ხედავდა უცნაურ ქვეყანას. გულისცემა გაუხშირდა.

კიდევ ერთი ქალი მიუახლოვდა მაგიდას, რომელმაც შორცხვად შეხედა თავმჯდომარეს.

— ძია ბინო, მე ნედაბის სათხოვნელად არ მოვსულვარ. დედაშვილობას, ყური დამიგდე. ჩემი ქმარი, ზომ მოგეხსენებათ, ოთხი წელიწადია სტამბოლის ზღვაში დაიხრჩო. გამიჭირდა ძალიან. ვერაფერი გავაკეთე მარტომ. ნათესავებიც არაებნ შემჩრა. ამიტომ გავთხოვდი შარშან მემწვანილზე მოშიაზე. რაბიმ ქეთუბა<sup>1</sup> არ წაიკითხა: გეტ-იან<sup>2</sup> საჭირო.

— მერე, აილე გეტი, ვინ გიშლის, ჩემთან რომ მოსულხარ, მე სადაური რაბი ვარ?

— ვიყავი რაბისტან.

— მერე, რა გითხრა?

— არ შეიძლება გეტის მოცემად. ზღვაში დამხრჩვალნი მკვდარი არ არისო.

— ახლა მე რა ვქნა? რაბიმ თუ ბრძანა, ზღვაში დამხრჩვალნი კვდარი არ არისო, კვდარი არ ყოფილა. უნდა მოუცადო, რას იზამ, როცა იქნება დაბრუნდება შენი ქმარი.

— ის რომ დაბრუნდება... ისე დაბრუნდა... — და რაღაც უნდოდა ეთქვა გამწარებულ ქალს, მაგრამ აღარ დაუსრულებია, გულში მაგრად მიაწყევლა და საჩქაროდ გაემართა კარებისაკენ.

ნათანი ნელა მიუახლოვდა მაგიდას. ჯერ კიდევ ვერ გამოორკვეულიყო. დადგა მაგიდასთან და დაუწყო ცქერა თავმჯდომარეს იმ თვალებში, რომელმაც ასე ძლიერ აუშალა ცნობის მოყვარეობა. სად უნახავს ეს მწვანე თვალები, სად? ბრაზი მოსდიოდა, რომ ვერ აგონდებო-

<sup>1</sup> ქეთუბა — ქორწინების აქტი.

<sup>2</sup> გეტ — განქორწინების აქტი.

და. ხოლო ბენიამინს, ანუ ბინოს (როგორც მას ეძახდნენ აქ, შემოკლებით) მეტად აკვირვებდა ამ ყმაწვილის ასეთი თავხედური მზერა. უფრო კიდევ ის აოცებდა, რომ ეს უცხო ახალგაზნა იდგა ასე გამტერებული და ხმას არ იღებდა.

— რას მომჩერებინარ ასე შტერივით? ლაპარაკი ხომ იცი?

ეწყინა ნათანს ასეთი მიმართვა. მაგრამ მაინც მწვიდად მიუგო:

— ვიცი.

— აბა სთქვი, თუ რამე გაქვს სათქმელი.

ნათანმა მოუთხრო მოკლედ თავის ამბავი. სრულე-ბით არა ღელავდა, თითქოს არაფერი არ სურდა. ლაპარაკობდა უნდოვლად, უხალისოდ, უნუგეშოდ. თითქოს კიდევ აგრძნობინა, რომ მისგან სულ ერთია არაფერს კარგს არ ელოდა, ხოლო თუ მაინც უამბობდა თავის ამბავს, ამას ისე, სხვათა შორის...

— თქვენი გვარი?

— ჯანაშვილი.

— ჰო... ცხინვალელი ყოფილხართ.

— დიახ, მამა ცხინვალელი მყავს, დედა ახალციხე-ლი, ხოლო თვითონ არც ერთი ვარ, არც მეორე. მე და-ვიბადე...

— ნოიცი, სად დაიბადე საჭირო არ არის. მამაშენი ცხინვალელია. მაშასადამე უნდა წახვიდე და მიმართო ცხინვალელების კანტორას. ისინი მოგცემენ ბინასაც და დახმარებასაც. ჩვენ კი, მართალია, დიდი ჯამაათი ვართ, მაგრამ ჩვენი ჯამაათი ახალციხელებისგან შესდგება და ამიტომ ჩვენ მხოლოდ ახალციხელებს ეუბნარებით. ვაიგეთ?

— როგორ არა... ვაიგეთ... ძალიან კარგად ვაიგეთ.— და ერთხელ კიდევ მიაშტერდა თავმჯდომარის მწვანე თვალებს, დამკინავე თვალებს, რომლებიც უცნაური ღი-მილით ზომავდნენ ნათანს თავით-ფეხებამდე.

— ცხინვალელების კანტორა ახლოსაა, აქედან მესა-მე სახლია.

— გმადლობთ...

განოვიდა ვარეთ. ამოისუნთქა. ვილამაც ასწავლა ცხინვალელების კანტორა. მიდიოდა ინერციით. უკან მოსდევდა მწვანე თვალები...

საქართველო  
განმანათლებლები



ნათანს დაღლილობა აწუხებდა, როცა შევიდა ცხინვალელების კანტორაში. მას შესვლისთანავე თვალში ეცა სიმცირე ოთახისა, იგი უფრო ღარიბი იყო ახალციხელების კანტორასთან შედარებით. ოთახში იყო სულ ორი კაცი: ერთი—გაბაი მენაშე, ახალგაზრდა კაცი 25—30 წლისა და მეორე—შამაში<sup>1</sup>, რომელსაც ძია დათოს ეძახდნენ.

მიუხედავად ამისა, ოთახში მყოფნი ისე იყვნენ შებმული საჭირბოროტო საკითხებში, რომ ნათ არც კი შეუშინებიათ შემოსული ნათანი, რომელიც კარებში შედგა.

— აბა შენ დალუპვას გვიპირობ ძია დათო, არა? ამდენ დაძალულობას არ შეგარჩენს ისრაელის ღმერთი. სხვა თუ არაფერი, მაგ შენი წვერებისა რატომ არა ვრცხვენია? ამდენი ხანია ჯამაათის სამსახურში ხარ. ვინახავთ, ვაჭმევთ, ვასმევთ, ვაცხმევთ. რამდენჯერ მოინდომა ჯამაათმა შენი გამოცვლა და ჩვენ მხარი შენ დაგიჭირეთ, არ გამოგცვალეთ. ჯამაათის სამსახურში მოხუცებულხარ და ამ სიბერის დროს არ აგიტირეთ ცოლ-შვილი. შენ კი როგორ გადაგვიხადე პატივისცემა? წახვედი და უღმერთოებს მიპყიდე სული? რო წასულხარ და კავშირში ჩაწერილხარ, რაო, ვითომ რა გგონია? შენ გინდა, რომ მოერიო მთელ ჯამაათს? ასე გამოდის: შენ ყოფილხარ რაბიც, გაბაიც, შამაშიც და მთელი ჯამაათიც.

— კაცო, ნათქვამია, ვალმა შეედავე, გამოლმა მაინც შეგარჩებაო, ისეა თქვენი საქმე. შენც, ყეზრაც, სხვა გაბაებიც დამდგომიხართ თაყზე: რაზე ჩავეწერე კავშირშიო? რაზე ჩავეწერე და იმიტომ ჩავეწერე, რო ჩავეწერე, ასე

<sup>1</sup> შამაშ—სამლოცველოს დარაჯი.

მინდოდა. ახლა თქვენ იმისა გეშინიათ, რომ ძველებურად ელარ მომატაუებთ ხოლმე. რას მამადლით? ექვსი თვეა ჯამაგირი არ მოგიციათ, დღე-ღამე სულ ლოცვაში ვარ. ხან ლოცვას ვუვლი და ხან ლოცვის ეზოს. სუყველაფერი თავის რიზზე მაქვს დაყენებული. თქვენ კი როგორ იქცევით? თუ რამე ფული ჩაგივარდებათ ხელში, მოიგონებთ რალაც-რალაცებს და იმაში ხარჯავთ. საწყალი შამაში დათო არავის არ გახსოვთ. ამ სიბერის დროს ქეუა ვისწავლე. ახლა გადავსწყვიტე, აღარავის დაგაძალვინოთ თავი. ნებაყოფლობით მომციეთ ჩემს ნაშრომს და ნაოფლარს — ექვსი თვის ჯამაგირს — ხომ მომცემთ, არ მომცემთ და ხვალვე გავაცხადებ კავშირში.

— შენ ყოფილხარ ბატონი, ჩვენ კი არა, წაბრძანდი ბატონო, გაცხადე. რასაც მოიგებ, დავინახავთ. არაად შენზე ჩვენი ამაგი!

— რა ამაგი კაცო? ამაგი მე მიმიძღვის, თქვენ კი არაფერი.

— მილა?¹ ქეთუბა? მკვდარი? ეს არაფერია?

— რომელიმე ისრაელმა რომ შეიღლი მონათლოს, ან ქორწილი ჰქნას, ან ნოკელეს — შემდეგ ჩემი საშრომისათვის წამიყვანონ და მაჭამონ, ან რამე მაჩუქონ, ეს თქვენ რა შეგეხებათ?

— ჰო, მაგრამ, ჩვენი შამაში რომ არ იყვე, ვინ წაგიყვანდა, ვინ დაგპატიყებდა?


— ეს შენი საქმე არაა. მე ვითხოვე, რომ ჩემი საქმე ჩქარა გადასწყვიტოთ. ხვალ კრება მოახდინეთ და ჩემი ჯამაგირი — რაც მეკუთხის — მომეციეთ. ის როცა წავიდა თქვენ რომ მძალადით. ბალშევიკების მთავრობაა ახლა. ხომ გაიგეთ? მშრომელი ხალხის დაძალების უფლებას არაიან მოგცემთ.

— მაშ შენ უღმერთო ყოფილხარ?

— უღმერთო შენა ხარ და შენი ამხანაგები. მე ღმერთიცა მწამს და თორაც, მაგრამ ყველაფერს საზღვა-

¹ მილა — ნათულა.

2. გ. ბაახოვი — ფურხანი.



რი აქვს. მანამ ვათენდება ხვალვე სასამართლოში ვიქნები.

— აბა შენ აღარ ხუნრობ, ძია დათო? მართლაც გვიპირობ ჩივილს, არა? ძალიან კარგი. შენა გგონია, ამდენს რომ ვითმენთ, შეგვაშინე რაღა? წადი და ბალშევიკებმა მოგცენ ჯამაგირი. შენისთანა შამაში ჩვენ არ გვიხდა. დაიკარგე აქედან.

— დავიკარგო აქედან, თორემ მამა გიცხონდა, შენი აშენებულია ან მამაშენის ეს ლოცვა. შენ დაბადებული არ იყავი, მე რომ გაბაით ვიყავი. დროებას რა უთხრა, რომ სიღარიბემ შემაწუხა, თორემ, აფსუს დათო, როგორ ვიკადრებდი თქვენს შამაშობას! მე მამასახლისადაც ვიყავი, მე ისეთი ცხენები მყავდა, რომა...

— კარგი, კარგი. მოჰყვა თავის მამასახლისობისა და ცხენების ამბავს. მე შენ გეუბნები, ამ წუთიდან შენი ფენი აღარ დავინახო მეტქი ლოცვაში.

— არსადაც არ წავალ. აქედან ფებს არ მოვიცვლი. აი, გასაღები ჩემ ხელშია. დავკეტავ და თვითონ თქვენს არ შემოვიშვებთ სალოცავად.

— წახვალ! — დაიყვირა მენაშემ და მაგიდაზე მუშტი დაჰკრა.

— არ წავალ! — არა ნაკლებ გაბრაზებით დაიძახა ძია დათომ და განაგრძო: -- როგორც შენ ხარ ამ ლოცვის პატრონი, ისე მეცა ვარ. ნუ ჰყვირი ტყუილად, მენაშე! ჯამაათი თუ დამითხოვს, მაშინ წავალ, თქვენი დათხოვნით კი არ წავალ. თქვენც ჯამაათის არჩეული ხართ და მეც.

— აბა არაფერი განსხვავება ყოფილა, ვინდა გაბაი. ვინდა შამაში?

— როგორ არ არის განსხვავება! შამაში მეტს მუშაობს, შამაშს მეტი პატივისცემა ეკუთვნის. შამაში გაბაიზდება დიდია და რაბიზდება.

აივსო მენაშეს მოთმინების ფიალა და ის-იყო დაავლო ხელი საანგარიშო დავთარს შამაშისათვის სასროლად, რომ ამ დროს შეამჩნია მორცხვად კარებში მდგარი ნათანი და უცბად შეჩერდა. ძია დათომაც დაინახა ნათანი და მობრუნდა. ჩამოვარდა რაღაც უხერხული სი-

ჩუმე. შემდეგ ისევ მენაშემ დასძლია ეს უხერხულოება და შეუდგა ნათანის გამოკითხვას.

ნათანმა მოკლედ ჩამოაყალიბა სათხოვარი. გრძნობდა, რომ არ იყო შესაფერი დრო, და კიდევ ინახა, რომ მოვიდა. მაგრამ აწუხებდა საშინელი დაღლილობა, უძილობა და თავს ანგარიშს აღარ აძლევდა თავის მოქმედებაში. ოპ, რა შურით შესცქეროდა ნათანი ამ წუთებში ყველას, ვისაც ჰქონდა ძილისა და მოსვენების საშუალება!

როცა გაბაი მენაშემ გაიგო ნათანის ვინაობა და ყველა საჭირო ცნობები, ერთი მაგრად ჩაახველა და მისცა ასეთი პასუხი.

— ჯერ ერთი, შენ არა ხარ ნამდვილი ცხინვალელი. მართალია ნამაშენი ცხინვალელია, მაგრამ ის ოც წელიწადზე მეტია ცხინვალიდან წასულა და შენც ცხინვალის გარეთ ხარ დაბადებული. მეორეც ისა, რომ როცა მამაშენი ჩამოდის ხოლმე ტფილისში, არც კი შემოიხედავს ჩვენს ლოცვაში, სულ ახალციხელებთან დიდის და იმათთან ლოცულობს. მესამეც კიდევ ისა, მამაშენიც რომ ჩვენთან ლოცულობდეს, შენც რომ წმინდა ცხინვალელი იყო, სულ ერთია ვერაფერს ვერ დაგეხმარებოდით. ბინა ჩვენ არა გვაქვს და სად უნდა დაგაძინოთ? წადი ახალციხელებთან. ისინი დიდი ჯამაათია. როგორც იქნება სადმე მოგაწყობენ.

ნათანი შესცქეროდა პირდაღებული, ყველა გზა დახშული იყო. დაღუნა თავი და გამოვიდა გარეთ. მას გამოყვა გაბაი მენაშე, რომელმაც სწრაფი ნაბიჯით გაუხვია შესახვევში. ნათანი ერთხანს შედგა და უანროდ უცქეროდა წინ მიმავალს. მას აღარ ახსოვდა, თუ რამდენ წუთს იდგა ასეთ იდგომარეობაში. როცა მენაშეს ლანდიც სავესებით დაეკარგა თვალთავან, სწორედ იმავე დროს ვილაცამ წაავლო ხელი. მოიხედა და იცნო: მის წინ იდგა მოხუცი შამაში — შია დათო.

— წამოდი ჩემთან, ნუ გეშინია, მე მოვასვენებ ამალამ. მენაშე იძახის, რომ ისაა ლოცვის პატრონი, მე კი ვიძახი, რომ მე ვარ. ვნახოთ. წამომყევი!

უსიტყვეოდ გაჰყვა ნათანი, არ შეიძლებოდა მის სახეზე იმის ვაგება, თუ როგორი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე ძია დათოს მოულოდნელმა წინადადებამ. ნათანი მზად იყო თუნდაც საღმრთო ქუჩაში მიგდებულყო, ოღონდ კი დაეძინა.

ძია დათომ აუხვია ისევ სალოცავისაკენ. სალოცავს უკან მიდგმული ჰქონდა მოზრდილი აივანი, რომელიც გადაჰყურებდა ქუჩას. როცა გამოვიდნენ აივანზე, ძია დათომ უთხრა:

— აი აქ დაწეკი. არა უშავს რა, როგორც იქნება ღამეს გაათევ, ჩამოიხსენი ეგ ხურჯინი. რას შიგვიკრავს მხარზე! ჰო, ასე. მოიტა აქ. რაა ასე მაგარი? წიგნებია? მე კი მეგონა რამე, ხილი გექნებოდა, კაცი ბერახას<sup>1</sup> ვაკურთხებდი, ნეშამას<sup>2</sup> მოვიბრუნებდი... ალბათ გეძინება. მე წავალ, ახლავე წავალ. ეს ხურჯინი თაფით დაიდევ ბალიშად. აგერ ჩემი ძველი პალტო, კუთხეში რომ დევს, ლეიბად დაიგე. საბანი კი რაში გინდა? კარგი იღბალი გქონია: თუმცა შემოდგომაა, მაგრამ მაინც ცხელა.

ნათანი ისე მოიქცა როგორც ძია დათომ უჩვენა. შემდეგ წაიწვა. ძია დათო კი ჯერ არ აპირებდა წასვლას.

— რა გქვია სახელი?

— ნათანი.

— მომწონს, ისრაელური სახელია. — და შემდეგ შეეკითხა: — ალბად გშიან?

— არა.

— აბა მამაშვილობას, მომიყევი, როგორ ამოგართვეს ფული?

ნათანმა შეატყო, რომ ასე ადვილად ვერ გადარჩებოდა ამ მოლაპარაკე ცნობის მოყვარე ნოხუცს. თან ასეთი პატრიარქალური სახე ერთგვარ ზრდილობას და

<sup>1</sup> ბერახა — რელიგიური კურთხევა, ხილის ჭამის დროს ანობენ ხოლმე

<sup>2</sup> ნეშამა — სული.



პატივისცემას მიოთხოვდა მისგან. დაიწყო და ერთხელ  
კიდევ მოჰყვა თავის ამბავს.

— აქ, ქალაქში, რა საქმეზე ხარ ჩამოსული?

— სასწავლებლად ჩამოვედი.

— მერე ვანა იქ არა გაქვთ სასწავლებელი?

— არის, მაგრამ დაეასრულე. ნე აქ უმაღლეს სას-  
წავლებელში უნდა შევიდე.

— უმაღლესში? აბა შენ კანონები კარგად გეცო-  
დინება. მართალია, გეძინება, მაგრამ არა უშავსრა, მე  
მალე წავალ. ერთი ეს მითხარი, ხომ გაიგონე ჩემი და  
გაბაის ლაპარაკი. ეგ მთავარი გაბაი არ არის, მაგრამ  
სხვებიც ისე მეუბნებიან, თუ გვიჩვილე, სამსახურიდან  
დაგიოთხოვთო. აქვთ ამის უფლება?

— არა, არა აქვთ.

— გიშველა ღმერთმა! მეც ვიცი, რომ არა აქვთ,  
მაგრამ მაინც გკითხე, მეტი სიმაგრისთვის. ეპ, შვილო,  
ერთი დრო იყო, ძია დათო რომ ცხინვალში გაივლიდა  
სუყველა ჩესტზე უდგებოდა. მე მთავარი მამასახლისი  
ვიყავი, ჩენს ხელში იმდენ ცხენს გაუვლია, რომ დათუ-  
ლასაც ვერ მოახერხებდი. ისეთი ჩოხა-ახალუხი მქონ-  
და, რომ ხალხს თვალები ზედა რჩებოდა. ვერცხლის ჭა-  
მარში ხანჯალი მკითხა და ყველა ჩემი შიშით კანკალებ-  
და. იმდენი იკვნესა მენაშემ, რამდენი მაგისთანა ბიჭი მე  
ციხეში ჩამიგდია... მაგრამ შენ უკვე გეძინება. წაიღო,  
წავალ. ისე კი, რომ იცოდე, ძალიან გულით მინდა შენ-  
თან ლაპარაკი. ბევრი, ძალიან ბევრი მაქვს სალაპარაკო.  
სუყველაფერს მოგიყვები დაწერილებით. ახლა კი მივ-  
დივარ ოოოაზე ადრე მოვალ... ლელ შალომ...<sup>1</sup>

ძლივს!

თავისუფლად ამოისუნთქა ნათანმა. მაგრამ ეოცა ის  
ამბავი, რომ როცა მარტო დარჩა, ძილის სურვილმა გა-  
დაუარა, რამდენს ეცადა ძილისათვის მიეცა თავი, მაგ-  
რამ იერ შიისოო. აუარებელი ვანცდა და შთაბეჭდილე-  
ბა ჰქონდა მოწოლილი და არ შეიძლებოდა ასე ადვი-  
ლად განთავისუფლება. ხოლო ამ შთაბეჭდილებებში

<sup>1</sup> ლელ შალომ—ლამემშვიდობისა!

ღრმად გარკვევისა ეშინოდა. იცოდა, რომ უსათუოდ გული ეტკინებოდა. ამიტომ გაუბოდა. გაუბოდა როგორც შეეძლო, მაგრამ ამაოდ.

როგორც ეკრანზე ისე ნირბოდენ მის თვალწინ ყველა ის პირები, ვინც კი გაიცნო ამ სალამოს: დანიელ თათლიაშვილი, ბენიამინ ბერიძე, პირველი ქალი, მეორე, მესამე, გაბაი მენაშე და შამაში — ძია დათო...

სათითოოდ აგონდებოდა ყოველი ეპიზოდი. სურდა განედევნა ეს მოგონებანი, მაგრამ ვერ მოახერხა. დაიწყო ფიქრი ხეაღინდელ დღეზე. მაგრამ უნიზნოდ. შემდეგ დაიწყო მზერა თავის წარსულში, მაგრამ დიდხანს ვერც აქ შეაჩერა ყურადღება.

ამ სალამოს პირველად მოხდა მის ცხოვრებაში, რომ აწმყო იჭერდა მთავარ ადგილს. ნათანმა ეს კარგად იგრძნო. შუალამე უკვე კარგა ხნის გადასული იყო, მაგრამ მაინც არ ეძინა. წარსული და მომავალი მას ელანდებოდა ნაირნაირი ფერებით, აწმყო კი შავად ერყენებოდა.

რამდენჯერაც დახუჭა თვალი, იმდენჯერ მოეჩვენა, თითქოს თავზე ადგა ვილაც კაცი მწვანე-თვალეზიანი. რომელიც გესლიანი ღიმილით ამბობდა: „ზღვაში დანხრჩვეალი მკვდარი არ არის, ასე სთქვა რაბიმ. მაშასადამე ასეა“.

შემდეგ ძილისა და უძილობის საზღვარზე რომ მივიდა, როცა თვითონ ნათანმაც აღარ იცოდა ეძინა თუ ეღვიძა, მას მოეჩვენა, თითქოს მწვანე თვალეზიანი კაცი გაიზარდა, გადაიქცა უდიდეს ვეშაპად, ხელში აიღო დიდი ჯოხი და ერთის ნოქნევით მთელი კაცობრიობა დაჰყო ოთხ ნაწილად:

— ახალციხელები... ცხინვალელები... ლახლუხები... აშქენაზები.

## 2

თვითონ ნათანს ბუნდოვანად ახსოვდა ის დრო, რო-  
 დესაც მისმა მშობლებმა იგი მიაბარეს მელამედს<sup>1</sup>. ახ-  
 სოვდა კი, რომ ზამთრიანი დღეები იყო. მამამისმა ჩააც-  
 ვა ახალი ქალამანი, გარშენო შემოუყარა თივა, ხელში  
 მისცა „კერო-მიკრა“<sup>2</sup> და წაიყვანა იმ შენობაში, რო-  
 მელსაც ეწოდებოდა „თალმუდ-თორა“<sup>3</sup>. იქნებოდა ამ  
 დროს ხუთი თუ ექვსი წლისა. წასვლამდე დედამ აკოცა  
 შუბლში და თან დაუმატა:

— აბა შენ იცი როგორ ისწავლი თორას და ასახე-  
 ლებ მამაშენს, როცა ისწავლი ბევრ თორას, მაშინ იქნე-  
 ბი დიდი რაბი.

კარგახანს ახსოვდა დედის სიტყვები ნათანს და  
 იჯოდა: სწავლობდა იმისათვის, რომ გამოსულიყო დიდი  
 რაბი.

მელამედი ანუ რაბი, რომელსაც იგი მიაბარეს, კოჭ-  
 ლი იყო, ჰქონდა ძალიან გრძელი წვერები და გამუდმე-  
 ბით პირში ედო ყალიონი. თავიდანვე შიშმა შეიპყრო  
 ნათანი. არ მოსწონდა თავისი მელამედის სახე. მაგრამ  
 ამავე დროს შიშის ზეგავლენით ნასში თანდათან ჩამო-  
 ყალიბდა ის აზრი, რომ მელამედზე უფრო დიდი და  
 უფრო ნასწავლი კაცი არ არსებობდა მთელ ქვეყანაზე.  
 ამიტომ მელამედის ყოველი სიტყვა კანონად ვადაიქცა  
 მისთვის.

<sup>1</sup> მელამედ — მასწავლებელი.

<sup>2</sup> კერო-მიკრა — პირველდაწყებითი სახელმძღვანელო, ანბანის  
 წიგნი.

<sup>3</sup> თალმუდ-თორა — სასწავლებელი.

პირველ დღესვე დააწყებინეს კითხვა. ალფაბეტზე თითი ჰქონდა დადებული და მელამედის კარნახით გადაჰქონდა თითი სხვადასხვა ასოებზე და იმეორებდა: 2020

— ალოფ, ბეთ, გიმელ...<sup>1</sup>

რანდენათაც ნათანის ამხანაგებს უჭირდათ ამ მეტოდით ალფაბეტის შეთვისება, იმდენად ნათანის მახვილი გონება ყველაზე სწრაფად ითვისებდა. ატყობდა რა მელამედი, რომ სხვები მეტად სუსტად მისდევდნენ ნათანს, ივსებოდა ბრაზით, დაერეოდა ბავშვებს მუშტებით და თან მიაყოლებდა:

— თქვე ძაღლის წიწილებო!...

თვითონ ნათანსაც ეშინოდა ასეთი მომენტებისა. მელამედის ხელი „შეცდომით“ მის ზურგზედაც აღბეჭდავდა ხოლმე თავის კვალს და ამის შემდეგ დიდხანს ეწოდა გალურჯებული კანი.

ხედერში<sup>2</sup> სწავლა მიმდინარეობდა დილის რვა საათიდან თორმეტ საათამდე და ნაშუადღევის სამიდან ღამის ათ საათამდე.

ნათანის მელამედს საათი არა ჰქონდა, მხოლოდ დანიშნული ჰქონდა ეზოში თეთრ ქვაზე შუაგული ადგილი. მზე რომ მიადგებოდა ამ ადგილს გამოაცხადებდა: თორმეტი საათიაო, და გარეკავდა ბავშვებს თავთავიანთ სახლში. მზე ხან დილის ათ საათზე მიადგებოდა, ხან ნაშუადღევის სამ საათზე და ხან კიდევ სულ არ მიადგებოდა, მიუხედავად ამისა, ნელამედს სრულიად ეჭიან არ ეპარებოდა, რომ თეთრი ქვა დროის საეჭვო მაჩვენებელი იყო.

რაც უფრო ხანში შედიოდა ნიჭიერი ნათანი, მით უფრო მისი ცნობის მოყვარეობის არე იზრდებოდა და აღარ აკმაყოფილებდა ის ცოდნა, რომლიც მას ჰქონდა. თუ რამე საკითხი აღიჭვრებოდა, მანამდე ვერ მოისივნებოდა სანან არ გადასწყურებოდა. ეკითხებოდა ამხანაგებს, მშობლებს, მელამედს, გარეშეებს.

<sup>1</sup> ალოფ, ბეთ, გიმელ. — ანი, ბანი, განი...

<sup>2</sup> ხედერ — პირველდაწყებითი სასწავლებელი.

მშობლები ამაყობდნენ თავიანთი შვილით, მელამედო  
თავისი თალმიდით<sup>1</sup> და ისხაკ ჯანაშვილის მეზობლე-  
ბი—მორწმუნე ისრაელები, ქალი და კაცი, ერთმანდ  
იმეორებდნენ საყოველთაოდ მიღებულ აზრს ნათანის შე-  
სახებ:

— დიდი რაბი დადგება... დიდი მნათობი ისრაე-  
ლისა...

როცა ნათანს შეუსრულდა ცამეტი წელიწადი და  
ერთი დღე, იგი წესისამებრ გამოაცხადეს ბარ-მიცვად<sup>2</sup>.  
ამ დღეს დიდი ზეიმი იყო ლარიბი ისხაკ ჯანაშვილის  
სახლში. მოწვეული იყვნენ ყველა რაბები და მელამედე-  
ბი, უფროსი თალმიდები, ჯამაათის წარჩინებულნი და  
ახლო ნათესაეები, რომლებიც ულოცავდნენ ჯანაშვილე-  
ბის ოჯახს შვილის გაბედნიერებას.

ისხაკ ჯანაშვილს და მის მეუღლეს ღიას ნათანის  
მეტი არავინ არა გააჩნდათ. ნათანი იყო მათთვის არა მარ-  
ტო ერთად-ერთი შვილი, არამედ ერთად-ერთი იმედი და  
ერთად-ერთი მიზანი, რომლისთვისაც არაფერს არ იშუ-  
რებდნენ და ყოველ წუთს მზად იყვნენ მისთვის თუნდაც  
სიცოცხლე შეეწირათ.

ის პროვინციალური დაბა, სადაც ისხაკ ჯანაშვილი  
ცხოვრობდა და სადაც ნათანი დაიბადა, მერის მერად  
ლარიბი იყო. დაბის სიღარიბე აშკარად მოჩანდა მცხოვ-  
რებლებზე. თითო ოროლას გამოკლებით, თითქმის მთე-  
ლი დაბის ებრაელობა ლარიბ მწვერინალეებს წარმოად-  
გენდა და ისხაკ ჯანაშვილიც ამ ჯგუფის ხალხს ეკუთვ-  
ნოდა. მისი ძირითადი თანხა ხუთი თუმანი და შვიდი მა-  
ნეთი იყო, რომელსაც აბრუნებდა დიდი ვაივაგლახით  
თვიდან-თვიმდე.

საუკეთესო დროდ ისხაკ ჯანაშვილს მოაჩნდა ზაფ-  
ხული, რადგანაც ამ დროს მის „ვაქრობას“ გამოცოცხ-  
ლება ერკობოდა. ამ დაბაში იყო მინერალური წყაროე-  
ბი, ზაფხულობით ჩამოდინდნენ ნოაგარაკეები. ვინაიდან  
ამ დაბას არ უდგებოდა რკინის გზა და გზებიც ცუდი

<sup>1</sup> თალმიდი - მოწაფე.

<sup>2</sup> ბარ-მიცვა—სრულწლოვანი (ებრ. რელიგიის გაგებით).

იყო, ამიტომ მოაგარაკეთა რიცხვი მეტად მცირე იყო, მაგრამ ვინც ჩამოდიოდა უსათუოდ რამეს იყიდოდა და გაუსაღებდა ისხაკს, რადგანაც ისხაკის პატიოსნება საჯაროდ იყო გათქმული.

ისხაკმა პატიოსანი კაცის სახელი სამართლიანად დაინსახურა. თავის დღეში არ იტყოდა ტყუილს, არ მოატყუებდა არავის ზომაში და წონაში, თავისი თანხის შესაფერი ჰქონდა ყოველთვის საუკეთესო საქონელი და ფასები მტკიცედ იყო დადებული. დიდი ნდობა ჰქონდა ხალხისა და ამიტომ ხშირად საქონელი ნისიად მიუტია იმათთვისაც კი, ვინც მას შემდეგში არასოდეს აღარ ენახა.

ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი სიმართლისა და სამართლიანობის გრძნობა. ამიტომ, როცა დაინახავდა, რომ ვინმეს უსამართლოდ სდევნიდენ, თავის მოვალეობად სთვლიდა გამოსარჩლებოდა და გაჭივრებულს დახმარებოდა.

პირად ცხოვრებაში იყო თავდაბალი, დეთის მოჩუქმუნე და გულკეთილი ადამიანი. მისი მეუღლე ღია, როგორც თვითონ ისხაკი ამბობდა, ღირსეული ადამიანი იყო, პატიოსანი მეუღლე და მოყვარული დედა, ერთი სიტყვით — ეშეთ-ხაილი<sup>1</sup>.

მშობლები სულ იმას ოცნებობდნენ დღიდან ნათანის შეძენისა, რომ ნათანი ყოფილიყო ღირსეული შვილი თავისი ერისა, ე. ი. ნათანი უნდა ყოფილიყო რაბი. ნათანის არაჩვეულებრივმა ნიჭმა ხელი შეუწყო მშობლების რწმენის გაძლიერებას და მთელი თავისი გულისყური მიმართეს აქეთკენ. ამიტომ, როდესაც მოაწია ნათანის ბარ-მიჯვად გახდომის დრომ, არაფერი არ დაზოგეს ლარიზმა მშობლებმა, რათა ეს „ოქროს ხანა“ მათი საყვარელი შვილის ცხოვრებისა აღენიშნათ იმ დაბის შეძლების მიხედვით „დიდი რიხით და ზემით“.

ამ დროს ნათანს უკვე შესწავლილი ჰქონდა თალმუდის რამოდენიმე მასეხეთი<sup>2</sup>: „ბაბაკამა“, „ბაბა მეცი-

<sup>1</sup> ეშეთ ხაილ — ამირი-ქალი

<sup>2</sup> მასეხეთ — ტომი.

ყა“, „ბაბა-ბათრა“, „ბერაბოთ“, „გიტინ“ და „სანედრი-  
ნი“. როგორც ამბობდნენ, ნათანს უნდა ეთქვა სუფრასზე  
პირველი დიბრე-თორა<sup>1</sup>.

ბარ-მიცკის ზეიმი ჩატარდა დიდი აღფრთოვანებით;  
ნათანმა წარმოსთქვა „ცეცხლოვანი, ღვთაებრივი სიტყ-  
ვები“; კოჭოი მიღამიდი სიხარულით დაითრო და დაიწ-  
ყო ცეკვა; მშობლების აღტაცებას საზღვარი არა ჰქონ-  
და; არც სტუმრები ჩამორჩნენ საერთო სიმზიარულეს და  
მრავალი საღღებარძელო დალიეს ისრაელის ერის „ამო-  
მავალი ვარსკვლავისა“.

მეორე დღეს, როდესაც ადგილობრივ ებრაელთა  
ცხოვრება ისევ შევიდა ძველ კალაპოტში, მოხდა ერთი  
პატარა შემთხვევა. რომელმაც უდიდესი გავლენა მოახ-  
დინა ნათანის მომავალ მსოფლმხედველობაზე.

ნათანმა მამის დავალებით ერთ მოაგარაკეს წაიღო  
ბინაზე რაღაც წვრიშალი საქონელი. მოაგარაკე რუსის  
ებრაელი იყო. ეცვა ევროპიული ტანსაცმელი და გაპარ-  
სული იყო სუფთად. ნათანმა მოაგარაკის ოთახში შეამჩ-  
ნია ებრაული წიგნები. ორი რამ გაუკვირდა მაშინ ნა-  
თანს. ერთი ის, რომ ამ წიგნების პატრონი უეჭველად  
ებრაელი იყო, ხოლო ასეთი გაპარსული და ასე ჩაცმუ-  
ლი ებრაელები მას ჯერ არ ენახა. მეორე კიდევ ის, რომ  
ძალიან ეოჯახოვა ამ წიგნების შინაარსი.

ნათანმა იცოდა, რომ ებრაულ ინაზე არსებობს ბიბ-  
ლია, მიშნა, თალმუდი და სხვა „წმინდა წიგნები“, მაგ-  
რამ რა იყო ის წიგნები, რომლებიც ელაგა მოაგარაკის  
ოთახში, ამის წარმოდგენა არა ჰქონდა. ნათანს ისიც  
აოჯებდა, რომ ეს წიგნებიც დაწერილი იყო ებრაულ  
ენაზე.

ნელა აიღო ერთი წიგნი. დახიდა სათაურს: „ორი  
უკიდურესობა“. ქვეშ იყო წარწერა: რომანი ბრაჟილი-  
სისა. არ იცოდა რას ეწოდებოდა რომანი. გული დასწყ-  
და. უნდოდა სასწრათოდ გაეგო. მაგრამ როგორ, რა  
გზით? მოაგარაკემ ქართული არ იცოდა, ნათანმა კიდევ  
რუსული. ხან წიგნში იცქირებოდა და ხან კიდევ მოავა-

<sup>1</sup> დიბრე თორა - რელიგიური ქადაგება, მოძღვრება.

რაკეს მისჩერებოდა. მოაგარაკემ შეატყო, რომ ბავშვი ცნობისმოყვარე იყო და დაინტერესდა. შეეკითხა ებრაულად. გაორდა ნათანი. ასე ეგონა, მის წინ სატანა იდგა. „წვერგაპარსული“ და „გადარჯულებული“ კაცი მას ელაპარაკებოდა ებრაულ ენაზე! შეუძლებელი იყო, მაგრამ ეს შეუძლებელი მაინც ფაქტი იყო.

შელაპარაკდენ.

— ძალიან გინდა გაიგო რა არის რომანი? წაიღე ეს წიგნი საჩუქრად. თვითონ გაიგებ როცა წაიკითხავ. თუმცა ჯერ პატარა ხარ, ასეთი წიგნების კითხვა ნაადრევია, როცა გაიზრდები, ბევრ რამეს შეგძენს.

გამოესალმა მადლობით. წამოიღო რომანი „ორი უკიდურესობა“.

სალამოს მოვიდა რომანით „თალმუდ-თორა“-ში. კოჭლმა მელანედმა ჩამოართვა წიგნი და გადაფურცლა. წაიკითხა სათაური. შეიკუმშა და განრისხდა.

— ეინ მოგცა ეს წიგნი?— შეეკითხა მკვახედ.

ნათანმა უამბო. ამის შემდეგ კოჭლმა მელამედმა გაისწორა ყალიონი, გააბოლა და შემდეგ დინჯათ მიმართა ნათანს:

— ეს წიგნი შენთვის ქრისტიანს მოუცია.

— არა, რაბი. ის კაცი ისრაელი იყო. მელაპარაკა ლაშონ-პაკოდეში-თ<sup>1</sup>.

— სულ ერთია. ვინც ასეთ წიგნებს კითხულობს, ის ქრისტიანია. ეს ჯოჯო წიგნებია, მათი კითხვა ასურია<sup>2</sup>. ამის იქით აღარ შესვლედ შეილო და ასეთ წიგნებს ხელი არ მოჰკიდო. ამ წიგნს ამაღამ ცეცხლში დავწვავ.

ნათანს არაფერი არ უპასუხნია. შეურიგდა ბედს, მაგრამ მაინც რაღაც აწუხებდა.

ერთი კვირის შემდეგ ღია გახდა აკად. ისხამა ლამის თერთმეტზე ნათანი გაგზავნა მელამედთან, რომ მას რეფუა<sup>3</sup> ეთქვა. ნათანმა დაუკაკუნებლად შეალო კარი

<sup>1</sup> ლაშონ-პაკოდეში — „წმინდა ენა“— ასე უწოდებენ რელიგიური პირები ებრაულ ენას.

<sup>2</sup> ასურ — აკრძალულია.

<sup>3</sup> რეფუა — განკურნება (განკურნების ლოცვა).



და შევიდა. სასტიკად გაოცდა: მელამედი განივრად წა-  
მოწოლილიყო, ამოღებდა ყალიონს და კითხულობდა  
მის რომანს.

სისხლი აუეარდა თავში. მაინც შენაგრდა. გადასცა  
მამის თხოვნა.

მელამედი შეუდგა ლოცვას.

ნათანმა იხელთა დრო, შეუმჩნეველად აიღო რომანი  
და გამოვიდა გარეთ.

სახლში მამას განუცხადა, რომ მელამედმა წაიკითხ-  
ა რეფუა, მაგრამ დედა თავისით განიკურნება, მელამე-  
დის რეფუა არაფერი საჭირო იყო.

ისბაკი გააკვირვა შეილის მოულოდნელმა ახალმა  
აზრმა.

მეორე დღეს კოკლმა მელამედმა შეპარვით ჰკითხა:  
— ხომ არაფერი წიგნი წავილია გუშინ ჩემგან?

ამაზე ნათანმა დამშვიდებით შეხედა თვალეში და  
ოდნავ დამცინავ კილოზე შეეკითხა:

— რომელ წიგნზე მელაპარაკებით?

— ბრ... რაუდესის წიგნი... — გაუბედავად წარ-  
მოსთქვა მელამედმა.

— ბრაუდესის წიგნი აკი თქვენ ცეცხლში დასწვით?  
ალბად დაგავიწყდათ...

ნასწაელბელმა ენაზე იკბინა და გაჩუმდა.

ამგვარად ჩაეყარა საფუძველი ჩუმი მტრობის და-  
საწყისს.

წაკითხულმა რომანმა უდიდესი გარდატეხა მოახდინა  
ნათანში. მის გონებაში მთელი ქვეყნიერება გადაბ-  
რუნდა და უდიდესი ექვის თვალით დაუწყო ცქერა ყო-  
ვილივე იმას, რასაც წინათ პატივსა სცემდა და ათაყვან-  
ებდა. მის თვალწინ გადიშალა ახალი სამყარო. შეუყ-  
ვარდა ბუნება. ზაფხულობით დადიოდა ტყეებში და  
ითის მწვერვალეებზე, ან შესტურავდა მდინარის ძლიერ  
ტალღებში და ბანაობდა. ზამთრობით მისრიალებდა გა-  
ლესილ ყინულზე და აგროვებდა თოვლის ფიფქებს. გა-  
ზაფხულზე ელოდა ზაფხულის დაწყებას და მგლის თვა-  
ლებით ათვალაიერებდა მოაგარაკეებს, რომ მათთვის  
გამოერთმია ახალი წიგნები. შემოდგომაზე ელოდა ზამ-

თრის დაწყებას, რომ მის გრძელ ღანებში ჩუმად ეკრთა აკრძალული წიგნები, რომლებთაც აგროვებდა ხაფხულის გახდავლობაში. თავისით შეისწავლა რუსული და უკვე კითხულობდა სამ ენაზე: ქართოოად, რუსულად, ებრაულად. კითხულობდა ვნებით, გაგიყებით, გატაცებით.

ხშირად ვერც კი იგებდა როგორ წამოადგებოდა განთიადი. არაფერ არ იცოდა მისი დიდი საიდუმლო, თუმცა მშობლები ამჩნევდენ, რომ ბოლო დროს ხათანი შეწუნდა, გახმა, ჩამოშრა და განერვიულდა.

ერთ დღეს მოულოდნელად გახუცხადა მამას, უნდა მოვემზადო და მომავალ წელს გამოცდა უნდა დავიჭირო ადგილობრივი გიმნაზიის მეხუთე კლასშიო. ისხაკს გული შეუღონდა. ხათანი უმტკიცებდა თავისი განზრახვის მიზანშეწონილობას.

— ასე არ შეიძლება შევილო. რას იტყვის ქვეყანა. ყველას საამაყოდ ნიაჩხიხარ და იტყვიან, ხათახი გაქრისტიანდაო.

— ტყუილია, მამა. გიმნაზიაში სწავლა სულაც არ ნიშნავს გაქრისტიანებას.

— მაინც შევეკითხოთ შენს რაბის, რას იტყვის. უიმისოდ არ შეიძლება.

— იმას არაფერსაც არ შევეკითხები. ის ცრუა.

გულკეთილი ოსხაკი დაიბნა, გაშეშდა.

— ჩემო ხათანი! ჩემო საყვარელო შევილო, ეს რა მესმის, ვაი ჩემს ყურებს!

— ნუ სწუხარ, მამა ჩენო. ყური მიგდე. აი საბუთი. ორი წელიწადია ვიხრჩობ გულში ამ ამბავს და არავისთვის არ მითქვამს. ახლა მოვიდა დრო და უნდა გითხრა. ვახსოვს ის მოაგარაკე, შარშანწინ რომ გამგზავნე იმასთან?

და ხათანმა უამბო მანას ბრაუდესის წიგნის თავგადასავალი.

ისხაკზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ ამბავმა, ეხლალა გაიგო იმ სიტყვების მნიშვნელობა, ერთი წლის წინათ მოულოდნელად რომ სთქვა ხათანმა: „დღეა თავისით განიკურნება. მელამედის რეფუა არაფერი საჭი-

რო იყო“. მაინც გაუჭირდა ისხაეს ამ ამბიდან სათანადო დასკვნის გამოტანა. ვერ შერიგებოდა შვილის განზრახვას. გაქანდა ისევ კოჭლ მელამედთან. მელამედი ბრაზით აივსო. დაუწყეს ხათანს დარიგება მოფეოებით, თხოვნით, მუქარით. არაფერმა არ გასჭრა. ნათახის ნება შეურყეველი იყო.

მაშინ მელამედმა „მისცა“ უფლება გიმნაზიაში წასვლისა ორი პირობით: დილაობით გიმნაზიაში ისწავლიდა და საღამოობით კი იეშიბაში.<sup>1</sup> გარდა ამისა შაბათობით არ უნდა ევლო გიმნაზიაში.

მიუხედავად ამ საშუალო გზისა დღითიდღე იზრდებოდა უფსკრული. შორდებოდა ნათანი მელამედს და ძის გავლენას.

ერთმა საღამომ კი ამ გარემოებას სამუდამოდ შეუწყო ხელი.

იდგა მწველი ზაფხული. ნაშუადღევ იყო. მელამედი მისულიყო იეშიბაში და თალმიდები იგვიანებდნენ. ვიღამაც უთხრა, საბანაოდ არიან წასული და ნათანიც მათთან არისო. გაბრაზდა. გაგზავნა უფროსი თალმიდები და დაავალა სასწრაფოდ მოეტანათ იეშიბაში-მობანავეთა ტანისამოსი.

დავალება შეასრულეს. შემდეგ გასცა განკარგულება, რომ ბლომად დაეკრიფათ ჯინქარი და გაეფიხათ იეშიბაში ყველა გრძელ სკამებზე. მობანავეებს სხვა გამოსავალი არა ჰქონდათ. დაემორჩილენ უსიამოვნოდ ბედს. წამოვიდნენ შიშველნი იეშიბისკენ. ხელებით იფარებდნენ სასირცხო ალაგებს. უკან მოსდევდნენ სტვენით და ხმაურობით პატარა ბიჭები, ვიგინდარები, ძაღლები. შიშველებს მოუძლოდათ ნათანი, რომელიც სხვებზე უფრო ნწყავედ გრძნობდა შელახულ თაემოყვარეობის ტკივილს. ის კი ველარ წარმოედგინა ნათანს, რომ კოჭლ ჯალათს შეეძლო ამაზე შორს წასულიყო.

როცა დამარცხებულნი შევიდნენ იეშიბაში, ნათანმა წარმოიდგინა და უფრო მეტიც: განიცადა საკუთარ ტყავზე.

<sup>1</sup> იეშიბა—ხედერის შემდეგ უმაღლესი სასწავლებელი.

იეშიბაში იდგა გულშემზარავი კივილი. ჯინჭარი საშინლად სწვავდა და სუსხავდა ნორჩ „დამნაშავეთა“ სხეულებს.

იეშიბის შუა ადგილს ამშვენებდა წარწერა: „ვეა-  
აბთა ლირეყება ქამოხა“...<sup>1</sup>

გრძელ სკამებზე კი ჰგმინავდენ დასჯილები და მოსთვეაიდენ არაადამიანური ხმით.

ეს იყო დასასრული.

ამის შემდეგ ნათანისა და კოჭლი მელამედის გზები განშორდენ სამუდამოდ.

მასწავლებლის კათედრას თავს დაჰყურებდა რომანოვების დინასტიის უკანასკნელი იმპერატორის სურათი.

ყოველთვის, როდესაც მივიდოდა ნათანი გიმნაზიაში და შეხედავდა ამ სურათს, განიცდიდა რაღაც უსიამოვნო გრძნობას. რა დაუშავა მას ნიკოლოზ მეორემ? ნათანმა იცოდა რაც დაუშავა. გაკვეთილების დაწყებამდე მოწაფეები წარძოსთქვამდენ ლოცვას მის სადღეგრძელოდ და ნათანი კი ამ დროს იდგა ჩუმად, თავჩალუნული. მოწაფეები გაოცებული შეცქეროდენ ამ „იშვიათ“ ნიშნულს, ხოლო ლოცვის დასრულების შემდეგ განრისხებული მასწავლებელი მიმართავდა ხოლმე:

— რატომ არ ლოცულობ?

— ეს ლოცვა არ ვიცი. მე ებრაელი ვარ.

— ეითომ რა, ებრაელი რომ ხარ, იმიტომ არ უნდა ილოცო იმპერატორისთვის? — და ასე მეორდებოდა თითქმის ყოველდღე.

ნათანს არ უნდოდა ამ ლოცვის შესწავლა. მოწაფეები დასცინოდენ და მასწავლებელიც ყოველთვის არცხვენდა:

— სხვა თუ არაფერი შეგიძლიან, პირი ტყუილად მაინც დააღე. ინსპექტორი რომ შემოვიდეს, ეგონება ვითომ შენც ლოცულობ.

<sup>1</sup> „გივვარდესა შენი მოყვასი შენსავეით.“

ნათანი საოცარი სიწყნარით ისმენდა ყოველგვარ დაცინვას მასწავლებლებისა და მოწაფეებისაგანაც. არავის არაფერს არ უპასუხებდა. ერთგვარი სილამაზე იყო იმისა მოთმენაში. ამ მოთმენას სხვები ხსნიდნენ ნათანის სიმბდალით, რასობრივი მიზეზით, ნათანი კი მიუხედავად ყველაფრისა, ითნენდა და ითმენდა.

ყურადღების ცენტრი მას გადატანილი ჰქონდა მეცადინეობაში. სწავლობდა და მეცადინეობდა განუწყვეტლივ. არ იცოდა რას ერქვა სიზარმაცე. ხოლო მისი არაჩვეულებრივი ნიჭი და მეცადინეობის უნარი უტყუარი იყო ყველასათვის. განსაკუთრებით მასწავლებლებს ის აოცებდათ, რომ საგნებს ყველაზე უფრო სწრაფად ითვისებდა ნათანი. ზოგიერთი ზარმაცი და უნიჭო მოწაფე სწორედ იმიტომ გადაეკიდა ნათანს, რომ მას ყოველთვის ნაზად ჰქონდა გაკვეთილები, მათ კი არა.

ნათანი იჩენდა ზედმეტ ცნობის მოყვარეობას, ეს არ მოსწონდათ მასწავლებლებს, ხოლო მოწაფეები ამ მხრივაც ჰბაძავდნენ მასწავლებლებს.

ყოველივე ის პირობები, რაც ნათანს აყენებდა განსაკუთრებულ მდგომარეობაში, ხდებოდა იმის მიზეზად, რომ სიძულვილი გაღრმავებულიყო. თითქოს ორი ბანაკი არსებობდა: ერთი მხრით იდგნენ მასწავლებლები და მოწაფეები, მეორე მხრით — ნათანი. ყველანი ემორჩილებოდნენ საერთო წესებს, ნათანი კი — არა. სასწავლებელში ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვები სიზარმაცის ბაცილებს, და მხოლოდ ნათანის სხეულში არ იყო ეს ბაცია. ყველანი ლოცულობდნენ იმპერატორის დღეგრძელობას, ნათანი კი არა.

ყველანი ისვენებდნენ კვირა-დღეს. ნათანი კი გარდა კვირისა ისვენებდა შაბათობითაც. ამის გამო მას ორშაბათობით ჰქონდა უსიამოვნება. პირველი გაკვეთილის მასწავლებელი, იგივე კლასის დამრიგებელი, როცა აიღებდა ტურნალს და ნახავდა, რომ შაბათს ნათანი არ მოსულიყო, მობრუნდებოდა და დაცინვით მიესალმებოდა:

— ააა... მე შაბათეს გაუმარჯოს...

გიმნაზიელები თავდავიწყებით იცინოდნენ.

ერთ დღეს, გაკვეთილების დაწყებამდე, საიმპერატორო ლოცვის დროს მოულოდნელად კლასში შეჭრიდა ინსპექტორი. შენოსელისთახავე თვალში ეცა, რომ მოწაფეები ირონიულად იცქირებოდნენ ნათანისკენ. მიხედა თვითონაც და დაინახა, რომ ნათანი იდგა უძრავად და არ ლოცულობდა. ბრაზით აივსო, მაგრამ უცდილოცვის დასრულებას.

ნათანმა იგრძნო მრისხანე თვალები და გააქროლა. იცოდა, რომ ინსპექტორთან ექნებოდა უსიამოვნება და გულის კანკალით ელოდა ლოცვის დასასრულს. ხოლო როცა ლოცვა დასრულდა და ინსპექტორი გაემართა ნათანის სკამისაკენ, უცბად გაიღო ოთახის კარები და სასწრაფოდ შენოვიდა ინსპექტორის თანაშემწე. რომელმაც გადასცა ინსპექტორს რაღაც დებეშა. ინსპექტორმა წაიკითხა და მოულოდნელობისგან პირი გააღო. ფერი ეცვალა. გაუბედავად შეხედა ჯერ ნათანს, შემდეგ თავის თანაშემწეს და ხმის ამოუღებლად სასწრაფოდ გავიდა ოთახიდან. უკან გაჰყვენ თანაშემწე და მასწავლებელი. მოწაფეებს უცნაურად მოეჩვენათ ყოველივე. ერთმა კი იხუზრა:

— ამ დებეშამ უშველა ჩვენს მეშაბათეს, თორემ ცუდად იყო მისი საქმე.

ხოლო როდესაც ყველასათვის აშკარა შეიქნა დებეშის შინაარსი, რომელმაც ფერი უცვალა ინსპექტორს—თვითონაც საოცრად გაოცდნენ და გააოცათ არა მარტო დებეშის შინაარსმა, არამედ ან შინაარსთან დაკავშირებით ერთ-ერთი გიმნაზიელის მოულოდნელმა საცქიელმა, რომლის პოლიტიკური მრწამსის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. იგი სასწრაფოდ შეხტა კათედრაზე, სწვდა კედელზე ჩამოკიდებულ სურათს, დაადრო ქვეშ ლურსმნები, შემდეგ ჩამოჰგლიჯა, მოინარჯვა ხელში, დახედა ხელ უცნაური გამომეტყველებით და უცბად ერთი ხელისმოჭნევით, მთელი ძალღონით დასცა იატაკზე და დაამსხვრია. შემდეგ შედიდურად გაიჭიმა კათედრის თავზე და განაცხადა:

— ეხლა მე ვარ იმპერატორი. ილოცეთ ჩენზე...

ნათანმა თავის სიცოცხლეში პირველად გადინარბა-  
რა, შემდეგ მიუახლოვდა გიმნაზიელს და ხელის მაგარი  
ჩამორთმევით აგრძნობინა თავისი დიდი სიხარული.

საქართველო  
2023 წლის

ნათანს ისე არაფერი არ უყვარდა როგორც წიგნე-  
ბი. ეს იყო ის ცხოველმყოფელი ნაკადი, დაუშრეტელი  
წყარო, საიდანაც სწოვდა ნათანი ცოდნას, ახალ აზ-  
რებს, ენერჯიას და სიცოცხლის სიყვარულს. თუ რომე-  
ლიმე დღე შემთხვევით გაუცდებოდა, ის დღე ამოშლი-  
ლი იყო მისი ცხოვრებიდან. ხარბად ეწაფებოდა ისტო-  
რიას. იზიდავდა აგრეთვე ხელოვნება, განსაკუთრებით  
კი — ლიტერატურა. უყვარდა სენკევიჩი და ტოლსტოი,  
პალევი და ბენ-გაბიროლი, ბარათაშვილი და ყაზბეგი.  
სთარგმნიდა ერთი ენიდან მეორეზე, სწერდა დღიურებს.

ახალი აზრები, ახალი იდეები — ეს იყო მისი საზ-  
რდო. სურდა მიმხრობოდა რომელიმე ჯგუფს, დაეწყო  
მუშაობა, მაგრამ ვერ გადაეწყვიტა.

გიმნაზიაში ბევრი ჯგუფი იყო: სოციალდემოკრა-  
ტები, სოციალისტდევრალისტები, სოციალისტ - რევო-  
ლიუციონერები, ეროვნულ-დემოკრატები. შემადგენლო-  
ბა ძალიან ჭრელი იყო და რომელიმე ორგანიზაციაში  
მოხვედრა უბრალო შემთხვევის და სურვილის საქმე  
იყო. მაინც არ შევიდა არც ერთ ორგანიზაციაში და  
დარჩა გარეთ.

ამხანაგებში მოხდა ნაწილობრივი გარდატეხა. ყვე-  
ლაზე მოწინავენი და შეგნებულები კი არ გაუბრძოდნ  
ნათანს, არამედ ცდილობდნ მის საერთო ფერხულში  
ჩაბმას. მაგრამ იყვნენ ნაძირალებიც, მათ არაფერი არ  
გააჩნდათ თავში და სულ მუშტზე იცქირებოდნ.

ნათანი ერიდებოდა ასეთ ამხანაგებთან კამათს, რო-  
მელიც ყოველთვის უსიამოვნოდ თავდებოდა. მაგრამ  
ზოგჯერ მაინც იძულებული ხდებოდა ჩამდგარიყო მათს  
წრეში და ესმინა მათი „ბრალდებანი“ ებრაელთა მი-  
მართ. ამ „ბრალდებათა“ მიხედვით ებრაელები იყვენ—  
უსუფთაო, განმარტოებული ცხოვრების ნოტრფიალენი,

რელიგიური ფანატიზმით დაავადებულნი, დიდი წვერების მოყვარულნი და საერთოდ მთელ მსოფლიოში ყველაზე უფრო უკულტურო ხალხი.

ნათანი ცდილობდა დაემტკიცებია ამ ამხანაგებისთვის, რომ ისინი სცდებოდნენ, რომ არ შეიძლებოდა ებრაელებზე მსჯელობა იმ ებრაელების მიხედვით, რომლებსაც ისინი ხედავდნენ ადგილობრივ, რომ ებრაელები მეტისმეტად კულტურული ხალხია, რომ მათ მისცეს კაცობრიობას სხვადასხვა დარგში საუკეთესო წარმომადგენლები, რომ მათი სახელებით სავსეა კაცობრიობის კულტურის ისტორია და, როგორც ნაგალითი, ხშირად ასახელებდა შემდეგ სახელებს:

— სპინოზა, მარქსი, ლასალი, რუბინშტიინი...

შეაწყვეტინებდნენ დემაგოგიურად. თან ერთი შეეკითხებოდა მეორეს:

— რაში გაინტერესებს ურიების საქმე?

ნათანი მოულოდნელად გაფითრდებოდა და კამათიც ამით სრულდებოდა.

სიტყვა „ურია“ ნათანისთვის ყველაზე უფრო საშინელი შეურაცხყოფა იყო. მთელი თავისი არსებით სძაგდა ეს სიტყვა და როცა ვისმესგან გაიგონებდა, ის განიცდიდა საშინელ გულის ტკივილს. იმ დროს, როდესაც არსებობდა სიტყვა „ებრაელი“, მას აღარ უნდოდა გაეგონა პარალელური სიტყვა „ურია“. ვერც წარმოედგინა: როგორ შეიძლებოდა ერთდაიმავე ხალხს, ერთსა და იმავე დროს უწოდოთ ორი სახელი.

ემდუროდა რევოლუციას: ვერ შეიტანა სიცხადე ამ საკითხში. მისი აზრით საჭირო იყო გარკვეული ნაბიჯები. ეს სიტყვა უნდა ამოშლილიყო ლექსიკონიდან. ეს სიტყვა უნდა დაეიწყებულყო. მაგრამ ასე არ მოხდა. ეს სიტყვა კიდევ არსებობდა. და ამ სიტყვაში ბევრი იყო შხამი, გესლი, ცილისწამება.

ეს სიტყვა მაშინვე შესძულდა როცა პატარა იყო. ხშირად აგონდებოდა ეს შემთხვევა: ნიდიოდა წისქვილში. მიჰქონდა სიმინდი დასაფქველად.



მეწისქვილე ელო წყნარი და პატიოსანი კაცი იყო. არავის არ გაუგონია მისი მაღალი ხმა, არავინ არ ემდუროდა.

შარა გზაზე რომელიც მიიმართებოდა წისქვილისკენ, გამოჩნდა ქალი. მას მოჰყავდა ხუთი წლის ბავშვი. ბავშვი რატომღაც საშინლად სტიროდა. მაშინ ქალმა უთხრა ბავშვს:

— თუ არ გაჩუმდები, მეწისქვილე ურია მოვა და შეგქამსო.

ბავშვს შიშისგან ხმა ჩაუვარდა და გაჩუმდა.

მას შემდეგ ბევრჯერ უფიქრია ნათანს ამ ბავშვზე, რომელსაც ძალიან ადრე ჩააწვეთეს უსამართლობის საწამლავი. როცა ეს მოწამლული ბავშვი გაიზარდა, შეხედა ნათანს გიმნაზიის სკამზე და დაუნდობლად ესროლა:

— ურია!

და როცა ერთხელ ეს სიტყვა მოხვდა შიგ ვულში, ნათანმა გადაშალა თავისი დღიური და შიგ ჩასწერა, რომ სიხარული—მოჩვენებაა, რომ მის სულის სიღრმეში ტრაურია, ვინაიდან კვლავ არსებობს სიტყვა „ურია“.

---

### 3

საღამოობით, როდესაც მზე გადაიწეოდა დასავლეთით და ეფარებოდა მაღალ ქედებს, როდესაც ჰორიზონტზე უკანასკნელად ეჯიბრებოდენ ერთმანეთს წითელი და ყვითელი ფერები და კვდებოდა ზაფხულის ცხელი დღე, ნათანი იჯდა ფანჯარასთან წყნარად, უძრავად, და იტყირებოდა შორს სივრცეში.

ესმოდა ბუნების მუსიკა.

გველივით მიიკლავებოდა დაუდგარი რიონი. ის მოდა მისი ძლევანოსილი ტალღების — ხმაური, რომლებსაც მიჰქონდათ გააფთრებული იერიში ხიდის ქვეშ ამოშენებულ ჯებირზე. ხიდის გარშემო ჩამწკრივებულიყვენ მაღალი ალვის ხეები და მათი ფოთლების ხელი შრიალი უერთდებოდა მდინარის ეხოს. ხიდზე კი, რომელიც ჰყოფდა სასეირნო გზატკეცილს შუაზე, სეირნობდა ხალხი, უმეტესად ახალგაზრდები და მოაგარაკენი

ყოველთვის ამ დროს ნათანის ფანჯრის წინ გამოიქვლიდა ხოლმე სასეირნოდ ორი ქალი. ეს უკვე მეშვიდე დღე იყო, რაც ნათანი ჰხედავდა ამ ახალ მოაგარაკეებს. პირველ ორ-სამ დღეს ნათანს ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ შემდეგ როგორღაც შეეჩვია იმ გარემოებას, რომ საღამოობით, სწორედ იმ დროს, როდესაც მას უყვარს თავის ფანჯარასთან ჯდომა და წყნარად ცქერა გარშემო — თითქოს დანიშნულ დროს — უნდა გამოჩენილიყო ის ორი ქალი, უნდა გაეარათ მის ფანჯარასთან და შემდეგ წასულიყვენ ხიდისკენ. სასეირნოდ. ნათანი მათ კარგა ხანს აცილებდა თვალებით, ვიდრე არ მიეფარებოდენ ხიდის გადღამა მოსახვევს.

ერთი იყო ორმოცი წლის ქალი, მეორე კი ჩვიდმე-  
ტი-თვრამეტი წლისა. მიუხედავად ხნოვანებისა ისინი ძა-  
ლიან ჰგავდნენ ერთმანეთს. აშკარა იყო, რომ უფროსი  
იყო დედა, უმცროსი—ქალიშვილი. დედა იყო მაღალი,  
ოდნავ მონაოჭებული შუბლით, მაგრამ მაინც ძველი სი-  
ლამაზის იერით. მის მიხერა-მოხერაში იყო რაღაც შე-  
რეული ხაზები — ნახევრად ქალაქელისა და ნახევრად  
პროვინციელისა. ასეთივე იყო მისი საზაფხულო ტანისა-  
მოსიც. სამაგიეროდ ქალიშვილის ტანსაცმელსა და მიხე-  
რა-მოხერაში მოსჩანდა მეტი ქალაქური სიმტკიცე. ერთი  
თვალის გადახედვით ძნელი იყო თქმა—ლამაზი იყო თუ  
არა, ხოლო დაკვირვებული თვალი უეჭველად აღმოა-  
ჩენდა სილამაზეს.

ოდნავ გამხდარისა, მაგრამ მარმარილოს ქანდაკე-  
ბასავით ამართული ტანიდან იცქირებოდა მხიარული.  
ბავშვური, საოცრად მიმზიდველი სახე. მწვანე, მაგნი-  
ტისებური თვალები ამშვენებდნენ ოდნავ გაწითლებულ  
ლოყებს და ქალწულებრივ ნაზ ტუჩებს. ღიმილის დროს  
პატარა ნიკაპის ზევით იხსნებოდა ლამაზი პირი და მოს-  
ჩანდა თოვლივით თეთრი კბილები. გრძელი წაბლის-  
ფერი თმა უმატებდა მას ქალურ სინაზეს და თეთრ-ცის-  
ფერი კაბის შიგნით ახლად გაშლილი ყვავილის კვირტი-  
ვით შორცხვად ფეთქავდა პატარა მკერდი.

ნათანმა შეისწავლა მათი სახე, გამომეტყველება,  
დამახასიათებელი ხაზები, ტანსაცმელი. ერთი რამ არ ეს-  
მოდა: წლევულს მოაგარაკები ბლომად იყვნენ ჩამო-  
სულნი, მაგრამ მის ცნობიერებას არავის სახე არ აღუ-  
ბეჭდია ისე ღრმად, როგორც ამ ორი ქალისა. არც ჰქონ-  
და არავითარი სურვილი ასეთივე საოცარი ცნობის-  
მოყვარეობით დაპკვირვებოდა სხვებს.

რისთვის მოხდა ასე? თვითონაც ვერ აძლევდა თა-  
ვის თავს პასუხს. ხშირად ჰფიქრობდა, რომ ეს მას ეჩვენ-  
ება, ან კიდევ უბრალო შემთხვევის საქმეა, ან ამაში  
რაღაც თავისებური სიზარმაცეა. ან სხვანაირად როგორ  
შეიძლება? განა რა ჰქონდა საერთო ნათანს ვიღაც  
უცხო ქალებთან, რომელთა სახელიც კი არ იცოდა? ეს  
ქალები, როგორც სხვა ქალები და მოაგარაკენი, სალა-

ნოობით ჩაუვლიდენ მის ფანჯარას და მიემართებოდენ ხიდისკენ სასეირნოდ. დეე, ისეირნონ რამდენიც მსურთ, ეს ნათანს არ ეხება. ნათანი ამ დროს ზის და ფიქრობს, ზის და იცქირება, ზის და ტკბება ბუნებით, ზის და ოცნებობს — თავისთვის. ვის აქვს უფლება დაარღვიოს ნათანის მყურდობა და მის ფიქრებს მისცეს რალაც სხვა, ახალი, გაურკვეველი მიმართულება? ცხადია—არავის.

და მაინც...

ერთ საღამოს აღმოაჩინა ნათანმა, რომ მის ფანჯარასთან ჯდომასა და იმ უცნობი ქალების სეირნობის შორის არის რალაც უცნაური კავშირი.

ეს ასე იყო. ნათანი ისევ იჯდა ფანჯარასთან, როგორც ყოველთვის. სწორედ იმ დროს უნდა გამოვიდნოთ დედას და ქალიშვილს. უკვე შეჩვეულმა ნათანმა ეს იცოდა, ამიტომ ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ელოდა, რომ აი საცაა გამოჩნდებოდენ, მაგრამ ისინი იგვიანებდენ, ნათანი შეიკუმშა, თითქოს ეწყინა, რომ ქალები არღვედენ თავისთავად შემოღებულ წესს. ამავე დროს სტუქსავდა თავის თავსაც: რაში ენაღვლება მას, ნათან ჯანაშვილს, რომ ვიღაც უცხო ქალები იგვიანებდენ სასეირნოდ გამოსვლას? იქნებ სულ არ გამოვიდნენ ამ საღამოს? შესაძლებელია. თუნდაც ასე მოხდეს, მერე რა? რატომ ჰფიქრობს ნათანი ამაზე? განა მისთვის სულ ერთი არ იყო ეს ქალები ისეირნებდენ თუ არა? რასაკვირველია სულ ერთი იყო...

ასე ჰფიქრობდა ნათანი და მაინც იჯდა და ელოდა. საათები მიჰქროდა, ისინი კი მაინც არ სჩანდენ. სწყინდა, გრძნობდა, რომ მოლოდინი უცრუდებოდა.

მოსეირნენი უკვე დაიშალენ, რამე შედიოდა თავის შუაგულში და ისინი არ გამოვიდნენ. ნათანი მაინც იჯდა ფანჯარასთან და ჰფიქრობდა მათზე. ათასნაირმა აზრმა გაურბინა, მაგრამ ყველაზე უფრო საშიში იყო მისთვის ის აზრი, რომ შესაძლებელია ახალგაზრდა ქალი განზო ავად, დედა თაიზე აღვა და ამიტომ ვერ გამოვიდნენ სასეირნოდ. ნათანს კი არ უნდოდა, რომ ასე ყოფილიყო.

მისი ფიქრთა დენა სთხზავდა მრავალ მიზეზებს და ისიც ვართული იყო მათ გარჩევაში. ვერც კი გაიგო, როგორ წამოადგა თავზე მისი დედა ლია, რომელმაც დედური აღერსით გადაუსვა თმაზე ხელი და ტკბილად უთხრა:

— ძილის დროა, ჩემო ნათან, შენ გენაცვალოს დედოკო.

ნათანმა ხელზე აკოცა დედას და შევიდა ოთახში.

მეორე საღამოს ნათანი ჩვეულებრივად იჯდა თავის ადგილას და გულისფანქვალით მოელოდა უცნობ მოაგარაკეთა გამოსეირნებას.

როცა დედა და ქალიშვილი დაუპირდაპირდენ ნათანის ფანჯარას, ქალიშვილმა მოულოდნელად თავი ასწია მაღლა და შეხედა ნათანს. მათი თვალები პირველად შეხედდენ ერთმანეთს და უცბად გაწითლდენ. შემდეგ, რაღაც იღუმალის მოკრძალებით ორივემ მოაჩიდეს თვალები.

დედას არაფერი შეუმჩნევია და ორივემ თავის გზა განაგრძო. ნათანი კი მანამდე მისდევდა თვალებით, ვიდრე მოსახვევი ხელს არ შეუშლიდა.

ასე გრძელდებოდა თითქმის ყოველ საღამოს. სრულად უცნობი ახალგაზრდები დაუპირებლად, სიტყვის უთქმელად მისწრაფოდენ დანიშნულ ადგილს: ერთი — ფანჯარასთან, ხოლო მეორე — შარა გზაზე, ხიდისკენ, რომ ერთი წუთით მაინც შეეხედათ ერთმანეთისთვის, კვლავ გაწითლებულიყვენ, და კვლავ მოერიდებიანთ ერთმანეთისთვის თვალები მეორე დღის საღამომდე.

ამ საღამომობით მზერას, უეცარ გაწითლებას, ამ მოლოდინის წუთებს — რაღაც ახალი რამ შექმნდათ ნათანის ცხოვრებაში. მაგრამ რა იყო ეს ახალი — გარკვევით თვითონ ნათანმაც არ იცოდა. და მართლაც რა იყო ეს ახალი? რა ერქვა მას? რა სურდა ნათანს? რატომ ელოდა ასე მოუთმენლად ყოველ დღე საღამოს მოახლოვებას? რატომ უნდოდა ნათანს ღრმით ჩაეხედა ახალგაზრდა ქალწულის თვალებში? რატომ წითლდებოდნენ ორივენი, როცა შეხვდებოდენ ერთმანეთს, მათი თვალები? რას ფიქრობდა ის ამ დროს ნათანზე?

ვერ აძლევდა ამ საკითხებზე პასუხს ნათანი. ერთი რამ იცოდა გარკვევით: უალრესი სიამოვნებით ელოდა საღამოს. სხვა საკითხები, მიზეზები — ყოველთვის გადაუწყვეტელი ჰქონდა და ცხოვრობდა მთავარი საკითხით: როდის დადგებოდა საღამო?

ერთ საღამოს, როცა ნათანი ჩვეულებრივ იჯდა ფანჯარასთან, მან შეამჩნია, რომ ახალგაზრდა ქალი უცქერის მას ჯერ კიდევ შორიდან. ნათანმა სიამოვნებით შეაგება თვალები. ქალი კვლავ გაწილთდა და თავი დახარა. მაშინ ნათანმა დაიწყო ცქერა სიერცეში და ამ დროს იგრძნო, რომ მას კვლავ უცქერიან. ჰგრძნობდა ამ ძლიერ ცქერას, მაგრამ ველარ შეხედა პირდაპირ თვალებში. ახალგაზრდა ქალი კი თითქოს გაშეშდაო ერთ ადგილას, უცქეროდა ნათანს თავდავიწყებით.

მაშინ საშუალო ხნის ქალმა, რომელსაც ვერ გაერკვია საით იცქირებოდა ასე ჩაფიქრებული მისი ქალიშვილი, რის გამო იგი ჩამორჩა დედას რამოდენიმე ნაბიჯით, ოდნავ გაფითრებულმა შესძახა მას:

— რა დაგენართა ესთერ? რატომ გაჩერდი მანდ? ესთერი უცბად მოვიდა გონს, მაგრამ მაინც დაბნეულით უპასუხა:

— არაფერია დედა... გამიტაცა ბუნების სილამაზემ... ჰხედავ რა ლამაზია ეს ნაძვენარის ტყე... ერთ წუთს შეეჩერდი... მოვდივარ აგერ...

და ორივენი მიეფარენ ნათანის თვალთახედვიდან.

იმ საღამოს ნათანმა ორი რამ გაიგო: ერთი ის, რომ მას უწოდებდნენ ესთერს, მეორე ის, რომ ესთერმა დედას არ უთხრა სიმართლე. მიუხედავად ამისა ეუცხოვია, რომ ესთერის სიცრუე მას არ ეწყინა, პირობით, იგრძნო რალაც ფარული სიამოვნება. ეჭვი არ იყო, რომ ესთერიც ისეთივე ცნობისმოყვარეობით უცქეროდა ნათანს, როგორც ნათანი ესთერს. და გადასწყვიტა ის ქალი გაეცნო.

მთელი ღამე ფიქრობდა როგორ განეხორციელებინა თავისი საწადელი, მაგრამ ვერაფერი ვერ მოიფიქრა. არც ერთი მოსაზრება არ იყო მიზანშეწონილი, ყველას ელობებოდა რაიმე დაბრკოლება. დელავდა.

ღელავდა მეორე დღის საღამოსაც, როცა იჯდა ფანჯარასთან და ელოდა მათ. ისევ არაფერი არ ჰქონდა გადაწყვეტილი. საოცრად უტოკავდა გული. იცქირებოდა მხოლოდ იქით, საიდანაც უნდა გამოჩენილიყვნენ დედა და ქალიშვილი.

და უცბად სიხარულით აუთამაშდა მარჯვენა თვალი: ნოდოდოდა ესთერი, მოდიოდა მარტო. ერთ ხელში ეჭირა ცარიელი ჭიქა, მეორეში — წიგნი. როცა დაუპირდაპირდა ნათანის ფანჯარას, ესთერმა არ ასწია თავი მაღლა და ისე განაგრძო გზა.

მაშინ ნათანმა ველარ მოითმინა და დაუძახა:

— ესთერ!

ესთერი შეკრთა. შედგა. გააკვირვა მოულოდნელობამ, გააოცა იმ გარემოებამ, რომ უცხო ვაჟმა იცოდა ნისი სახელი. მაინც შეჩერდა. ნათანმა სასწრაფოდ ჩაირბინა კიბე და გაჩნდა ქუჩაზე, ესთერის პირდაპირ.

იდგენ ერთხანს ხმა ამოუღებლად, თავჩალუნულნი, დარცხვენილნი. სიწითლის აღმური ჰკრთოდა მათ სახეზე.

ბოლოს ისევ ნათანმა დაარღვია მყუდროება და გაუბედავად უთხრა:

— თქვენ გჭვიათ ესთერი. მე მქვია ნათანი. თუ თქვენცა გსურთ ერთმანეთი გავიცნოთ.

ესთერმა მოკრძალებით ასწია თავი და მორცხვით უპასუხა:

— მსურს.

ნათანმა თვალი მოჰკრა ჭიქას.

— თუ არა ვცდები, თქვენ მისეირნობთ მეავე წყლებსკენ. ნებას მომცემთ ნეც წამოგყვეთ?

ესთერმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.



როცა ნათანმა მეორედ მიაწოდა ესთერს მეავე წყლით გავსებული ჭიქა, ესთერმა ნელა გაიცინა და სუმრობით უთხრა:

— როგორც ჩანს ეს წყალი მარგებელია მარტო ქალაქიდან ჩამოსულებისათვის.

— საიდან ჩანს ეს?

— იქიდან, რომ თქვენ არა სვამთ.

— ეს არ არის საკმარისი საბუთი. მე ხშირად დავდივარ აქ და ხარბად ვეწაფები ამ წყაროებს. ხოლო ამ საღამოს იმიტომ არა ვსვამ... მეც არ ვიცი... რისთვის არა ვსვამ.

მართლაც არ იცოდა ნათანმა რა ემართებოდა, რისთვის ღელავდა ამ პატარა არსების წინაშე, რომელმაც უკვე შეამჩნია დაბნეულობა. ესთერი კი განაგრძობდა ბაასს, რომელიც ასე ტკბილად ეწვევებოდა ნათანის ყურს. უდიდესი ყურადღებით ისმენდა მის ყოველ სიტყვას. ესთერის ლაპარაკი არ იყო მისთვის უშინაარსო ხმები, ეს იყო მუსიკის ჰანგები, რომლებიც მანამდე უფერულ მსოფლიოს აძლევდენ ახალ ფერს, ახალ შინაარსს, ახალ სიცოცხლეს.

ნათანი იდგა ესთერის გვერდით და აღტაცებით შესცქეროდა მიმზიდველ სახეში. ამ წუთებში მას არ სურდა, რომ ეს ბაასი ოდესნე დასრულებულიყო. პირიქით სურდა, რომ ეს ბაასი ყოფილიყო ხანგრძლივი, დაუსრულებელი, მარადიული. ნათანი გრძნობდა, რომ ესთერის სახით, ახალი ცხოველმყოფელი სხივი ჩაეშუქა მის არსებაში, რომ მის ერთფეროვან ცხოვრებას ეღებოდა ბოლო, რომ არასოდეს მის სიცოცხლეში მისი გული არ სცემდა ისე მაგრად, როგორც ახლა, ამ წუთებში, შებინდებისას, ნებავე წყლის წყაროსთან, ესთერის პირდაპირ!...

— მე ძალიან... ძალიან მოხარული ვარ... რომ თქვენ გაგიცანით... მე იმედი მაქვს, რომ არ შესწყდება ჩვენი ნაცნობობა... ჩვენ ხომ ერთად ვიქნებით უნაივერსიტუტში... თქვენც ხომ ჩვენთან ერთად იბრძოლებთ საუკეთესო მომავლისათვის?

ესთერმა მძიმედ ამოიოხრა.

— სამწუხაროდ არა. მე არ ვეკუთვნი იმ ბედნიერების რიცხვს, რომელთაც შეუძლიათ დაასრულონ უმაღლესი სასწავლებელი.



ნათანი გაფითრდა. არ ესმოდა მიზეზი. ესთერი გა-  
ნაგრძობდა:

— როგორ აგიხსნათ ეს გარემოება? მამაჩემი შეძ-  
ლებული კაცია, თან მეტად თავისებური და, როგორც  
თვითონ ამბობს, ცხოვრებას ალღოს უღებს. მამაჩემი ყო-  
ველთვის უბრუნდება ძველს, სისტემატიურად უკან  
იხევს. კოსტიუმი გამოიცვალა და წვერი გაიპარსა. ესაა  
მთელი მისი პროგრესი. შინაარსი კი ძველი დარჩა. ამგვა-  
რად ჩვენი ოჯახი ნახევრად გაევროპიელებულია და ხა-  
ხევრად ისევ გაველურებული. ძნელია ამის წარმოდგენა  
შერეულად. იქნება ტფილისში გაიგოთ ამის ნამდვილი მი-  
ზეზები. აი თუნდაც, მაგალითად, ჩემი საკითხი. გიმნაზია  
დავასრულე მამიჩემის სურვილით: ქალს სწავლა უნდა  
შქონდეს. ეს ძალიან კარგია. მე დავეწაფე სწავლას და  
ჩემი წყურვილი გაიზარდა. აქ ისევ მამაჩემი ჩადგა და  
მეუბნება: კმარა, გიმნაზია დაასრულე და გეყოფაო.  
ქალს უმაღლესი სასწავლებელი არ უნდა, აენებსო. ახლა  
უნდა ვათხოვდეო. ამ ნიადაგზე ჩვენს სახლში დიდო-  
ბრძოლა იყო. მე უღონო ვარ. რა ძალა შქონდა! მხო-  
ლოდ ვტიროდი. დედაჩემი ვერ უძლებდა ჩემს ტირილს და  
დაუწყებდა ხოლმე თხოვნას მამაჩემს, რომ ნება მიეცა  
ჩემთვის უნივერსიტეტში შესვლისა. მაშინ მამაჩემი  
გააფთრდებოდა და შეუტევდა: ზილფა! ეინ არის ბატო-  
ნი ამ სახლშიო? დედაჩემს ეშინოდა ამ საკითხის... ამგ-  
ვარად გადაწყდა ჩემი საკითხი... მაგრამ გადავდოთ ეს  
ლაპარაკი შემდეგისათვის... შინ წასვლის დროა. დედა  
მიცდის.

მძიმედ წამოდგენ. ორივენი გრძნობდენ გულზე მო-  
წოლილ ლოდს. გაიარეს ხიდი და ჩაუხვიეს ქუჩისკენ.  
ეძნელებოდათ ხმის ამოდება, მიდიოდენ ჩუქად, წყნა-  
რად.

მოსახვევში ესთერი შეჩერდა.

— აწი მე წავალ მარტო. თუ ვსურს ჩემი ნახვა,  
მოდე ხვალ სალამოს შვიდ საათზე ხიდის ვაღმა. ქვიშა-  
ზე გრძელი სკამია. იქ ვიქნები. ნახვამდის.

ნათანი დაიბნა, არ უხლოდა გამოსალმება. მაგრად

ჩამოართვა ხელი. როცა ესთერი მიეფარა, მხოლოდ მა-  
შინ შეამჩნია, რომ ხელში შერჩა ესთერის წიგნი,  
მძიმე ნაბიჯებით გამობრუნდა შინისკენ.

საქართველო  
გამომცემი

ნათანმა ქვიშაზე ჯოხით გამოხაზა ასოები:

„შენი თვალები მტრედებია, ესთერ“.

ესთერი გაწილთდა და თავისი მოძრავი თვალები  
მიაბყრო უსაზღვრო სივრცეს. ორივენი ფიქრობდნენ  
ცალცალკე.

ფიქრობდა ნათანი და სურდა გაეგო: რას ნიშნავდა  
მისთვის უკანასკნელი ოცდაათხი საათი. აღარ ახსოვდა  
როგორ დაიძინა წინა ღამეს. ან კი ეძინა? ის გრძნობდა,  
რომ ქარიშხალი მოვარდა მის ცხოვრებაში და წაიღო  
ძველი ნათანი თავის მარტოობით, თავის ეიწროდ მოხა-  
ზული აზრებით, თავის გიმნაზიით და მთელი წარსუ-  
ლით. ამ ქარიშხალს ესთერი ერქვა, ხოლო ამ ძლიერ მო-  
ვარდნას — სიყვარული.

ეს კარგად იგრძნო ნათანმა წინა ღამეს, გამოსალ-  
მებისას. მივიდა შინ და ველარ გაიგო დედის ალერსი,  
მამის ღიმილი. გრძნობდა საშინელ მარტოობას. ამ მარ-  
ტოობას შეავსებდა მხოლოდ ესთერი. ძლივს გაათენა  
ღამე, და როცა ვათენდა, სასწრაფოდ წამოხტა. მთელი  
დღე არაფერი არ გაუკეთებია და დადიოდა მოუსვენ-  
რად. ასეთი გულისფანქვალით ჯერ არასოდეს არ შეხ-  
ვედრია საღამოს მოახლოვებას. თვითონაც აღარ ახსოვ-  
და საღამოს შვიდ საათზე როგორ გაჩნდა დანიშნულ ად-  
გილას.

ფიქრობდა ესთერიც და მისი თვალებიც მოწმობდნენ  
რომ იმასაც უძილო ღამე გაეტარებინა. ყველაფერი  
იზიდავდა მას ნათანისა: ღრმა და ჭკვიანი თვალები,  
გულწრფელობა, უბრალოება და უტყუარი ნიჭი. თან  
აოცებდა ესთერს ის გარემოება, რომ ის, თავის ქალაქს  
მოშორებული, არ ჰგრძნობდა უკან გაბრუნების არაფი-  
თარ სურვილს. აქ მტკიცედ იგრძნო, რომ ნათანი არ

იყო მისთვის შორეული ადამიანი, რომ ბევრი რამ ჰქონდათ მათ საერთო.

ნათანის ჯოხი თითქო თავის თავად გადავიდა ესთერის ხელში, რომელმაც წაშალა ქვიშაზე ნათანის მიერ გამოხაზული სიტყვების კვალი და გამოიყვანა ახალი სიტყვა:

„ნათან“.

ხოლო ნათანმა მას მიუმატა „ესთერ“ და ორივემ წაიკითხეს ორი ძვირფასი სიტყვა:

„ნათან — ესთერ“.

უცბად შეხედეს ერთმანეთს და დაიჭირეს ერთიმეორის აზრები. ელექტრონის დენასავით გაიჩრბინა მათში უძლიერესი განცდის დასაწყისის მოახლოებამ. არც ერთმა აღარ იცოდა, აღარც ერთს აღარ ახსოვდა როგორ მოხდა: მოჭლოდნელად, ანდამატივით დაეწაფენ ერთმანეთს მათი ტუჩები და ვნებიანი სიყვარულით აღსავსე ხანგრძლივი კოცნა შთაინთქა რიონის ტალღების ეხოსთან ერთად.

---

ორი დღის შემდეგ ადრე დილით ფოსტალიონმა დააკაკუნა ჯანაშვილების კარები: ნათანმა მიიღო დახურული წერილი. გაუკვირდა, ოთახში არავინ იყო, მამა სალოცავად იყო წასული, ხოლო დედა—ბაზარზე. ჯერ კიდევ არა ჰქონდა ნახევარი ჭიქა ჩაი დალეული. შიატოვა. დაფიქრებულმა გახსნა წერილი და წაიკითხა შემდეგი:

„ჩემო ძვირფასო ნათან!

მაპატივე ჩემობით რომ გწერ. განა შემიძლია სხვაგვარად მოგწერო? მართალია, ჩვენ მხოლოდ ორი საღამო გავატარეთ ერთად, მაგრამ იმდენად ღრმა და წარუშლელი კვალი დასტოვა ამ ორმა საღამომ ჩემზე, რომ ასე მგონია, თითქოს ერთმანეთი ბავშობიდანვე გვცნობოდა. იმ წუთებში, როდესაც შენ მომეხვიე, მე ჩაგეკონე მთელი არსებით, რადგანაც ეივრძენი, რომ შენისთანა მახლობელი ადამიანი მე არასოდეს არა მყოლია. დღემდის ასეთი გრძნობა არ განმიცდია. შენი ტუჩები იყო ძლიერი ცეცხლის ნაკვერჩხლები, რომელთა მიკარებამ ჩემს სხეულში დაანთო უდიდესი ლამპარი. ჩვენ ორივე ვიწვით ერთ ხანძარში. ამ ხანძარს ადამიანურ ენაზე სიყვარული ჰქვია. თუ ასეა, როგორ შემიძლია სხვაგვარად ვიწოდო, თუ არა ასე: „ჩემო ძვირფასო ნათან!“

ამ წერილს გიგზავნი გზიდან. როდესაც ამ წერილს მიიღებ, მე კიდევ უფრო დაშორებული

ვიქნები შენგან. სწორედ ეს გარემოება მაიძულებს, რომ გწერ წერილს.

ნუ გაგიკვირდება ჩემი მოულოდნელი განგზავრება. ეს ჩემთვისაც მოულოდნელი იყო, მაგრამ ჩვენს ამობოქრებულ დროში ყველაფერი ყოფილა მოსალოდნელი.

შენ ალბად გული გწყდება, რომ გამგზავრების წინ არ გინახულე და არ გამოგესალმე. რასაკვირველია მართალი ხარ, მაგრამ ანავე დროს მეც მართალი ვარ. შენ, შეგნებული ახალგაზრდა, ვალდებული ხარ კარგად ჩაუფიქრდე ერთ საკითხს: იცი, ნათან რას ნიშნავს საქართველოს ებრაელის ქალი? გიფიქრია ამ საკითხზე? არა, ჯერ არ გიფიქრია. ძნელია ამ პატარა წერილში გადავიშალო სრული სურათი იმ ტრადიციისა, რომლის გმირებიც ჩვენ ვართ. ჩვენი ქალი უბრალო ნივთია, რომელსაც მამაკაცი, ოჯახის უფროსი ისე ატრიალებს, როგორც მის მოესურვება. საუკუნოებმა განამტკიცეს ეს ჩვეულება. ფოლადის კედელივით აღმართულია გარდაუვალი ზღუდე ჩვენს წინაშე. ჩვენი ქალი დაემორჩილა თავის ბედს. უფრო მეტიც: მათ არც კი წარმოუდგენიათ სხვანაირი ბედი. არც ფიქრობენ მის გაუმჯობესებაზე. ასე ასწავლიან მათ მამაკაცები ოჯახებში, — რაბინები — სკოლაებში.

მაიარამ მე? როგორია ჩემი მდგომარეობა მათ შორის? მე ყველაზე უფრო უბედური ვარ. რამდენჯერ მინატრია, რომ მეც ვყოფილიყავი ერთი მათგანი, უსწავლელი და განუფითარებელი, ნამდვილი პირუტყვივლი ინსტინქტით აღზრდილი! გიკვირს ნათან? ნუ გაიკვირებ ჩემო კარგო. მე რომ სწავლა არ მიმელო, ასი ღრმად ვერ იიარაღობდი ჩვენს სავალალო მდგომარეობას. მაშინ მეც სხვაგვარად შეგორიადებოდი მდგომარეობას. მაგრამ იხლა არ შემიძლია შევეუროიო. იარაღობ, რომ საჭიროა ბრძოლა, ბრძოლა კი არ შემიძლია. მე ერ-

თი ვარ, ერთად ერთი, სუსტი, სოულისად უტონო, როგორ უხდა ვიბროძლო? რომელ ერთს უხდა გებროძლო?

საქონელი

ჩვენ მხოლოდ ორი საღამო გავატარეთ ერთად. არავის არ ვუნახივართ. თითქოს ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მაგრამ შევიძლია წარმოიდგინო ის ფასი, რითაც გამოვისყიდე ეს ორი საღამო? დედაჩემმა არაფერი არ იცოდა, არც ახლა იცის არაფერი. შემამჩნია დაბნეულობა, მაგრამ უმთავრესი ის არის, რომ იმ ორ საღამოს მე ჩვეულებრივზე უფრო მეტად დავაგვიანე შინ დაბრუნება. ეს საკმარისი იყო, რომ ჯოჯოხეთისებური რისხვით დამტყდომოდა თავს. „შენ არცხვენ მამიშენის სახელსაო“ — ეს არის დედიჩემის მთავარი აზრი, დედიჩემის, რომელიც ყურმოჭრილი მონაა მამიჩემისა. ამის შემდეგ მე აღარ მქონია საშუალება სადმე მარტო წასვლისა. შინ ვიჯექი მარტოკა, ხელში წიგნი მეჭირა, თვალებით ჩავცქეროდი ჩემთვის უაზრო სტრატეგიებს, მაგრამ მთელი ჩემი არსებით ვფიქრობდი მხოლოდ შენზე, მხოლოდ შენზე.

ეხლა ხომ მიხვდი, რისთვის აღარ მოხერხდა ჩვენი შეხვედრა და გამოსალმება? მაგრამ მე ვგრძნობ, რომ შენ გინდა გაიგო უმთავრესად ჩემი გამგზავრების მიზეზი.

ეს გამგზავრება ჩემთვისაც მოულოდნელი იყო. ხომ გ. ახსოვს, რა ალტაცებული ვიყავი თქვენი აგარაკით, იმ უმშვენიერესი ბუნებით, რომელიც მის გარშემოა. ამავე დროს გაგიცანი შენ, როგორ შენეძლო ყოველივე ამის შემდეგ ასე მოულოდნელად გამგზავრება! მაგრამ განა მე ვარ ჩემი ბედის პატრონი? ჩემს ბედს განაგებს მამიჩემი და მამიჩემიც ისე მოქმედობს, როგორც მას უკარნახებს ცხოვრების ამბები.

გუშინ მივიღეთ მისგან სასწრაფო წერილი. მოკლედ მისი შინაარსი ასეთია: „მენშევიკური ბონები დაეცა. ყველა გლახაკი და გაუოტრებული მილიონების პატრონია.“

სწერია, ქალაქი კი არაფერი არა ღირს. ეს ამბავი მე არ ნომწონს. ქალაქში ხმები დადის. მალე არეულობა დაიწყება და ჩვენს მთავრობას რომ დასჭირდებაო. თმი რომ დაიწყოს, გზები შეიკვრება და თქვენ მანდ დარჩებით. ამიტომ ამ წერილის მიღებისთანავე სასწრაფოდ წამოდით. ერთი დღეც არ გააძლინოთ“.

ჩემო ნათან, ასე ეწერა მამიჩემის წერილში, რომელიც მეხივით დამეცა. დედაჩემმა ამოსუნთქეაც კი აღარ მაძალა, შეპკრა ბარგი, დაიქირავე ეტლი და გავემგზავრეთ.

ამ წერილს გიგზავნი გზიდან. სასტუმროში ვართ. დედაჩემს სძინავს და გარეთ განთიადი იწყება. ამ წუთებში ვწერ ამ წერილს. ასე მგონია, ეს განთიადი მხოლოდ მელანდება და ჩემთვის კი იწყება ბნელი ღამე, გრძელი და დაუსრულებელი. როდის გათენდება ჩემთვის?..

ჩვენ მხოლოდ ორი საღამო გავატარეთ ერთად. ნუ თუ ეს იყო დასაწყისი და დასასრულიც? ნუ თუ აღარ განმეორდება ეს საღამოები?

სადღაც სულის ხვეულებში კიდევ ჰფეთქვას ამედი, რომ ჩვენ კვლავ შეეხვებით ერთმანეთს. ნუ დამივიწყებ, ნათან. არც მე დაგივიწყებ. ტფილისში ჩასვლისთანავე კიდევ მოგწერ წერილს. მაშინ შენც მიპასუხე.

მე მგონია, რომ არაფერი არეულობაც არ იქნება და თუ რამე მოხდა, ოდესმე ხომ დაწყნარდება? მომავალ წელს ზაფხულზე ვეცდები კიდევ დავბრუნდე თქვენს აგარაკზე. მაშინ შესაძლოა უფრო ხშირ-ხშირად შეეხვდეთ ერთმანეთს.

ამ წერილის უკანასკნელ გვერდზე ამხანაგების ნისამართებია. მისწერე წერილები, გამოეხმაურე. ტფილისში ჩამოსვლისას პირადი და საერთო საქმეებისთვის დაგჭირდებიან, გამოგადგებიან.

ეხლა კი, ნახვამდის ჩემო კარგო. იყავი ჯანმრთელი, მზიარული და ენერგიით აღსავსე.

ჩვენ მხოლოდ ორი საღამო გავატარეთ ერთად. მაგრამ ეს ორი საღამო იარსებებს ჩემს გულში მარად, წარუშლელად. ნუ დაივიწყებ, ნათან, ნურც შენ, ამ საღამოებს.

„ესთერ“.

წერილის მეოთხე გვერდზე ჩამოწერილი იყო რამოდენიმე მისამართი, მაგრამ ნათანს ამისთვის უურადღება არ მიუქცევია. მძიმედ დაეშვა ტახტზე და ღრმად ჩაფიქრდა. ხოლო ამ ფიქრებს ხელს უშლიდა ერთი ფაქტი უმოწყალო და გამოუსწორებელი:

— ესთერი გაემგზავრა...



პარასკევი იყო. ნათანმა იცოდა, რომ კვირის ყოველი ნეექსე დღე პარასკევი იყო, მაგრამ ასეთი პარასკევი მას არასოდეს არ უნახავს.

ყოველთვის ამ დღეს დიდი ბაზრობაა, დიდი მოედანი სავსეა ხოლმე მაზრებიდან ჩამოსული გლეხებით, სურსათისა და სხვადასხვა სანოვაგის გამყიდველი ქალებით, წვრილმანით მოვაჭრე ებრაელებით, ყასპებით და მექალამნეებით. დღემდის ყოველთვის გამყიდველები კულში მისდევდნენ მუშტრებს და ეხვეწებოდნენ, რომ მათთვის რამე გაესაღებინათ. დღევანდელი პარასკევი კი დილიდანვე უცნაურად გამოიყურებოდა. ხალხი თუმცა ჩვეულებრივად საკმაო იყო, მაგრამ ეს ხალხიც უცნაურ შთაბეჭდილებას სტოვებდა. მუშტარი ეძებდა გამყიდველს, გამყიდველი კი თითქოს იმალებოდა: ფასები ადიოდა ზევით ყოველ წუთში და ამიტომ გამყიდველი ცდილობდა საქონელი რაც შეიძლება შეგვიანებით გაეყიდა.

ყოველ მოსახვევში, ყოველ გზაჯვარედინზე, ყოველ გამყიდველთან იდგა ორი ან სამი კაცი და საიდუმლოდ ჩურჩულობდნენ. მათი ჩურჩული რაღაც გაუგებარ შიშს იწვევდა. იდგა ფუსფუსი, ჩქარი მისელა მოსვლა, ნიკოლოზის წითელი თუმნიანების, „კერენკებისა“ და ბონების ტრიალი და ყოველივე ეს ისე ხდებოდა.



თითქოს ამდენი ხალხი ციებ-ცხელებას შეუპყრობოდა,  
ფასები კი ელექტრონის სისწრაფით იზრდებოდა და  
იზრდებოდა.

ამ დღეს ისხაკ ჯანაშვილსაც ედგა წვრილმანის  
მაგიდა ნოედანზე, მაგრამ იგი ცარიელი იყო და ზედ  
არაფერი ელაგა. თუ რამე ჰქონდა, მაგიდის ქვეშ ამოე-  
ღო. თვითონ კი იდგა დაფიქრებული და უცქეროდა  
გარშემო მოუსვენრად მოფუსფუსე ხალხს, მან შეამ-  
ჩნია ნათანი, რომელიც ხალხში იდგა და ყურს უგდებდა  
ბაზრის ორომ-ტრიალს.

გაუკვირდა და დაუძახა. ნათანი მივიდა მამასთან.

— რატომ არ ხარ შეილო დღეს გიმნაზიაში?

— დღეს სწავლა არ იქნება. გიმნაზიაში უნდა შე-  
ვიკრიბოთ საათის თორმეტზე. შემდეგ უნდა მოვიდეთ  
ისევ აქ. მოედანზე მიტინგი უნდა გაიმართოს.

— ეერ არის, ნათან, კარგი ნიშნები.

— შე კი არაფერი მესმის რა ხდება გარშემო, აი  
თუნდაც შენ, მამაჩემო. რისთვის დაგიმალია ეს წვრილ-  
მანი და არ ჰყიდი?

ისხაკმა ნელა გაიცინა.

— ეპ შეილო, არა მყავხარ ვაჭარი და როგორ აგი-  
ხსნა? შენ სხვა გზა გაქვს არჩეული. ჭმერთმა ხელი მო-  
ვიმარჯვოს. შე კი უსწავლელი კაცის პირობაზე მაინც  
ვცდილობ ფრთხილად ვიყო და ოჯახს ყელი არ გამო-  
ვჭრა.

— თუ წერიმალი არ გაჰყიდვ. ფულს ვინ მოგ-  
ცემს?

— აი შეილო, ყური მიგდე. საქონელი არასოდეს  
არ დაჰკარგავს თავის ფასს. ფული კი... ქალაქის ფა-  
სადაც აღარა ღირს. დილაზე რამდენიც არ დავაწყე სა-  
ქონელი, სასწრაფოდ გაიყიდა. რამდენიც არ დავაფასე  
— მუშტარმა უკან არ დაიხია და მომცა. უჯრაში ფუ-  
ლი მიწყვია მილიონობით. ამდენი ფულის წაღება ხე-  
ლით არც კი შემიძლია. ტომრით უნდა წავიღო. სასა-  
ცილოა. ისხაკ ჯანაშვილი, რომლის თანხა ხუთი თუმანი  
და შეიდი მანეთია, უცბად გახდა მილიონერი! ისხაკ  
ჯანაშვილი და მილიონერი! როტშილდის ამხანაგი!

და ისხაკმა გულიანად გაღიხარხარა. შემდეგ ისევ განაგრძო:

— დღევანდელი მილიონი ქარის მოტანილია, ხვალინდელი დღე ისევ ისე გააქროლებს ამ მილიონს, რომ ერთი მანეთიც აღარ შემრჩება. მე ლარიბი ვაცი ვარ, სადა მაქვს მდიდრებივით იმდენი შეძლება, რომ გავანიაგო ჩემი უკანასკნელი წვრიმალი? ამბობენ ომი დაიწყოს. თუ მართალია, მაშინ უფრო მეტი სიფრთხილე მძარტებს. წადი შვილო გიმნაზიაში და მიხედე შენს საქმეს, მე კი აქ ფრთხილად ვიქნები. მამაშენი არაფერში არ მოტყუვდება.

ნათანი დაარწმუნეს, რომ ომი დაიწყო და ნათანსაც ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ომი მართლა დაიწყო. მაგრამ ვინ ეომებოდა დემოკრატიულ რესპუბლიკას ეს კი არ იცოდა. ათასნაირი ხმები იყო. ზოგი ამბობდა, სომხებით, ზოგი რუსებს ასახელებდა და ზოგიც გაუბედავად ბალშევიკებს ახსენებდა. ხოლო რა ქუჩის ხალხი იყო ეს ბალშევიკები—ნათანმა არ იცოდა კარგად. მათ შესახებ მას ჰქონდა მეტისმეტად ბუნდოვანი წარმოდგენა.

გიმნაზიაში მისვლისთანავე თვალში ეცა დირექტორის გრძელი და შავი უღვაშები. იგი აღიოდა კათედრაზე და გიმნაზიელებიც გადაციცებით ელოდნენ მისი სიტყვის დაწყებას. დირექტორმა მნიშვნელოვანად ჩაახველა და დაიწყო:

— მამულიშვილნო! ძვირფასო გიმნაზიელნო! სამშობლო განსაცდელშია!... შემდეგ შეჩერდა, ჯიბიდან დეპეშა ამოიღო, მაგიდაზე დასდო და ისევ განაგრძო:— მოსულია დეპეშა თვითონ შინაგან საქმეთა მინისტრიგან. წითელმა იმპერიალისტებმა, ბალშევიკებმა მოულოდნელად გამოგვიცხადეს ომი და შემოესიენ საქართველოს საზღვრებს. ჩვენმა მამაკმა სახელოვანმა გვარდიამ ისინი კარგა შორს გადაარეკა, მაგრამ საფრთხე მაინც დიდია. როგორც ცნობილია, ბალშევიკებს დიდი არმია ჰყავთ. სამაგიეროდ ჩვენს მხარეზეა მთელი ბრწყინვალე ანტანტა. მათი და ჩვენი გვარდიის შემწევობით ჩვენ დავამარცხებთ მტერს. ქართველო, ხელი ხმალს

იკარ... გამოცხადებულია მობილიზაცია. თქვენ ყველანი ვალდებული ხართ ერთი კაცივით შეადგინოთ მოხალისეთა რაზმი და მიაშუროთ სახელოვან გვარდიას დასახმარებლად. თქვენ უნდა დაამტკიცოთ...

ამ დეპეშის შესახებ შემდეგში ლაპარაკობდენ, რომ იგი იყო კანტჩების ფოსტით ჩამოტანილი.

დარაჯმა ახალი დეპეშა შემოიტანა. დირექტორმა სიტყვა შესწყვიტა, წაიკითხა და გაფითრდა, შინაარსის დაფარვა უხერხული იყო. გაისწორა უღვაშები, გადახედა ახალგაზდათა აუდიტორიას და მძიმედ დაიწყო:

— სამწუხარო დეპეშა მივიღეთ. ტფილისი დაეცა. მაგრამ ეს გარემოება ნუ გაგიტეხთ გულს. მე ავიხსენით ამის მიზეზებსაც. ტფილისი მტერს კი არ აუღია. არამედ ჩვენვე დავცალეთ. ეს იყო გენერალი კვინიტაძის გენიოსური მოსაზრება. ტფილისის დაცლა საჭირო იყო სტრატეგიული მოსაზრებით, რათა უკან დახევით საშუალება აღიქმეს გამაგრებისა და იერიშის მიტანისა.

ჩაჩუნდა, რადგან იგრძნო, რომ მისი სიტყვები აღარ იყო დამარწმუნებელი. ვილამაც ნათანის გვერდით მწარედ ამოიკვნესა:

— ტფილისი თუ დაეცა, სტრატეგია რაღა საჭიროა?

ტფილისის ამბავმა თავზარი დასცა პატრიოტულად განწყობილ ახალგაზრდებს. აღელვებულნი გამოვიდნენ გარედ და გაემართენ მიტინგისკენ. გზაზე ერთი მოქალაქე შეეკითხა წინ მიმავალ გიმნაზიელს:

— მართლა აუღიათ ტფილისი?

გიმნაზიელმა განრისხებით უპასუხა:

— პროვოკაციაა. არ გაბედოთ მაგის დაჯერება!

მოქალაქე დამშვიდდა და მათთან ერთად გაემართა.

მიტინგი უკვე დაწყებული იყო. მაღალ აივანზე შემდგარიყო ვილაც მაღალი კაცი, ყვითელ სათვალეზიანი. სუფთა საყელოიანი და უდიდესი პათოსით გაიძახოდა:

— ამხანაგებო... ბატონებო... მოქალაქენო... მეშებო... გლეხებო... ძმებო... მამებო... დედებო... დებო... მეგობრებო... მამულიშვილებო... ქართველო ხალხო და საქა-

რთველოს ყველა მეგობრებო! საქართველო განსაცდელშია, თავს დაგვესხენ ბალშევიკები, იცით თქვენ არ არიან ბალშევიკები? ისტორიას არ ახსოვს მათთვის არც ერთი გაყაჩაღებული ხალხი. მაგათ გასძარცვეს და გააფრანგეს მთელი რუსეთი, ახლა განუზრახავთ ჩვენი დაპყრობა და აწიოკება. სადაც ბალშევიკები შევლენ, ნაცარტუტად აქცევენ ყველაფერს, ახგრავენ სახლებს და ეკლესიებს. სხვაგვს ქალაქებს, არ ინდობენ არავის: არც ქალს და არც კაცს, არც დიდსა და არც პატარას. ჯერ სძარცვავენ მშვიდობიან მცხოვრებლებს და შემდეგ ყველას ყელებს სჭრიან. წითელი ფერი მათი სისხლის სიჭბოლოა. საქართველო უნდათ გააწითლონ. სისხლში უნდათ ჩაახრჩონ საქართველო. მამულიშვილნო! ჩვენი სახელოვანი გვარდია იბრძვის მამაცად, მაგრამ მას სჭირია ზურგის გამაგრება, მას უნდა გამხხევება. ჯარა დამშეულია. საჭიროა სასწრაფოდ მივაწოდოთ სურსათი, მოგიწოდებთ სასწრაფოდ შეაგროვოთ ფქვლი, რათა დროზე მივაშველოთ. გლებებო! კარგად იცოდეთ, რომ სამშობლოს ეხლა სჭირდება თქვენი დახმარება. თუ არ დაეხმარებით და ბალშევიკები შემოვიდნენ, ისინი არამც თუ ფქვილს არ შეგარჩენენ, არამედ სუყველაფერს გაგტაცებენ...

ძოვდანზე რაღაც ჩოჩქოლი იდგა: ვიღაც გლები წამოდგა წინ და დაბლიდან ამოიძახა:

— რას გვაშინებ კაცო! მოვიდნენ ის ბალშევიკები თუ მოვლიან. რაც არაფერი გვაქვს, რას წაგვართმევენ! ეშინოდეს იმას, ვისაც რამე აქვს.

მას მიჰყვა მეორე გლები.

— ბატონო მოქადაგე! ამდენი დაბრმავება და ხალხის დაშინება რა საჭიროა, მე გლები კაცი ვარ, მაგრამ ამდენი კი მესმის, რომ თავი არ მოგატყუებინოთ. მთავრობას ომი ჰქონდა სომხებთან, ასე არ იქნა დავით დღეისწორს პარასკევს? ეს სომხები როგორ შესცვალეს ბალშევიკებმა? არაფერი ომიც არ არის, არის არეულობა. არეულობა გამოიწვია ისევ თქვენმა უსამართლობამ, ხალხი დაიშმა. გლები კაცი კიდევ უარეს მდგომარეობაში ჩაეარდა...

აქეთ-იქით გაისმა გაბრაზებულ კილოზე:

— შეაწყვეტინეთ, შეაწყვეტინეთ..

გლები კი მაინც თავისას არ იშლიდა და უფრო გააფთრებით განაგრძობდა:

— აი ეს არის თქვენი ნაქები დამოკრატა. ეს არის თქვენი თავისუფლება. ჩვენი სიპართლე თქვენ პირს გწვავთ. ომი! ომი! გამოგვიკეცეთ ყუანები. თუ ომია, რისთვის დააპატიმრეთ ჩვენებური შუშება და გლებები? რისთვის შეგეშინდათ ხალხის მრისხანებასა? გამოტყდით, რომ მენშევიკები არ ენდობით ჩვენს მანრას და ისე იქცევით, როგორც თქვენი წინაპარა მთავრობა იქცეოდა.

— დააპატიმრეთ... პროვოკატორია... პროვოკატორი—გაისმა არეული ხმები.

გლები დააპატიმრეს. მიტინგი გრძელდებოდა...

შორიდან კანტი-კუნტად კიდევ მოისმოდა ციხისკენ მიმავალი გლების პროტესტი:

— არ დაუჯეროთ მაგ ყვითელ სათვალეებიან მატყუარას... არ არის ომი... არის აჯანყება... გაუშარჯოს საბჭოებს!..

სალამოზე, ისხაკ ჯანაშვილი დაბრუნდა სალოცავიდან მეტად უხალისო გუნებაზე. ნათანი და ლიაც ჩაფიქრებული იყვნენ. სუფრა გაშლილი იყო. მაგიდაზე ენთო ორი დიდი სანთელი. სამზარეულოდან მოდიოდა შაბათის საკმელების მაღიანი სუნი. ისხაკმა მეტად მონოტონური მწუხარე ხმით დაიწყო:

— მალახე ყელიონ... მალახე შარეთ... ეპ, ჩემო ცოლშვილო!.. ვინ იცის დღეისწორს შაბათს რანაირი შაბათი იქნება... მალახე შალომ... მალახე ყელიონ... მოდიან...-მოდიან... ბალშევიკები... დღეს იქადაგეს სუველას ყელებს გამოსჭრიანო... ნუ სტირი, ლია ისრაელის ღმერთი არ მოგვიძულეებს... მალახე შარეთ... კარგი, გეყოფა, შაბათს ნუ მიმწარებ... მალახე ყელიონ... მალახე შარეთ... მალახე შალომ...<sup>1</sup>

<sup>1</sup> პარასკევის სალამოს სუფრის ღოცვა.

— არა დედიკო, ბალშევიკებიც ადამიანები არიან. მთელი რუსეთი იმათ ხელშია. ცუდი ხალხი რომ იყვნენ, ამდენ ხანს ვერ გასძლებდნენ. იმათაც აქვთ თავისი პროგრამა, ასე თავგამოდებით რომ იბრძვიან, როგორ შეიძლება ტყუილუბრალოდ დაერიონ მშვიდობიან მცხოვრებლებს და ყელი გამოსჭრან?—უთხრა ნათანმა დედას დასამშვიდებლად, მაგრამ თვითონაც ეჭვი ეპარებოდა თავის ნათქვამში.

— მაინც რამდენ ხანს გასტანს ეს ომი? რამდენ დღეში შემოვლენ აქ ბალშევიკები?—იკითხა ლიამ, რომელიც ცოტა დამშვიდდა ნათანის სიტყვების შემდეგ.

— ტფილისი უკვე აღებულია, ასე რომ, თუ ჩვენი მთავრობა ველარ გაუმკლავდა, მაშინ ოთხ დღეში აქ იქნებიან.—უპასუხა ნათანმა.

— რა გადასწყვიტეთ ან რა გააკეთეთ გიმნაზიაში?

— შეეკითხა ისხაკი ნათანს.

— შერვე კლასელებმა შეეადგინეთ ადგილობრივი მოხალისეთა რაზმი. ხვალიდან დაგვირიგებენ თოფებს და უნდა წავიდეთ საბრძოლველად.

ეს ამბავი ლიას ტყვიასავით მოხვდა, ისხაკ ჯანაშვილმა კი გაიცინა.

— ახლა კი მთლად წასული ყოფილა ეორდანიას საქმე. თავის სიცოცხლეში თოფი არ გჰქერია ხელში და შენ უნდა დაამარცხო ბალშევიკები? შენი იმედი აქვს ჩვენს მთავრობას? ან შენი ამხანაგებისა? ძალიან ცუდი იმედია, ჩემო ნათან. შენ არსადაც არ წახვალ. შინ იჯექი შენთვის. უშენოდაც მორიგდებიან მენშევიკები და ბალშევიკები.

ვანშამი უგემურად სქამეს. დაწვეწ. ძილი არ ეკარებოდათ. ფიქრობდნენ ერთსა და იმავე საკითხზე. შუალაშე გადასული იყო. ქუჩიდან აღარ ისმოდა შილიციელის სტვენა. გარეშემო საოცარი სიჩუმე იდგა, ქუჩებში და სახლებში ჩამჭრალი იყო სინათლე. მოედანი მაინც თეთრად გამოიყურებოდა. ანათებდა მას თებერვლის წყალნარევი თოვლი.

ლია ჰფიქრობდა ნათანზე.

ისხაკი ჰფიქრობდა ორივეზე.

ნათანი ჰფიქრობდა იმ გლენზე, რომელიც შესაძ-  
ლოა სიმართლისათვის დააპატიმრეს. „გი ცდილობდა  
გარკვეულიყო გლენის სიტყვებში.

უდაო იყო, რომ გლენს ჰქონდა ცოდნა და მწარე  
გამოცდილება. გლენი ამართლებდა ბალშევიკებს და  
პირველად თავის ცხოვრებაში ნათანმა მწარედ იხანა,  
რომ დღემდე იგი არ იცნობდა ბალშევიკების პროგრამას.

„აკი შენ მომზადებული ხარ, ნათან? მაშ როგორ  
მოხდა, რომ შენ არ იცი რა უნდათ ბალშევიკებს? იმ  
გლენმა იცის, შენ კი არა... ვინ იცის, იქნება ჩვენს მაზ-  
რაშიაც ის გლენი მარტო არაა... იმასაც ჰყავს მომზარე-  
ები... ერთი, ათასი, ათიათასი... გრცხვენოდეს. ნათან!“  
და ნათანმა ტუჩებზე მწარედ იყვნიტა. გადახედა  
თავის მშობლებს. ისინიც ნათანივით ფიქრებში იყვნენ  
გართულნი.

მათი ფიქრები მოულოდნელად დაარღვია ტყვიის-  
მფრქვეველმა.

— სროლაა — დაიძაბა ისხაკმა და წამოხტა. წამო-  
ხტენ ღია და ნათანიც.

სროლა გრძელდებოდა. ტყვიები ზუზუნებდენ და  
სახლები კანკალობდენ.

— ნუ თუ ასე მალე მოდიან ბალშევიკები? — იკი-  
თხა ლიამ.

— არ მესმის რაშია საქმე — სთქვა ნათანმა.

— მე აი მესმის. — სთქვა ისხაკმა. — ესენი არიან  
ბალშევიკები. ხოლო შემოვიდენ არა ტფილისის მხრი-  
დან, არამედ გადმოვიდენ მამისონის ულელტებილზე.

ფანჯრიდან არაფრის გარჩევა არ შეიძლებოდა.  
ძნელი იყო გაგება სად იყო ბრძოლა და ვინ ვის ებრ-  
ძოდა. ისხაკი შეუდგა თავდარიგს.

— ღია, შენ დამეხმარები, რომ ჩემი წერიმალა  
ავიტანოთ მაღლა სახურავზე, შენ კი ნათან, იჯექი აქ  
და არ გაბედო გარედ გასვლა. კარები ჩაკეტილი იყოს.  
თუ ვინმე მოვიდეს და დააკაკუნოს, არ გააღო. არც  
სანთელი აანთო.

ისხაკი და ლია გავიდნენ. ნათანი მარტო დარჩა სიბნელეში. მივიდა ფანჯარასთან, სროლა ისმოდა დრო-გამოშვებით. შორიდან აღწევდა მის ყურებამდე უცნაო ური ხმები. შემდეგ ერთმანეთში აირია ტყვიის ზუზუნი, გაურკვეველი ყვირილი, ბორკილების მტვრევა, ტამისცემა, დედის გინება, სირბილი და გამარჯვებულთა ყიჟინა.

ნათანმა უკვე გაარჩია, რომ მოედანზე შემოვიდნენ წითელ არმიელები, რომელთაც ეცვათ რუხი ფერის შინელები.

ვილაც ავიდა სამაზრო ერობის შენობის აივანზე, სწორედ იმ ადგილას, სადაც დღისით მიტინგი იყო და ჩამოჰკიდა წითელი დროშა. შემდეგ გარკვევით გაიგონა სიტყვები:

— ძველი მთავრობა აღარ არსებობს...

ძლივს გათენდა. ნათანი ველარ დამაგრდა და ძალით გამოვარდა ქუჩაზე. ეძებდა ყელგამომჭრელებს და ყელგამოჭრილებს.

მათ მაგიერ დაინახა უბრალო მუშები, ნაცნობი მუშები, რომლებიც ქუჩაში შიაბიჯებდნენ დემონსტრანტიულად და ხელში მიჰქონდათ დიდი, წითელი პლაკატი ქართული წარწერით: „გაუმარჯოს წითელ ნაზრას. გაუმარჯოს რევოლუციონურ კომიტეტს“.

დემონსტრანტებს წინ მოუძლოდათ წინადლით დაპატიმრებული გლეხი.



ტფილისი!

დიდი ხანია იზიდავდა ცენტრი ნათანს, მაგრამ მარტო სურვილი არ იყო საკმარისი. საჭირო იყო სათანადო პირობების შექმნა. პირობების შექმნა კი არც ისე ადვილი იყო, როგორც მას წარმოედგინა. ანავე დროს უტფილისოდ აღარ შეეძლო არსებობა.

ესთერი?

წელიწადზე მეტია ნათანი აღარ ჰფიქრობდა ამის შესახებ. უკეთ არ სურდა ეფიქრა, ესთერმა არ შეა-



არულა თავის სიტყვა. დიდხანს ელოდა ნათანი მის წყ-  
რილს, მაგრამ ამაოდ. ნათანმა არ იცოდა არც მისი მს-  
სამართი, არც მისი გვარი. ნათანს არ შეეძლო განოხმა-  
ურება, ხოლო ვისაც შეეძლო—ჩუმი იყო. ტანჯვების  
ათას ეჭვებში, გულისტკივილში გავიდა ექვსი თვე. ეს-  
თერის ხმა არ ისმოდა. არც არავინ იყო, რომ ნათანს  
მისთვის გაეზიარებინა თავისი მწუხარება. მარტო იხრ-  
ჩობდა გულში ყოველივეს, იხრჩობდა გმირულად. ამ  
დროს მოხდა გადატრიალება. ძველმა ქვეყანამ დაუთმო  
გზა ახალ ქვეყანას. ნათანმა დაასრულა საშუალო სას-  
წავლებელი. ზაფხულზე გულის ფანცქალით უცქერო-  
და ეტლებს და ავტომობილებს, მაგრამ ესთერი არსად  
არ იჯდა. ესთერი არ ჩამოსულიყო. მოაგარაკენი თით-  
ქოს ყველანი იყვნენ. მხოლოდ ერთი აკლდა—ესთერი.  
შემოდგომაზე გამოირკვა, რომ ნათანი ტფილისში ვერ  
წავიდოდა. ასე დაიღუპა უკანასკნელი ინედიც ესთერ-  
თან შეხვედრისა. შემდეგ დაიწყო ზამთარი-გრძელი,  
მკაცრი, ერთფეროვანი. გაზაფხულზე თოვლი დადნა  
და ნათანმაც დავიწყებას მისცა წარსული, რომელიც  
მას ხშირად აგონდებოდა, როგორც ტკბილი სიზმარი  
და განვლილი სიტკბობა.

ამ შემოდგომაზე ნათანს ოცი წელი შეუსრულდა.

ისხაკ ჯანაშვილი შედარებით გამოჯანმრთელებუ-  
ლი იყო, სამაგიეროდ ნათანს ენუჭრებოდა შესუსტება,  
დაავადება.

წამალიც იყო: ტფილისი. და მშობლებმაც ძალაუ-  
ნებურად გადასწყვიტეს გაეგზავნათ ერთადერთი შვი-  
ლი ტფილისში უმაღლესი სწავლის მისაღებად.

ერთ მოწმენდილ ნაშუადღევს, ნათანმა ხურჯინში  
ჩააწყო თავისი წიგნები, საბუთები და სხვადასხვა ქალა-  
კლები. ლიამ დააცხო ქად-პურები და დაწნულ სულუ-  
ღუნთან ერთად ხურჯინში ჩაუწყო. ისხაკ ჯანაშვილ-  
მა ჯიბეში სიყვარულით ჩაუდო ერთი თვის სახარჯო.  
რომილიც მოაგროვა ძლივძლივობით მუშობლებში და  
გაანხნია აგრეთვე მომავლისთვის, რომ ვიდრე ცოცხა-  
ლია—მიუხედავად გაჭირვებისა — არ დაივიწყებდა თა-

ვის ძვირფას ნათანს და შეძლების დაგვარად უოველ-  
თვის გაუწევდა მამურ მზრუნველობას.

გამოსალმება მძიმე იყო საშვივესთვის, მაგრამ ტი-  
რილით სტიროდა მხოლოდ ღია, რომელიც ეხვეოდა  
თავის შვილს და დაუშრეტელი აღერსით ეუბნებოდა:

— აბა შენ იცი... ჩემო ნათან... ჩემო სიცოცხლე...  
თავს მოუარე... არ გაცივდე... წერილები ხშირ-ხშირად...  
მალმალე ჩამოდი ხოლმე... ბეჯითად ისწავლე... უნდა  
დიდი კაცი გამოხვიდე.

მოაგონდა ნათანს ის სიტყვები, რომლითაც გაის-  
ტუმრა დედამ, როცა ბავშობისას მიიბარეს მელამედს:

— აბა შენ იცი, ჩემო ნათან, ბევრი თორა ისწავლე  
და დიდი რაბი გამოხვალ.

ერთ წუთს გაიფიქრა, ვაი თუ კვლავ გაუმტყუნო  
დედას იმედით, მაგრამ მაინც იმედიანად შეხედა, გადა-  
ეხვია და მაგრად გადაჰკოცნა. შემდეგ დაჰკოცნა მამაც,  
გამოესალმა შეგოოვილ მეზობლებსაც, მხარზე გადაიგ-  
დო ხურჯინი და მტკიცე ნაბიჯებით გაემართა ხიდის-  
კენ. მალე მიეფარა მოსახვევს.

ფეხით უნდა გაეელო სამოცი ვერსი უახლოესი  
რკინისგზის სადგურამდე.

ნათანი ამაზე არ ჰფიქრობდა. ჰფიქრობდა მხოლოდ  
თავის მშობლებზე, რომლებიც ანდროს, ბრუნდებოდენ  
უკან, შინისკენ აცრემლებული თვალებით.

---

## 5

— ძილი გეყოფა! ეხლა უნდა ადგე, ხელპირი დაიბანო და ლოცვა ილოცო. შენ კიდევ გძინავს? მალე საცაა ხალხი მოვა სალოცავად და შენ, ასე წამოწოლილი გინდა რომ იყო? ადექი, ნათან!

ნათანმა თვალეები გაახილა. თავზე დასდგომოდა ძია დათო. გაოცებული უცქეროდა მოხუცს. ჯერაც ვერ გამოარკვეულიყო რა ემართებოდა. უაზრო, ღია თვალეებით მიშტერებოდა და არ აპირობდა ადგომას. ძია დათოს კი აკვირვებდა ნათანის საქციელი.

— თქვენს ქვეყანაში ეტყობა ძილის შეტს არაფერს არ აკეთებთ. ხომ ჰხედავ თენდება და საცაა დაიწყება ქალაქის ხმაურობა. მე უკვე გავასუფთავე ლოცვა, ეზო, დაეანთე სანთლეები და ეხლა ველი ხალხს.

ნელნელა ერკვევოდა ნათანი, მოაგონდა ღამით მოჩვენებული ამბები და ციემა ოფლმა დაასხა. გაიხედა გარშემო და დარწმუნდა, რომ მართლა თენდებოდა. წამოდგომა დაეზარა, მაგრამ მაინც შეინძრა წამოსადგომად. მაშინ ძია დათო მიუახლოვდა, მხარზე ხელი დაადო და თითქოს შეიციოდა, რომ გააღვიძაო, და ალერსიანად უთხრა:

— იწექი, იწექი. ხალხი ჯერ ერთ საათსაც არ მოვა სალოცავად. მე ყოველთვის ადრე დავდივარ. დღეს კი ძალიან ადრე მოვედი, ჩვეულებრივზე ადრე. იცი რატომ? შენ დაგავიწყდა, მე კი მახსოვს. მე პატროსანი კაცი ვარ, სიტყვის პატრონი. ხომ გახსოვს წუხელის რომ ვითხარი, შენთან ბევრი მაქვს სალაპარაკო მეთქი?

ამიტომ მოვედი თავის დროზე, ეხლა კი იმას ვფიქრობ, საიდან დავიწყო... რას იზამ 'შვილო, ეხლა დრთება წახდა. მენა'შე 'შვილად მეკუთვნის და ის კი პატივისცემის მაგიერ ათასნაირ შარებს მიგონებს და ყოველდღე მგზხუბება. დაავიწყდა ჩემი ძველი ამბები! ეხლა მე უბრალო შამაში ვარ, ის კი გაბაია. ამიტომაც — ძალა ჩემს ხელშიაო, მეჩხუბება და მეჩხუბება.

— მაინც რა გაქვთ ერთმანეთში გასაყოფი?

— აბა რა ვიცი, ისინი რომ სინდისით იქცეოდნენ, საჩხუბარი სულაც არ იქნებოდა. დათხოვნილი ვყევარ, როცა ჩვენი კრება იქნება, არ ვაბედო დასწრებო. მე კი გული არ მითმენს. ინათ თუ უნდათ ხალხის სამსახური, მეც ხომ მინდა? ისინი თუ ეხლა არიან გაბაები, მეც ხომ ვიყავი? როცა იმათ კრება აქვთ ხოლმე, გარეთ ყოფნა არ შემიძლია. ხან სანთელს აფანთებ და შევიტან, თუნდაც შუაღლე იყოს, ხან დოქს გავავსებ წყლით და წინ დავედგამ ხოლმე. მე როცა შევდივარ, ისინი მაშინვე ჩაჩუნდებიან და ჩემს გასვლას უცდიან. მე ვანგებ ვაგვიანებ და არ გამოვდივარ ვიდრე არ დამიყვირებენ. მეც მაგრად მივაკურთხებ და ნელა გამოვდივარ. ყურები კი ისევ კარებისკენ მიჭირავს.

— მაინც რა საინტერესოა იმათი კრება?

— როგორ არ არის საინტერესო? იქნება ჩემს ჯამაგირზე ლაპარაკობენ! მე ვერაფერს ვერ გამომაპარებენ. მე ისიც კი ვიცი გაბაი მენა'შე როდის ქათამს სჭამს და როდის ლობიოს.

ნათანმა გაიცინა.

— რა ვაცილებს? არა გჯერა? სწორედ ამიტომ მოსდის მენა'შეს ჩემზე გული. ეს ამბავი იმ კვირას იყო. მენა'შემ 'შოხეტს' ქათამი დააკვლევინა. მეც იქ ვიდექი. ცხადი იყო, რომ იმ ღამეს ვახშმად ქათამი ჰჭონდათ. უჩემოდ რომ შეეჭამათ ღმერთი არმად შეარგებდა. მოვიმიზეზე ლოცვის საქმეები და ვეწვიე. კარგა

<sup>1</sup> ფრინჯილების და ცხოველების დამკვლელ — თანამდებობის პირი — მორწმუნეთათვის.

ხანს ვიჯექი. მე წამოსვლას არ ვაპირებდი. შუალამე ახლოვდებოდა. არც მენაშე აპირებდა ქათმის ამოღებას. შემდეგ ნელნელა დაიწყო ტანსაცმელის გაძრობა, ვითომ მანიშნა, ძილს ვაპირობო. მისმა ცოლმა ლანფა-საც კი ჩაუწია, მე ქათმის ჯავრი მახრჩობდა და არ მივდიოდი. მაშინ მენაშე გაბრაზდა და მკითხა: ქვედა საცვალს მანამ არ გავიხდი, არ წახვალო? ნეტი რა გზა მქონდა, წამოვედი. გამოვედი ვარეთ. მოვიცადე ათი წუთი და შემდეგ დავინახე, რომ ლამფას ისევ აუწიეს. შევიხედე ფანჯარაში: შემოსხდომოდენ სუფრას და ამტყვრევდენ ქათამს. ველარ მოვითმინე, პირდაპირ შევადე კარები და შევედი. ისინი სახტათ დარჩენ. მე კი უთხარი: არა გრცხვენიათ უჩემოდ, რომ ქათამს მიიერთმევთ მეთქი? ამის შემდეგ მეთი რალა ეთქმოდათ. მინიწვიეს და მეც რიგიან პირიანად გამოვძეხი. მენაშე პირში არ შეუღბნება, მაგრამ მე კი ვიცი, რომ იმ ქათმის ჯავრი დღესაც ვერ მოუნელდება.

ნათანი წამოდგა და აივნისგან გადაიხედა. თვალწინ წამოუდგა მეტის მეტად მიხვეულ-მოხვეული ქუჩა ლარიბი სახლებით. ეს სახლებიც ისე იყო ერთმანეთზე მიკრული, თითქოს წებო ჰქონდათ წასმული. მთელი ქუჩის სიგრძეზე მხოლოდ ერთი თეთრი სახლი გამოიქვირებოდა ამაყად, სუფთად და სამი სართულით.

— განა მარტო ეს ერთი ხეირიანი სახლია ამ ქუჩაზე? — იკითხა ნათანმა.

— ზომ ხედავ. საიდან უნდა ჰქონოდა ისრაელის შვილს კარგი სახლები? ზოგი ცხინვალიდან ჩამოვიდა, ზოგი ახალციხიდან — ყველა ლარიბები და გაკოტრებულები. ეს ერთი კარგი სახლი ეკუთვნის ახალციხელების მთავარ გაბაის ბენიამინ ბერიძეს. ის თავისი მამა-პაპით დიდი ხანია ცხოვრობს ტფილისში, შეიძინა სინდიდრე და იყიდა ეს სახლი.

— ამ ქუჩაზე მარტო ებრაელები ცხოვრობენ?

— თითქმის. ამიტომეა, რომ დღემდის შერჩენილი აქვს ძველი ისრაელური სახელი.

ნათანი დააკვირდა ერთ სახლზე მიკრულ წარწერას და ძლივს წაიკითხა რუსული წაშლილი ასოები:

— „Петхайнская улица“.

მაინც ვერ გაიგო და შეეკითხა:

— რა ჰქვია ამ ქუჩას?

— ფეთხაინი. ხომ იცი რას ქვია ბეთ-ხაიმი? ჰო და, წინათ აქ ისრაელების სასაფლაო ყოფილა. როდესაც სახლები გააშენეს, ეს სახელი დაურქმევიათ.

ნათანი ძალიან დააინტერესა ამ ანბანმა და ჩაფიქრდა. ძია დათო კი თავისას განაგრძობდა:

— ამდენ უსამართლობას არ შეეარჩენ მენაშეს. დღეს უნდა გადასწყვიტონ ჩემი საქმე. საცაა ჯამაითი მოვა და პირდაპირ თებაზე<sup>1</sup> შევდგები და გამოვაცხადებ, რაც ბიჭები არიან. შენ როგორ მიჩვენ ნათან?

ნათანს არ გაუგონია უკანასკნელი სიტყვები და ამიტომ ვერაფერი ვერ უპასუხა. ძია დათომ თვითონ უპასუხა თავის თავს:

— ჯერ ჯამაათს მოვახსენებ, და თუ აქედანაც არაფერი გამოვიდა, მაშინ ერთი კარგი თხოვნა უნდა დამიწერო. მხოლოდ არ ვიცი, კავშირს მივსცე თუ სასამართლოს. თუმცა—შენ თუ არ დაგეზარება და ორ თხოვნას დამიწერ, ორივეგან მივცემ. ასე უკეთესი იქნება. სამაგიეროდ შენი ხუფა<sup>2</sup> როცა იქნება, არ მოგაწყენ. კარგად ვიქეიფებ და კარგ დროს ვავატარებ. ახლა წავალ, ლოცვას მივხედავ. საცაა ხალხი მოვა. შენ არ გეგონოს, რომ ჩემი სალაპარაკო ვავათავე. მე ჯერ არც კი დამიწყია.

ნათანი დარჩა მარტო.



ქალაქი იღვიძებდა.

გუგუნებდნენ ქარხნის საყვირები: სადღაც შორს ამოდიოდა შავი კვამლი. მეეზოვე ქუჩას რწყავდა. გვერდით მიდიოდა გლეხი, რომელმაც მიერეკებოდა მაწყ-

<sup>1</sup> თება—სალოცავი ტრიბუნა.

<sup>2</sup> ხუფა—ჭორწილი.

ნით დატვირთულ ვირებს. ვილაც განახშირიანებულა ბიჭი, ჰყვიროდა: „უგლო—უგ-ლიეე“. შორიდან კიდევ მოისმოდა მენავეთის ძახილი „კრა...სინ... კრა...სინ...“

ნათანი იდგა აივნის მოაჯირზე და უდიდესი ყურადღებით იცქირებოდა დაბლა. ხალხი მიდიოდა სალოცავებისკენ, მიდიოდა ისეთი სიჩქარით და ვაფაციცებით, თითქოს ამაში იყო ცხოვრების მთავარი მიზანი, მთავარი შინაარსი. მხარბეჭში ოდნავ—მოხრილი, დანაოჭებული ღარები ფართო შუბლზე, მოგრძო ცხვირი, შავი და აბურძხნული წვერები—აი როგორი სახეები მირბოდა ნათანის თვალის წინ.

იშვიათად ვისმე ეცვა სუფთად, ან ჰქონდა მთელი ტანსაცმელი. ხოლო ყველას ჰქონდათ მკლავებში ტალღეთები<sup>1</sup> და თეფილინები<sup>2</sup>.

პირდაპირ მდებარე ეზოში ქალები ასუფთავებდნენ ბალიჩას, რომელიც ხუთვან იყო გაგლეჯილი და გამოყოფილი ჰქონდა კაკლის ოდენა თავები. გრძელ თოკზე გამოკიდებული იყო გასაშრობად დაგლეჯილი საცკლები. ფეხშიშველი და ქუჩკიანი ბავშვები გარბოდნენ იქვე შორიანლოს და უსაქმობით და სიმშლით ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ. ეზოში იდგა ძველი დამტვრეული პირსაბანი, რომელსაც შემთხვევით ფეხი წამოჰკრა ერთმა ბავშვმა. პირსაბანი უარესად გაიბზარა. მაშინ გამოვარდა ერთი ქალი და ბავშს დაუწყო ცემა. ბავშვის კივილზე მოვარდა დედა და ეძვერა მეზობელ ქალს. შეიქმნა ხელჩართული ბრძოლა. გამოვარდნენ ჰმრები, ნათესავეები. მოგროვდა აუარებელი ხალხი, რომელმაც ძლივს ჩააქრო „გაუთენებელი“ ჩხუბი.

მოძრაობა თანდათან უფრო შესამჩნევი ხდებოდა. ქუჩის ბოლოდან მოისმოდა არეული ხმები:

- წაბლი! წაბლი! შემწვარი წაბლი!
- გოგრა! გოგრა! ეარენი გოგრა! გოგრაააა...
- ხინკალი! მოხარშული ხინკალი!
- ჩურჩხელა, ჩურჩხელა! კახური ჩურჩხელა!

<sup>1</sup> ტალღეთ—მორწმუნეთა მოსახლამი—ლოცვის დროს.

<sup>2</sup> თეფილინ—შუბლზე და მკლავზე წამოსაცმელი ნივთი—ლოცვის დროს.

- ღვინო, ღვინო! ქაშერი<sup>2</sup> ღვინო.
- წყალი, წყალი! ცივი წყალი ტუნელის წყალი!
- შნურკი! კნობკი! ნევიდიშკი!
- ძია ძია, ჩისტი! ჩისტი! მოიტა, რა, მტვერი მოვა-  
ცილო!



და უცნაურად ეჩვენებოდა ნათანს ყოველივე. მას ესმოდა ეს ხმები რაღაც სხვანაირი სმენით. ეს არ იყო ცარიელი ხმები. ეს იყო თავისებური მუსიკა, თავისებური სიმღერა. ყოველ გამყიდველის ხმაში იყო რაღაც მწუხარე ჰანგი, მწუხარე და სპეციფიური, სპეციფიური და ჩამაფიქრებელი.

სალოცავის ეზოს ერთ კუთხეში მოგროვილიყვნენ ხუთიოდე ღარიბი ქალი და ელოდენ ლოცვის გათავებას, რომ გაბაებისთვის ეთხოვათ დახმარება. იდგენ მოკრძალებით, მორიდებით, რათა მამაკაცს არ შეეჯახებოდენ.

ნათანი ჩაუფიქრდა იმ გარემოებას, რომ ებრაულ-მა რელიგიამ თვით ღვთის სამსახურის საქმეშიც კი არ გაათანასწორა დედაკაცები მამაკაცებთან. დედაკაცს არ შეუძლია მანაკაცის გვერდით ილოცოს. სალოცავში დედაკაცს აქვს თავისი საკუთარი კუთხე „უზარათ-ჰანაშიმი“, რომელიც ძალიან ჰგავს თეატრის ქანდარას.

კიდევ ერთი ფაქტი აკვირებდა ნათანს, როდესაც უცქეროდა ამ მათხოვარ ქალებს: ებრაელი ღარიბი, რაც არ უნდა უჭირდეს, არ გადის ქუჩაში სამათხოვროდ. სალოცავს ამ დარგშიაც ჰქონდა მონოპოლია.

ასე იდგა ნათანი კარგა ხანს, დაყრდნობილ სალოცავის აივნის მოაჯირზე, გართული იუდაიზმისა და მისი რელიგიის პრობლემებში და გაოცებული ფეთხანით.



...— რას აპირობ ამიერიდან ნათან ჯანაშვილო?... რამდენ ხანს უნდა იდგე ამ მოაჯირთან და უცქირო სილატაკის, წარსულისა და სიბნელის ნაშთებს?... შენ

<sup>2</sup> ქაშერ—სუფთა, რელიგიის წესების მიხედვით დამზადებული.



უკვე იცი წლისა ხარ, გესმის ნათან? შენთვის აღარავინ არ იზრუნებს, არც არაფერია ვალდებული. მამა? განა არ იცი ძისი მდგომარეობა? განა იმან არ აიღო მეზობლების დიდი ვალი შენი გულისთვის? ესლა შენ უნდა დაეხმარო მას. ესლა შენი რიგია. გაჩერება არ ვარგა. ხომ ხედავ, ყველგან ბრძოლაა საჭირო—ბრძოლა საკუთარი არსებობისთვის, ბრძოლა სხვების არსებობისთვის, ბრძოლა ძველის აღმოსაფხვრელად და ახალი ცხოვრების შესაქმნელად. შენ ხომ მრავალი წლის განმავლობაში მოისწრადოდი ტფილისისკენ? ხომ ხედავ, უკვე ტფილისში ხარ. ხომ იცი, რომ აქა გყავს ამხანაგები, რომლებიც ასე მოუთმენლად ელოდენ შენს ჩამოსვლას? მაშ რას გაჩერებულხარ, რატომ არ გაინტერესებ? იქნება ძია დათოს ამბები გაინტერესებს კიდევ? არა, შენ ეს არ გაინტერესებს. იქნებ გაწუხებს უფულობა, გზის უცოდინარობა, მისამართების უქონლობა? არა, შენ ამაზე არა ჰფიქრობ. მაშ რა დაგეძარათა? რამ შეგბოჭა ასე ძლიერ? რამ გაგაკვირვა ამ განთიადზე? რამ მიიზიდა შენი ყურადღება ასე თავდავიწყებით? გსურს თუ არა გამოფხიზლდე, ნათან ჯანაშვილო?...  
შინაგანმა ხმამ გამოაფხიზლა.

შინაგანი ხნიდან ესმოდა ვაურკვეველი მომავალი, სალოცავიდან — ლოცვის ხმები და ქუჩიდან—ლატაკი თანამოძმეთა ხმაური.

გადადგა ნაბიჯი. არ იცოდა საითკენ წავიდოდა.

ერთხელ კიდევ გადაიხედა გარშემო. და ამ წუთებში შეიგრძნო, რომ მან, ნათან ჯანაშვილმა, კარგად შეისწავლა ეს ქუჩა.

ქუჩას ეწოდებოდა ფეთხაინი.

ფეთხაინი იყო — ბეთ-ხაიმ.

ბეთ-ხაიმ კი იყო ძველი ებრაული სიტყვა, რომელიც ნიშნავდა სიცოცხლის სახლს.

ხოლო სინამდვილეში სიცოცხლის სახლი ერქვა: სასაფლაოს.

ნაწილი მეორე



გ ა ო რ ე ბ ა

# 1

— რა გეშველებოდა, აეგუსტინა, რომ ქვეყნად სარკე არ ყოფილიყო? რას უზამდი მაშინ იმ აუარებელ თავისუფალ დროს, რომელიც დაგრჩებოდა?

— ეგ ძალიან სერიოზული საკითხია. მე მგონია, იუღია, რომ არც შენ ჩაფიქრებიხარ ღრმად ამ საკითხს. სარკე! განა უბრალო საკითხია, ჩვენთვის განსაკუთრებით ახალგაზრდა ქალებისათვის — სარკის საკითხი? სარკე—ჩვენი შემადგენელი ნაწილია, ჩვენი ორგანიზმის აუცილებელი დამატებაა. ღამაში ქალი გამუდმებით უნდა სარკეში იტკირებოდეს. სარკე - საუკეთესო თანამგზავრია. სარკე-ერთგული მრჩეველია და ამავე დროს ზედმიწევნით სწორი წინასწარმეტყველია...

— გამარჯვებისა და დამარცხებისა—დაასრულა იუღიამ.

— სწორედ ასე. შენ კარგად სთქვი. მე ყოველთვის ვიცი, როდესაც მივდივარ ჩემი ოთახიდან დროს ვასატარებლად, რომ მე გავიმარჯვებ.

— ამიტომაცაა, რომ ასეთი განსხვავებაა ჩვენ შორის. შენ გიყვარს სარკე, რადგან იგი გამხნევებს და გაძლევს გამარჯვების რწმენას. მე კი მძულს სარკე, რადგანაც იგი ყოველთვის ცუდ ამინდს უჩვენებს ჩემს ფრონტზე.

— შემკდარი ხარ, ჩემო იუღია, მაგაში. რატომღაც დავირწმუნებია შენი თავი, რომ განარჯვება არ მოვა შენს ფრონტზე. გამარჯვება მოვა, მხოლოდ ამაში სარკე არაა დამნაშავე. ამაში შენ ხარ დამნაშავე. საქიროა გამოიცვალო ხასიათი.

— ხასიათი?

— დიახ, ხასიათი, რატომ არ ნიციქერი, როგორ ვიქცევი მე და რატომ არ წამბაძვე ერთხელ მაინც? სიცოცხლე ისედაც ხანმოკლეა, ჩვენის ხელით რა საქაროა, რომ უფრო შევამოკლოთ? პირიქით, ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ის გავაგრძელოთ. როდესაც ჰგრძნობ საკუთარი სილამაზის ძალას—მაშინ აღარ ჰფიქრობ სიკვდილზე. მე ვგრძნობ ჩენი სილამაზის ძალას და მე მინდა სიცოცხლე! ისმინე იუღია ბერგერ,—შენი ერთგული მეგობრის ავგუსტინა როზენფელდის რჩევა: საქაროა გამოიცივალო ხასიათი. მეტი უნდა იზრუნო შენი სილამაზისათვის, მეტი უნდა იფიქრო საკუთარი სიამოვნებისათვის, უნდა გაუღიმო ყოველ მამაკაცს და აანთო ნიდრეკილების ცეცხლით შენდამი. როდესაც იცი, რომ ვილაცას მოსწონხარ, ვილაცას სურხარ და ვილაც იწვის შენთვის—მაშინ შენ ბედნიერი ხარ.

— შენ ისედაც ბედნიერი ხარ, ავგუსტინა. ახალგაზრდები ფუტკარივით თავს გეხვევიან. გიყოფა სარკესთან დგომა. დამერწმუნე, რომ ლამაზი ხარ. ეგ ლურჯი კაბაც ძალიან გიხდება.

— მე კი თუ დამიჯერებ, გეყოფა წოლა. ნუ ეჩვევი სიზარმაცეს. აღექი და გაისწორე თმა. მოდი აქ სარკესთან და კარგად დააკვირდი შენს სახეს. ნუ გგონია რომ მე უფრო ლამაზი ვარ შენზე. ხოლო თუ ახალგაზრდებს უფრო მაინც მე მოეწონვარ, ეს იმიტომ, რომ მე ვიცი თავის მოვლა, ვიცი აგრეთვე როგორ უნდა გავაბა ისინი ბადეში, ვიცი რომ მე ახალგაზრდა ქალი ვარ და აწმყო—ჩემია. შენ კი, ჩენო იუღია, არ გინდა გაიგო ეს ჭეშმარიტიბა და გაუღებელ დაკრეფილი შესცქერი მომავალს. ამოდ! აწმყო თუ გაჰქრა, მომავალი მოხუცობის მეტს არაფერს არ მოგიტანს. მაშინ ინანებ, მაგრამ გვიან იქნება. გვიან იქნება. გვიან იქნება. ხა, ხა, ხა!

და ავგუსტინამ ვადიხარხარა ისეთი ძალით, რომ იუღიას მოეჩვენა, თითქოს ავგუსტინასთან ერთად იცინოდა მთელი ოთახი.

ავგუსტინა როზენფელდის ოთახი არ იყო დიდი მიუხედავად ამისა ნივთების მდებარეობა და მოწყობილობა არ იყო ესთეტიურ გემოვნებას მოკლებული. ყოველ ნივთს მონებრებულად ჰქონდა მიჩნეული თავის ადგილი. როიალის თავზე გაკრული იყო მხატვრული სურათები. იატაკზე, საწოლთან გაფენილი იყო დათვის ტყავი. წიგნის თაროს ამშვენებდა ყვავილების თაიგული. კუთხეებში იდგა ისტორიული პირების ბიუსტები. კედელს შუაზე ჰყოფდა დიდი სარკე. ოთახში საგრძნობი იყო ყვავილებისა და ოდეკოლონის შერეული სასიამოვნო სუნი. საწოლთან იდგა პატარა მაგიდა, რომელზედაც ელაგა სხვადასხვა გვარი სურათებით დატვირთული ალბომები. ოთახის ყოველი კუნჭული გაჰკიოდა სისუფთავეს, მიწშიდველობას, სილამაზეს და სიციცლის წყურვილს.

ასეთი იყო ოთახის პატრონიც, რომელიც ამჟამად იდგა სარკესთან და ივარცხნიდა თმას.

ავგუსტინა ოცდაორი წლისა არ იქნებოდა, მაგრამ როგორც თვითონ ამბობდა, მას იმდენი უნახავს ცხოვრებაში, რომ ოცდაათი წლის ქალებს არ ჩამოუვარდებოდა გამოცდილებით.

იგი მალალი ტანის იყო; შავი თვალწარბი და ასეთივე ფერის თმა, რაც ძალიან ნაკლებად ახასიათებს რუსეთის ებრაელ ქალებს—განსაკუთრებით ამშვენებდა ავგუსტინას. ჰქონდა ვნებიანი, მუდამ შორღიმარი თვალები და თავხედურად გამომწვევი ტუჩები.

მისი მშობლები ცხოვრობდნენ იმავე სახლში, მაგრამ ავგუსტინას ბავშობიდანვე ჰქონდა ცალკე ოთახი და ამგვარად ადრე ბავშობიდგანვე განიმტკიცა თავისებური დამოუკიდებლობა. მარტო ოთახში ცხოვრებამ კი იქონია გავლენა ავგუსტინაზე იმ მხრით, რომ მან შეიმუშავა საკუთარი შეხედულებანი ცხოვრებაზე და არ მოსწონდა, როდესაც ვინმე სხვა, ეს იქნებოდა მშობელი თუ ამხანაგი დაუპირდაპირებდა სხვა შეხედულებას. მთავარი—რასაც ძალიან შეეჩვია ავგუსტინა—ეს იყო თავისუფლება. ვერც ვერავინ გაბედავდა შეხებოდა მის თავისუფლებას.

ავგუსტინას ძალიან უყვარდა თავისი თავი. უბრა-  
ველეს ყოვლისა იგი ყოველთვის ზრუნავდა თავის-  
თვის. საკუთარ სახეზე შესწავლილი ჰქონდა ყოველი  
ნაკეთი, ყოველი ხაზი, ყოველი ნაოქი. იცოდა როგორ  
რი გამოძეტველება ჰქონდა მის სახეს როცა იცინოდა,  
როცა ილიძებოდა ან როცა წყნარად იყო.

დაღვრემილი კი იშვიათად იყო. ან რა ჰქონდა მო-  
საწყენი? ავგუსტინას თითქმის არაფერი არ ჰქონდა სა-  
ზრუნავი. ლუკმა პური? ამაზე ზრუნავდნენ მშობლები.  
უნივერსიტეტი? მართალია ჩასაბარებელი იყო რამოდენ-  
იმე საგანი, მაგრამ იგი იმდენს ჰტიქრობდა ამაზე, რა-  
მდენსაც გასული წლის თოვლზე. სილამაზე? საკმაოდ  
ჰქონდა ავგუსტინას.

მაგრამ ავგუსტინა მაინც ზრუნავდა თავის სილა-  
მაზეზე, რადგანაც ავგუსტინას ცხოვრების შინაარსი  
ღრმად იყო დაკავშირებული მის სილამაზესთან. ავგუს-  
ტინამ კარგად იცოდა, რომ მამაკაცებს უყვართ ლამაზი  
ქალები.

ავგუსტინასაც უყვარდა მამაკაცები: უფრო სწორი  
იქნებოდა ასე თქმა: ავგუსტინას უყვარდა, როდესაც  
მას მამაკაცები ეტრფოდნენ, ეალერსებოდნენ, სიყვარულს  
უცხადებდნენ ან როგორც თვითონ იტყოდა „იწოდნენ  
მისი მხერით“.

იულია უბრალოდ წამოწოლილიყო ავგუსტინას სა-  
წოლზე და ათვალეირებდა ალბომში სურათებს.

ავგუსტინას ლაპარაკი ესმოდა, როგორც ტკბილი  
ნანიჩა. იულიამ იცოდა რომ ავგუსტინა თავისებურად  
მართალი იყო, მაგრამ ხასიათი ეს არ იყო ტანისამოსი,  
რომლის გამოცვლა ასე ადვილად შეიძლებოდა.

იულია არ იყო ულამაზო, მაგრამ მასში არ იყო ის  
მიმზიდველობა, რომელიც ჰქონდა ავგუსტინას.

გაურკვეველი სევდა და მწუხარება მოსჩანდა მის  
თვალეზიდან.

ხანდახან შეივლიდა ავგუსტინასთან. მათ აერთიანე-  
ბდა: ბავშობა, მეგობრობა, უკრაინა. ხოლო მათ საკ-  
მარისად ანსხიავებდა: აღზრდა, ცხოვრების პირობები,  
სოციალური წრე.

ავგუსტინა ადრე იყო ჩამოსული, იულია—კი ჩამოვიდა ტფილისში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

ამ წუთებში, როდესაც იულია იწვა და ავგუსტინა სარკესთან უვლიდა თავის სახეს—იულიამ იცოდა, რომ ყოველივე ეს ჩვეულებრივი, ყოველდღიური ამბავი იყო, მაგრამ როდესაც ავგუსტინამ გადინარხარა, იულიამ დამშვიდებით შეხიდა მეგობარ ქალს და უთხრა:

— შენ იცინი ავგუსტინა... შენ მართალი ხარ. მეც ვიცი, რომ ბოლოს გვიან იქნება. მაგრამ მიპასუხე, გახასულ ერთი არ არის? რა არის ეს მარადიული, ურთიერთისადმი — მიდრეკილება მამაკაცებისა და დედაკაცებისა? რა არის მიზანი? შეუღლება? შვილები? ტანჯვა წამება? შემდეგ სიკვდილი?... ისტორია მეორდება ასე. ყოველთვის ასე. არც მესმის, რა არის ეს ცხოვრება? დილაზე ადრე ადექი, საღამოზე დაწეკი, ეძიე მოტრფიალე მამაკაცები, ისინი გადაგეკიდებიან და ერთი შემცდარი ნაბიჯი—გამოიწვევს ტანჯვას და დაუსრულებელ წამებას, რისთვის, ავგუსტინა, რისთვის არის საჭირო ყოველივე ეს?

ავგუსტინა მობრუნდა და დადგა იულიას პირდაპირ. ასე იდგა ჩუმად ცოტა ხანს, შემდეგ ნელ ნელა ლიმილით პირი გაეხსნა და პასუხის ნაცვლად, ვოლკანისებური ამოხეთქის მსგავსად, ისევ წასკდა დაუსრულებელი სიცილი, რომელსაც ველარ გაუძლო ვერც იულიამ და გადაედო მასაც.

— ყოჩაღ იულია. ადექი, დაწეკი, ეძიე! კარგად მოსჭერი. ესაა მთელი ცხოვრება. ხოლო რისთვისაა ყოველივე ეს საჭირო—ეს არის ფილოსოფიის საკითხი. მაგრამ მე არა მწანს ფილოსოფია. ჩემი ლოზუნგია: ძირს ფილოსოფია, გაჟმარჯოს ცხოვრებას! აბა ჩემო იულია, ახტი ჩქარა საწოლიდან. ფილოსოფია მოგონილია ზარმაცებისათვის და საწოლზე მწოლარეებისათვის. გაიხედე ფანჯარაში, როგორი კარგი დღეა. განადანაშაული არაა ამ ამინდში ოთახში ყოფნა?

და ამ სიტყვებით ავგუსტინა მოეხვია თავის მეგობარს და დაუწყო აყენება.

იულია \*შეეკითხა:

მაინც რატომ არ მეტყვი, რომელი უფრო მოგწონს?

— ძნელი სათქმელია, იმ წრეში შეიღობა ამხანაგია.

ერთი ერთმანეთზე უკეთესები არიან. სათითაოდ სუყველა გამომიტყდა სიყვარულში. თითქმის ყველას ვუყვარვარ. რასაკვირველია ზოგს უფრო ძლიერად, ზოგს უფრო სუსტად. მე ყველასთან დიდი სიამოვნებით ვატარებ დროს. ერთ დღეს მგონია, რომ ერთი უფრო მიყვარს, ხოლო მეორე დღეს—მეორე.

— მე ყველას ვიცნობ?

— თითქმის. აი თუნდაც ჩამოგიყვები: ზებულონ, ცები, არიელ, აბიშაი, იონა, სიმონ და ოსიპი.

— როგორ მოხდა, რომ ყველა შენი მოტრფიალენი არიან ადგილობრივი ებრაელი სტუდენტები?

— განა სულ ერთი არ არის? ოღონდ კი იყვენ ახალგაზრდები, ჯანლონითა და ტემპერამენტით აღსაესე! თუნდაც ისინი აფრიკიდან იყონ მოსული, ამაზე რა საქირაა ფიქრი.

— რასაკვირველია. ეს სხვათა შორის გკითხე, მე კი მაინც მინდა დანამდვილებით ვიცოდე—რომელს უფრო უყვარხარ მტკიცედ და ერთგულად. აგვუსტინა! ნუ ენდობი ბრმად მამაკაცებს. ისინი არ არიან სანდონი.

— განა ჩვენ კი ვართ სანდონი? განა ჩვენც ისე არ ვიქცევით, როგორც ისინი იქცევიან? ნუ დარდობ. იულია, მე კარგად ვიცი, რომ მათ მხოლოდ მოგწონვარ. მეც შეტი არაფერი არ მინდა. როცა მე მათთან ვარ, ისინი თავს ჰკარგავენ. იმ წუთებში ყველას ვუყვარვარ. შემდეგ, შეიძლება ვავიწყდები, მაგრამ ამას მნიშვნელობა აღარ აქვს. საქმე ისაა, რომ ვერაფერ ვერ უძლებს ჩემს ღიმილს. არავის არ შეუძლია იდგეს ჩემს გვერდით—გულგრილად. ამიტომ მე ვგრძნობ თავს გამარჯვებულად. თუმცა მათში არის ერთი... რომელიც უფრო მეტ ყურადღებას მაქცევს. მე ის მინდა ესთქვა. რომ მას ვუყვარვარ ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით.

— მერე შენ?



— მე? მე სწორედ ის არ მიყვარს, თუმცა ის პირიქით დარწმუნებულია საწინააღმდეგოში.

— თუ იმას გულწრფელად უყვარხარ, ხოლო შენ კი არ გიყვარს, შენის მხრივ მისი მოტყუება კარგი საქციელია.

— სისულელეს ნუ როშავ! განა შემიძლია შევიყვარო გიჟი ოსიპი? ხა, ხა, ხა!

— ოსიპი? მერე შენის აზრით, ვინ აუშალა მას ნერვები? ვინ გააგიჟა? ისევე მისმა ამხანაგებმა, რომლებიც გამუდმებით მასხრად იგდებენ, ამცირებენ, ატყუებენ და ბურთივით ათამაშებენ. შენც გადაგედო იმათი სენი და იქცევი მათსავით. ერთი უხდა იცოდე ავგუსტინა, რომ ოსიპი არ არის ბოროტი კაცი, მხოლოდ მუშტი კი აქვს ბოროტი კაცისა. თუ დასჭირდა და დაატრიალა—სუყველა ამხანაგებს ისე დააფრთხოვს, რომ მათ სამუდამოდ დაეკარგებათ მადა ოსიპთან შეხვედრისა.

— მაგდენი შნო არა აქვს ოსიპს. ხოლო იუღია, შენ ძალიან გამოუცდიელი ხარ სატრფიალო საქმეებში. როგორ შემიძლია ოსიპთან „ფლირტზე“ ხელი ავიღო, როდესაც იგი ერთგული ძაღლივით, თვალის დახამხამების უშალ ასრულებს ჩემს ყოველ სურვილს? არ არის არც ერთი ამბავი მათ წრეში, რომ მე არ ვიცოდე. ოსიპი—ჩემი ცხოვრების ცოცხალი ენციკლოპედიაა. ოსიპის საშუალებით მე ვუნიშნავ შეხვედრას რიგ-რიგობით ყოველ მათგანს.

— ეს როგორ?—გაიკვირა იუღიამ.

— როგორ და სრულიად უბრალოდ. მისი ხელით ვგზავნი წერილებს და ოსიპს არასოდეს არ მოუვა აზრში, თუ რას ვწერ ამ წერილებში.

— ყოჩაღ, ავგუსტინა! თვითონ დემონს არ შეუძლია მოიფიქროს ამაზე ორიგინალური ბოროტება. მაგ რამ მაინც... რატომ ჰფიქრობ, რომ მან არაფერი არ იცის შენი მოქმედებისა? რას იზამდი მაშინ, რომ მას უცბად გაეშალა შენი რომელიმე წერილი და წაეკითხა მისი შინაარსი?

— იგი ამას ვერ გაბედავს. ოსიპი არის ისეთი ადამიანი, რომელსაც შეუძლია განუსაზღვრელი მინტობა. იგი მეთაყყანება, როგორც ღვთაებას. ხა,ხა,ხა როგორ შეუძლია მას, გახსნას ღვთაების წერილი?.. ეჰ, იუღია, იუღია, შენ ჯერ კიდევ დიდი ბავშვი ხარ და არაფერი გესმის დღევანდელი ცხოვრებისა. ცხოვრება იქნება მარად, მარად. ჩვენ კი, მე და შენ, იუღია—არ ვიქნებით მარად. ამიტომაც ვიდრე ვართ, ცხოვრებას უნდა გამოვეტაცოთ ყველაფერი, რისი გამოტაცებაც შეიძლება. იუღია ბერგერ! გამოიბერტყე ყურები, რას გამოშტერდი. განა მე მართალი არა ვარ?

— ვაი თუ შენსაგით პფიქრობს ოსიპიც და შენ კი გგონია, რომ ის გულწრფელია?

— მაშ შენ არ გჯერა, რომ ოსიპი ძალღივით ერთგულია? ყოველი დღე—ამას ანტიციებს. უფრო მეტიც: ოსიპს არა აქვს საკუთარი აზრი, საკუთარი ფიქრი. ყველაფერი ეს—მეკუთვნის მე. ყოველ განცდას, ყოველ უბრალო შემთხვევას—იგი უსათუოდ მე მიამბობს. მას არაფერი აქვს დაფარული ჩემგან. ერთი სიტყვით ოსიპი—ეს იგივე სარკეა, სადაც მე თავისუფლად ვკითხულობ მისი სულის ყოველ მოძრაობას. როგორ შეუძლია მას ასეთ პირობებში—არ იყოს გულწრფელი? შენ კვლავ ექვი შეგდის იუღია? როცა ჩემსაგით ახლოს გაიცინობ ამ წრეს—მაშინ ამაში დარწმუნდები.

იუღიამ არაფერი არ უპასუხა. ნახევრად წამოწოლილი, ნახევრად წამომჯდარი განაგრძობდა ალბომში სურათების ძებნას. სურათებში ერთ სუფთა ბლანკს წააწყდა. წაიკითხა. გაუკვირდა და შეეკითხა:

— საიდან მოხვდა შენს ალბომში, ფსიქიატრული საავადმყოფოს ბლანკი?

— ალბად დარჩა შემთხვევით რომელიმე ექიმს—უპასუხა აევგუსტინამ.

უცბად მოუვიდა რაღაც აზრი, გაიკინა, წამოაყინა იუღია საწოლიდან და მიიყვანა საწერ მაგიდასთან. შენდევ დაუთო წინ ცარიელი ბლანკი და უთხრა:

— სწერე.

იულიას გაუკვირდა ავგუსტინას საქციელი, მაგრამ ჰგონობდა, რომ ძეგობარი ეშხადებოდა რაღაც ახალ ხუმრობისათვის. ავგუსტინა კარნახობდა, ხოლო იულია სწერდა.

„მოქალაქე ოსიპ ოსიპისძე ხანანაშვილს.

ამით წინადადება გედღევით გამოცხადდეთ ხვალ შუადღის სრულ 12 საათზე ფსიქიატრულ საავადმყოფოში თქვენი ფსიქიური აგებულობის შესამოწმებლად. საავადმყოფოს გამგე“...

— მოაწერე ვისიმე გვარი, სულ ერთია. ახლა ვიცინებთ იულია, ვიცინებთ, ვიცინებთ.

და ამ სიტყვებით ავგუსტინა გავარდა ოთახიდან და თან გაიტაცა დაწერილი ქაღალდი.

იულია სახტად დარჩა და ვერ გაიგო, რა უნდოდა ექნა ავგუსტინას ამ ქაღალდით.

ავგუსტინა ჯაბრუნდა ხუთი წუთის შემდეგ და განაცხადა:

— ახლა აღარსადაც არ წავალთ. აქ ვიქნებით და დავუცდით სეირს. მე ის ქაღალდი გაუგზავნე ოსიპს მილიციელის ხელით, რომ ნამდვილ ავტორებზე ექვი არ მიიტანოს.

— როგორ ფიქრობ ავგუსტინა, ოსიპი წაგა საავადმყოფოში?

— ჯერ ჩემთან მოვა ჩჩვეის საკითხავად.

— შენთან ის არ მოვა!

მოვა იულია. ის მოვა, უსათუოდ მოვა! მას ჩემგან არაფერი აქვს დამალული. სწორედ ესაა დავიმატკიცებ, რომ მე მართალი ვარ მის შეფასებაში. იულია! ჩემო იულია! გაიციან, გაიციან! ხა,ხა,ხა,ხა,ხა! ოსიპი მოვა ჩემთან და მკითხავს რჩევას. როგორ მოგწონს ეს ამბავი? გაივებუნ მისი ამხანაგები და ამას ანეკდოტად გადააქცევენ. ანეკდოტი! მთელი ცხოვრება რეალური ანეკდოტია და ჩვენ ყველამ უნდა ვიცინოთ, ვიდრე ცოცხლები ვართ. მაშ ვიცინოთ იულია!... იულია, ჩემო იულია, რომ იცოდდე... რა კარგია სიცოცხლე!



ოსიპი იცვამდა ძველ, გაცვეთილ კოსტიუმს. აფანჯარაზე თვალი მოჰკრა შუაზე გადატეხილ საფარცხელს და აიღო. მაგრამ მალე მოაგონდა, რომ თავზე თმა არ ჰქონდა, გადაავლო და უარესად დაამტვრია. შენდევ აიღო ფეხსაცმლის საწმენდი და მით დაუწყაო წმენდა თავის სტუდენტურ ქუდს, რომელზედაც იყო ჯერ კიდევ მენშევიკების დროიდან შერჩენილი მტკერა.

ოთახში ყველაფერი არეული იყო. პირსაბანზე იღო ავეუსტინას სურათი. მაგიდაზე ერთად ელაგა ჰიდრაფლიკის სახელმძღვანელო, შექმული ბატის ძვლები და თეთრი საყელო. საგრძნობი იყო შეხუთული ჰაერი. ეტყობოდა მის პატრონს არ უყვარდა ფანჯრის გაღება.

თვითონ ოსიპი ოცდაცხრა წლისა იყო, თავზე სადაც კი შერჩენოდა თმა—ნოსჩანდა აქა ოქ შეპარული ქალარა. სახე ბრტყელი ჰქონდა და ნიკაბი ოდნავ გაყოფილი. ამავე დროს ჰქონდა საკმაოდ განუთარებელი მუსკულები და მკლავებში ჰგრძნობდა იშვიათ ძალას.

უნივერსიტეტში მას ეძახდნენ მარადიულ სტუდენტს. წელიწადში აბარებდა თითო საგანს. მშობლები ყოველწლიურად ელოდნენ, რომ მალე ოსიპი იქნებოდა ინჟინერი და ამ იმედით უგზავნიდნენ ფულს. მაგრამ ოსიპი არ ჩქარობდა. მიღებულ ფულს კი სასწრაფოდ ანადგურებდა და ხშირად დადიოდა უკაპეიკოდ.

ოსიპი შეტად გულკეთილი იყო და ამით სარგებლობდნენ მისი ამხანაგები, რომლებსაც იგი ჰყავდათ ყოველმხრივ დაბრიყვებული და დამორჩილებული. მოუხედავად იმისა, რომ ოსიპი კარგად ჰგრძნობდა, როგორ ამცირებდნენ მას ამხანაგები—იგი მაინც ვერ ჩამოშორდა მათ. ვინაიდან უიშეთოდ მას არ შეეძლო ცხოვრება. იგი ძალიან იშვიათად გაბრაზდებოდა, ხოლო როდესაც გაბრაზდებოდა—მაშინ ამხანაგებს ეშინოდათ მისი.

მთელი მისი ცხოვრების შინაარსს შეადგენდა:

ამხანაგები, ლეინო, ხუმრობა, კატები და ავეუსტინა.

სხვა სურვილი მას არ ჰქონდა. მშობლების წერილებს კითხულობდა უსიამოვნოდ. როდესაც მოაბუზურეს თავი „ხელმეტი“ დარიგებით, მაშინ გაბრაზებულმა გაუზავნა მათ მოკლე ბარათი, რომელშიაც ისწერდა: „თუ ასე აღვილია უნივერსიტეტის გათავება — მაშინ ჩამობრძანდით და თქვენ გაათავეთ“.

ამის შემდეგ კარგა ხანს შესწყდა საყვედურები. ამ საღამოს, როდესაც იგი კოსტიუმს იცვამდა, იცოდა, რომ ამხანაგი ზებულონის ბინაზე მის ამხანაგებს დანიშნული ჰქონდათ რაღაც კრება. მართალია ოსიპი არ მიუწყვევიათ, მაგრამ უიმისოდ როგორ შეიძლებოდა. მას საერთოდ არასოდეს არ იწყევდენ, მაგრამ მისი ყოფნა იგულისხმებოდა. თუმცა ოსიპს ქორეით ეზარებოდა კრებები და საზოგადო საქმეები, მაგრამ ხშირად კრების შემდეგ იმართებოდა დროს ტარება, გარობა და ოსიპსაც ეს უნდოდა.

როდესაც მორჩა კოსტიუმის ჩაცმას გამოვიდა ეზოში.

მთელი ქუჩა იცნობდა ოსიპს. განსაკუთრებით იგი ღვწარდათ ბავშვებს, რომლებთანაც მან იცოდა ხანგრძლივი ხუმრობა და თამაშობა.

ეზოში ბავშვებმა მიანებეს თავი ბურთაობას და შემოეხვიენ ოსიპს.

მეზობლებმა დაუწყეს ოსიპს ცქერა ჩვეულებრივი ცნობის მოყვარეობით.

როდესაც ოსიპი კარგ ხასიათზე იყო, მაშინ მან იცოდა ერთი სიტყვის მხიარულად წარმოთქმა:

— გიყვარდეს...

და ამ სიტყვის ბოლო მარცვალს იგი გააგრძელებდა ისე, რომ მას განოუდიოდა:

— გიყვარ—დე... ე... ეს...

ახლაც წარმოთქვა ეს სიტყვა, როდესაც შეამჩნია, რომ რკინის დახვეულ კიბეზე მიცოცავდა შავი კატა. არაჩვეულებრივი სისწრაფით დაედევნა, სწვდა კუდში და დაიკირა. შემდეგ შეიყვანა იგი ბავშვებით გარშემორტყმულ რკალში და ასე უთხრა:

— ამხანაგო კატა, შენ დაპატიმრებული ხარ, თუ  
გსურს თავისუფლება მიიღო, მაშინ უნდა დაიკნაველო.  
კატა ჩუმად იყო და გაოცებით იცქირებოდა გარ-  
შემო.

ოსიპმა დაიკნაველა. მაშინ კატა მიხვდა, რასაც  
სთხოვდენ და წაბაძა ოსიპს.

კატა სიცილით გაანთავისუფლეს.

შემდეგ ოსიპმა ჩაამწყრივა ერთ რიგში თორმეტი  
ბავშვი. უთხრა მათ, რომ ერთმანეთისათვის ხელი ჩაე-  
კიდათ. თვითონ მოჰკიდა ხელი პირველ მათგანს და გას-  
ცა ბრძანება:

— იარეთ!

ბავშვები ხელიხელ ჩაკიდებულნი მიყვებოდენ  
ოსიპს. ეზოს ბოლოში მომალეებულ ადგილზე — ჩამო-  
კიდებული იყო მილი, რომელშიაც გატარებული იყო  
საკმაო რაოდენობის ელექტროობა. ოსიპმა წააველო ხე-  
ლი მილს და მოულოდნელად ბავშვები თავიანთი მე-  
თაურით ახტენ მაღლა ჰაერში.

ბავშვებს ჯერ შეეშინდათ, მაგრამ როდესაც დაე-  
შვენ ისევ დაბლა, დაიწყეს ხარხარი.

ხარხარებდენ მეზობლებიც.

ეზოში შემოვიდა მილიციელი, რომელმაც მიაშუ-  
რა პირდაპირ ოსიპს და შეეკითხა:

— თქვენი სახელი?

— იოსებ. იოსიფ. იოსი. ოსიკ. ოსია. ოსიპ. ოსიპ  
ოსიპიჩ — მიუგო დაღაგებით.

ბავშვებმა კვლავ გადინახარეს, ხოლო მილი-  
ციელს შეეშინდა, ხელიდან გაუვარდა ქალაღი და  
უკან გაბრუნდა.

ოსიპმა აიღო ქალაღი და წაიკითხა. გაბრაზდა.  
შემდეგ ისევ წაიკითხა რამოდენიმეჯერ.

პირველი აზრი, რომელიც მას მოუვიდა ამ დროს—  
ეს იყო:

„ავგუსტინა!“

სასწრაფოდ შეეარდა ოთახში. გადაისხა ოდეკო-  
ლონი, გადაიკვა პალტო და გამოვიდა გარედ.

ბავშვებმა ვერ გაიგეს, თუ რატომ მოხდა ასეთი უეცარი ცვლილება ოსიპის განწყობილებაში და დაედევნენ ქუჩაში.

კარგა ხანს მისდევდნენ. ოსიპი მიდიოდა ძალიან ჩქარა და არ იხედებოდა უკან. ხოლო როდესაც იგრძნო, რომ უკან მისდევდნენ ბავშვები, მობრუნდა და განრისხებულმა დაუყვირა:

— დაიკარგეთ აქედან, თქვე კონტრრევოლუციონერებო...

ეს იყო მისი საყვარელი სიტყვა — გაბრაზების უამს.

ხოლო შეშინებულმა ბავშვებმა, რომლებმაც არ იცოდნენ ამ უცნაური „გინების“ ახსნა—მოკურცხლეს უკან, თავიანთი ეზოებისაკენ.

ღანდებოდა.



ოსიპს არ ესიამოვნა, რომ ავგუსტინა მარტო არ იყო. ახალგაზრდა ქალები კი მოუთმენლად ელოდნენ, რომ იგი დაიწყებდა ლაპარაკს, ოსიპი ჰგრძნობდა უხერხულ მდგომარეობას.

ავგუსტინამ გამარჯვებული ღიმილით გადახედა იულიას და შემდეგ მიმართა ოსიპს:

— ოსიპ, შენ გეტყობა რაღაცას აუღელვებიხარ. რატომ არ ნეუბნები?

ოსიპმა გაუბედავად გაიხედა იულიას მიმართულე-ბით. ავგუსტინა მიუხედა აზრს და დაამშვეიდა:

— იულია ჩემი საუკეთესო მეგობარია. ნებას გაძლევ ილაპარაკო ამასთან ისევე თავისუფლად, როგორც ჩემთან.

მაშინ ოსიპმა გაივლო ჯიბეზე ხელი, ნელა ამოიღო უცნაურად დაკმეჭნული ქაღალდი, გაშალა და გაუწოდა ავგუსტინას. ავგუსტინა და იულია ოსტატურად იკავებდნენ თავს, რომ სიცილი არ წასკდონოდათ. ხელიდან ხელში გადადიოდა ფსიქიატრული საავადმყოფოს ბლანკი. ავგუსტინამ შებრალების ნიშნად თავზე

ხელი გადაუსვა და გვერდით მოიჯინა. ეს იყო სს<sup>ს</sup> თესო წამალი, რომელიც დაამშვიდებდა ოსიპის ადრე-  
ვებულ სულს. ოსიპმა იგრძნო რაღაც შვება. ისე ეგონა,  
უდიდესი ლოდი მოსწყდა გულიდან. მადლობის ნიშ-  
ნად მოწიწებით ენთხვია ხელზე.

ავგუსტინამ ნელა წაიღო ხელი უკან და შეეკითხა:

— რას აპირებ ეხლა?

— მე მოვედი შენთან რჩევის საკითხავად. — მიუ-  
გო ოსიპმა.

— ამ საქმეში მე არ შემძლია რჩევის მოცემა. აქ  
ისე უნდა მოიქცე, როგორც შენ დაინახავ საკიროდ.

— მე მინდოდა, ავგუსტინა, გამეგო შენი აზრი, თო-  
რემ მე უკვე მაქვს ჩემი გადაწყვეტილება.

— როგორია შენი გადაწყვეტილება?

— არ წავალ.

— როგორ დაასაბუთებ წაუსვლელობას? — შეე-  
კითხა იულია. რომლის ხმაში მოსჩანდა ერთსა და იმა-  
ვე დროს სიბრაღული და ცნობისმოყვარეობა.

ოსიპი სახეზე იცვლებოდა. იგი წამოდგა და დაიწყ-  
ო წინდაუკან სიარული.

ავგუსტინა შესცქეროდა მას კატის თვალებით.  
რომელიც ათანაშებს თავის კლანჭებში დაქერილ  
თავეს. უაღრესი კმაყოფილებით ადევნებდა თვალყურს  
თავის ინტრიგის მსხვერპლს.

იულია ელოდა პასუხს თავის საკითხზე. მასაც,  
თავისდაუნებურად გადაედო ავგუსტინას სიხალისე და  
ეხლა სრულიად აღარ ნანობდა, რომ ისიც თანამონა-  
წილე იყო ამ საქმისა. თან თვალებით ანიშნა ავგუსტინ-  
ნას, რომ ავგუსტინას შეფასება სწორი იყო. იულია  
დარწმუნდა, რომ ეს ადამიანი იწვევდა მხოლოდ სიბრა-  
ღულს, მაგრამ არა სხვა რაიმე, უფრო საპატივისცემო  
გრძნობას. მიუხედავად ამისა, იულიას უკვირდა, რომ  
თვითონ მასაც აღმოაჩნდა ბოროტების ნასახი. სხვანაი-  
რად როგორ შეიძლებოდა ახსნა იმ გარემოებისა, რომ  
ამ საცოდავი ადამიანის ტანჯვა — იულიაში იწვევდა  
ფარულ, რაღაც უცნაურ და გაუგებარ სიამოვნებას?

იულიამ გაიმეორა თავისი საკითხი.



ოსიპი უცბად შეჩერდა იულიას პირდაპირ. <sup>გაუქმდა</sup>  
წორა თვალები და გაანუცხადა:

— ამას არაფერი დასაბუთება არ სჭირია. <sup>ინსტრუქცია</sup>  
ცხადია. თუ ჭკვიანი ვარ—მაშინ რა ესაქმებათ <sup>ამას</sup>  
ჩემთან? რისთვის უნდა წავიდე? ხოლო თუ გიყი ვარ...  
მაშინ არ მივდივარ! გესმის? არ მივდივარ! გიყი ვარ  
და არ მივდივარ!...

ძნელი იყო თავის შეკავება და მათ გაიცინეს.

ხოლო ოსიპმა ძლივს მოახერხა:

— შენც, ავგუსტინა, შენც დამცინი?

რამდენი იყო ამ ხმაში გულისტკივილი, მწუხარება  
და სისწარე!

ავგუსტინაში თითქოს ერთს წუთს გაიღვიძა ადა-  
მიანურმა გრძნობამ და მიუალერსა:

— არ გრცხვენია, ოსიპ? ვანა ჩვენ შენზე გავიცინ-  
ნეთ?... როგორ შეიძლება ასეთი აზრის გაფიქრება?  
ჩვენ მხოლოდ მოგვეწონა შენი მსჯელობა... ასე არაა  
იულია?

— რასაკვირველია, ასეა.—დაუდასტურა იულიამ.

— რაც შეეხება ამ ქალალდს — ვანაგრძო ავგუს-  
ტინამ — ამაზე ნუ იღარდებ. შენ არსადაც არ გაბედლო  
წასვლა. როგორ შეუძლიათ ძალით შეგანოწმონ? საქ-  
მე ხომ არ გამოლევიათ ფსიქიატრულ საავადმყოფოში?  
ამ ქალალდს კი, დახედე რას უხამ.

და ამ სიტყვებთან ერთად ავგუსტინამ ქალალდი  
ნაფლეთებად აქცია. შემდეგ შეეკითხა:

— რატომ არ მომიყვები როგორ ვაატარე დღე-  
ვანდელი დღე?

— ჩვეულებრივად. ემეცადინობდი პიდრავლიკაში,  
თავში არაფერი შევიდა. შემდეგ ჩავიცვი კოსტიუნი,  
გაიწმინდი ქუდი. ეზოში ვათამაშე ბავშვები და კატას-  
თან პატარა რეპრტიცია მქონდა.

— ახალი ამბავი რა იცი?

— ამ საღამოს ზებულონის ოთახში დანიშნულია  
კრება. იქნებიან ყველა ამხანაგები.

— ო, ეგ ჩინებულია — მხიარულად წამოიძახა ავ-

გუსტინამ, რომელსაც რაღაც აზრმა გაუელვა თავში და  
ეშმაკურად ჩაიცინა, შენდეგ ისევ შეეკითხა:

— რომელ საათზეა დანიშნული?

— სრულ რვაზე- უკვე დროა. მე წავალ ეხლა.

— წადი ოსიპ. შეიძლება ჩვენც მოვიდეთ. მხო-  
ლოდ არავის არ უთხრა. მოვალთ ისე, უეცრად.

— გიყვარდეს... — ალტაცებით წამოიძახა ოსიპმა  
და გავიდა ოთახიდან.

როცა მარტო დარჩენ — იულიამ უთხრა ავგუს-  
ტინას:

— ხომ არ გავიყდი. რა გვესაქმება იმათ კრებაზე.  
მე არსადაც არ წაწოვალ.

ამაზე ავგუსტინამ მიუგო თავისი ჩვეულებრივი  
სიცილით და გადამდები სიხალისით:

— წამოხვალ. სიხარულით წამოხვალ. რას შემომ-  
ცქერი იულია? ნუ თუ მართლა ჰფიქრობ, რომ ისინი  
რამეს აკეთებენ კრებებზე? ხა, ხა, ხა! ისინი ისევე  
ჰფიქრობენ ჩვენზე, როგორც ჩვენ მათზე. ჩვენი მისე-  
ლა — ნათთვის იქნება შველა. გადარჩებიან თავის სუ-  
ლელურ კრებას. ამაშიაც ისევე დარწმუნდები, რო-  
გორც ოსიპის შეფასებაში. კრება! რას მიქვია კრება!  
ძირს კრება! გაუმარჯოს ახალგაზრდობას და სიამოვნე-  
ბას! გაუმარჯოს სიცოცხლეს!

## 2

პაპიროსის საფერფლე საესე იყო. ზებულონმა თვალით ანიშნა ოსიპს, რომ გაეტანა და ვაეწმინდა. ოსიპი არ წამოდგა. თვალებითვე უპასუხა, რომ ვინც სწევდა — იმან გაიტანოსო. მაშინ ზებულონმა გაისწორა პენსნე და პირდაპირ ნიაჩერდა ოსიპს. ოსიპმა იგრძნო, რომ ზებულონის თვალები გამოხატავდნენ წყრომას, სასწრაფოდ წამოდგა, დაავლო ხელი საფერფლეს და გაიტანა.

ზოგიერთებმა გაიღიმეს.

ზებულონი იყო ყველა ამხანაგებზე მაღალი. კარგი ჩაცმულობა და პენსნე ხელს უწყობდა დანარჩენებზე ჰეგემონობას. იგი იყო უკანასკნელ კურსზე და ეს გარემოებაც ლაპარაკობდა მის საპატივისცემოდ. ამიტონაც გასაკვირი არ იყო, რომ ყოველთვის, როდესაც შეიკრიბებოდნენ ამხანაგები სერიოზული საკითხების განსახილველად, დირიჟორის ჯოხი აღმოჩნდებოდა მის ხელში.

ზებულონს უყვარდა დისციპლინა და ამასვე მოითხოვდა დანარჩენებისაგან. თავმჯდომარის ზარი მის ხელში იყო სასტიკი მუქარა იმათთვის, ვინც წესს არღვევდა. ყოველი ამხანაგის სიტყვა, უხდა ყოფილიყო მოსმენილი ყურადღებით. ყველას უხდა ჰქონოდა ქალაქდები, თავისთვის აღენიშნათ შენიშვნები და შემდეგ რიგრიგობით განოეთქვათ თავისი აზრი.

ზებულონსაც უყვარდა სხვებივით სიმხიარულე, დროსტარება და ხუმრობა, მაგრამ კრებების დროს, იგი სრულიად გამოიცვლებოდა. თავისი მოქმედებით იგი აიძულებდა ამხანაგებს, რომ მისთვის მიეხამათ. სხვებიც

პგრძნობდენ, რომ ასეთი როლი ყველაზე უფრო გეფერებოდა მას.

წინ ედო ფანჯარი და ქალაღდი. ქალაღდზე ეწერა უშინაარსო და ულოლიკო სიტყვები, რომლებიც განაგები იყო მხოლოდ მისი დამწერისათვის. ამავე დროს იქ ეხატა სამკუთხედები, რგვალნი წრეები და ოსიპის თავი. როდესაც ლაპარაკობდა რომელიმე ამხანაგი, რომელიც გამოთქვამდა რაიმე ახალ, ორიგინალურ აზრს, იგი იტყოდა ერთ სიტყვას „აჰა“ და თავისთვის შენიშვნებში აღნიშნავდა უკანასკნელი წინადადების ერთერთ დამახასიათებელ სიტყვას. ხოლო რას ნიშნავდა ეს „აჰა“ — კმაყოფილებას თუ უკმაყოფილებას — ამას გაიგებდენ ამხანაგები ყველაზე ბოლოს, როდესაც ყველანი მორჩებოდენ თავიანთი აზრების გამოთქმას.

როდესაც ის შეუდგებოდა, — თავისივე სიტყვებით, — „რეზიუმეს გაკეთებას“, ამხანაგებმა წინდაწინ იცოდენ, რომ ის უპირველეს ყოვლისა, გაისწორებდა პენსნეს და შემდეგ დაისხამდა კიქა წყალს, რომელსაც არასოდეს არ სვამდა. სიტყვას იწყებდა ნელა, დაკვირვებით და გრძელი, მოსაწყენი წინასიტყვაობით. როდესაც მორჩებოდა წინასიტყვაობას, მას ყოველთვის ეძნელებოდა საკითხის შუაგულში შეჭრა, სამაგიეროდ არაჩვეულებრივი ოსტატობით ეხერხებოდა გაკრიტიკება ისეთი წვრილმანებისა, რომელსაც საქმისათვის არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა. წვრილმანების გაკრიტიკებასთან ერთად იგი შედიოდა პათოსში, ლოყები უწითლდებოდა, თვალები უბრწყინავდა პენსნეს ქვეშ და იგი პგრძნობდა, რომ მას უსმენდნენ უდიდესი ყურადღებით და ინტერესით, ხოლო როდესაც დაასრულებდა თავის სიტყვას, პათოსთან ერთად ჰქრებოდა შთაბეჭდილება და ისიც, სხვებთან ერთად პგრძნობდა, რომ საკითხის გარშემო, მას არსებითად თითქმის არაფერი უთქვამს.

ზებულონის მიერ წვრილმანების გაკრიტიკებას — ზოგიერთი ამხანაგები სთვლიდენ ვადაქარბებულ ფორმალობად. ამიტომაც მას, მეგობრული ხუმრობით ეძახდენ „წერტილ-მძიმეს“.

ზებულონი კი მიდიოდა ერთხელვე აღებული გე-

ზით და არავის გავლენის ქვეშ არ ექცეოდა. თვითონაც რომ დარწმუნებულიყო თავის შეცდომაში, იგი უკან არ დაიხევდა და მაინც ამტკიცებდა, რომ ეს მარტოა თალი იყო. ხშირად თვითონაც არ იცოდა, ეს იყო უბრალო ეინი, თუ მისი შინაგანი, ღრმა რწმენა.

დღევანდელი კრება ჯერჯერობით მიმდინარეობდა ისეთი სერიოზულობითა და სიწყნარით, რომელიც სავსებით აკმაყოფილებდა მის თავმჯდომარისებურ შეხედულებებს კრების წესრიგზე. როდესაც ამოიწურა დღის წესრიგიდან პირველი საკითხი და გადავიდნენ მეორეზე, თავმჯდომარემ განაცხადა:

— ამ საკითხის შესახებ თავის აზრის გამოსათქმელად ჩაწერილი არიან ყველა ამხანაგები. მე წავიკითხავ სიას და ყველამ დაიხსომეთ თქვენი რიგი: აბიშაი, იონა, სიმონ, ცები. არიელ, ნათან. მე ვიქნები უკანასკნელი, ესე იგი, მეშვიდე.

ოსიპი წამოხტა აღელვებული.

— მე რისთვის არ ეწერივარ მაგ სიაში?

— უკაცრავად, დამაფიწყდი. ეხლა უკვე შეტანილი ხარ. მაშასადამე შენ იქნები მეშვიდე, მე კი—მერვე. სიტყვა ეკუთვნის ამხანაგ აბიშაის.

აბიშაი თავის ტანადობით და შეხედულებით სრულწინააღმდეგობა იყო ზებულონისა. იგი იყო დაბალი და რგვალი სახე ჰქონდა. მისი ლაპარაკისათვის დამახასიათებელი იყო ის, რომ არასოდეს არ იტყუოდა სიტყვას გარკვევით. ლაპარაკობდა ჩქარა. სწავასხუპით და ყოველთვის ყლაპავდა უკანასკნელ მარცვლებს.

მიუხედავად ამ ნაკლისა, ამხანაგებში თავიდანვე მიღებული იყო შეხედულება, რომ აბიშაი ძალიან ჭკვიანი, წინდახედული და დაკვირვებული ახალგაზრდა იყო. რასაკვირველია, მისი სიფრთხილე და წინდახედულობა ხანდახან აქარბებდა ყოველგვარ საზოგარებოს. ეინიდან არ არსებობდა არავითარი საამისო სათუქმველი, მაგრამ ეს მაინც არ უშლიდა მას ხეოს. რომ ჩვეულებრივად, კვლავ გამოეთქვა თავისი საშიშროება ანა თუ იმ საკითხის გარჩევის დროს. თავის სიტყვაში — სიმძიმის ცენტრი ყოველთვის გადაჰქონდა „ტაქტიკურ სა-

კითხებზე“ და იძლეოდა „გამაფრთხილებელ სიტყვებს“.

ამხანაგები მას ეძახდნენ „ღმერთის ადიუტანტს“. ეს სახელწოდება მისთვის არ მიუციათ შემთხვევით. აბიშაი იყო ერთად ერთი თავის ამხანაგებში, რომელსაც სწამდა ღმერთი. რწმენა არ იყო მისთვის უბრალო ჩვეულების საქმე. იგი მთელი თავისი არსებით იზიარებდა რელიგიის ყოველ მოძღვრებას და იყო ნამდვილი მორწმუნე. დილაობით ლოცულობდა ლოცვას, შემდეგ სვამდა ჩაის და მიდიოდა უნივერსიტეტში ლექციების მოსასმენად. ღამთაობით დაძინებამდე წარმოსთქვამდა ძილის ლოცვას. არასოდეს არ სადილობდა რესტორანებში. სვამდა ქაშერს და ეზიზღებოდა ტარეფა<sup>1</sup> შაბათობით დადიოდა სალოცავში და ამხანაგი ცების მოსწრებული თქმით „ღმერთს ეჩხუბებოდა“.

ტუფურკაზე, ზედაჯიბის მახლობლად დამწვარი ჰქონდა პატარა ადვილი.

ეს იყო არიელის „საქმიანობის“ შედეგი, რომლის დეტალები ყველამ კარგად იცოდა: ერთ შაბათ დღეს, აბიშაის დახეული ჰქონდა ფეხსაცმელი, სალოცავში ვერ წავიდა და თავის ოთახში ლოცულობდა. როდესაც იგი იდგა ყამიდაზე,<sup>2</sup> ამ დროს შევიდა მასთან არიელი, რომელსაც ხელში ეჭირა მოკიდებული პაპიროსი. არიელი მიესალმა აბიშაის. აბიშაიმ არ დაარღვია რელიგიური წესი და არ უპასუხა. მაშინ არიელმა ჯიბეში ჩაუდო პაპიროსი. გაცილებით უფრო უხერხულ მდგომარეობაში ჩაეარდა აბიშაი, ვინაიდან შაბათ დღეს მორწმუნე ებრაელს არა აქვს უფლება ხელი მოჰკიდოს ცეცხლმოკიდებულ პაპიროსს და ამავე დროს იგი იდგა ყამიდის ლოცვაზე, როდესაც მას არ შეეძლო არც ნაბიჯის გადადგმა, არც ხმის ამოღება და არც უბრალო განძრევა. პაპიროსმა დაიწყო თავისი გამანადგურებელი მოქმედება ტუფურკის ზედაპირზე და გამწვარებული აბიშაი გაიძახოდა მხოლოდ:

<sup>1</sup> ტარეფა—არა წესისამებრ დამზადებული.

<sup>2</sup> ყამიდა—ლოცვა ფეხზე დგომით, ჩუმატ და გაუნძრეველად.



რალს საკითხებზე. მისი რეპერტუარი ყოველთვის საე-  
სე იყო მსოფლიო პრობლემებით, სადაც ერთმანეთში  
დომნალივით ირეოდა: სამართალი, ფილოსოფია, მარქ-  
სიზმი, ტეხნიკა, საერთაშორისო პოლიტიკა. როდესაც  
მორჩებოდა ზემოთაღნიშნულ საკითხებს, უცნაურად  
გაილიძებდა და უცბად შეაპარებდა თავის მობაასეს:

— ერთი აბაზი ხომ არა გაქვსო...

რასაკვირველია აბაზის საკითხი მეტისმეტად პრო-  
ზაული და უფერული იყო დიდი პრობლემების შემდეგ,  
მაგრამ იშვიათად ვინმე ეტყოდა უარს, თუ კი ჯიბეში  
ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ მიმცემა კარგად  
ჰგრძნობდა, რომ ეს აბაზი — მას აღარასოდეს არ დაუბ-  
რუნდებოდა.

ერთი ნაკლი ჰქონდა იონას: იყო ცრუ. მაგრამ იგი  
არ ჰგავდა სხვა ცრუებს, რომლებიც ტყუილს იშველიებენ  
მაშინ, როდესაც ეს მათ სჭირათ. იონა ამბობდა სიც-  
რუეს ყოველთვის, განურჩევლად, იმისდამიუხედავად  
ეს რისმესთვის საჭირო იყო თუ არა. სიცრუე იმდენად  
შესისხორცებული იყო მასში, რომ ხშირად თვითონაც  
სჯეროდა თავის მიერ მოგონილი ამბავი. ეს სიცრუე  
ახასიათებდა მას, როგორც პირად ცხოვრებაში, აგრეთ-  
ვე კრებაზე, კამათის დროს, პროფესორთან გამოცდების  
ჩაბარების დროს და საერთოდ ყველგან, სადაც კი მას  
უბდებოდა ყოფნა.

იონას არასოდეს არ ჰქონია თავისი საკუთარი გარ-  
კვეული შეხედულება ამა თუ იმ საკითხზე, ხშირად ექ-  
ცოდა ვაილენის ქვეშ და ზებულონი ყოველთვის ამ-  
ბობდა მასზე, რომ იონა ერთ ტყბილ ნამცხვარში გაპ-  
ყიდის თავის იდეალებსო. იგი იყო მეტად უბრინციპო  
და არ ცდილობდა საკითხებში გარკვევას.

სიტყვის დაწყების დროს, მას ყოველთვის ახასია-  
თებდა ერთი ფრაზა:

— იცი, რას გეტყვით...

და ამხანაგებიც ელოდენ, რას იტყოდა. მაგრამ  
ჩვეულებრივად იგი ყველაფერს ერთმანეთში ურევდა  
და არაფერ ღირსშესანიშნავს არ ამბობდა, პირიქით,  
თვითონ ზებულონი გამოდიოდა მოთმინებიდან და მოუ-



წოდებდა, რომ მას ელაპარაკნა საკითხის გარშემო. იონაც ცდილობდა, მაგრამ არაფერი არ გამოუდიოდა.

სიმონის სწორი სახელი იყო „შიმყონი“, მაგრამ მისი ებრაული გამოთქმა მას არ მოსწონდა და ამიტომ თავისი სახელი შეაღამაზა. თუ ვინმე შეცდომით დაუძახებდა ძველ სახელს, იგი თვალებით შებღვევრდა ისე საშინლად, რომ მომავალში ეს აღარ მეორდებოდა.

ამხანაგმა ცებიმ, რომელმაც დიდი ოსტატობა გამოიჩინა ამხანაგებისათვის სახელის დარქმევაში მას უწოდა: „ხეკაკუნა“.

სიმონს ამხანაგებთან თავი მედიდურად ეჭირა, რას გამოც ამხანაგებს არ უყვარდათ იგი. ისიც იცოდენ, რომ მას სრულებით არა ჰქონდა უფლება ყოფილიყო დიდი წარმოდგენისა თავის თავზე, მაშინ როდესაც იგი უნივერსიტეტიდან რამოდენიმეჯერ იყო გამორიცხული აკადემიური ჩამორჩენილობის გამო. იგი შედარებით სხვა ამხანაგებთან ხნიერი იყო და ეკუთვნოდა ოსიპის თაობას.

განსაკუთრებით მას ახასიათებდა ორი თვისება: შური და სიზარმაცე. შური აღეძრებოდა ყველას შიმართ, ვინც არ უნდა ყოფილიყო. ვერ ინებებდა ამხანაგის დაწინაურებას, დამოუკიდებლად გამოთქმულ აზრს, ბეჯითად მეცადინეობას, ვერც გაეგო რატომ ირჩევდენ თავმჯდომარედ ზებულონს და არა მას. ეზარებოდა არიელი, ცები და ნათანი, რომლებსაც უწოდებდა მათ არ ყოფნის დროს „პროვინციიდან მოთრეულებს“. სიზარმაცე — ეს იყო მისი ავადმყოფობა. ხშირად მთელი დღეობით იწეა ლოჯინში, რადგანაც ეზარებოდა წამოდგომა, გარედ გასვლა და თავისთვის საუზმის ყიდვა. ხანდახან ოსიპი განოუვლიდა და ყვილიაფერს უკეთებდა. სიმონი ისე შეეჩვია ოსიპის შემწეობით თავის საქმეების კეთებას, რომ ხშირად, როდესაც ოსიპი არ მოვიდოდა და მიხვდებოდა მას შემდეგში — ჰქონდა მასთან დაუსრულებელი ჩხუბი. ოსიპი კი არ აძლევდა თავს ანგარიშს. თუ რა უფლებით ედავებოდა მას სიმონი და ამტყუნებდა ისეც თავის თავს.

სიმონი იყო იშვიათი ტრამბახა. საკმარისი იყო გაეცნო რომელიმე დაწესებულების ტექნიკური თანამშრომელი, — იქვე დაყრიდა ხმებს, რომ მან გაიცნო დაწესებულების თვით ხელმძღვანელი, რომელთანაც გააბნინტიმური კავშირი და ასე ამგვარად, მას შეუძლია „საქმეების გაკეთება“. მისი ტრამბახი ხშირად ფანტასტიურ საზღვრებს აღწევდა.

ქალებს უცქეროდა გაუმაძღარი მამაკაცის თვალით. ამ ნიადაგზე მან ერთხელ მიიღო სილა აევუსტინას ხელიდან, მაგრამ ეს მისთვის არ იყო მაინცდამაინც საკმარისი გაკვეთილი. იგი არ გამოიცივალა.

იონასთან ჰქონდა საერთო ის, რომ მასაც არ ჰქონდა გამომუშავეებული თავისი საკუთარი მსოფლმხედველობა. ხშირად მოჰქონდა თავი საუკეთესო მარქსისტად, მაგრამ არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო ემუშავა უკოდურეს ნაციონალისტებთან. ამ წრეს ეკუთვნოდა იმდენად, რამდენადაც მას არ ჰქონდა სხვა წრე, სადაც შეეძლო თავი შეეფარებინა.

ნათანმა სიმონის პირველ გაცნობისთანავე აღნიშნა: — უპრინციპობა, რომელიც ახასიათებს სიმონს, იმდენად საგრძნობია, რომ ყოველ წუთს მოსალოდნელია მისი ჩამოშორება, ხოლო თუ დღემდე არ ჩამოშორებულა, ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ მან არ იცის, რომელი კარებიდან გავიდეს და რომელ კარებში უნდა შევიდეს.

სიმონი იწყებდა სიტყვას პათოსით, ბრტყელ ბრტყელი სიტყვებით — მეტი ეფექტის მოსახდინად, მარამ რადგანაც თვითონაც არ იცოდა, რას იტყოდა, შუაგზაზე შეჩერდებოდა, ვილაცას ან რალაცას ვადაბრალებდა და უცბად შესწყვეტდა.

ასეთ წუთებში ცები აკვირდებოდა სიმონის ცხვირს. რომელიც უეცრად იზრდებოდა და წითლდებოდა, ხოლო ნათანი, ჩაილაპარაკებდა თავისთვის:

— ხეაკუნა....

ცები იყო გულწრფელი და გულუბრყვილო. ყოველთვის ამბოდა იმას, რასაც ჰფიქრობდა, ხოლო დაფარვა თავისი აზრებისა მას არ შეეძლო. ხშირად ეს

გარემოება მას აყენებდა ბრავალ უსიამოვნებას, მაგრამ იგი ყოველთვის ამბობდა, რომ „მწარე სიძარტლე სჯობია — ლამაზ სიცრუეს“. მის გულწრფელობას სიმონი და იონა ეძახდნენ პროვინციელობას, გაუზრდელობას, თავხედობას და კიდევ სხვა მლაშე სიტყვებს, მაგრამ ცები თავისთვის ღრმად დარწმუნებული იყო, რომ ეს შეფასება არ შეეფერებოდა სინამდვილეს.

ნათანის შემდეგ იგი იყო ყველაზე ახალგაზრდა და მისი მეცადინეობა უმაღლეს სასწავლებელში მიმდინარეობდა წარმატებით. გაზაფხულის სემესტრზე ჩააბარა საგნების მაქსიმუმი და სუფთად გადავიდა შემდეგ კურსზე. თავისუფალ დროს იგი ანდომებდა თვითგანვითარებას.

ცები ღარიბი ოჯახის შვილი იყო, რომლის მშობლებიც ცხოვრობდნენ მიყრუებულ პროვინციაში. სახლიდან იშვიათად მოსდიოდა რამე. მიუხედავად ამისა ცების ჰქონდა განსაკუთრებული, თავისებური შეხედულება ცხოვრებაზე; იგი არასოდეს არ ეძლეოდა სასოწარკვეთილებას ცუდი მატერიალური პირობების გამო და საოცრად ეგუებოდა ყოველნაირ მდგომარეობას. ტფილისში ჰქონდა კერძო გაკვეთილები და იმით ირჩენდა თავს. როცა ჰქონდა ფული — ხარჯავდა, როცა არა — არა. დიდი ნაწილი მისი ბიუჯეტისა მიდიოდა წიგნებში, ხოლო პატარა ნაწილით არსებობდა თვითონ და ხანდახან რამოდენიმე მანეთს გადაუგზავნიდა თავის მშობლებს.

იგი იყო ენტუზიასტი. იშვიათად ეს ვისმე უხდებოდა, როგორც ცების. ყოველ ახალ დასაწყისს — იგი დაეწაფებოდა არაჩვეულებრივი სიხარბით. მასში იყო ნაუჭრობელი ცეცხლი, რომელიც მზად იყო ყოველთვის გაღვივებულიყო. ოღონდ კი იგი ვისმე აენთო. მისი ნაკლი იყო ის, რომ მისი ცეცხლი ისევე ადვილად ჩაქრებოდა, როგორც აინთებოდა. თუმცა მასში დამნაშავე იყვენ ის ამხანაგები, რომელნიც თავიანთი გულგრილობით და მოვალეობის შეუგნებლობით ხელს უწყობდნენ — მისი ცეცხლის განელებას. მოვალეობის შეგნება კი პირადათ მას ღრმად ჰქონდა გამჯდარი ძვალსა და

რბილში. არასოდეს არ ავიწყდებოდა, რომ მას მწვა  
განსაკუთრებული მოვალეობა თავისი ჩამორჩენილი და  
ლატაკი თანამოძმეების მიმართ. ხშირად აჭფიქრობდა  
ცები ამ საკითხზე და ამიტომ სიხარულით მიაშურა ამ  
წრეს, რომელსაც განეზრახა კულტურული განაფხუ-  
ლის მოახლოება. წრეში მუშაობის დროს იგი დარწ-  
მუნდა, რომ ზოგიერთი ამხანაგები არ იდგენ სათანადო  
სიმაღლეზე, რომ მათთან მუშაობა ეს იყო ნაძალადევი,  
რომ ამ წრეს არავეითარი ნიადაგი არ ჰქონდა და მო-  
მავალში საჭირო იყო რაღაც ახალი გზები.

როდესაც სოფლიდან მოვიდა ნათანის პირველი  
წერილი — მას უპასუხა პირველად ცებიმ. არავინ ისე  
არ ელოდა მის ტფილისში ჩამოსვლას, როგორც ცები,  
რომელმაც პირადათ გაცნობისთანავე უთხრა:

— ცხოვრებაში არაფერი ყოფილა ისე ძნელი, რო-  
გორც ნამდვილი ამხანაგის შეძენა. მე ძალიან მინდა,  
რომ ისეთი ამხანაგი, როგორც მე წარმომიდგენია, იყო  
შენ. მე გელოდი დღითი დღე და ვითვლიდი საათებსა  
და წუთებს. მე ვიწვი საკუთარი ცეცხლით. საჭირო კია,  
რომ ჩვენი ცეცხლით დაიწვიათ არა ჩვენ. არამედ დაიწ-  
ვიათ ყოველივე ის ძველი, რომელიც გზაზე გველობება.  
ზირდაპირ გეტყვი, ამხანაგები ჩვენ გვყავს ძალიან ცოტა  
და ამიტომაც სწორედ საჭირო ჩვენი უფრო მჭიდროდ  
დაკავშირება. ყოველ შემთხვევაში ჩვენ უნდა გვქონდეს  
ერთი გზა.

და ცებიმ მაშინ წაიკითხა ნათანის თვალეზში, რომ  
იგი არ მოტყუვდებოდა: ნათანი იქნებოდა საუკეთე-  
სო ამხანაგი, შეუღრეკელი მებრძოლი და ღირსეული  
მეხანძრე.

არიელის ვაგება ძნელი იყო ერთი გაცნობით. იგი  
თავის თანამოძმეებზე ახდენდა სხვადასხვანაირ შთა-  
ბეჭდილებას. ამხანაგებიც სხვადასხვანაირად ახასიათებ-  
დენ მას. საკვირველი ის იყო, რომ იგი არავეითარ ყუ-  
რადლებას არ აქცევდა ამ სხვადასხვა დახასიათებას და  
პირიქით ხელს უწყობდა, რომ ყველას განმტკიცებოდა  
ის შთაბეჭდილება, რომელიც მიიღეს მისგან.

შთავარი, რაც ახასიათებდა არიელს — ეს იყო მისი განუსაზღვრელი გულკეთილობა. იგი ყოველთვის, თავის შესაძლებლობის ფარგლებში, ეხმარებოდა, როგორც ამხანაგებს, აგრეთვე გარეშე პირებსაც. საერთო საქმეს იგი ემსახურებოდა სიყვარულით და ნაწილობრივად მასშიაც განვითარებული იყო მოვალეობის შეგნება, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი თვითონაც ჰგრძნობდა, რომ ის არასოდეს არ იქნებოდა საზოგადო მოღვაწე. ხელს უშლიდა რაღაც. ეს რაღაც — რომელიც თვითონ არ იცოდა და სხვებმა კი იცოდნენ — იყო მოუთმენლობა.

როდესაც დაიწყებოდა კრება, იგი სხვებთან ერთად სერიოზულად ეპყრობოდა წამოყენებულ საკითხებს, გამოდიოდა სიტყვით, მსჯელობდა დალაგებით და ხელს უწყობდა საკითხის საფუძვლიან შესწავლას და დამუშავებას, მაგრამ უცბად, მისთვისვე მოულოდნელად იგი იგრძნობდა, რომ მას მოსწყინდა ყოველივე ეს და მოთმინება აღარ ყოფნიდა. ამის შემდეგ, თითქოს ნემსები სჩხვლეტავდნენ, მას აღარ შეეძლო სკამზე ჯდომა და დაიწყებდა წინ და უკან სიარულს, ან ჩამოჯდებოდა ფანჯარაზე, ან ჩამოიღებდა ოსიპის ჩამოკიდებულ ქუდს და დაუწყებდა გადაბრუნებას. ოსიპი როცა შეამჩნევდა ამას, მივარდებოდა არიელს ყვირილით. ზებულონი დაიწყებდა ხარის რეკას და მუჭარას, რომლის შემდეგ კრება ისევ გრძელდებოდა ფორმალურად, თუმცა უკვე ყველანი ჰგრძნობდნენ, რომ ამ სიმშვიდეს არიელი ისევ დაარღვევდა რაიმე ახალი, მისთვის ჩვეული „გამოსვლით“. უმეტესობასაც გადაედებოდა არიელის უეცარი განწყობილება და მაშინ თვით მრისხანე ზებულონიც უძლური ხდებოდა: ასეთ შემთხვევებში კრების ბედი თავისთავად გადაწყვეტილი იყო.

კრების „დასრულების“ შემდეგ წამოიჭრებოდა ახალი, პრაქტიკული წინადადებანი, რომელსაც მოჰყვებოდა ოსიპის სიხარულით გაქცევა მახლობელ დუქანში, საიდანაც მოიტანდა რამოდენიმე ბოთლ ღვინოს, მწვანოს და მკვამლე კიტრებს. ასეთი შემთხვევებისათვის ზებულონი ყოველთვის ჰქონდა მომარაგებული ქუთაისი-

დან მიღებული ძეხვი, რასაც სასწრაფოდ თავს უხრდა და სამხარეულოში ოსიპთან ერთად, რომელსაც ეძახებოდა „დანარჩენი“ საკითხების მოგვარება, რაც მოხატებოდა ცეცხლის დანთებასა და ძეხვის შეწვამას. არიელს, ხუმრობასთან ერთად, უყვარდა „უწყინარი“ გინება. მისი სიტყვით, დაგინების შემდეგ, იგი გრძნობდა რაღაც სიამოვნებას და ხალისის მომატებას. განსაკუთრებით უყვარდა ერთი სიტყვა, რომელსაც ხმარობდა ამხანაგების მიმართ, როგორც სუფრაზე, კრებებზე, აგრეთვე ყოველ ისეთ შემთხვევის დროს, როდესაც მას აღარ ჰყოფნიდა მოთმინება კამათის გასაგრძელებლად ან აღარაფერი ჰქონდა სათქმელი; იგი წამოდგებოდა, ერთი წუთით მიიღებდა სერიოზულ გამომეტყველებას, მიუბრუნდებოდა ამხანაგებს და როგორც მკაცრი ბრალმძებელი, ყველას დაახასიათებდა ამ ერთი სიტყვით:

— იცით თქვენ ვინა ხართ?... თქვენ ყველანი ხართ არარაობა...

ოსიპი იჯდა რბილ სავარძელში და შესცქეროდა სიმონს და არიელს, რომლებიც განუწყვეტლივ სწევდნენ პაპიროსს, რის გამოც საფერფლე ხელახლა ივსებოდა. რა ხდებოდა მის გარშემო — მას არ ესმოდა, ამხანაგები ლაპარაკობდნენ სათითაოდ, მაგრამ მას არ შეეძლო ყური ეგდო შინაარსისათვის, რადგანაც მისთვის ყველაფერი სულერთი იყო და ეს საკითხები სავსებით არ აინტერესებდა. მუხლებზე ედო თავისი ძველი სრულდენტური ქუდი, რომ არიელისთვის აღარ ნიშნავდა საშუალებას მისი გადაბრუნებისა.

ოსიპი ნატრობდა, რომ კრება მალე დასრულდებოდა, მაგრამ საამისო ნიშნები არ სჩანდა. არიელი იჯდა სერიოზულად, ზებულონს მიჰყავდა კრება მთელი სისასტიკით. დღიურ წესრიგში იყო ჩვიდმეტი საკითხი და ჯერჯერობით ირჩეოდა მხოლოდ მეორე. ოსიპის აზრით, ამჟამად მხოლოდ ავგუსტინას გამოჩენას შეეძლო აერია ყველასათვის დაეთარი, რის შემდეგაც საწერ მაგიდაზე უსათუოდ გაჩნდებოდა ღვინით სავსე ბოთლე-

ბი, მაგრამ ავგუსტინაც იგვიანებდა. კრება ისევ ჩვეუ-  
ლებრივად გრძელდებოდა. რიგის მიხედვით სიტყვას  
ამბობდა ნათანი, ოსიპმა მიაპყრო მას ყურადღება, რად-  
განაც იგი ყველაზე ახალი იყო მათ წრეში. ოსიპს მაინც  
არ ესმოდა რას ამბობდა ნათანი და უფრო მეტ ყურად-  
ღებას აქცევდა მის გარეგნობას.

ნათანს საკმაოდ დაეტყო ის ერთი თვე, რომელიც  
უკვე გაატარა ტფილისში, მან საოცარი სისწრაფით  
შეითვისა ქალაქური ცხოვრება და ძნელი იყო იმის  
პროვინციულად მიღება. ეს ცვლილება ემჩნეოდა მას,  
როგორც ხასიათში, აგრეთვე ტანსაცმელში.

ნათანი კმაყოფილი იყო ქალაქით: დაავიწყდა პირ-  
ველი ლანე. მოეწყო უნივერსიტეტში. შეცადინებდა  
დაიწყო წარმატებით. ჰქონდა პატარა ოთახი: სივრცით  
მ კვ. მეტრი. ცებიმ და არიელმა უშოვეს კერძო გაკვე-  
თილები. შემდეგში შრომის ბირჟაც დაეხმარა. საბლი-  
დან წერილები მოსდიოდა სისტემატიურად: მოხუცი  
მშობლებიც კმაყოფილი იყვნენ ნათანით.

ნათანს არ დაავიწყებია მთავარი მიზანი: ბრძოლა.

ქალაქში დარწმუნდა, რომ ბრძოლა არც ისეთი ად-  
ვილი იყო, როგორც ეს მას წარმოედგინა. ქალაქის  
ფონზე მისთვის უფრო მწვავედ გაიშალა თავისი თანა-  
მოძმეების ჭრილობები. ამიტომ უდიდესი ალტაცებით  
შიაშურა ამხანაგების წრეს, რომლებთან ერთად ხელი-  
ხელ ჩაკიდებულნი ფიქრობდა ბრძოლის გაგრძელებას  
საბოლოო გამარჯვებამდე. იგი დაესწრო ამხანაგების  
სამ კრებას, რომლის შემდეგ მათზე ლეგენდარული  
წარმოდგენა გაჰქრა და გზა დაუთმო ნამდვილ, (ოც-  
ხალ ტიპების ასახვას, მწარე რეალობას.

პირველ შეხვედრისთანავე — არ მოეწონა სიმონი.  
აფასებდა ზებულონს. აინტერესებდა აბიშაი. ეცოდებო-  
და ოსიპი. გულგრილად უცქერდა იონას. შეუყვარდა  
არიელი და ცები, განსაკუთრებით უკანასკნელი.

ნათანი ლაპარაკობდა წყნარად. დალაგებით. სა-  
კითხს ეხებოდა არსებითად, ილაშქრებდა გაჭიანურების  
წინააღმდეგ და მოითხოვდა დაუყონებლივ სათანადო  
ნაბიჯების გადადგმას.

ნათანის სიტყვის დასრულების შემდეგ, თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ სიტყვა ეკუთვნის ოსიას. ოსიას დაეწიებული ჰქონდა, რომ იგი ჩაწერილი იყო სიძნელე, არც იცოდა რაზე ლაპარაკობდნ და სიტყვაზე უფრო აგანა-  
ნაცხადა.

ზებულონმა ოდნავ გაიღიმა.

შემდეგ ვინაიდან ამოწურული იყო რიგი და საის მიხედვით უკანასკნელი სიტყვა ეკუთვნოდა მას, ამიტომ მან გაისწორა პენსნე, დაისხა ჭიქა წყალი, ჩახედა თავის შენიშვნებს და ნელა დაიწყო:

— არასოდეს არ უნდა დაგავიწყდეთ ის მთავარი მიზანი, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით. ჩვენი მიზანია. საქართველოს ებრაელთა კულტურულ ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება. ჩვენ ვართ ძალიან კოტანი, მაგრამ სამაგიეროდ ხელისუფლება ყოველნაირად ხელს გვიწყობს დასახული მიზნის განხორციელებაში. ჩვენ, ასე ვსთქვათ, ერთგვარი ხიდი ვართ ხელისუფლებისა და მასის შორის. ხოლო ეს ხიდი საჭიროა იმისათვის, რომ ჩვენი მასა მეტისმეტად ჩამოქვეითებულია და რელიგიური ფანატიზმი ხელს უშლის მას — უშუალოდ იქონიოს კავშირი ხელისუფლებასთან. ამჟამად დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენს მასაში მუშაობა საჭიროა მეტისმეტი დაკვირვებით და სიფრთხილით.

— სწორია, საჭიროა ტაქტიკა — შეაწყვეტინა აბიშაიმ.

— ტაქტიკა საჭიროა, როგორც მასაში მუშაობის დროს, აგრეთვე კრებაზე და ამიტომ ხელს არ უნდა მიშლიდე, ამხანაგო აბიშაი — სთქვა ზებულონმა და განაგრძო: — ჩვენ განვიზრახეთ ერთდროული კრებულის გამოცემა. ეს ძალიან კარგი საქმეა. ამისათვის ფულია საჭირო, რის გამოც გადავწყვიტეთ გაუგზავნოთ მიმართვა ტფილისის მდიდარ ებრაელებს: ბენიამინ ბერიძეს, მოისეი აბნერაშვილს და სხვებს. ამხანაგი ცები-სა და ნათანის მიერ შედგენილი ტექსტი სრულიად დამაკმაყოფილებელია და ამიტომ ამხანაგების მიერ გამოთქმულ შენიშვნებს არ ვიზიარებ. მაგრამ არის ერთი



წერილმანი, რომელსაც შეუძლია საქმის გაფუჭება. ამას  
კი გათვალისწინება უნდა. აი ეს წერილმანიც: თქვენ  
სწერთ მიმართვას პატივცემულ მოშე აბნერაშვილის  
სახელზე. ეს კაცი უწოდებს თავის თავს „მოისეის“  
იგი, ასე ვთქვათ, გავეროპიელებული კაცია, ამავდროს  
შეტად მდიდარი და გავლენიანი. მას ეწყინება სიტყვა  
„მოშე“ და ამიტომ შესაძლებელია აღარაფერი არ შე-  
მოგვეწიროს კრებულისათვის. მე წინადადებას ვიძლევი,  
ის ადგილი სადაც სწერია „მოშე“ — გადაკეთდეს „მოი-  
სეით“.

სიტყვა აიღო ნათანმა.

— მე ძალიან მაკვირვებს, რატომ ხდის ამხანაგი  
ზებულონი ასეთ უბრალო საკითხს პრინციპიალურ სა-  
კითხად. რა საჭიროა ლაქიობა, ის კაცი ებრაელია, იმ  
კაცს ჰქვია „მოშე“. ჩვენც უნდა დავსტოვოთ ასე..

შემდეგ გამოვიდა ამიშაი:

— ჩემის აზრით კი — უნდა დავწეროთ „მოსე“. აი  
რატომ: „მოისეი“ — რუსული სახელია, „მოშე“ — ებ-  
რაული სახელია და ჩვენ კი მიმართვას ვწერთ ქართულ  
ენაზე. როგორ შეიძლება ქართულ ენაზე გადმოვიტა-  
ნოთ წმინდა სახელი? ამიტომაც უნდა დავწეროთ „მო-  
სე“.

არიელმა დაიწყო თავისი „ეარგონით“.

— თქვენ ყველანი ხართ არარაობა... განა შეიძლე-  
ბა ამ საკითხის გარშემო ამდენი სულელური წინადა-  
დებების შემოტანა? მე შემომაქვს ერთი წინადადება,  
რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს ყველას სურვილები.  
მიმართვაზე დავწეროთ ასე: „პატივცემულ მ. აბნერა-  
შვილს“. გესმით? „მ“ და წერტილი. ვისაც როგორც  
სურს ისე წაიკითხოს. „მ“ — იქნება „მოშე“. „მოსე“,  
„მოისეი“. „მამაძალდი“ და კიდევ...

— შეტი აღარ გავიგონო. სიტყვას გართმევ — და  
ზებულონმა ხარი გააწკრილა.

კიდევ ერთხელ დაასაბუთეს თავიანთი წინადადებე-  
ბი, რის შემდეგაც თავმჯდომარემ შესწყვიტა კამათი  
და განაცხადა:

— შემოსულია ოთხი წინადადება. მე კენჭს <sup>ვარს</sup> ~~წინადადება~~  
შემოტანის რიგის მიხედვით. პირველი წინადადება:  
„მოისეი“. მეორე — „მოშე“. მესამე — მოსე <sup>აქეთ-</sup>  
ხე — „მ“.

პირველ წინადადებას ხმა მისცეს ზებულონმა და ოსიპმა.

მეორეს — ცები და ნათანმა.

მესამეს — აბიშაი და იონამ.

მეოთხეს — არიელმა.

თავი შეიკაფა სიმონმა.

— ამგვარად — განაგრძო ზებულონმა — ხმები გაიყო და საკითხი გადაუწყვეტელი რჩება. გამოსავალი არ არის. რა გქნათ ეხლა?

— ვიქეიფოთ — უცბად წამოიძახა ოსიპმა.

— ყოჩაღ ოსიპ, ძალიან დროულად მოვიდა შენს გოგრაში ეგ მოსაზრება — უთხრა არიელმა.

ზებულონი გაბრაზდა. მუშტი დაჰკრა მაგიდას და შემდეგ მიმართა ოსიპს:

— ოსიპ! თუ კიდევ ხმა ამოგიღია, იცოდე, კრებიდან გაგაგდებ.

ოსიპმა თავი მოიფხანა და უთხრა:

— რას მემართლები შე კონტრევილიუციონერო? მე ვიცი, რომ კრება ასე თუ ისე მალე ჩაიშლება. მერე შეუწყვი: აბა ოსიპ, გაეარდი, მოიტანე ღვინოებიო. მე აღარსადაც არ წავალ, დაიხსომე კარგად. ეხლა ნუ გამაგდებ. მე გავჩუმდი. ხომ ხედავ, ჩუმად ვარ.

ამხანაგებმა გაიციინეს. ზებულონმა კი ოსიპის სიტყვების შემდეგ წარმოსთქვა:

— აჰა.

შემდეგ ისევ ზარი გააწკრიალა და ჩამოეარდა სიჩუმე.

— არც კი გრცხვენიათ, ჯერ მერე საკითხი არ გაგვირჩევია და ასე მალე ჩაშლის გუნებაზე ხართ. მოგიწოდებთ წესრიგისაკენ. ვის სურს ილაპარაკოს შექმნილ მდგომარეობაზე? ვის აქვს ახალი წინადადება? ვის შეუძლია გვიჩვენოს გამოსავალი?

სიტყვა აიღო იონამ.

— იცით, რას გეტყვით...

დააკაკუნეს.

— გიყვარდეს... — წამოიყვირა ოსიპმა და გავარდა  
ჯვებულის ნაბიჯებით გაექანა კარებისაკენ.

— სიტყვა ეკუთვნის მშვენიერ ქალიშვილებს, ხვან-  
ჭკარას და თავმოტვლებილ არარაობა ოსიპს — განაც-  
ხადა გახარებულმა არიელმა.

კარებში იდგენ: აევუსტინა და იულია.



საწერ მაგიდაზე გაიშალა სუფრა. ოსიპმა მოარბე-  
ნია ზებულონის ფულებით ნაყიდი ღვინო და მწვანე-  
ლი. შემდეგ გავარდა სამზარეულოში, სადაც დაანთო  
ცეცხლი და კუბატები წამოაგო შამფურზე.

ზებულონმა დაჰკარგა თავმჯდომარის შეხედულე-  
ბა და გადაიქცა ჩვეულებრივ, მზიარულ ამხანაგად, რო-  
მელიც ერთსა და იმავე დროს აკეთებდა ორ საქმეს:  
ართობდა მოულოდნელად მოსულ სტუმრებს და ოსიპს  
ტეხნიკური ხასიათის დავალებებს აძლევდა.

ამხანაგები გამოცოცხლდნენ. იდგენ ქალიშვილების  
გარშემო და სათითაოდ ეუბნებოდნენ ახალახალ ქათი-  
ნაურებს. აევუსტინა იცინოდა მისთვის ჩვეული სიცი-  
ლით, რომელიც ძლიერ მოქმედობდა დანარჩენებზე.  
იულია ნაძალადევად ბაძავდა აევუსტინას. ნათანი იდგა  
წიგნების შკაფთან და წიგნებს ყურადღებით ათვალღე-  
რებდა. აევუსტინამ შეამჩნია იგი და ზებულონს უთხრა  
ხმამალლა:

— ზებულონ! დღეს ვერ გვეპყრობი საკმაო ყუ-  
რადღებით.

— რისთვის, ჩემო მშვენიერო?

— თქვენს შორის მე ვხედავ ახალ პირს. რატომ  
არ გვაცნობთ მას მე და იულიას?

ნათანი ნობრუნდა, ხოლო ზებულონმა გაიღიმა.

— შენ მართალი ხარ, აევუსტინა. მაგრამ მე რა-  
ტომღაც მეგონა, რომ თქვენ უკვე იცნობდით ერთმა-  
ნეთს. არა უშავს. გამოუსწორებელი არაფერი არ არის.

სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს — ასე სთქვა ჭკვეანმა  
ებრაელმა, როდესაც დაასაფლავა თავისი პირველი ქუ-  
ლი. გთხოვთ იცნობდეთ: მშვენიერი და ლამაზი ახალ-  
გაზრდა ნათან ჯანაშვილი, რომელიც ეხლახანს მშობელ-  
მატა ჩვენს სტუდენტთა წრეს და იძლევა დიდ იმედებს.  
უუმშვენიერესი და სიცოცხლით აღსავსე ავგუსტინა რო-  
ზენფელდ და ულამაზესი იულია ბერგერ.

ნათანმა ზრდილობიანად ჩამოართვა მათ ხელი.  
კოტახანს ყური უგდო მხიარულ ბაასს და შემდეგ  
შეუმჩნევლად ისევ მიუბრუნდა წიგნებს.

არიელმა ფეხქვეშ შეამჩნია რალაც, დაიხარა და  
დაინახა, რომ ოსიბს სიხარულით დაეიწყებია თავისი  
ქუდი, რომელიც ეგდო დაბლა, სავარძელთან ახლოს.  
იხელთა დრო და სასწრაფოდ გადააბრუნა, შემდეგ მი-  
მოიხედა გარშემო: ამხანაგები გართული იყვნენ ქალი-  
შვილებით, ნათანი წიგნებით. აცოცდა მაღლა სკამზე  
და გადაბრუნებული ქუდი ჩამოჰკიდა ელექტრონის მავ-  
თულზე. შემდეგ ქინძისთავით მიაკრა ქუდზე ქალაღდი.  
რომელზედაც ლურჯი ფანქრით ეწერა "შემდეგი ოთხი  
სიტყვა: „ასე დაემართება ყოველ არარაობას“.

ამ დროს ოსიბიც აბრუნებდა შამფურს და ესმოდა  
განუწყვეტელი სიცილ კისკისი, რომელიც გამოდიოდა  
ოთახიდან. ეს სიმხიარულე, რომელიც დაიწყო უიმი-  
სოდ — მასზე ძალიან მოქმედობდა. ამიტომაც ძალზე  
ჩქარობდა, მაგრამ ციციხლი არ უჯერიდა: შემწვარი  
იყო მხოლოდ ნაწილობრივად. რამოდენიმე წუთის შემ-  
დეგ მან დაუძახა ზებულონს:

— ზებულონ!

— რა იყო? — იკითხა სამზარეულოში შესვლისთა-  
ნავე ზებულონმა.

— მეტი ნოცდა აღარ შემიძლია. უკვე შემწვარია.

— თუ შემწვარია, შემოიტანე. იკოდე, თუ კარგად  
არ იქნება შემწვარი, თვითონ შენ წამოგაგებ შამფურ-  
ზე. — უთხრა ზებულონმა.

— აბა კოტა ხანს კიდევ მოვიციდი.

ოსიბმა შეასრულა თავისი მისია ბოლომდე.

მალე ამხანაგები შემოუსხდენ სუფრას. ოსიპმა დაიკავა ცენტრალური ადგილი. ავგუსტინა დაჯდა ზებულონისა და ნათანის შუა. იულია—ცებისა და აბიშაის შუა. სიმონი, იონა და არიელი იჯდენ მათ პირდაპირად ოსიპმა უკვე გაათავა სამი ბუტერბროდი და სამი დენიმეჯერ გადააპკრა „კონტრაბანდით“. ზებულონი ისწორებდა პენსნეს და ემზადებოდა შესავალი სიტყვისათვის.

— ამხანაგებო!—წამოდგა ზებულონი—ვიდრე ავირჩევდეთ თამიდას, წინადადება შემომამქვს შევსვით ექსტრა სადღეგრძელო მშვენიერ სქესისა, იმ სქესისა, ურომლისოდ არსებობა ჩვენთვის წარმოუდგენელია, რომელიც გვიმატებს ენერჯიას, გვამზნევენს, გვაშორებს ყოველგვარ სევდას და გვიღვიძებს სიყვარულს სიცოცხლისადმი.

— ვაჰა! — დაიძახა არიელმა და მასთან ერთად დანარჩენებმაც გამოსცალეს ჭიქები.

ოსიპმა დასქექა და ამხანაგებმაც ბანი მისცეს:

«Налей, налей, бокалы полней  
У студентов семья соберется тесней».

ნათანი იჯდა მშვიდად, არ მღეროდა, ცოტას სვამდა და ავგუსტინასთვის გაუგებარი გულგრილობით უცქეროდა ყოველივეს და მათ შორის ავგუსტინასაც.

ავგუსტინას რალამაც უკბინა, ასეთ გულგრილ მოპყრობას იგი არ იყო ჩვეული, მიუბრუნდა ნათანს და აღერსიანად შეეკითხა:

— რისთვის ხართ მოწყენილი?

— მე მზიარულად ვარ.

— თქვენი სახე სხვას ამბობს, არ გსურთ გამიკეთოთ ბუტერბროდები?

ნათანი შეუდგა ბუტერბროდების კეთებას. ავგუსტინა ცნობისმოყვარეობით აღევნებდა თვალყურს მის ნუშაობას. მას მოსწონდა ნათანის სასიამოვნო სახე და დამშვიდებული გამომეტყველება. ამავე დროს აბრაზებდა მისი გულგრილობა და ავგუსტინამ გადასწყვიტა მისი განწყობილების შეცვლა.

ავგუსტინას უძნელდებოდა თავისი განზრახვის სი-  
რულეში მოყვანა. მით უფრო საინტერესო და მოწონ-  
ველი შეიქნა მისთვის დასახული მიზანი: ნათანის ნების  
მოტეხა.

ოსიპი უკვე შეწითლებული იყო. იცქირებოდა ავ-  
გუსტინას ნიშართულებით და რომ მიექცია მისი უ-  
რადღება, გაავსო ჩაის ჭიქა, წამოდგა და განაცხადა:

— მე ვაცხადებ ჩემ თავს თამადად. თუ თამადად  
არ ამირჩევთ, პირველ სადღეგრძელოს მაინც არავის  
არ დავანებებ. მე ვსვამ ჩვენთვის ძვირფასი და საყუ-  
რელ ავგუსტინას სადღეგრძელოს. ავგუსტინა არის ჩუ-  
ნი სიცოცხლე, ჩვენი მზე და მთვარე, ჩვენი სინათლე  
დიდი სინათლე. იცით როგორი სინათლე?... ისეთი კი  
არა, აი თუნდაც, ზებულონს რომ აქვს ელექტრონის...

აიხედა მალლა და გაშეშდა. დაინახა თავისი გა-  
დაბრუნებული ქუდი და ხნამალლა წაიკითხა:

— ასე დაემართება ყოველ არარაობას...

გაისმა ძლიერი და საერთო სიცილი, ოსიპი კი გაბ-  
რაზებით განაგრძობდა:

— მე თქვენ გიჩვენებთ არარაობას... ჯერ ყველამ  
სასწრაფოდ გამოსცალეთ ჩაის ჭიქებით ავგუსტინას სად-  
ღეგრძელო და შემდეგ გაგისწორდებით... გაგისწორდ-  
ებით როგორც წესია... როგორ ბედავთ ჩემი ქუდის შეუ-  
რაცყოფას... ოსიპ ოსიპიჩი გიჩვენებთ არარაობას...  
თქვენ... თქვენ... თქვე კონტრრევოლიუციონერებო!..

### 3

ირაკლი გორგაძე ოცდა სამი წლისა იყო. ტანად— საშუალოზე ცოტა მეტი. როცა ლაპარაკობდა— უცნობებზედაც სტოვებდა ქვეიანი ადამიანის შთაბეჭდილებას. ძალიან უყვარდა ვარჯიშობა, რის გამოც იგი ყოველთვის ჯანმრთელი იყო და როგორც თვითონ უყვარდა თქმა — „გული ჰქონდა ქვესავით მაგარი“.

ირაკლის ნათანის გაცნობისთანავე მოეწონა მისი გულწრფელობა და პროვინციიდან ჩამოტანილი „გულუბრყვილო და სუფთა შეხედულებანი“. განსაკუთრებით, ირაკლიმ გადაწყვიტა ნათანს დაახლოვებოდა მაშინ, როდესაც ნათანი გამოვიდა პირველად მის მეტოქედ სემინარში.

ამის შემდეგ ისინი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს, როგორც ლექციების დროს, აგრეთვე ერთმანეთის ოთახებში. შემდეგ დაიწყეს ერთად დამზადება გასულ სემესტრში წაკითხული საგნებისა. ამ მეცადინეობის დროს, ისინი არ კმაყოფილდებოდნენ მარტო უნივერსიტეტის ცხოვრებით. ისინი ხშირად ეხებოდნენ მთელ რიგ საყურადღებო საკითხებს, რომლებიც ძალიან სცილდებოდნენ უნივერსიტეტის კედლებს.

ერთმანეთთან კამათის დროს, ნათანი — ხშირად ღელავდა, ირაკლი კი არასოდეს. ირაკლი თავისი სიმშვიდით ყოველთვის გამამხნევებელის როლში იყო და ნათანი კარგად ჰგრძნობდა, რომ იგი თანდათან ირაკლის გავლენის ქვეშ ექცეოდა.

ამ საღამოსაც ასე მოხდა. ირაკლის სიმშვიდემ საესებით დააწყნარა ნათანი. ვერც კი ვაიგეს როგორ მოვიდნენ ერევნის მოედნამდე.

სალამოს ცხრა საათი იყო.  
ქვაფენილი გაყინული იყო და ფეხი ადვილად  
სხლტებოდა.

— წავიდეთ ჩემთან — უთხრა ნათანმა — ჩაი დაე-  
ლიოთ, ქალრაკი ვითამაშოთ.

როდესაც გაცდენ სომხის ბაზარს და გავიდეს  
იერუსალიმის ქუჩაზე, ირაკლი უცბად შედგა ერთი შე-  
ნობის პირდაპირ, საიდანაც გამოდიოდა ხმაშალალო და  
პარაკი.

— ეს რა შენობაა? — იკითხა მან.

— ეს არის ცხინვალის ებრაელთა სალოცავი.

— როგორ თუ ცხინვალის?

— დროთა განმავლობაში ცხინვალიდან გადმოსას-  
ლებულან ებრაელები ტფილისში და აქ თავისი საკუთა-  
რი საზოგადოება და სალოცავი დაუარსებიათ.

— რისთვის არის განათებული? ნუ თუ ეხლა ლო-  
ცულობენ?

— არ ვიცი. თუმცა ეხლა არაა ლოცვის დრო.

— მე ძალიან მაინტერესებს ებრაელთა ყოფაცხოვ-  
რების გაცნობა. არ შეიძლება რომ შევიდეთ?

— შევიდეთ.

მეგობრები ავიდნენ ხის კიბეზე.

ძია დათომ გაულო მათ კარები.



პატარა სალოცავი სავსე იყო მორწმუნე ხალხით.  
ლოცვა დასრულებული იყო და ის გარემოება, რომ  
თებაზე იდგა არა სასულიერო პირი, არამედ გაბაი მე-  
ნაშე, ამტკიცებდა იმას, რომ ანუამად აქ იყო რაღაც  
„მიტინგის“ მსგავსი. ხალხს ეტყობოდა მოუსვენრობა,  
დაღლილობა. სურდა მალე დასრულებულიყო.

ნათანისა და ირაკლის შესვლა თითქმის არავის  
შეუშინებია, გარდა ძია დათოსი, რომელიც ყოველ-  
თვის, ლოცვის დროს და ხალხის ყოფნის შემთხვევა-  
ში, კარებთან იდგა ხოლმე. ძია დათოს ნათანის და-  
ნახვისას სახე გაუბრწყინდა და ამოუდგა მათ გვერ-



დით. ამავე დროს თავს მოვალედ სთვლიდა მიეცა მათთვის შესაფერი ახსნა-განმარტებანი თავისი კომენტარებით.

სალოცავს ჰქონდა ხის კედლები. იგი ახლად შეღებილი იყო, რის გამოც საღებავის სუნი ჯერ კიდევ საკმაოდ საგრძნობი იყო. ნათანს თვალში ეცა, რომ მისი ნაცნობი აივანი, სადაც მან გაატარა ერთი ღამე— აღარსად იყო და ძალიან გაუკვირდა. ძია დათო თითქოს მიუხედა აზრს, მიეშველა:

— ნულარ ეძებ აივანს. ხომ ჰხედავ, ლოცვა გალამაზებულია და გაფართოებული. აივანი დავანგრით და შემოუერთეთ. თან საღებავიც წაუსვით და ამ კვირაში გვექნება ხინუბ-ჰაბაითი<sup>1</sup>. ჯამაათიც ამიტომ არის გაჩერებული. ფული უნდა შევაგროვოთ. ამ საკითხზე როცა მოჩინებიან ლაპარაკს, შემდეგ ჩემი საკითხი უნდა გადაწყვიტონ.

ნათანმა გაიცინა.

— კიდევ არ გადაუწყვეტიათ შენი საკითხი?

— შენი ბრალია — მიუგო ძია დათომ.— რატომ არ დამიწერე თხოვნა? იმ ღამის შემდეგ მრავალმა თვემ გაიარა. სად დაიკარგე, კაცო? რამდენჯერ ვიყავი შენთან და არც ერთხელ არ დამხვდი სახლში...

ძია დათომ შეატყო, რომ იგი ხელს უშლიდა ამ დროს თებიდან მოლაპარაკე მენაშეს და გაჩუმდა.

მენაშე უკვე ასრულებდა სიტყვას:

— ვაყად - ჰაკეილამ ამოირჩია<sup>2</sup> ხუთშაბათი. ხუთშაბათ საღამოს უნდა ჩავატაროთ ისეთი ზეიმი, რომ ახალციხელებს ზედ თვალეზი დარჩეთ. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ აუარებელი ფული დავხარჯეთ ჩვენი ლოცვის გასამშვენიერებლად. გაბაეზი დღედღამე სულ ამაზე ეფიქრობდით და სხვას არაფერს არ ვაკეთებდით...

— რა უსვინდისოა— ჩუმიდ უთხრა ძია დათომ ნათანს— სულ თავის თავს ახსენებენ. საწყალ შამაშს არ ახსენებენ! ეგენი სულ დასეირნობდენ და ყველაფერს

<sup>1</sup> ხინუბ-ჰაბაითი—სიტყვა სიტყვით ნიშნავს—სახლის ზეიმი.

მე ვაკეთებდი, მაგრამ რას იზამ... გულში ვიხრჩობ  
ბოლმას.

და მენაშემ ასე დაასრულა:

— ამიტომ ძვირფასო ჯამაათო, მოგიწოდებოდა,  
რომ როგორც ყოველთვის, ისე ეხლაც, არსებენ არ  
დაიხიოთ უკან და თქვენი შეძლებისდაგვარად ყველამ  
შესწირეთ ამ დიდ საქმეს.

ირაკლიმ გადახედა ხალხს. სურდა გაეგო, თუ რო-  
გორი შთაბეჭდილება მოახდინა ამ სიტყვებმა. ზოგიე-  
რთები დარცხვენილები იჯდნენ და ხმას არ იღებდნენ.  
ზოგი მეზობლებს შესცქეროდა და ზოგიც გამარჯვანე  
ფიქრობდა. ბოლოს ვიღამაც ჩახველებით დაარღვია  
სიჩუმე, რის შემდეგაც, სხვადასხვა კუთხეში, ერთსა და  
იმავე დროს, ნაწყვეტ ნაწყვეტად—დაიწყეს თავიანთი  
აზრის გამოთქმა.

— დაიწყოს ყეზრა შათაშვილმა და ჩვენც მიე-  
ყვებით.

— ამოიღეთ ხმა! რას გაჩუმებულხართ!

— ღმერთის სახელზე, ყველამ შესწიროს შეძლე-  
ბის დაგვარად!

— ამდენი შრომა გაგვიწევია. უხინუხ-ჰაბაითოდ  
როგორ შეიძლება!

— გათენებამდე აქ ხომ არ უნდა ვიყოთ. მორჩით  
გაათავეთ!

თების წინ დადგა ერთი ახალგაზრდა კაცი და ით-  
ხოვა სიტყვის ნება.

— ეს არის შაჟდ ათანელიშვილი—საიდუმლო ჩურ-  
ჩულით შიკოცობინა ძია დათომ ნათანს.—მაგას ღმე-  
რთი არ სწამს. ტრამვაის პარკში მუშაობს და ღამით  
ვაგონებს რეცხავს. ასე ამბობენ, მალე კომუნისტებში  
იქნებაო. ლოცვაზე ტყუილად დაიარება. ღმერთსაც  
ატყუებს და ხალხსაც.

ოცდაორი წლის ახალგაზრდა სტოვებდა ოცდაათი  
წლის შთაბეჭდილებას. მის სახეზე შეიძლებოდა წაე-  
თხვა მისი განვლილი ცხოვრებისა, რომლის მანძილზე  
მას უვლია ვაჭივრებისა და უსიამოვნო გზებით. მისი  
თვალები ერთსა და იმავე დროს გამოჰხატავდნენ უკმა-

ყოფილებასა და იმედს. ხელები მაზოლებით ჰქონდა  
სავსე. თითის წვერები გაშავებული ჰქონდა და მის  
ფრჩხილებში ქუქყს მოენახა ბინა.

მისი ლაპარაკი იყო დამაჯერებელი და გულწრფე-  
ლი, რის გამო ირაკლიმ გადაუჩურჩულა ნათანს?

— ძალიან მომწონს ეს ახალგაზრდა. იგი უნდა  
იყოს მეტად უბრალო და მართალი ადამიანი. ლაპარა-  
კობს ნამდვილი მუშური ფსიქოლოგიით, რაც — რთ-  
გორც ვხედავ—ძალიან იშვიათია თქვენში.

შაულის სიტყვამ ნათანზედაც მოახდინა ღრმა  
შთაბეჭდილება. ნათანი სწავლობდა მის სახეს, რათა  
კარგად დახსომებოდა. ამ წუთებში მას გაუელვა აზ-  
რმა, რომ პირველ შეძლებისთანავე მან უნდა გაიცნოს  
და დაიხლოვოს ეს ახალგაზრდა მუშა, რომლის ზო-  
გიერთი აზრები მას ღრმად მოხვდა გულში.

— არავითარი ზეიმი არ არის საჭირო. — ამბობდა  
შაული — რა ნიშანი აქვს ზეიმს? რისთვის უნდა ვი-  
ზეიმოთ? განა მართლა ინტერესი იმაში მდგომარეობს,  
რომ ჩვენი მეზობლები — ახალციხელები — გაეაკვი-  
რვით? ერთად ერთი ხალხი ეს ჩვენა ვართ ისრაელებ-  
ი, რომლებსაც გვჩვევია ყოველივე დავიწყოთ ზეიმით  
და... დავასრულოთ ტრაურით. არაფერი ისეთი არ მომ  
ხდარა, რომ მისი აღნიშვნა საჭირო იყოს ზეიმით. თქვენ  
მეტყვიით, რომ გაბაებმა ლოცვა შეღებესო. მერე  
ვისი ფულით? ლარიბებისა და გალატაკებული ხალხის  
კაპეიკებია ჩაყრილი ამ საღებავებში. ყოველი კაპეიკი  
რომ დაამტვრიოთ — იქიდან ვედრა სისხლი გამოვა. ნუ  
თუ არ კმარა, რაც შეიწირა წარსულმა? ახლა კიდევ  
გალატაკებული ხალხის ზურგზე ქეიფი და ლხი-  
ნი გამართოთ? ძვირფასო ძმებო! ხომ ხედავთ, მე  
მუშა ვარ. ჩემი პარტიოსანი შრომით ვირჩენ თავს. თქვე-  
ნი უმრავლესობა—ყოფილი მეწვრიძეებია, რომ-  
ლებსაც დღეს აღარაფერი საქმე არ გაქვთ. იმის მაგიფ-  
რად, რომ დრო დაეკარგოთ ზეიმზე და ახალციხელებ-  
ის გაბრაზებაზე — არა სჯობია ვიფიქროთ პარტიოსანი  
საწილ შაოს გამოძებნაზე? ჩვენი მთავრობა — მშრომელ-  
თა მთავრობაა. დღეს პურს სჭამს ის, ვინც მშრომელია.

მართალია, ბევრი მუქთახორა ჯერ კიდევ იოლად ცხოვრობს, მაგრამ ეს დროებითი მოვლენაა. ამ მუქთახორებს, რომლებთაც არაფერი არ აკლიათ, უნდათ დრო გაატარონ, იქეიფონ და ამისათვის გამოუგონიან ეს ზეიმი. ღარიბებო! მე მოგიწოდებთ ხულარ წამოეგებით მათ ანკესზე და ნურც ერთ კაპეიკს ნუ გაიღებთ ამ სუსულელისათვის. ახალგაზრდებო! ნუ მიჰყვებით ძველთაობის აზრებს და დროს ნუ ჰკარგავთ. გაახილეთ თვალები, მიმოიხედეთ თქვენს გარშემო და იზრუნეთ თქვენი მომავლისათვის.

როცა შაულმა დაასრულა თავის სიტყვა, ისევ შეიქნა ხმაურობა.

— რას უგდებთ მაგას ყურს, ეგ სულელია.

— ღმერთი არა სწამს.

— ვისაც არ უნდა შესწიროს, წავიდეს აქედან. იმას არ ეთხოვთ.

— შაულ ათანელიშვილი მთელი ჯამაათის ცოდვას იღებს.

— ჯამაათო! შორჩით, კმარა, დაიწყეთ...

უმეტესობა მაინც ჩუნად იყო. შაულის ლაპარაკმა ღარიბებზე იქონია თავისი გავლენა და ისინი ისხდნენ ჩუმად, ხოლო ხმის ამოღება—მაინც ვერ გაებედათ. ხმაურობა კი თანდათან მატულობდა.

— მალე გათენდება.

— რა დროს გათენდება. ორი საათის წინედ დაღამდა...

— ყეზრა შათაშვილო, დაიწყე!

თებაზე ავიდა ყეზრა შათაშვილი. იგი იყო ოცდარვა წლისა. ეკვა თბილი პალტო ყვითელი საყელოთი, რომელიც უფრო ამსხვილებდა მის სქელ ფიგურას. სახე რგვალი ჰქონდა, ცხვირი—დიდი, თვალები კატისფერი — გაჟებდაობისა და სიფრთხილის განმორკველებით. მარცხენა ლოყაზე ჰქონდა შავი ხალი, რომელზედაც შეზრდოდა წვერი. ვაპარსული იყო სუფთად. თავზე ეხურა აზიური ქუდი, რომელიც შორიდან ევროპიულ შლიაპას ჰგავდა.

ძია დათო უფრო მიუახლოვდა ნათანს.

— ეს კაცი არის ყეზრა შათაშვილი, ცხინვალულუ-  
ვის მთავარი ვაზაი. თავში არაფერი უყრია, სამაგიეროდ  
ჯიბეში კი ბევრი აქვს. ძალიან ძუნწია. სიკვდილივით  
ენარება კაპეიკის ვალება. მაგან გააშრო ჩემი  
სისხლი. ეგ არის, რაც არის, თორემ სხვებს როგორც  
იქნებოდა თავს მოუვლიდი. თუ ამალმაც არაფერი  
იქნა...

და უცბად თითონ შესწყვიტა, რომ ვაევონა ყე-  
ზრა შათაშვილის შეწირულება.

მაგრამ ყეზრა შათაშვილი არ ჩქარობდა ციფრის  
დასახელებას. ჯერ უნდა ელაპარაკნა. მას ძალიან ახა-  
სიათებდა ეს თვისება. ლაპარაკობდა ყოველთვის პირ-  
ველ შემთხვევისთანავე. არასოდეს არ იცოდა თითონ,  
რას იტყოდა, რა უნდა ეთქვა. არაფერითაღი მიზანი და  
გამართლება არა ჰქონდა მის ლაპარაკს. მისთვის სულ  
ერთი იყო, რამდენი კაცი უსმენდა მას: ასი თუ ერთი.  
თუ კი ვინმე უსმენდა — იგი დიდი სიამოფ-  
ნებით ლაპარაკობდა. როცა დაიწყებდა სიტყვას, თუ  
არ შეაწყვეტინებდნენ, თვითონ არასოდეს არ იფიქრე-  
ბდა მის გათავებას. ოღონდ კი ელაპარაკნა, ნისთვის  
სულ ერთი იყო, რას იტყოდა. ერთი სიტყვის განმაფ-  
ლობაში რამოდენიმეჯერ შეატრიალებდა თავის აზრებს,  
რომლებიც დაუნდობლად არღვევდნენ ერთი მეო-  
რეს. როდესაც მისი აზრები დაიწყებდნენ ჩანაობას, მა-  
შინ ზოგიერთები ველარ ითმენდნენ და აწყვეტინებდნენ  
მას. საერთოდ, ვიდრე შესაძლებელი იყო უსმენდნენ,  
რადგან იგი იყო მთავარი ვაზაი და ამავე დროს ნდი-  
დარი კაცი, რის გამო ბევრის ცხოვრება იყო დამოკი-  
დებული მისგან ეკონომიურად. მაგრამ იშვიათად გაპ-  
ყვებოდათ მოთმინება ბოლომდე.

— რაც ელაპარაკა შაულ ათანელიშვილმა—ამ-  
ბობდა ყიზრა შათაშვილი—ყველაფერი სიმართლეა.  
დღეს მშრომელების მთავრობაა და ამიტომ ყველა  
ვშრომობთ. მუქთახორა ჩვენში არ უნდა იყოს. არც  
არავინ ვართ მუქთახორა. თუმცა არის ერთი. ეს არის  
ძია დათო.

— შენ თვითონ ხარ მუქთახორა—გაჯავრებით შესძახა ძია დათომ, რომელიც მოშორდა ნათანსა და ირაკლის და დადგა თების ახლოს, საბრძოლველად განზადებული.

— საკითხზე ილაპარაკე. რამდენი გინდა შესწირო?—შეეკითხა ვილაც.

— მე სწორედ საკითხზე ვლაპარაკობ. ამდამ უნდა გადასწყვიტოთ მაგის დათხოვნის საკითხი. რაც შეეხება შეწირვას, ყველამაც უნდა შევსწიროთ. აბა სადაური ისრაელები ვართ, ხინუხ-ჰაბაითი თუ არ გადავიხადეთ? ღმერთის სახელზე მე ვწირავ ხუთ მანეთს.

— ცოტაა—დაიძახეს ერთად რამოდენიმე.

— ცოტაა—დაეთანხმა მათ ძია დათოც.

— დროება გამოიცვალა. ახლა ყველამ უნდა ვიშრომოთ და ისე ვიშოვოთ ფული. ვაჭარი ხალხის საქმე თანდათან უკან მიდის.—თავს მართლულობდა ყეზრა—ხუთი მანეთი ცოტაა ამ საქმისათვის. თუმცა ამ დროებისათვის ძალიან ბევრია.

შემოწირულება ჩატარდა უხალისოდ. ყეზრას ხუთი მანეთის შემდეგ, აქა იქ გაისმა:

— ორი მანეთი!

— მანეთ ნახევარი!

— ათი შაური!

— სამი აბაზი!

— ექვსი შაური!

შაულმა შეწირულებაზე უარი განაცხადა და სალოცავიდან გავიდა. მას უკან გაჰყვა ორი-სამიკაცი შემდეგ კიდევ გავიდა ამდენივე. ყეზრამ როცა დაინახა, რომ ხალხი სტოვებდა სალოცავს, დაიძახა:

— მოითმინეთ ჯანაათო, ნუ მიდინხართ. შამაშის საქმეა გადასაწყვეტი.

ამაზე გაისმა უსიამოვნო ხმები:

— ამდენი ხანი თქვენ დაგვახრჩეთ,\* ახლა ძია დათოსაც უნდა დაახრჩობინოთ ჩვენი თავი?

— რა დროს ძია დათოა ამ შუალამისას!

— აბა რისი გაბაებები ხართ, თუ მაგის საქმეც ვერ გადასწყვეტეთ?

ძია დათო ავიდა თების კიბეზე და დაიძახა:

— ჯანაათო, თქვენი ცოლშვილის სადღეგრძელოდ, მოითმინეთ და მე მოგახსენებთ, თუ რაც შეილება არიან ჩვენი გაბაებები.

ერთმა თეთრწვერა მოხუცმა ავტორიტეტული ხმით მიმართა ყვზრას:

— ამდენი ხანი მოგვიცდია. ახლაც შეგვიძლია ცოტა კიდევ მოვიცადოთ. დაიწყე!

— ერთი სიტყვით, ჯანაათო, რალა ბევრი თავი შეგაწყინოთ — დაიწყო ყვზრამ—ძია დათო შამაშად არ გვარგია. როგორც ნამდვილი წურბელა, ისე სწოვს ჩვენს სისხლს. მართალია, კარგა ხანია ჯამაგირი არ მიგვიცია, მაგრამ ანგარიშით აღარაფერი ერგება. ლოცვას თუ რამე შემოსავალი აქვს ყველაზე უმალ ეგ ჩაიგდებს ხოლმე ხელში. ყველაფერს დაეპატრონა და აღარავის არ უწყევს ანგარიშს, არც რაბის, არც გაბაებს და არც ჯანაათს. ამიტომ გადავწყვეტეთ მისი დათხოვნა.

— გადასწყვეტეთ და დაგეთხოვათ! ჩვენ რალაზე ვაგვაჩერეთ... — სთქვა ერთმა.

— საქმეც იმაშია, რომ ამ დათხოვას ხელს უშლის ერთი მიზეზი. ეს მიზეზია—ბალშევიკები. ძია დათო წასულა და იმათ კავშირში ჩაწერილა. თუმცა ესეც არაა დიდი მიზეზი. მე დავეწერე ერთი დიდი ქალაქი კავშირის სახელზე, რომ ვინაიდან ძია დათო ჩაეწერა ბალშევიკების კავშირში — იმათმა დაუნიშნონ ჯამაგირი. ჩვენ არაფერი საქმე არა გვაქვს არც ძია დათოსთან და არც ბალშევიკებთან. ნურც ბალშევიკები გაბედავენ ჩაერიონ ჩვენი რელიგიის შინაურ საქმეებში. ყველაფერი ჩაეწერე იმ ქალაქში.

— ხომ არ ვაგიყდი! იცი რას გიზამენ ბალშევიკები მაგ ქალაქისათვის?—შესძახა ერთმა საშუალო ხნის კაცმა, რომელიც შიშისაგან ვაფითრებული იყო.

— რას მიზამენ?

— ციმბირში გადაგასახლებენ. აბა შენ რა გგონია, თავზე ხელს მოგისვამენ?

— მერე, საიდან წაიკითხავენ იმ ქალაქდს?

— შენ არ სთქვი, დავწერეო?

— დავწერე, მართალია, მაგრამ ჯერ არ გამოიგზავნია. მე იმას მოგახსენებდით....

ყვარა განაგრძობდა ლაპარაკს.

ხალხს მოთმინება დაეკარგა და სათითაოდ დაიწყეს სალოცავიდან გასვლა. მათთან ერთად გამოვიდნენ ნათანი და ირაკლიც. კიბეზე ჩამოსვლისას ირაკლი ეუბნებოდა ნათანს:

— მეტად ორიგინალური კაცია ეს შათაშვილი. საერთოდ კი, უნდა ვითხრა ნათან, რომ თქვენი ხალხი იმდენად ჩამორჩენილია, რომ მათ ჯერ არც კი უგონიათ რევოლუცია.

— მართალია—დაეთანხმა ნათანი.

ხოლო ამ დროს, სალოცავში თებასთან მდგარი ძია დათო მობრუნდა და როცა დაინახა, რომ ნათანი და ირაკლი იქ აღარ იყვნენ, მოუვიდა რაღაც აზრი და სასწრაფოდ შეაწყვეტიხა ყვარას ლაპარაკი:

— ახლა კი ამოვიყრი შენს ჯავრს. შენ ავინე ბალშევიკები, ხომ? აქ რომ ორი ახალგაზრდა კაცი იყო, ისინი მთავრობის გამოგზავნილი იყვნენ ჩემს საქმეზე. იმათმა ყველაფერი გაიგონეს.

ყვარას ფერი ეცვალა, მაგრამ ლაპარაკისათვის თავი არ მიუხედავია. იგი ლაპარაკობდა ჩვეულებრივად, ხან ერთსა და იმავეს იმეორებდა, ხან არღვევდა უკვე თქმულს და ხან უბრუნდებოდა ძველ აზრებს. სალოცავში დარჩა ორი სამი კაცი. ყვარა მაინც ლაპარაკობდა.

უკანასკნელად მას უსმენდა მარტო ძია დათო, ყვარა ისევ განაგრძობდა ლაპარაკს.

— რასაკვირველია, შენ მართალი ხარ. შენ გერგება ჯამაგირი. მაგრამ ჩვენც მართალი ვართ. ჩვენ გა-



ბაეები ვართ და შენ უნდა გქონდეს ჩვენი დაჯერება.  
შენ არ გვემოჩილები. ამიტომ შენ არ გერგება ჯამა-  
გირი... რაც შეეხება მთაწრობის გამოგზავნილ კაცებს,  
ჩვენ იმათ აუხსნით...

ახლა ძია დათოსაც მოსწყინდა ლაპარაკის ასეთი  
დაუსრულებელი ტრიალი. სასწრაფოდ ავიდა თებაზე,  
მოლაპარაკეს უჩვენა სალოცავის გასაღები და უთხრა:

— თუ არ გაათავებ, ვკეტავ და შერე იდექი და  
რამდენიც გინდა ილაპარაკე.

---

4

ავგუსტინა იჯდა თავის საწერ მაგიდასთან და სწერდა.

იულია დასეირნობდა ოთახში, ათვალთვლებდა კედლებზე ჩამოკიდებულ ახალ სურათებს, ხან შეჩერდებოდა და აკვირდებოდა ავგუსტინას ცნობისმოყვარეობით.

ავგუსტინას სახე მეტად სერიოზული იყო. ტუჩები ჩვეულებრივზე უფრო გამოწეული ჰქონდა, რაც ამტკიცებდა, რომ იგი უკნაყოფილო იყო. კალამი ან ძაან ჩქარა მიჰქროდა ქაღალდზე, ან პირიქით, სულ წელა. რასაც სწერდა, გადაკითხვის შემდეგ, ისევ ხედა და ისევ უდგებოდა ხელახლა წერას. იულიას ყოფნას თითქმის არც ამჩნევდა.

იულია ატყობდა, რომ ავგუსტინა გამოიცვალა. უკანასკნელ ხანებში ავგუსტინა იშვიათად იცინოდა. მომეტებულ დროს ფიქრში ატარებდა. ავგუსტინა აღარ ჰგავდა ძველ ავგუსტინას. მის სახეზე აღარ იყო სიცოცხლის სიყვარულის გარეგანი გამოხატულება. რაღაცას ატარებდა საიდუმლოდ, თავის გულში და იულიას სწყინდა, რომ ავგუსტინას არ სურდა მისთვის გაზიარება.

იულიამ როცა დაინახა, რომ ავგუსტინამ მებუთედ დახია დაწერილი ქაღალდი, ველარ მოითმინა, მიუახლოვდა, მხარზე ხელი დაადო და მეგობრული აღფრსით შეეკითხა:

- არ გინდა ვამიზიარო შენი ფარული აზრები?
- შენ ვეჩვენება. — უპასუხა ავგუსტინამ.

— არა, ავგუსტინა, შე არ ნეჩვენება. ჩემისთანა მეგობარისათვის ძნელი არ არის დარწმუნება იმაში, რომ შენში მოხდა დიდი ცვლილება. ძნელი გახდა ამ ბოლო დროს შენი ვაგება. შენ არ შეგეძლო რამე-ღა ვეფარა ჩემგან. ეხლა კი ვატყობ, რომ შენ რაღაცას მიშალავ.

— შენ გეჩვენება — უპასუხა ისევ ავგუსტინან.

— იყავ გულწრფელი. სად ვაპქრა შენი სიცოცხლე, სიცილი, სიცოცხლის სიყვარული? ვანა შენ თვითონ არ მეუბნებოდი, რომ ეს ხანმოკლე დრო, რაც წეიძლება მეტი სიხარულით უნდა გავატაროთ ამ ქვეყნადო? ვანა ასე ადრე დაგავიწყდა შენი სიტყვები?

ავგუსტინამ კიდევ დახია უკანასკნელად დაწერილი ქაღალდი და მობრუნდა იულიასკენ.

იულია პგრძნობდა, რომ ავგუსტინას ეძნელებოდა პასუხის ვაცემა. უცბად გაუელვა რაღაც აზრმა, შუბლზე დაადო მეგობარს თითი და ჩახედა პირდაპირ თვალებში:

— ნუ თუ ასე ძლიერ მოგწონს ნათან ჯანაშვილი?

— სისულელეს ლაპარაკობ, იულია.—უპასუხა ვაბრაზებით და ვაწითლდა.

სიწითლემ ვასცა. იულიას ექვი აღარ ეპარებოდა თავის ნათქვამში.

ერთხანს ჩუმიდ იყვნენ. შემდეგ ავგუსტინა მოულოდნელად შეეკითხა:

— ვსურს ერთი თხოვნა შემისრულო?

— სთქვი.

— მინდა საჩქაროდ ოსიპი ვნახო.

— რაში დაგჭირდა ოსიპი?

— ნუ მკითხავ, რისთვის, თუ ვსურს—დამიძახე. —

თუ არა—არა.

— ეხლავე?

— ეხლავე.

— მივდივარ. მხოლოდ ამას ვატყვი, ავგუსტინა.

შენ უცნაური ვახდი ამ ბოლო დროს.

იულიამ ჩაიცვა საზამთრო პალტო და ვავიდა.

ავგუსტინაც კარგად ჰგრძნობდა, რომ იგი უცნაური გახდა. თვითონ არ სურდა, რომ ეს ასე ყოფილიყო, მაგრამ ასე იყო. ნათან ჯანაშვილი იყო დამნაშავე. ეს დაიწყო პირველ გაცნობის საღამოს.

ნათანი არ ჰგავდა სხვებს. ყველა ფეხქვეშ ეგებოდა ავგუსტინას, ნათანი არა. ყველა ჰგრძნობდა ავგუსტინას საზოგადოებაში ყოფნის საჭიროებას, ნათანი არა. ყველანი წაჰყვენ ავგუსტინას გასაცილებლად, ნათანი-არა.

მას შემდეგ ავგუსტინა ბევრს ფიქრობდა ნათანზე და უცბად მივიდა იმ აზრამდე, რომ მას მოსწონს ნათანი, უფრო მეტიც—უყვარს.

ნათანს შეხვდა ორივეჯერ. ორივეჯერ — შემთხვევით, ქუჩაში. ნათანი ჩვეულებრივად იყო ზრდილობიანი და ცივი. ავგუსტინას სიცილი, სილამაზე, მიმზიდველობა მასზე არ მოქმედობდა. ავგუსტინას არ ესმოდა თუ რისთვის არ ჰგავდა ნათანი სხვა მანაკაცებს, რისთვის შეადგენდა იგი გამონაკლისს. ავგუსტინა დარწმუნებული იყო, რომ მის ღიმილს ვერ გაუძლებდა ვერც ერთი მამაკაცი, რომ არ ებასუნხა სამაგიეროთი. ნათანმა გაუძლო. ნათანისათვის სულ ერთი იყო. ნათანის გულგრილობა ხან ამრახებდა, ხან უფრო უძლიერებდა სურვილს ნათანის ნების მოტეხისას. არაფერი არ შეელოდა, ნათანის დამოკიდებულებას ავგუსტინასადმი არ ემჩნეოდა არავითარი ცვლილება. ორივეჯერ, შეხვედრისას ავგუსტინამ მიიწვია ნათანი თავისთან. ნათანმა გადაუღო.

რამდენადაც შორს იყო ნათანი ავგუსტინასაგან, იმდენად უკანასკნელი ახლოს იყო მასთან. რამდენადაც ნათანი უკან იხევდა—ინდენად ავგუსტინა წინ მიიწევდა. რამდენადაც ავგუსტინას ელობებოდა სიძნელენი—მით უფრო მეტი გამძაფრებით მიიწევდა თავისი მიზნისაკენ. მას გადაწყვეტილი ჰქონდა, რათაც არ უნდა დაჯდომოდა, ნათანი მოექცია თავის მოტრფიალეთა სიაში.

ავგუსტინა ამჟამად სხვაზე აღარ ჰფიქრობდა. მას იზიდავდა ნათანი, მხოლოდ ნათანი, რომელიც განსხვა-

ვდებოდა სხვებისაგან. ამ ფრონტზე გამარჯვება ასე  
ადვილად არ მოდიოდა. ეს იყო მიზეზი, რომ აევუსტი-  
ნას სახეს და ხასიათს დაეტყო საგრძნობი ცვლილება,  
იულიას გასვლის შემდეგ კიდევ ორჯერ დახია და  
წერილი წერილები. შემდეგ დასწერა მოკლედ: „კმარა  
ამდენი ჯიუტობა და გადადება. მე თქვენთან მაქვს სა-  
ქმე. მე მინდა თქვენი ნახვა საჩქაროთ, ეხლავე. გელით  
მოუთმენლად. აევუსტინა“.

წაიკითხა და აღარ დახია. ჩასდო კონვერტში, და-  
ხურა და ზედ დააწერა: „ნათან ჯანაშვილს“. ცოტა  
ხნის შემდეგ მიაწერა: „პირადათ“. როცა ოსიპმა დააკა-  
ჯუნა, ერთხელ კიდევ აიღო კონვერტი ხელში, მიაწერა  
„საჩქაროთ“ და გაემართა ოსიპისაკენ კარის გასაღებად.

— ჩემო ოსიპ—უთხრა მას შემოსვლისთანავე—  
ძალიან საჩქარო საქმეა. ვაიქეცი ეხლავე და ეს წერი-  
ლი გადაეცი ნათან ჯანაშვილს. პასუხი მომირბენიე,  
გენაცვალე საჩქაროდ.

ოსიპი იდგა კარებში და ხელში ეჭირა აევუსტინას  
მიერ მიცემული წერილი.

— რაღაზე სდგახარ, ხომ ვითხარი, რომ ძალიან  
საჩქაროა?

— იულიამ დამაბარა, ხვალ კიდევ შემოვივლიო.

— კარგი, ოსიპ. წადი ეხლა.

— მაგდებ, აევუსტინა?

— როგორი ცუდი ხარ, ოსიპ.—უთხრა ეშმაკუ-  
რად აევუსტინამ.—ძალიან საჩქარო საქმეა და იმიტომაა,  
რომ ასე გაჩქარი.

— მე არ შეიძლება გავიგო, რა საქმეა?—არ იჩქა-  
როდა ოსიპი.

— არა.—უთხრა გაბრაზებით აევუსტინამ და წერი-  
ლი ჩამოართვა. — მე თვითონ წავალ.

ამის გამგონე ოსიპმა წერილი გამოსტაცა და გავა-  
რდა. გასვლანდე უთხრა:

— გული ნუ მოგდის, აევუსტინა, მე ისე...

— სულელი...—ჩაილაპარაკა თავისთვის აევუსტი-  
ნამ.

ოსიპის გასვლის შემდეგ გარკვევით ესმოდა თავის გულის ცემა. ძლიერ ღელავდა. არ იცოდა, როგორ მოეკლა დრო პასუხის მოლოდინში. „მოვა თუ არ მოვა“ — ფიქრობდა. „მოვა“ გადასწყვიტა.

ტანისამოსის შკაფიდან გამოიღო ლურჯი კაბა, რომელიც ყველა თავის კაბებზე უფრო მოსწონდა და საჩქაროდ გადაიცვა. შემდეგ დაივარცხნა თმა. რამოდენიმეჯერ მობრუნდა სარკესთან. მოსწონდა თავისი თავი.

„ოღონდ კი მოვიდეს. მე იმას ვაჩვენებ გულგრილობას“ — ამბობდა თავის გულში.

როცა მორჩა შპილკებს, ფრჩხილებს, პუდრას და ტუჩებს, აიღო წიგნი და ჩაჯდა სავარძელში.

საცოდავი ავტორი! მისი „მკითხველი“ თითქოს კითხულობდა, ნაგრამ ვინ ფიქრობდა მის გმირებზე? ავგუსტინას ჰყავდა თავის საკუთარი გმირი, რომელიც ამ წუთებში სწავდა მთელ მის არსებას. განა შეეძლო მას ეფიქრა, ვილაც შორეულ, ისტორიულ გმირებზე?

თვალეზი მაინც სტრიქონებში ჰქონდა, ფურცელი ფურცელზე გადადოდა, მაგრამ გონება კი არაფერს ითვისებდა. შავი ასოების ზევით მას ელანდებოდა ნხოლოდ ერთი სახელი: „ნათან“.

ავგუსტინამ ყველაფერი წარმოიდგინა ისე, როგორც უნდა ყოფილიყო მისი აზრით:

„ოსიპი შევიდა ნათანის ოთახში. უკვე გადასცა წერილი. ნათანმა წაიკითხა და გაიღიმა. შემდეგ აიღო ფანქარი და დასწერა პასუხი: „ძვირფასო ავგუსტინა! მაპატივეთ ამდენი ხნის ჯიუტობა. განა შემძლია არ მოვიდე? ნელოდეთ ხუთ წუთში. ღრმა პატივისცემით თქვენი ნათან ჯანაშვილი“. ოსიპი მორბის და მოაქვს პასუხი. აი კიდევ მოვიდა“...

ოსიპი მართლაც შემოვიდა და გადასცა პასუხი. ავგუსტინამ საჩქაროდ გახსნა კონვერტი და პირველი სიტყვა, რომელიც მას თვალში ეცა, პატარა ბარათის ამოღებისთანავე, ეს იყო: „მაპატივეთ“.

„ხონ ვთქვი“ — გაიფიქრა ავგუსტინამ და წაიკითხა ხუთი სიტყვა, რომლისგანაც შესდგებოდა მთელი პასუხი:

„მაპატივეთ. ვმეცადინობ. არ შემძლია მოსვლა“  
უცბად აუფარდა იატერიული ტირილი, წერილი აქ  
ცია ნაკუწნაკუწად, შეხედა ოსიპის გამომსტერებულ  
თვალებს და ქალაღდის ნაფლეთები ესროლა პირდაპირ  
სახეში. შეშინებულმა ოსიპმა უკან დაიხია. ავგუსტინა  
კი უფრო მიუახლოვდა და მთელი თავის გულის წყრო-  
ნით დაუყვირა:

— შენი ბრალია ყველაფერი...

მოულოდნელობისაგან ვაოცებულმა ოსიპმა ძლივს  
გააღო პირი:

— მე რა შუაში ვარ, ავგუსტინა?

● ● ●

— ძლივს! — წარმოსთქვა ავგუსტინამ, როცა ნა-  
თანს გაუღო კარები.

ნათანი შემოვიდა გაუბედავად, ზრდილობიანად  
ჩამოართვა ხელი და დაჯდა. იმდენად გრძნობდა უხერ-  
ხულობას, რომ ავგუსტინას ლამაზა ოთახმა არც კი  
მიიქცია მისი ყურადღება. ვიდრე ავგუსტინა იტყოდა  
რამეს, ნათანს უკვე გაუელვა აზრმა, რომ სასწრაფოდ  
უნდა გავიდეს აქედან. არ იცოდა, თუ რა სურდა მის-  
გან ავგუსტინას, რომელიც უკანასკნელი თვის განმავ-  
ლობაში საოცარი დაყინებით ეძახდა თავისკენ.

ავგუსტინა იდგა ნათანის პირდაპირ განომწვევი  
ღიმილით და სასიამოვნოთ მოცინარი თვალებით.

— როგორ გეტყობათ, რომ თქვენ მთებში ხართ  
გაზრდილი. — დაიწყო ავგუსტინამ.

— რისთვის გგონიათ ასე?

— თქვენი ხასიათი ამტკიცებს ამას. მთასავეთ ამა-  
ყი ხართ და შეუდრეკელი. რამდენი ენერგია დაეხარჯე  
მხოლოდ იმისათვის, რომ თქვენ მოსულთყავით ჩემს  
ოთახში.

— განა ასე საჭირო იყო ჩემი მოსვლა?

ავგუსტინამ ტუჩებზე იკვნიტა.

მხოლოდ ეხლა შეამჩნია ნათანმა, რომ ავგუსტინას  
ჰქონდა მეტად თავხედური და ამავე დროს მიმზიდვე-

ლი ტუჩები. ავგუსტინა მიუახლოვდა ნათანს. ნათანს  
ესმოდა ავგუსტინას გულიცემა.

— თქვენ უცნაური ახალგაზრდა ხართ—უთხრა  
ავგუსტინამ.

— ამისთვის დამიძახეთ?

— ნუ თუ თქვენ ოდნავადაც არ გსიამოვნებთ ჩემთან ყოფნა?—პასუხის ნაცვლად შეეკითხა ავგუსტინა.

— არ ვიცი.

— თქვენ არ ჰგეგხართ სხვა ახალგაზრდებს.

— შეიძლება.

ჩამოვარდა უხერხული სიჩუმე. ნათანმა დაინახა, რომ კუთხეში ჩამოკიდებული იყო ოსიპის სურათი, რომელიც შეტად იდიოტურად იცინოდა. თუმცა ამ სურათში იგი ძნელი საცნობი იყო, მაგრამ ნათანმა მაინც იცნო. მიუხედავად ამისა მხოლოდ იმისათვის, რომ სიჩუმე დაერღვია, შეეკითხა:

— ვინ არის ეს კაცი?

— ვანა თქვენთვის სულ ერთი არ არის?

— რასაკვირველია.

ავგუსტინამ ველარ მოითმინა და უთხრა:

— თქვენ ბოროტი კაცი ხართ.

— არავითარ დანაშაულს არ ვგრძნობ. არ ვიცი, რისთვის შეძახით ბოროტ კაცს.

— მე კი რადგანაც ვამბობ, ალბად ვიცი.

— მე სმენად ვარ გადაქცეული.

— ამაოდ. არ გეტყვით.

— თქვენი ნებაა.

— ნუ თუ თქვენთვის, ნათან, მართლაც სულ ერთია ყოველივე ის, რასაც მე ვფიქრობ თქვენზე?

ნათანმა, ცოტახნის შემდეგ, ოდნავ გაკვირვებულმა უპასუხა:

— მე ჯერ არ ვიცი, რას ვფიქრობთ ჩემზე. როდესაც გავიგებ ნამდვილ მიზეზს, თუ რისთვისაც დამიძახეთ, მაშინ ალბად გეტყვით—სულ ერთია ჩემთვის ყოველივე ის თუ არა.

— მაშ თქვენ გსურთ გაიგოთ ნამდვილი მიზეზი, თუ რისთვისაც დაგიძახეთ. ხა,ხა,ხა! თქვენ ბავშვი ხართ.



ნათან, სრულიად უმანკო, რომელმაც ცხოვრების არაფერი არ იცის. განა თქვენის აზრით, აუცილებლად რაიმე მიზეზია საჭიროა, რომ ახალგაზრდა ვაჟი მივიდეს ახალგაზრდა ქალთან? სიმონი სწორად ვახასიათებთ, რომ თქვენ კიდევ პროვინციელი ხართ.

— რა ვსურთ ჩემგან?—წამოდგა ნათანი.

ავგუსტინამ ხელი დაადო მხარზე.

— რისთვის ხართ, ნათან, ასეთი ცივი და მიუკარებელი? დაჯექით და გეტყვი. პო, ასე. მიუხედავად იმისა, რომ მე არ უნდა გითხრათ ეს, მაინც გეტყვი.

ნათანი უცდიდა. ავგუსტინა კი ფიქრობდა, როგორ დაეწყო. უცბად მოკლედ გადასჭრა:

— მე თქვენ მომწონხართ, ნათან.

ნათანი არ ელოდა. გაოცებული თვალებით მიაშტერდა იატაკს და დიდხანს დარჩა ასეთ პოზაში.

— ქალები არასოდეს არ იქცევიან ისე, როგორც მე. მე მომეწონეთ, გითხარით პირდაპირ.

— მე რა უნდა ვქნა ახლა, თქვენის აზრით?—შეეკითხა ნათანი.

ავგუსტინამ გაღიხარხარა და კარგ ხასიათზე დადგა.

— რამდენად სასაცილო ხართ, ნათან. ნუ თუ მართლა არ იცით, რა უნდა ჰქნათ? ამ სიტყვას, რომელიც მე გითხარით, ელიან ჩემგან აუარებელი ახალგაზრდები. არც ერთ მათგანს არ მოუყვდიოდა თავში ასეთი გულუბრყვილო საკითხი. მე ველი თქვენგან იგავე გრძნობას, ალერსს, ტრფიალს, სიყვარულს, ხვეწნა-კოცნას. გესმით, ნათან?

ნათანი გაჩუმებული იყო. ავგუსტინამ მოხერხებულად მოხვია მკლავი და შეეკითხა:

— იქნებ ვინმე უკვე გიყვართ?

— არა.—უპასუხა გაწითლებულმა ნათანმა და წამოდგა.

თავის პასუხთან ერთად ნათანმა იგრძნო გულის ტკივილი. სასწრაფოდ მიმოაელო თვალი გარშემო ოთახს და დაინახა ის ადგილი, სადაც დასდო თავისი ქუდი.

ავგუსტინას თვალები მრისხანებით აიხსოვდა, როგორც  
ნაც შეამჩნია, რომ ნათანი წასვლას აპირობდა.

— ნუ თუ არაფერი გაქვთ სათქმელი? — შევეკობა  
ავგუსტინა.

— არაფერი.

— მაშ თქვენთვის სულ ერთია ყოველივე ეს?

— სულ ერთია.

— იქნებ კიდევ გძულვართ?

— არა.

— მაშ იქნებ თქვენც მოგწონვართ?

— არა.

— მაშ რას ჰვეიქრობთ ჩემზე?

— არაფერს. არავითარი გრძნობა არა მაქვს თქვენ-  
სადმი. მამატივით, მე უნდა წავიდე. ამხანაგი ირაკლი  
აღბად უკვე გაბრაზებულია, რომ დავიგვიანე. ხვალ  
გამოცდა გვაქვს.

ავგუსტინამ ვერც კი გაიგო როგორ გავიდა ნათანი,  
კარები ღია დარჩა და სარკე უჩვენებდა კიბეზე ჩამა-  
ვილ ნათანს. ავგუსტინამ ასწია თავისი პატარა მკლავი  
და სარკეში დაემუქრა:

— დამაცა პროვინციელო... მოგტეხავ... მოგარ-  
ჯულებ...



### „გ ა ო რ ე ბ ა“

სად ამოიკითხა ნათანმა ეს სიტყვა? ძნელი იყო  
ამეამად მისთვის ანის მოგონება, მაგრამ ის კი გარკვე-  
ვით ახსოვდა, რომ ეს იყო ბავშობისას. მაშინ არ ესმო-  
და ამ სიტყვის მნიშვნელობა. უფრო მეტიც: ვერც კი  
წარმოედგინა როგორ შეიძლებოდა ადამიანის გაორება.

მაგრამ ეს იყო მაშინ. ეხლა კი, ან ბოლო ხანებში  
ნათანს აღარ აკვირვებდა ამ სიტყვის არსებობა.

ავგუსტინამ გააორა ნათანის სული, ნათანის გრძნო-  
ბები, ნათანის ნებისყოფა.

უკვე ღამის თორმეტი საათია. ნათანი წევს ფი-  
რულ ტახტზე, თავის პატარა და ცივ ოთახში. სინათლე

ჩამქრალია და ნათანს სურს დაიძინოს, მაგრამ მას არ შეუძლია დაძინება.

ოთახში ბნელა და ნათანის თვალები სჭრიან სიბნელეს.

შორეული მეზობელი როიალზე უკრავს შოპენის სამგლოვიარო მარშს და ნათანი ჰფიქრობს, რომ მეზობელი ასამარებს ნათანის ნებისყოფას.

ნათანმა თავი ჩასდო ბალიშში. მას წარმოუდგა ავგუსტინას მოცინარი სახე. ცოტა ხნის შემდეგ მას მოეჩვენა, თითქოს ავგუსტინა მიაჭანებდა მას უძირო უფსკრულისაკენ. ნათანი უკან იხევდა, მაგრამ ავგუსტინა მაინც თავისას არ იშლიდა. იგინი უკვე იდგენ უფსკრულის პირას, როდესაც ნათანის ოთახზე დააკაკუნეს.

ნათანი გამოეკევა და უცბად წამოხტა, კაკუნი კიდეც გამეორდა. აუტოკდა გული.

„ვინ უნდა იყოს ამ დროს“—ჰფიქრობდა ნათანი, უკიდებდა სანათს და ეძებდა ტანსაცმელს.

— ვინ არის?—იკითხა ნათანმა.

— მე ვარ. — მოისმა ქალის ხმა.

„ავგუსტინა“ — გაიფიქრა ნათანმა და გაფითრდა. შემდეგ თვალები მოიფშენიბა, რათა დარწმუნებულიყო, რომ ეს მოჩვენება არ იყო. საჩქაროდ გადაიცვა და მიუახლოვდა კარებს. როდესაც აღებდა, ხელი უკანკალებდა და სამი სიტყვა ღრღნიდა მის ტვინს:

„ავგუსტინა აშკარად გაიმარჯვებს“.

ნათანის ოთახში შემოვიდა ავგუსტინა და გამომცდელის თვალებით შეხედა ოთახის პატრონს.

ნათანი იდგა შუა ოთახში ხმა ამოუღებლად და გაოცებული შესცქეროდა ავგუსტინას.

— რასაკვირველია, არ ელოდი ჩენისთანა სტუმარს ამ შუალამისას—დაიწყო ავგუსტინამ. — ნუ გაიკვირვებ, ძლიერ სიყვარულს ყველაფერი შეუძლია. ამ სიყვარულის სახელით უშენოდ შევისწავლე მთელი შენი ცხოვრების პირობები, შენი მისამართი, შენი საქმის საათები. მე ჯერ არ ვყოფილვარ შენს ოთახში. დღისით შენ მოუცლელი ხარ. ამავე დროს შენ გაურბი ჩემთან ლაპარაკს. ეს კი აუცილებელია. ჩვენ აუცილებ-

ლად უნდა ველაპარაკოთ ერთმანეთს. <sup>ვეელადვირ</sup> უნდა უთხრაო, ამისთვის კი ამოვარჩიე—ასეთი თავისუფალი დრო. ამ დროს ჩვენ ვერავინ შეგვიშლის ხელს.

— განა ჩემი ძილის საათები—ეს თქვენთვის ნიშნავს თავისუფალ დროს?—შეეკითხა ნათანი.

— ჯერ ერთი, რისთვის შელაპარაკები თქვენობით? შემდეგ მეორე—რისთვის დგახარ ამ შუაგულ ოთახში და არ წამოწეები ისევ? ნუ მომერიდები. მეც შენს საწოლთან ჩამოვჯდები ახლოს.

ავგუსტინამ ხელი ჩაავლო ნათანს, რომელმაც ვერც კი იგრძნო, როგორ მიიყვანა ავგუსტინამ საწოლთან და ვადააფარა თხელი საბანი. თვითონ კი ჩამოჯდა საწოლის პირზე.

— შემდეგ მესამე — განაგრძობდა ავგუსტინა—რისთვის შეკითხები შენი ძილის საათების შესახებ? განა შენ გწყისს, რომ მოვედი ამ დროს? აღიარე სიმართლე, შენ ხომ არ გეძინა?

— საიდან იცით თქვენ, მეძინა თუ არა?—წამოიყვირა ნათანმა.

— ეიცო.—დამშვიდებით მიუგო ავგუსტინამ.

— საიდან?—ისევ აღელვებით და მოუთმენელი კილოთი შეეკითხა ნათანი.

— ნათან, შენ რაღაც გაწუხებს.

ნათანმა ხელი ჩაიჭნია უიმედოდ და ჭერს მიაშტერდა.

მან განსაკუთრებით დაიხსომა უკანასკნელი ორი სიტყვა:

„რაღაც გაწუხებს“.

ავგუსტინამაც, თითქოს მიხვდა ნათანის აზრებს, ერთხელ კიდევ გაიმეორა:

— რაღაც გაწუხებს...

ნათანი ჩუმად იყო. ავგუსტინა ათვალიერებდა ნათანის ოთახს.

ოთახი იყო პატარა და ღარიბული. ერთი ფიცრული ტახტი, ერთი სკამი და ერთი მაგიდა, რომელიც ასრულებდა სამ მოვალეობას—ჭადრაკის სათამაშო, სასადილო და საწერისას—შეადგენდა ოთახის ავეჯეულობას.

სამაგიეროდ იყო აუარებელი წიგნები, რომლებიც სრული წესრიგით ელაგა იატაკზე გაფენილ გაზეთებზე. კედელზე ჩამოკიდებული იყო მრავალი სურათები, რომელთა უნეტესობას შეადგენდა ცნობილი მწერლები და მეცნიერები. ოთახში ელექტრონის სინათლე არ იყო და ავგუსტინასათვის ძნელი იყო მათი სახის გარჩევა.

როდესაც ავგუსტინა მორჩა ოთახის დათვალიერებას და ისევ მიუახლოვდა ნათანს, დაინახა, რომ ნათანი იწვა ისევ ძველ პოზაში: პირადმა, უიმედო სასოწარკვეთილებას მიცემული და მისჩერებოდა ჭერს. ავგუსტინა დააკვირდა: ნათანი მას არ უცქეროდა. შეუძახევლად შენთავლო ხელი და მოეხვია. ნათანმა მოინდომა განთავისუფლება მისი მკლავებისაგან, მაგრამ ამ დროს ავგუსტინა მოულოდნელად დაიხარა, მიუახლოვა თავისი ცხელი და მოწყურებული ტუჩები ნათანის ტუჩებს და მაგრად ჩაჰკოცნა.

ნათანი დაიწვა. ნებისყოფის უკანასკნელი ძარღვი გასწყდა და ულონომ თვალები დაჰხუჭა.

— რას გაჩუმებულხარ, ნათან,— ეუბნებოდა ალერსით ავგუსტინა— რისთვის არ გინდა მომეხვიო და მაგრად ჩამიკრა გულში? ნუ იქნები ასეთი უგრძნობი. ან შემიძულე, ან შემიყვარე! ერთ-ერთი. საშუალო გზას ვერ მოვითმენ. მე მინდა, რომ შენ გქონდეს რაიმე გრძნობა ჩემსადმი. მე მინდა, რომ შენს ცხოვრებაში მე შევიქრე ღრმად. მე მინდა რომ შენ ჩემი იყო! ნათან! რა მშვენიერი სახელია! რა მშვენიერი და ჭკვიანი შუბლი გაქვს! მე მინდა, რომ ეს სახელიც, ეს შუბლიც და ეს გულწრფელი თვალებიც— ჩემი იყოს, მხოლოდ ჩემი. გესმის?

და ავგუსტინა ამ სიტყვებთან ერთად ჰკოცნიდა ნათანს, შუბლში, თვალებში, ტუჩებში, ყელში. ჰკოცნიდა ვნებით, გატაცებით, როგორც მწყურვალე უდაბნოში, რომელიც ხარბად ეწაფება შემთხვევით აღმოჩენილ წყაროს.

ნათანი წინააღმდეგობას არ უწედა. პირიქით ჰგრძნობდა, რომ ავგუსტინას შიშველი მკლავები, დაფანტული თმა და მისი გულმკერდის შეხება— შეუბრალებ-

ლად სწავდენ ძველ ნათანს, რომლის მაგიერ—<sup>მოდი</sup> მოდი  
ოდა ახალი ნათანი, სრულიად უცნობი, რომელიც ვერ  
უძლებდა ავგუსტინას ნებას და მთლიანად ემორჩილე-  
ბოდა მას. შეხედა ავგუსტინას, თვალები აემღვრია...  
და უცბად მოხვია მაგრად მკლავები და მიიზიდა თავის-  
კენ.

ავგუსტინა ჰკრძნობდა გამარჯვებას. ავგუსტინას  
სახეზე ზეიმი იყო. ავგუსტინა იცინოდა, ჰკოცნიდა ნა-  
თანს და ეკითხებოდა:

— სთქვი ეხლა, გიყვარვარ თუ არა?

— კი...—ესმოდა ავგუსტინას პასუხად, როგორც  
მორეული ეხო.

---

## 5

ერთხელ კიდევ დააკაკუნეს ნათანის კარებზე. დილა იყო, ნათანი ისედაც დგებოდა. ღამე უძილოდ გაატარა. არ დაუძინია არც ავგუსტინას წასვლის შემდეგ, რასაც მოწმობდა მისი გაწითლებული თვალები. მაგრამ შაინც ადგა. მალე ამხანაგი ირაკლი უნდა მოსულიყო და შეცადინობა უნდა დაეწყოთ.

პირველ დაკაკუნებაზე ნათანმა პასუხი არ გასცა. კაკუნი განმეორდა უფრო ნელი და თავაზიანი.

„ეს ვინლა არის“—გაიფიქრა ნათანმა და თითქოს თავისთავს თვითონვე უპასუხა:

„ჩემი ამხანაგები ასე ზრდილობიანად არასოდეს არ აკაკუნებენ“.

შემდეგ ხმამაღლა შეეკითხა:

— ვინ არის?

— შე გახლავართ, ბატონო ნათან—მოდისმა პასუხად ვილატას ბოხი ხმა.

ნათანმა თავის გონებაში ხაზი გაუსვა ორ სიტყვას „ბატონო ნათან“ და გაიციხა. დღემდე მისთვის არაფის არ უწოდებია „ბატონო ნათან“. შემდეგ უპასუხა:

— ეხლავე.

ნათანმა კარი გააღო და ოთახში შემოვიდა ყვწრა შათაშვილი.

შემოსვლისას ყვწრას დაეტყო ერთგვარი გაუბედობა. არ იცოდა, როგორ მისალმებოდა. ჰქონდა შზად სამი სალაში:

„შალომ-ყალეხემ“<sup>1</sup>

<sup>1</sup> შალომ-ყალეხემ — გამარჯობა.

„დილა მშვიდობისა“.

„ზღრასტი“

უარპყო პირველი, „ვაი თუ მოარწუნე არ არის“  
უარპყო მეორე—„ვაი, თუ ეწყინოს განათლებულ კაცს  
ქართული მისალმება“. შერჩა. მესამე. მიესალმა.

— სალამი. დაბრძანდით.—უპასუხა ნათანმა ქარ-  
თულად და მიუთითა სკამზე.

ყეზრა ჩამოჯდა. ნათანი იდგა მის პირდაპირ და  
ელოდა ლაპარაკის დაწყებას, ანავე დროს ნათანი თვი-  
თვე ცდილობდა აეხსნა მიზეზი ყეზრა შათაშვილის  
მასთან მოსვლისა, მაგრამ არც ერთი მოსაზრება არ  
იყო მტკიცე. ახლად მოსული კი ოთახს ათვალეფრებდა  
და ჯერ არ ჰფიქრობდა თავისი მოსვლის მიზეზების—  
გამომჟღავნებას.

— ძალიან ცივი უნდა იყოს თქვენი ოთახი?—დაი-  
წყო ყეზრამ.

— დიახ.

— შერე როგორ გძინავთ ამ ზამთარში უცეცხლოდ?  
ნათანმა არ იცოდა რა ეპასუხნა ამ უცნაური კა-  
ცასათვის, უპასუხა თითქოს თავის თავს:

— ისე.

— წიგნები ბევრი გქონიათ?

— დიახ.

ყეზრამ თვალი მოჰკრა ებრაულ წიგნებს და შეეკითხა.

— თორებიც გქონიათ?

— მაქვს ებრაული წიგნები—უპასუხა ნათანმა.

— დიდი ხანია ჩამობრძანდით ქალაქში?

— რამდენიმე თვეა.

— თქვენ სტუდენტი ბრძანდებით, არა?

— დიახ.

— მე ძალიან მიყვარს სტუდენტები. ასე განსა-  
ჯეთ, მეც არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, რომ სტუ-  
დენტი ვიყო. სტუდენტი—განათლებული ვინმეა. სტუ-  
დენტმა კარგად იცის წერა-კითხვა, ანგარიში. თუმცა—  
ხანდახან არც სტუდენტობა არის კარგი. „განათლებუ-  
ლი ვარ და ღმერთი არა მწამსო, ლოცვას აღარ ვილოცა-  
ვო“—ასე ამბობენ ზოგიერთები.



ნათანი შესცქეროდა გაოცებული. უცბად მოკლედ მოუჭრა:

— თქვენ რამე საქმე გაქვთ ჩემთან?

— უსაქნოდ როგორ შეგაწუხებდით, ბატონო ნათან?— მიუგო ყუზრამ.

ერთხანს კიდევ ჩამოვარდა სიჩუმე. შემდეგ ყუზრამ ჩაახველა, კისერი მოიფხანა და დაიწყო:

— როგორც გავგივია, თქვენი მამა ცხინვალელია. აგრეთვე კარგი ისრაელის შვილია და სამართლიანობის მოყვარულია. ქართული ანდაზაა: „მამა ნახე, დედა ნახე, შვილი ისე გამოიხადებს“. ანიტომაც მთელი ჯამაათი დარწმუნებულია, რომ თქვენც, სამართლიანი კაცი ბრძანდებით. მე ვარ ცხინვალელების ობშჩესტვოს თავმჯდომარე და მთავარი ვაბაი. მე გამოგზავნილი ვარ მთელი ჯამაათის მიერ. ერთი სიტყვით, რაღა ბევრი თავი შეგაწყინოთ, მთელი ჯამაათი გთხოვთ, ნუ დაგვღუპავთ და შტერს ნუ ვაახარებთ.

ნათანის გაუგებრობა და გაოცება თანდათან უფრო იზრდებოდა. ვერ მოითმინა და შეაწყვეტინა:

— არ მესმის, რაშია საქმე. სიტყვით ვარკვევით, რა ვსურთ ჩემგან?

— აი, ბატონო ნათან, თქვენ ხომ მთავრობის წარმომადგენელი ბრძანდებით...

ნათანმა გაიცინა.

— ვინ გითხრათ თქვენ, რომ მე მთავრობის წარმომადგენელი ვარ? მე მხოლოდ უბრალო სტუდენტი ვარ.

— თქვენი ნებაა, ბატონო. თქვენ შეგიძლიათ დაგვიძალოთ, მაგრამ ჩვენ კი დანამდვილებით ვიცით.

— ვინ შეგატყობინათ ასე დანამდვილებით ეს ამბავი?

— ძია დათომ.

ნათანმა პასუხის მაგიერ ისევ გაიცინა. ყუზრა განაგრძობდა:

— ან რამოდენიმე ხნის წინედ, სალოცავის შეღებვის შემდეგ, მიტინგი გქონდა. თქვენ და თქვენი ამხანაგი ე. ი. მთავრობის გამოგზავნილი კომისია—ყოფილხართ იმ დროს ჩვენს ლოცვაში. ჩვენ არ ვიცოდით, ვინ

ბრძანდებოდით და ამიტომ ვერ გეცით შესაფერი <sup>ბრძან</sup> ვი. უნდა დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ჩვენ ბალშევიკების მთავრობა ძალიან გვიყვარს. <sup>ძია დათოს</sup> ძია დათოს არ დაუჯეროთ. ის არის ჩვენი დამლუპველი და ამომწყვეტი. იმას გააქვს მთელი ჩვენი შინაური ამბები ვარედ. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ გარეული ამბებიც შემოაქვს შიგნით. ამავე დროს, ბატონო ნათან, ენდეთ პატიოსან სიტყვას, ძია დათომ გაგვალატაკა. თუ კი რაიმე შემოსავალი შემოსდის ლოცვას იქვე ეპატრონება და ჩვენამდე ერთი კაპიკი აღარ აღწევს. ისიც მართალია, რომ მას რამოდენიმე თვეა ჯამაგირი არ მიუღია. მაგრამ ჩვენც მართალი ვართ, ვინაიდან მას აღარაფერი არ ეკუთვნის. ძია დათოს შეცდომაში შეჰყავს მთავრობაც და თქვენი თავიც. უმორჩილესი თხოვნით ნოვმართავთ როგორც განათლებულ კაცს და კარგი მამის შვილს, რომ ძია დათოს არ დაუჯეროთ და საკითხი მთავრობაში მის სასარგებლოდ არ გადასწყვიტოთ. ნუ ინებებთ ჩვენი ჯამაათის გალატაკებას და დალუპვას.

— თქვენ რალაც გაუგებრობით მოსულხართ ჩემთან,—უპასუხა ნათანმა და განაგრძო,—მე კიდევ გიმეორებთ, რომ მე ვარ მხოლოდ სტუდენტი. მხოლოდ უბრალო მოსწავლე. არაფერი საქმე არ მაქვს არც ძია დათოსთან, არც მის ჯამაგირთან და არც თქვენ შინაურ საქმეებთან. მე არავითარ კომისიაში არ ვყოფილვარ. მართალია, ერთხელ შემოვედი სალოცაეში მე და ჩემი ამხანაგი, მაგრამ ეს იყო—მხოლოდ დათვალეირების მიზნით.

— შინდა ბატონო ნათან დაგიჯეროთ, მაგრამ არ შემიძლია. ძია დათომ დაიფიცა...

— კმარა ამ საკითხზე ამდენი ლაპარაკი. მე ეთქვი ერთხელ და გავათავე.

ნათანი წამოდგა. ანით ანიშნა, რომ ლაპარაკი დასრულდა, მაგრამ ყეზრა შათაშვილი ისევ სკამზე იჯდა და არ ფიქრობდა წასვლას.

— ეტყობა, თქვენ კიდევ გაქვთ სხვა საქმე ჩემთან?

— დიახ.—გაუბედავად უპასუხა ყეზრამ.

ნათანი ისევ ჩამოჯდა და ცნობისმოყვარე თვალებით მიაჩერდა მობაასეს.

— მე ცოლი შევირთე—დაიწყო ნელა ყეზრამ, — თუნცა სიმართლე რომ ვთქვათ, ჯერ კი არ შემერთავს, ეხლა ვაპირობ ცოლის შერთვას. მე, როგორც მოგახსენეთ, ძალიან მიყვარს სტუდენტები და განათლებული ხალხი, მით უმეტეს, ჩვენი ისრაელი სტუდენტები. ამალამ ნიშნობა მაქვს ჩემი სიმამრის სახლში. მოწვეული მყავს საუკეთესო ხალხი და საზოგადოება. იქნება ზურნა, ცეკვა, მზიარულება. ახალგაზრდები — კაცები და ქალები იქნებიან საკმაოდ. მე ძალიან გთხოვთ, უარი არ მითხრათ და გაგვაბედნიეროთ თქვენი მობრძანებით.

ნათანი დაიბნა. არ იცოდა როგორ მოქცეულიყო. დათანხმებულიყო. თუ უარი ეთაქვა. ყეზრა განაგრძობდა:

— ამალამ სრულ ცხრა საათზე დაელოდეთ ჩემს გამოგზავნილ კაცს. ის წამოგიძღვებათ და ნოვაციანთ ჩემი სიმამრის სახლამდე. ჩვენ ყველანი ძალიან მოხარული და ბედნიერი ვიქნებით. არასოდეს არ დაგივიწყებთ ამ დაფასებას და პატივისცემას.

ნათანი ამ დროს ჰფიქრობდა თავისთვის:

„რა საერთო მაქვს ამ კაცთან და მის ნიშნობასთან? დღეს განვიცნო ეს კაცი და ასე მალე მეპატიეება თავისკენ... მაგრამ მეორე მხრით—საინტერესოა ნიშნობაზე წასვლა, ჯერ ხომ არც ერთხელ არ მინახავს ნიშნობა? ამავე დროს გავეცნობი აქაურ ებრაელთა საზოგადოებას, მათ ყოფაცხოვრებას, მათი ოჯახური ცხოვრების პირობებს... წავიდე თუ არ წავიდე?“.

ყეზრა შათაშვილი მოუთმენლად ელოდა პასუხს.

— ხომ გვეწვევით ბატონო ნათან?

ნათანმა თახნობის ნიშნად თავი დააქნია. ყეზრას სახე გაუბრწყინდა და გამოსალმებამდე განუმეორა:

— სრულ ცხრა საათზე მოვა თქვენთან ჩემი გამოგზავნილი კაცი...



სალამოს სრულ ცხრა საათზე ნათან ჯანაშვილის ოთახის კარი დაუკაკუნებლად შეაღო ძია დათომ.

— შენიც გვადროვოს ღმერთმა, — მხიარულად მიგსალმა იგი ნათანს და ხელი ჩამოართვა.

— როგორ? ყეზრა შათაშვილმა შენ გამოგზავნა ჩემთან? — გაკვირვებით შეეკითხა ნათანი.

— აბა ვინ უნდა გამოგზავნა, თუ მე არა? უჩემოდ ღმერთი ხომ არმად შეარგებდა ამალამნდელ ვახშამს? ნათანი იდგა შუაგულ ოთახში, გაშლილი ხელეებით და ოდნავი ღიმილით ამბობდა:

— არაფერი არ მესმის... არაფერი არ მესმის...

— რა არ გესმის? — გაცხარდა ძია დათო — ანგარიშები თავისთვის არის, ლოცვა — კიდევ თავისთვის, ნიშნობა, ქორწილი და სიმხიარულე კიდევ თავისთვის. ვის აქვს უფლება ძია დათოს წაართვას შამაშობა? არაქოს. ცხინვალელების მთავარი გაბაი აპირობს დაცოლშვილებას. უჩემოდ განა შეუძლია რამე გააკეთოს? განა სხვა ვინმეს შეუძლია ჩემსავით ხალხის დაძახება და შეგროვება? განა ვინმემ ჩემსავით იცის — ვინ სად არის, ვინ სახლშია, ვინ სამუშაოდ, ვინ სად ცხოვრობს, ვინ სად სადილობს, ვინ რას სადილობს, ან ვინ რა დროს რას აკეთებს?

— ჯამაგირის საქმე როგორ გაქვს? მოგცეს თუ არა?

— ნულარ შეკითხები შამაშვილობას. ყეზრა შათაშვილს კაცი ფულს გააგდებინებს? კორახივით? აზის ლოცვის ქონებას და მანამ მიწა არ ჩაჰყლაპავს, არ აპირობს ანგარიშების გასწორებას. რა ექნა, ასეთი იღბალი მქონია. ჩემს პატივისცემას და კეთილ გულს — არა ვინ არ იხსომებს. შენც კი დამივიწყე. პირველ ღამეს, როცა ქალაქში ჩამოხვედი, ბინა არა გქონდა და მე გაგათევიე ღანე, იმ ღამეს ყველაფერს შემპირდი და შენ კი უბრალო განცხადებაც არ დამიწერე. მე მოხუცი კაცი ვარ, მაგრამ სიდიდგულე მაინც არ მიყვარს. სამაგიეროს არ გადაგიხდი. როცა შენი ნიშნობა და ქორწილი იქნება — ხალხსაც მე დავპატივებ და ისე მოგილხენთ, რომ დაგავიწყებ მთელი ქვეყნის დარღს.

ნათანი მხიარულად იღინებოდა. ძია დათო განაგრძობდა:

<sup>1</sup> კორახ — ბიბლიური გმირი, ძუნწი კაცი.

— ტყუილად ამას ნუ იფიქრებს ყეზრა შათაშვილი: ამილამ ნიშნობა მაქვს, ძია დათო სტუმრებს დაუქანებს და მოუღბენს, პატარა საჩუქარს მივცემ და ამით საქმე გათავდებო. არა! ვერ მიეართმევ! ჩემს ჯამაგირს თავის პროცენტებით უკანასკნელ კაპეიკამდე მივიღებ. ნიშნობა თავისთვის — ჩემი ჯამაგირი თავისთვის.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ, რისთვის მოატყუე ყეზრა შათაშვილი, თითქოს მე შთაერთობის წარმომადგენელი ვარ? ან რომელ კომისიაზე ელაპარაკე? მე და ჩემი ამხანაგი ხომ შემთხვევით მოვედით სალოცაეში?

ძია დათო ერთ წუთს დაიბნა, მაგრამ უცბად რალაც მოისაზრა და შეეკითხა:

— თქვენ რა დაგაკლდათ ამ ჩემი ტყუილით? მე ლარიბი კაცი ვარ. ამგვარად ჩემს ჯამაგირს გავინაღდებ და თქვენც კმაყოფილი იქნებით, რომ თქვენი სახელი უფრო წინ გაიწევეს.

— ეს არ არის საჭირო. მომავალში ჩემი სახელით ნურაფერს ნუ გააკეთებ — უთხრა ნათანმა ნელი ხმით, მაგრამ ისეთი კილოთი, რომ წყრომა აშკარად მოსჩანდა.

— კარგი ეხლა ნათან, ნუ გაჯავრდები, რაც იყო იყო, ახლა კი მე მოვედი შენთან, რომ შეგატყობინო: ყეზრა შათაშვილი თავის დანიშნულით, სიდედრით და სიმამრით გელიან ნიშნობაზე.

— დამითოვე მისამართი, ჩაეიცვამ ტანისანოსს და მოვალ.

— მამაშვილობას, ნუ მოაკვლევინებ იმ ხალხს ჩემს თავს. მე აქ დაგელოდები, ჩაიცვი ტანისამოსი და ერთად წავიდეთ.

ნათანისათვის აშკარა იყო, რომ ასე ადვილად თავს ვერ დაამრობდა ძია დათოს, დაემორჩილა ბედს და შეუდგა ტანისამოსის გადაცმას.

ძია დათომ სიხარულით ცხვირი დააცემინა, გაიწმინდა თავის დაკონკილ პალტოს კალთით, გადაისევა ხელი წვერებზე და უღვაშებზე, ავტორიტეტულად ჩაახველა, შემდეგ გააფურთხა იატაკზე და დაიწყო:

— შენ ჩემზე ჯავრი ნუ მოგდის, ნათან. ჩემს ხანში აღამიანი ბევრი რამის მომსწრეა. მე შერვეული ვი-

ყავი ადამიანურ ცხოვრებას. ყველგან კაცობა მეთქვამდა. ყველა ჩემზე ლაპარაკობდა: „მამასახლისი დათო“, „გაბაი დათო“, „მატონი დათო“. სხვანაირად ვინ მომიხსენებდა? ეხლა სხვანაირი დროება დადგა. ჩემი-სახელი — შამაში — შეიქნა. ყველას შეუძლია მიბრძანოს, თავში ჩამარტყას, მომატყუოს. მე კი იმას ვცდილობ, რომ სწორედ დღევანდელ დროში არავინ შესძლოს ჩემი გაბიადურება და მოტყუება. ყურბა შათაშვილს, მენაშესა და მათ ძმაბიჭებს ჰგონიათ, რომ რახან ძია დათო ჩვენი შამაშიაო — როგორც გვინდა ისე მოვექცევითო. ვერა! ეხლა მე მშრომელი ვარ, ნამდვილი მშრომელი, ვასუფთავებ შენობას, ეზოს, ფეხისადგილს. ვის შევარჩენ ჩემს ნაოფლარს, ჩემს კანონიერ ჯამაგირს? თუ ძალიან გამიჭირდა, პირდაპირ ბალშევიკებში ჩავეწერები. მერე ამოვიყრი მაგათ ჯავრს. მაკადონ!

— მაგალითად?

— ამას რალა მაგალითი უნდა? მთავრობას ფული სჭირია. აედგები და ასე ვიზამ: რაც მთავრობას ფული სჭირია, სულ მაგათ შევაწერ გადასახადათ.

— ჩემის აზრით კი, უმჯობესი იქნებოდა მოგეძებნა სხვა რამე სამუშაო, მოშორებოდი ლოცვას, გამაგებს და მათთან დაუსრულებელ დავიდარაბას — უთხრა ნათანმა და გაისწორა საყელო.

— ვერ მარიგებ სწორად — უპასუხა ძია დათომ. — ესე მოვხუცებულავრ ღმერთისა და ჯამაათის სამსახურში. ეხლა უნდა მიეანებო თავი ლოცვას? არა, ეს შეუძლებელი ამბავია.

ნათანმა ჩააქრო სანათი და მოამზადა გასაღები ოთახის დასაკეტად.

ძია დათო და ნათანი გაემართენ ნაცნობი ქუჩებით.

ძია დათო ამაყად მიიბიჯებდა ნათანის გვერდით.

ძია დათოს ეცვა დაგლეჯილი ტანსაცმელი. იგი არ ჰფიქრობდა ამაზე.

ძია დათოს ჰქონდა გრძელი და თეთრი წვერები, უყვარდა წვერებზე ხელის ფათური. აფათურებდა ეხლაც.

ძია დათოს ამაღამ სამი მიზანი ჰქონდა: ნათანის ნაცნობობით თავის ქება, ვახშამი და საჩუქარი.

დროგამომშვებით შეხედავდა ნათანს. მზად ჰქონდა რამოდენიმე ამბავი, მაგრამ ნათანი არ იჩენდა ლაპარაკის არავითარ სურვილს. ნათანი მიაბიჯებდა ჩქარა მოწყენით და ხმას არ იღებდა.

ძია დათომ იშოვა ლაპარაკის საბაბი და დაიწყო:

— რა დროს მოწყენაა, ნათანჯან. ამაღამ უნდა ვიქეიფოთ. ყუზრაღ და ნისი სიმამრიც ძალიან ძუნწი ხალხი არიან. სხვა დროს აღარ დაგვპატიებენ. ამაღამ მაინც ისე უნდა გავატაროთ დრო, რომ მასპინძლებს დავაფიწყოთ თავიანთი ძუნწობა.

— შე სულაც არ მოვდივარ ქეიფისათვის—წყენით უთხრა ნათანმა.

— აბა რისთვის მოდიხარ?—მიაშტერდა ძია დათო და შემდეგ თვითვე უპასუხა თავის თავს:—ჰა, ვიცი. დანიშნულის სანახავად მოდიხარ.

„რა სისულელეებს ჩმახავს ეს მოხუცი“—გაიფიქრა ნათანმა.

ძია დათო კი განავრძობდა:

— შართლაც ღირს დანიშნულის ნახვა. თორაში რომ სწერთა, მოწყვეტილი ვარსკვლავიაო—სწორედ მაგაზეა ნათქვამი. ლამაზი, კოხტა, მშვენიერი. ამბობენ დიდი ნასწავლი ქალიაო.

„ნასწავლი?“ — გაიკვირვა ნათანმა.

— მეტისმეტად ზრდილობიანი და თავაზიანია. აფსუს, რომ ასეთი კარგი ქალის პატრონი ყუზრა შათაშვილი უნდა გახდეს! რას იზამ, ფული თუ გაქვს. დაფასებაც გაქვს. ჩემს ნამაპაპას ასე უთქვამს. „იეშ მამონ—იეშ ქაბოდ“<sup>1</sup> ყუზრა შათაშვილს ფულები ოხრად აქვს. ვინ დაიწუნებდა მაგისთანა კაცის სიძობას?

„ფულია დღემდე ამ ხალხის საზომი“—ფიქრობდა ნათანი.

— ყუზრა შათაშვილი და მისი დანიშნული, ჩვენს შორის რომ ვსთქვათ, თურმე ვერ არიან ერთმანეთში კარგად. ასე ამბობენ, რომ დანიშნულმა უთხრა მამანისს:

<sup>1</sup> იეშ მამონ—იეშ ქაბოდ—არის ჰონება, არის პატივისცემა.

„მაგისტანა საქმრო მე არ მინდაო. მე და მაგ დასაქმ-  
ბული ვართ ერთმანეთისაგან, როგორც ალმოსავლელი  
და დასავლეთიო“.

— განა ძალათი ვაათხოვეს?

— რას ჰქვია ძალათი ვაათხოვება? ქალიშვილი ხომ  
ნამას უნდა დაემორჩილოს, მორჩა და ვათავდა! ბევრი  
უარი უთქვამს დანიშნულს, მაგრამ ბოლოს ისევ დაუ-  
ჯერებია მამისათვის. თუმცა უნდა ვთქვა სიმართლე,  
რომ ყეზრა შათაშვილზე არამია მაგ ქალი. ყეზრა ნამ-  
დვილი აქლემია, ის ქალი კი—შეხედავ, იტყვი: ანგე-  
ლოზიაო.

ნათანი მიდიოდა ჩაფიქრებული. ძია დათოს სიტ-  
ყვები ღრმად ხედებოდა გულში.

— ის ქალი ისეთია, რომ სწორედ საშენოა...

„საჩემო?—შეეშინდა ნათანს — რა უნდა ამ გამო-  
ყრუებულ ბებერს, ჩემგან“.

და უნდოდა ნათანს ეპასუხნა რაღაც მწარედ, მაგ-  
რამ ტუჩებზე იკენიტა და გაჩუმდა. განაგრძობდა ფიქრს:  
„ყეზრა შათაშვილი ძია დათოს არ აძლევს ჯამაგირს,  
ძია დათოს უნდა დამაინტერესოს ყეზრა შათაშვი-  
ლის დანიშნულით. შემდეგ მოგვივა უსიამოვნება ყეზ-  
რასთან. ძია დათოსაც ეს უნდა. ხა,ხა,ხა! რა გულუბრ-  
ყვილო მოხუცია... უფრო უკეთ: ნოხუცი ბავშია“.

ძია დათო უცბად შეჩერდა ერთ ჭიშკართან და  
სთქვა:—

— მოვედით...

ნათანმა მიმოავლო თვალი გარშემო. იცნო. გული  
აუტოცდა:

ფ ე თ ხ ა ი ნ ი.

თეთრი სახლი.

გაიხედა ქუჩის მიმართულებით. დაინახა ნაცნობი  
კიბე, რომელიც ოდესღაც უერთდებოდა აივანს.

„აქ, ამ ადგილას იყო წინედ-აივანი. აქ გავატარე  
პირველი ღამე. აქ გავიცანი ძია დათო. აქ გავიცანი პი-  
რველად ფეთხაინი. ფეთხაინი ლარიბების და ლატაკე-  
ბის, ფეთხაინი—ქვრივების და ობლების. ფეთხაინი—  
ფეხშიშველა ბავშვების. ფეთხაინი — მეწვრილმანეების“



და შემწვარი წაბლის გამყიდველებს. ფეთხაინი—ჰაქ-  
რის ხალხის. ფეთხაინი—ფეთხაინის“.

მისი ფიქრები ისევ ძია დათომ დაარღვია: ეროვნული  
მემორიალი  
— ჩვენ უკვე მოვედით. რისთვის შეჩერდები?  
ნათანმა არაფერი არ უპასუხა და შეპყვა ძია და-  
თოს ჭიშკარში.

მის წინ აღიმართა თეთრი სახლი სამი სართულით.

„ვილაც დგას ამ სახლში. მე მახსოვდა. ნეტავ ვინ?  
არ უნდოდა ეკითხა ძია დათოსათვის. არ უნდოდა  
მიეცა ლაპარაკის საბაბი.

მეორე სართულიდან მოისმა ხმამალალი ყიყინა, ხმა-  
ურობა, ცეკვა, ტანის კვრა, აზიური მუსიკა.

ნათანს შეეშინდა ამ ხმაურობის. ნათანს შეეშინდა  
ყურა შათაშვილის სიხარულის. ნათანს შეეშინდა თე-  
ორი სახლის და მისი მცხოვრებლების.

კიბესთან ისევ შეჩერდა. ძია დათო ნერვიულობდა.

— რა დაგეშართა ადამიანო, ეს ფეხები ხომ შენი  
საკუთარია?

— ძია დათო, მე შინდა უკან გავბრუნდე—ჩემად  
უპასუხა ნათანმა.

ძია დათო განოშტერებული თვალებით უცქეროდა.

— არ გესმის, როგორი სიმზიარულეა ზევით? ხომ  
არ ვაგიედი? მთელი საღამო შენ გელოდები. უჩემოდ  
ვინ იცის რამდენი რამე შესჭამეს. შენი გულისთვის  
ყველაფერი დავთმე. ეხლა გინდა გაბრუნდე? ვინ და-  
შიჯერებს, რომ სტუმარი მოვიყვანე კიბენდე და შემ-  
დეგ ვამეჭვა? არა, ბიძიავ, თავს ნუ მომჭრი.

ნათანი იდგა კიბის პირველ საფეხურზე და ვერ  
გადაეწყვიტა ასულიყო ზევით, თუ გამობრუნებულყო.  
ძია დათოს ბრაზი მოსდიოდა:

— ნუ დამაძახებინებ მასპინძელისთვის. სირცხვი-  
ლია.

ნათანი ავიდა შემდეგ საფეხურებზე. უკან აღიოდა  
ძია დათო, თითქოს ეშინოდა, არ გამეპაროსო.

თანდათან ნათანს გულისცემა უხშირდებოდა.

„რისთვის ვერ ვერევი ჩემს თავს. რა შემართება!“

ეკითხებოდა თავის თავს და აღიოდა უკანასკნელ ფეხურზე.

აივანზე დაფუსფუსებდნენ ქალები. ხელში ეჭირათ თეფშები, ჭიქები, დანაჩანგლები. ზოგი რეცხავდა, ზოგი საქმელს აწყობდა. ზოგი ჩუმად ილუკმებოდა, ზოგი იტანოდა.

როცა დაინახეს ძია დათო და ნათანი, ქალებმა გაიფიქრეს:

„ნეტავ ვინ უნდა იყოს ეს უცნობი ახალგაზრდა? ძია დათო ჰფიქრობდა:

„მართლა დაუწყიათ ამ უსვინდისოებს უჩემოდ ვახშამი“.

მხოლოდ ნათანი კი ისევ ნანობდა, რომ მოვიდა.

ქალები ყურადღებას არ აქცევდნენ ძია დათოს და ცნობისმოყვარეობით ათვალეირებდნენ ნათანს. მხოლოდ ძია დათომ, რათა ეჩვენებინა, რომ მას აქვს უშუალო კავშირი ამ უცხო სტუმართან, გაბედულად შეალო დიდი ოთახის კარები და დაიძახა:

— მასპინძელო, მოვედით!

დიდი ოთახი სავსე იყო სტუმრებით, რომლებიც შემოსხდომოდნენ გრძელ მაგიდას. განათება ძლიერი იყო. ნაწილი სტუმრებისა და მოცეკვავენი განაწილებული იყვნენ სხვა ოთახებში.

— მობრძანდით! მობრძანდით!— აიშალენ სიხარულით სტუმრები და მასპინძლები.

ძია დათომ თითქმის ძალით შეაგდო ნათანი დიდ ოთახში.

ყველაზე თავში მას გამოეგება ყეზრა შათაშეილი.

— მე ძალიან მოხარული ვარ, რომ თქვენ დაგვადასეთ და მობრძანდით — უთხრა მან.

ნათანი გაწითლდა და ძლიერ მოახერხა ასეთ შემთხვევაში მიღებული სიტყვა:

— მოგვილოცავს..

ყეზრა შათაშეილმა მოჰკიდა ხელი ნათანს და მიიყვანა თავის სინამრთავს.

— გაიცანით. ჩემი სიმამრი. ბენიამინ ბერიძე.

ნათანს შეანათა მწვანე თვალებმა. შეხედეს ერთ-  
მანეთს და იცნეს.

ნათანს გააყრეოლა. მხოლოდ ბენიამინ ბეროძემ კი  
თითქოს არასოდეს არ უნახავს, ალერსიანად ჩამოკანთ-  
ვა ხელი და უთხრა:

— მე ძალიან მოხარული ვარ თქვენს გაცნობას.  
კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს სახლში. მე  
ძალიან მიყვარს სტუდენტები...

„მართლა?“ ირონიულად შეეკითხნენ ნათანის თვა-  
ლები მასპინძლის ნაცნობ მწვანე თვალებს.

— ეს კიდევ ჩემი სიღედრია. ზილთა ბეროძე—გა-  
ნაგრძობდა ყეზრა გაცნობას.

— ძალიან სასიამოვნოა—უთხრა ნათანმა და თვი-  
თონ გაუკვირდა თავისი პასუხი:

„რა არის სასიამოვნო?“

სტუმრებიც უდიდესი ცნობისმოყვარეობით აღევ-  
ნებდნენ თვალყურს ნათანს, შის მოძრაობას, ფეხის გა-  
დადგმას, ყოველ სიტყვას, მის ტანსაცმელს.

ნათანი ჰგრძნობდა, რომ მისდამი ყველა იჩენდა გან-  
საკუთრებულ პატივისცემას.

„ეს ყველაფერი ძია დათოს ოინებია. იმან შეუქმნა  
ამ ხალხს დიდი შთაბეჭდილება ჩემზე: იმან გააყრე-  
ლა ლეგენდა ჩემს შესახებ. მაგრამ ესლა დრო არაა  
ანის გამოსწორებისა“.

ძია დათო კი ფეხდაფეხ მისდევდა ნათანს და ამა-  
ყად იცქირებოდა გარშემო, თითქოს ამბობდა: „შეხე-  
დეთ, როგორი სტუმარი მოვიყვანეო!“

ვისაც ნათანი ჩამოართმევდა ხელს, ძია დათო სა-  
ჭიროდ სცნობდა თვითონაც ჩამოერთმია მისთვის ხელი-  
და თან დაემატა:

— მაზალ-ტობ! დანარჩენისაც მოგვასწროს ღმერ-  
თმა!

დანაშნულის დედმამა, სიძე, ნათანი და ძია დათო  
მიუახლოვდნენ მაგიდის თავს, სადაც თავჩალუნული იჯ-

<sup>1</sup> მაზალ-ტობ—კარგა ბედი.

და დანიშნული, რომელსაც პირისაზე ოდნავ დაუბრუნ-  
ლი ჰქონდა თეთრი აბრეშუმი.

— გაიტანით!— განაგრძობდა ყუზრა— ეს განხილვა  
ჩემი დანიშნული.

ნათანი იდგა გაოცებული და ვერ ერკვეოდა რის  
თვის არ უწვდიდა ხელს დანიშნულს.

— გაიტანით! ეს ჩემი ქალიშვილია— დაუმატა ბე-  
ნიაშინ ბერიძემ.

თეთრი საფარიდან მოჩანდა ქალიშვილის მწვანე  
თვალეები.

„რა საოცრად ჰგვანან მამისა და ქალიშვილის თვა-  
ლები ერთმანეთს“— გაიფიქრა ნათანმა და თავისი ხე-  
ლი დანიშნულს გაუწოდა.

დანიშნულმა გადიძრო საფარი, თავი ასწია და ნა-  
თანს შეხედა.

ნათანმაც ისევ დანიშნულს შეხედა.

ორივეს ლოყები გაუწითლდათ, თვალეები გაეზარ-  
დათ და გაოცებული, რეტდასხმული გაშეშდნენ ერთმა-  
ნეთის პირდაპირ.

„რა მოხდა?“ გაიფიქრეს შეშფოთებულმა მშობ-  
ლებმა, სიძემ, ძია დათონ და სტუმრებმა.

მართლაც არავინ იცოდა რა ხდებოდა ამ ორი  
არსების გულში, რომელთაც გულისცემა გაუძლიერ-  
დათ, დაავიწყდათ ყველაფერი და თითქოს ისინი იდგნ  
დროისა და სივრცის გარეშე. თავის გარშემო აღარ ამ-  
ჩნევდნენ არაფერს და საოცარი თვალეებით მხოლოდ ერთ-  
მანეთს შესცქეროდნენ... ვიდრე მათივე გულის სიღრმი-  
დან გამოსულმა ორმა ამოძახილმა — ისედაც ცნობის-  
მოყვარეობით გაოცებულ მაყურებლებს არ დასცა მოუ-  
ლოდნელი თავზარი.

ეს ორი ამოძახილი კი იყო ორი სახელი, რომელიც  
წარმოითქვა თრთოლვით, გულდაწყვეტით და არაჩვეუ-  
ლებრივი ხმით:

— ნათან!

— ესთერ!

6 2 4 0 3 0 2 0 6 2 2 2 2



„მათხოვარი“

# 1

„რისთვის დასჭირდა გაზეთი დანიელ თაფლია-შვილს?“

შაული თან ფიქრობდა, თან მოხუცს ათვალთვლებდა. მოხუცი გულკეთილი სახით ილიმებოდა. მოხუცი ღარიბი იყო და ილიმებოდა. უსწავლელი იყო და უცბად შაულ ათანელიშვილს გზა გადაუჭრა და გაზეთი სთხოვა.

ორივენი ფეთხაინზე იდგნენ. თითქმის მეზობლები იყვნენ, ხოლო ერთმანეთთან იშვიათად ულაპარაკნიათ. ისინი ცხოვრებაში სხვადასხვა გზებით მიდიოდნენ: შაული ტრამვაის სადგურზე მუშაობდა, დანიელი კი ნაეთლულში „ვაჭრობდა“, ხოლო ორ კვირაში ერთხელ კახეთსაც ესტუმრებოდა. შაული ურწმუნო იყო, დანიელი—მორწმუნე. შაული ახალგაზდა იყო, უცოლშვილო, ხოლო დანიელი—მოხუცი, ცოლშვილიანი. მიუხედავად იმისა, რომ მთელი სიცოცხლის მანძილზე ნათ თითქმის არაფერი ჰქონიათ საერთო, შაულს მაინც არ გაჰკვირვებია, როცა თავის ქიშკარზე მდგარმა დანიელმა იგი გააჩერა და გაზეთი სთხოვა.

ნაშუადღევი იყო. შაული ბრუნდებოდა სამუშაოდან. ჯიბეში ჯერ კიდევ წაუკითხავი გაზეთები ეწყო. საჩქაროდ ამოიღო და მოხუცს გადასცა. შაულმა შეანჩნია, რომ მოხუცს სახე გაუბრწყინდა.

„რა გულკეთილია“ — ფიქრობდა თვითიველი მათგანი გამოსალმებისას.

შაული აღიოდა ფეთხაინის აღმართზე და თვალები უცინოდა. უნდოდა წარმოედგინა თუ დანიელი როგორ გადაშლიდა ვაზეთს და წაიკითხავდა.

„ნეტავი თუ მართლა დანიელი ვაზეთს ვაგებს?“

დანიელი შევიდა ეზოში, ქიშკარი მაგრად მიხურა და ნახევრად სარდაფის მსგავს ოთახში ხმაძალდა ჩასმახა:

— რუთიკო, წებო!

დაბლიდან ამოვიდა მისი ცანეტი წლის ქალიშვილი. ხელში ეჭირა ფინჯანი, რომელშიაც იყო ფქვილისგან ვაკეთებული სითხე—ამას ეძახდა დანიელი წებოს.

რუთს ფენტ არ ეცვა და კაბაც მეტად ღარიბული ჰქონდა. პატარა ბავშვი თავის მოლიმარი სახით მამას წააგავდა. რუთი არ იყო მიმზიდველობას მოკლებული და ტყუილად არ ამბობდნენ მეზობლები, რომ დედაზე უფრო ლამაზი დადგებოდა. რუთი მიუახლოვდა მამას და წებო აჩვენა.

— ყოჩაღ, რუთიკო! ეხლა მე და შენ ფანჯარას გავაკეთებთ. მერე ქარმა რამდენიც უნდა იმდენი იქროლოს, ზამთარში ნიაფი ღარიბ კაცს არ მოუხდება.

და დანიელმა ზონის აღების შემდეგ ვაზეთები რვა ნაწილად დაჰკეცა, სანახევროდ გაიშიშვლა მარჯვენა მკლავი, საკმიოდ უსვა წებოსა და ქალაღს, და ამის შემდეგ დანიელის ერთად ერთი ფანჯარა, რომელიც გამოდიოდა ქუჩის პირად, უკვე „შზად“ იყო.

დანიელი თავისი ქალიშვილით ჩაბრუნდნ ოთახში. ოთახის ორი მესამედი მიწაში იყო, ხოლო ერთი ნესამედით იგი ახლოს იდგა სართულთან. ოთახში იატაკის მაგივრობას დაგლეჯილი ნოხი ასრულებდა, ხოლო ქერი ისე იყო გამჟვარტლული, რომ ძნელი იყო თქმა, აქ საცხოვრებელი ოთახი იყო თუ სამკედლო.

დანიელის ცოლი მოხუცი ხანა პატარა ბავშვებს აბანავებდა და შემდეგ მათ ლოგინზე სვამდა, რომ ისეე ჩქარა არ დასერილიყვნენ. რუთი უფროსი იყო; მისი მომდევნო იყო კიდევ ხუთი ბავშვი. რუთზე უფროსები მათ არ შერჩათ, ხოლო დანიელი და ხანა ღმერთს

„მადლობას წირავდენ“, რომ სიბერის დროს „მალაღმა ღმერთმა“ მაინც ექვსი შეილი აჩუქათ!

ექვსი შეილი!

დანიელ თავლიაშვილი იყო მამა ექვსი შეილისა და უნდა მათთვის ეზრუნა დღე და ღამ, განუწყვეტლივ. განა დანიელი სიზარმაცეს იჩენდა, როცა საქმე მოდიოდა? მაგრამ რა უნდა ექნა დანიელს, როცა საქმე პლალატობდა და ბენიამინ ბერიძეც არ სწყალობდა?

ოთახში ელაგა ძველი დანტერეული ნივთები, მათ შორის აკვანი, რომელმაც თავლიაშვილებისათვის უკვე მოსქამა დრო. ჩვეულებრივად იდგა კვამლი, თავის ტკივილი, პატარების ტირილი.

პატარებს უყვარდათ რუთი, ვინაიდან რუთმა იცოდა იმათი ვართობა. რუთი ეხლაც ბავშვებს მიუბრუნდა, ხანა ტაშტს რეცხავდა, ხოლო დანიელმა პატარა განჯინიდან თეილიმ<sup>1</sup> გამოიღო და შეუდგა კითხვას.

— ჩამობნელდა, დანიელ—გაეხნაურა მეუღლე.

— აბა რა შექნა, გაციებას ჩამობნელება არ სჯობდა?—უპასუხა დანიელმა და ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ განაგრძო:—ცოტა ხანს დავიცადოთ ხანა და ღმერთი ისე როგორ მომკლავს, ამ ოთახში ელექტრონი არ შემოვიტანო. ისრაელის მტერს, ჩვენ რო ეხლა გაჭივრება გვადგია. სულ ასე ხო არ იქნება, ალბად რამეს ვიშოვი...

— შენ სულ ასე იძახი ნთელი სიცოცხლე.—ოდნავ საყვედურის კილოზე უთხრა ხანამ.

— მე იმას ვამბობ, რაც თორის ბრძანებაა. ღმერთის იმედის დაკარგვა არაა კარგი.

დანიელმა ამის შემდეგ ერთხანს რუთს უცქირა და შემდეგ ისევ ხანას მიუბრუნდა:

— როგორ ჰფიქრობ, ხანა, რუთიკო არ უნდა ვავათხოვოთ?

რუთმა გაოცებისაგან პირი გააღო.

— გათხოვების დრო კია, კაცმა რო სთქვას. იმ კვირაში ცამეტისა შესრულდა, მაგრამ ჩემს რუთიკოს

<sup>1</sup> თეილიმ—ფსალმუნნი.



შემოვევლე, ყველა ოხერს ხო არ გაეატან, ხოლო პატრონი ჯერ არავინ ჩანს. ალბად იციან, რომ მზითვეი არა აქვს, ხოლო უმზითვო პატარძალ რაც უწყვერო ისრაელი.

— ღმერთი მოწყალეა—ნიუგო დანიელმა და რუთს მიუბრუნდა:—შენ რაღას იტყვი რუთიყო, გინდა გათხოვება?

— მამიკო, რო გავთხოვდები, რა უნდა ვაკეთო?

მოხუცმა მშობლებმა გულთანად გადიხარხარეს და სათითაოდ გადაჰკოცნეს. რუთი მიუახლოვდა მამას და ჩვეულებრივი მოღიძარი თვალეებით ისევ შეეკითხა:

— ან და რისთვის უნდა გაატანოთ ვისნე ჩემი თავი? არ შეიძლება რო კიდევ გავთხოვდე და აქ დავრჩე? უჩემოდ რას იზამენ ეს პატარები?

პატარებმა მოულოდნელად დაიწყეს ტირილი.

ამ სცენამ ისეთი გავლენა მოახდინა დანიელზე, რომ უცბად ცრემლები გადმოჰყარა. ხოლო რომ არავის შეეშინია, მიბრუნდა გვერდზე და ქუდით შეიმშრალა. შენდეგ რუთს ხელი მოჰხვია და გულში მაგრად ჩაიკრა.

ერთხანს იდგა სიჩუმე, რომელიც ადასტურებდა მთელი სიძლიერით ღარიბი ოჯახის უდიდეს გრძნობას. ამ გრძნობას ერქვა: ერთმანეთის სიყვარული. რუთმა, თუმცა შეუღწებლად და ბავშური უმანკოებით მაინც შესძლო შეხებოდა კეთილშობილი მშობლების უნაზეს სიძს: ჩამოჰკრა მასზე და თითქოს ამით დადგა იმ ბნელ ჩვეულებისა და ადათების ზევით, რომლებიც მოითხოვენ, რომ მშობლებმა თავისი ქალიშვილი უნდა გაათხოვონ ასეთ ჰასაკში.

ხანამ, თითქოს იმისათვის, რომ დაერღვია ასეთი განწყობილება, კიდობანის მსგავს ყუთიდან ერთი ნაქერი შავი თორნის პური ამოიღო, დაჰყო ხუთ ნაწილად და ბავშვებს დაურიგა.

დანიელის თვალეები ძლივს ერკვეოდენ თელინის სტრიქონებში, მაგრამ სათვალეების ფული მას არ ჰქონდა და ძველებურად შეჩვეულ სტრიქონებს კითხულობდა ზეპირად, ხოლო თავს ატყუებდა, თითქოს იგი წიგნში კითხულობდა.

ხშირად გადახედავდა თავის კოლშვილს და იმ დროს. როცა ხახამ იავშევებს პური დაუხაჩილა, მოითმინა და ამოკენესით წაიბუტბუტა:

— ეჰ, შამაი, შამაი...

ხანაძაც გაიმეორა.

— შამაი, შამაი...

ხოლო რუთმა გადაჰხედა უნკროსებს და რატომღაც, მასაც, აღმოხდა იგივე სიტყვა:

— შამაი...

შამაი თაფლიაშვილი დანიელის უნკროსი ძმა იყო. იგი ერთხანს ცხოვრობდა რუსეთში, ერთი ებრაელის ოჯახში. 1905 წლის რევოლუციის შემდეგ რუსეთში ებრაელთა დევნა გაძლიერდა. ეს ოჯახი გადასახლდა ამერიკაში. შამაის იმდენად შეეჩვიენ, რომ მისი მოცილება არ ისურვეს და თან წაიყვანეს. ამერიკიდან დანიელმა სანი თუ ოთხი წერილი მიიღო. ერთხელ — ოცი დოლარიც. მსოფლიო ომამდე — კიდევ ერთი სურათი, სადაც შამაი იმდენად გამოცვლილი იყო, რომ პირველად მის შემხედავს დანიელს გული წაუყვიდა. ამ სურათში შამაი წვერგაპარსული იყო. პირში რალაცნაირი მოკაკული ყალიონი ედო, ტანთ ძვირფასი კოსტიუმი ეცვა და ამასთანავე რბილ სავარძელში იჯდა.

სადღა იყო ცხინვალელი ებრაელი. ოდესღაც ფეთხანის მცხოვრები შამაი თაფლიაშვილი? იგი გაჰჭრა და მის ადგილზე ვიღაც სხვა კაცი იყო. რომელსაც ამიერიდან ერქვა: მისტერ ტაშ.

შამაი თაფლიაშვილი და... მისტერ ტაშ!

„რა უცნაური ქვეყანა ყოფილა ეს ამერიკა, სადაც იდამიანებს თავისი გვარისაც რცხვენიათ“ — რამდენჯერ გაუფიქრია დანიელს.

ემძიმებოდა. მაგრამ მაინც შამაის სურათი საწოლის თავზე ჩამოჰკიდა. როცა წეებოდა, ცდილობდა მისთვის თვალი მოერიდებინა.

მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ შამაისგან ცნობები აღარ მოდიოდა. ერთხანს ეგონა, რომ მსოფლიოს არ გაგონილ ქიდილში შამაიმაც სადნე სული განუტევა. მაგრამ შემთხვევით ერთი მდიდარი ქართველისაგან.

რომელიც მენშევიკების დროს ამერიკიდან ჩამოვიდა და დანიელმა გაიგო, რომ მისი ძმა ძალიან გამდიდრებულიყო. ეს გარემოება ძალიან ახარებდა დანიელს, ვინაიდან იგი მას შემდეგ გულისფანცქალით, ჩუმიად გულში ყოველთვის ელოდა შამაის ფულად დახმარებას ელოდა. გაჰქროლა ცხრაას ოცმა, ოცდა ერთმა, ილეოდა ოცდაორიც.

დანიელი ჰგზავნიდა წერილებს, სწერდა თავის გაჭირვებას, ვალებს, რუთის მზითევის შესახებ.

ატლანტის ოკეანეს იქით დანიელ თავლიაშვილი არავის ახსოვდა: პასუხი არ მოდიოდა. ხოლო დანიელმა თითქმის ყოველგვარი იმედი დაჰკარგა და როცა ხანდახან მოაგონდებოდა და გულზე მოაწევებოდა, იგი არასოდეს ძმას არ მოიხსენიებდა ცუდად, მაგრამ თავისთვის მწარე ამოკენესით წაიბუტბუტებდა:

— ეჰ, შამაი, შამაი...

თელიმის სტრიქონების ზევით დანიელს მაინც თვალწინ უდგა თავისი ძმა, რომელიც ოდესღაც მისსავით გულკეთილი იყო, მისსავით გაჭირვებულისათვის გულშემატკვარი.

„ნუ თუ გაჰქრა ყოველივე და ძმამ დაივიწყა ძმობა? დაღვინებულმა გაჭირვებული? შამაიმ—დანიელი? ნუ თუ ის ცოცხალია და ყოველივე ეს მართალია? არა, არა“.

ასე ჰფიქრობდა დანიელი და, იმედ დაკარგული, სადღაც გულის სიღრმეში მაინც აძლევდა შორეულ ძმას პატარა კუთხეს, ნათელ აზრს. უიმედო დანიელი მაინც ელოდა, ხოლო ელოდა თავისთვის და ხანას ამ აზრს აღარ უზიარებდა. სულ ერთია, ქეუადმყოფელი ადამიანი არ დაუჯერებდა, ხოლო დანიელს, მიუხედავად დაკარგული იმედისა, ხელში თელიმი ეჭირა, რომელშიაც დიდი და შავი ასოებით ეწერა: აშრე ამაამინ<sup>1</sup>.

და მასაც სწანიდა.

ამ ფიქრებში იყო გართული, რომ გარედ ვიღაცამ დაიძახა ხმამაღლა:

<sup>1</sup> აშრე ამაამინ — „ნეტარ არის მორწმუნე“.

— დანიელ თაფლიაშვილი!

დანიელი გარედ გამოვიდა.

— ჩაიბარეთ უწყება და მოაწერეთ ხელი.— უთხრა ეზოში შემოსულმა.

— მე წერა არ ვიცი.

— აბა ხაზები ჩამოუსვი.

დანიელმა რაღაც ირიბული ხაზები გაავლო. დარჩა მარტო თავისი უწყებით. გული უფანცქალებდა, ხანასაც და რუთსაც გადაედოთ მისი გულის ძგერა.

„ნეტავი რა უნდა იყოს“—ჭფიჭრობდა ყოველი მათგანი და ამ ფიქრში იყო შიშნარევი სიხარული და გაუბედავი იმედის ნაპერწკალი შამაის სახელთან დაკავშირებით.

დანიელმა მწუხარედ გადაჰხედა რუთს. თავისთავს უსაყვედურა: ნეტავ მაგისტრის მაინც მესწავლებინოს წერა-კითხვაო. შამაის სახელი მოსვენებას არ აძლევდა.

— ეხლავე, ხანა, ეხლავე გავიგებ რაც არის და მალე დავბრუნდები.

დანიელი თითქმის გამოვარდა სახლიდან, ჭიშკარი ისევ მაგრად გამოიხურა და აპყვა ფეთხაინის აღმართს. ერთ პატარა დაბალ სახლთან შეჩერდა. რამოდენიმეჯერ გაიარა წინ და უკან, შემდეგ გაბედა და შესძახა:

— შაულ!

შაულ ათანელიშვილმა ფანჯარა გამოაღო და მოხუცი შინ შეიპატიჟა.

— ამობრძანდი დანიელ!

— მე ისე... ერთი წუთით... უნდა შეგაწუხო.

დანიელი მაინც შინ შეიწვია. დანიელი გარშემო არ იცქირებოდა. მას მხოლოდ ერთი სახელი ადევნებდა: „შამაი“.

— ჩემო შაულ, წამიკითხე, რა სწერია ამაში—და დანიელმა უწყება გაუწოდა.

შაული გაოცებული დარჩა.

— როგორ, ძია დანიელ, შენ წერაკითხვა არ იცი? დანიელმა უარყოფის ნიშნად თავი გააქნია.

— აბა გაზეთი... რაში დაგჭირდა?

— სიცივეა. ქარია, შუშის მაგიერ... ფანჯარაში...  
— და ველარ დაათავა, გაწითლდა.

შაული მიუხედა და თვალეზი უწყებას მიიპყრო.  
რას გრძნობდა ამ დროს მოხუცი დანიელი? წუთე-  
ბი მას საუკუნედ გადაექცა და გული საგულეში აღარ  
ეტეოდა.

„მამაი“ — არ ასვენებდა დანიელს.

— ჩქარა, მამაშვილობას, წამიკითხე, რა სწერია  
შიგ.

და შაულმაც, ნეტად უხალისოდ წაუკითხა:

„მოქალაქე დანიელ თაფლიაშვილს. ტფილისის პი-  
რველი უბნის სახალხო სასამართლო გავალებთ გამოც-  
ხადდეთ ამ თვის 17-ში როგორც მოპასუხე მოქალაქე  
ბენიამინ ბერიძის სამოქალაქო სარჩელის საქმეზე“.



ოცდაორი წლის შაული ოცდაათისას ჰგავდა.

შაული ბავშობიდანვე დაქირავებული შრომით  
მუშაობდა. ახსოვდა მუშაობის სხვადასხვა საფეხურე-  
ბი: შიკრიკი, მეფხოვე, სიბინძურის ნწმენდავი, ერთხელ  
ნოჭრის თანაშემწეც. არ ახსოვდა მხოლოდ თარიღი,  
თუ როდის დაიწყო მუშაობა. არ იცოდა რას ეწოდებ-  
ოდა: დედის ალერსი, მამის ღიმილი, და-ძმები. დედ-  
მამა აღრე დაეხოცა, და-ძმანი არა ჰყოლია და ათ წლა-  
მდე იზრდებოდა ქვრივ ბიჭოლასთან. უკანასკნელის სი-  
კვდილის შემდეგ დარჩა პატარა გაფხეკილი ოთახი და  
მყვლეფელთა საექსპლოატაციოდ განზადებული ნორჩი  
შკლაეები.

რამდენი ახსოვს დედის გინება, მუშტები კეფაში,  
პანღურები რბილ ნაწილში და თან: „ობოლი! ოხერტი-  
ალი! ქვეყნის სათრევი!“

ვაჭივრებამ, შიმშილმა, უსამართლობამ — იმ თა-  
ვითვე გამოსქედა შაულის მძინე ნებისყოფა. თუთხმე-  
ტი წლის შაული უკვე ოცი წლისა მიაჩნდათ.

საბჭოების დამყარებას შეხვდა ცნობისმოყვარეობით.  
არ სჯეროდა იმ ხალხისა, ვინც ახალ მთავრობაზე ტულს

ამბობდა. „განა შაულზედაც კუდს არ ამბობდენ? განა ყველაფერი დასაჯერებელია?“

გასაბჭოება შაულისათვის მოხდა. ერთმა უცნაურმა შემთხვევამ მისი ბედი მოულოდნელად ახალგაზრდა რთულებით წარმართა.

უკანასკნელად ერთ ვაჭართან მსახურობდა, რომელიც მიემგზავრებოდა ბათომისაკენ. შაულმა მას ნივთები წაუღო ზურგით სადგურამდე. გააცილა „ხაზენი“, ისევ ფეხით ბრუნდებოდა შინისაკენ. საშინელ დაღლილობას ჰგრძნობდა და უცბად — თვითონაც არ იცოდა როგორ მოხდა — გაქანებულ ტრამვაის შეახტა. კონდუქტორმა შეამჩნია და პირველ გასაჩერებელთან — ეს იყო ტრამვაის სადგური — გადმოსვა და გადასცა მორიგეს დასაჯარიმებლად. შაულს არ ჰქონდა არც ფული და არც პირადობის მოწმობა.

— აბა ციხეში გაგვზავნი — უთხრა მორიგემ.

— რისთვის, ძია? არაეინ არ უნდა მაკმაროს ჩემი გაქვივრება და ობლობა?

ეს სიტყვები ისე გულწრფელად იყო ნათქვამი, რომ მორიგეს იგი შეეცოდა. დაუწყო გამოკითხვა თუ სად მუშაობდა. ლაპარაკის შედეგად შაულ ათანელიშვილი ვაგონების მრეცხავთა შტატში ჩარიცხეს.


უახლოესმა დღეებმა ცხადპყვეს მისი ნიჭი, უნარი. პატიოსნება და შაულიც სამართლიანად აღიოდა ზევით: მრეცხავი, მეისრე, კონდუქტორი, ვატმანი, უკანასკნელად — ინსტრუქტორი.

განვლო სხვადასხვა კურსები და დაეწაფა თვითგანვითარებას.

მიუხედავად ამისა იგი ცხოვრობდა ფეთხაინზე. ხოლო ფეთხაინს ჰქონდა თავისი კანონები, რის გამოც შაულ ათანელიშვილისა და ღმერთის შორის ჯერ კიდევ არსებობდა ნორმალური ურთიერთობა.

მართალია, ნორწმუნეთა კულისებში შაული უკვე ჩარიცხეს კომუნისტური პარტიის რიგებში, მაგრამ ამ დროს შაული მხოლოდ ერკვევოდა ამ საკითხებში.

ყოველი ახალი დღე მას მიუთითებდა უჯრედისა-

კენ. რასაკვირველია შინაგანი ბრძოლა დაიწყო.   
კითხი იდგა ასე:

„ტრამვაი თუ ღმერთი? პარტია თუ ფეთხაინი?“

შაულმა იცოდა: გაიმარჯვებდა ტეხნიკა, პარტია.

მისი აზრი განამტკიცა ახლად შეღებილმა სალო-  
ცავმა, სადაც შაულმა უარი განაცხადა შეწირულებაზე.  
რის გამოც მრავალთა რისხვა დაიმსახურა. სალოცავის  
მესვეურებს, ცხადია, არც მისი სიტყვა მოეწონათ და იმ  
დღის შემდეგ საბოლოოდ გადარიცხეს „კომუნისტებში“.

ამჟამად კი აღარ მოტყუედენ: შაულის განცხადებას  
უჯრედის დიდი ხანია მოელოდა და უფრო მეტიც:  
აღფრთოვანებით შეხვდა. უჯრედს მიემატა ახალგაზრდა  
პატიოსანი ებრაელი მუშა შაულ ათანელიშვილი. ამხა-  
ნაგები ულოცავდენ და სამუშაოს დასრულების შემდეგ,  
სადილის დროს ჭიქებიც მიაკაკუნეს.

ნასადილეც შაულ ათანელიშვილი ისევ ადიოდა  
ფეთხაინის აღმართზე.

როცა შევიდა თავის ოთახში, კალენდარზე თვალი  
მოჰკრა 17—რიცხვს, და უნებურად შეჩერდა.

„17“?

რისთვის ჩამრჩა თავში ასე მაგრად ეს რიცხვი?“—  
შაული უკვე წამოწოლილიყო თავის ღარიბულ ლოჯინ-  
ზე და ჰფიქრობდა.

გარედ თოვდა, ოთახშიაც სიცივე იყო, ხოლო შაუ-  
ლი ვერ ჰგრძნობდა ვერც ერთს და ვერც მეორეს. ჰფიქ-  
რობდა ტრამვაიზე, უჯრედზე, მომავალზე.

შაულისა და ფეთხაინის შორის ისახებოდა ახალი  
საზღვარი. როცა დღეს ფეთხაინის აღმართზე ადიოდა,  
ჰგრძნობდა, რომ ამიერიდან მას ზურგი მაგარი ჰქონდა.

ბრძოლა დასჭირდებოდა, ბრძოლა გამწვავდებოდა—  
ყოველივე ეს იცოდა. მაგრამ ეს რიცხვი „17“ რაღა  
არის? დაბრუნება ფეთხაინთან? დღეს უნდა შემდგარიყო  
სასამართლო ბენიამინ ბერიძისა და დანიელ თაფლია-  
შვილის შორის. ერთი მხრით—ბენიამინ ბერიძე, რომე-  
ლმაც მთელი ცხოვრება სასამართლოში გაატარა, ასო-  
ბით უწარმოებია სამოქალაქო სარჩელები და ხუმრობით  
თვითვე უწოდებდა თავის თავს „პრაქტიკულ იურისტს“.

ბოლო მეორე მხრით დანიელ თაფლიაშვილი, უსწავლე-  
ლი და ლარიბ-ლატაკი, რომელმაც არც კი იცის სად არის  
სასამართლოს კარები“.

„ორივეს — ვაჭარი ერქვა. მაგრამ ერთი მდიდარი  
იყო, მეორე ლარიბი. არ ძეიძლებოდა მათი სწავლასხვა  
სახელებით მონათვლა?“

„დანიელს, ცხადია, არაფერი ემართა, მაგრამ ბენია-  
მინს როგორღაც ჯიბეში ედო დანიელის ჯვრებჩამოს-  
მული თამასუქი, რის გამოც კანონი ძალაუხებურად  
უსამართლობის მხარეზე უნდა დამდგარიყო“.

„შენ ხომ შეჰპირდი, შაულ, რომ სასამართლოში  
მიხვიდოდი?“

„მართალია, ვერ შესძელი, მაგრამ ხომ გაუცრუე  
ინედი გულკეთილ და ლარიბ დანიელს?“

და შაულს გულმა აღარ გაუძლო, უნდოდა ჩქარა  
გაეგო დღევანდელი დღის ამბები, სასწრაფოდ წამოხტა,  
ვამოვიდა თავის ოთახიდან და თავდაღმართზე დაეშვა.

დანიელ თაფლიაშვილი შინ არ დაუხედა. ხანა და  
რუთი შიშნარევი ცნობისმოყვარეობით ათვალისწინებდნენ  
შაულს. შაული კი არ ცხრებოდა, მაინც და მაინც ეხლა-  
ვე უნდა გაეგო:

— დედაშვილობას, სად იქნება ეხლა ძია დანიელი,  
საჩქარო საქმე მაქვს — არ იშლიდა.

— ნათახ ჯანაშვილი როა, ჯეელი ბიჭი. იმასთან  
წავიდა.

— ვინ ნათანია?

— როგორ არ იცი, ისხაკის ნათანი. ნასწავლი ვაჟი  
ყოფილა. ნამა მისი ამ ოცდაორი წლის წინეთ ცხინვალ-  
ში ცხოვრობდა, შენ არ გეხსოვება, მაგრამ მე კი მახ-  
სოვს. ერთ დროს ისხაკ ჯანაშვილი და ჩემი მამაკაცი ძა-  
ლიან ძმობასა და მეგობრობაში იყვნენ, მერე ისხაკი რა-  
ქაში გადასახლდა.

შაულს ბრაზი მოსდიოდა. ხანას ბოლო სიტყვები  
რიგიანად ვერც კი გაიგო.

— მე ნათანს გეკითხები, ისხაკს კი არა.

— ეხლა ნე რა ვქნა, შენ თუ არ იცი. მთელმა ქვე-  
ყანამ იცის ვინაა ნათან ჯანაშვილი. იმ კვირაში ბენია-



მინ ბერძენს ჩაუშვამა ნიშნობა, ყეზრა შათაშვილი  
ლოყლაპიასავით მდგარა. თურმე ნათანსა და ესთეს  
ერთმანეთისთვის სიტყვა მიუციათ და... დათოს

შაულს გაახსენდა, რომ ამას წინეთ ძია დათოს  
ბობდა ამ ამბავს. გამოვიდა გარედ და უნებურად სალო-  
ცავის აივნისაკენ გაიხედა. ძია დათოს ცოცხი ეჭირა და  
დაფუსფუსებდა. დაუძახა, გამოკითხა მისამართი.

— ძია დათო რის ძია დათოა, თვითონვე არ გაახ-  
ლოს. როგორ არ ვიცი მისამართი? ჩემი საუკეთესო ნაყ-  
ნობია, ძალიან ვუყვარვარ, წავიდეთ.

ძია დათოს ცოცხის შენახვა(ე) დაავიწყდა, პალტოს  
კალთით ცხვირი გაიწმინდა, ქუჩისაკენ გაათურთხა და  
შემდეგ ამაყად წინ გაუძღვა.



დანიელის გული სავსე იყო ბოღმით და სევდით,  
მაგრამ უცნაური ის იყო რომ მის სახეზე ძნელი იყო  
რაიმე ცელილებების შემჩნევა. დანიელი ყოველთვის ილი-  
მებოდა სიხარულის თუ გაჭირვების წუთებში. ბუნებრი-  
ვი ილილი, რასაც ხელს უწყობდა მისი წითელი ლოყე-  
ბი, ეხლაც შეცდომით ასახავდენ დანიელის შინაგან გან-  
წყობილებას.

დანიელი შესცქეროდა ნათანს და ილიმებოდა. ხო-  
ლო ნათანს არ ესმოდა რა აღიმებდა ამ უბედურ ლარბს,  
ამ უიღბლო მოხუცს.

ნათანი ნერვიულად დადიოდა თავის ოთახში და  
ჰგრძნობდა, რომ პატარა ფართობი ახრჩობდა მას, ვერ-  
სად აღვიოს ვერ ჰპოულობდა და თითქოს სული ეხუ-  
თებოდა. მთელი თავისი შინაგანი ბუნებით განიცდიდა  
სივრცის ნაკლებობას. ხოლო კალენდარზე 17 რიცხვი  
იგივე იყო მისთვის, რაც ციციხისათვის ნაფთი.  
იგი დადიოდა წინ და უკან ოთახში, მერე  
მიუბრუნდა კალენდარს, ჯერ დასწერა მის ქვეშ  
რალაც გაურკვეველი, შემდეგ ამოაგდო მთლიანად 17  
რიცხვი და ნაკუწნაკუწად აქცია, ამის შემდეგ გაჩერდა

ფანჯარასთან და დაიწყო პირდაპირ ცქეკა, რომ შორეულ  
დებოდა მოხუცი დანიელის უაზროდ მოცინარე სახეს.  
ლამდებოდა. ნათანის თაფში კი ჯერ ისევ იდგა დილა  
იდგა. დილა და მერე როგორი დილა!

„რამდენი უნდა იცოცხლოს ნათანმა რომ ეს დილა,  
უკეთ — ამ დილინდელი ამბავი დააეწიყდეს?“

და ერთხელ კიდევ გაიშალა მის წინ ეს პატარა და  
იმავე დროს მისთვის დიდი და მრავალმნიშვნელოვანი  
შემთხვევა:

„მიდიოდა სასამართლოში ადრე დილით. ნათანი  
საერთოდ ბეჯითია. არ იცის დაგვიანება. მით უმეტეს  
ეხლა: სასამართლოს პრაქტიკანტია, დღეს ბლომდაა და-  
ნიშნული სამოქალაქო საქმეები. ნათანის თეორია მდიდ-  
რდება პრაქტიკით. რამდენი აბურღული საქმეებია სა-  
სამართლოში! რამდენი საინტერესო ამბავია! რარიგ მდი-  
დარ დეტალებია! სახალხო მოსამართლე უკვე მოსუ-  
ლია, აქვეა სახალხო მსაჯულიც. აკლია ერთი მსაჯული.  
უცდიან, იგვიანებს. იგვიანებს, მაინც უცდიან. დრო მი-  
დის, საქმეები ისედაც გაქიანურებულია, ხოლო მეორე  
მსაჯული ავადმყოფობის გამო ვერ მოვა. მორიგე მსა-  
ჯულიც არ არის და — საბედნიეროდ თუ საუბედუროდ —  
მოსამართლე მიუბრუნდა ნათანს: „ჯანაშვილო! თქვენ  
იქნებით დღეს მეორე მსაჯული. თქვენი პრაქტიკისათვი-  
საც კარგია“. გავიდენ პატარა ოთახში და გამოვიდენ.  
დარბაზი ფეხზე აღვა. ნათანი ახალგაზრდაა და რცხვე-  
ნია, არ იცქირება გარშემო. დასხდენ. დაიწყო საქმეები.  
ერთი, ორი, სამი... გამოდიან მომჩივან-მოპასუხენი. დამ-  
ცველები, ექსპერტები.

„და უცბად — ნათანს არ სჯერა — მოსამართლე  
აცხადებს ნაცნობ გვარებს: „გაირჩევა სამოქალაქო ძიება  
ბენიამინ ბერიძისა დანიელ თაფლიაშვილისადმი“. ნათანს  
თითქოს თვალთ დაუბნელდა. სიზმარია? არა, ცხადია.  
მაგიდას მიუახლოვდა ერთი მხრით გულკეთილი, მოლი-  
მარი დანიელი, ხოლო მეორე მხრით — ბენიამინ ბერიძე  
თავისი ცნობილი მწევანე ფერის თვალებით. ოჰ, რა რიგ  
იცნობს ნათანი ამ თვალებს! უცქერიან ერთმანეთს და  
უფსკრულს აღრმავებენ. ნათანი მსაჯულია, მაგრამ მისი

სკამი ირყევა. ნათანი არ არის ცრუმორწმუნე. მკვირ  
გული მაინც უძგერს. „რაღაც მოხდება“ — პფიქროს.  
„მაგრამ რა?“ მოსამართლემ უკვე გადაშალა საქმე.  
და უნდა გააცნოს მსაჯულებს ძიების მოკლე მიხატა.  
რომ ამ დროს ბენიამინ ბერიძე მიიწევს უფრო ახლოს.  
მოსამართლეებთან და იძახის: „აცილება მაქვს“. — აცი-  
ლება?“ — ჰკვირობს დარბაზი, მოსამართლე, მსაჯული,  
დანიელი. „აცილება?“ — უძგერს გული ნათანს და არა  
მარტო გული. ასე ჰგონია სასამართლოს მაღალი ქერი  
ჩამოინგრა და თავს დაეცა. „ვისი წინააღმდეგი ხართ?“ —  
ეკითხება მოსამართლე და ბენიამინ ბერიძეც უთითებს  
ნათანზე და უბასუხებს: „აი, ამ ყმაწვილის, ნათან ჯა-  
ნაშვილი რო ჰქვია, სადაური მსაჯულია! ძალით უნდო-  
და ჩემი ქალიშვილის შერთვა და ამ კვირაში შინიდან  
პანდურის კვრით გამოვაგდე. ეხლა მე ეგ რა ხეირს და-  
მაყრის, ვთხოვ პატივეცემულ სასამართლოს ამა და ამ  
მუხლის ძალით და სხვ.“

ნათანს მისი უკანასკნელი სიტყვები აღარ ახსოვს,  
სისხლი აუდუღდა და დარბაზს ეგონა, რომ ლოყებიდან  
გადმოსკდებოდა. გვიან მოაგონდა, რომ დანიელ თაღ-  
ლიაშვილმა უშუამდგომლა: „თუ შეიძლება დატოვეთ.  
პატიოსანი მამის შვილია. მაგისი მანა ჩემი კარგი ნაც-  
ნობია“. დარბაზს სიცილი წასკდა. სასამართლომ დააკმა-  
ყოფილა ბენიამინ ბერიძის უშუამდგომლობა და გაწით-  
ლებული ნათანი მსაჯულის სკამიდან დაბლა, უბრალო  
მაყურებლად გადავიდა. ცნობისმოყვარე ხალხი სკანდა  
მას თვალებით. ბენიამინი ზეიმობდა გამარჯვებას, ხოლო  
დანიელი ილიმებოდა თავის უბედობაზე.

ნათანს ბუნდოვანად ახსოვს ამის შემდეგ საქმის  
მსვლელობა: ბენიამინს ხელთ რაღაც თამასუქი ეჭირა.  
ლაპარაკობდა როგორც ხშირი სტუმარი ან დარბაზის  
(„სუღებში დავბერებულვარ“ — მისი საყვარელი სიტყ-  
ვა), მიუთითებდა რაღაც ჯვრებზე და ასახელებდა  
ასეულ მანეთებს. დანიელი ილიმებოდა გაფითრებით.  
ერთი-ორი სიტყვა ძლივს წაიღულღულა და საკითხი  
ამოიწურა. გადაწყვეტილება იქნებოდა 2—3 დღის შემ-  
დეგ, მაგრამ ეს სულ ერთი იყო: დანიელს გადააბდე-

ნებდენ მძიებლის სასარგებლოდ რაღაც უნდა დასახე-  
ლებულ და განსაზღვრულ თანხას.

ამის შემდეგ მოსამართლენი გადავიდენ ნორიკ საქ-  
მეებზე. ვილაცა ვილაცას უჩიოდა ქვემსაგებსა უთოს.  
ძველ გრამოფონს. ნათანი გამოვიდა დარბაზიდან. საჩ-  
ქაროდ ჩავიდა კიბეზე. ქუდი ჩამოიფხატა თვალებზე და  
ქუჩაზე თითქმის სირბილით მიდიოდა. ნაცნობებს უკ-  
რდა შორეული თვალებით და სალამსაც ვეღარ ახერ-  
ხებდა. ათ წუთში მიიჩინა თავის პატარა ოთახში, ხო-  
ლო, ეს ათი წუთი მისთვის ათ წელს უდრიდა. დაავიწყ-  
და საუზნე, სადილი, ლექციები, ამხანაგები, თავი ჩაპუო-  
ლოგინში და პატარა ბავშვივით ატირდა. ნათანი სტირო-  
და, დიდხანს სტიროდა. ცრემლი იღვრებოდა განუწყვეტ-  
ლივ. არ ახსოვს რამდენ ხანს გაგრძელდა მისი გულის  
ასეთი აჩვილება. ეს პირველი იყო მის ცხოვრებაში. შემ-  
დეგ მას ასე ჩაეძინა: ოდნავ ჩამომჯდარი, ოდნავ წამო-  
წოლილი, თავჩაღებული. ძილში მას უცნაური უემური  
დასდევდა. უნდოდა გაღვიძება და დიდხანს ვერ ახერ-  
ხებდა. როცა გამოელევიდა, წინ მოხუცი დანიელი შეაჩჩ-  
ნია.

ეხლა მიხვდა, რომ მას კარებიც არ დაუკეტია. და-  
ნიელი რაღაცას ლაპარაკობდა ჩვეულებრივ ტკბილად.  
ალერსიანად. უცქეროდენ ერთმანეთს და ორთავეს ეცო-  
დებოდათ ერთმანეთი. ორთავეს აწუხებდათ დილის ამ-  
ბები, მაგრამ მაინც არ იყო შესაფერი სიტყვები. ნათანი  
დაიოდა, ნერვიულობდა, ხოლო დანიელი უსიტყვოდ  
ილიმებოდა. ასე გაგრძელდა კარვა ხანს. ასე დაღამდა.  
და ნათანიც შეხვდა დაღამებას ფანჯარასთან, დაღამე-  
ბული გულით.

სიბნელის ლანდი აეტუზა მას წინ და დაავიწყდა,  
რომ ცივ ოთახში მის გარდა კიდევ თბილი გრძნობათ  
აღსავსე, მოხუცი დანიელი იყო.

— ნეტავი ისხაკს თუ კიდევ ეახსოვარ—გამოე-  
ხმაურა მოხუცი.

— როგორ არა. ყოველ წერილში მოკითხვას იწე-  
რება — გამოერკვა ნათანი.

— იმას ეენაცვალე, ის არის ნამდვილი ისრაელი.

დილოგი ცოტა ხანს პაუზამ შესცვალა. ხოფჩაძე ჩუმესა და სიბნელეში რაღაც უცნაური შიში იყო. ნათანია აანთო სანთლები და თან მოხუცს შეეკრთებოდა.

— საიდან გადაიხდი ძია ამ ფულს?

— რა ვიცი... ისრაელის მტერს ეს ამბავი! ყველაფერს გამიყიდოიან... ცოლშვილს დამიგირავებენ... ისე სამარეში გამგზავნიან...

— გული არ გაიტეხო, გავასაჩივროთ, შევაჩვროთ.

— ეჰ, შვილო, რას ნიშნავს რო ახალგაზრდა ხარ! ბენიამინმა ზეპირად იცის სულის ყველა კანონები. ჯერ კაცის შვილისთვის კაპეიკი არ შეუწყევია, რაც ვეჭოლე ბია, ყველას ბიძაშვილია. ვერ დაინახე რა საქმე გიყო ამ დილაზე? არა, ნათან! ღმერთის ნეტი ჩემი მშველელი არ არის.

— ბევრთან აქვს საქმეები სასამართლოში?

— ბევრთან. ჩვენ ხალხში ორ ოჯახზე ერთი მაინც შავის მოვალეა. რო გათენდება, ბენიამინიც სასამართლოში მიდის და თვითონ რო ჰკითხო, ასე იტყვის: „ის დღე ამოვარდა მე რო სულში არ წაყიდეთ“. ერთი სიტყვით, ნათანჯან, ძალიან უყვარს სულები.

— ასე თუა და... ძალიან მაკვირვებს თქვენი ხალხის საქმე. ყველას თუ ეგ უჩივის, როგორ ნოხდა, რომ ვაყად-მაკვილის თავმჯდომარედ მაინც ეგ აირჩიეთ?...

— ჯერ სხვა ძალა არ არის. — უპასუხა ამოოხვრით დანიელმა.

ნათანმა კი რამოდენიმეჯერ გაიმეორა თავისთვის: „ძალაა საქირო, სხვა ძალა, ახალი ძალა“.

დააკაკუნეს. ძია დათო შემოუძღვა შაულს. მიიწ-მოიწიეს. როგორც იყო ნოთავსდენ. ნათანმა იცნო შაული და კმაყოფილმა უთხრა:

— მე ძალიან მოხარული ვარ, რო მოხველით. მე თვით მინდოდა თქვენი გაცნობა მას შემდეგ, რაც მოვისმინე თქვენი სიტყვა ლოცვის შეღების დროს.

— როგორ, შენც ამ ურჯულოს მხარეზე ხარ? — ჩაერია ძია დათო.

— აბა რა შენი საქმეა, ძია დათო, ახალგაზრდების საქმეში რო ერევი? თვითონ იციან — ველარ შეიკავთ თავი დანიელმა.

— როგორ წავიდა დღეს სასამართლოში საქმე შეეკითხა შაული.

დანიელმა უამბო ყველაფერი. გაბრაზებული ძია დათო იწყევლებოდა;

— ღმერთმა ამოწყვიტოს ბენიამინ ბერიძის მთელი ოჯახი თავისი სიძე — ყეზრათი. ნათქვამია: მამა ნახე, დედა ნახე, შვილი ისე გამოიხეო. რა ხალხი არიან, ხო ვიცი და ნაგათი ქალიშვილი რა იქნებოდა. შენი თავი არამი იყო მაგათზე. შენ ოქრო ხარ, ნათან, გული არ გაიტეხო. ყეზრა კი... ვინ ოხერია? კაცს რომ არ შერცხვება და ჩემს ამდენი ხნის ნაწვალ-ნავაგლახებს შესჭამს...

— კარგი ახლა, ძია დათო, სულ შენ ჯამაგირს ხო არ უნდა მოუნდეთ. ვერა ხედავ, ბენიამინ ბერიძე აგერ უსამართლოდ ახრჩობს ძია დანიელს. ცოტა ამ კაცზედაც გვალაპარაკე — ჩაერია შაული.

— ილაპარაკეთ, მერე ვანა მე ხელს გიშლით? მეც ის მტკივა, რაც ღარიბ კაცს აწუხებს. — უპასუხა თავის გასამართლებლად ძია დათომ და როცა შეატყო, რომ ლაპარაკი მაინც ვერ ყალიბდებოდა, მიმართა ძია დანიელს:

— შენ რაღას იტყვი?

— ისა სჯობია, ვნა ახალგაზრდებს დაულოცოთ და ერთმანეთში უფრო კარგად ჩამოილაპარაკებენ. თქვენ რამე გამომიწყეთ და ჭკუა დამარიგეთ. ვიღას უნდა მიემართო თუ თქვენ არა? ხვალ კიდევ გინახულებთ. წავიდეთ დათო!

— წავიდეთ დანიელ! — მიუგო ძია დათომ, მაგრამ მეტად უხალისოდ.

გარედ გასვლისას მაინც ველარ მოითმინა:

— მამაშვილობას, დანიელის საქმე რომ გამოაწყოთ, მეც არ დამიფიწყოთ. ნუ შეარჩენთ მდიდრებს ჩემს ნაშრომს. ლელ შალომ!

გაიღიმეს. ძლივს მარტო დარჩენ. სანთელი ბუტბუტად მეტად მკრთალად და შალე ჩაქრობას იმუქრებოდა.

ნათანმა მოძებნა ახალი სანთლები და თან თავი იმარ-  
თლა:

— ვერ მოვასწარი სინათლის ფულის შეტანა და  
გადანიჭრეს.

— ეგ არაფერია — ანუგეშა შაულმა — მთელი ჩე-  
მი ცხოვრება უსინათლო ოთახში ვავატარე. მოვიდა  
საბჭოთა ხელისუფლება და ჩემს ოთახშიაც შემოვიდა  
დიდი სინათლე.

— მე ახლაც მაგონდება თქვენი გულწრფელი სიტ-  
ყვები იმ საღამოს ხალხს რო მიმართეთ, რომ ხელი აე-  
ლოთ შეწირულებაზე.

— რა გამოვიდა! სალოცავი მაინც შეღებეს.

— ვისი ფულით?

— დანიელ თაფლიაშვილისა და მასზე კიდევ უფ-  
რო ღარიბების ფულით.

— ნუ თუ ქვეყნად სამართალი აღარ არის?

— სამართალი საბჭოთა ხელისუფლებაა, მაგრამ  
საუბედუროდ ფეთხაინი ძველისა და ახალი ქვეყნის  
საზღვარია. საბჭოთა მზე ჯერ კიდევ ვერ შემოიჭრა  
ჩვენში.

— ბრძოლაა საჭირო.

— ვიცი.

— ვიბრძოლოთ ერთად.

— ეინ? ჩვენ ორმა?

— არა. მე კიდევ მყავს ამხანაგები.

— რამდენი კაცია?

— შეიდი.

— ეინ არიან ისინი?

— ჩემსავით სტუდენტები.

— სტუდენტები განათლებული ხალხია. ეს ძალიან  
კარგია, მაგრამ...

— რა მაგრამ?

შაულმა თითქოს გაუბედავად შეხედა ნათანს და  
პასუხის ნაცვლად შეეკითხა:

— თქვენ პარტიული ხართ?

— არა.

— თქვენს ამხანაგებში რამდენია პარტიული?

— არც ერთი.

— ეს კი ძალიან ცუდია. ვფიქრობ, ვფიქრობ და ვერ ვამიგია, რატომ არის, რომ თქვენ ასეთი განათლებული ხართ, ჩვენი ხალხისთვის გინდათ რაღაც ეკარგათ და ვააგეთოთ და ამავე დროს გვერდს უვლით კომუნისტურ პარტიას.

— ეგ პრინციპიალური საკითხია, ეს მსოფლმხედველობის საქმეა, არ არის საჭირო ამ ორი საკითხის ერთმანეთში არევა.

— მე კი მგონია, რომ ძალიან საჭიროა, რისთვის უნდა იყოს საერთოდ ყველგან კლასობრივი პრინციპი, ხოლო ჩვენში კი ეროვნული?

— განა ჩვენც ღარიბების ინტერესებს არ ეიცავთ?

— თქვენი ამხანაგები ყველანი ღარიბებია?

ნათანმა ტუჩზე იკვნიტა და უსიამოვნოდ უპასუხა:

— არა.

— აი ამაშია საქმე. მე ძალიან ნასწავლი არა ვარ, მაგრამ წიგნებს და ვახეთებს კი ძალიან ვეტანები. არ მახსოვს რომელ წიგნში წაგიკითხე, რომ ხშირად ინტელიგენცია დაბნეული გზებით დადისო. ეს მართალია. აბა რითი აიხსნება, რომ მდიდარი და მდიდრის შვილები ღარიბების ინტერესებს იცავენ? ორში ერთი: ან თავის თავს ატყუებენ, ან სხვებს ატყუებენ.

ჩამოვარდა უხერხული სიჩუმე.

ნათანის თვალწინ მირბოდა სათითაოდ ყოველი ამხანაგის სახე და გულისტკივილით ეკითხებოდა თავის თავს: „ნუ თუ ამ ახალგაზრდა მუშის პირით სიმართლე ლაღადებს?“ მაგრამ მეორე მხრით საკითხის ასე დაყენება ჰქმნიდა გაუვალ მდგომარეობას და ნათანიც ამაზე შეჩერდა:

— გამოსავალი?

— გამოსავალი... საჭიროა ებრაელთა შორის მუშათა რიცხვის მომრავლება, კომუნისტური უჯრედის ჩამოყალიბება. ხელმძღვანელობა უნდა ეკუთვნოდეს მუშებს, ღარიბებს, პარტიულებს, ხოლო უპარტო ხალხს შეუძლია ამ უჯრედის გარშემო შემოკრბეს. რასაკვირველია იმათ, ვინც ჩვენ თანაგვივარძნობს.



— ხოლო ჩვენი სტუდენტების მოწინავე უნდა დაიშალოს? — იროხიული ღიმილით ნათანი.

— რასაკვირველია. ინტელიგენტური ორგანიზაციები მე არა მწამს. ისტორიაც ასე ამბობს, რომ მათ ჩხუბისა და კინკლაობის მეტი არსად და არასოდეს არაფერი გაუკეთებიათ.

— თქვენი მუშური ფსიქოლოგიით ძალიან მარცხით შეგიტოპიათ — ველარ მოითმინა ნათანმა.

— ამას მონავალი გვიჩვენებს, — უპასუხა შაულმა.

— არ შეიძლება ინტელიგენციის როლის უარყოფა.

— მე არ უარვყოფ მის როლს, როგორც არ შეიძლება მსახიობის როლის უარყოფა სცენაზე. მაგრამ რეჟისორობას კი მას მაინც ვერ ჩავაბარებთ.

— ინტელიგენცია ფაქტიურად უკვე ხდება ჩვენი ხალხის ცხოვრების რეჟისორი.

— ეგ ჩვენი გარდამავალი ხანის შეცდომაა. თქვენს ჯგუფს არა აქვს მტკიცე ფესვები, მისი არსებობა არ ემორჩილება არავითარ აუცილებლობის კანონებს, იგი შენთხვევითი მოვლენაა, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს სპანის ბუშტივით გასკდება.

— რომ არ გასკდეს?

— მაშინ განვაგრძოთ კამათი.

— ხოლო დროებით მაინც, რომ ჩვენი ხალხის შეგნებული და მოწინავე ნაწილი განვამტკიცოთ, არ გსურთ ჩვენთან იმუშავოთ?

— მოვიფიქრებ. — უპასუხა შაულმა და წასასვლელად გაემზადა.

— უკვე მიდიხართ?

— დიახ, ეხლა წავალ. სხვა დროს კიდევ შემოვივლი. თუ ნებას მომცემთ, თქვენი წიგნებითაც ვისარგებლებ.

— სიამოვნებით.

შაული გამოესალმა და მტკიცე ნაბიჯებით გავიდა.

ნათანი ისევ მარტოა, მაგრამ მარტოობის გრძნობა მოზღვავეებული ფიქრები იფარავს. ვინ იცის ნათანის მეტმა რა რიგ ვრცელია მისი ფიქრების სივრცე!

იგი დგას უძრავად თავის საყვარელ ადგილას -- ფანჯარასთან და გასცქერის თეთრი თოვლით დაფარულ ეზოს. თოვლის სითეთრე ოთახსაც გვაროანათ ანათებს. ნათანი აღარ ეძებს სანთლებს, ღვას, ფიქრობს და ფიქრობს.

„მარცხი, მარცხი და მარცხი. დიახ სამი მარცხი: ესთერთან, სასამართლოში, შაულთან“.

„ესთერთან... ოჰ, რა რიგ დამცინავია მუხთალი ბედი. წაპყვა ძია დათოს ნიშნობაზე... ვილაცა სულელის ნიშნობაზე... უნდოდა გაცნობოდა მათ ადათ-წესებს, დრო გაეტარებინა. ხა,ხა,ხა!.. შეხვდა ესთერს, რომელსაც ჰყიდდენ როგორც თიხის ქურქელს... ორი შეძახილი: — ნათან! ესთერ! — და ყველაფერი აირია... გამოაშვარავდა ახალგაზრდების ლტოლვა... ნიშნობა ჩაიშალა... ესთერმა უარი განაცხადა გაჰყოლოდა ყუზრას. ხოლო ბენიამინ ბერიძემ შებღვირა ნათანს საშინელი თვალებით და სახლიდან გააგდო. ეს იყო და ეს... მას შემდეგ განვლო რამოდენიმე დღემ... ესთერისაგან არაფერი ისმის... და ნათანის მივიწყებული გრძნობა უაღრესი ძალით ამოტივტივდა ზედაპირზე... ნათანს აღარ შეუძლია უესთეროდ, ხოლო ესთერი სდუმს, სდუმს, სამარის ქვასავით სდუმს... არ არის გზა... არ არის კავშირი... არ არის არაეითარი ცნობა და ნათანი უძლურია“.

„სასამართლოში... აქაც ბენიამინ ბერიძის ხელმა იგი გადმოსვა მსაჯულის სკამიდან და მიაყენა ესოდენ დიდი შეურაცყოფა... სასამართლოში საქმეს მოიგებს ბენიამინ ბერიძე, ხოლო ნათანს არაფრით არ შეუძლია დაეხმაროს უბედურ დანიელს“.

„შაულთან... რა დიდი სურვილი ჰქონდა გამოენახა მასთან საერთო ენა! მაგრამ ნათანი და შაული დგანან ორ პოლიუსზე: ერთმანეთის არ ესმით. შაული იმ თავ-

ხედობამდეც მიდის, რომ იგი, უსწავლელი მუშა, ამბობს წმინდა ინჰელიგენტურ ჯგუფში მუშაობაზე. არ სწამს სტუდენტების გაკეთებული საქმე.  
„მარცხი-მარცხზე. რა უნდა ჰქნა ნათან უპირველეს ყოვლისა, არ დაეცე სულით“.  
და ნათანმა თავის გონებაში, ფანჯარასთან უძრავად მდგომმა, მოხაზა უახლოესი დღეების სამოქმედო პროგრამა:

„ესთერი უნდა ჩემი იყოს. დანიელ თავლიაშვილი უნდა განთავისუფლდეს ბენიამინ ბერიძის ბრძოლებიდან. სტუდენტების ჯგუფი უნდა გაძლიერდეს და გაცხოველდეს“.

უკანასკნელ მუხლზე ნათანს ისევ თვალწინ შაული ედგა, რომელიც თითქოს დამცინავი, მაგრამ სიმართლის ნიშნული თვალებით აფრთხილებდა, რომ ასეთი ჯგუფიდან არაფერი ნაყოფი არ გამოვიდოდა.

„ჯგუფს გადავანალისებთ. ერთს გავრიცხავთ, სამაგიეროთ სხვას მივიღებთ. ჩვენ დაუმტკიცებთ ყველა შაულებს, რომ ჩვენ ვართ მოწინავე ელემენტები, რომ ჩვენ მოვახდენთ კულტურულ რევოლუციას, რომ ჩვენ“...

ნათანი ფანჯარასთან იდგა.

აღარ თოვდა, თეთრი ფერი კი უფრო ძლიერდებოდა.

მეზოვე ლილინით ასუფთავებდა ეზოს.

ძლივს გამოერკვა.

გვიან მიხვდა, რომ გარედ უკვე გათენდა.



## 2

— ორი ბატონია ქვეყნად: ზევით ლნერთი და დაბლა ქნარი. მოციქულობას თავი დაანებე და რასაც გეუბნები, ის გააკეთე. მოთმინებიდან თუ გამოვედი, საკუთარი თითებით დავგლეჯ. მერე გაიგებს, რომ საკუთარ ქალის შვილსაც არად ჩავაგდებ, როცა საქმე ბენიამინ ბერიძის სახელს ეხება. დამითქვამს ვადა: ერთი კვირა. გაიგე? —

და ბენიამინ ბერიძემ გასვლისას მაგრად გაიხურა კარები.

ზილფამ თვალი გააყოლა მიმავალ ქმარს და ღრმად ამოიოხრა.

მის წინაშე მეტად მძიმე ამოცანა იდგა და აღარ იცოდა რომელი თავიდან მისდგომოდა. ეცოდებოდა ქალიშვილი და იმავე დროს თავს ევლებოდა ქმრის მდგონარეობას. ორივენი ეწეოდნენ თავისკენ და აღარავინ არ სთმობდა.

ესთერმა იმ საბედისწერო ღამის შემდეგ კატეგორიული უარი განაცხადა ყურა შათაშვილის ცოლობაზე. ვერაფრითარმა ხვეწნამ, მუდარამ, მუქარამ ვერ გასჭრა.

ბენიამინი კი იყო ყველაზე დიდი საზოგადოების „ვაყად-ჰაკეილას“ თავმჯდომარე და წინააღმდეგობას არ იყო შეჩვეული. ქალიშვილთან ლაპარაკი უმიზნო იყო: იგი შეგნებულად დამუნჯდა და მამას ხმას არ სცემდა. მამა ურიდებოდა დიდ უსიამოვნებას და ამიტომ ცოლს დაავალა ერთ კვირაში ეს საქმე მოეგვარებინა. რათა მას „საქვეყნოთ თავი არ მოსჭროდა“.

იყო ბენიამინს, რაც მოხდა! ასეთებს ბენიამინ იყო ჩვეული. მით უმეტეს ვისგან? საკუთარი ქალიშვილისაგან?! უი, სირცხვილო!

ზილფა რასაკვირველია ქმრის მხარეზე დადგა, მისი დედა, მისი ბებია — ყველანი ემოოჩილებოდნენ თავიანთ მანებს. ესთერს კი ვინ მისცემდა უფლებას გადაეხვია წმინდათა წმინდა წესებისათვის?

ზილფა კარგ ცხოვრებას არის შეჩვეული. სასაღილო ოთახში რბილ დივანზე მოუყვებია ფეხი და ქმარს ტალეთისათვის აბრეშუმის ბუდეს უქსოვს.

ბერიძეების ბინა რამოდენიმე ოთახისაგან შესდგება. ოთახები — ვრცელი, ნათელი, მზიანი. ავეჯეულობა — მდიდრული. ხალიჩები — სპარსული. კედლებზე მაგენ-დავიდ-ები<sup>1</sup> და ორი-სამი დიდი პორტრეტი უცნობ გრძელკიკინა და გრძელწვერა მოხუცებისა.

უკვე დილის თორმეტი საათია. სუფრაზე საუზნე ჯერ კიდევ აულაგებელია, მსახური გოგო ხშირად იხედება და უკანვე ბრუნდება. ეტყობა ესთერი ჯერ არ ამდგარა. ზილფაც იტყირება ესთერის ოთახისაკენ და ელის როდის გამოვა, რომ კვლავ განაახლოს უსიამოვნო ლაპარაკი.

როგორც ყოველ დედას, ზილფასაც ეცოდებოდა თავისი ქალიშვილი, რომელიც ამ ბოლო დროს ძალზე გახდა, მაგრამ ამ გრძნობის იქით საქმე არ მიდიოდა.

პირველ რიგში იდგა ბენიამინ ბერიძის სახელი. იმ ბენიამინ ბერიძისა, რომელიც განთქმული იყო ბერიძეების ტერმინით: „საქვეყნოთ“.

და ეს „ქვეყანა“ კი იყო: ვაყად-ჰაკეილა, სუდები და თამბაქოს მოვაჭრენი.

ასეთი იყო წრე და საქმეები ზილფას ქმრისა.

ქმარი უკვე წავიდა საქმეზე — ალბად მალაზიაში, ან სუდებში, ან შეიძლება ვაყად-ჰაკეილაშიც. სახლში დარჩა ზილფა, რომელმაც ნიილო კატეგორიული დირექტივა: „დამითქვამს ვადა: ერთი კვირა. გაიგე?“.

<sup>1</sup> მაგენ-დავიდ-ები — ექვსკუთხიანი ვარსკვლავი, ემბლემა „დავიდის ფარი“.

ესთერი კი თითქოს ეინზე არ გამოდიოდა. ერთხანს კიდევ ელოდა, მერე დაუძახა.

— ყავა გაცევა, ესთერ. გენაცვალოს დედა, გამო-  
დი.

— ეხლავე. — მოისმა ყრუ პასუხი.

ცოტახნის შემდეგ გამოვიდა ესთერი თმაგაწეწილი, პირდაუბანელი, ფერმკრთალი. ტანთ ეცვა — საშინაო თხელი კაბა და ნაბიჯები ჰქონდა უხალისო. მძინედ ჩამოჯდა დედის ახლოს დივანზე და სუფრას გულგრილად გადაჰხედა.

— უთხარი ალაგონ. მე არ ვისაუზმებ.

— რათა შევილო?

— არა მშია. თანაც ცოტა თავი მტკივა.

— ასე არ ვარგა, ესთერ.

— მეც ვიცი.

— თუ იცი და რიღასთვის სტანჯავ ან შენ თავს და ან შენს მშობლებს? ჩემო ესთერიკო, შენ გენაცვალე, შენს მეტი ვინ გაგვაჩნია? რისთვის გვიმწარებ სიბერეს?

— თქვენ რისთვის მიმწარებთ ახალგაზრდობას? ყეზრა შათაშვილი ისე მეზიზღება, როგორც მორწმუნე ებრაელს ღორის ხორცი. მოვკედები და იმას არ გავყვები.

ზილფამ ამოიოხრა.

— როდემდის შევილო?

— როდემდის? იმ დრომდის ვიდრე მამაჩემი ჩემს კუბოს არ დადგამს.

— მოდი და ელაპარაკე ამისთანა შევილს! უი, დროებას რა ვუთხრა! დამწვარიყო ის დღე, მამაშენმა რომ სკოლაში მიგაბარა.

— ნეტავი მართლაც არაფერი მესწავლა. მაშინ ბრმა ვიქნებოდი და ბრმად წავეყვებოდი ყეზრას და იმისთანა ჩერჩეტებს.

— ყეზრა დიდი ეაქარია. მამაშენი და ყეზრა შეაერთებენ ფულებს და დიდ საქნიებს გააკეთებენ. მამაშენი ახალციხელების უფროსია, ყეზრა ცხინვალელებისა. მაშინ ჩვენი ოჯახი გახდება საერთო უფროსი.

— მაგით ჩემი ცხოვრება არ გაუმჯობესდება.

— შენ მამაშენზე უნდა იფიქრო.

— ხოლო მამაჩემმა მარტო თავის პატივზე და დიდებაზე უნდა იფიქროს?

— მამაშენი მთელი სიცოცხლე ფიქრობდა მშენებლობაზე და შენთვის, გზრდიდა.

— რომ ეხლა ყეზრას ყრმად გადამაქციოს?

— შვილო, დაფიქრდი!

— რამდენიმე წელიწადია, რაც დავფიქრდი.

— აბა შენ შენსას არ იშლი?

— თავი დამანებეთ, რა გინდათ ჩემგან... — აქვითინდა ესთერი.

— განათლებულ ქალს ტირილი არ შეშვენიისო, ასე გამიგონია.

ესთერი კბილს კბილზე აცემინებდა და მთელი მისი სხეული კანკალს განიცდიდა. ზილფა კი განაგრძობდა:

— გეყოფა, ესთერ. ეხლა წადი, პირი დაიბანე.

— რაადენჯერ უნდა დავიბანო პირი, დღეში ასჯერ მატირებთ.

— ესთერ, კიდევ გეუბნები, ნუ სჭრი მამაშენს საქვეყნოდ თავს, თორემ ამ საქმიდან კარგი არაფერი გამოვა.

— რაც უნდა გამოვიდეს, სულ ერთია.

— შენ ჯერ არ იცნობ მამაშენს, ნულარ გააბრაზებ ზომანზე მეტად.

— რაღა გინდათ?

— ესთერ...

— ჰო, ესთერი მქვია, ნაკმარეთ თქვე ურჯულოებო, მაკმარეთ.

და ესთერი შეუდგა თავისი ლოყების ფრჩხილებით დაკაწვრას და დასისხლიანებას. შეშინებული ზილფა წამოხტა დივანიდან და დაუწყო ქალიშვილს მოფერება. სწორედ ამ დროს მათთან შემოვიდა ყეზრა შათაშვილი, რომელსაც მოჰქონდა გაზეთში გახვეული საჩუქრები.

— დილა მშვიდობისა, ჩემო სიდიდრო! დილამშვიდობისა ჩემო დანიშნულო! — მიესალმა მათ და დაუწყო გახვეულ გაზეთს კანაფის შემოხსნა.

— მობრძანდი! ყეზრა! — მიეგება ზილფა.

ესთერი ზურგ-მიბრუნებული იდგა და ვერ გადააწყვიტა დარჩენილიყო ოთახში თუ წასულიყო.

ყეზრამ ამოალაგა საჩუქრები: საკაბე, ოქროს სამაჯურები, ადეკალონი.

— ჩემო დანიშნულო, რაზე მარიდებ თვალს? აი საჩუქრები მოგიტანე. ეს ძველი და სხვა ახალი. მშვიდობაში მოიხმარე!

ესთერი ნობრუნდა და ყეზრას შეაჩერდა.

— ტყვილად გარჯილხართ. მე თქვენი დანიშნული არა ვარ.

— მართალია, იმ ღამეს ვერ მოხდა დანიშვნა, იმ ლაწირაკმა ხელი შეგვიშალა...

— ხმა ჩაიკმინდეთ!

— მე... არა... ისე... იქნება ის მთლად არაა ლაწირაკი, მაგრამ არც მე ვარ მთლად მასხარად ასაგდები. მართალია, შენ არ გინდა, მაგრამ შენს მშობლებს უნდათ და თორაშიაც ასე სწერია, რომ უნდა დააფასო მამაშენი და დედაშენიო.

— აი შეილო, როგორი ოქროს სიტყვებია. შენი საქმრო არც ისე ურიგოა, როგორც შენა გგონია—ჩაერია ზილფა.

ყეზრამ თავმომწონეობით გადიწია ქუდი და განავრძო ლაპარაკი:

— ურიგო კაცი რომ ვიყო, ვინ ამარჩევდა ობჩესტვოს თავმჯდომარედ?... მართალია, ძია ბენიამინი ჩემზე უფრო დიდი კაცია, უფრო დიდი ობჩესტვოს თავმჯდომარეა, მაგრამ ღმერთო შენით — ქონებასა და ცხოვრებაში არ ჩამოუფარდები... ჩემო დანიშნულო, ისე გაცხოვრო, როგორც ნამდვილი დედოფალი.

— ნუ მიძახით „ჩემო დანიშნულოს“...

— სულ ერთია, ხო იქნები... დანიშნული კი არა და... მე და ჩემი სიამარი მოლაპარაკებულნი ვართ. მალე ქორწილიც უნდა გადავიხადოთ.

— ღმერთმა გისძინოს — კვერი დაუკრა ზილფამ.

ხოლო ვერც ზილფამ და ვერც ყეზრამ ვერ გაუწიეს ანგარიში ესთერის სულიერ მდგომარეობას, რომელიც ამ



უკანასკნელი ლაპარაკის დროს საშინლად გაფითდა  
აცახცახდა და დაეტყო ნერვების აშლა.

მოულოდნელად ესთერი მივიარდა საჩუქრებს, ~~და~~  
ეჭირა თავის პატარა მუშტებში, უცნაურად დაჰკროს  
საკაბე და სამაჯურები. შემდეგ დაუყარა ყეზრას წინ  
და განრისხებით შესძახა:

— ეხლავე! დაიკარგეთ აქედან!

შეშინებული ყეზრა ზილფას ამოეთარა, ხოლო მოუ-  
ლოდნელობისაგან გაოცებული ზილფა დაიბნა და არ  
იცოდა რა ექნა.

— ჩემო დანიშნულო, რა მოგივიდა?! — ყეზრა  
მაინც არ იშლიდა და ზილფას ამოეთარებული ჩუმად  
მაინც განაგრძობდა ბურტყუნს.

ეს კი მეტის მეტი იყო. აივსო ესთერის მოთმინების  
ფილა. მიიხედა მაგიდისაკენ. იქ კიდევ იყო დარჩენილი  
ყეზრას საჩუქარი: საზღვარგარეთული ადეკალონი.

საჩქაროდ დაავლო ხელი და უნდოდა ეთხლიშა  
ყეზრასთვის პირსახეში, მაგრამ ყეზრას მოხერხებული  
პოზიციის გამო ესთერმა ააყდინა მიზანს და გასროლი-  
ლი ბოთლი იატაკზე დაიმსხვრა.

ესთერი მძიმედ სუნთქავდა, ზილფას უაზროდ გაე-  
ლო პირი, ხოლო ყეზრა კარებისკენ იცქირებოდა და გა-  
საპარავად ეშხადებოდა.

ოთახში იდგა დაღვრილი სითხის საამო სუნი.



ილევოდა დათქმული ვადა. ილევოდა ბენიამინ ბერი-  
ძის მოთმინება.

ამ საღამოს იგი ჩვეულებრივზე ადრე მოვიდა შინ.

ცოლი და ქალიშვილი ვილაცა მეზობლის მკედრის  
სატირალში იყვნენ წასულნი და ჯერ კიდევ არ დაბრუ-  
ნებულნიყვენ.

„რა გაეწყობა, მოუცდის“.

გამოიღო საანგარიშო დაეთარი და ჩაეფლო შიგ  
აღფაბეტზე დალაგებული ჰქონდა მოვალეთა გვირები,  
ვალის რაოდენობა, დათქმული ვადები, გადაცდენილი

დღეები, პროცენტები და პროცენტის პროცენტები. პირველ გვერდზევე მას თვალთ ეცა:

„ა... ათანელიშვილი შაულის ბიკოლა — ხუთი მანეთი ოქრო... პროცენტები და პროცენტის პროცენტების სულ თორმეტი მანეთი“.

„ფუ“ — უსიამოვნოდ გააფურთხა ბენიამინმა და განაგრძო თავისთვის ფიქრი — დედაბერი ჩაძაღლდა და ეხლა ვის უნდა გადაეხადევიანო? შაულს? ეს მგონი არ გამოვა. ის მეტად საშიში ახალგაზრდა იზრდება. დამეგობრებია ბოლშევიკებს და, პირიქით, თურმე ემუქრება ბენიამინს, რომ ხელი აიღოს დანიელ თაფლიაშვილის ვალზე... არა ჩემო ბოლშევიკო, შენ თუ შეგარჩენ, არმად ბიკოლაშენის ვალი. ესეც გეყოფა!.. დანიელ თაფლიაშვილთან რაღა გესაქმება? კასაცია შეატანიეთ? ხა, ხა, ხა! კასაცია ჩემი მოგონილია. სასამართლოში გზასა და კვალს ვერ მასწავლით, თუმცა სწავლა არ მიმიღია. მაგრამ ცოდნითა და გამოცდილებით ბარე ორმოცი იურისტი ვერ მოვა ჩემთან“...

შაულის სახე არ შორდებოდა ბენიამინს.

„საჭიროა რაღაცა მოვიფიქრო, თორემ ეს ყმაწვილი არ მომწონს“.

— „აბა რომელი ყმაწვილი მოგწონს? ნათანი?“

და გველნაკბენივით წამოვარდა. საანგარიშო დაეტარა გადაავდო და თამბაქოს იარლიკებს დაუწყყო სწრაფი გადარჩევა. თითები ერთმანეთს უშლიდენ და არაფერი გამოსდიოდა. მისი თვალების წინ დროგამოშვებით ერთმანეთს სცვლიდენ შაული და ნათანი.

„ვაი თუ მათ ამხანაგებიც ჰყავთ, ვაი თუ ისინი შეერთდენ? არა, არა, — ნაადრევია ამაზე ფიქრი. ვიდრე ჩვენ ხალხს კიდევ სწამს ღმერთი და დღეში სამლოცვეას ლოცულობს, ისინი არ წამოვეგებიან მოლაღატეების ანკესზე“.

ცოლშვილის დაგვიანება არაფრად მოსწონდა. თანაც ხუთშაბათი იყო და ვაყად-ჰაკეილაში უნდა წასულიყო. რამოდენიმე ათეული მანეთი იყო მოგროვილი და გასანაწილებელი იყო ოთხას ლარიბზე. ეს არც ისე პატა-

რა საქმე იყო. უბეზიადიხოდ აძას ვეროვის ვერ შესძლებდა.  
მაგრამ აოცებდა ბენიამინს ერთი ამბავი: არა თუ  
ოთხასი ღარიბი, ასიათასი და მილიონი ღარიბი  
დაარღვევდა მის სულიერ სიმშვიდეს. იმ ერთმა  
თავიდანვე არ მოეწონა, იმ პირველ საღამოს, როცა  
ექვებდა ბინას და როცა თავხედურად უცქეროდა პირდა-  
პირ თვალებში და მერე... დახე საკვირველებას! მის ერ-  
თადერთ ქალიშვილს თურმე ჰქონია საქმე იმ მათხოვარ-  
თან.

„მაცალონ, ჯერ მობრძანდნენ. ამ საღამოს გაუსწო-  
რებ ჩემს ქალბატონებს საბოლოო ანგარიშს. იმ ერთმა  
მათხოვარმა სულიერი სიმშვიდე ამიშალა. თუმცა იგი  
გავაგდე რამოდენიმეჯერ — „ვაყად-ჰაკეილადან“ („ერთ-  
თი ღამე), ჩემი სახლიდან („ნიშნობა“), „სულიდან“  
(„დანიელის საქმე“) — მაგრამ ეს არ კმარა.

— არა, არა, არა! —

შეჰყვირა ბენიამინმა და მოკუმშული მუშტი პაერ-  
ში გაიქნია.

გამოიძახა მსახური და აფრინა ცოლშვილთან.

— მოვიდენ. მეჩქარება. ხუთშაბათია.

ითვლიდა წუთებს და კედლის საათიც ნერვებზე  
მოქმედებდა.

გარეთ სიცივე იყო, ხოლო ბენიამინი გახურებული  
იყო შინაგანი სიცხით და გავრილების მიზნით საყელოზე  
ლილები შეიხსნა.

შემდეგ როცა შემოესმა კიბეზე ამომავალი ცოლ-  
შვილის ნაბიჯები, ჩამოჯდა ისევ სავარძელში და მიიღო  
სერიოზული გამომეტყველება, თითქოს იგი სრულია-  
დაც არა ჰლელავდა.

ოთახში შემოვიდნენ ზილფა და ესთერი.

ესთერმა არც კი გაიხედა მამისაკენ, საჩქაროდ გაი-  
რა სასაღილოს ოთახი, შევიდა საწოლ ოთახში და მი-  
შედ დაეშვა ლოჯინზე. ბენიამინმა კი თვალი გააყოლა  
თავის ქალიშვილს და გაიღიმა ისეთი ღიმილით, რო-  
შელშიაც მეტი იყო ბოროტება, ვიდრე გაოცება ან გუ-  
ლისტყვივლი.

ზილფა ოდნავ მოკრძალებით ჩამოჯდა ქმრის პირ-  
დაპირ, ბენიამინი ელოდა პასუხს. ზილფა კი დუმდა. *და*  
სიჩუმეში ბენიამინი ცუდ წინასწარმეტყველებას ვხედავ-  
და და მოთმინება დაკარგულმა, ისევ თვით დაარღვიან  
ზილფას დუმილი:

— ვადა გავიდა.

— გავიდა — ამოოხერით დაუდასტურა ცოლმა.

— მერე? — გაბრაზდა ბენიამინი.

„მერე?“ საქმეც ამაში იყო: რა იყო ამ „მერეს“  
იქით? ეს „მერე“ — ცოლ-ქმარს ერთნაირი ძალით აწუ-  
ხებდა.

დიდხანს უჭირდა ზილფას ენის ამოდგმა, მაგრამ გა-  
ნა ასე ადვილი იყო ქმრის თვალებისათვის გაძღება?

— რა ვქნა, რა წყალს მივეცე?.. არ შევება... ხო ვერ  
მოვეკლავთ... არაფრის გულისათვის არ გავყვებით. —  
ძლივს წაილულულა პასუხად.

ბენიამინმა ჭიქა წყალი დაისხა და დალია, შემდეგ  
ცხვირსახოცით ოფლი გადაიწმინდა შუბლიდან და ცო-  
ლის პირდაპირ გაჩერდა.

დააკაუნეს. სალოცავიდან კაცი გამოეგზავნათ. დი-  
დი ხანია უკვე კანტორაში შეგროვილა ვაყად-პაკეილა  
და ძია ბინოს ელოდენ. სალოცავის ეზო სავსე ყოფილა  
ღარიბებით. ხომ არ დაავიწყდა ძიას?

— არა, არ დამევიწყებია. პატარა საქმე მაქვს შინ.  
მალე მოვრჩები.

როცა ისევ მარტო დარჩენ, ბენიამინს დაეკარგა ის  
პირველი ფრაზა, რომელიც უნდოდა უკმეხად მიეხალა  
ცოლისათვის და ეხლა ლამობდა იმის გახსენებას. ზილ-  
ფამ კი რატომღაც ეს სიჩუმე ლმობიერებად მიიღო და  
კარგ ნიშნად ჩასთვალა. მოულოდნელად მიუახლოვდა  
ბენიამინს და უთხრა:

— იცი რა ბენიამინ? მოდი და გავათხოვოთ იმ  
ბიჭზე.

— ვინ ბიჭზე?

— ვინ ბიჭზე და... ვინც რომ მოსწონს.

— ნათან ჯანაშვილზე? — და გაოცებულმა ბენია-  
მინმა პირი გააღო. ერთ წუთს ვერ გამოერკვა, შემდეგ

თვალეები გაეხარდა. პირზე დორბლი ნოადგა და  
ცოლს უცნაურად მიაშტერდა.

ზილფას შეეშინდა ქმრის გამომეტყველებების  
ლები იატაკისკენ მიმართა. ბენიამინს კი მოულოდნელად  
რაღაც აზრმა გაჰკრა თავში, საჩქაროდ წამოხტა, შევიდა  
და ქალიშვილის ოთახში, დაავლო ხელი ესთერს და  
ფერმკრთალი, ნამტირალევი ქალიშვილი ძალით გამოი-  
ვანა სასადილო ოთახში.

— დაჯექი.

ესთერი დაეშვა სკამზე. ბენიამინი თავს წაადგა:

— ასწიე თავი, რას ნიშნავს ეს საქმე? რომ ჩავე-  
დია ენა და ხმას აღარ მცემ, რა გგონია, მე შენი მშობე-  
ლი ვარ თუ ვიღაც გადამთიელი? რაც თავი მომჭერ  
საქვეყნოდ შემარცხვინე და ჩემი ოჯახური ამბები ხე-  
ლის სალავბოდ გადამიქციე, ეს არაფერი, ამას არ სჯე-  
ლები. რაღა გნებავს კიდევ?

ამაოდ ელოდა პასუხს. თავჩაღებულ ესთერი არ  
აპირებდა ხმის ამოღებას.

— მაცდევინე ეხლა გათენებამდე. დაგავიწყდა რი-  
ხუთშაბათია და კანტორაში ხალხი მელიოდება? ესთერ  
ეხლავე პასუხი: რაღა გნებავს კიდევ?

— უპასუხე ესთერ — მიმართა ზილფამაც.

და ესთერმა მოულოდნელად თავი ასწია:

— რა აზრი აქვს ჩემს პასუხს? ყურბა შათაშვილს  
ცოცხალი არ გავყვები და მკედარი თუ გინდათ გამ-  
ტანეთ.

ბენიამინმა აათამაშა დამცინავი თვალეები:

— აბა იმ მათხოვარს უნდა გაჰყვე?

ესთერი ისევ დადუმდა. და ბენიამინმა თვითვე უპა-  
სუხა:

— მათხოვარს არ გავატან ჩემს ქალს. ბენიამინ ბე-  
რიძე ჯერ არ გაკოტრებულა. გაიგე?

დიღხანს უცქირეს ერთმანეთს მამამ და ქალიშვილ-  
მა. შემდეგ ესთერს მოსწყინდა ეს სცენა. წამოდგა და  
თავის ოთახისაკენ დააპირა წასვლა. ვანრისხებულმა ბე-  
ნიამინმა გზა გადაუჭრა:

— მამ შენ მამაშენს აღარ უჯერი?

და მოულოდნელად მოუქნია მუშტი და გაარტყა სახეში. ესთერს ცხვირიდან სისხლი წასკდა. ზილფამ შეშკივლა, ხოლო ბენიამინმა დაჰკარგა წონასწორობა და უფრო მეტი გააფთრებით შეუდგა ქალიშვილის ცემას. ზილფა მივარდა ბენიამინს და ეცადა ესთერი სკლდინდანი გამოეგლიჯა, მაგრამ ბენიამინმა ცოლსაც მაგრად წასთაევა და თან ორივენი უკმები სიტყვებით მოიხსენია.

ესთერი გადახტა პირდაპირ და მაგიდას ამოეფარა.

— არ გინდა? არა? აწი მიყურე. ეს არაფერია. დღეს დრო არა მაქვს. ხუთშაბათია. შენ აღარ მოვესწარ მომავალ ხუთშაბათს, თუ ჰკუთაზე არ მოგიყვანო—დაამთავრა ბენიამინმა, საყელო გაისწორა და შინიდან გავიდა.

ესთერს თვალები უბრწყინავდა და მამის გასვლის შემდეგ დედას მიმართა:

— ხომ დაინახე? ამასაც მოვესწარ. ჩემმა განათლებულმა მამამ მცემა, გასვლისას საყელო გაისწორა. ევროპიული ბანტი აქვს დაკიდებული... გველი... მხეცი... კანი აქვს მარტო გამოცვლილი, რომ ქვეყანა ატყუოს... გულით კი ისევ აზიელია, ბარბაროსია, ვანდალია...

ზილფა გააოცა ამ უცნაურმა სახელებმა: „ნეტაე რას უნდა ნიშნავდეს?“ ესთერი კი განაგრძობდა:

— გაქეფილს გატეხილი სჯობია. მცემა არა? ძალიან კარგი... აწი მიყუროს. მე ვიპოვე გზას. მე... მე... მე. — და ცრემლების ნაკადმა შეაწყვეტინა აზრის დამთავრება.

ზილფა უცქეროდა ქალიშვილს უაზრო გამოშტერებული თვალებით და რომ ვერასფერს ხედავდა სანუგეშოს, თავისთვის ბუტბუტებდა:

— ეჰ, ბენიამინ, ბენიამინ...

ბენიამინი კი ამ დროს შედიოდა ამაყი და მედრდური სახით თავის სამფლობელოში, თავის საყვარელ კანტორაში.

ხალხმა გაიწ-გამოიწია. ახალციხელთა „გაყად-ჰაკეილას“ წევრები ფეხზე წამოუდგნენ და შუაგულ ადგილზე მიიპატიყეს.

ვიდრე „საქმეს“ შეუდგებოდნენ, ახლობელი/მეზობლები  
გები შეეკითხნენ თუ რისთვის დაიგვიანა, რაზედაც/ბრუნ  
ნიამინმა თითქოს არაფერი მომხდარიყოს, ჩემი/მეზობლები  
საქმიან კილოზე მიუგო:

— თამბაქოს მაზანდა დაცემულა...



ლექცია დანიშნული იყო საღამოს შვიდ საათზე.  
აკადემიური საათი — ეს იმას ნიშნავდა, რომ ირაკლის ისევე როგორც სხვა სტუდენტებს შეეძლოთ ოცნ  
წუთით დაგვიანება.

რას იფიქრებდა ირაკლი, რომ ათასგვარი უცნაუ-  
რობით აღსავსეს მოხუც მელიტონს მოუვლიდა სურვილ-  
დღეს ლექცია დაეწყო სრულ შვიდზე?

ირაკლიმ დაიგვიანა. უნივერსიტეტის დერეფანში  
დადიოდა წინ და უკან და ვერ გაებედა აუდიტორიის  
კარის გაღება. არ უნდოდა ლექციის გაცდენა, თანაც  
ეშინოდა მრისხანე პროფესორის, რომელსაც არ უყუარ-  
და ლექციის დაწყების შემდეგ კარის გაღება და მისი  
განწყობილების უეცარი შეცვლა სხვა რაიმე უფერულ  
ამბით.

ასე იდგა კარგა ხანს უხერხულ მდგომარეობაში.  
ვიდრე ერთმა პატარა გარემოებამ არ აიძულა გაებედა  
აუდიტორიაში შესვლა.

ერთი ახალგაზრდა ქალი ლექციების ცხრილს ათვა-  
ლიერებდა.

ირაკლისათვის ძნელი არ იყო გაერკვია, რომ ეს ქა-  
ლი არ ეკუთვნოდა უმაღლესი სასწავლებლის მსმენე-  
ლებს. ასე თუ არ იყო, რისთვის კითხულობდა სხვადა-  
სხვა ფაკულტეტის ცხრილს, გადადიოდა ერთი ცხრილი-  
დან მეორეზე და ყოველთვის პლელავდა?

ირაკლის მოეწონა ახალგაზრდა ქალი და თან დაინ-  
ტერესდა ქალის ცნობისმოყვარეობით. მაგრამ საქმე რო-  
დი იყო მარტო ცნობისმოყვარეობაში. ქალმა აღბათ ვერ  
მიაგნო მისთვის საჭირო ცნობას და ძლიერ ნერვიულობ-  
და. ერთ წუთს კიდევ გაუკვირდა ირაკლის. მაგრამ

ახალგაზრდა ქალმა პირდაპირი ნაბიჯით გამოსწოა მის-  
კენ. მოიხადა ბოდიში. შეეკითხა ფაკულტეტს, კურსს-  
გაუკვირდა ირაკლის:

— ეს ხომ ჩემი ფაკულტეტია და ჩემი კურსი?

— მართლა? მით უკეთესი. სტუდენტ ნათან ჯა-  
ნაშვილს თუ იცნობთ?

— ნათანი ჩემი საუკეთესო მეგობარია.

— სად არის ეხლა ნათანი?

— ლექციაზე, მეშვიდე აუდიტორიაში.

— არ შეიძლება როგორმე ჩემი ბარათი გადასცეთ?

— სია... მოვინებით — უპასუხა ირაკლიმ და თან  
უსიამოვნოდ გააქრეოლა, როცა წარმოიდგინა მოხუცი  
პროფესორის მოღუშული სახე.

ახალგაზრდა ქალმა საჩქაროდ გახსნა რედიკული,  
ამოიღო ბლოკნოტი, ამოხია პატარა ფურცელი და აკან-  
კალებული თითებით ძლივს დასწერა.

„ნათან! დაგიცდი ლექციის დასრულებამდე. ესთერ“.

ირაკლიმ გადასწყვიტა და ნელა შეაღო კარები. მო-  
ხუცი პროფესორი შესული იყო როლში, კარის გაღება  
არ შეიმჩნია ია. როგორც ირაკლი ამბობდა მას შემდეგ  
„ხახვივით შერჩა ეს ამბავი“.

ლექცია უახლოვდებოდა დასასრულს. ნათანი დაღვ-  
რენილი და თავჩალუნული ისმენდა პროფესორის ლექ-  
ციას და სრულიად არ ელოდა, რომ ლექციის დამთავრე-  
ბისას პროფესორი აეტუზებოდა თვალწინ:

— ყმაწვილო, არ მომწონხარ ამ ბოლო დროს.

ძლივს მოახერხა ნათანმა:

— რისთვის ბატონო?

— რისთვის და იმისთვის, რომ.. ჯერ ერთი-ჩემი  
ლექციების დროს თავი ჩავიღია ძირს. ასე გამოდის, რომ  
აღარ მოგწონს. ნერე მეორე — სასამართლოში თავი მო-  
ვიჭირა ჩემთვის. რისთვის მოგცეს აცოლება?



„მოდით და მოუყევით ეხლა ამას ყველაფერი თავის  
ბოლომდე“ — გაიფიქრა მწარედ ნათანმა და პასუხად  
ნაცვლად დამნაშავესავით თავი უფრო დაბლა დასწია.  
პროფესორმა ხელი ჩაიქნია და გავიდა. ახლა  
ჩუმად შეაჩეჩა ხელში ნათანას ესთერის ბარათი. ნათანმა  
წაიკითხა და ფერი ეცვალა. მოულოდნელობისაგან დაიბ-  
ნა და უაზროდ მიამტერდა ირაკლის.

— მე კი ნუ შემომცქერი. გარედ გელოდებიან. ეხ-  
ლა წადი და სხვა დროს მოვილაპარაკოთ — უთხრა  
ირაკლიმ.

ნათანი გამოვიდა დერეფანში.

აი ესთერიც!

მიესალმენ ერთმანეთს დაბნევით. იდგნენ ჩუმად.  
ძნელი იყო პირველი სიტყვის მოძებნა, ხოლო სათქმელი  
რამდენი იყო!

რაც ნათანი დაბიდან ჩამოვიდა, ეს პირველი შეხ-  
ვედრა იყო, ნამდვილი შეხვედრა. ნიშნობის საღამოს  
მათ ვერ მოახერხეს ერთმანეთისთვის ეთქვათ რამე. ნა-  
თანს იმ ღამეს შეურაცყოფა მიაყენეს და საშინელი გუ-  
ლის ტკივილით გამოისტუმრეს. რა რიგ ნატრობდა ნა-  
თანი მას შემდეგ ესთერის შეხვედრას და ეხლა ამ წუ-  
თებში, როცა ესთერი იდგა მის პირისპირ, უნივერსიტე-  
ტის შენობაში, ნათანს ვერც ერთი შესაფერი გამოთქმა  
ვერ მოენახა!

წინდაუკან დაფუსფუსებდენ აუარებელი სტუდენ-  
ტები, ქალები და ვაჟები, რომელნიც ერთმანეთს მზია-  
რულად ეკისკისებოდენ, უზიარებდენ ლექციის შთაბეჭ-  
დილებას და ემზადებოდენ სხვადასხვა გამოცდების ჩასა-  
ბარებლად.

ესთერს ერთ წუთს გაჰკრა გულისტკივილმა:

„რატომ მეც არა ვარ ერთი მათთაგანი? რატომ და-  
მიხშეს მე, უბედურ ქალს. უმაღლესი ცოდნის მიღების  
წყურვილი? ოჰ, წყეულო ფეთხაინო!“.

შეხედა ნათანს. ძნელი იყო ესთერისთვის გამოერკ-  
ვია, თუ როგორ იმოქმედა მასზე ამ მოულოდნელმა შეხ-  
ვედრამ.

— არ მელოდის განა? — შეეკითხა ესთერი.

— არა.

— ხომ არ გეწყინა?

— გამაოცა მოულოდნელობამ. ჩემს სიხარტლს ხან  
ღვარი არა აქვს.

— ლექსები ისევ გაქვს?

— დღეს აღარა. შემიძლია ეხლავე წამოვიდე.

— აბა წაგიდეთ.

გამოვიდენ გარეთ.

მოწმენდილ ცაზე მოფენილი იყო ურიცხვი მოკაშ-  
აშე ვარსკვლავი. იდგა საგრძნობი ყინვა და მცხოვრებ-  
ლებს მაგრად მოეხურათ დარბები. პირველი საკითხი,  
რომელიც ორივეს წინაშე წამოიჭრა — ეს იყო: „საით?“

ახალგაზრდობას, ნათანისა და ესთერის მდგომარეო-  
ბაში ნყოფთ, ყინვა ვერ შეაშინებს, ნათანმა მოჰკიდა  
ხელი ესთერს და მათ ზევით, უხალხო ვაკისაკენ აუხვიეს.

ორივენი დაუპირებლად ჰფიქრობდნენ ერთსა და  
იმავეზე. ორივეს თვალწინ ედგათ მათი პირველი ნაცნო-  
ბობი და გასეირნება შებინდებისას, მეფე-წყლებისკენ.

ფიქრიდან გადავიდენ ტკბილ ბაასზე.

ამ წუთებში, როცა ერთად იყვნენ, ყოველი მწარე  
შოვლენაც კი — მათ მიაჩნდათ როგორც შორეული ამ-  
ბავი. უსაყვედურეს ერთმანეთს წერილების მიუღებლო-  
ბა, დაასაბუთეს როგორც შეეძლოთ. ესთერმა უანბო თა-  
ვისი ამბავი. ილაპარაკა ძველზე, ახალზე, როგორ აიძუ-  
ლეს ნიშნობის ღამის მოწყობა, რა მოხდა შემდეგ.

ძლივს მიაღწიეს უმთავრეს საკითხს:

„რა იქნება აწი?“

გამოერკვენ: ამ საკითხში იყო ჩაფლული მათი მო-  
მავალი.

ნათანი ელოდა ესთერის პასუხს. ესთერი-ნათანისას.

ნათანს ხელში ეჭირა ესთერის პატარა ხელი, ყურთ  
ესმოდა მისი გულისძგერა. მის სახესაც ოდნავ ეხებო-  
და ესთერის თმები.

ბუნების ყინვას ებრძოდა ახალგაზრდების შინაგანი ცეცხლი და უტკბესი გრძნობა.

ახალგაზრდები ერთმანეთს ჩაეკერენ.

ამით უსიტყვოდ უთხრეს ერთმანეთს: ერთგულება, სიყვარული, ფიცი.

სადღაც შორს მგელი ღმუოდა.

დაბრუნდენ. ესთერისთვის უხერხული იყო დაგვიანება.

მაინც ვერ გადასწყვეტეს ზოგიერთი საჭირო საკითხები: თითქოსი ჯერ კიდევ უხერხული იყო წვრილმანებზე ლაპარაკი.

ორივეს კარგად ესმოდათ გარდაუვალი სიძნელე: ბენიამინის მტრობა, მათი ახალგაზრდობა, მოუწყობლობა. და მაინც-ერთმანეთს ამშვიდებდენ:

— ეს არაფერია. დავიწყებთ ერთად ცხოვრებას, ვისწავლით, ვამსახურებთ, გაეიჭივრებთ, მაგრამ ხომ მაინც ერთად ვიქნებით.

ნათანი ჰგონებდა როგორ იტანჯებოდა ესთერი საკუთარი მშობლის ოჯახში, მაგრამ ნათანმა მაინც არ იცოდა ყოველივე. ესთერს ჯერ კიდევ ეძნელებოდა თავისი მამისათვის ნიღაბის ახდა, მისი ნამდვილი სახის გამოჩენა.

ესთერმაც იცოდა, რომ დაიწყო დიდი ბრძოლა. ამ ბრძოლაში მასთან ნათანიც იყო. თუმცა ორივენი ერთად ერთოდენ ყოველის შემძლე ბენიამინის წინაშე, მაგრამ მათ ესმოდათ, რომ ახალგაზრდურ თავხედობაში უთუოდ იყო რაღაც დიდი ძალა. და ამიტომაც ვასაგები იყო ხშირ-ხშირი განუორება:

— ვიბრძოლოთ.

— აი ჩემი ხელი.

— აი ჩემიც.

მოეწონათ ვაკე: აირჩიეს შესახვედრ ადგილად-დათქვეს რიცხვი, საათი. ურჩიეს ერთმანეთს სიფრთხილე, ტაქტი.

— შენთან სიცოცხლე, შენთან სიკვდილი  
ფიცეს და გამოსაღმებისას ერთხელ კიდევ გადაებეგნ  
ერთმანეთს.

ნათანმა მიაცილა ესთერა ტრამვაის გასაჩერებელ  
ადგილამდე.

ორივეს თვალწინ მიუბრუნდა შიშითა და იმედით.  
აღსაფსე, გაურკვეველი მომავალი.

ტრამვაის ვაგონიც მოახლოვდა.

კიდევ ერთხელ გადახედეს ერთმანეთს, გაუღიმეს  
და გამოესალმენ.

და იდგა ნათანი გაყინულ ქვაფენილზე და უმზერ-  
და მიმავალ ვაგონს, ვიდრე იგი არ შეეფარა შის თვალ-  
თახედვას.

### 3

პუშკინისა და მუხრანის ქუჩის კუთხეში — მეორე სართული ეკავა აზიურ საჩაიეს, რომელიც დღეღამის განმავლობაში სავსე იყო ერთნაირი, სტანდარტული ტიპის ხალხით. მათი ჩაცმულობის უმთავრესი დამახასიათებელი იყო: სერთუკის მსგავსი შავი, ლილეზიანი არხალუხი და ჩასუჭებულ ღიპზე — ვერცხლის ქამარი. გარეგნულად: გრძელი უღვაშები და გაწითლებული, ხაშხაშა ლოყები. ყოველ მაგიდას უსხდა ორი თუ სამი კაცი. მაგიდაზე წინ ედოთ დიდი, თეთრი ჩაის ჭურჭელი, რომლიდანაც უხვად იბნეოდა ოთახში ადუღებული წყლის ორთქლი. ჩაისთან დასაყოლებლად — მიღებული იყო თეთრი პურის ლავაში. ჭიქები ივსებოდა ხშირად, ლავაში იგრიხებოდა ჩვეულებრივად, ხმამაღალი ლაპარაკი გრძელდებოდა საათობით და ანგვარად ჩაი — ხანდახან სადილის როლსაც ასრულებდა.

ნათანისა და ცების შესვლა — საჩაიეს მუდმივ კლიენტების თვალსაზრისით ერთგვარი დისონანსი იყო. ახალგაზრდები უხერხულობას პგრძნობდნენ. გაუბედავი ნაბიჯებით მიემართებოდნენ თავისუფალი მაგიდასაკენ და აქეთ-იქით დაბნევით იცქირებოდნენ — ვიდრე არ გაჩნდა მათ მაგიდაზეც თეთრი ჩაის ჭურჭელი და ლავაშები.

ისინი საჩაიეს ესტუმრენ შემთხვევით. ასევე შემთხვევით ესტუმრებოდნენ ხოლმე საღმე კუთხეში ან მივიწყებულ ვანაპირა მდებარე ადგილას — რომელიმე იაფფასიან რესტორანს, რომ როგორმე მომკირნეობა გაეცარებინათ თავიანთ მცირე საარსებო ბიუჯეტში.

დალიეს რამოდენიმე ჭიქა და ბუნებრივად ჩემ  
შესცვალა სადრლი.

ნიზანი მიღწეული იყო: არც მშობრდათ და არც  
დი ფული დაეხარჯათ.

საერთო ატმოსფერა მათაც გადაედოთ. წამოდგომა  
დაეზარათ. თან იყო კიდევ ერთი მიზეზი: აქ იყო ორთქ-  
ლი, სითბო, გარედ კი — თოვლი, სიცივე.

ცები ამჩნევდა, რომ ნათანი ლაპარაკობდა უხალი-  
სოდ, ნაწყვეტებით, ცალკე სიტყვებით. გადასწყვეტა:  
როგორმე მისი განწყობილების შეცვლა.

და ცებიმ დაიწყო — ავგუსტინათი.

— იცი ნათან, რა რიგ მოსწონხარ ავგუსტინას?

— მართლა? — იკითხა ნათანმა მეტად გულგრი-  
ლად.

ერთხანს მისმა გულგრილობამ ცები დაამუნჯა.  
გაოცებით უცქერდა მეგობარს თვალებში, თითქოს ეკი-  
თხებოდა: „რას ეშმაკობ, ნათან?“

პაუზა აუტანელი იყო და ცებიმ ისევ განაგრძო:

— უყვარდე ვილაკას — ეს არის მთელი ბედნიერე-  
ბა. ავგუსტინას უყვარხარ, მაშასადამე შენ ბედნიერი  
ხარ.

— გაცვეთილი სილოგიზმია, ჩემო ცები.

— მაინც რისთვის?

— ოსიპსაც უყვარს ავგუსტინა. ნაშ ავგუსტინაც  
ბედნიერია?

— მერე შენ ოსიპის მეტოქეობის გეშინია? — გა-  
ლიხარხარა ცებიმ.

ნათანი ოდნავ შეიკმუნხა, მაგრამ მაინც დინჯათ  
უპასუხა:

— შე არაფისაც არ ვეტოქები. ავგუსტინა მე არ  
მაინტერესებს.

— ძნელი დასაჯერებელია, ნათან.

— როგორც ვსურდეს, ჩემო ცები. მე არ დაგდევ  
ყოველ კაბას. მე ახალგაზრდა ვარ, მაგრამ შე უკვე მაქვს  
საინტერესო რომანი.

გაოცებულმა ცებიმ პირი დაალო.

— მერე რისთვის გაჩუმებულხარ ამდენ ხანს?

— იყო სხვა და სხვა მიზეზები.

— მაინც?

— მე ვუზიარებ ჩემს მეგობრებს მხოლოდ სასიამოვნო ამბებს. უსიამოვნო მოვლენებს კი საკუთარ გულში ვიკლავ.

— იმას არ უყვარხარ?

— აქ უფრო რთული ამბავია, მოდი ცეზი, ამაზე სხვა დროს.

ცეზიმ იცოდა ნათანის ხასიათი და არცაა გაჩუმება.

შემდეგში მათი ლაპარაკი წარიმართა — საერთო ამხანაგური ჯგუფის ირგვლივ.

— ჯგუფი არ მაკმაყოფილებს — ამბობდა ნათანი.

— არც მე.

— უნდა გადახალისდეს.

— უნდა.

— აი მაგალითად, ვიმსჯელოთ სათითაოდ — ყოველ მათგანზე.

— დაიწყოთ ზებულონიდან.

— ზებულონი უთუოდ დასაფასებელი ამხანაგია. მასში ბევრი კარგია და დადებითი, მაგრამ მასთან მუშაობა ყოველად შეუძლებელია. მას ვერ დააჯერებ, ვერ დაარწმუნებ. გამოეკიდება წერიმალს და დაივიწყებს უმთავრესს. წაგეჩხუბება ერთი წერტილისათვის, სამაგიეროდ გაანადგურებს მთელ წიგნს.

— აბიშაი?

— აბიშაი — მეტისმეტად კონსერვატორია და ვარდა ამისა საშინელი მლიქვნელია. იგი არაა დაბადებული ბრძოლებისათვის.

— როგორი სწორია შენი დიაგნოზი, ნათან. განაგრძე. რას იტყვი სიმონზე? თუმცა უკვე ვიცი.

— სიმონმა არ იცის რა უნდა და ვის ებრძვის. უბრინციპოა.


— ოსიპი?

— დამანებე თავი ოსიპით. ჩვენ ხომ სერიოზულად ვმსჯელობთ.

— სერიოზულად ვმსჯელობთ, მაგრამ ოსიპიც ხომ ჩვენს წრეშია?

— ოსიპი ვადაულოცით ავგუსტინას. შემდეგ იონა...

— ჰო, რას იტყვი იონას შესახებ?

— „იციო რას გეტყვით“ — გააჯავრა ნათანმა იონას ჩვეულ ფრაზას და თვითონვე უბასუხა:  ფერს.

შეგობრებმა გაიცინეს.

— ვილა დარჩა? არიელი — მოაგონდა ცების.

— არარაობა. ასე, კოელეთ<sup>1</sup>ივით ახასიათებს ივა სხვებს და თავის თავსაც. ჩემი აზრით საკუთარი თავის შეფასებაში იგი არ ცდება.

— მოდი და ჩემო ნათან, ამის შემდეგ იფიქრე ვადახალისებაზე! ესეც შენი ჯგუფი. ამოიწურა. ვილა უნდა ვადაახალისო?

— მართალია ცები, ძალიან სამწუხარო ფაქტია, მაგრამ ასეთია დასკვნა.

— გამოსავალი?

— გამოსავალი... მე უკვე დაფიქრე და აღარ ვიცი რა ვიფიქრო.

— იარაღს ხომ არ ჰყრი, ნათან?

— არა, ეს მე არ მჩვევია.

— მაშ?

— ვიფიქროთ. ვეძიოთ. ვეცადოთ.

როცა გარედ გამოვიდენ, ცებში გაიფიქრა, რომ მისი შეგობრის უკანასკნელი წინადადება უფრო სულიერ დაკემულობას განმოჰხატავდა, ვიდრე იმედის რაიმე ნასახს. ცები ეძებდა ნათანის პირადი და საერთო მიზეზების ერთმანეთთან დაკავშირებას — რამაც მისი აზრით გამოსცვალა მისი შეგობარი, მაგრამ ამოდ: ცებში არ იცოდა პირადის დეტალები.

ნათანი მიდიოდა დაღვრენილი, სერიოზული, მიუყარებელი.

და უცბად: წასკდა სიცილი.


გვიან მიხვდა ცები მიზეზს:

სომხის ბაზარზე მიდიოდენ ერთად — ხელიხელ გაყრილნი — ოსიპი და ავგუსტინა.

<sup>1</sup> კოელეთ—ეკლესიასტი.



● ● ●



ძველი ტფილისი დღითი დღე იცვლის სახეობას ამ წელიწადებში სომხის ბაზარი მეტად მკაფიოა ქუჩა იყო. შაიდნისავენ ტრამვაი არ იყო და იმ ადგილას, სადაც დღეს გაშენებულია ბაღი გადიოდა კედევ ერთი უფრო ვიწრო ქუჩა იერუსალიმის ქუჩის სახელწოდებით.

ქუჩა იყო სავსე დუქნებით, ვაჭრებით, წერილი მოვაჭრეებით, მაცლერებით, სხვა და სხვა ჯურის გადაწყვიდელებით და ათასგვარი საექვო პირებით.

ქუჩის ცენტრი იყო—მის მახლობლად, პატარა ეზოში მოთავსებული ე. წ. „გორგლიშვილების ქარვასლა“, რომელშიაც იყო დადგმული მანუფაქტურით მოვაჭრეთა ბუდეები. ამ ეზოს უწოდებდენ „შავ ბირვასაც“ და ეს იყო მართლაც შავი ბირვა შთელი თავის ატრიბუტებით: ვალიუტით, ტყუილით, არშინის ტრიალით, ყვირილით, ექსპლოატაციით.

თაროები სავსე იყო მანუფაქტურით. შავრამ აქ სწარმოებდა არა მარტო მანუფაქტურის, არამედ ყოველნაირი სახის ვაჭრობა.

ყვზრა შათაშვილი ზომავდა და ჰკეცავდა, ისტუმრებდა მუშტრებს და ახლებს ეძახდა. და ყოველ მყიდველისათვის მზად ჰქონდა ერთნაირი მარაგი სიტყვებისა და მტკიცებისა, რომელიც ყოველთვის იწყებოდა დაახლოვებით ერთი და იგივე ასეთი ფრაზით:

— იცი, ბიძია, ეს რა საქონელია?

და მისთვის დამახასიათებელი მსჯელობით, ათასნაირი წინააღმდეგობათა შემცველი დებულებებით იგი „უმტკიცებდა“ თავის მუშტარს, რომ მისი საქონელი პირველხარისხოვან ფაბრიკებში იქსოვებოდა. ძალიან ხშირი იყო ისეთი შემთხვევა, რომ შემთხვევით გამვლელი, რომელსაც აზრადაც კი არ ჰქონია რამეს ყიდვა, ყურს უგდებდა ყვზრა შათაშვილს, ვიდრე არ მობეზრ-

დებოდა ეს დაუსრულებელი აბდაუბდა და რალაცას  
„გაუსალებდა“.

ყეზრა შათაშვილი ჩვეულებრივად არ ჰლაღატობდა  
თავის თავს, აგრძელებდა თავის საქმეს და ცალკე-  
ლით უმზერდა მის ახლო, უსაქმოდ მდგომ დანიელ თაფ-  
ლიაშვილს. ყეზრა ზომავდა, ჰკეცავდა, სკრიბდა, მაგრამ  
მოხუცთან გამოლაპარაკების სურვილი მაინც არ ასე-  
ვებდა. თავში უღიტიწებდა ცნობის მოყვარეობის ნერვი  
და უნდოდა შეეტყო, თუ რა ხასიათზე იყო მოხუცი.

— საქონელი არ გიხდა, ძია დანიელ?

— ნისიად?

— ჯერ ჩემი სიამარის ღალი გადიხადე განა?

— როგორც ისაა შენი სიამარი, ისე მე რამე მმარ-  
თებს მისი.

— სუდი გაარჩევს მაგას.

— სუდმა უკვე გაარჩია.

— ჯერ ვერხოვნის არ დაუნტკიცებია.

— ვერხოვნისმაც დაამტკიცა და პროკურორმაც.

— ასე გამოდის, კასაცია შენ მოუგე ჩემს სიამარს.

— გამოდის კი არა და... სასამართლოს დადგენილე-  
ბა ჯიბეში მაქვს.

— ჩემი სიამარი სასამართლოზე მალლა წაეცა.

— გზა მშვიდობისა. საცა უნდა წაეიდეს. მადლობა  
ღმერთს, ისრაელის შვილებშიაც გამოჩნდენ ახალგაზრ-  
დები, რომლებმაც კანონი იციან. საბჭოთა ხელისუფ-  
ლება ჩემს მხარეზე ყოფილა. აწი, აღარ მეშინია.

— ასე გასწავლა მათხოვარმა?

— შენი საცოლე იმ მათხოვარს მიჰყვება — თავის  
მხრით არც დანიელმა დააკლო და დაუკვირდა ყეზრას,  
რომელმაც გადაჰყლაპა ამ ფრაზის სიმწვავე.

— ზოგიც ჩემს სიამარს ჰკითხონ.

დანიელმა ველარ მოითმინა და გაიციინა:

— შე კაი კაცო, იმას თუ გაჰყვა, სადაური შენი სი-  
ამარი იქნება?

ყეზრამ მოიყრუა, თითქოს არაფერი გაუგონია და  
პასუხის ნაცვლად თვით შეეკითხა:

— ეხლა რას აპირობ?

— მალე დალამდება და სალოცავად წავალ.

— შე საქმეზე გეკითხები. ეს ხომ გაკოტრდა, რა დიტი დაგეკმტა, საქონელს აღარაფერს მოგცემს, რი თითონ კვდება შიმშილით. იტყვი: აკადომ-ბარუბ-უ? ის არაფერს გაიმეტებს შენთვის. შე უბედურო, ჩემს სამამრს რო ჩხუბი დაუწყე, რაზე არ იფიქრე, რომ იმის მოჩხუბარი ულუკმაპუროდ დარჩება? რას იზამ აწი? აბა შითხარი!

დანიელმა როგორღაც ყუზრასთვის მოულოდნელო უცნაურებით უპასუხა:

— საბჭოთა ხელისუფლება უპატრონებს ღარიბ ასრაელს.

ყუზრამ თვალები გამოაცეცა:

— ეს სულ იმ გადარჯულებული ათანელიშვილის ოინებია. თუმცა მართალია სალოცავად მიდიხარ, ნაერამ ვინც საბჭოთა ხელისუფლებაზე ამყარებს იმედს — ის სულ ერთია მაინც გადარჯულებულად ითვლება. თუმცა მართალია, ღმერთს ვალის არ გადაამხდელი არ უყვარს...

მობეზრდა დანიელასაც. ხელები ჩაიწყო უკან ქამარში და ნელი ნაბიჯით და მკრთალი იმედით გამოვიდა ქარვასლიდან, რომ ჩვეულებრივად წასულიყო ღმერთთან სალოცავად და სამდურავად.

ხოლო ყუზრა შათაშვილს ერთი წუთი დრო არ დაუკარგავს, შეამჩნია ქარვასლაში შემოსული ქალეა და თავისებური ბოხი ხმით, ეესტიკულიაციით და ხელების კომენტარით მიიპატიჟა თავისკენ:

— პაეალუსტა. პაეალუსტა. იცით, ბიძია, ეს რა საქონელია?

და ერთხელ კიდევ განმეორდა ყუზრას გაზეპირებული ქადაგი.

საქონლის ჩათვალიერების შემდეგ ქალი შეეკითხა ვაჟს:

— მოგწონს ეს ფერი, ოსიბ?

<sup>1</sup> აკადომ-ბარუბ-უ — სიტყვა სიტყვით: „წაბნდა იყოს კერ-თხელი“. იგულისხმება ღმერთი.

— შენ თუ მოგწონს, მეც მომწონს. ასე არა, ავგუსტინა?

ყეზრას დასახელებული ფასი ძვირი მოეჩვენათ და ის იყო უკან დაბრუნებას აპირობდენ, რომ ყეზრას ერთ-მა საკითხმა სულ სხვა გვარად შეაბრუნა მათი შემდგომი ლაპარაკი და ურთიერთი დამოკიდებულება, რამაც გამოიწვია ყეზრას მხრით საოცარი დათმობა.

— მოიცა ჯანი, რას მირბიხარ? რაღაც მეცნობები, თუმცა არ მინახიხარ, სადაური ხარ?

— ქუთაისელი ვარ. მომავალი ინჟინერი ოსიპ ოსიპის-ძე ხანანაშვილი, ეხლა კი სტუდენტი. ეს კიდევ ჩემი საცოლვა — ავგუსტინა როზენფელდი. აშქენაზია.

— ბიჭო, ისრაელი ყოფილხარ!

— გიყვარდეს... აბა, რა გეგონა შენ, წვერი რომ გავიპარსე, ამიტომ ქრისტიანი გავხდი?

— კაი დაგეშართოს. გავიცნოთ ერთმანეთი, მე სტუდენტი არ ვარ, მაგრამ თითქმის მეც განათლებული ვარ. მე — ცხინვალელების ლოცვის მთავარი გაბაი ვარ — ყეზრა შათაშვილი.

და თავის მუშტრებს მაგრად ჩამოართვა ხელი.

ყეზრას სულ დაავიწყდა თავის საქონელი, შეუდგა იმის „მტკიცებას“ თუ რამდენათ უყვარს მას სტუდენტები და განათლებული ხალხი და უცბად შეეკითხა:

— ნათან ჯანაშვილიც თქვენთან სწავლობს?

— რა საქმე მაქვს იმ გაფხეგილთან. მე კაი მშობლები მყავს და ინჟინერობას ვაპირობ. ის კოტორია და ქვეყანას მიედ-მოედება.

ოსიპმა და ავგუსტინამ ვერ გაიგეს რა მოუვიდა ყეზრა შათაშვილს, რომელსაც ამ ლაპარაკის დროს სახე გაუბრწყინდა, გამოვიდა დაზვიდან და ოსიპს გადაეხვია:

— მომწონს შენი აზრები. შენ ჩემი ძმა და მეგობარი ხარ. აწი როცა რამე დაგჭირდეს, ჩემი თავი იკითხე.

— გიყვარდეს... — შესძახა აღტაცებით ოსიპმა.

ამ ლაპარაკით მოიგო ავგუსტინამ: საქონელი გადაუჭრეს იათად, ზომიანე მეტი. გაუხვიეს ფერად ქალღმერთი და მოწიწებით მიართვეს.

ოსიპმა და ყეზრამ ერთმანეთს ჩაუწერეს თავიანთი მისამართი და თან აღუთქვეს, რომ ხშირ-ხშირად ხელებდენ ერთმანეთს.

„აწი მე ვიცი“ — გაიფიქრა გამოსალმების შემდეგ ყეზრამ.

„გოყვარდეს“ — აწყობდა გეგმებს ოსიპი.

„ხა-ხა-ხა“ — იცინოდა ავგუსტინა.



ვაკემ დაპყარვა ნათანისათვის მიმზიდველობა. ამიერიდან ეს ადგილი მისთვის გადაიქცა ტიალ მინდორად, რომელზედაც ესთერის ფეხი აღარ გაივლიდა. ამოდ ელოდა ნათანი ესთერთან მორიგ შეხვედრას: ესთერი არსად არ ჩანდა.

აწუხებდა უმთავრესად მიზეზის უცოდინარობა და ხშირად სხვადასხვა აზრები გაჰკრავდა:

„ვინ თუ ავად არის?“

„ვინ თუ სასტიკმა მშობელმა ჯალათურად ჩაჰკეტა სახლში და აღარ უშვებს მზის სინათლეზე?“

„ვინ თუ... მოსტეხეს საცოდავი ესთერის ნება და აიძულეს გაჰყვეს იმ სულელს?“

ეს ფიქრები არ ასვენებდა ნათანს და სდევდა თან სასწავლებელში, ქუჩაში, ამხანაგების წრეში, მარტობისას — თავის ოთახში.

ეხლაც, უაივნო ფანჯრიდან გადააჰყურებდა ეზოს და ჩვეულებრივად, თავჩაღებულ ფიქრობდა და ფიქრობდა განუწყვეტლივ და აწუხებდა მარტობა, უესთერობა.

მის ოთახში პატარა გოგო შემოვიდა. იცნო:

„ეს ხომ რუთიკოა — დანიელ თაფლიაშვილის ქალიშვილი, რომელსაც უპირობენ გათხოვებას? და მერე რა იცის ამ პატარა გოგომ ცხოვრების?“

ერთ წუთს მისი სხვა მიმართულებით წასული აზრი შესცვალა გაოცებად, როცა რუთმა დიდის სიფრთხილით ამოიღო მკერდიდან ოთხად დაკეცილი ბარათი და თან დაუმატა:

— ესთერმა გამომატანა. პასუხი ჯერ არ არის საჭი-  
როო.

გაილიმა და გავიდა.

ნათანი სახტად დარჩა. გულკეთილ ბაგშეს მადლობას  
ბაყ კი ვერ გადუხადა. ცოტა ხანს იდგა გაურკვეველ  
პოზაში, შემდეგ თითქოს რაღაც მოავიწყდა, კარები ჩაი-  
კეტა. მიუახლოვდა საწერ მაგიდას და დაჯდომის მაგიერ  
სკამზე ფეხდაყრდნობილმა რამოდენიმეჯერ გადიკითხა  
ერთი და იგივე ტექსტი:

„ნათან, ჩემო კარგო! ნუ მისაყვედურებ, რომ  
ველარ ვნახე. ვანა არ გწერდი ერთ დროს, რომ ჩვენ  
არ ვეკუთვნიით ჩვენს თავს? ასეა. მე არ მიშვებენ  
გარედ. ამიკრძალებს. ვზივარ სახლში და ვტირი.  
ჯერჯერობით მხოლოდ ცრემლებია—ჩემი იარაღი.  
დედაჩემი სამზარეულოშია და ეხლა ვსარგებლობ  
შემთხვევით, რომ ეს პატარა ბარათი დავწერო. თუ  
გამოიარა მეზობლის გოგომ, რუთიკო თაფლია-  
შილმა (მის მამასაც ხომ მამაჩემი აწამებს და რაღა  
განსხვავებაა ჩვენს შორის? დები ვართ გაჭივრება-  
ში) გამოვატან ამას. იმან მგონია იცის შენი ბენა.  
თუ არა და... ან დაეხვე და ან... ეპ, სულ ერთია.  
სიცოცხლე გამიმწარდა. რა ვქნა ნათან? მიშველე  
ძვირფასო. მთლად დაგიკარგე. აზრი აღარ მყოფნის.  
ხოლო თუ მაინც ყეზრა შათაშვილს გამაყოლეს,  
ვიდრე იგი ხელს მკლავში გამიკეთებდეს ქეთუბის  
წასაკითხად—უშალ მტკივარში გადაეყარდები. ვფი-  
ცავ შენს თავს, ჩემო შეუღარებელო ნათან. ვტირი  
და გოცნი. იყავი კარგად. შენი უბედური ესთერი“.

გვერდზე წერილი ასოებით იყო მინაწერი:

„მამაჩემი გეძახის „მათხოვარს“ და წამდა-  
უწუმ იმეორებს: „მათხოვარს არ გავატან ჩემს ქალ-  
სო“. ო, რომ იცოდე, როგორ გული მტკივა შენს  
მაგივრად. ესთერ“.

რამდენჯერაც არ უნდა წაეკითხა, სულ ერთი იყო.  
ტექსტის სიმწვავემ არკინა გული და როგორც ყოველ-  
თვის ისე ეხლაც დაეშვა თავის ფიკრულ ტანტზე. რომ-

ლის ქრატუნთან ერთად მიეცა უწესრიგოდ ვაბნ სხვადასხვა ფიქრებს.

აოცებდა ნათანს: როგორ იტევდა მისი თავის პატარა რა ქალა ამდენ გრძნობებს; განცლებს, დაუწყობლობას, ფიქრებს.

„ესთერი ჩაპკეტეს, პირუტყვივით დაამწყვდიეს და ნათანს ჩამოააცილეს. როგორი უსამართლობაა. მერე სად წავიდეს, ვის შესჩივლოს?“

უველაზე მწვავედ კი მას მოხვდა ერთი სიტყვა: „მათხოვარი“.

გადახედა თავის ოთახს და მოულოდნელად წარმოიდგინა ბენიამინ ბერიძის საღარბაზო ოთახი. გაავლო პარალელი და თავისი თავი ბუზად წარმოიდგინა.

„შართალია ბენიამინ ბერიძე. ვანა „მათხოვარს“ ქალს მისცემს? თი, ნათან, შენ არ გიმათხოვრებია არასოდეს. მაგრამ ვანა ბენიამინ ბერიძისათვის მათხოვარი და ღარიბი სინონიმები არ არიან? ღარიბი კი ხარ, ნათან! საცოდავი მამაშენი! იგი სოფელში წევს ქარებით დაავადებული. მას პატრონი არაფერ არ ჰყავს. ერთად-ერთი შვილი შენა ხარ შენი გულკეთილი და იშვიათი მშობლებისა, შენ არ შეგიძლია მათ მიაწოდო არც ერთი კაპეიკი. ხშირად თვითონაც მშვიერი ხარ და გაკვეთილების შრომით შენაძენი კაპეიკები-განაწილებული გაქვს ზუსტად, მტკიცედ, რომ ელემენტარულად იარსებო. მაშ როგორღა უნდა დაეხმარო მშობლებს? შენ კიდევ ასეთ პირობებში ბედავ იფიქრო ესთერთან ვავშირზე. რის იმედით?“

ხშირად ეკითხებოდა ნათანი თავის თავს. თავისთვის. ჩუმად.

— და პირველად, ქალაქში ჩამოსვლის შემდეგ-გაპკრა სინანულმა:

„რისთვის ჩამოვედი, რა მომარბენიებდა ქალაქში? რა იყო მიზანი: უმაღლესი სასწავლებელი? და ვანა მიშველა უმაღლესმა სასწავლებელმა, როცა ბენიამინ ბერიძემ სასამართლოში აცილება მომცა?“

„ამხანაგები? სად არიან ისინი? ვილა შემარჩა? ჯერ-

ჯერობით ცემა. ვაი თუ ისიც ჩამოშლილდეს. ირაკლი? განა გაიგებს ჩემს დიდ ტრალედიას?"

„ბრძოლა? ჩამოვედი ბრძოლის დასაწყებად. მაგრამ რამდენს უნდა ვებრძოლო, რამდენს უნდა ვეომო თვითონ უბრალო ჯარის კაცი ვარ, ხოლო არ არის არც ჯარი და არც სარდალი“.

„ესთერი? განა გამართლდა ჩემი იმედები? განა აქ უფრო უარესად არ გამწვავდა საკითხი? ესთერის მამამ სახლიდან გამომაგდო. ესთერი დაამწყვდია და მე მათხოვრად მომნათლა“.

„მათხოვარი ხარ ნათან, მათხოვარი“.

და ნერვიულად წამოხტა ტახტიდან, რამოდენიმეჯერ გაიარ-გამოიარა ოთახში და თავის თავს ნიშნმოგებით ხმამაღლა უთხრა:

— მათხოვარი ხარ ნათან, მათხოვარი!

და წასვდა ისტერიკა:

— ხა, ხა, ხა! ხა, ხა, ხა! ხა, ხა, ხა!

და სიცილი შესცვალა ტირილმა. მოზღვავებულმა ცრემლებმა გადმოხეთქეს მისი თვალებიდან. ისევ მიუახლოვდა თავის ტახტს. ჩაიღო თავი და აჭვითინდა.

ვინ იცის რამდენ ხანს ვაგრძელებოდა ნათანის ასეთი განწყობილება, რომ ამ დროს თმაზე არ ეგრძნო ქალის ნაზი ხელის შეხება, რომელიც ალერსიანად ეუბნებოდა:

— მე არ ვიციოდი თუ ასე ძლიერ გიყვარდი. მართალია დავიგვიანე, კარგა ხანია არ ეყოფილვარ შენთან, მაგრამ არც ერთი წუთით არ დამეჩიწყებიხარ. ნულარ სტირი, ნათან, მხედავ, მოვედი! ასწიე თავი!

ნათანმა უხალისოდ ასწია თავისი დამძიმებული თავი და წააწყდა ავგუსტინას თავხედურად მოციწარე ღიმილს.

● ● ●

სხინვალებების კანტორაში ყებრას და მენაშეს აენოოთ სანთლები, ჩაეკეტათ შიგნიდან კარები და ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ საიდუმლო ჩურჩულით.



კარებს იქით ცოცხით ხელში, მოუსვენრად დაფრეს-  
ფუსებდა ძია დათო და თავის ადგილს ვერ პოულობდა.  
წაძდაუწუმ მიიღებდა კარების ხერხლთან, რომ დაენათ-  
ხა და გაერჩია მოლაპარაკეთა სახის გამომეტყველება,  
ან შემთხვევით დაეჭირა მათ მიერ თქმული რომელიმე  
სიტყვა: არ ასვენებდა ეკვი: „ვაი თუ ჩემს ჯამაგირზე  
ლაპარაკობენ“.

ხოლო მოლაპარაკეთ ამეამად ოდნავადაც არ აინ-  
ტერესებდათ ძია დათო და მისი ჯამაგირი. ისინი ლაპა-  
რაკობდნენ ჩუმად, დაფიქრებით, დიდი პაუზებით. საჭი-  
რო იყო რაღაც აზრი. არაფერი გამოდიოდა და უცბად  
მენაშემ მიიღო გამარჯვებული სახე:

— იცი, ყეზრა, მოეფიქრე.

— რა?

— ცხინვალელები ვართ ხომ ჩვენ?

— ვართ.

— გაბაეები ვართ ხომ ჩვენ?

— ვართ.

— ე. ი. წარმომადგენლები ვართ ხომ ჩვენ?

— ვართ.

— წარმომადგენელი შეიძლება იყოს ხალხის დელე-  
გატი. ხომ?

— მერე?

— მერე და მერე. საკითხი გარკვეულია. ნათან  
ჯანაშვილიც ცხინვალელია. ყოველ შემთხვევაში მისი  
მამა ნამდვილი ცხინვალელია. ჩვენ, ე. ი. მე და შენ  
შეგვიძლია მივიდეთ მასთან, როგორც ცხინვალელების  
ჯამაათის დელეგაცია და უთხრათ მას, რომ მან ხელი  
იიღოს ესთერზე, ვინაიდან ესთერი არის ისრაელის სარ-  
წმუნოებით შენი დანიშნული და მას, როგორც ცხინვა-  
ლელს უფლება არა აქვს—ცხინვალელების უფროსი გა-  
ბაისთვის შეურაცხყოფის მიყენებისა.

ყეზრამ ალტაცეზით თავი მოიფხანა და უთხრა:

— მომწონს, თორის მზემ, კარგი აზრია. თუმცა ცო-  
ტა საეჭვოა, მაგრამ არა უშავს. ესთერი მთლად არაა  
ჩემი დანიშნული, ვინაიდან იმ მათხოვარმა ჩაგვიშალა  
ნიშნობა. მაგრამ რადგანაც იმ ღამეს ხალხი მაინც მო-

წვეული იყო, ასე ითვლება თითქოს ნიშნობა უკვე ყოფილიყო. რაც შეეხება თვითონ ნათან ჯაიამვილს, თუმცა მართალია ის არ დაბადებულა ცხინვალში და ამიტომ ის ცხინვალელი არ არის, მაგრამ რადგანაც შვილი მამის გვარზე იწერება, ამიტომ ის შთამომავლობით ცხინვალელია და ვალდებულია დაემორჩილოს ჩვენს ობშჩესტვას. ეხლა რაც შეეხება...

— მოიცა ყეზრა, ამდენი ლაპარაკი საჭირო არაა. თუ მოგწონს ჩემი აზრი, მაშინ წავიდეთ.

— როდის?

— თუნდაც ეხლავე. რალა გადასადებია.

— კი. კი. წავიდეთ, რალა გადასადებია. თუმცა მოცდა სჯობია... მაგრამ არა, წავიდეთ.

წამოდგენ. მენაშემ კარები გააღო.

წინ აეტუხათ ძია დათო:

— რა გადაწყვიტეთ?

— რა შენი საქმეა?— გაჯავრდა ყეზრა.

— აბა ვისი საქმეა, ეს ლოცვა ჩემიცაა და თქვენიც. თქვენ მარტო ლაპარაკობთ და ფულებს აგროვებთ. მე კი ჩემი ოფლით ვშრომობ. აი ცოცხი, უყურებთ? თქვენ ხომ არ იკადრებთ ამის დაჭერას?

— რა გინდა ძია დათო?— შეკითხა მენაშე.

— შენმა მზემ არ იცი, ვაი რა ბიჭი ხარ. გამისწორეთ ანგარიში, ჩემი ძველი თვეების ჯამაგირი მინდა.

— ხო ხედავ, რო არ გაძლევთ. დაგვანებე თავი, მოგვეცილოდი— შეუტია მენაშემ.

— უმალ ძია დათო თქვენ დაგანებებინებთ თავს ამ ქვეყნისათვის.

— რას გაუჩერდი მენაშე ამ ბებერს? თუმცა უნდა გაუჩერდე, მაგრამ ვინაიდან გვეჩქარება, წავიდეთ.

ყეზრა და მენაშე ჩავიდენ კიბეზე.

მათ თვალი გააყოლა ძია დათომ. რომელსაც ნაპერწკლებივით აენთო თვალები და დაებადა სურვილი, რომ აივანთან მოგროვილი ნაგავი გადაეგავა მათ თავზე. მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა, მიაფურთხა თავის გაბაეებს და თავისთვის, მუშტის მოჭნევით, დაემუქრა:

— დამაცათ, ჩამივარდებით ხელში. ძია დათო  
ყურებიანებთ თქვენ სეირს.



● ● ●

როგორი უცნაურობით იყო აღსავეს ნათანის გარ-  
შემო სამყაროს რკალი! მაინც და მაინც ვილაცას სურდა  
მოეტეხა ძისი ნება და დაემორჩილებინა თავისათვის.

რა აცინებდა ასე თავხედურად ავგუსტინას?

იჯდნენ ერთმანეთის პირდაპირ და დამოკიდებულე-  
ბა ურთიერთისადმი ძალიან დაამსგავსეს კატა-თაგვის  
თამაშს. კატა—ავგუსტინა იყო, ხოლო საცოდავი თაგ-  
ვი — ნათანი.

რამდენჯერ გაურბოდა ნათანი ავგუსტინას თვალებს,  
ვნებიან ტუჩებს, იძდენად ავგუსტინაში უფრო დი-  
დი ძალით აღიძვრებოდა სურვილი ნათანის ნების მოტყე-  
ვისა, ნათანი კი ამჩნევდა, რომ ესთერთან საქმის მოუ-  
გვარებლობის ფონზე—მისი დამოკიდებულება ავგუსტი-  
ნასადმი აღარ იყო ჩვეულებრივ გულგრილი, ნეიტრა-  
ლური. უკვე იზადებოდა ახალი საწინააღმდეგო გრძნო-  
ბა: სიძულვილი.

და როდესაც ავგუსტინამ ერთხელ კიდევ გაუმეორა  
შეასეუდ გაცვეთილი საკითხი:

— ნუ თუ ნათანი, არავითარი გრძნობა. არ გაქვს  
ჩემსადმი?

მაშინ ნათანმა გადასწყვიტა და ოდნავ უხეშად მი-  
ახალა:

— მაქვს.

— ძლივს! — წამოიძახა ალტაცებით ავგუსტინამ  
და ისევ შეეკითხა:—

— როგორი?

— მძულხარ.—თითქმის შეჰყვირა ნათანმა.

ავგუსტინა ოდნავ შეიკმუხნა, თვალი თვალში გაუ-  
ყარა და იდგა ერთხანს ჩაფიქრებული. მაგრამ — მალე  
მოაგონდა, რომ ამით ვასცემდა თავის განწყობილებას.  
რის გამოც თავს ძალა დაატანა და ჩვეულებრივად გა-  
დიკისკისა:

— ხა, ხა, ხა!

ხოლო ნათანის ნერვებზე ცუდად მოქმედებდა კისკისი და თავის თავს ეკითხებოდა: „რა აცინებს ამ ქალს? ვის დასცინის? მე თუ თავის თავს? თუ რაღაც ერთად?“

და რომ ბოლო მოელო ამ კისკისისათვის მიუახლოვდა ავგუსტინას და სერიოზული, ღრმად მჭრელი დანახავეთ გამოკვეთილი კილოთი — მიმართა შემდეგი სიტყვებით:

— ავგუსტინა! თქვენ ამიერიდან უნდა შესწყვიტოთ ჩემთან სიარული.

— ნათან! არ გრცხვენია?

— არა!

— რისთვის მაგდებ სახლიდან?

— მე არ ვაგდებთ, მხოლოდ ასეთ დამოკიდებულებას უნდა მოელოს ბოლო. მე არავეითარი სურვილი არა მაქვს ვეტოქო ოსიპს.

— ხა, ხა, ხა! აი თურმე რა უოფილა! ოსიპის გშინებია, გიყი ოსიპისა ხა, ხა, ხა!

— შესწყვიტეთ სიცილი. ნერვებს მიშლის. მე არავეისიც არ მეშინია.

— მაშ?

— მაშ... მე სხვა ქალი მიყვარს. —

და ნათანი გააოცა ავგუსტინას სახალმა „გამოსვლამ“. იგი ყველაფერს მოელოდა ავგუსტინას მხრით, მაგრამ თუ მასზე ასე ძლიერ იმოქმედებდა ნათანის უკანასკნელი განცხადება, ამას კი აღარ იფიქრებდა.

ავგუსტინამ დაპყარგა ჩვეულებრივი ფერი, გამოუღია მოთმინიბიდან. ეცა ნათანს, წააფლო ხელი ტანსაცმელზე, მაგრად გაანჯღრია და დაუყვირა:

— განანებ...

ნათანი იდგა სასაფლაოს ძეგლივით გარჩნდებულად და არ ესმოდა რა ხდებოდა მის გარშემო, როსთვის სჭიროდა ავგუსტინას ასეთი მეთოდები.

უფრო მეტი: ავგუსტინას მოულოდნელად გული წაუფიდა, გაიმხლართა იატაკზე და ნათანი კვლევ უფრო დაიბნა.

კარის გაღება არ უნდოდა. „ვთუ თუ ქეზობუბმა  
გაიგონ ეს ამბავი“.

ასე თუ ისე, რაღაც უნდა გაეკეთებინა. ქვეყნის  
ძველ ქურჭელს, რომელშიაც იყო წყალი და თევზი  
გადაასხა.

„ოღონდ კი თვალები გაახილოს. არ შეეშინებოდეს  
და რაიმე საცოდაობა არ დამედოს“.

ავგუსტინამ ოდნავ გაახილა თვალი და დააწყებინა  
გულის ხშირი ცემა.

— როგორა ხარ, ავგუსტინა? — ეკითხებოდა ალექ-  
სიანად ნათანი და თან წყალს აწვდიდა დასალეველ.

ავგუსტინა ისევ თვალებს ჰხუჭავდა და მძიმედ  
ოხრავდა.

— როგორა ხარ, ავგუსტინა? ამოიღე ხმა, მეტი  
აღარ შემიძლია — მეტად შეწუხებული ეკითხებოდა ნა-  
თანი.

ხოლო ავგუსტინა, ნელა, თითოთ უჩვენებდა მკერ-  
დზე, რაც ნათანის კომენტარით ნიშნავდა იმას, რომ  
ავგუსტინას გული სტკიოდა.

ნათანს თითქოს ოდნავ შეეცოდა ავგუსტინა, მოკ-  
და თავზე ხელი და სურდა, რომ ავგუსტინას დახმარე-  
ბოდა წამოყენებაში.

მაგრამ ავგუსტინა არ ჩქარობდა, ისევ ბორჯავდა,  
ოხრავდა და მძიმედ ქშინავდა.

და როცა ერთხელ კიდევ სცადა ნათანმა მისი წამო-  
ყენება, ავგუსტინამ ნელა ხელი ჰკრა და თავი ვადასწა  
მეორე მხარეს.

ნათანი ვერ ისვენებდა:

— რა შოგდის ავგუსტინა?

ავგუსტინამ თვალები მიაშტერა:

— მომიახლოვდი.

ნათანი, თითქოს ჰიპნოზის ქვეშ, ასრულებდა ავგუს-  
ტინას სურვილს.

— მაკოცე.

და ნათანი დაიხარა.

სწორედ ამ დროს, ნათანის კარების ახლოს, ადამიანები სწყვეტდნენ თავების პრობლემას: „ვინ შეაბას კატას ექვანი?“

— ეს ხომ მოვედით, ყეზრა?

— მოვედით.

— დააკაკუნე.

— შენ დააკაკუნე.

— სულ ერთი არაა?

— სულ ერთი თუა, მენაშე, მე რაღას მეუბნები?

მენაშემ ოდნავ დააკაკუნა.

პასუხი არ იყო.

— მგონია სახლში არ არის — ამბობდა მენაშე.

— როგორ არ არის, რაღაც ხმაურობა ისმის. თუმცა ვინ იცის, რა ხმაურობაა. ხმაურობაც არის და ხმაურობაც. მოდი მენაშე, რაც იქნეს იქნეს, შეაღე კარები.

— შენ მთავარი გაბაი ხარ და შენ უნდა შეაღო.

— მთავარი კი ვარ, მაგრამ ვაი თუ ლამაზი არ გამოვიდეს, მე რო პირველად შეჭიდე. შეაღე კარები მენაშე, სირცხვილია. ვისმე ეგონება, რო გვეშინია.

— ეგონება კი არა და... ასეა.

— რაა ასე კაცო?

— რაა და გეშინია.

— ვის ეშინია? მე? ეხლავე გიჩვენებ. აი შევაღებ. თუმცა არა, მოცდა ჯობია.

მენაშემ გაიცინა.

— თუ ღმერთი გწამს, ნუ იციანი, არ გაიგონოს და არ იფიქროს, რომ დამცინიანო. მერე გაბრაზდება. თუმცა მე იმის ბრაზის არ მეშინია, მაგრამ მაინც...

კიდევ ცოტა ხანს ივაჭრეს, რის შემდეგაც ისევ მენაშეს დასჭირდა კარის შეღება.

ეს ის წუთი იყო, როცა ნათანი დაიხარა ავგუსტინასაკენ, რომელმაც მოხვია ნათანს მაგრად მკლავები და მთელი ვნებით ჩაიკრა.

ოთახში მყოფთ არ უგრძნიათ მოულოდნელი სტუმრების შემოსვლა.

მენაშემ უხერხულობა იგრძნო, ხოლო ტაცებით ჩაახველა.

ავგუსტინა და ნათანი წამოხტენ.

ყუზრამ იცნო გაწითლებული ავგუსტინა:

— ზდრასტი, პაეალუსტა, გიცანი. გეტყობა რა შეილიცა ხარ.

და შემდეგ მიუბრუნდა გოცებულ ნათანს:

— მეტი არაფერი მინდა. აწი მე ვიცი... მე თუ არა, ის მაინც გადაგიხდის, ის მაინც ამოიყრის ჩემს ჯავრს წავიდეთ, მენაშე.

და თითქმის სიბრძლით, თან დიდი სიხარულით გამოფარდა გარედ.

მენაშე უკან გაჰყვა.

ავგუსტინამ სასწრაფოდ გაისწორა თმა და ტანსაცმელი, სახეზე წაიციხო პუდრა და ტუჩები შეიღება, რის შემდეგ სიტყვის უთქმელად გამოვიდა ოთახიდან.

ნათანი იდგა მისთვის ჩვეულ პოზაში.

მოულოდნელად გააფურთხა.

და შეეკითხა თავის თავს, თუ ვინ აფურთხებდა: თავის თავს, ყუზრას თუ ავგუსტინას?

ვერ გადასწყვიტა და ფანჯარა გამოაღო.

ძთვარე იმალებოდა ღრუბლებში.



ღვინო, მწვანელი, მწვადები.

ყველაფერი იყო და უმთავრესი: ოსიპი არ შეწუ-  
რებულა.

არვის უკრავს მისთვის თავი სამზარეულოში. იჯდა  
და პირიქით სხვის ჯიბეზე თვითონ იძლეოდა გან-  
კარგულებებს.

ლაქიას მოჰქონდა და ოსიპიც აღტაცებით დაჰკრავ-  
და მხარზე ხელს ყეზრას:

— გიყვარდეს...

ყეზრა გვიან მიხვდა, რას ნიშნავდა ოსიპის თქმა  
„გიყვარდეს“. შემდეგში მას აღარ აოცებდა ეს სიტყვა.  
შეეჩვია ისევე, როგორც მის თავმოტვლებილ ავტორს.  
რომელიც ამ წუთებში იჯდა მის პირდაპირ და უჩვეუ-  
ლო ენერგიით ანადგურებდა ყველაფერს, რაც კი მაგი-  
დაზე გაჩნდებოდა.

ოდნაეადაც არა ჰფიქრობდა ოსიპი, რომ ყეზრას  
მიერ მის დაპატივებას ჰქონდა რაიმე საქმიანი საფუ-  
ძველი.

ყეზრა ჰფიქრობდა საიდან დაეწყო.

ოსიპი მოუთმენლად ელოდა შორიგ კერძს.

სასადილო ახლოს იყო თათრების მოედანთან, საი-  
დანაც დროგამოშვებით მოდიოდა ადამიანებისა და სხვა-  
დასხვა სახის ტრანსპორტის მოძრაობის არეული ხმები.

სასადილო ეკუთვნოდა ახალციხელ ებრაელს, რო-  
მელსაც ჰქონდა დიდი შავი თვალები. გრძელი უღვაშები,  
თავზე ეხურა თათრული ფესის მზგავსი შავი ქუდი,



წელზე შემორტყმული ჰქონდა თეთრი საფარი, რის  
მოც ძნელი გასარჩევი იყო ჩვეულებრივი ლაქისაგან.  
ფანჯარას ჰქონდა ებრაული წარწერა — სამი თანხმ  
ვანი ასო — რომელიც წაკითხვისა თუ სხვა ენაზე გადამს  
ტანის დროს გამოდის ხუთი:

— ქაშერ.

ეს სამი სპეციფიური ასო მორწმუნე ებრაელს უხს-  
ნის გზას რესტორანში.

ყეზრა შათაშვილი იშვიათი სტუმარი იყო ამ რეს-  
ტორანის, მაგრამ ოჯახური პირობების გამო არჩია  
ოსიპს პირვილად აქ გამოლაპარაკებოდა.

რესტორანი ქაშერი იყო, ბევრი ხალხი არ ეტანე-  
ბოდა და თან მისი გამგე ყეზრას საუკეთესო ძმა-კაცი  
იყო.

ამჟამათაც თითქმის არავეინ იყო რესტორანში ერთი  
ახალგაზდა კაცის გარდა, რომელსაც ეტყობოდა, რომ  
სულ სხვა რაიონის კაცი იყო და პატარა ჩემოდნით ხელ-  
ში. ალბათ აბანოს შემდეგ, შემოვიდა, დაჯდა მესამე თუ  
მეოთხე მაგიდაზე მათგან მოშორებით და მოითხოვა  
სადილი.

ყეზრას და ოსიპის ყურადღებას სულ არ იქცევდა  
უცხო კაცი, თუმცა „უცხო კაცისათვის“ საინტერესო  
განდა მოეგონებინა, თუ სად უნახავს კაცი, რომელსაც  
ერქვა ყეზრა შათაშვილი.

მაგიდა კუთხეში, საესე საჭმელებით და იშვიათი კა-  
ხურით, სამზარეულოდან სუქანი სუნი და მათი—ორ-  
თავეს განმარტოება ჰქმნიდა ორნაირი მადის სიძლიერეს.

იყო ორი დაქიმული მადა: ჭამისა და ლაპარაკისა.

ყეზრას უნდოდა დაუსრულებელი ლაპარაკი, ოსიპს  
— დაოსრულებილი ჭამა.

ყეზრა ტვინს აჯახირებდა, ოსიპი—კუქს.

ყეზრა გაოცებით შესცქეროდა ოსიპს და აწუხებდა  
თუ რა გააძღებდა ოსიპს.

— „რა მოუვიდა ამ ოჯახ დასაქცევს. ვაი თუ რაც  
მენშვევიკები წაიღენ მას შემდეგ არაფერი უჭამია“ —  
ფიქრობდა შიშნარევი სიძუნწით.

ოსიპმა კი როცა შეატყო, რომ მაგიდა იცლებოდა, მიუბრუნდა გამგეს და დაუძახა:

— ეი, ლაქიავ! მოიტა რამე ცხელი, გემრიელი, გიყვარღე—ე-ეს...

რესტორანის პატრონმა დიდ მნიშვნელოვანად გადახედა ოსიპს, მიუახლოვდა, კბილები ოდნავ გაატკაცუნა და დინჯად უთხრა:

— საქმელს მოვატანიებ. მხოლოდ ამას მოგახსენებ, ჩემ ფართუეს აშიბკაში მოუყვანიხარ. მე ლაქია კი არა ვარ და... მე თითონ ამ სასაღილოს ზავედღეში ვარ. ყეზ-რამ ხომ იცის. აუხსენი ჯანი...

ყეზრამ მიიღო არბიტრის პოზა:

— სულ ქეშმარიტია. ნამდვილად ზავედღეშია. ვადასტურებ. მაგრამ შენც არ გეწყინოს ოსიპ ოსიპიჩისაგან.

წამოდგა და ჩუმად ყურში უთხრა:

— წადი, მოიტა კარგი საქმელები. დიდი. დიდი კაცია. მთლად დიდი კი არა, მაგრამ ხომ იცი, ისეთი რო—საისრაელოს გამოადგება.

კონფლიქტი ამით დასრულდა, რის შემდეგ ყეზრამ გადასწყვიტა ენერგიული იერიშის მიტანა, რომ ფართო გასაქანი მისცემოდა მის სიტყვა-პასუხს.

აავსო მიქები. რის შემდეგაც დაიწყო:

— ოსიპ ოსიპიჩ. მე ეხლა სიტყვა უნდა ვთქვა და ნუ ღამძრახავ. მე მიყვარს შეგნება და განათლება. დამერწმუნე. მაგრამ ვინც კარგად ჩაუყვირდება ჩვენ თორას, ჩემსავეით იტყვის, რომ თორა—განათლებული რამეა. რა გვიწერია თორაში: „ქაბედ ეთ აბიხა ვეეთ იმეხა“. ესე იგი ჩვენებურად რომ ვთქვათ, ქართულად, დაათასე შენი მამა და შენი დედაო. ამას რომ კიდევ ქართული ანდაზა დაუმატოთ—გამოვა: „მამა ნახე, დედა ნახე, შვილი ისე გამოჩახეო“. უკაცრავად მშობლები ხო ცოცხალი გყავთ?

— შენ რას ლაპარაკობ. გაიგე რამე თუ?

— მეც კი ვიცი, რომ ცოცხლები არიან. ღმერთმა ასოც წლამდე აცოცხლოს. მხოლოდ ისე შეგეკითხე. სიტყვის ძალად. მოდი და, ოსიპ ოსიპიჩ, ეს ღმერთმა გაუ-

მარჯოს, კი ნუ გაუმარჯოს, პირდაპირ დაუღბინებს, არ უფროს ბატონს, რომლებიც რომა არიან შენი მშობლები, ანუ რომლების შევილიც იზრდება ისრაელის ხალხისათვის საამაყო და სასიქადულო შევილი. სულში და გულშიც ესეამ. არა. უნდა მოგახსენო, რომ საერთოდ შედგინოს არა ესეამ, მაგრამ ეს სადღეგრძელო ჩემთვის არის წმინდა მოვალეობა, ესე იგი, როგორი მოვალეობა.

— ჰო, გავიგე. დალიე, გიყვარდე ე—ე—ს...

და ოსიპმა გადაჰკრა.

ყურას ხელში ეჭირა შეუსმელი ქიქა—დაუშთაერე. ბელი სიტყვით და არ იცოდა რა ექნა. ცოტახნის ყოყმანის შემდეგ გადაჰკრა ხმის ამოუღებლად.

ოსიპი შეუდგა მორიგი კერძის ლიკვიდაციას.

ყურამ აავსო ქიქები და ერთგვარი დაზღვევის მიზნით განაცხადა:

— აწი კი ყური უნდა მივდო, რომ იცოდე, როგორა კაცის სადღეგრძელო უნდა ითქვას. თუმცა არ იცი, მართალია არ იცი, ერთი სიტყვით რაღა თავი შეკაწყინო, მალე გაიგებ. დიდი პატივისაცემი და საყვარელი აღამიანია.

ოსიპმა ყურები ატქვიტა. ყურა განაგრძობდა:

— თორაში სწერია: არის კაცი, რომელიც ყოლამ—ჰაბას<sup>1</sup> მთელ თავის სიცოცხლეში ვერ შეიძენსო, ხოლო არის კაცი, რომელიც ერთ საათში შეიძენსო. მე ეს თქმულება ძალიან მომწონს. თუმცა სიმართლე რომ ეთქვათ პირველი ნახევარი მთლად არ მომწონს. მაგრამ ბოლო კი ძაანაა. არის კაცი, რომელმაც ყოლამი შეიძინა ერთ საათში. რითი ეხლა არ იკითხავ? სიმართლით, პატიოსნებით, ერთი სიტყვით, ისევე სიმართლით და პატიოსნებით. მე რომ პირველად გავიცანი ქარეასლაში — იქვე გადავწყვიტე, რომ შენისთანა აღამიანები ამ ქვეყანაზე არ არიან. თუმცა არიან, მაგრამ სხვადასხვანაირი, შენ კიდევ სხვანაირი ხარ. ეს ღმერთმა შენ გავიმარჯოს. ოსიპ ოსიპი, მოგცეს კარგი ჯანი. გიცოცხლოს

<sup>1</sup> ყოლამ — ჰაბა — მომავალი ცხოვრება, საიქიო.

დედმამის თავი და არ მოგაკლოს თავისი წყალობა, თუმცა შენ მისი წყალობა არ გაკლია.

— გაგიმარჯოს. თანახმა ვარ. გიყვარ—დე—ეს...  
გამოცალეს.

ოსიპის ინციატივით ერთმანეთს გადააპოვნენ.

ოსიპის კოცნა ყეზრასთვის დიდი სტიმული იყო, რომლის შემდეგაც მან დაუყონებლივ გაავსო ქიქები და შეუდგა მორიგ სადღეგრძელოს:

— თორაში სწერია: თუ გითხრას კაცმა დავიღალე ძებნით და ვერ ვიპოვეო—არ დაუჯერო, არ დავლლიღვარ ძებნით და ვიპოვეო—არ დაუჯერო, დავიღალე ძებნით და ვიპოვეო—დაუჯერე. ეს სწორეთ ჩემზე სწერია. მთელი ჩემი სიცოცხლე დავიღალე ძებნით, შრომით, მუშაობით და ვიპოვე ქონება. თუმცა რას ქვია—ვიპოვე, ქუჩაში კი არ მიპოვია, არამედ ჩემი ნიჭით, მარიფათით და გამჩენის შემწეობით—შემიძენია. ეს ღმერთმა გამიმარჯოს მე — ყეზრა შათაშვილს, ცხიხვალელების ობშჩესტვას უფროს გაბაის, რომელიც რომ...

— კი უსათუოდ. უნდა გაგიმარჯოს. გიყვარ—დეს... შენ იცი, როგორი კაცი ხარ, ყეზრაჯან? შენ თითონაც არ იცი. არც მე ვიცი. მარტო ღმერთმა იცის. ღმერთი მე არ მწამს, მაგრამ ხანდახან, როცა გამიჭირდება—მწამს. მაშ ასე... გიყვარ—დეს... გაუმარჯოს ყეზრა შათაშვილს.

და იმდენად მოეწონა ყეზრას ოსიპის საპასუხო სიტყვა, რომ მერე უკვე თვითონ გადაეხვია ოსიპს და რამოდენიმეჯერ ჩაპკოცნა.

ოსიპი უკვე ღვინისაგან ნელნელა თავის ტრიალს ჰგრძნობდა და ამიტომ არც გაუგია, თუ როგორ აივსო ხელახლად მისი ქიქა.

ყეზრა არ ეშვებოდა დამსახურებული თამადის როლს:

— შენი არ ვიცი, მაგრამ მე კი ძალიან ბევრი მიფიქრია: რა იქნებოდა ჩვენი ცხოვრება, რომ ქვეყანაზე ღმერთს სიმამრი არ გაეჩინა. იცი რა არის სიმამრი? იცი — მაგრამ მაინც უნდა ვსთქვა. სიმამრი, რომ არ იყოს—ქალის შერთვა აღარ მოხდებოდა. რა ჯობია კაი სიმამრს,

პატიოსანს, სახელ განთქმულს, ქონების პატრონს  
მოდი და... ოსიპ ოსიპიჩ, რაც იყოს იყოს. ეს გაუმარ-  
ჯოს ჩემს სიმამრს—ახალციხელების უფროს ვაჟაის ბე-  
ნიამინ ბერიძეს.

— გამიგია. დიდი კაცია. დავლიოთ. ესეც გიყვარ-  
დე — ეს...

ყვარამ მიმოიხედა აქეთ—იქით:

რესტორანის პატრონს ჩასძინებოდა დახლზე, ხოლო  
უცნობი ახალგაზრდა გართული იყო გაზეთის კითხვაში.

— კიდევ ბევრი კაი რამეები მაქვს სათქმელი, ოსიპ  
ოსიპიჩ. ეს ხომ პურმარილია. აი ამ პურმარილს ფიცავ,  
რომ მე და შენ უნდა საუცხოო დრო გავატაროთ. იცო  
რა არი ხე? იცი. მაგრამ ყველა ხე ხომ ერთნაირი არაა.  
მაგალითად უბრალო ხე და ვაშლის ხე. ვაშლი—ეს ნა-  
ყოფია. რა სჯობია კაი ნაყოფს, კაი ვაშლს. რას იტყვი,  
თუ ეხლა ჩვენ მივიღებთ კაი ვაშლის სადღეგრძელოს.  
ვინ არის ეს კაი ვაშლი? ეს არის კარგი ოჯახის ნაყოფი.  
ბენიამინ ბერიძის ქალიშვილი და ჩემი დანიშნული. გაუ-  
მარჯოს ჩემს დანიშნულს და იმის საქმროსაც.

— გიყვარ—დეს... გიყვარ—დეს... გიყვარდეს... მისი  
სადღეგრძელო ერთბაშად უნდა სამი ჭიქით გამოვეცა-  
ლოთ.

— გამოვეცალოთ შენი ჭირიმე...

და ექვსი ჭიქა ღვინო შეისვა დაუყონებლივ, უყოყ-  
მანოდ.

ოსიპის განწყობილება აიწია და ყვარას უსაყვედურა:

— შე კონტრრევოლუციონერო, რატო არ დამბა-  
ტიყე ნიშნობაზე?

— ვაი რომ მაშინ არ გიცნობდი. არა, როგორ არა,  
გიცნობდი. მაგრამ გაცნობილი არ ვიყავი. რომ იცოდე  
რანაირი ნიშნობა მქონდა, რამდენი ხალხი იყო. მართა-  
ლია ცოტა კი დამამწარეს, მაგრამ მეც ჩავამწარე... მარ-  
თალია ცოტა ძველი ამბავია, მაგრამ ჩემს გულში კი  
ყოველთვის ახალია. ეჰ, ოსიპ ოსიპიჩ, რომ იცოდე რამ-  
დენი მაქვს სათქმელი, მაგრამ რომ არ ვიცი, როგორ  
დავიწყო საიდან დავიწყო. რა ბედნიერი კაცი ვიქნებო-

დი—მე და შენი მეგობრობა ცოტა ადრე რომ დაწყებულ  
ლიყო. მოდი, ოსიპ ოსიპიჩ, ეს დავლით ჩვენი ძმობისა  
და მეგობრობისა. მტერს არ გაეხაროს ჩვენზე და...

— მოიცა, მოიცა. მაწყვინებ, ეს საჭიროა. მაგონებ  
მერე, ეხლა ეს მითხარი შე კაი კაცო, შენი დანიშნულის  
სადღეგრძელო რომ დალიე, დაგაეიწყდა რომ მეცა მყავს  
დანიშნული? ხომ გაგაცანი ავგუსტინა, ვახსოვს თუ არა?

— ვახსოვს, როგორ არა.

— მერე?

— ეჰ—პასუხის ნაცვლად ამოიხორა ყეზრამ.

— რა გაოხრებს?

— ეჰ, ძმაო, რა ვითხრა, აქა მაქვს საქმე და...

— ხუ ღექავ.

— თორაში სწერია: ღმერთმა ქალს მისცა გრძელი  
თმა და მოკლე ქკუთა.

— ეგ ტყუილი დაუწერიათ.

— სულ სიმართლეა თორის შზემ.

— რაა სიმართლე? რა გამოცანებით მელაპარაკები

შე კონტრევიოლიუციონერო?

— ჩემი თვალით ვნახე ისინი.

— ვინ ისინი?—წამოვარდა ვახურებული ოსიპი.

— ავგუსტინა და... ის...

— ვინ ის?

და გაბრაზებულმა ოსიპმა დააელო ბოთლს ხელი.

სასადილოს პატრონს ისევე ეძინა, ხოლო უცნობმა  
მუშტარმა ძალაუნებურად მიაპყრო ამ სცენას ყურად-  
ღება.

ყეზრას შიშისაგან უცახცახებდა ეწა და ნაცემი ძალ-  
ლის გრძნობით. დაბლა თავდახრილი, სიბრაღულის  
თვალებით ეკითხებოდა:

— ვთქვა?

— კიდევ მეკითხები შე სულძალდო? აბა მითხარი  
ვინ იყო იმასთან?

— ვიტყვი, ვიტყვი, რა გაეწყობა. როგორ შემიძლია  
შენისთანა მეგობარ კაცს ამისთანა ამბავი არ შევატყო-  
ბინო? იმასთან იყო... ნათან ჯანაშვილი.

უცნობ ახალგაზრდას ნათანის ხსენებაზე დაეტყო  
ოდნავ შეშფოთება, მაგრამ თავი შეიკავა და ოსტატე-  
რად, მათ მიერ შეუმჩნეველად, გადმოჯდა მათ ახლოს და  
თავი ჩაპყო გაზეთში, თვითქოს ეს ამბავი მას  
ბოდა.

ხოლო გაცეცხლებულმა ოსიპმა წაავლო ხელი ყეზ-  
რას საყელოში:

— აბა მოპყევი თავიდან, რა ნახე, რას აკეთებდენ,  
არაფერი გააპარო...

— რაც დავინახე იმას ვიტყვი, რაც არა და — ხომ  
არ მოვიგონებ. ნათქვამია — შემტოდავმა ერთი ცოდო  
ჩაიდინაო და დამბრალებელმა ორიო.

— გამოცანები მეყოფა, დაიწყე, მოპყევი.

— ერთი სიტყვით ოსიპ ოსიპიჩ, რა დავიძალო, თუ-  
რმე წინედ ჩემს დანიშნულს სადღაც სოფელში შეხვე-  
დრია ეს მათხოვარი. მას უკან გადაპკიდებია და საშ-  
ველს არ აძლევს.

— შენი დანიშნული რაში მაინტერესებს? მოპყევი  
იმას, რაც საქიროა.

— ამ საქმეებს ერთმანეთთან კავშირი აქვთ: როგო-  
რი კავშირი? მე კი არაფერ შუაში ვარ, ისაა შუაში, ის  
მათხოვარი.

— რას მიედ-მოედები? შენ ხომ არ გინდა რომ  
მოგკლა?

ყეზრა ოდნავ გაფითრდა, სკამი უკან დასწია, მაგ-  
რამ პასუხი მაინც არ დააყოვნა.

— თუ ბიჭი ხარ და ვაჟკაცი, მოსაკლავი ვინც არის  
— ის უნდა მოკლა, ვინც რომ შენს პატიოსან სახელს  
ჩირქი მოსცხო, ვინც...

განრისხებულ ოსიპის თვალებიდან უკვე იცქირებო-  
და შურისძიებით აღსავსე მხეცი, რომელიც მზად იყო  
ნათანის მაგიერ ყეზრა გაეგლიჯა.

— იტყვი თუ არა შე მამად...

— ვიტყვი, ვიტყვი, სსს... ხო ხედავ, ვიღაც კაცია.  
და ყეზრამ მიუახლოვა თავი ოსიპს და ჩურჩულით  
ოთხრა:

— მე და გაბაი მენაშე მივედით იმ მათხოვართან, როგორც დღეგაცია ჩემი დანიშნულის შესახებ. ვაგვალეთ კარები. არ მახსოვს, რომელმა ადრე შევალეთ.

— ეგ სულ ერთია...

— ჰო, სულ ერთია, და რა ვნახეთ. ვაი თვალებს, უი ყურებს... ისრაელის მტერს ეს ამბავი. გული მეტკინა, დამერწმუნე პარტიოსნებას, ნეტავი არ გცხოვრებდნენ მაინც. ნეტავი ის დღე არ გათენებულყო. თუმცა ის დღე კი გათენდებოდა, მაგრამ ის ამბავი არ მომხდარიყო. ოპ! ოპ! ოპ!

— ოი შენ და სიკვდილი. რა ნახე, სთქვი.

და ოსიპმა თავისი სქელ ფრჩხილებიანი თითები წაუჭირა ყელში.

ყეზრამ შიშით და ხროტინით წაიღულღულა:

— იმ მათხოვარს წაექცია შენი დანიშნული მიწაზე, იჯდა ზედ, ეხვეოდა, ჰკოცნიდა, ჰკბენდა, ღმერთმა იცი კიდევ რას სჩადიოდა.

ოსიპი მძიმედ დაეშვა, ხოლო ყეზრამ თავისუფლად ამოისუნთქა, თითქოს რაღაც დიდი ლოდი მოსწყდა მისი გულიდან.

ხმაური, ღვინო, სადღეგრძელოები სადღაც ვაპქრა და ადგილი დაუთმო საექვო სიჩუმეს, რომელშიც ისახებოდა მუქარა და უძლეურება.

ყეზრა და ოსიპი ერთმანეთს ზომავდნენ თვალებით.

ყეზრამ შეამჩნია, რომ ბოროტი გადაწყვეტილების ცეცხლმა გაიელვა ოსიპის სახეზე.

— გადაწყდა: უნდა მოვკლა.

— ძნელი ვასაბედია—წააქეზა ყეზრამ.

— ვისთვის? ჩემთვის? აბა შენ არ გცოდნია ვინ არის ოსიპ ოსიპიჩ ხანანაშვილი.

— რითი მოკლაე?

— სახლში სამართებელი მაქვს. წავიღებ და ყელში გამოუსვამ.

— რომ გავიგონ?

— ვინ გამოგებს? ჩაეხელთებ მარტო და მაშინ ვიზამ.

— ქალს რას უზამ?



— ქალს რა უნდა უყო? ისიც კია დასახზობი, მაგრამ შეიძლება იმ ლაწირაკმა ჯანაშვილმა ძალით ჩაიჭოდო ხელში. ავეუსტინა მე ამას არ მაკადრებდა ამას გამოვიკვლევ.

— მეცა მგონია, რომ ქალი არაფერ შუაშია. ხოლო შენ როცა გაუსწორდები ნათან ჯანაშვილს, მაშინ მოდი ჩემთან და მოვილაპარაკოთ. დასაგვიანებელი აღარ არის, პირდაპირ უნდა წაიკითხოთ ქეთუბა შენ და ავეუსტინამ. მე მოველაპარაკები ცხინვალელების რაბის, რომ უფასოდ გააკეთოს ეს საქმე. ესეიგი მთლათ უფასოდ კი არ წაიკითხავს, მაგრამ ფულს ჩვენ გავიღებთ. ცხინვალელების ობშჩესტვა.

ოსიპმა ოდნავ გაიღიმა და კინალამ წამოსცდა საყვარელი სიტყვა. შემდეგ წამოდგა, ყეზრას მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

— მაგაზე თანახმა ვარ. ეხლა მივდივარ პირდაპირ იმ მათხოვართან.

— ღმერთმა გავიმარჯოს, ფრთხილად. სსს...

ოსიპი გავიდა გაბედული ნაბიჯებით.

ყეზრამ ვააღვიდა რესტორანის პატრონი.

— ძია ეფრაიმ. ჩვენ გავათავეთ ქამა. ესე იგი მთლად კი არ გავეთავებია. ცოტა რამე დაეტოვეთ სუფრაზე იანგარიშე რიგიანად და ხვალ შემომიარე ქარვასლაში. სათითაოდ ჩამომიწერე რაც ესვით და ვჭამეთ ვაიგე?

— კი ბატონო, გეახლები...

ყეზრა გავიდა და კარები მაგრა გაიხურა.

მათი გასვლის შემდეგ უცნობი ახალგაზდაც საჩქაროდ წამოხტა, გადაიხადა სადილის ფული და ჩქარი ნაბიჯებით გადავიდა ქვაფენილის მეორე მხარეს.

ახალი ნაწვიმარი იყო.

მაღე დაღამდებოდა და სოფლელები ნელი და მცონარე ბიჯებით მისდევდნენ უკან ზარმაც აქლემებს.

მიჰქროდა ავტო.

და ახალგაზრდამ უნებურად გაავლო პარალელი:

„ავტო და აქლემი“.

„ნათანი და ყეზრა“.

როცა ირაკლი შევიდა ნათანთან, უკანასკნელმა მას სიხარულით უთხრა:

— რომ იცოდე როგორ მაკლია შენი ტურდღლის თვალები, რამოდენიმე დღეა არ მინახავს შენი თავი და ასე მგონია თითქოს საუკუნეებმა განვლეს.

— ვითომ დაგიჯერო?— შეეკითხა ირაკლი ცნობის-მოყვარეობით.

— განა მოგეცი საბაბი ეჭვისა?—ოდნავ ნაწუნეი კი-ლოთი პასუხის მაგიერად მიუგო ნათანმა.

— ვინ იცის. შეიძლება კი, შეიძლება არა.

— ირაკლი! დღეს ხუმრობის გუნებაზე ხარ?

— სრულიადაც არა.

— მაშ?

— იცი ნათან, ამხანაგური ურთიერთობის მოგვარე-ბა, მისი რეგლამენტაცია — მეტად ძნელი საქმე ყოფი-ლა. აი ჩვენ მაგალითად ამხანაგები ვართ, ხოლო მე დღემდე ვერ გამოვძებნე ვერც ერთი შესაფერი ფორ-მულიროვკა—თუ რა არის ნამდვილად ამხანაგობა, ისე ზოგადად—გულწრფელობაა ურთიერთისადმი. მაგრამ აქაც ყოფილა რაღაც საზღვრები, ფარგლები, დამაცი-ლებელი ჯებირები.

— არაფერი არ შესმის.

ირაკლიმ პასუხის ნაცვლად კარები ჩაჰკეტა.

ამან კიდევ უფრო გააოცა ნათანი.

— თუ რისთვის ჩავეკეტე—ამას გეტყვი. მოიკა, რა ვაჩქარებს. ჩვენ ეხლა ციხე კოშკში ვართ და აღარაფრითა-რი ხიფათი არ მოგველის, ჯერჯერობით კი მე მინდა ისევე ამხანაგობის შესახებ ვილაპარაკოთ და უპირველეს ყოველისა, გისაყვედურო, რომ შენ არა ხარ გულწრფელი.

— მე ვდგავარ შენს წინაშე, როგორც ურიელ აკო-სტა მონანიების აქტის წაკითხვის ეამს. მე ვდგავარ შენს წინაშე, როგორც მომაცვდავი სტუდენტი ჩვენი მოხუცი პროფესორის მელიტონ გობეჯიშვილის წინაშე—გამოც-დების ჩაბარების ეამს. მე ვდგავარ შენს წინაშე, რო-გორც ბრალდებული ნათან ჯანაშვილი და ველი შენგან ამხანაგო პროკურორო კონკრეტულ ბრალდებას.

— მე შენთან სერიოზული ლაპარაკი მინდა, ჩემო ნათან, შენ კი განზე მივდებ ჩემს განზრახვას.

და ირაკლიმ ოდნავი ალღელებით გაიხედა ფანჯარაში ნათანიც დაეჭვდა:

„ნეტავი რას უხდა ნიშნავდეს ირაკლის წინასიტყვაობა ამხანაგური ურთიერთობის შესახებ, კარების ჩაქვრება, ფანჯარაში ცქერა?“

და ერთხანს უცქირა ირაკლის „კურდღლის თვალებს“, რომელიც ასე ძლიერ უყვარდა.

— ჩემო ირაკლი! იქნება მითხრა, რაც გაქვს სათქმელი?

და ირაკლიმ ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ, ღინჯათ და მშვიდათ მიუგო:

— არის ორი ქალი. ერთს ჰქვია—ესთერი, მეორეს— ავგუსტინა. მე მინდა გელაპარაკო მათ შესახებ.

— რა?

— უნივერსიტეტში მოვიდა შენთან ქალი, რომელსაც ჰქვია ესთერი. ამ შეხვედრის შემდეგ—შენ უფრო გამოიცივალე და უარესად გულჩათხრობილი შეიქმენი. შენ არ გითქვამს ჩემთვის არაფერი.

— ისევე როგორც არც ერთი ჩემი ამხანაგისათვის.

— სულ ერთია, ეს საქმეს არ ცვლის. აქ საქმე ხასიათშია.

— ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისი პირადი საქმეებისა.

— მაგრამ როდესაც ეს პირადი იღებს საერთო ხასიათს?

— ეს როგორ?

— შენ ვინ ვიყვარს: ესთერი თუ ავგუსტინა?

— განა სულერთი არაა?

— რასაკვირველია, მაგრამ შეიძლება შენ ორივესთანაა გაქვს ერთსა და იმავე დროს რომანი?

— შეიძლება ასეც იყოს, შემდეგ?

ჩამოვარდა უხერხული დუმილი და ორივე მეგობარს აკვირებდათ ერთმანეთი, ნათანი შეეკითხა:

— არა სჯობია პირდაპირ მითხრა, რაშია საქმე?

— ძალიან კარგი. გეტყვი. მხოლოდ არ შედრეკე-  
მზადდება თავდასხმა შენს მოსაკლავად. თავდასხმელი  
ალბად მალე მოვა.

— ეხლა შენ დაიწყე ხუმრობა?

— სრულიადაც არა. ყური მიგდე ჩემო ნათან. შე-  
ვიყავი აბანოში. გზაზე მივრად მომშივდა და შევედი  
ებრაულ სასადილოში. იქ იჯდნენ ერთად ორი კაცი. ერთ-  
მანეთს უწოდებდნენ ყეზრას და ოსიპ ოსიპიჩს.

— ფერი ფერსა...

— ჰო და ჩემო კარგო, ყეზრა მოუყვა ოსიპს რო-  
გორ შემოვასწრო ტრფობის დროს ავგუსტინასთან, ოსი-  
პიც აენტო და წავიდა სახლში სამართებლის მოსაძებ-  
ნად, რომლითაც ვიპირობს ყელის გამოჭრას.

ნათანმა თავი ვერ შეიკავა და ძლიერი სიცილი წა-  
სკდა.

— ამისათვის ჩაჰკეტე კარები? ხა, ხა, ხა!

— რა ვაციინებს?

— ოსიპი აპირობს ჩემს მოკვლას? აი რას ნიშნავს  
ირაკლი, შენ რომ მას არ იცნობ. უნდა უსათუოდ გავა-  
ცნო. მას მკლავებში უეჭველად დიდი ძალა აქვს, მაგ-  
რამ მაინც ძალიან საინტერესო მშიშარაა. დაიწყებს გუ-  
ლადობით და დაასრულებს სასაცილო სიმხდალით.

— ვთქვით ესეც ასეა. ძალიან მოხარული ვიქნები,  
თუ ხიფათი აგცდება, ვინაიდან ჯერ კიდევ თვალწინ მი-  
დგას მისი მხეცური თვალები, რომელსაც ის ამბრიალე-  
ბდა საშინელი შრისხანებით. მაგრამ ყოველივე ამას რო-  
თავი დავანებოთ, ერთი ეს მითხარი, როდის შემდეგ გა-  
ხდი ქალთა საკითხში ასეთი ტარიელ მკლავაძე?

— შემცდარი ხარ, ჩემო მეგობარო. ამ საკითხებზე  
შენ გაქვს ბუნდოვანი წარმოდგენა და ამით აიხსნება  
ჩემი ასეთი არამართებული კვალიფიკაცია. ავგუსტინა  
შემთხვევით გადამეღობა ჩემი ცხოვრების გზაზე. შე იგი  
სრულიადაც არ მიყვარს და მასთან არაფერი მაკავში-  
რებს.

— ესთერი?

ნათანმა არ იცოდა როგორ ეპასუხა. ჩაფიქრდა. და

როცა გადასწყვიტა მეგობრისათვის გადაეშალა მთელი თავისი გული, ამ დროს კარებზე დააკაკუნეს.

ნათანი უნებურად შეკრთა და კარების გაუღებლად შეეკითხა:

— ეინ არის? — რაზედაც პასუხის მაგივრად გაისმა ოსიპის ნაცნობი ბოხი ხმა:

— ნათან ჯანაშვილო! მარტო ხარ სახლში?

— ხო გითხარი... — უთხრა ირაკლიმ.

— ნუ სწუხარ. შენ აგერ ამოეფარე ამ ფარდას და უცქირე სეირს.

— როგორ თუ სეირს უცქირო? მართლა რომ რამე ჩაიღინოს იმ სულელმა?

— მაშინ მომეშველე... ეხლა კი დაიმაღე. ამას ხედავ? ჩემი მეზობლის დაქანგული ძველი, გაცვეთილი რევოლვერი... რკინად უნდა რომ გაყიდოს.. სოფელში წავიდა და მე დამიტოვა... ეშინია არავინ მოჰპაროს... დიდი განძი ჰგონია.

კარებზე მოისმა მაგარი წიხლის კვრა:

— ალებ თუ არა კარებს შე კონტრევოლიუციონერო?

— მოიცა ოსიპ, მოედივარ — უპასუხა ნათანმა და კარების გამოღებამდე რევოლვერი უკან ხალათის ქაშარში გაიკეთა, ხოლო ირაკლის თვალით ანიშნა, რომ უკვე დამალულიყო.

ნათანმა შემოუშვა ოსიპი და თან მოერიდა ხელის ჩამორთმევას, იხევედა უკან უკან და შათ შორის მანძილი გაჩნდა.

— დაბრძანდი, ოსიპ..

— დაბრძანდი... — გამოაჯავრა ოსიპმა... — ვიცი, შეგეშინდა, მე ეხლა დასაბრძანებლად არ მცალია. შენ, ყმაწვილო, ვაებატონო, კონტრევოლიუციონერო და სხვადასხვა არა სასურველო ელემენტო, ამ წუთში მიპასუხე: რა კავშირი გაქვს ჩემს საცოლესთან?

— თვითონ ჰკითხე...

— მე შენ გეკითხები და არა იმას. გესმის? ეხვეოდი არა? ჰკოცნიდი არა? ფაქტია ხომ? მე შენ გიჩვენებ შე...

და ოსიპმა ჯიბიდან ამოიღო გალესილი სამართებელი.

ნელნელა მიიწევედა ნათანისკენ და მისი ნაბიჯები უდაოდ ადასტურებდნენ მისი პატრონის განზრახვის სერიოზულობას.

ნათანმა იძრო რევოლვერი და დაუმიზნა პირდაპირ გულში:

— ხელები ზევით, დანა მიწაზე!

ოსიპი მოულოდნელობისაგან გაფითრდა, დანა გაუფარდა და ხელები ინსტიქტიურად ზევით ასწია.

ნათანმა შეამჩნია, რომ ოსიპის თვალებში გაქრაცხილი, შურისძიების გრძნობა და სამაგიეროდ მათში უკვე იტყირებოდა საყასბოში დასაკლავად გამზადებული ცხვარი. მიუხედავად ამისა თავდაცვის ინსტიქტი აიძულებდა ნათანს რევოლვერი ისევ მომართული ჰქონოდა, ხოლო ოსიპს ამის გამო საშინლად აცახცახებდა და როცა შეატყო როგორი სერიოზულობით უმზერდნენ მას ნათანის თვალები, ველარ მოითმინა და თავი შეაბრალა:

— კაი ეხლა, ხო ხედავ გაფერდი. მე ვხუმრობდი და შენ კი ზარბაზანი დამიმოიზნე. ჩამოუშვი თუ ძმა ხარ...

— ხა-ხა-ხა!—გაისმა ირაკლის სიცილი, რომელმაც ველარ აიტანა ნაძალადევი სუნთქვა ფარდის იქით და დადგა ოსიპის პირდაპირ.

ოსიპმა იცნო რესტორანის უცხო სტუმარი და ორმაგად დაიბნა.

ირაკლიმ აიღო დანა იატაკიდან და ჯიბეში ჩაიღო:

— როგორც ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი.

სასაცილო შთაბეჭდილებას სტოვებდა ამ დროს ოსიპი, რომელიც სრულიად აღარ ნანობდა თავის განზრახვის უკუღმა შეტრიალებას, ხელები აწეული ჰქონდა ზევით და სიბრაღულით აღსავსე თვალებით, დაგდავით და ცახცახით, ეხვეწებოდა ნათანს, რომ იარაღი მოერიდებინა.

ირაკლი კი პირიქით ოსიპის ცეცხლზე ნავთს ასხამდა:

— კაცის მოკვლა და მოკვლის განზრახვა—ეს ერთი და იგივეა. ასე გვესწავლის სისხლის სამართლის კოდექსი. ათი წელიწადი—სულ ცოტა იქნება.

ოსიპმა დაიწყო ტირილი:

— მე რა შუაში ვარ, ვიყავი ჩემთვის. მოვიდა ყეზრა შათაშვილი. დიდი გაბაი ვარ, დიდი ვაჭარ ვარ, ესა და ესაო. წამიყვანა რესტორანში და გამაბრიყვა. თუ ეხლა გამიშვებთ და არაფერს მიზამთ, მაშინ მე წავალ და ყეზრა შათაშვილს ისე მოუფრეხავ კისერს, რო დაავიწყდეს თავის გაბაობა და თავის დანიშნულებას.

მეგობრებმა გადაიხარხარეს.

ნათანი მიუახლოვდა ოსიპს, რევოლვერი დაბლა დასწია, მხარზე ხელი დაადო და ოდნავ დამტუქსავე ელოთი უთხრა:

— უნდა გრცხვენოდეს, ოსიპ. უმაღლეს სასწავლებელში სწავლობ და ამისთანა მეთოდებით მოქმედობ.

— რევოლვერი კარგი მეთოდია?— შიშით შეეკითხა ოსიპი.

— ეს ისეთივე რევოლვერია, როგორი სიმართლეს შენთვის ყეზრა შათაშვილს უთქვამს. ხედავ, როგორი ძველია, უანგიანი, ვაცვეთილი, შიგ არცერთი ტყვია არ არის. ნუ თუ მართლა გგონია, რომ ნათან ჯანაშვილი შენსავით კაცს გაიმეტებს სასიკვდილოდ?

— მაშ აბა შენ ავგუსტინას არ ეარშიყები?

— არა, ჩემო ოსიპ. ყეზრა შათაშვილს შენთვის უთქვამს ჭორი, სისულელე. ნუ თუ ისე დაბრმავდი, რომ ვერ მიუხვდი თუ როგორი პირადი ინტერესებით მოქმედობს ჩემს წინააღმდეგ? ხოლო შენი თავი კი მას სურდა გამოეყენებია ბრმა იარაღად.

— მივხვდი, მივხვდი, გავიგე. გამიშვით ეხლა და მე იმას ყოფას ვუწვალებ.

— გაშვებით გაგიშვებთ. ჩვენ არ დაგაკავებთ და არც გავაზამაურებთ ამ ამბავს, ხოლო ყეზრა შათაშვილს კი თავი დაანებე. რა საჭიროა უაზროდ იჩხუბო. ის კაცი მაინც ისეთივე დარჩება, როგორიც იყო. კუზიანს სამარე გაასწორებს. გავიგონია, ოსიპ?

— ოსიპიც გაასწორებს.

ისევ გაიციინეს, ხოლო ოსიპმა, ამით უფრო გამხნე-  
ვებულმა, მიმართა ნათანს:

— ოღონდ ავგუსტინას თავი დაანებე და ოსიპი  
შემოგველოს.

— აი ჩემი ხელი ოსიპ, რომ მე ავგუსტინა სრულიად  
არ მაინტერესებს.

ოსიპმა მადლიერი გრძნობით მაგრად ჩამოართვა  
ხელი და შეეკითხა:

— წავიდე?

— რასაკვირველია.

ოსიპს თვალეზი გაუბრწყინდა და კარის გამოღება-  
მდე სიხარულით შესძახა:

— გიყვარ—ღეს...



## 5

დანიელ თავლიაშვილმა შაულ ათანელიშვილის და-  
 ხმარებით საქმე მოუგო ბენიამინ ბერიძეს და ამ დღის  
 შემდეგ იგი გახდა უმუშევრად. ბენიამინ ბერიძესთან მას  
 აღარ ჰქონდა მისასვლელი პირი, ყეზრა შათაშვილს  
 თავისი თავი ისევ სიძედ მოჰქონდა, ხოლო დანარჩენი  
 ვაჟრები ბენიამინის მორიდებით არ აძლევდენ ნისიას—  
 მოხუც ღარიბს. დანიელი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა  
 და აღარ იცოდა რა ექნა. ეს მოგება მის შემეცნებაში  
 უკვე დიდ წაგებას უღრიდა.

ჩვეულებად გადაექცა შაულთან და ნათანთან სია-  
 რული. უფრო ნათანთან, რომელთანაც ამ ბოლო დროს  
 ხშირად შაულიც შემოდიოდა.

ნათანი დამტვერილი თაროებიდან ალაგებდა იატა-  
 კზე უყდო წიგნებს.

შაული ხარბად შეჰყურებდა ყოველ წიგნს და წვი-  
 მით დასოვლებულ დანიელის შემოსვლა — ოთახში  
 მყოფთ თითქმის არც გაჰკვირვებიათ.

დანიელს უყვარდა ფანჯარასთან ჯდომა, ნაკლები  
 ლაპარაკი, სხვების ყურის გდება.

გარედ წვიმა ასხამდა კოკისპირულად და ქუჩაზე  
 ღვარი იდგა.

როცა დანიელის ახალგაზრდა მეგობრები კამათობ-  
 დენ, დანიელი მხოლოდ იმას ნატრობდა, რომ რომელი-  
 მუ მათგანს მისი პატარა რუთი შეერთო.

მაგრამ დღევანდელმა ლაპარაკმა, აზრთა სხვადა-  
 სხვაობამ, მათმა კამათმა დანიელი დააბნია და თავის  
 თავს მისცა ასეთი შეკითხვა:

„ორივენი კარგი ახალგაზრდები არიან, ორივეს კარგი გული აქვთ და ადამიანებისათვის ცუდი არ უნდათ ვის მხარეზეა სიმართლე? ვანა სიმართლეს სადაოა?“

უცქეროდა ხან ერთს, ხან მეორეს, კამათი გრძელდებოდა. მაგრამ დანიელმა მაინც ვერ გადასჭრა თავის საკითხი.

ერთი იცოდა მხოლოდ, რომ მშვიერი იყო და მისი ცოლშვილიც პურის მოლოდინში სტიროდა და ცრემლად იღვრებოდა.

— „რა უნდა ჰქნან ამ კარგმა ახალგაზრდებმა? ნეტავი თვით დანიელს ჰქონდეს და მისცეს რამე მათ“ — ჰფიქრობდა ასე და მაინც, უნებურად ყურს უგდებდა მათ დაუსრულებელ კამათს.

ნათანი კითხულობდა პათეტიურად ფრუგისა და ევდოშვილის ლექსებს, ხოლო შაულს მომარჯვებული ჰქონდა ლენინის ტექსტი, რაც მის ბაგეთაგან ისმოდა, როგორც ლოზუნგი და უდიდესი სიმართლის მოწოდება.

ხშირად „დანიელის პრობლემა“ ხდებოდა მათი გაცხარებული მსჯელობის საგნად.

როგორი შორეული თვალებით უცქერდნენ მაშინ ერთმანეთს ნათანი და შაული!

დანიელი კი იყო ამ მტრული პაუზის უსიტყვო მოწმე და მონაწილე, გულის სტკენდა, რომ იგი ხდებოდა ახალგაზრდების და „კარგი ადამიანების“ მწვავე კამათის ობიექტი და მწარედ ეკითხებოდა თავის თავს:

„რისთვის?“



ოსიპს უყვარდა მურაბა და ცალი დაჭუტული თვალით ყურადღება მთლიანად შეეწირა მისათვის. მაგრამ ხელის ხლების საბაბი არ ჰქონდა, ვინაიდან სამურაბე ჭურჭელი დახურული იყო და მაგიდაზე მის მეტი არაფერი იყო. გარდა ამისა ზებულონი იმუჭრებოდა პენსნეს ქვეშ. ხოლო დანარჩენებიც უფრო მეტს ჰფიქრობდნენ წამოჭრილ საკითხის ირგვლივ და, როგორც ჩანდა, ოსიპის გარდა მურაბა არავის ახსოვდა.

ოსიპისათვის — ის რაც ხდებოდა — ჩვეული და მოსაწყენი ამბები იყო. უჩვეულო მხოლოდ მურაბა და აძიტომაც ჯერჯერობით ესოდენ მიუწყვედომელი ვანუხორციელებელი!

მართლაც და, ოსიპის არ იყოს, იყო ნაცნობი კრება ზებულონისას და მაგიდის გარშემო — რვა ამხანაგი:

ზებულონი, სიმონი, იონა, არიელი, აბიშაი, ოსიპი, ცები, ნათანი.

თავმჯდომარე, როგორც ყოველთვის უცვლელი ზებულონი თავისი სერიოზულობით და მარად შეუსმელი ჭიქა წყლით.

სიმონი — წარბშეკრული, სერიოზული, მრისხანე. „ნეტავი ვისზე მოსდიოდა გული?“

იონა — ჩაწერილი იყო რიგში და მოუთმენლად ელოდა თავის სიტყვის დაწყებას, ყოველ შემთხვევაში პირველი ფრაზა უკვე მზად ჰქონდა: „იცით, რას გეტყვით?“...

არიელი, ჩვეულებრივად ჯერჯერობით დინჯავთ იყო, მაგრამ ალბად მალე გამოელეეოდა მოთმინება და „არარაობით“ — შეუკურთხებდა ყველას.

აბიშაი — უხმოდ, ტუჩებით ბუტბუტებდა რაღაც გაურკვეველს და ოსიპს ეგონა, რომ იგი იმეორებდა რომელიღაც უთქმელ ლოცვას.

ცები და ნათანი კი იჯდნენ მაგიდის ბოლოში და ჩვეულებრივად შეადგენდნენ თავშეკავებულ ოპოზიციას.

დღიურ წესრიგში იდგა ერთი საკითხი: ერთი დიდი საღამო-კონცერტის მოწყობა.

ინიციატორების აზრით საღამოს უნდა ჰქონოდა მრავალმხრივ საყურადღებო მნიშვნელობა: პოლიტიკურ — აღმზრდელობითი, სააგიტაციო და უმთავრესი — მატერი-ალური ბაზის შექმნა განზრახული კრებულის გამოსაცემად.

როცა დაასრულა ზებულონმა ყოველივე ამის დასაბუთება, არიელმა განაცხადა:

— მე სერიოზულად ვეპყრობი ამ საკითხს. არამც თუ ხელს შეგიშლით, პირიქით ყოველ ნაირად ზურგს გავიმაგრებთ, მაგრამ ნება მიბოძეთ გამოვთქვა ჩემი განსაკუთრებული პესიმიისტური აზრი ამ არდაბადებულ კრებულის შესახებ. დაიხსომეთ კარგად ჩემი სიტყვა: ეხლა არის ათასცხრაას ოცდა ორი წელი, უკაცრავად, უკვე კიდევ ილღევა, მაგრამ ეს საქმეს არა ცვლის. გაივლის ათი წელიწადი და იქნება ათას ცხრაას ოცდა თორმეტი წელიწადი და ჩვენი კრებული მაშინაც არ იქნება გამოცემული.

ზებულონს სახეზე ვაოცება დაეცო, პენსნე გაისწორა, ბლოკნოტში რალაც ჩაიწერა, თავისთვის მრავალმნიშვნელოვანად წარმოსთქვა „აჰა“ და არიელს მიუბრუნდა:

— ეს რისთვის ამხანაგო არიელ?

— იმისათვის, რომ თქვენ საქმის ხალხი არა ხართ. თქვენ ყველანი ხართ არარაობა...

— ენახავთ, ვინ იქნება არარაობა—უბასუხა ზებულონმა და განაგრძო:

— მე ამ საკითხს არ ვაყენებ პრინციპიალურად. იგი უკვე მიღებული და გადაჭრილია. მე ეხლა წაგიკითხავთ პროგრამას და შემდეგ ვიმსჯელოთ.

— ბუფეტი ხომ იქნება? მე და ავგუსტინა ვიმუშავებთ ერთად—წამოიძახა ოსიპმა.

გაისმა საერთო სიცილი, ხოლო ზებულონმა თავი შეიკავა და სერიოზული სახის გამოშეტყველებით მიუბრუნდა ოსიპს:

— დასტოვებ კრებას...

ოსიპმა სინანულით გადახედა მურაბას და ბოდისის მსგავსად წაილულულა:

— კაი შე კაცო... მეტს აღარ... აი გავჩუმდი, ხმა, ჩავიკმინდე.

— აჰა—წარმოსთქვა ზებულონმა და შეუდგა პროგრამის კითხვას.

პროგრამა შესდგებოდა სამი დიდი ნაწილისაგან. პროექტით უხვად იყო მრავალნაირი გასართობი: აზიურის

მუსიკა, ცეცხლის აღლუმში, ფოსტა, ფერადი სანათურები, აუქციონი.

ერთმა სახელწოდებამ გამოიწვია სიმონის მიმართება თავმჯდომარისადმი:

— გთხოვთ გაიმეოროთ...

— კაბარე. — გაიმეორა ზებულონმა.

— მე წინააღმდეგი ვარ—განაცხადა სიმონმა ავტორიტეტულად.

— თქვენ იცით რა არის კაბარე?—შეეკითხა გაბრაზებული თავმჯდომარე.

— მე არც მსურს გიპასუხოთ ამ საკითხზე. მე წინააღმდეგი ვარ. მორჩა და გათავდა.

— მეც.—განაცხადა იონამ.

— აჰა, შენც.—და ზებულონმა მაგიდაზე მუშტი დაჰკრა:—იყოს სმენა და დისციპლინა! კრებაზე აღვირახსნილობას არ დაუშვებ.

— რა აღვირახსნილობაა საკუთარი აზრის გამოთქმა—აპილობილდა აბიშაი მეც წინააღმდეგი ვარ. ჩვენი ხალხი არ არის შეჩვეული მაგნაირ ამბებს. უცბად არ შეიძლება ყველა ისეთი გასართობის ჩვენება, რაც ეწინააღმდეგება მის რელიგიურ მრწამსს. საჭიროა სიფრთხილე. საჭიროა ტაქტიკა.

— მე შენ ვიჩვენებ ტაქტიკას. შე ღმერთის ვირობავ! სიჩუმე. ნუ იქნება უწესრიგობა. მე კენჭს ვუყრა ჩემს წინადადებას. ვინ არის მომხრე კაბარესი?

ხელი ასწიეს ზებულონმა და ოსიპმა.

— ვინ არის წინააღმდეგი?


ხელი ასწიეს სიმონმა, იონამ და აბიშაიმ.

— ვინ შეიკავა თავი? არიელმა, ნათანმა და ცებიმ. მაშასადამე—რა გამოვიდა? კაბარე — უარპყავით. ეს ხო უაზრობაა. ეს ხო საქმის დალუბება. თქვენ მტრები ხართ ჩვენი საერთო საქმისა, ჩვენი ხალხისა, ჩვენი აღორძინებისა, ჩვენი...

— შეაჩერე მატარებელი! ეხლა ხომ ხართ ნამდვილი არარაობა...

— არარაობაც ხართ და უმსგავსოებაც! თქვენ ღირსი არ ხართ ატარებდეთ ებრაელ სტუდენტის სახელს.

სიმონმა მაგიდაზე მუშტი დაჰკრა:

— აღარ გაიმეორო, თორემ განანებ...  


ზებულონი აპირობდა გამეორებას, ხოლო სიმონი ემზადებოდა ფიზიკური ჩხუბისათვის. შუაში გადადგა არიელი და იონა, ხოლო აბიშაი აქნევდა ხელს და ჰყვიროდა:

— დაწყნარდით, კაცო, დაწყნარდით. ეს რა გამოვიდა. კაბარე—კებურა<sup>1</sup> გახდა.

— ჰო, შენ მართალი სთქვი, კებურა. ამაღამის შემდეგ მე თქვენი ამხანაგი არა ვარ. — განაცხადა ზებულონმა.

— აღარც მე — გვერდში ამოუდგა ოსიპი.

— არც საჭიროა თქვენი თავი. დაუსტი წერტილშიმე ოსიპის უტვინო შუბლს და ემთხვიე რბილ ნაწილზე... — გამოაჯავრა სიმონმა.

— ხმა...

— ხმა...

კიდევ ერთხელ მიიწ-მოიწიეს, მაგრამ უშედეგოდ. საერთო ენა დაიკარგა, ხოლო ოსიპი ტყუილა იშინებლევდა მკლავებს ზებულონის დასაცავად. ნათანმა და ცებიმ ამხანაგები სათითაოდ გამოიყვანეს ზებულონის ოთახიდან, სადაც დარჩენ მართო ზებულონი და ოსიპი.

გარედ გამოსვლისას იონამ განაცხადა:

— იცით, რას გეტყვი... ზებულონთან დარჩა მართო ოსიპი. რისთვის დარჩა? მურაბისათვის.



ზებულონთან კავშირის გაწყვეტა — საკმარის საბაბი იყო და ნათანმა გადასწყვიტა ინიციატივის ხელში აღება.

— ან ეხლა, ან არასოდეს — ეთანხმებოდა ცებიც.

ზებულონის ოთახის დატოვების შემდეგ, ყოველი მათგანი ჰგრძნობდა, რომ ამაღამვე საჭირო იყო რაღაცა

<sup>1</sup> კებურა—სამარე.

ახალის გაკეთება, გაფორმება, რაიმე სახით თავისი  
ლისწყრომის გამოთქმა.

ქუჩაში მიდიოდენ დაღვრემილები.

— რაც უნდა მომხდარიყო — მოხდა. წავიდეთ ამ-  
ხანაგებო ჩემთან და მოვილაპარაკოთ.

ნათანის წინადადებას შეხვდენ დიდი ხალისით, რა-  
მაც შეამცირა მანძილი ნათანის პატარა ოთახამდე. ზე-  
ბულონის დიდი ოთახის შემდეგ მეტად ვიწროდ ეჩვენე-  
ბოდათ ამხანაგებს ნათანის ოთახი, მაგრამ ამ სივიწ-  
როეში იყო მეტი სიბოო, რაღაც გაურკვეველი პერსპექ-  
ტივების იმედი და შემამჭიდროებელი ძაფები.

ლაპარაკობდა ნათანი. და საოცარი იყო. უსმენდა  
ყველა, უსმენდა სიმონიც, ვინაიდან ჯერ არასოდეს არ  
ულაპარაკნია ნათანს ასეთი თავდავიწყებით, ასე ლამა-  
ზად და ასე ძლიერად. ახალგაზღვრი ცუცხლი, უშრეტო  
ენერგია, საქმის ღრმა სიყვარული, გაურკვეველი ახალი  
გზები და რეალურად გაკეთების სურვილი—აი როგორი  
იყო მისი პროგრამა.

— სიძნელები? — ასრულებდა ნათანი — შეგვხვ-  
დება არა ერთი. ასობით, ათასობით. ყოველ ფეხის ნა-  
ბიჯის გადადგმაზე. უნდა შეეშინდეთ? არა. უნდა ვი-  
აოთ წინ. მუდამ წინ — და არასოდეს არ უნდა დავი-  
ვიწყოთ, რომ ჩვენი მიზანია — რეალურად საქმე გავა-  
კეთოთ. გვეყოფა ჩხუბი, კამათი, დაუსრულებელი ლაპა-  
რაკი. გაიხედეთ ამხანაგებო, ჩვენი ხალხი ჯერ კიდევ  
ძილს შეუპყრია, სძინავს მას ათეული საუკუნეები. ჩვენი  
ვალია გავაღვიძოთ სამკითხველოებით, სკოლებით, გაზე-  
თებით, კულტურის ათვისებით. უმთავრესი ამოცანაა—  
შეგვაეშორდეთ მტკიცედ, კორპორატიულად, რომ არ  
განშეორდეს ამიერიდან ზებულონის ამბავი, რომ გვექონ-  
დეს ერთმანეთის ნდობა, სიყვარული, პატივისცემა, რომ  
უშწიკვლოდ ვემსახუროთ საერთო მიზანს, რომ ვუჩვენ-  
ნოთ ყველა მერყევებს და სხვადასხვა ჯიშის მოაზროვ-  
ნებს, რომ სიმაართლე მხოლოდ ჩვენს მხარეზეა, რომ  
კულტურული რევოლუციის მოხდენა შეგვიძლია მხო-  
ლოდ ჩვენ, რომ არ დავყრით ფარხმალს ვიდრე ძირიან-  
ფესვიანად არ გადავაბრუნებთ ფეთხანის დამყაყებულ

უბანს და ვიდრე საქართველოს ებრაელსაც არ გავხვდით  
ღირსეულ მოქალაქედ.

გაისმა ძლიერი ტაშისცემა.

— ფიცია საქირო — დაიძახა აბიშაიმ.

— ფიცი, ფიცი! — მისცეს მას ბანი დანარჩენებმა.

პირველად დაიფიცა ნათანი:

— ვფიცავ ჩემი ხალხის მზეს, ჩემს სიყვარულს მის-  
დამი, რომ ვიქნები მარად ერთგული ჩვენი ახალი ჯგუ-  
ფისა. რომელმაც თავის დროშას დააწერა წინსვლა და  
შრომა.

ნათანი შესცვალა ცებიმ:

— თუ დავიფიწყო ერო ჩემო, გახმეს ჩემი მარჯ-  
ვენა!

აბიშაიმ დაიფიცა თავისებურად:

— ვფიცავ ღმერთს, რომელიც მიყვარს და რომლის  
წინაშე ვლოცულობ დღეში სამ ლოცვას, რომ ვიყო  
ერთგული ისრაელის ხალხისა.

— დეე გადმაქციოს ყოვლის შემძლემ არარობად  
თუ ვიღალატოთ თქვენს ახალ დაწყებულ საქმეში. —  
წარმოსთქვა არიელმა.

ფიცი მიიღეს სიმონმა და იონამაც.

შემდეგ წამოიჭრა საკითხი, რომ ჯგუფისთვის მიე-  
ცათ სახელწოდება.

გაისმა რამოდენიმე წინადადება:

— შრომა!

— წინსვლა!

— ფოლადის ჯგუფი!

— მებრძოლი ებრაელი!

— მაქაბი!<sup>1</sup>

— დავიდის ფარი!

აბიშაიმ დაასაბუთა, რომ ყველაზე უფრო შესაფე-  
რისი იქნება უკანასკნელი წინადადება, ვინაიდან ამხანა-  
გობა შესდგება ექვსი წევრისაგან, ხოლო დავიდის ფა-  
რიც წარმოადგენს ექვსკუთხედს. აბიშაის წინადადება  
ერთხმად მიღებულ იქნა.

<sup>1</sup> მაქაბი — ისტორიული „გმირი ძმების“ გვარი.



ამის შემდეგ გადაეხვიენ ამხანაგები ერთმანეთს და გადაჰკოცნეს.

— დავიდის ფარო! ხვალიდან, მუშაობა, ბრძოლა, ცეცხლი! — ამბობდა ნათანი.

— ხვალიდან მუშაობა, ბრძოლა, ცეცხლი!

— მუშაობა, ბრძოლა, ცეცხლი!

— ბრძოლა, ცეცხლი!

— ცეცხლი!

იძახოდენ სათითაოდ და იყო ენტუზიაზმი აუწყრელი და შინაგანი წვა.

მამლის ყვირლზე დაიშალენ ამხანაგები.

ცები დარჩა ნათანთან ღამის გასათევად.

დიღხანს იბაასეს მეგობრებმა, ვიდრე იმათაც არ ჩაეძინათ.

დიღხანზე ცები გააღვიძა ნათანის ყვირილმა:

— ცები!

— რა იყო ნათან?

— აი ხედავ... მარჯვენა მხარეს დგას ბენიამინ ბერიძე და მუძახის მათხოვარს... მარცხენა მხარეს დგას შაულ ათანელიშვილი და მიკიეინებს იდეოლოგიურ მათხოვრობას... არა, არა! მე მათხოვარი არა ვარ. მე ვდგევარ თქვენს შუაში და ვარ ნათან ჯანაშვილი ჩემთან ერთად არის ამხანაგი ცები და ფოლადისებური ჯგუფი დავიდის ფარი... აწი მე თქვენ გიჩვენებთ მათხოვარს...

— დაწყნარდი ნათან! ავად ხო არ ხარ? აქ არავინაა. ნათანი ჩუმად იყო.

ცები ნელა წამოდგა, სიფრთხილით მიუახლოვდა მეგობრის საწოლს, ღრმად ჩაუკვირდა ნათანის თვალზე მძინარე თვალებს და ვაუსწორა საბანი, რომელაც სანახევროდ იატაკზე ეგდო. შემდეგ მიბრუნდა თავის საწოლზე; წამოწვა მაგრამ ძილი აღარ მიეკარა და გვიანობამდე შეუბრალებლად დასდევდენ:

ნათანი, „დავიდის ფარი“, განვლილი ღამე.

ნაწილი მეოთხე



„ქველი ანგარიში“

# I

სიცივე, სიბნელე, უიმედობა.

ჭვარტილიან ბუხარში სულს დაფავს უკანასკნელი  
ღერი შეშა.

დაბას თავს დასჩხავიან ყვავები, რომლებიც გუნ-  
დებათ დასტრიალებენ მოხუცი ისხაკ ჯანაშვილის პატა-  
რა სახლს.

ღია ზის ისხაკის ლოგინთან და ცრემლებად იღვ-  
რება.

საბანის ქვეშ კი წევს ავადმყოფი ისხაკი, რომელსაც  
საკუთარი ფეხები გადაქცევია ზედმეტ ბარგად.

— ძვლები. ძვლები. ძვლები. — ჰკივის გამუდმე-  
ბით ისხაკი და უღონო ღიამ არ იცის როგორ მოიქცეს,  
როგორ უშველოს.

უკვე ორ კვირაზე მეტია ისხაკი ჩავარდა ლოგინად  
და ღია მას შემდეგ მის ავადმყოფობაში მხოლოდ გაუა-  
რესებას ამჩნევდა. არ დაუკლია ცდა: მიმართა მელა-  
მედს, ექიმბაშს, ექიმსაც, რომლებსაცაგანაც მიიღო სამი  
სხვა და სხვა „დიაგნოზი“:

— ნათანის ცოდვებისათვის...

— მტერს შეეხედავს შურის თვალით...

— რევმატიზმი...

ილოცა მელამედმა და უსურვა „რეფუა“ ათასი ეპ-  
რიანტით.

შეულოცა ექიმბაშმა და რამოდენიმეჯერ შემოატ-  
რიალა ავადმყოფის თავი.

გამოუწერა ექიმბაშამ წამლები და თან ურჩია ლოგინ-  
ში ყოფნა, თბილად შეხვევა ფეხებისა.

და გულკეთილ ლიას, რომელიც უჯდა თავითი  
ვის ავადმყოფ ქმარს, უკვირდა თუ რატომ ამდენ ხან  
არ იწყებოდა გაუმჯობესება, რატომ არ იმარჯვებოდა  
ერთი შაინც: ან ღმერთი, ან ეშმაკი, ან ნასწავლი ხალხი.

უკვირდა ლიას და ეს იცოდა კარვად ისხაკმაც.  
ლიას საკმელი იყო ხმელი პური და ცივი წყალი.  
სახლში თუ რამე იყო გასაყიდი—უკვე გაიყიდა.  
ისხაკის ორიოდე გროშებიც გაჰქრა და ლია ცხოვრობდა  
და მეზობლებიდან აღებულ სესხით.

დღითი დღე ვალი იზრდებოდა, მაგრამ ლია ჩუმად  
იყო.

ან რა საჭირო იყო ლაპარაკი: ვის დააყვედრიდა,  
ვის ეტყოდა, ვინ შეუმსუბუქებდა გაქვირებას?

ისხაკი მიუხედავად მძიმე ტკივილებისა, პგრძნობდა  
ლიას გამოუსავალ მდგომარეობას და საბან ქვეშ ვანუ-  
წყვეტლივ ოხრავდა. ხანდახან შეხედავდა თანაგრძნობის  
თვალებით თავის მეუღლეს, მაგრამ ლია ამ დროს შეგ-  
ნებით სახეს არიღებდა, რომ ისხაკს ლიას თვალეში არ  
წაეკითხა სასოწარკვეთილებამდე მისულ ადამიანის გან-  
ცდა.

მოხუცებს გულწრფელად უყვარდათ ერთმანეთი  
მთელი სიცოცხლის მანძილზე და მიტომაც იყო, რომ  
ასე გული სტკიოდათ: ერთმანეთს ვერ ეხმარებოდნენ,  
ხოლო ყოველ ახალ დღეს მოჰქონდა ისევ და ისევ ახალ  
ახალი ხარჯები.

ყველას მიჰქონდა თავისი: მელამედს, ექიმბაშს,  
ექიმს, წამალს, პურს.

დღისით ელოდნენ დაღამებას, დაღამების ჟამს—გა-  
თენებას და ასე მიჰქროდა დღეები მოხუცი ჯანაშვილი-  
ბისა.

დღისით, როდესაც ტკივილები ოდნავ შეუმსუბუქ-  
დებოდა, ნელი ხელის კვრით გადაიგდებდა საბანს და  
გაყვითლებული, სახე დამჰკნარი ისხაკ ჯანაშვილი ეუბ-  
ნებოდა ლიას:

— ძელები მტკივა ლია, ფეხის ძელები... კიდევ  
დიდხანს შემსახურენ ჩემი საცოდავი ფეხები... რო მოვი-

გონებ ქალო. პირდაპირ გაოცებას ვარ... ელოე აბრაამ,<sup>1</sup>  
რამდენი გზა გაუვლიათ ჩემს ფეხებს... ათასი... ათიათასი...  
სი... ასიათასი ვერსი... არ ვიცოდი რა იყო დაღლა და  
ეხლა კი, ეჰ, რა დროს მიმტყუნეს...

— არა უშავს ისხაკ, ღმერთი პატრონია. კარგად  
იქნები. გულს ნუ გაიტებს...

— მე კიდევ ისე გულს არ გავიტებდი, რომ შენთან  
დამნაშავე არ ვიყო... მეხილა<sup>2</sup> მომეცი ჩემო საყვარელო  
ლია. ქმარი ვალდებულია ცოლი კარგად არჩინოს და  
მე... ვაი ჩემთვის, რა უბედურებაში ჩაგაყენე!

— შენ შემოგვევლოს შენი ღია! დაწყნარდი ისხაკ-  
ნურაფრის დარდი ნუ გექნება. ღმერთის წყალობით,  
მალე, სულ მალე გამოკეთდება.

— გისმინოს ღმერთმა!

— ამენ!

და ამის შემდეგ უბედური და გულკეთილი მოხუ-  
ცები მოექცეოდნენ თავის საკუთარი ფიქრების არეში.  
და კარგად იცოდა ორივემ, თუ რაზე ფიქრობდა თი-  
თეული მათგანი. იყო ერთი სიტყვა, ერთი სახელი — უთქ-  
მელი, მაგრამ სანატრელი, მარად-საოცნებო, შორეული  
და ახლობელი ერთსადაიმავე დროს, საკუთარ თავზე  
უფრო სანატრელი, მაგრამ — მიუწევდომელი.

„ნათანი“.

„შემოვევლე ჩემს ნათანს“.

„ნეტავი ზომ არაფერი უჭირს“.

„არამც და არამც არ გაიგოს მამის ასეთი მძიმე  
მდგომარეობა“.

„სიკვდილმა არ მომიწროს, მის უნახავად“.

ჭფიჭრობდნენ მოხუცები და ამავე დროს კარგად  
გრძნობდნენ, რომ მათი ცხოვრება ღირდა უკვე დასრუ-  
ლებულიყო, რომ არ ყოფილიყო ქვეყნად — ნათანი,  
რომელიც იყო მათთვის მიზანი, შინაარსი, სიცოცხლე.

არც ერთს არ უნდოდა, რომ ნათანს მამა ამ დღე-  
ში ენახა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ორივენი თავთავის

<sup>1</sup> ელოე აბრაამ — ღმერთთა აბრაამისათა!

<sup>2</sup> მეხილა — შენდობა, პატივება.

თვის, ჩუბაღ, ნატრობდენ. რომ ამ მარტოობის და უნ-  
გეშობის ეპოს — ნათანი ყოფილიყო მათთან, მათ გვე-  
ლით.

ერთხელ, როდესაც ისხაჯ ჯანაშვილი ძალიან ცუ-  
დათ შეიქნა და თითქმის სოფლის ფერშაღმაც იმედი  
დაჰკარგა, ლიამ გადაუკრა ისხაჯს, რომ საჭირო იყო ნა-  
თანის დეპეშით გამოძახება.

ისხაჯი საცუკად განრისხდა და შეჰკვივლა:

— არა! თუნდაც მოვევდე, მაგრამ ამ დღეში ნუ  
მნახავს ჩემი მზე, ჩემი ნათანი, იმას შემოვევლე, იმის  
სანაცვლოდ მოვევდე... ლია, შემომფიცე, რომ რაც არ  
უნდა გაგიჭირდეს, ვიდრე ნათანი სწავლას არ გაათავებს,  
შენ იმას არაფერზე არ შეაწუხებ და სწავლაზე ხელს  
არ შეუშლი...

— ვფიცავარ ნათანს...

და დღეები მაინც მიჰქროდენ.

მეზობლებს შემოელიათ გასასესხებელი პური და  
ფული, მობეზრდათ „მოურჩენალი“ ისხაჯ ჯანაშვი-  
ლის რჩენა და ერთ დღეს ლიამ დააღამა ისე, რომ  
მის პირს არ მიჰკარებია არც ერთი ლუკმა.

ამ დღის შიმშილი — მაინც და მაინც დიდათ არ  
ჩაუგდია ლიას. ვინაიდან იგი ბავშობიდანვე მიჩვეული  
იყო თაყანიოს<sup>1</sup> და დღეგანდელი დღეც თაყანიოთად ჩასთ-  
ვალა, რომ აღონაის შეესმინა უბედური ლიას ვედრება და  
ისხაჯისათვის წარმოეგზავნა რეფუა შელემა<sup>2</sup>.

აწუხებდა ხვალინდელი დღე. ვის მისდგომოდა, რო-  
მელ მეზობელს? შესასვლელი კარი აღარსად ჰქონდა.

დააკვირდა ისხაჯს, რომელიც ბუტბუტობდა კირიით  
შემაყს<sup>3</sup> და საოცარი იყო: ტუჩები ბუტბუტებდენ, თვა-  
ლები კი დახუჭული ჰქონდა.

ლიას მოეჩვენა, რომ ასეთია სიკვდილ სიცოცხლის  
ნამდვილი ბრძოლა.

<sup>1</sup> თაყანიო — მარტვა.

<sup>2</sup> რეფუა შელემა — სრული განკურნება.

<sup>3</sup> კირიით შემაყ — ლოცვა დაძინების წინ.

1 და ფიქრებში წაღებულნი, უცხად, მოულოდნელად შექრთა:

ვილამაც მავრად ჩამოკრა რკინის კიშკარს. კრე-  
ქუნმა ისხაკის ყურადღებას მიიპყრო და ძილდუნდუნდუნ-  
ლებით გადახედა ლიას, თითქოს ეკითხებოდა: *შეიძლება...*

„ეიხ უნდა იყოს ლია, ამ დროს?“

ლიამ პასუხის ნაცვლად კარი გააღო და ეზოში გა-  
ვიდა:

— რომელი ბრძანდებით?

— ფოსტა ვარ, ჩაიბარეთ ორი წერილი ისხაკ ჯანა-  
შვილის სახელზე. აბა დედაშვილობას, ჩქარა.

ლიას აუტოკდა გული სიხარულითა და მოულოდ-  
ნელობით.

ხელში ორი სხვადასხვა ზომის კონვერტი ეჭირა და  
არ იცოდა რა ექნა მათთვის. დაიფიქრა მადლობის  
თქმა, შევარდა სახლში და ახარა ისხაკს:

— წერილები!

ისხაკის თვალებში გაიღვეს სიხარულის ნაპერწკ-  
ლებმა, მავრამ მხოლოდ ერთი წუთით. მოაგონდა, რომ  
მას არ ჰქონდა ღონე წერილების წაკითხვისა და თვა-  
ლები შეკითხვის მსგავსად მიაშტერა წერაკითხვის უცო-  
დინარ ლიას.

ლიამ ინსტიქტიურად კონვერტები გახია და წერი-  
ლები გამოიღო. ერთი მათგანიდან გადმოცვივდა ხუთი  
თუმანი. გაცეცხულმა და გაბედნიერებულმა ლიამ აღ-  
ტაცებით ჩაიკრა გულში შვილის წერილი.

— ისხაკ! ნათანს ფული გამოუგზავნია, ხუთი თუ-  
მანი.

— ნათანი... ჩემი ნათანი... ჩემი სიამაყე... ჩემს მეტ-  
მა ვინ იცის, ვინ არის ნათანი... როგორი გული აქვს...  
აღბად ეს მისი უკანასკნელი კაბეიკებია.

ლიას უკვე გაუელვა თავში პატარა გეგმა, თუ რო-  
გორ გადაიხდის ხეალ ვალებს და დარჩენილი ფულებით  
როგორ მომჭირნეობას გასწევს.

„ხეალ აღარ იშინშილებს: რა დროს გამოადგა საყ-  
ვარელი შვილი!“

მაგრამ ამ წუთებში ყველაზე უმთავრესი იყო წიქრ-  
ლების შინაარსი, დილამდე გული არ გაუძლებდათ და  
ორივემ, თითქმის ერთსა და იმავე დროს გაიფიქრა:  
„მელამედი“.

მიუხედავად გვიანობისა, ღია წაეიდა მის მოსაყ-  
ვანად.



კოჭლი მელამედის ოთახში საგრძნობი იყო ბურნუ-  
თისა და თამბაქოს სუნი.

ცოლი დიდი ხანია აღარ ჰყავდა და მორწმუნე ქა-  
ლები თავის მოვალეობად სთვლიდნენ მისი ოთახების  
მოვლას, მისთვის საჭმელის მომზადებას.

მელამედი ხომ სამაგიეროდ მათ ბავშვებს ასწავლი-  
და ღმერთისა და თორის სიტყვას, ისრაელის რჯულის  
ადათ წესებს!

ყალიონი იდო მომალღებულ თაბოზე და სტოვებ-  
და ისეთივე სიმძიმის შთაბეჭდილებას, როგორც მისი  
პატრონის ხასიათი.

როცა ღია ბნელი ქუჩით მიიმართებოდა მისი სახ-  
ლისაკენ, იგი ამ დროს დიდი მუყაითობით ფხვკდა გამხ-  
მარ ხბოს ტყავს და ასწორებდა უსწორ-მასწორო ადგი-  
ლებს. თან აყოლებდა რაღაც გაურკვეველ ბგერას და  
ძნელი იყო განსაზღვრა რას ნიშნავდა დაახლოებით ასე-  
თი „მელოდიური“:

ა-ა-ა-ა-ა...

ეს გავდა ტირილს, მოთქმას, სიცილს, დაცინვას,  
მოგონებას, სინანულს, მთქნარებას, ნანიანას და ვინ იცის  
კიდევ რას.

როდესაც საკმაოდ გაფხიკა, მაშინ აიღო ბატას  
ფრთისაგან გაკეთებული კალამი და ჩააწო ძველებურ  
მელანში. შემოხაზა ერთი მოზრდილი ოთხკუთხედ-  
ი, რომელიც დაჰყო ოცდახუთ დამოუკიდებელ ოთხკუთხე-  
დად, შემდეგ ჩამოჯდა მაგიდასთან, დიდი სწავლული-  
ვით შუბლით დაეყრდნო მარჯვენა ხელს და შეუდგა  
ფიქრს, რომლის შედეგაც პატარა ოთხკუთხედებში ზედ-



მიწვევითი სიზუსტით შემოხაზა სხვადასხვა ასო. საერთო ნახაზმა მიიღო შემდეგი სახე:



შ	ა	ტ	ვ	რ
ა	რ	ი	ვ	შ
ტ	ი	რ	ი	ტ
ვ	ვ	ი	რ	ა
რ	ვ	ტ	ა	შ

ასოები ებრაული იყო, ხოლო მათგან შემდგარი სიტყვების ჯამისა და განაწილების სიმბოლური მნიშვნელობა „იცოდა“ მხოლოდ მისმა ავტორმა, რომელმაც მუშაობის დასრულების შემდეგ, ნასიამოვნებმა მოიფხანა კისერი, ჩაჯდა დივანში და ოდნავ გასაგონარი ხმით თავისთავს უთხრა:

— კამიაცი<sup>1</sup> მზადაა...

ეს ის დრო იყო, როდესაც ლიამ დაუძახა გარედან:

— რაბი, რაბი!

მელამედმა ფანჯარიდან თავი გადაჰყო:

— რომელი ხარ?

— მე ვარ ისხაკის ლია. თუ შეიძლება, ისხაკმა პოგახსენათ, ცოტა ხანს ჩვენსას გადმობრძანდეთ.

— როგორ არის? კიდევ უარესად გახდა? სწორედ ესლა გავათავე კამიაცი და თან წამოვიღებ.

— წამოიღეთ, ბატონო. კიდევ სხვა საქმეც არის.

— სხვა საქმე რაღაა?

— წერილები მოვიდა ქალაქიდან.

— აბა კარგი. წადი და მალე მოვალ.

<sup>1</sup> კამიაც — ამულეტის, სათიღისმო ავეაროზის.

მელამედმა ფანჯარა მოხურა და შეუდგა ყალიონის  
გამოვსებას.

ქალაქი!

განა ეს პატარა ამბავი იყო მელამედისათვის და  
და ყალიონის გამოვსებამდე მან ბევრი რამ მოგონა  
და გაიფიქრა. უმთავრესი კი ის იყო, რომ ქალაქ  
მისთვის — ამიერიდან იყო — მთელი პრობლემა და  
დასამტკიცებლად ერთხელ კიდევ გადახედა თავის წერი-  
ლებს, რომლებსაც ის ამ ბოლო დროს იღებდა საკმაო  
რაოდენობით.

„დიდი ხანია, ახალციხელების ვაყად-პაკეილა მის  
ეპატრიეებოდა ტფილისში — ვილაც გარდაცვლილი მე-  
ლამედის თანამდებობაზე. ელოდა უკეთესი ბინა, მეტი  
ჯამაგირი, უფრო მაღლიერი და მრავალრიცხოვანი ჯა-  
მაათი.

„რამდენ კამიაყებს დაამზადებს ქალაქში! ვინ იცის  
და ვინ დასთვლის, როგორი დიდი შემოსავალი ექნება!

„აქ კი... ხალხი ყოველდღიურად კოტრდება, ღარიბ-  
დება. ბალშევიკების მთავრობა ღმერთს არ უცქერის  
კარგი თვალით და მიყრუებულ დაბაში ძნელია მთავრო-  
ბას რამე შეასმინო რჯულის სასარგებლოდ. ბავშვებს  
სწავლებაც კი საშიში შეიქნა. ჩუმჩუმად ვასწავლი ერ-  
თეულებს. იქ კი... იქ ხალხია, იქ ვაყად-პაკეილაა, იქ  
ნასწავლი ხალხიც ლოცულობს, იქ — ალბად ბალშევი-  
კებიც სხვანაირები არიან, იქ ყველაფერი შეიძლება...

„თანაც ის ურჯულო ნათანი მალე დაასრულებს  
სწავლას. ჩამოვა და სამაგიეროს გადამიხდის, შეუდგე-  
ბა ღმერთისა და რჯულის ჟღარყოფას, ხალხის ამხედრე-  
ბას, ჩემს წინააღმდეგ ზომების მიღებას.

„ქკუთ მელამედო! გეპატრიეებიან ტფილისში. მა-  
ზალი ჩავივარდა ხელში, შენც ადექი და ნულარ დაამ-  
თავებ.

„ეხლა კი წადი ისხაკ ჯანაშვილთან, წაუკითხე რა  
წერილები მიიღო. გაიგე რა ამბავია ქალაქში და მოი-  
ქმეცი ისე, როგორც ღმერთმა შეგასმინოს“.

ყალიონს მოუკიდა და გააბოლა.

შემდეგ მივიდა კუთხეში, სადაც ეკიდა თუნუქიდან

გაკეთებული პატარა საღაარო, რომელსაც ეწერა ღიდი და შავი ებრაული ასოებით:

„კუფათ რაბი მეირ ბაყალ ჰანეს“<sup>1</sup>

ფრთხილად ვადმოიღო, გახსნა ბოქლოში, ამოყარა ფულები, დაჰკეცა მწყობრად, მეტისმეტი მზრუნველობით გადათვალა და ჯამი ხმამაღლა წარმოსთქვა:

— ოთხას ოთხმოცდა ათი მანეთი.

ფულები ისევ ჩაალაგა და კუფა თავის ადგილას ჩამოაკიდა, რის შემდეგაც ერთი თუმანის საკითხი, რომელიც აკლდა ხუთას მანეთს, სავსებით მარტივად და ადვილად გადასწყვიტა:

— კამიაყი—ერთი თუმანი...

ამის შემდეგ კამიაყი გამოახვია გაზეთის ქალაღ-ში, ამოიღო იღლიაში, მიუახლოვდა მეზუზას<sup>2</sup>, დაადო მას თითები, შემდეგ აკოცა თავისივე თითებს, გამოიკეტა კარები და გაემართა დაბლისაკენ.

და მეზობლებმა, რომლებსაც კარგა ხანს ესმოდათ მისი უცნაური ღიღინი:—ა-ა-ა-ა-ა...—იცოდენ, რომ იგი ამჟამად მიდიოდა ავადმყოფი ისხაკ ჯანაშვილის ბინაზე, რომ მალახჰამავეთ<sup>3</sup>-ისათვის გამოეგლიჯა უბედური მოხუცის სული.



„ჩემო საყვარელო და ძვირფასო მშობლებო!

რომ იცოდეთ როგორ მომენატრა თქვენი თავის ნახვა. თანაც ამ ბოლო დროს დარდი მაწუხებს: ხომ კარგადა ხართ, ხომ არაეინ არის თქვენთაგანი ავად, ხომ არ გიჰირთ? ვისაც კი არ დაეინახავ ჩვენებურ კაცს, ისე მიხარია, რომ მზადა ვარ, ვინც არ უნდა იყოს იგი, გადაეკოცნო. ყველას ვეკით-

<sup>1</sup> კუფათ რაბი მეირ ბაყალ ჰანეს—სასწავლთმომქმედი რაბი მეირის საღაარო“.

<sup>2</sup> მეზუზა—თბელ თუნუქში გამოახვეული ლოცვა, მიკრული მთრწმუნე ებრაელთა კარებებზე.

<sup>3</sup> მალახჰამავეთ—სიკვდილის ანგელოზი.

ხები თქვენს ამბავს და ყველანი მიპასუხებენ: „მადლობა ღმერთს კარგად არიანო“.

ოღონდაც! მე თქვენი კარგად ყოფნა როცა მესმის, სიხარულით ვივსები და უფრო მეტი შრომითა და ენერგიით ვაგრძელებ ჩემს მეცადინეობას. გიგზავნით ხუთ თუმანს, ნუ დამძრახავთ. მოწაფეებს ვამეცადინებ და ჩემი სახარჯოდან გადამრჩა. შემდეგში—ალბად მეტს გამოგიგზავნით, ჩემთვის კი არაფერზე არ შეწუხდეთ. ბედს არ ვემდღური. ვცხოვრობ ისე, როგორც შეეფერება ღარიბ ებრაელ სტუდენტს.

ეხლა ჩემი ოცნება მხოლოდ ისაა, რომ როგორმე მოვახერხო თქვენი ქალაქში გადმოყვანა. თუმცა ძალიან მენანება ჩემი ბავშობის კერა, ძალიან მიყვარს ჩვენებური ბუნება, მაგრამ... როგორი დიდი განსხვავებაა ქალაქისა და ჩვენი დაბის შორის. აქ—სინათლეა, დიდი სინათლე, მანდ სიბნელება, წყვდიადია. აქ არის ისრაელების ერთი ქუჩა, რომელსაც ეწოდება ფეთხაინი. მხოლოდ ეს ქუჩა—მაგონებს ჩვენს დაბას, ჩვეულებრივ ისრაელებს. მაგრამ როცა გაცდები ამ ქუჩას—წახვალ თეატრებში, სწავლულ ხალხთან, უნივერსიტეტში და გრძნობ მაშინ, თუ როგორი დიდი ყოფილა მსოფლიო. ჩვენს დაბაში კი სად წახვალ? განა შეიძლება აზროვნება წარიმართოს კოქლი მელამედის იქით? რომ ვინმე მოინდომებდეს ჩემს მაგრად დასჯას—ყველაზე უფრო დიდ სასჯელად ჩავთლიდი მანდ დაბრუნებას.

აქ უკვე მყავს ამხანაგები, ნამდვილი მებრძოლნი. ფოლადის ჯგუფი „დავიდის ფარად“ წოდებული. რომელთანაც დაკავშირებულია ჩემი ბედი. ჩვენ მოწადინებული ვართ, ჩემო საყვარელო მშობლებო. აღმოვფხვრათ ყველგან სიბნელე და უმეცრება. მის ადგილას უნდა დაინთოს სწავლა განათლებისა და შეგნების დიდი ლამპარი. მაშინ ეშველება ჩვენს უბედურ ხალხს.

მალე ხანუქაა.<sup>1</sup> მე ხანუქაში ვარ დაბადებულ-  
ლი და ალბად მომიგონებთ, ჩემი ძვირფასი დედ-  
იკო—ლია, ალბად ჩვეულებრივად პატარა შვიკაფისა  
თავზე გაამწკრივებს ხანუქის სანთლებს...

ეჰ, ჩემო შეუღარებელო მშობლებო, გახსოვთ  
როგორ მიყვარდა ეს სანთლები. ყოველთვის  
ვეხვეწებოდი მამას, რომ მე მომეკიდებინა ასანთი,  
რომლის შემდეგ მოწიწებით წარმოვსთქვამდი ბე-  
რახას და დავიწყებდი:

— პანეროთ პალალუ<sup>2</sup>...

განვლო ამ დრომ, განვლო დაუბრუნებლად.  
მე ეხლა უკვე სხვა აზრები მაქვს. შვიკაფის თავზე  
დანთებული სანთლები—არამც თუ ვერ შესძლებენ  
სიბნელესთან ბრძოლას, ისინი ვერ დააფრთხობენ  
კოჭლი მელამედის ყალიონის ჩრდილსაც კი. დიახ!  
მე ისევ მიყვარს სანთლების ანთება, მაგრამ არა  
ასეთი პატარა სანთლებისა. მე მინდა დავანთო  
დიდი, დიდი, ძალიან დიდი ლამპარი, ხანძარი,  
კოცონი, რომელიც შეუბრალებლად გადასწავს  
წარსულ საუკუნეთა წყველ ნაშთებს და გამოგვი-  
ყვანს ახალ, ფართო შარა ვზაზე.

ჩემო მამიკო და დედიკო! ამ ბრძოლების დროს  
მე მინდა, რომ თქვენ ჩემს გვერდით იყოთ, რომ  
თქვენც იგრძნოთ, როგორი მართალი ვარ.

მე ეხლა თვალწინ მიდგია ჩემი ბავშობა, რო-  
ცა კოჭლმა მელამედმა თალმუდ-თორაში ჩემი  
ტვინი გადააქცია თავის სულელური აზრების სა-  
თარეშო მოედნად. ვინ იცის, ეხლაც კიდევ, პა-  
ტარ-პატარა ბავშვები, უმანკო და ნორჩი ყვაე-  
ლივით გაუფურჩქვნელი ახალი თაობა—ისევ იტან-  
ჯება კოჭლი ჯალათის ხელში. მამიკო, შენ ხომ  
პატიოსანი ისრაელი ხარ, აუხსენი მეზობლებს,  
მშობლებს, რომ ხელი აიღონ ბავშვების მიბარება-

<sup>1</sup> ხანუქა — ებრაელთა დღესასწაული.

<sup>2</sup> პანეროთ პალალუ... — ეს სანთლები ..

ზე. გონების გახსნის მაგიერ—მათი ბავშვები და  
ჩლებგდებიან, დაბეჩავდებიან.

მე ქალაქში გამეხსნა თვალები და ვეცქირება  
შორს, ძალიან შორს. მინდა ჩავწვდე ღრმად მეც-  
ნიერებისა და ცხოვრების აზრს. მე ჯერ კიდევ  
სწავლა მესაჭიროება, მე ჯერ ბევრა რამე არ ვიცი.  
ყოველდღიურად ვეცნობი ახალ ახალ აზრებს. ვინ  
იცის, რომელი გაიმარჯვებს. მაგრამ რომელმაც  
არ უნდა გაიმარჯოს, ერთი უდავოა: ძველი გზით  
სიარული აღარ გვარგებს. მორჩა. უნდა ჩავაბაროთ  
ისტორიას.

მამას თუ ისევ აწუხებს ქარები, მაშინ უსა-  
თუოდ ექიმს დაუძახეთ. რეფუჟასა და კამიაცებს და  
სხვა ამგვარ სისულელეებს თავი დაანებეთ.

მე მუდამ თვალწინ მიდგინართ და ყოველ  
წუთს ვფიქრობ თქვენზე.

თუ გინდათ, რომ კარგად ვიმუშაო და ვის-  
წავლო. მაშინ ჩემო მამიკო, შენი ხელით დაწერილი  
ორი სიტყვა გამომიგზავნე, რომ თქვენ კარგადა  
ხართ, რასაც ვისურვებთ მარად ვამს და ამასთან  
ერთად გაკოცებთ ათასჯერ და დაუსრულებლად.

თქვენი მარად მოყვარული და ერთად ერთი  
შვილი ნათანი“.



„მის მალალ პატიოსნებას, ცნობილ ისრაელს,  
სახელგანთქმულს, ცხინვალელი ჯამაათის სიამაყეს,  
აღალმართალს და ქეშმარიტს, ლეთის მოშიშეს,  
პატივცემულ ისხაკ ჯანაშვილს ასოც წლამდე სი-  
ცოცხლე და სიმდიდრე, ბედნიერება და ყოველი  
კეთილი. ამენ.“

დროებამ და ფარნასის<sup>1</sup> ძებნამ, თქვენი თავი  
ჩამოგვაშორა ცხინვალელების ობშჩეტვას. რომე-  
ლიცა რომა დღითი დღე ძლიერდება ტფილისში.

ცხინვალელების სასახელოდ უნდა ითქვას.

<sup>1</sup> ფარნასა—საზრდო, სარჩო, ლუკმაპური.

რომ არასოდეს არ დაეიწყებინართ და ყოველთვის გიხსენებენ სიამტკბილობითა და ნეტარებით.

უხლა ძია ისხაკ, ნუ გაგიკვირდებათ, როცა წაიკითხავთ ამ ჩვენს წერილს. ბაყაევონოთენუ ჰარაბიმ<sup>1</sup> დროება გამოიცვალა და ჩვენი ქვეყანა თანდათან ემსგავსება სედომ-ყამორას.<sup>2</sup> ჩვენი შვილები მიდიან უცხო გზით და ყოველივე სისაძაგლეს ხელს ჰკიდებენ, რათა უფრო მეტი განრისხება გამოიწვიონ ისრაელის ღმერთისა.

ჩვენ კიდევ გვახსოვს ისხაკ ჯანაშვილის ღირსეული სახელი, რომელსაც შეუძლია დაათვაოს სახელი ისრაელის ღმერთისა და მის მოლაღატეებს გადაუხადოს სამაგიერო.

არ ვიქნებით კარგი მახრობლები, მაგრამ მაინც უხდა შეგატყობინოთ, რომ თქვენ უბედურზე-უბედური მამა ხართ. თქვენი შვილი ნათანი წავიდა უმით-ჰაყოლამ<sup>3</sup>-ების გზით. ქალაქში ჩამოსვლისთანავე გაიპარსა წვერი და კიკინები, დაიწყო ტარეფის<sup>4</sup> ქაძა, დაუამხანაგდა ქრისტიანებს, როსკიბ და გარყენილ ქალებს, შეაგინა რჯულსა და ჩვენი სარწმუნოების წმინდათა წმინდა წესები ფეხქვეშ გასთელა. არ იკმარა ყოველივე ეს და მოინდომა ისრაელის ქალს გაუფუჭოს სახელი. ის ქალი, რომელსაც ჩვენი წერილის საგანი შეეხება— არის დანიშნული ისრაელის რჯულით და ჰყავს თავის საქმრო, მაგრამ თქვენი შვილი გადადგა შუაში როგორც სატანი<sup>5</sup> და ქალს ვასაქანს არ აძლევს.

ცხინვალელების ჯამაათი აღმფრთხილებულია, რომ მისი წიაღიდან გამოვიდა ასეთი უღირსი შვილი: ახალციხელები ნიშნს გვიგებენ: აი თქვენი ნასწავლიო!

1 „ბაყაევონოთენუ ჰარაბიმ“— ჩვენი მრავალი ცოდვებით.

2 სედომ-ყამორა -- სოდომ-გომორი.

3 უმით ჰაყოლამ— უცხო ერის შვილი.

4 ტარეფა— არა ებრაული წესით დაკლული ხორცი.

5 სატან— სატანა.

ისრაელის ღმერთმა მიიღოს წყალობა თქვენზე და თქვენს ოჯახზე. ჩვენი მოვალეობა მოუხადეთ აწი თქვენზე და მოკიდებული თუ რა ზომებს მიიღებთ ცოდვილიანი ნათან ჯანაშვილის მიმართ.

დრო აღარ იცდის! ვაი იმას ვინც დააგვიანებს გამოსწორებას, როცა მისი ჯერი საკუთარ კარებზე დაუკაკუნებს. ეს გამოცდაა—დიდი ბატონის წინაშე! ნეტავი იმას, ვინც არ შერცხვება ამ დღეს.

გწერთ ცხინვალელების ვაყად-ჰაკეილას მონ. დობილობით მთავარი გაბაი ყუზრა შათაშვილი“.



ისხაკ ჯანაშვილის გაყვითლებულ და ფერმქანარ სახეს დაეტყო ცვლილება: ლოყები გაუწითლდა და თვალები გაუნათდა მრისხანებით და უბედობით.

ლიას თავი ჩაეღო პირსაფარში, რომელიც ჩუმად, უხმოდ აივსო ზღვა ცრემლებით.

მელამედი დიდმნიშვნელოვანად აბოლებდა თავის ყალიობს და წერილების წაკითხვის შემდეგ, გამარჯვებული გმირივით იცქირებოდა გარშემო შთაბეჭდილებათა გასაზომად და ასაწონად. იგი გარეგნულად ოდნავადაც არ ჰღელავდა და ავტორიტეტული სიბრალულის თვალით გადახედავდა ხან ერთს და ხან მეორეს.

როცა იგი კითხულობდა ნათანის წერილს, მშობლების ბედნიერებას და სიხარულს სახლვარი არ ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ადგილი მათთვის ბუნდოვანობით იყო მოცული. როცა მელამედი მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც ლაპარაკი იყო მის შესახებ, წაიკითხა მშრალად და ბორბლებით, რომლის დროსაც, ლიამ ჩვეულებისამებრ სირცხვილით თავი ჩაიღო, ხოლო ისხაკ ჯანაშვილს მოაგონდა, რომ ნათანს ბავშობიდანვე არ უყვარდა თავისი კოჭლი მელამედი.

როცა მელამედმა წაუკითხათ მეორე წერილი, მაშინ როლები გამოიცივალა: მოხუცებს სიხარული გადაეჭყაოთ მწუხარებად, ბედნიერება — უბედურებად, ხოლო კოჭლი მელამედის სახეზე ზეიმობდა სიხარული და



ბედნიერება. იგი კითხულობდა ხაზვასმით. გარკვევით. შესვენებით. ამ წაკითხვაში იყო გაუგებარი ანაზღაურება, შურისძიება.

და როდესაც მორჩა წაკითხვას, წერილები დაჰკეცა და მაგიდაზე დააღაგა. შემდეგ შეუდგა თავის ყალიბს.

ჩამოვარდა სიჩუმე, რომელიც უფრო საზარელი იყო, ვიდრე ტექსტი.

ისხაკ ჯანაშვილის სახეზე მომნდარი ცვლილება ადასტურებდა იმ უძლიერეს სულიერ მღელვარებას, რომელსაც იგი განიცდიდა.

ლია და კოჭლი მელამედი, — ორივე ელოდა, აი, აგერ ისხაკ ჯანაშვილი თავს ძალას დაატანს, ლოგინიდან წამოხტება და არაადამიანური ხმით დაიყვირებს, რომ იგი სწყველის თავის შვილს, თავის ერთადერთ ნათანს.

მაგრამ ისხაკ ჯანაშვილი ჯერ არ ჩქარობდა.

იყო პაუზა — მრისხანე, გაურკვეველი ამბების წინასწარმეტყველი, რაღაც უბედურების მომასწავებელი.

ლიას უნდოდა ეთქვა ისხაკისათვის, რომ არ აღეშფოთებულყო, რომ ეს მის ავადმყოფობას აენებდა, მაგრამ ენა აღარ დაემორჩილა, პირი შეეკრა და სიტყვა ვერ წამოსცდა.

ხოლო მელამედი საოცარი სისწრაფით დასცურავდა მომავლის გეგმებში, სადაც იგი აპირობდა ერთსა და იმავე დროს, ორი კურდღლის დაჭერას:

„მე მიმიწვიეს ახალციხელებმა — ჰფიქრობდა იგი — მაგრამ ჩემი ტფილისში გადასვლის შემთხვევაში მე გამოვადგები ცხიხვალელებსაც. მე უნდა ვეცადო დავიჭიროო ახლო კავშირი ყეზრა შათაშვილთან, ხოლო ამისათვის საჭიროა ისხაკ ჯანაშვილმა დაუწეროს მას საპასუხო წერილი, რომელიც მე უნდა ვამატანოს“.

მისი ფიქრების დენა შესწყვიტა ისხაკ ჯანაშვილმა, რომელმაც მძიმედ აიღო თავი ბალიშიდან, ოდნავ წამოჯდა, მიაშტერა თვალები მელამედის აუღელვებელ

სახეს და მრისხანე ჩურჩულით და აუწერელი გულს-  
ტკივილით შესძახა:

— სიცრუეა, სიცრუე! ჩემი ნათანი ასეთი არ არის.  
მელამედმა ცოტახნის ფიქრის შემდეგ უპასუხა:

— ყეზოა შათაშვილი ცნობილი კაცია და ვაყად-  
პაკეილას უფროსი. ეტყობა, რომ იგი ძალიან ღვთის  
მოშიშე და პატიოსანი ისრაელია, თორემ შენ უაზროდ  
რისთვის გამოგვზავნიდა წერილს. ვიმეორებ, იგი დი-  
დი, დიდი კაცია.

— ვიცნობ, ვიცნობ. ყველას ვიცნობ, რა შვილებ-  
ბიც არიან. როცა წამოვედი ცხინვალიდან იმას ყველა  
ეძახდა ლაწირაკსა და სულელს. ბათომ-სტამბოლის ვაჭ-  
რობამ ორი კაპიკი აშოვინა, ფულების პატრონი გახდა  
და ეხლა უკვე დიდი კაცია. ეეჰ, დროებას რა უთხრა...

— დაწყნარდი ისხაკ, წამოწეკი. — უთხრა მელა-  
მედმა და როცა ისხაკი წამოწვა ისევე განაგრძო: —  
რაც შეეხება ნათანს, ეს — მისგან მოსალოდნელი იყო.

— არ მჯერა, არ მჯერა, არ მჯერა...— შესძახა  
ისხაკმა.

— შემცდარი ხარ, ისხაკ — არ ეშვებოდა მელა-  
მედი და მიუხედავად ლიას უხმო ვედრებისა, რომ ეხ-  
ლა ისხაკისათვის თავი დაენებებია, იგი უმოწყალოდ  
განაგრძობდა: — ნათანს ბავშობაშივე ეტყობოდა, რომ  
იგი აფიკოროსი<sup>1</sup> ვაიზრდებოდა. მას შემდეგ რაც იგი  
გადაცდა ბარმიცვას<sup>2</sup> და ქრისტიანების სკოლა იწო-  
სა, მას შემდეგ უკან უკან წავიდა მისი საქმე.

ლიას ჰქონდა უდიდესი სურვილი ეპასუხა რაღაც  
სამაგიერო, მწარე, მელამედის აზრების გამბათილებე-  
ლი და ძირშივე უარყოფელი, მაგრამ მოაგონდა, რომ  
იგი ქალი იყო, უბრალო ქალი, ისხაკ ჯანაშვილის ცო-  
ლი, ხოლო მელამედი კი—რაც არ უნდა ყოფილიყო,  
მაინც თავკაცად ითვლებოდა და ამავე დროს იცოდა

<sup>1</sup> აფიკოროსი — ათვისტი, ებიკურეელი.

<sup>2</sup> ბარმიცვა — ებრ. წესების მიხედვით სრულწლოვანი ე. ი.  
ცამეტი წლისა და ერთი დღისა.

„ღმერთის სიტყვა-პასუხი“ და თავისი სურვილი გუფში ჩაიკლა, ხმის ამოუღებლად ჩაჩუმდა.

მელამედი კი ერთხელეც დასახულ მიზანს არ მტკუნებდა და წყნარად, ჩუმად, თითქოს არაფერი არ მომხდარიყოს, დაუნდობლად ამოიმებდა ნათანისადმი წაყენებულ ბრალდების მომენტებს.

ისკახი ბორგავდა, ჰლელავდა, დაავიწყდა თითქმის თავისი ავადმყოფობა, ჰკრძნობდა რომ ვერ გაუძლებდა მელამედის დასახუთებულ აზრებს, ღია ისევ თავიანთებულ იტრემლებოდა, მელამედი კი ასრულებდა:

— დავანებოთ თავი მის ბავშობას, მის ხასიათს, წყეულ გიმნაზიას, დავანებოთ თავი ყვებრა შათაშვილსაც. ავიღოთ მარტო მისი წერილი, რომელიც მოგწერათ თქვენ. რა არის ეს წერილი? რას ნიშნავს ეს აზრები? ვის შეეძლო დაეწერა ასეთი რამ? მხოლოდ ისრაელის მტერს. ისხაკ! ისხაკ! შენ ეხლა ავიდა ხარ და მე შინდა, რომ აღონაიმ მალე გამოგვიგზავნოს რეფუა. თორემ სხვა დროს იცი რას ვიზამდი? შევკრებდი ჯამაათს, ავიღებდი დიდ შოფარს<sup>1</sup> და შენს შვილს გამოუცხადებდი ხერემს<sup>2</sup>. იმის თავში შესულან გეინამის<sup>3</sup> აზრები. ხანუქა აღარ სწამს, რეფუა და კამიაყს — უძახის სისულელეს, თავის რაბის, თავის მელამედს, რომლისგანაც ისწავლა ალფ-ბეთი<sup>4</sup> — უძახის კოჭლ ჯალათს და თალმუდ-თორას... ვაი თვალებს, უი ყურებს, ეს რას მოგვსწარით — თალმუდ-თორას სთელავს თავისი ბინძური ფეხით და იწერება, რომ იქ ბავშვები დაჩლუნგდებიან, დაბეჩავდებიან. ჰე გეკითხები შენ, ისხაკ, რა არის ეს? რაღა საქიროა შორს წასვლა? რაღა საქიროა ყვებრა შათაშვილის წერილი, რომელიც უსათუოდ სიძართლეა? ყველაფერი ისედაც ნათელია. ნათანი საისრაელოს მტერია.

და სრულებით არ გაჰკვირებია მელამედს ის ძლიერი შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა მისმა სიტყვამ.

<sup>1</sup> შოფარი — რქა, რელიგიური საყვირი.

<sup>2</sup> ხერემ — ანათემა, შეჩვენება.

<sup>3</sup> გეინამ — ჯოჯობეთი.

<sup>4</sup> ალფ-ბეთ — აღფაბეტი.

ვინაიდან ეს ასეც უნდა ყოფილიყო და სხვანაირად არც შეეძლო წარმოედგინა. ჯერ დაიწყო ისტაკმა და შემდეგ მიჰყვა მას ლიაც:

— რაბი! გვიშველე რამე!

— რაბი! გვიშველე რამე!

და ვიდრე მელამედი ჰფიქრობდა საპასუხო ფრაზის შესახებ, ისტაკმა ერთი მაგრად ამოიხვნეშა და საშინელი, იმედ დაკარგული კილოთი დააყოლა:

— ვაიმე შეილო, ამოწყვეტილო...

მელამედმა პასუხის ნაცულად გაშალა კამიაცე, დააკვირდა, შემდეგ ისევ დაახვია და შეჰკეცა, გაუხსნა პერანგის ღილი და მკერდზე დაადო:

— გედოს გულზე, ვიდრე აღონაი არ შემოგხედავს თავის წყალობის თვალთ. ამ კამიაცეს აქვს დიდი ძალა. შიგ გატარებულია რაბი ისრაელ ბაყალ 'შემტობის' დეფარული და ღრმა აზრები. და თუ შენი ავადმყოფობა გამოწვეულია ნათანის ცოდვებით, მაშინ დამჭირდება კიდევ ერთი სხვანაირი კამიაციის შედგენა... რაც შეეხება ნათანის საქციელს, ეხლა ვერაფერს გეტყვი, წავალ სახლში. აღონში გონებას გამიხსნის, მოვიფიქრებ და შეგატყობინებ.

— რაბი! გადაგიხადოს ქვეყნის გამჩენმა — წილულულა ისტაკმა.

მაგრამ მელამედს ქვეყნის გამჩენისათვის აღარ მოუცდია:

როცა ბრუნდებოდა შინისაკენ, იმას ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ რაბი მეირ ბაყალ პანესის კუფაში — ხუთას მანეთს აღარ დააკლდებოდა არც ერთი კაპეიკი.

● ● ●

ხმა გავარდა, რომ მელამედს მიუღია თვითონ აღმორის<sup>1</sup> ხელით დაწერილი კოლ-კორე<sup>2</sup>, რომელსაც იგი

<sup>1</sup> რაბი ისრაელ ბაყალ შემტობ — რაბი ისრაელ კარგი სახელის პატრონი, კაბალისტიკის ავტორი.

<sup>2</sup> აღმორ — ხასიდების სექტის მამამთავრის სახელწოდება.

<sup>3</sup> კოლ-კორე — მოწოდება.

წაუკითხავს სალოცავში მთელ ჯამაათს — სალამოს, ხანუქის სანთლების ანთების შემდეგ.

ჩვენი პატარა დაბისათვის ეს იყო ისეთი დიდი მოვლენა, რომლის მსგავსი ამბები მისთვის ხდებოდა საუკუნის მანძილზე — მხოლოდ ერთხელ.

ხანუქის უკანასკნელი მეოთხე დღე იყო.

აივსო სალოცავი ბავშვებით, მოზრდილებით, მოხუცებით.

ყაზართ ჰანაშიმ-ში ქალები ჩხუბობდნენ ადგილისათვის.

როდესაც მელამედმა გაამწკრივა და დაანთო სანთლები, წარმოსთქვა ამ შემთხვევაში მიღებული ჩვეულებრივი კურთხევა და წაიკითხა ტრადიციული „ჰანეროთ ჰალალუ“ — მაშინ იგი ავიდა თებაზე, გადახედა თავის ჯამაათს და ვიდრე ჯიბიდან ამოიღებდა სასურველ ქალაღს, საჭიროდ დაინახა რამოდენიმე სიტყვით მოვეგონებინა თანამორწმუნეთათვის ხანუქის მოკლე ისტორია და მისი მნიშვნელობა:

— ყოველ წლიურად, 25 ქისლევიდან<sup>1</sup> 3 ტებეთამდე<sup>2</sup>, ე. ი. 8 დღის განმავლობაში ჩვენ ვანთებთ ხანუქის სანთლებს, მოსავგონებლად იმ დიდი ბრძოლებისა, რომლებიც გადახდა ჩვენს წინაპრებს — ხაშმონაელების<sup>3</sup> მეთაურობით, ორიათას ოთხმოცდა ათი წლის წინედ<sup>4</sup> ურჯულს ანტიოხოსმა<sup>5</sup> შეურაცხყო ისრაელის მიკდაში<sup>6</sup> და იერუსალიმი<sup>7</sup> გადააქცია იავანე-

<sup>1</sup> ქისლეე—ებრ. თვე, დაახლოებით უდრის ნოემბერს ან დეკემბერს.

<sup>2</sup> ტებეთ—ებრ. თვე, დაახლოებით უდრის დეკემბერს ან იანვარს.

<sup>3</sup> ხაშმონაელები— იგივე მაკაბელები.

<sup>4</sup> ქრ. დაბადებამდე დაახლოებით 165. წლის წინედ.

<sup>5</sup> ივულისხმება ანტიოხ ეპიფანი.

<sup>6</sup> მიკდაშ—ტაძარი.

<sup>7</sup> იერუსალიმი— იერუსალიმი.

პის<sup>1</sup> სათარეშოდ. სამი წლის გმირული ბრძოლის შემდეგ იეუდა ჰამაქაბიმ<sup>2</sup>, მათათიას შვილმა, თავის ძმებით დაამარცხა მტერი, დაანგრია შეგინებული საკუროთხეველი, აღმართა ახალი და შეუდგა მის საზეიმო გასასუფთავებას. როცა ისევ აინთო წმინდა ცეცხლი ნაყურთხეველზე და აელვარდენ აგრეთვე ტაძრის შანდლებიც, მაშინ დაიწყო ზეიმი, რომელიც გაგრძელდა რვა დღე. რისთვის გაგრძელდა რვა დღე? როგორც თალმელ ბრძანებს, როცა ისრაელები შევიდნენ დაცალიერებულ ტაძარში, მათ იპოვეს დალუქული პატარა ჭურჭელი წმინდა ზეთით-გაკეთებული ზეთისხილიდან. რომელიც გადაემაღათ ტაძრის წინანდელ მსახურებს. ზეთს ჰქონდა ისეთი ძალა, რომ თუმცა იგი ცოტა იყო, მაგრამ მაინც იკმარა რვა დღე, ვიდრე არ იქნა დამზადებული სხვა ზეთი. კიდევ ერთი ამბავი მოხდა წინედ: ჭის ფსკერზე ნაპოვნი იქნა ცეცხლი, რომელიც გადაემაღათ შელომო ჰამელეხის<sup>3</sup> მსახურებს მეორე მიკდაშის დანგრევამდე. ეს სასწაულიც მოხდა 25 ქისლევს და ამიტომაც იეუდა ჰამაქაბიმ აირჩია ეს დღე მიკდაშის ხელმეორედ დასახასებლად. ყოველ წლიურად ჩვენ ვდგავართ ამ სანთლების წინაშე და ვლოცულობთ, თითქოს ეს ამბავი მომხდარიყოს გუშინ. ვავიდა კი ოცდაერთი საუკუნე. რას ამტკიცებს ეს? ეს ამტკიცებს იმას, რომ მტერი ვერასოდეს ვერ გაიხარებს ისრაელის ერზე თუ თვითონ ისრაელმა არ დაჰლუბა საისრაელო საქმე.

მელამედმა ოდნავ შეისვენა, ხალათის კალთით ოფლი გადაიწმინდა, ჯიბიდან ამოიღო ქალაღდი, დაიდო წინ. ამაყად გადიხეთა თავის გარშემო და განავრძო:

— აი რას იწერება ლიბაეიჩის აღმორი, უდიდესი ბრძენი ჩვენი დროისა. რომელიც ზის შორს—მაგალიეის გუბერნიაში. მაგრამ მაინც არ ავიწყდება თავისი თანამორჯულენი საქართველოში — და ყველაზე უფრო მიყრუებული და გადაქარგული ჩვენი დაბა:

<sup>1</sup> იავან—ბერძნები.

<sup>2</sup> მაქაბელთა ბელადი.

<sup>3</sup> შელომო ჰამელეხ—სოლოჰონ მეფე.



ჩვენს ძმებს, აბრაამის ღმერთის შეიღებულსაა ქართველოს ებრაელებს.

გმჯარველობდეთ ღმერთი. მშვიდობა თქვენ, თორის მოყვარულნი!

იწყება დღესასწაული ხანუქისა, რომელსაც ზეიმობენ ისრაელის ყველა შეილები, ყველგან, თავიანთ სამყოფელ ადგილებზე იმ სასწაულის აღსანიშნავად, რომელიც მოიმოქმედა უფალმა ღმერთმა თავისი ხალხისათვის, რაც გამოიხატა იმაში, რომ იავანების შესვლის დროს ტაძარში, მათ წაბილწეს მთელი ზეთი და ამის გამო ველარ იქნა მონახული ზეთი მენორისათვის.<sup>1</sup> ვიდრე არ აღმოაჩინეს ერთი პატარა ქურქელი ზეთით, რომელიც იყო დალუქული მღვდელმთავარის ბეჭედით. მასში იყო ზეთი მხოლოდ ერთი ღამის სამყოფი. და მოხდა სასწაული და ზეთმა იკმარა რვა დღეს. ამის აღსანიშნავად დამყარებულია ხანუქის რვა დღის ზეიმი.

ძმანო ჩვენო, შეილებო აბრაამისა, ისხაკისა და ისრაელისა, ჩვენი წმინდა თორა არის სწორედ ის მნათობელი, რომელიც უნათებს საერთოდ მთელ მსოფლიოს და კერძოდ ჩვენს ძმებს, ისრაელის შეილებს. ეს მნათობი გვინათებდა ჩვენ ჩვენი მწარე განდევნის ათასეული წლების მთელ მანძილზე. და რომ არ ყოფილიყო სინათლე ამ წმინდა მნათობისა, რომელიც განუწყვეტლივ იყო ჩვენთან, მაშინ ვინ იცის როგორი იქნებოდა ჩვენი ხალხის დასასრული? ვინ იცის, შესძლებდენ თუ არა ჩვენი წინაპრები გაეძლიათ მწარე განდევნის აუარებელი, საშინელი ტანჯვა-წამებისათვის, როცა ყოველ საუკუნეში ძსორდათ ჩვენი მოსპობა? მხოლოდ წმინდა თორა გვენმარებოდა ჩვენ დაგვეღვარა ჩვენი სისხ-

<sup>1</sup> მენორა—შეიდსანთლიანი შანდალი.

ლი და მტკიცედ ემდგარიყავით ჩვენს საღაროაჯო-  
ზე, მოგვეთმინა და გადაგვეტანა თავს განცდილი  
და გადახდილი ამბები და შეექმნა ჩვენგან ერთი  
ერი მთელ დედამიწაზე.

ბავშვები, რომლებიც ელტვიან თორას — ესენა  
არიან ის პატარა ჭურჭელი ზეთით, ის მნათობნი,  
რომლებიც უნათებენ მთელ ქვეყანას, არიან ის ბო-  
ძები, რომლებზედაც დაყრდნობილია მთელი ქვე-  
ყანა, როგორც ნათქვამია თქმულებაში: „ქვეყანა  
არსებობს მხოლოდ ბავშვების წყალობით, რომლე-  
ბიც ელტვიან თორას“ (იხ. გემარა „შაბათი“), რად-  
გან ბავშვების პირველი ღიღინი დამსგავსებულია  
თორას.

ეხლა ჩვენს მძიმე და საძნელო დროში, ჩვენი  
ცოდვების გამო, წაბილწულია მთლიანად ზეთი —  
და მნათობებიც ჩაქრენ. წყვდიადმა მოიცვა დედა-  
მიწა. ბნელმა ღრუბლებმა დაჰფარეს ჰორიზონტი.  
მძიმე ღრუბლებმა დაჰფარეს ჩვენი ხალხის ცა.  
აღარ არის იეშიბები. აღარ არის თალმუდ თორები,  
აღარ არის ხედერები. წმინდა თორა მიგდებულია  
კუთხეში და მას არაეინ ეძებს, არაეინ კითხულობს.

ნამდვილი მიზეზი ასეთი მდგომარეობისა უნდა  
ვეძებოთ ჩვენს სისუსტეში, ჩვენს უმიზეზო სიმხდა-  
ლესა და კანკალში, რომელიც წააგავს შემოდგო-  
მის ფოთოლს. წმინდა თორა ჩაცმულია შავში, მოხ-  
ვდა ჩიხში. მისი შვილები განდევნილნი არიან და  
დატყვევებულნი.

ამიტომაც, წმინდა თორის გულისთვის, ნულარ-  
გავჩუმდებით და ნულარ დავეკეტავთ პირს, ნულარ-  
ვიქნებით ყრუები. ამით მოგმართავთ თქვენ აცხო-  
ბოთ ყველა სალოცავებში და ბეთ-ჰამიდრაშებში<sup>1</sup>.  
რათა ჩვენი სიტყვა იქნეს ვაგონილი ყველას მიერ.  
დეე ყველამ იცოდეს და ახსოვდეთ, რომ არ უნდა  
ჰქონდეს ადგილი შიშს, რომ კანონით ყოველ მამას,  
რომელსაც ჰყავს შვილები, რომლებმაც მიაღწიეს

<sup>1</sup> ბეთ-ჰამიდრაშ — თორის შესასწავლი სახლი.



სასკოლო პასაჟს, აქვს უფლება მიიწვიოს თავის  
შვილებისათვის მელამედი, რომელიც ასწავლის მათ  
თორავს. რასაკვირველია არის ცოტაოდენი შეზღუდ-  
ვა, როგორ და რამდენ ბავშვს შეუძლიათ ერთად  
სწავლა და სავალდებულოა, რომ სწავლა  
მოებდეს კოლექტიურად.

ძვირფასო ძმანო ჩვენო, ისრაელის რჯული-  
სათვის თავდადებულნო და თორის მოყვარულნო.  
ისწრაფეთ თქვენი ბავშვების — ამ წმინდა მნათო-  
ბების დასაცავად, — რათა ისინი არ ჩაჰქრენ. გაუ-  
ფრთხილდით ჩვენს წმინდა თორას, რათა იგი არ  
იქნეს დავიწყებული. შეკავშირდით, მოუარეთ  
თქვენ ბაღლებს, რათა ისინი არ დაიხოცონ, ღმერთ-  
მა დაიფაროს, შიმშილისაგან. ხოლო ეს შიმშილი  
არის არასება რამ, არამედ შიმშილი წმინდა აღთქ-  
მისათვის. „დადგებიან დღეები — ამბობს უფალი  
ღმერთი — და წარმოვზავნი ქვეყნად შიმშილს.  
არა შიმშილს პურისას, არა წყურვილს წყლისას.  
არამედ შიმშილს ღმერთის სიტყვისას“.

მაშ მოუარეთ ამ წმინდა ქურქელს — უფალი  
ღმერთის ბეჭდით აღნიშნულს — შეგინებისაგან,  
შეიბრალებთ თქვენი პატარა ბავშვების სული და  
წარვზავნეთ ისინი ხედვებში — მცოდნე და ღვთის-  
მოშიშე მელამედებთან. ეცადეთ აღზარდოთ ისინი  
თორისა და იუდეელობის გზით. გაამზავეთ ერთი  
ერთმანეთი, გაამაგრდით, გასწიეთ აგრტაცია, გამოჰ-  
ყავით განსაკუთრებული საათები, რათა საჯაროდ  
შეისწავლოთ სიტყვა ღმერთისა, ყოველმა ქაცმა  
თავთავის ძალისა და დროის შესაძლებლობის მი-  
ხედვით.

გახსოვდეთ, რომ ის თორა, რომელიც მფარვე-  
ლობდა ისრაელებს საუკუნეების მანძილზე, იმყო-  
ვება საშიშროებაში და თქვენი ვალია მისი გაღარ-  
ჩენა. ვაიმედებ ჩემს თავს, რომ აღნიშნული ჩემი  
სიტყვები იპოვიან გამოძახილს ჩვენი მოძმე ისრაე-  
ლების შორის და მთელი გულით და სულით გაა-  
ცოცხლებენ და მალლა ასწივენ თორის მნიშვნელო-

ბას. დეე დაგეხმაროთ თქვენ ღმერთი და დაგლოცოთ თქვენ შრავალი წლებით, პატივისცემითა და სიმდიდრით. და ყველა ჩვენ ერთად შევიარაღდეთ და დავდგეთ ჩვენი ძმების რჯულისა და ფებქვემ გათელილი თორის დასახმარებლად. და გემფარველობდეს ჩვენ ღმერთი.

და ის, ვინც ახდენდა სასწაულებს ჩვენი წინამორების დროს, ის გადაგვარჩენს ჩვენ უახლოეს მომავალში და შეგვეკრეთ ჩვენ—დედამიწის ყველა კუთხეებში დაფანტულებს—ჩვენი მხსნელის მოსვლისთანავე და იყოს სიტყვა ღვთისა თქვენთან, და დალოცოს ნაყოფი თქვენი ხელებისა და სამაგიეროდ მოგცეთ თქვენ ასკეცად ამ უდიდეს ღვთის სასარგებლო საქმისათვის, რომელიც არის სკოცხლის სათავე, იმათთვის ვინც ეყრდნობა მასზე.

შრავალი წლები, სიმდიდრე და პატივისცემა იყონ თქვენი თანამგზავნი.

ჩვენი ბრძენი ცადიკის<sup>1</sup> დავალებით, იყოს კურთხეული მისი სახელი.

25 ქისლევი, ხანუქის პირველი დღე. 1922 წელი“.

მელამედმა ვერ გაარჩია შნეერსონის ხელის მოწერა, რის გამოც ავტორის გვარი დარჩა ამ დაბაში სამუდამოდ წარმოუთქმელი.

მაგრამ მიზანი გვარის წარმოუთქმელადაც იყო მიღწეული: შეიქნა „წმინდა“ ჩურჩული, რომლის საგანსაც შეადგენდა აღმორის „ღრმა“ აზრების ანალიზი და კომენტარიები.

— ბრძეები ვიყავით ხალხო, აქაური მთავრობა როთავზე დავიჯინეთ და ყველაფერს უჯეროდით — წამოიძახა ვილამაც.

— მართალია, ბრძეები ვიყავით — დაემოწმა მეზობელი და თან დაუმატა: ხვალიდან ჩემს შვილოებს ისევ ვაგზავნი მელამედთან.

<sup>1</sup> ცადიკ — ქემშარიტი. იგულისხმება — აღმორი.



— მეც!  
 — მეც!  
 — მეც!

და ეს „მეც“ თანდათან მრავლდებოდა, რის გამო მელამედს სახე-უბრწყინავდა.

რომელიღაც საშუალო ხნის კაცმა, რომელსაც არაერთხელ უმგზავრია რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში, ავტორიტეტულად განაცხადა:

— მე დანამდვილებით ვიცი, რომ ბატონმა ად-მორმა, დაილოცა მისი სახელი, ინახულა ლენინი და აუხსნა მას, თუ როგორ ესაჭიროება ჩვენ ხალხს თორა. ლენინიც შეჰპირებია, რომ აწი თქვენ თორას კაცი ხელს ვერ ახლებსო, რამდენიც გინდათ ისწავლეთო.

ხანუკა და ადმორის კოლეორე განდენ იმის საბაბი, რომ მელამედის ხელახლა გახსნილ ხედერში — უკვე ითვლებოდა ორმოცდაათზე მეტი თალშიდი.

მორწმუნენი ბრუნდებოდენ სალოცავიდან და ერთ-მანეთს ეუბნებოდენ:

— ძალიან გაბედული კაცი ბრძანებულა ჩვენი ად-მორი!

— რაც ქვეყანაზე მთავრობაა — თურმე ყველა იცნობს.

— და ამავე დროს — მისთვის არ ყოფილა რაიმე დაფარული.

— ნეტავი მელირსებოდეს ჩემს სიცოცხლეში იმის ნახვა!

— ეჰ, მე და შენ ვერ მოვესწრებით მაგას.

მხოლოდ ერთი კაცი იდგა განზე და არ იღებდა მონაწილეობას საერთო ლაპარაკში. ბრუნდებოდა ისიც, მაგრამ ხელა, მძიმედ. ამძიმებდა საკუთარი ტანი, ამძიმებდა ფეხები, ამძიმებდა ფიჭრები. და მთავარი იყო:

„რატომ ღმერთის მეტს არაფერს ასწავლიან ამ ხედერებში? არ შეიძლებოდა, რომ იქ ღარიბი ისრავლებისათვის ხელობაც ესწავლებინათ. ეჰ, ვინ იცის, ვინ იცის, ვინ იცის... ჩემი ნათანი არც ისე შემცდარი იყოს... მელამედზე რალა მეთქმის ცუდი, როცა თვითონ ად-

შორი, დაილოცა მისი სახელი, ყოფილა მელამედის რისა... ვინ გაიგებს ამ ქვეყნის საქმეს?...



და განმეორდა ნაცნობი სურათი, რომლის მოწმე უკვე იყო ბეთ-ჰამილრაშის კედლები ამ რამოდენიმე წლების წინედ:

დიდ და ფართო, მტვერიან ოთახში გაამწკრივეს კედლების გაყოლებით გრძელი სკამები. ზედ დასხეს ორმოცდაათი ბავში, სხვა და სხვა ჰასაკის, სხვა და სხვა ხასიათის, ქუდებ ჩამოფხატული, გრძელი კიკინებით. შეშინებული თვალებით და გაურკვეველი მომავალით.

მათ ახალგაზრდა სულებს თავზე ადგათ შალახ-ჰამავეთ-ივით კოჭლი მელამედი თავისი ყალიონით და ხელში გრძელი წნელით, რომელიც დამზადებული იყო ურჩებისა, უნიჭოებისა და ზარმაცებისათვის.

სახლიდან თან მოიტანა ხუთი სახელმძღვანელო: „კერო მიკრა“ — ე. ი. ალფაბეტი, „საფა-ხაია“, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „ცოცხალ ენას“ და წარმოდგენს ქრესტომატიას ალფაბეტის შესწავლის შემდეგ. „ხუმაში“ — ბიბლიის პირველი წიგნი, რომელსაც უნდა ეკისრა ისტორიის მაგიერობა, „მიშნა“ — სადაც უკვე თალმიდები „ეზიარებოდენ“ ებრაული ღვთიშეტყველების უდიდეს წარმომადგენლების აზრებს და „გემარა“ — იგივე თალმუდი — როგორც „ცოდნის უმაღლესი ეტაპი“, მიშნას ვრცელი კომენტარიებით და ბუნდოვანი აზრების „ახსნა განმარტებით“.

მელამედს არ დასჭირებია დიდი ხანი თავისი თალმიდების დანაწილებისათვის. ამ შემთხვევაში მისი საყვარელი მეთოდი იყო — ტანის ზომა, სიმაღლის მიხედვით შეარჩია ხუთი ჯგუფი, დაიწყო პირველიდან და შემოიარა ყველა ჯგუფები, მისცა ყველას ვაკვეთილები, რას შემდეგაც გასცა განკარგულება:

— დაიწყეთ გაზეპირება!

<sup>1</sup> შალახ-ჰამავეთ — სიკვდილის ანგელოზი.

და ორმოცდაათმა ბავშვმა ერთსა და იმავე დროს,  
ერთ ოთახში, პატარა თავების ქნევით და ტანის რბევით,  
მელამედის მიერ გადაცემული სპეციფიური მოტივით  
დაიწყეს:

საქონლის  
შეზღვევა

- ალფე, ბეთ, გიმელ...
- სუს—ცხენი, ქელეზ—ძალღი, ხაზირ—ლორი...
- ბერეშით ბარა ელოიმ ეთ ჰაშამაიმ ვეთ ჰაა-  
რეც—პირველად გააჩინა ღმერთმა ცა და ქვეყანა...
- ორს უქირავს ტალეთი, ერთი იძახის — მე ვი-  
პოვეო, მეორეც იძახის — მე ვიპოვეო...

— გვერცხი რომელიც გაჩნდა უქმე დღეს — ბეთ-  
შამაი ამბობს, რომ იქმებო, ბეთილელი კი ამბობს არ  
იქმებო. საკითხი იმაშია, რომ ბეთშამაი ყოველთვის  
ამძიმებდა, ბეთილელი კი ამჩატებდა. მაშ რა მოხდა ეხ-  
ლა? და ამბობს რაში<sup>1</sup>...

და ყოველივე ამას თავს დასტრიალებდა წნელით  
კოჭლი მელამედის ღიღინი:

- ა-ა-ა-ა-ა...
- თავები კარგად გაანძრიეთ...
- ცოცხლად, თქვე ძალღის წიწილებო...
- და ამბობს რა-ა-ა-ა-ა-ში...
- ა-ა-ა-ა-ა...

მაგრამ ამ დროს მოხდა ერთი შემთხვევა.

მელამედი თავისი თალმიდებით სახტად დარჩენ,  
როდესაც კარები გაიღო და ოთახში მოულოდნელად  
შემოვიდა ორი მაღალი კაცი, ხელში პორტფელებით და  
ცნობისმოყვარე სახეებით.

როდესაც ახლად შემოსულებმა შეატყეს მელამედს  
დაბნეულობა, ერთმა მათგანმა ზრდილობიანად ბოდიში  
მოიხადა და სთხოვა:

— თუ შეიძლება, განაგრძეთ. ჩვენ ძალიან გვინ-  
ტერესებს ჩვენი თვალით ვნახოთ, თუ როგორ სწავლო-  
ბენ ებრაელის ბავშვები.

მელამედმა უნდობი თვალით კადახედა ახლად შე-  
მოსულებს, მაგრამ მაინც, რო არ შეემჩნიათ მისი განწ-

<sup>1</sup> რაში—მიზნისა და თალმუდის კომენტატორი.

ყობილება, ისევ გასცა განკარგულება. რომ გაეგრძელა ბინათ.

უცნობები ყურადღებით უსმენდნენ ბავშვებს, ათვალთქვამდნენ სახელმძღვანელოებს, ყურს უგდებდნენ ტექსტს, რის შემდეგაც ერთმა მათგანმა უთხრა მეორეს:

— საკითხი გამორკვეულია.

მელამედს გადაჰკრა ცივმა ოფლმა, მაგრამ მაინც გაბედულად მიუახლოვდა და თითქოს არაფერი გაეგონოს, შეეკითხა:

— რამე გნებავდათ?

— დიახ. თქვენ მოგიწყვიათ არალეგალური ხედვრი, რის გამოც თქვენ არსებული საბჭოთა კანონების მიხედვით, ღირსი ხართ პასუხისგებაში მიცემისა.

— თქვენ ვინა ბრძანდებით?

— ჩვენ ვახლავართ მაზრის განათლების ვახუთაძეების წარმომადგენლები. — და ამ სიტყვებთან ერთად ერთმა მათგანმა გახსნა პორტფელი. საიდანაც ამოიღო სუფთა ჭალაღლი და ქიმიური ფანჯარი და შეუდგა სათანადო აქტის შედგენას.

— თქვენ არა გაქვთ ნება ჩვენი რჯულის შეურაცხყოფისა — დაიწყო თავდაცვა მელამედმა — ეხლა რჯულის თავისუფლებაა.

— ჩვენ არც ვაპირობთ ვისიმე რჯულის შეურაცხყოფას, მაგრამ არც არავის მივცემთ ნებას ფარული ხედვრების მოსაწყობად.

— ეს ფარული არაა, ეს აშკარაა. თქვენ არ გცოდნიათ უკანასკნელი კანონები. თვითონ ლენინმა მისცა ჩვენ ხალხს ამის ნება. — არ ეშვებოდა მელამედი.

ლენინის დამოწმებაზე ინსტრუქტორებმა გაიციინეს.

— რას იცინით, არ გჯერათ? არ გჯერათ? — და მელამედმა ამოიღო ადმორის კოლ-კორე — აი საბუთი. ამაში სწორია ყველაფერი.

— თქვენი საბუთი თქვენთან იყოს. ხოლო ეხლა კი მოგვიწერეთ ხელი ამ ჭალაღლზე, რომლის ძალით თქვენ გეცხადებათ, რომ ამ წუთიდან ხედვრი დაკეტილია და თქვენ მიერ მისი განმეორებითი აღდგენის ცდის შემთხ-

ვევაში—თქვენ მოცემული იქნებით პასუხისგებაში სის-  
ლის სამართლის წესით.

— მოვაწერ, მოვაწერ, მაგრამ ეს სწორი არაა.  
თქვენ თვითონ არღვევთ კანონებს. მე ამ საქმეს არ დავ-  
თმობ, მე წაველ ქალაქში, მე მოვინახავ მთავარ მთავრო-  
ბას, მე ვიცი ვისთანაც წაველ, მე...

და ბურტყუნით და წვერების ქნევით მოაწერა ხე-  
ლი გაწოდებულ ქალაღდზე.

— ეხლა დაითხოვეთ ბავშვები...— მიმართეს მელა-  
მედს.

და გახარებული ბავშვები სასწრაფოდ გამოვარდენ  
კრიამულით, როგორც ჩიტები ვალიიდან და ებრაელთა  
ქუჩას ხმაურითა და ყვირილით მოჰფინეს დაბის უკა-  
ნასკენელი „სენსაცია“:

— ხე-დე-რი დაჰ-კე-ტეს... ხე-დე-რი დაჰ-კე-ტეს...  
დაჰ-კე-ტეს...



მელამედმა მიიღო მრავალწამებულის პოზა და  
ყარბითის ლოცვის დასრულების შემდეგ, თებიდან აც-  
ნობა თანამოძმეთ, თუ როგორ დაესხენ თავს მოულოდ-  
ნელად ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლები.  
როგორ აგინეს ისრაელის რჯული და ღმერთი, როგორ  
განდევნეს ბავშვები და როგორ შეაწყყვეტინეს მათ თო-  
რის ქიკტიკი.

აღელდა მორწმუნეთა მასა და გაისმა:

— ცენტრი შორსაა და ამიტომაც გვძალავენ.

— ხალხად არ გვაგდებენ.

— თავიანთ სკოლებს რატომ არ ჰხურავენ?

— ესაა რჯულის თავისუფლება?

— ამაზე ამბობდენ: ბალშევიკები ებრაელებს არა  
სდევნიანო?

— თქვენ ეხლა ისა სთქვით: როგორ მოვიქცეთ?

— როგორ უნდა მოვიქცეთ და სწავლა უნდა გა-  
ვავარძელოთ.

— ბეთჰამიდრაში თუ დაგვიხურეს, სახლებსაც ხომ ვერ დაგვიხურავენ. შეგროვდეს ხუთხუთი თალმიდი თითო სახლში და მელამედმა რიგრიგობით აწაფლოს ხოლმე.

— იქაც რომ მიაგნონ?

— ყოველ შემთხვევისათვის საჭიროა ჩვენი კაცო გავაგზავნოთ ქალაქში და თუ გაძნელდა აღმოჩნდა უნდა შევატყობინოთ.

— გავაგზავნოთ, გავაგზავნოთ.

— ვინ? ვინ?

— ვინ და... მელამედი, ამას რაღა კითხვა უნდა. უმთავრო ღამეში, მორწმუნენი ბრუნდებოდნენ თავთავიანთ სახლებში და თავის ჩვეულების მიუხედავად, ამჟამად გაჩუმებულიყვენ და ქუჩაში არაფერს ღაპარაკობდნენ.

ეს იყო — სიფრთხილე ყოველ შემთხვევისათვის, კოჭლი მელამედი მისდევდა მორწმუნეთა მასას, უდში და რომ არ ყოფილიყო ბნელი ღამე, ყოველი გომელელი წაიკითხავდა მის სახეზე ორმაგ აღტაცებას.

მიდიოდა და გეგმას გეგმაზე აცხობდა:

„ქალაქში — დიდი გავლენიანი საღვთია, იმათ კანონები კარგად იციან, ისინი დამენმარებიან, რომ აღვადგინო ისევ ხედერი“.

„თუ ეს საქმე არ გამოეწყო — მაშინ აქ მაინც აღარ შექნება დასადგომი პირი, ისინი ამდენი ხანია მიხვეწებიან, მეც აედგები და ბარემ გავუთავებ საქმეს“.

„საჭიროა ყურა შათაშვილს წაუღო ნათანის მაშის წერილი და ამგვარად, თუ ვინიცობაა ვერ შეუთანხმდი ახალციხელებს, მაშინ ცხინვალელებთანაც შექნება საქმე“.

ვერც კი ვაიგო, თუ როგორ წამოეწია ნავეადმოფთარი ისხაკ ჯანაშვილი:

— რაბი!

— ისხაკ შენა? სიბნელეა და ვერ ვაგარჩიე.

— ჰო, მე ვარ. — და ცოტა პაუზის შემდეგ ისევ დაუმატა:

— აბა — მალე წაბძანდები, არა?



— რაღა დასაგვიანებელია. ხელო არა, მაგრამ შენ  
დილით მაინც, ღმერთის შემწეობით გაუდგები გზას.

— ღმერთი შეგეწიოს...

— ამენ... გინდოდა რამე, ისხაკ?

— როგორ არა. შესახვეწებელი მაქვს. აბა შენ იცი,  
ისრაელის მტერს, მე რო ეხლა გაქირვებაში ვარ, ფული  
იღარა მაქვს, თორემ მე თვითონ წამოვიდოდი ქალაქში.  
მაგრამ რაზან შენ მიბრძანდები, ისე ჩამითვლია, თით-  
ქოს მე თვითონ ვყოფილიყვე.

— რა ბრძანებაა, რაც გინდა დამაეალე.

— პო და, ჩემო რაბი, ჩემი ნათანის თავი უნდა  
ჩაგაბარო. ინახულე, აუხსენი, დაარიგე ჭკუა. რას ეჩხუ-  
ბის მთელ ქვეყანას, რაზე გვიმოკლებს მოხუც მშობ-  
ლებს სიცოცხლეს. გვეყოს ჩვენი გაქირვება, გვეყოს...

და შელამედმა ვერც კი იგრძნო, რომ ისხაკ ჯანა-  
შვილის ლაპარაკი არეული იყო ცრემლებში, რომლე-  
ბიც ღვარივით სდიოდა სახეზე.

— ვეტყვი, ყველაფერს ვეტყვი. მამობას გაუწევ-  
ვაპატივებ თავის ცოდვებს, მაგრამ ხომ იცი ნათანის ხა-  
სიათი, ძალიან ამაყი ახალგაზდაა. თუ შენი წერილი არ  
შექნა, მაშინ მასთან მისვლაც გამიჭირდება.

— წერილს დაუწერ, როგორ არა. ხოლო რას გე-  
ხვეწო რაბი. ჩემს სიღარიბეზე და ავადმყოფობაზე ნუ-  
რაფერს ეტყვი. ნუ მოუკლავ გულს. უთხარი, მადლობა  
ღმერთს კარგად არიან თქო. ხოლო შენი ჯავრი აქვთ —  
ასეთი წერილები რომ მოდისთქო. მერე კიდევ გაიგე-  
ვინ ქალს გადაკიდებია, რა ქალია და ხამდვილი ამბავი  
ჩამომიტანე.

— მაგას ყველაფერს გავაკეთებ. მაგრამ ამავე  
დროს შენი ვალდებულებაა ყებრა შათაშვილსაც უპა-  
სუხო.

— აბა რა მიეწერო, რაბი? რა ჩაუწერო მე უბე-  
დურმა?

— ჩაუწერე, რომ შენ როგორც მშობელი მიიღებ  
ყოველგვარ ზომებს, როგორიც დამოკიდებულია შენზე,  
რომ ურჩი შეილი აცდინო მცდარ გზას, რომ თუ რამე

საუბრე დასერიოდეს ამის ვაობემო დაძაფალოს მე და ასე შემდეგ.

— ბატონი ბრძანდები, მაგასაც დაუწერ.

— მაშ ხვალ წერილებს გაამზადებ?

— დიახ. ერთ წერილს კიდევ ჩემს მეგობარ ჯაქსონს, დანიელ თაფლიაშვილთან გაგატან.

— სხვა რამე გინდა კიდევ?

— ჰო, როგორ შეგბედო, მაგრამ მინც მინდა გთხოვო. თანაც ჯერ ფული არა მაქვს და ხვალ თუ სადმე ვიშოვე სესხად, ერთი ორი გირვანქა ყველი მინდა გაგატანო. ვული ძტკივა, ვაი გაჭირვებას, მთელი წელიწადია კაპიკის არაფერი გამიგზავნია მისათვის, იმას მოუკვდეს შამა.

— კარგი. თუ გამატან — წავიღებ. თუმცა ის ღირსი არაა, რომ მელამედი ემსახურებოდეს იმისთანა უღირსო თალმიდს. მაგრამ შენი ხათრისათვის...

— გმადლობთ. რაბი. აღონაი გადაგიხდის პატივისცემას.

ისინი უკვე მიუახლოვდნენ ისხაკ ჯანაშვილის ბინას. ფანჯარასთან იდგა ღია, რომელსაც შემოესმა მათი ლაპარაკი.

მოაგონდა ნათანი და ღრმად ამოიოხრა.



## 2

შაულ ათანელიშვილი კარგად ჰხედავდა, რომ დანიელ თაფლიაშვილი არ იყო მარტო. რევოლუციის მოუშნადებელი შეხვდა დიდი მასა, რომელიც ძირითადადში ატარებდა წვრილ მოვაჭრის სახელს და საკუთარი ზურგით ათრევდა ძველი ქვეყნის უსამართლობას. მსხვილი ვაჭრები, მალაზიების, სახლების და დიდძალი მანუფაქტურის და სხვადასხვა საქონლის მფლობელნი — ესენი იყვნენ ერთეულები, რომელთაც ეჭირათ დიდი უმრავლესობის ბედი — თავიანთ შემოსავალგასავლის დავთარში, და ტყუილად კი არ უწოდებდენ ამ უმრავლესობას „მონისიანეებს“. ამ სახელწოდებაში მოჩანდა ამჟამად ის ღრმა უფსკრული, რომელიც არსებობდა მათ შორის და თუ დღემდე არ ხდებოდა მოსალოდნელი დიფერენციაცია, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ საუკუნეებმა და ძველი ქვეყნის წარმომადგენლებმა ათას თაფლიაშვილებს ყურები გამოუჭექეს იმით, რომ ქვეყნად არსებობს მხოლოდ შემდეგი დაყოფა: ებრაელები და არა ებრაელები, რაც შეეხება ებრაელებს, არ არსებობს არავითარი დაყოფა, ვინაიდან ნათქვამია: „ქოლ ისრაელ ხაბერიმ“<sup>1</sup> და ყოველ შემთხვევისათვის, თუ ვისმე მოაგონდებოდა, რომ ამ ქვეყნად არსებობენ შეძლებულები და გაჭირვებულები, იმისთვისაც მზად იყო „წმინდა“ თქმულება: „ქოლ ისრაელ იეშ ლაემ ხელეც ლეყოლამ ჰაბა“. რაც ნიშნავდა იმას, რომ ყოველ ებრაელს აქვს თავის წილი იმ ქვეყნად, საიქიოს.

<sup>1</sup> ქოლ ისრაელ ხაბერიმ — ყველა ებრაელები ამზანაგები არიან.

ასეთივე წილი ეგულებოდა დანიელ თაფლიაშვილს ამერიკაშიც. ხოლო ვიდრე დანიელ თაფლიაშვილი მიახერხებდა „თავისი წილის“ მიღებას ამერიკაში ან საიქიოში, მისი ბავშვები, მისი საყვარელი რუთიერ, მისი ძეუღლე ხანა — თავისი არსებობის ფაქტით ყოველ წუთს დაუნდობლად აგონებდნენ, რომ ულუკმაპუროდ სიცოცხლის გაგრძელება შეუძლებელი იყო.

სახელმწიფომ დაიწყო თავისი ინიციატივის გამოჩენა. თავისი დასახული გეგმის განხორციელება და საერთო ინტერესები მთელი სიმკაცრით დააჯახა კერძო საკუთრებას. ამ შეტაკების დროს მსხვილი ვაჭრები და ბობოლეები, რომლებიც მომარაგებულნი იყვნენ საკმაოდ, მთელი რიგი წლების მანძილზე, — ამ ხანებში ჯერ კიდევ საკმაო სიძლიერით უძლებდნენ იერიშებს და განაგრძობდნენ ძველებურად უदारდელ და მდიდრულ ცხოვრებას.

ხოლო ამავე დროს ფეთხაინს უმოწყალოდ ემატებოდა ქარვასლიდან გამოდევნილი ღარიბი მასა, რომელიც კოტრდებოდა თანდათან, ყოველდღიურად, ყოველ საათობით, ყოველ ფეხის ნაბიჯის გადადგმაზე.

გახშირდა უაზრო ხეტიალი, „სემიჩკის“ დაუსრულებელი კვნეტა და ქვებზე ჩამოჯდომა.

ქუჩა ყოველთვის სავსე იყო და თავის ზედაპირზე ერთნაირი „სიმშვიდით“ ატარებდა ბენიამინ ბერიძეს და დანიელ თაფლიაშვილს.

მაგრამ ერთ დღეს შაულ ათანელიშვილს რაიკომში უთხრეს, რომ ეს „სიმშვიდე“ და „კლასობრივი ზავი“ ებრაელთა ქუჩაზე უნდა დასრულდეს და რომ ამერიიდან უნდა გაჩაღდეს ნამდვილი ბრძოლა — მყველ ფავეების წინააღმდეგ, ხოლო გაჭირვებულთათვის უნდა დაისახოს ახალი, რეალური გზები მათი შრომის რელსებზე გადასაყვანად, საერთო სახელმწიფო ფერხულში მათ ჩასაბმელად, მათი ყოფაცხოვრების ძირფესვიანად გარდასაქმნელად და რომ მას, შაულ ათანელიშვილს, ამ საქმეში დაეკისრება დიდი პასუხისმგებლობა.

ხოლო ვიდრე მოიხაზებოდა ახალი გზების პროფილი, ჩამოყალიბებულ იქნებოდა გარკვეული გეგმა ამ

დარგში მუშაობისა, პირველ რიგში იხსნებოდა პირველი კოლექტიური არტელი — ფენსაცმელების სახელოსნო, სადაც თავი უნდა მოეყარათ ყველა იმ დარგებს, რომლებთანაც კსურდათ შეესწავლათ. ახ — უკვე იცოდნენ ეს ხელობა, რათა პატიოსანი შრომით ეკამათ ლუკმა-პური. ნედლეული უნდა მიეღოთ სახელმწიფოდან, ფენსაცმელები უნდა დაემზადებინათ კოოპერაციისათვის, ხოლო ხელოსნები მიიღებდნენ გარკვეულ ხელფასს.

საქირო იყო სათანადო კადრების შეგროვება და დაუყონებლივ კონკრეტულ-პრაქტიკული საქმიანობის დაწყება, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა უკვე სხვადასხვა სახის წარმოებები.

დანიელ თავლიაშვილს არც გაჰკვირებია „მოულოდნელი სტუმარის“ მისვლა. იგი თითქმის ელოდა კიდევ, რომ აგერ აგერ ყარი გაიღებოდა და მასთან შევიდოდა შაული. ან ნათანი, რომელიც მიაწოდებდა მას სამუშაოს.

ეს ყარი პირველად შაულმა შეაღო. რომელმაც მას მიახარა:

— ძია დანიელ. ხვალიდან სამსახურში!

დანიელის წითელი ლოყები უფრო გაწითლდნენ. სიხარულით გული აუძგერდა და ძლივს მოახერხა შეკითხვა:

— რა უნდა გავაკეთო შვილო სამსახურში?

— ხომ არ გგონია, რომ ივაჭრებ? ნოქრობა გინდა? ხა, ხა, ხა!

— აბა?

— ხელობაზე არ იმუშავენ?

— ღმერთს ჩვენთვის სხვა ხელობა არ მოოცია. თუ არა ვაჭრობა. — და ცოტა ხნის ფიჭრის შემდეგ დაუმატა: — მოვხუციდი კაცი, რაღა დროს ჩემი ხელობაა.

— ჩვენ ვაწყობთ ფენსაცმელების სახელოსნოს. შენისთანა პატიოსანი კაცისათვის ზედგამოჭრილია საწყობის გამგეობა. თანახმა ხარ?

დანიელი ღრმად ჩაფიქრდა და მწუხარებით თაღვი ჩაიღო.

— რამ დაგალონა ძია დანიელ. არ მოგწონს?

— ბარემაც მომწონს შვილო. მაგრამ სადაური საწყობის გამგე ვიქნები, როცა წერაკითხვაც კი არ ვიცი?

— ეგ სულ დამავიწყდა. აი რას ნიშნავს, ძია დანიელ, უსწავლელობა. წერაკითხვის უცოდინარობა — ღარიბი ხალხის დაღუპვაა.

— მართალია შვილო, რა გაეწყობა...

და ჩაჩუმდა. შაულიც ჩუმად იყო. ორთავეს სიჩუმეში კი საერთო იყო: მწუხარება, უსიამოვნო ჩიხი და გამოსავალის პოვნის სურვილი.

და უცბად სიჩუმე დაარღვია პატარა რუთიკომ. რომლის პატარა ღიმილმა აგრძნობინა დანიელსა და შაულს, რომ მას მოჰქონდა რაღაც გამოსავალი.

— მამიკო, ჩემო მამიკო, ესთერმა უკვე შემასწავლა წერაკითხვა. ეხლა მე შენ შეგასწავლი.

მამამ ჩაიკრა თავის ქალიშვილი:

— რაღა დროს ჩემი სწავლაა, შვილო. ბებერი ვარ...

— არა, არა. კიდევ არის დრო. ორ დღეში, სამ დღეში შეგასწავლი. შენ მხოლოდ გული დაუდე. ნუ გრცხვენია. ხომ მამიკო?

და დარცხვენილმა დანიელმა, თითქოს რჩევისათვის, მორიდებით შეხედა შაულს.

და მის სიხარულით მბრწყინავ თვალებში მტკიცედ წაიკითხა, რომ ამქვეყნად არაფერი შეუძლებელი არ არის.

საწარმოომ დაიწყო თავისი ისტორია მოკრძალებით უხმაუროდ.

საღლაც, ფეთხაინთან ახლოს, გამოძებნილ იქნა ორი თუ სამი ღარაბა, გამოანგრიეს შიგნით კედლები. შემდეგ ოღნავ გაათეთრეს, მოიტანეს იარაღები, სკამები და დაბალი მაგიდები, გააკეთეს რამოდენიმე თარო

საწყობისათვის და გაჩაღდა მუშაობა, რომელშიაც ჩა-  
ბმული იყო ოცდაათამდე კაცი.

ცოტახნის შემდეგ კი, როდესაც საწარმოოს პირვე-  
ლი პროდუქტია მზად იყო, საწარმოოს გამგემ ამხ. შა-  
ულმა მოიტახა აბრა, რომელზედაც დიდი ასოებით იყო  
წარწერა:

„ლარიბ ებრაელთა ფენსაცმელების საწარმოო არ-  
ტელი „პირველი ნაბიჯი“.

ფეთხანის მკვიდრ ბინდრებს, საწარმოოსთან გაე-  
ლის დროს, თვალს სჭრიდათ ეს მოულოდნელი წარ-  
წერა. „პირველი ნაბიჯი“ ძილს უფრთხობდა ბევრ მათ-  
განს, მაგრამ მაინც „სულით არ ეცემოდენ“ და არტელ-  
ში მომუშავეებს „საქმე გართულებად“ ნათლავდენ,  
ხოლო თვითონ არტელს საპნის ბუშტად, რომელიც  
აგერ აგერ უნდა გამსკდარიყო...

და მაინც...

სასწაულით თუ ეინით კეთდებოდა ის საქმე, რაც  
უნდა გაკეთებულყო ისტორიული აუცილებლობით.  
„პირველ ნაბიჯს“ წინ ეღობებოდა ბევრი ხელისშემ-  
შლელი დაბრკოლებანი, მაგრამ ამ დაბრკოლებათა მო-  
ცულობა მაინც ნაკლები იყო ძველი ქვეყნის უსამართ-  
ლობასთან შედარებით. ხოლო ახალმა მშრომელებმა  
კარგად იცოდენ, როდესაც გადალახავდენ ამ დაბრკო-  
ლებებს, ისინი გახდებოდენ პირველი პიონერები თა-  
ვიანთი ძველი წყეული პროფესიის სამარადისოდ უკუ-  
გდებაში.

ოცდა ათი მუშა მუშაობდა სიყვარულით, ენტუ-  
ზიაზმით, ხალისით.

ზოგი წინ მიდიოდა, ზოგი ნელა მუშაობდა, ზოგ-  
საც უჭირდა, მაგრამ ყველანი ერთად იბრძოდენ დიდი  
სურვილით, რომ „პირველი ნაბიჯის“ ღირსება არ შე-  
ეღახათ, რომ ამხ. შაულის ნდობა გაემართლებინათ,  
რომელიც იყო წარმომადგენელი იმ პარტიისა და ხე-  
ლისუფლებისა, რომელმაც პირველად მოჰკიდა ხელი  
ლარიბ ებრაელთა მდგომარეობის გაუმჯობესების  
საქმეს.

შაული დაპქროდა საამქროებში, საწყობში, სამე-  
ურნეო ორგანიზაციებში, პარტიულ კომიტეტებში და  
ყველას ჰხიბლავდა თავისი შრომისმოყვარეობით, გამ-  
ჭრიახობით, მტკიცე ნებით და ღრმა რწმენით. ე. ბ. ბ. ბ. ბ. ბ.  
მუშებისათვის იგი იყო განსახიერება იმედისა და  
როდესაც იგი მათ თავზე ადგა, უკახასკნელნი მას არა  
ერთხელ მიმართავდენ:

- საღამომდე კიდევ ორ წყვილს ამოვკერავ.
- ცუდათ ხომ არ ვმუშაობ, შაულ გენაცვალე?
- აი ეს პატარა ტყავი მორჩა და აქედან ბავშვის

ფეხსაცმელი გამოვა.

— შაულ, დახედე ჩემს ნამუშევარს!

— ჩემსასაც!

და ყოველ მათგანს სურდა, რომ დაემსახურებინა  
შაულის მოწონება.

შაულიც შეაჩებდა, გაამზნევებდა და ისევ მირბოდა  
ან ნედლეულის შესაძენად. ან კიდევ სხვა საკითხების  
პოსაგვარებლად.

ცოტა ხნის შემდეგ მათ კიდევ მიემატათ ხუთი მე-  
შა, რის გამო, საჭირო იქნა კიდევ ერთი დარაბის აღება  
და საწარმოოს ფართობის გადიდება.

„პირველი ნაბიჯი“ დღითი დღე ძლიერდებოდა.

„პირველ ნაბიჯთან“ ერთად ძლიერდებოდა დანი-  
ელის რწმენაც. რომლის სიყვარულს ახალი დასაწყ-  
ისსადმი არა ჰქონდა საზღვარი, რაც გარკვევით მოჩან-  
და საწყობში შესვლისთანავე.

სისუფთავე, განსაკუთრებული წესრიგი, ყდის ყე-  
თები სათითაოდ ყოველი ფეხსაცმელისათვის, რომლებ-  
ზედაც დანიელის მზრუნველი ხელით გამოყვანილი იყო  
სათითაოდ რიგ-რიგობით ნომერი და კედელზე — ში-  
ნაგანი განაწესი— შედგენილი შაულის მიერ.

„პირველი ნაბიჯი“ დღითი დღე უფრო ხდებოდა  
„ფეთხაინის“ სენსაცია და ისე დღე არ გავიდოდა, რო-  
ძია დანიელს საწყობში არ სწევოდა რომელიმე ცნობის-  
მოყვარე უსაქმური ან და პირიქით ძალზე ცნობილი  
„საქმოსანიც“.

ამ მხრივ, ერთ დღეს ძია დანიელს მისივე თქმით  
„სტუმრების რთველი“ ჰქონდა.



დილით მას ეწვია ძია დათო, რომელმაც ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ შეეკითხა:

— რამდენს გაძლევენ ჯამაგირს?

დანიელმა დაასახელა ციფრი, რამაც გააოცა ძია დათო.

— ესე იგი შენ იღებ სამჯერ მეტს, ვიდრე მე. კაი დაგემართოს. ბალშევიკების მთავრობა შენი გულისთვის მოსულა.

— არა თუ?

— მე კი უბედური, შევსცქერივარ ყებრასა და მენაშეს, რომლებსაც ნახევარ წელიწადზე მეტი არ მოუცილათ ჩემთვის ჯამაგირი. ეჰ, არმად, შხამად მათზე ჩემი ამაგი. ისინი ზიან, ხეთქავენ, ზედმეტი კამით ღიპზე სკდებიან. ვის ახსოვს ძია დათო?

— საქმე რომ გიშოვო, გადმოხვალ ჩვენთან?

— რატომაც არ გადმოვალ.

— იმ დღეს შაული ამბობდა, რომ ერთი კარგი და მუყაითი დარაჯი გვჭირიაო.

— ჰო და — კარგი და მუყაითი — ესეც მე ვარ. ჯამაგირი ხომ კარგი მექნება?

— ორჯელ მეტი ვიდრე იქა გაქვს.

— თანახმა ვარ.

— აბა შენ ყებრა ვააფროთხილე, რომ შამაში იშოვონ.

— რისთვის უნდა ვააფროთხილო, რას მელაპარაკები ბებერო? კაცი დავებრებულეწარ ღმერთის სამსახურში და ეხლა გინდა ხელი ამალებინო?

— აკი გადმოვალო?

— გადმოვალ მაგრამ მე ხომ ის არ მითქვია, ლოცვას თავს დავანებებ თქო. იქაც ვიქნები და აქაც.

— ჰო-ო-ო-ო. ასე არ იზამს.

— რაზე არ იზამს? — თითქოს კიდევ გაჯავრდა ძია დათო.

— მთლად კი ნუ გამოტყინებულხარ, დათო. ყურები გამოიჩირქნე: ან იქ, ან აქ. ჩვენთან კაი ჯამაგირს მოგცემენ, რალად გინდა ლოცვის კაპეიკები?

— ლოცვის კაპეიკებს შაინც სხვანაირი გემო აქვს, არ მოესწრო ყებრა შათაშვილი არაფერ კარგს, მანამ მე ლოცვას თავი არ გაეანებო.

და ძია დანიელმაც დაუდასტურა:

— ამენ!

ამ ლაპარაკის შემდეგ არ გაუვლია ნახევარ საათს და „პირველი ნაბიჯის“ საწყობის კარები შეაღწია და შათაშვილმა.

დანიელი ოდნავ გააოცა ყეზრას მოულოდნელმა „ვიზიტმა“. მაგრამ მაინც ზრდილობიანად მიიპატიჟა:

— მობრძანდი, ყეზრა!

— როგორა ხარ, ძია დანიელ? — შეეკითხა ყეზრა.

— ხო ხედავ.

— საქმე გიშოვია.

— აბა რა გეგონათ, მთავრობა გაგეწირავდა?

— ჩემ სიმამართან არ გეჩიია?

— შენს სიმამართან... — ხაზგასმით წარმოსთქვა

დანიელმა — ესე იგი ბენიამინ ბერიძესთან, რომელმაც წურბელასავით სწოვა და სწოვა ჩემი ყმაწვილკაცობის სისხლი, რომელმაც უდროოდ დამაბერა და რომლის ხელში ერთი წუთი სიხარული არ მქონია?

— უფროს ადამიანს არ შეშვენიის ბალშევიკური ლაპარაკი, თუმცა უნდა ილაპარაკო, მაგრამ მაინც უნდა იცოდე როგორ...

დანიელი დავთარში რაღაცას სწერდა:

— წერა-კითხვა როდის იცოდი? — შეეკითხა გოცებელი ყეზრა.

— ბენიამინ ბერიძის ხელში არ ვიცოდი. შაულ ათანელიშვილის ხელში ვისწავლე.

— მალე ალბად შაბათ დღეს მუშაობასაც ვასწავლიან.

და ყეზრას თითქმის თავს რეტი დაესხა, როცა მოისმინა მოხუცი დანიელის გარკვეული და უხეში პასუხი:

— თუ მასწავლიან — ვისწავლი. როცა მოშე რაბენუმ<sup>1</sup> გვასწავლა შაბათ დღეს არ იმუშაოთო, იმ დროს სხვანაირი ცხოვრება იყო. ეხლა რომ მოშე რაბენუ ცოცხალი იყოს, პირველი ის მოაწერდა ხელს, ისრაელის შეილებო, შაბათ დღეს უსათუოდ იმუშავეთო.

— ასე გამოდის, რომ თქვენთვის შაულ ათანელიშვილი ახალი მოშე-რაბენუ ყოფილა.

<sup>1</sup> მოშე-რაბენუ — მოსე წინასწარმეტყველი.

— მერე რა დაშავდა მაგით. თვითონ თორა არა  
ბრძანებს, რომ ყოველი ისრაელი შეიძლება **გახდეს**  
მოშე-რაბენუო?

— აი, შე უბედურო დანიელ...

— რისთვის გარჯილხარ? — მოკლედ მოუჭრა  
დანიელმა.

— ფესსაცმელები არ გინდა გავისალოთ? ნაღდ  
ფულს მოგცემთ, თუმცა ვექსილითაც შემოძლია. ბევრი  
არ მინდა. ასი წყვილი. ორასი. თუ გინდა, თორის  
მზემ—ნარდათ ვიყიდო სულ. რა ღირს მთელი თქვე-  
ნი საწყობი?

— მუშტრებს როდი ვეძებთ, ყურაჯან. ჩვენ კო-  
ოპერაციას ვაბარებთ ჩვენს ნამუშავეებს და კერძო პი-  
რებთან არაფერი საქმე არა გვაქვს.

— ოპო! ძალიან მოუხნათლიხართ. უფროსი კაცი  
ბრძანდება, ჩემგან ჭკუის დარიგება არ გეკუთვნის, მაგ-  
რამ მაინც უნდა დაგარიგო: კაცმა ხანდახან შორსაც  
უნდა იცქიროს. თქვენი საწარმოო მალე გაკოტრდება.  
რადგანაც იგი ვერ გაუძლებს კერძო ბაზრის კონკუ-  
რენციას. მაშინ არც ჩემთან და არც ჩემს სიმამრთან  
მისასვლელი პირი აღარ გექნება. თუმცა გექნება, მაგ-  
რამ არ გექნება. გაიგე?

— შე კი არა და თვითონ აკადღომ ბარუხუს ვერ  
გაუგია რისთვის მოგიყვანა ამ ყოლამზე.

ამ დროს გაისმა დასვენების ხარი. დანიელი წამო-  
დგა:

— ეხლა დასვენება გვაქვს და საწყობი უნდა და-  
ვკეტო.

— ე. ი. მითხოვ რაღა?—წარმოსთქვა განრისხებით  
ყურამ და გარედ გასვლამდე დაუშატა:—მოვა დრო  
და მე და ჩემი სიმამრი აგაკვენესებთ ბებურო ძაღლო...

დანიელმა გაიციხა და პასუხად გააყოლა:

— როცა ის შენი სიმამრი იქნება, მაშინ შეიძლე-  
ბა მოესწრო ჩემს ცულს.

ამის შემდეგ საწყობი დაჭკეტა და გავიდა ეზოში,  
რომ სხვა მუშებთან ერთად ახლად მოწყობილ სასადი-  
ლოში მიეღო თავისი საუზმე.

დასვენების დასრულების შემდეგ, საწყობის ფანჯრიდან მან შეამჩნია, რომ ვიღაც კოჭლი კაცი, რომელიც სახე ძალიან მიუგავდა პროვინციელ რაბის, დიდის ყურადღებით კითხულობდა არტელის წარწერას აბრაზე და რამოდენიმეჯერ თავისთვის იმეორებდა:

„ღარიბ ებრაელთა ფეხსაცმელების საწარმოო არტელი „პირველი ნაბიჯი“.

კოჭლი კაცი ძალიან გამტვერიანებული იყო, მოათრევდა ხელის ბარგს და ფეხსაცმელი გარღვევოდა. როდესაც ერთხელ კიდევ წაიკითხა წარწერა და დარწმუნდა, რომ ეს შართლაც ასე იყო, მაშინ გაბედულად წამოვიდა კარებისაკენ.

— შალომ-ყალახემ — წარმოსთქვა მან მნიშვნელოვანად შემოსვლისთანავე.

— ყალახემ-შალომ, მობრძანდი—მიუგო დანიელმა.

— მაშ ეს ისრაელების საწარმოოა? ძალიან მიხარია, მე კიდევ ამა და ამ დაბის—(დაასახელა)—შთავარი მელამედი ვარ, ჩამოსული ვარ, დიდ, ძალიან დიდ საისრაელო საქმეებზე.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს—ისევ მიუგო დანიელმა და სკამი გაუწოდა.

— რჯულის საქმე როგორ არის ქალაქში? წმინდა შაბათის ღირსება ხომ არ დაცემულა? თორის ქიკჭიკი ხომ არ შეწყვეტილა?

— ჯერ არა, მაგრა არის ნიშნები...

— ნუ იტყვი, ნუ მისცემ სატანს ნებას... თქვენი სახელი?

— დანიელ.

— ძალიან კარგი, არ შეიძლება დანიელ, რომ დარღვეული ფეხსაცმელი შემიკეთოთ?

— თუმცა ჩვენ ძველებს არ ვაკეთებთ, მაგრამ მე ვთხოვ გამგეს, თქვენ როგორც მგზავრ კაცს, შორი ქვეყნიდან მოსულს... მიბოძეთ ფეხსაცმელი.

დანიელმა გაიტანა ფეხსაცმელი, ხოლო ამასობაში მელამედი ათვალთვრებდა საწყობს, რომლის დროსაც მოუვიდა აზრად, რომ ეინაიდან აქ აღბად ძალიან ია-

ფად იქნება, ამიტომაც უნდა შეიძინოს ერთი წყვილი, თუ შეიძლება მეტიც, ახალი ფეხსაცმელი.

როცა შემობრუნდა დანიელი, მელამედმა გადასცა მას თავისი სურვილი.

დანიელის პასუხმა, რომ ეს საწარმოოა და არა კერძო ღუქანი—კოჭლ მელამედს ცივი ოფლი დაასხა.

— აბა სადაური საისრაელოა, თუ მელამედს ერთი ფეხსაცმელის ყიდვის საშუალება არ ექნება?

— საისრაელო იმითმ ჰქვია, რომ აქ მუშაობენ ღარიბი ისრაელები, რომლებიც თავიანთ შრომისათვის იღებენ ხელფასს, დამზადებული საქონელი კი ჩვენ ვაღდებულები ვართ მთლიანად ჩავაბაროთ კოოპერაციას.

— მაშ შენი უკანასკნელი სიტყვაა, რომ ვერ მომცემ?

— ვერა.

— რა გვარი ბრძანდებით?

— გვარს რას მეკითხები, ხომ არ უნდა შემაშინო შე კაი კაცო?

— არა მაგრამ წელან მითხარი—დანიელი მჭეიათ. ეხლა გამახსენდა, რომ შე ვეძებ ერთ დანიელს, გვარად თაფლიაშვილს, რომელთანაც წერილი მაქვს მისი მეგობარი კაცის ისხაკ ჯანაშვილისაგან.

— დანიელ თაფლიაშვილი — შე გახლავარ.

კოჭლმა მელამედმა გადასცა მას წერილი.

დანიელმა გაიკეთა სათვალეები და დიდი პაუზებით და ამავე დროს დიდი ინტერესით წაიკითხა სიყრმის მეგობარის წერილი, რომელშიც ავედრებდა ნათანის თავს, სთხოვდა, რომ ნათანისათვის ჰკუთა დაერიგებინა, უზნეო საქმეზე ხელი აეღებინებია, აქებდა მელამედის ცოდნასა და სიბრძნეს და სთხოვდა მელამედისთვის ყოველგვარი პატივი ეცა და ისე ჩაეფალა თუნდაც თვითონ ისხაკ ჯანაშვილი ჩამოსულიყოს ქალაქში.

— ვენაცვალე ისხაკს, ძალიან პატიოსანი კაცია, ძალიან მიყვარს, ხოლო შვილის ჯავრი ტყუილადა აქვს. შვილი—გამოჭრილი მამაა და პატიოსანი ახალგაზრდა.

— რაშაყებს<sup>1</sup> პატიოსან ახალგაზრდებს უწოდებთ?  
— გელარ მოითმინა მელამედმა.

— ყველას თავისი გზა აქვს— როგორღაც ორჯაბში<sup>2</sup> ვანად უპასუხა დანიელმა და გავიდა მეორე საიდანაც გამოიტანა შეკეთებული ფეხსაცმელი და გადასცა პატრონს.

— ფულზე ნუ შეწუხდები. ამით ჩვენ არტელს არაფერი დაუშავდება.

— ახლა მაინც არ მომცემ ახალ ფეხსაცმელს? ფულით მინდა.

— სულ ერთია. წესი-წესია. ისხაკი მწერს პატივი ეციო. თუ იკადრებ და მობრძანდები ჩემს ოჯახში— იქ როგორც ღმერთი შემაძლებინებს, პატივს გცემ. აქ კი მე სახელმწიფოს ვემსახურები. სახელმწიფო მე მენდობა და არც ვუღალატებ.

კოჭლი მელამედი წამოდგა გაბრაზებით:

— დანიელ, არ ყოფილხარ კარგი ისრაელი....

— ცდები, რაბი...

— ამაზე საკითხი მოვწყვიტოთ. ეხლა ეს მითხარი, სად ვნახავ ცხინვალელების გაბაის ვეზრა შათაშვილს?

— ეხლა აღბად ქარვასლაში იქნება. მაგრამ ცოტახნის შემდეგ თუ მიხვალ ცხინვალელების ლოცვაზე, მინხის<sup>3</sup> დროს მიუსწრებ კანტორაში.

როცა მელამედი გავიდა საწყობიდან, დანიელმა თავისთვის განსაზღვრა:

„რადგან ფეხსაცმელი არ მოგეცო, ამიტომ არ ვყოფილვარ კარგი ისრაელი? კმარა. აწი აღარ მოეტყუედე. მგონია კეჟუას ვსწავლობ და აწი ასე ადვილად დანიელი აღარავის დაგიჯდენთ თავზე. არა!“

● ● ●

ძია დათოს ჩვეულებრივად ხელში ეჭირა გრძელი ცოცხი და მინხისათვის ჰგვიდა სალოცავის იატაკს, პატარა აივანს და კიბეს. ჰგვიდა და ბურტყუნებდა.

<sup>1</sup> რაშაყ—სიტყვა სიტყვით „ავი კაცი“. იგულისხმება ურჯულ ადამიანი.

<sup>2</sup> მინზა—ნაშუადღევის ლოცვა.

როდესაც მორჩა თავის საქმეს, ხელი დაიბანა და ვინაიდან მლოცველები ჯერჯერობით იგვიანებდნენ, შევიდა სალოცავთან მოდგმულ პატარა ოთახში, რომელიც ასრულებდა ცხინვალელების კანტორის ფუნქციას, ჩამოჯდა ვაბაების მაგიდასთან და სწვადასხვა დაეთრებში დაიწყო ხელის ფათური.

ეს ის წუთი იყო, როდესაც კანტორის კარი გაიღო და კოჭლმა მელამედმა ფეხი შესდგა ოთახში. სიკოჭლე ხელს არ უშლიდა მელამედს, რომ თავისი ნაბიჯი დაეფასებინა და წვერზე ხელის მოსმით შთაეზერგა ან ეგრძნობებინა ოთახში მყოფისათვის თავისი „ღირსება“.

— შალომ-ყალეხემ! — წარმოსთქვა მან განსაკუთრებული კილოთი.

— ყალეხემ-შალომ! — მიუგო ძია დათომ და აინთო უძლიერესი ცნობისმოყვარებით თუ რას იტყოდა საყურადღებო სტუმარი ამის შემდეგ.

— მე მინდოდა მენახა ცხინვალელების მთავარი ვაბაი, ძია დათო ერთ წუთს ჩაფიქრდა თუ როგორი პასუხი მიეცა. შემდეგ წარმოიღვინა, რომ თუ ეს კაცი შეხვდა ყუზრა შათაშვილს, მაშინ ძია დათო ვერასოდეს ვერ შეიტყობს, თუ რაზე ჰქონდათ ლაპარაკი, ხოლო ამას ძია დათოს სუსტი გული ვერ აიტანდა, რის გამოც მოულოდნელად მიიღო გადაწყვეტილება და მისცა შემდეგი პასუხი:

— მე ვარ, დაბრძანდით.

— ძალიან მოხარული ვარ თქვენს ვაცნობას.

— ქალაქში რა საქმეზე ხართ ჩამოსული?

— სამი საქმე მაქვს.

— დავიწყოთ პირველიდან.

— დავიწყოთ. ჯერ პირველი ის გარემოება, რომ ადგილობრივი მთავრობა ძალიან გადაეკიდა ისრაელის ხალხს. ერთი სიტყვით, ცოცხლად სულს გვაძრობს და უნდათ, რომ მთელი ჩვენგ მოხარდი ატარონ უკუღმა გზით. რამდენჯერაც არ გავხსენით ხედვრები და თაღმუდ-თორები, იმდენჯერ მოვიდნენ მათი აგენტები, დაგვიცენ თავს როგორც ტყის ყაჩაღები და თორის შუაგულ კითხვის დროს, გვიბრძანეს, რომ ბავშვები გაგ-

ვერეკა. ისინი იძახიან, რომ კანონით თორის სწავლა აქრ  
ძალუღია, მაშინ როდესაც ჩვენ მივიღეთ ადმორის წი-  
წერილობა, რომლითაც გვაცნობებს, რომ წესდებანი  
მთავარ მთავრობას არამც თუ აუკრძალავს ამამდენ  
პირიქით.

— ადმორის მოწერილობა ჩვენც მივიღეთ.

— ჩემმა ჯამაათმა სწორედ ამიტომ გამომგზავნა  
ქალაქში, რომ თქვენის დახმარებით, ვინახულოთ ვინც  
საჭიროა, რათა აქედან გაგვატანონ ისეთი მიწერილო-  
ბა, რომელსაც ჰქონდეს ძალა.

— ეს ისეთი დიდი საკითხია, რომელსაც მარტო  
ვერ გადავწყვეტ. ამაზე საჭიროა მთელმა ვაყად-პაკე-  
ილამ იქონიოს მსჯელობა. საცაა მოვლენ გაბაეზი და  
შევატყობინებ მათ ამ ამბავს. ეხლა ვილაპარაკოთ მეო-  
რე საქმეზე.

— ვილაპარაკოთ — უპასუხა მელამედმა და თა-  
ვისთვის გაიფიქრა:

„როგორი ჭკვიანი და საქმის კაცი ბრძანებულა“.

და შემდეგ განაგრძო:

— ამდენი ხანია ახალციხელები მთხოვენ, რომ  
მივანებო დაბას თავი, გადმოვიდე ტფილისში და აქ  
შეუდგე მელამედობას. უნდა ვინახულო იმათი ვაყად-  
პაკეილას უფროსიც ბენიამინ ბერიძე და თუ ხელსაყ-  
რელი პირობები იქნა, შეიძლება კიდევ დაეთანხმდე.

— ახალციხელები ალბად კარგა ხანს გელოდენ.  
მაგრამ ვინაიდან დაგაგვიანდა, იმათ უკვე აიყვანეს  
სხვა მელამედი.

ამ ამბავმა თავზარი დასცა კოკლ მელამედს, რო-  
მელსაც ძია დათო უცქეროდა ოდნავი დაცინვით და  
თანაგრძნობით. შემდეგ ძია დათომ, ალბად მისი და-  
ნუგეშების მიზნით, ავტორიტეტულად განუცხადა:

— მოველაპარაკები ამხანაგებს. შეიძლება ცხინ-  
ვალელებთან გამოვიწყოთ რამე.

— მე თანახმა ვარ. მე ბევრ რამეში გამოვადგე-  
ბით. მე...

და ძია დათო თავისთვის ჰფიქრობდა:



„ნეტავი მართლა ისე გასულელდებოდენ გაბაეჭვი  
რომ დაგნიშნავდენ მელამედათ, მერე ვუყურებ სეირს.  
შენც ისე დაგიგვიანებენ ჯამაგირს, როგორც მე?“

შემდეგ ხმა მალლა მიმართა:

— ეხლა მესამე საკითხი.

და მელამედმაც შექანიკურად ვაიმეორა:

— ეხლა მესამე საკითხი.

ხოლო თავისთვის ისეე გაიფიქრა:

„დიდი, ძალიან დიდი ჰკვიანნი კაცი ყოფილა“.

ამის შემდეგ მელამედმა ხელი ჩაიყრა უბეში, სიი-  
დანაც ამოიღო ოთხად დაკეცილი წერილი.

— ეს წერილი გამოძატანა ნათანის მამამ, ისხაკ  
ჯანაშვილმა, საპასუხოდ თქვენი წერილისა, რომელიც  
რომ მან მიიღო სახანუქოდ.

ძია დათომ წერილი გამოართვა, ყურადღებით  
დახედა კონვერტს, ცნობის მოყვარეობით აემღვრია  
ტვინი და ათასმა ფიქრმა გაუელვა თავში:

„რა უნდა იყოს ამაში... ნეტავი რა უნდა ეწეროს...  
ჩემს ჯამაგირზე რა ესაქმებოდა ისხაკს.. ან ნეტავი რა  
მისწერა... უყურე შენ ყებრას, რა საქმეებს სჩადის...  
ვიცი, ვიცი... აჰა... გავიგე... ალბად ნათანს დააბეზლებ-  
და მამასთან... დამაცა მე შენ, ჩაგიშლი გეგმებს... ჯერ  
ქარვად გავიგო“...

და მელამედს შეეკითხა:

— რა სიტყვა, როცა წაიკითხა ჩემი წერილი?

— რა უნდა ეთქვა უბედურ და დაღუპულ მამას.  
ერთად ერთი შვილი ჰყავს და როცა ვაიგო, რომ მისი  
შვილი გარაშაყებულა, რომ გარყვნილების გზას შეს-  
დგომია, რომ ისრაელის ღირსეული ქალიშვილისათვის  
სახელი გაუტეხია— ისხაკს გული შეუღონდა და რომ-  
გონს მოვიდა დამაფიცა, რომ არ მიმეჭოთაიბინა მისი  
შვილი უპატრონოდ და ქალაქში ჩამოსვლისთანავე,  
ბატონ ყებრა შათაშვილთან ერთად...

მელამედმა შესწყვიტა, რადგან შეატყო, რომ ძია  
დათო მას აღარ უსმენდა.

ძია დათოს ძალიან უყვარდა ნათანი და როდესაც  
მელამედის პირით მოისმინა თუ რა მიუწერია ყებრა

შათაშვილს ისხაკ ჯანაშვილისათვის, მის აღშფოთებას საზღვარი არა ჰქონდა:

„რა მიუწერია იმ გათახსირებულს... ჩაუშვარებია სიბერე უბედური მამისათვის... ამოღყრია კერძო ჯიშის რი... მოუჩმანია ქვეყნის ქორები... შაცადოს... ვაჟურე-ბინებ სეირს... შევატყობინებ ნათანს ყველაფერს“.

— მაშასადამე ისხაკს სჯერა, რომ ნათანი ასეთა და ასეთია?— შეეკითხა ძია დათო.

— რა უფლება აქვს თქვენისთანა სახელოვან კაცს არ დაუჯეროს?— უპასუხა მელამედი.

— შენც გჯერა, რაბი?

— მჯერა რომელია. ხო არ მინახავს. მზადა ვარ დავიფიცო, რომ ნათანი ამ საქმეების და კიდევ უარესების ჩამდენია.

— მიჰქარაე...— შეჰკივლა მოთმინებიდან გამოსულმა ძია დათომ.

გაოცებულ მელამედს კანკალი დააწყებინა. ენა ჩაუვარდა და ძლივს მოახერხა:

— ეს... ეს... რას ნიშნავს... თქვენი წერილი. თქვენ... თვითონ...

— ბოდავ რაღაცეებს. მე არაფერი წერილი არ მიმიწერია.

— აბა ის წერილი ვინ მოიწერა?— ისევ კანკალით შეეკითხა მელამედი.

— შენ თითონ არა სთქვი ყეზრა შათაშვილმამო?

— ჯანა თქვენ... ყეზრა შათაშვილი არა ბრძანდებით?

— როდის გითხარი, რომ მე ყეზრა შათაშვილი ვარ-თქო? ღმერთმა კი ამოაგდოს იმის სახელსახსენებელი.

— აბა თქვენ... ვინა ბრძანდებით?

ძია დათო არ გაგიგონია?

— არა.

— რა ვუყო ახლა მე, თუ შენ გადაყრუებულ სოფელში ჩემი სახელი არ გაგიგონიათ?

— შენ არ მითხარი მთავარი გაბაი მე ვარო? უკვე გაბედულად შეეკითხა მელამედი.

— ვიყავი. არ გჯერა? მთავარი გაბაიცი ვიყავი ~~და~~  
კიდევ უფრო დიდი კაცი. თუ დრო გაქვს, თუ გინდა  
მოგიყვები ჩემს ამბებს.

და კოკლმა მელამედმა, პასუხის ნაცვლად, <sup>დაიწყო</sup>  
გულისწყრომა ერთ საკითხში ჩააქსოვა:

— ეხლა?

— ეხლა რა? შამაში ვარ, უბრალო შამაში.

— შამაში?

და ძია დათომ შეამჩნია, რომ მელამედის თვალები  
დაიტენა მრისხანებით.

— რაზე დამალე კაცო?— ძლივს, სიბრაზით წარ-  
მოსთქვა მელამედმა.

ამ დროს კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა ყეზრა  
შათაშვილი.

ძია დათო მოუბრუნდა მელამედს და უთხრა:

— ესეც შენი ყეზრა შათაშვილი. დაიწყე ეხლა და  
მოუყევი თავიდან ყველაფერი.

ამის შემდეგ კანტორიდან გავიდა და კარები მაგ-  
რად გააჯახა.

● ● ●  
ყეზრა შათაშვილი იყო მეგობარი ყოველი კაცისა,  
რომელიც ეტყოდა მას რაიმე ცუდს ნათანის შესახებ  
და ამიტომაც ძია დათოს სრულებით არ აკვირებდა ის  
გარემოება, რომ კოკლი მელამედი ისე ერეოდა სალო-  
ცავის „შინაურ საქმეებში“ - თითქოს იგი უკვე დიდი-  
ხნის ბატონ-პატრონი იყო. აითვალისწუნა კოკლი მელა-  
მედი ისევე როგორც ყეზრა შათაშვილი, გაბაი მენაშე  
და სხვა გაბაები ცხინვალელების ვაყად-ჰაკეილადან.

სამაგიეროდ ყეზრასა და მელამედს შორის განმტ-  
კიცდა უჩვეულო მეგობრობა, რომელიც მივიდა იქამ-  
დე, რომ ერთ დღეს მას ყეზრამ მთელი ჯამაათის წინა-  
შე უწოდა თავისი „მარჯვენა ხელი“ და ამავე დროს ამა-  
ყობდა, რომ ეს მარჯვენა ხელი იყო „მსოფლიოში ცნო-  
ბილი ბრძენი რაბი“.

ასეთი დახასიათების შემდეგ, უგუნურება იქნებოდა  
„კუთხური პოლიტიკის“ თვალსაზრისით, რომ იგი „და-

ეთმოთ" ახალციხელებისათვის. მუდამ ძუნწი ყეზრა შათაშვილი ეხლა გახდა საკმაოდ ქველმომქმედი, დაუნიშნა ღირსეული ჯამაგირი და კოჭლი შელამედი ამის შემდეგ დარჩა ტფილისში და შევიდა ცხინვალელების საზოგადოებაში სამი სახელწოდებით, როგორც რაბი, როგორც ხაზანი<sup>1</sup> და როგორც მელამედი.

ყეზრა შათაშვილმა—განსაკუთრებული პატივისცემის ხაზგასასმელად—მელამედი გადაიყვანა თავის ბინაზე, სადაც მას მიუჩინა ერთი საკმაოდ მოზრდილი ოთახი თავის შესაფერი მოწყობილობით.

ამიერიდან ოთახის განუყრელი თანამგზავრები შეიქნენ თამბაქო და ბურნუთი, რომლის ბოლი ოდნავადაც ხელს არ უშლიდათ ყეზრასა და მელამედს ელაპარაკათ დაუსრულებლივ.

ყეზრამ თვითონ შეჰქმნა რწმენის ილიუზია მელამედისადმი, რომლის შედეგაც ეს რწმენა ისე ღრმად გაჯდა მის ორგანიზმში, რომ მას ოდნავადაც ეჭვი არ ეპარებოდა „ცნობილი“ მელამედის ყოვლის შემძლეობაში.

განსაკუთრებით ყეზრას ჰხიბლავდა კამიყები და მასზე ამოხაზული მისტიური ასოები, რომელთა ცოდნაში, ყეზრას აზრით, უნდა ყოფილიყო ჩამალული მთელი სამყაროს საიდუმლოებანი.

და ამიერიდან ყეზრას ღრმად ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ იგი თავისი „სულიერი იურისკონსულტის“ საშუალებით შესძლებდა ნათანისა და ესთერის მოუდრეკელი ნების მოტეხას, რომ კოჭლი მელამედის საშუალებით ნათანი აღიგვებოდა „პირისა დედაშიწისაგან“ და რომ ესთერი საბოლოო ანგარიშში მას დარჩებოდა.

ყეზრა არ ზოგავდა არაერთარ საშუალებას, რომ მელამედის სახელი უფრო და უფრო მაღლა აეწია არა მარტო ცხინვალელებს შორის, არამედ ახალციხელებს შორისაც.

ხოლო მელამედმა, (რომელსაც ძია დათოსთან შეხვედრილმა ინცინდენტმა იმდენად გული გაუტეხა ქალაქ

<sup>1</sup> ხაზანი—მლოცველი, ის ვინც ლოცულობს ყველასათვის, მომადლებულ ადგილზე ე. წ. „თება“-ზე.

ზე, რომ უკვე აღარაფერ კარგს არ ელოდა) — ამჟამად შეიფერა ეს პატივისცემა და ღირსებით აღარებდა „დაწინაურებულის“ სახელს თავის გამხდარ ძელებთან და კოჭლ ფეხთან ერთად.

მელამედი ყოველდღიურად იჭრებოდა „საზოგადოებათა“ საქმიანობის შუაგულში და მალე შეიქმნა ისეთი გარემოება, რომ უიმისოდ არ მოიწვევდნენ არც ერთ კრებას და არ გადაწყვეტდნენ არც ერთ საყურადღებო საკითხს.

მელამედი, ყეზრას საშუალებით გაეცნო ბენიამინ ბერიძესაც, რომელმაც — ალბად ყეზრას ხატრით — თავისი მხრითაც აღუთქვა ყოველგვარი დახმარება.

მაგრამ ეს „ყოველგვარი დახმარება“ უფრო შეეხებოდა პირადათ მელამედს, ვიდრე იმ საქმეს, რომლისთვისაც იგი იყო წარმოგზავნილი თავისი დაბის მორწმუნეთა მიერ.

ქალაქში მელამედმა შენიშნა, რომ ხედერების სისტემა უცნაურ ბედზე იყო დამოკიდებული: იგი არ იყო არც ნებადართული, არც აკრძალული. ხედერი არსებობდა, მაგრამ არა ბეთჰამიდრაშში, არამედ თვით სალოცავში. ეს იყო ნახევრად ლეგალური, ნახევრად არალეგალური სასწავლებელი.

არც არავინ ჰფიქრობდა, რომ ეს მდგომარეობა შეეცვალა. ლეგალური ხედერების იმედი არავის ჰქონდა, ხოლო ვისთანმე მისვლას და ხედერების ლეგალიზაციის დაკანონებას წინ აღუდგა ბენიამინ ბერიძე, რომელიც ამბობდა: „ვაი თუ ამით, რაცა გვაქვს, ისიც დავეკარგოთ“

თავის დაბაში კი მელამედმა მიიწერა წერილი, რომ ჯერჯერობით სატანია გამარჯვებულიო და ქალაქშიაც ისეთივე მდგომარეობაა, როგორც მანდაო. განზრახულია რომ მალე დელეგაცია გაიგზავნოს მოსკოვშიო. რაც შეეხებოდა თვითონ, ამის შესახებ მოკლედ აცნობა, რომ აწი იგი დარჩება ქალაქში, რადგან ასე უნებები ადონაისაო.

ასე ადვილად გამოეთხოვა იგი თავის ჯამაათს, რომელსაც იყო შეჩვეული ათეული წლები. სამაგიეროდ

ტფილისში არ დასტირებია დიდი ხანი, რომ იგი განმანათლებლო და აღდგომითი მორწმუნეთა ადგილად შეჩვენდა.

მელამედი სავსებით კმაყოფილი იყო ყეზრისი, რომელიც არც ყეზრას ჰქონდა საბაბი დამდურებისა, ვინაიდან მელამედი არ ეკუთვნოდა უმაღურ ადამიანებს: იგი ყოველთვის ეკითხებოდა ყეზრას მისი ჯანმრთელობის, მდგომარეობის, განწყობილების და უმთავრესად ნათანისა და ესთერის შესახებ.

და არა მარტო ეკითხებოდა. შეკითხვის შემდეგ იწყებოდა გეგმები, დაუსრულებელი გეგმები, სხვადასხვა მოულოდნელი ვარიანტები.

და ასე მიჰქროდა კოჭლი მელამედის დღეები ქალაქში:

ცხინვალელები, ახალციხელები, კამიყები და ყეზრა შათაშვილის „დანისხულის“ საკითხი.

და რო არა — ძია დათო — რომლის თავხედობას უსიამოვნო ბუზივით იგერიებდა, მის კმაყოფილების მორევს ერთი წვეთიც არ დააკლდებოდა.

არავინ იცოდა მისი სახელი, არც თვითონ სწუხდა ამაზე. ყოველი კაცი შეხვედრისას მას ეძახდა „ბატონო რაბი“-ს. ხოლო ზურგს უკან კი საუკუნოდ დარჩა მის სახელი, რომელითაც იგი ცნობილი იყო თავის პატარა დაბაშიაც:

„კოჭლი მელამედი“.



დასასვენებელი დღე იყო.

ნათანს ეგონა დაისვენებდა. ლექციებზე არ ეჩქარებოდა. ამიტომაც დილით ჰფიქრობდა მსუბუქი ხასიათის რომანის წაკითხვას, ხოლო საღამოს შეხვედებოდა თავის ამხანაგებს — „დავიდის ფარის“ წევრებს, რომლებთანაც აპირობდა დროს გატარებას.

შეგრამ დილიდანვე აეშალა ნერვები და ხასიათი გაუფუჭდა.

დაიწყო ძია დათოდან, რომელიც მოვიდა, როგორც ყოველთვის, მოურჩილებლად, შინაური კაცივით.

დაჯდა ნათანის პირდაპირ და გადმოულაგა მთელი ის ამბავი, რაც მის ხელთ იყო.

არაფერი ისე არ ეჯავრებოდა ნათანს, როგორც მორი, ამბების მიტანმოტანა, მითქვამოთქმა, სთქვა, იმან ისა სთქვა“.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ძია დათოს მოთხოვნილმა ამბავმა იმდენად ჩაითრია, რომ მისი თხოვრის პროცესში ერთი სიტყვაც კი ვერ გაშოსძებნა, რომ ძია დათო შეეჩერებინა.

უგდებდა ყურს და განიცდიდა უდიდეს შინაგან მღელვარებას.

საქმე შეეხებოდა ნათანის მოიუც მშობლებს, რომლებიც ასე ძლიერ უყვარდა მას.

„ვილაცა თავისი ბინძური ხელებით აფათურებდა მათ ურთიერთობაში. ვილაცას მოსვლია თავში ჯაღათური აზრი, რომ ნათანის მოხუც მშობლებს ჩაუმწაროს უკანასკნელი სასიცოცხლო წლები, ვილაცას უფიქრია ნათანის პატიოსანი სახელისათვის ლაქის მოცემა, ვილაცას აუფორიატებია ისხაკ ჯანაშვილის ოჯახი და ნათანზე სასიზღარი ცილისწამებით სურდა მოხუცებისათვის ჩაეკლა უკანასკნელი იმედი. და ეს ვილაცა ყოფილა—ყვარა შათაშვილი“.

უსმენდა ნათანი ხმაამოუღებლად. ჩუმად, მღელვარებით. მისი თვალები თითქოს ეხვეწებოდნენ ძია დათოს:

„ბარემ სთქვი თუ კიდევ რამე გაქვს სათქმელ. სთქვი ბოლომდე, დე ბოლომდე შეესვა ეს სიმწრის ფიალა და რაც იქნება-იქნება“.

ძია დათო ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა.

ამ ლაპარაკში იყო ყველაფერი: ყვარას მიწერილი წერილი, ყვარას დახასიათება, ძია დათოს ჯამაგირი, აღმორის კოლ-კორე, კოჭლი მელამედის ქალაქში ჩამოსვლა და მისი ცხინვალელებთან დანიშვნა სამ თანამდებობაზე და დაბოლოს ყვარასა და მელამედის დამეგობრება.

ეტყობა უკანასკნელმა ამბავმაც ერთგვარი გავლენა მოახდინა ნათანზე, ვინაიდან ნათანის თვალებში ვაიელვეს დამცინავმა ხაზებმა:

„მაშ ასე: კოჭლი მელამედი ტფილისში. ჩემი პატარა დაბის გონების დასაბნელებლად იგი აღმოჩნდა მეტად ძლიერი და ეხლა ქალაქში გადმოიყვანეს... დიდი, დიდი პროგრესია ჩვენს ხალხში... არიან კიდევ სულელები, რომლებთანაც სჭირიათ კოჭლი მელამედი ასე... „დავიდის ფარს“ ამიერიდან კიდევ ახალი საქმე გაუჩნდება: ებრძოლოს კოჭლი მელამედის კლერიკალიზმს... ისტორია მეორდება: ბავშობაში—დაბა, ახალგაზრდობაში ქალაქი და ყველგან ეს ადამიანი თავისი კოჭლი ფეხით... და არა მარტო კოჭლი ფეხით. კოჭლი—სულით, კოჭლი—გონებით, კოჭლი—სინიდისით... და ეხლა ჩემი მტრები მოხვედრილან საერთო წერტილში: ყებრა და მელამედი... დაიწყებენ ერთად მოქმედებას და ობიექტად დაისახავენ ნათან ჯანაშვილს. ხა, ხა, ხა“.

ალბად ნათანი დიდხანს ფიქრობდა. მან ვერც კი გაიგო როგორ გავიდა ძია დათო ოთახიდან და უფრო საოცრად მოეჩვენა კიდევ ის გარემოება რომ მის წინ, როდესაც იგი გამოურკევა ფიქრებიდან, იჯდა არა უკვე ძია დათო, არამედ მოხუცი დანიელი, რომელიც მას ეუბნებოდა:

— მამაშვილობას ვაგებარდებოდა, რო მოხვიდოდე და დაათვალიერებდე ჩვენს „პირველ ნაბიჯს“.

ამ სიტყვებში ნათანისათვის იყო რაღაც ახალი, დანიელი არამც თუ უკვე ბედს აღარ უჩიოდა, არამედ პირიქით ისე იმედიანად და ხალისიანად გამოიციქრებოდა, თითქოს უკვე სამუდამოდ მოიხსნა დღიური წესრიგიდან მისი გაქვივრების საკითხი.

ნათანმა არ იცოდა რა ეთქვა დანიელისათვის, ხოლო სამაგიეროდ დანიელს ბევრი რამ ჰქონდა ახალი სათქმელი და იგი ლაპარაკობდა ისე როგორც შეეძლო. და ამ ლაპარაკის ფონზე დანიელის თვალებით ნათანმა უკვე დაინახა: საწარმოო „პირველი ნაბიჯი“, ებრაელი მუშები, დაულალავი შაული, დანიელი ენტუზიასტი, წერაკითხვის მცოდნე, სახელმწიფო საკუთრების სადარაჯოზე, არტელის თანდათანობითი ზრდის პერსპექტივები და ერთი წუთით ნათანი შექრთა და თავის თავს შეეკითხა:



„შაული მიდის გარკვეული გზით. იგი აკეთებს რალაცას გარკვევით. იგი იკრებს თავის გარშემო ღარიბებს. იგი ეძებს მათთვის სამუშაოს, ხომ არ ნიშნავს, ნათან, ეს იმას, რომ შენ ხაზს ვადასინჯავ სკიორდ?“

შეეშინდა თვითონვე თავის საკითხის და საჩქაროდ უპასუხა:

„არა. არა. არა. შაული აკეთებს პატარა საქმეს. მისი ღიაპაზონი ეერასოდეს ვერ მიადწევს შენსას. იმას უნდა შეჰქმნას ებრაელი—მუშა, შენ კი—ებრაელი—კულტურის უმაღლეს საფეხურზე. ეს სხვა და სხვაა. დიან, სხვა და სხვა“.

და ამ ფიქრების დროს, ტყვიასაგით მოხვდა გულში დანიელის წინადადება:

— რატომ არ შეიძლება, რომ შენ და შაულმა იმუშაოთ ერთად. შაული—ძალიან მომუშავე გამოდგა. იგი დღედაღამ ჩვენი ღარიბი ხალხისათვის ფიქრობს. ამ მუშაობის დროს იმას რომ მხარს უმშვენიებდეს შენისთანა ვანათლებული და შეგნებული აახლგაზრდა, ჩვენი საქმე უფრო და უფრო წინ წავა. რას იტყვი, ნათან? ნათანი ისევე ჩუმად იყო.

რა იცოდა დანიელმა, თუ როგორი გულისტკივილი აგრძნობინა ნათანს:

„ხომ არ ამბობს მოხუცი დანიელი ამით, რომ ჩემი ხაზი დამარცხდება და შაულის კი — გაიმარჯვებს? ხომ არ მეუბნება ამით მოხუცი დანიელი, რომ „პირველი ნაბიჯი“, რომელიც დაარსდა ჩემი მონაწილეობის გარეშე. ეს ისეთი მძლავრი ფაქტორია თეთხაინის ფონზე, რომ ძალაუნებურად, მე, ნათან ჯანაშვილს დამჭირდება მას ანგარიში გაუწიო? არა! ათასჯერ არა! დავიდის ფარის“ გარეშე მე არა მწამს, რომ გაკეთდეს რაიმე დიდი საქმე. შაულის საწარმოოს აქვს გარდამავალი მნიშვნელობა, ხოლო ჩემს იდეალებს, ჩემს პრინციპებს მარადიული, საისტორიო“.

დანიელმა კი ვერ მოითმინა და ისეთი ხმით, რომელშიაც ოდნავ ისმოდა საყვედური, მიმართა თავის ახალგაზრდა მეგობარს:

— ვერ გამოვიტოვებ რას გაჩუმებულხარ. ვერ გამოვიტოვებ რას შეგიძლიათ ერთად მუშაობა. ვერ გამოვიტოვებ რა გაქვთ ერთმანეთში ვასაყოფი.

ამაზე ნათანმა ნელა გაიციხა და უბასუხა:

— სამაგიეროდ ისტორია გაიგებს.

ვერ დააკმაყოფილა ამ სამმა სიტყვამ მოხუცი დანიელი, რომელსაც ჰქონდა უდიდესი სურვილი, რომ შუალი და ნათანი ენახა ერთად მომუშავენი „პირველი ნაბიჯის“ გარშემო.

დანიელს ჰქონდა თავისი ლოლიკა, რომელმაც უკანახა მას ეთქვა ნათანისათვის:

— მე თუ მოვეცდები და ვერ მოვესწრები, ამისთანა ისტორიაც აღარ მინდა.

ნათანმა მიაპყრო სიყვარულით აღსავსე თვალები გულკეთილ მოხუცს, მიუახლოვდა, აღერსიანად მხარზე ხელი დაადო და უთხრა:

— იცოცხლებ, ძია დანიელ, კიდევ დიდხანს იცოცხლებ და ყველაფერს მოესწრები.

ცოტახნის შემდეგ, როდესაც დანიელმა დააპირა წასვლა, მას რაღაც გაახსენდა და კარებთან შედგა:

— ჰო მართლა, სულ დამავიწყდა. ამას წიხედ ისხაკისგან წერილი მივიღე. ძალიან გამეხარდა რო კიდევ ვახსოვარ. მაგრამ სამაგიეროდ ერთი რამე მეწყინა: ვიღაც უსვენდისო კაცს მიუწერია შენზე ჭორები და შენი დედმამისთვის გული უტკეინებია. მე კი გაუფხავნე პასუხი, მაგრამ არ დაშავდებოდა, შენც რომ ერთი წერილი გაგეგზავნა და ასეთი ცუდი ხმები გაგებათილებინა.

— გმადლობთ, ძია დანიელ. უსათუოდ გაუფხავნე.

დანიელი გამოესალმა და დასტოვა ნათანი გულამღვრეული, მოწამლული, მრისხანე, რომელიც მეთათსედ ეკითხებოდა თავის თავს:

„რა შუაშია ჩემი ძვირფასი დედმამა. იმათ შაინც რას ერჩიან“.

აიღო რომელიღაც წიგნი და სურდა მასზე ყურადღების შეჩერება, მაგრამ ვერ მოახერხა, წიგნი ისევ თავის ადგილას დასდო და დაუბრუნდა ისევ თავის მარ-

ტობას, თავის ფიქრებს, ერთსა და იმავე დროს საყვარელსა და მტანჯველ ფიქრებს.

ვინ იცის როდის დაუსვამდა თვითონ ნათანიელს ტილს ამ ფიქრებს, რომ ამ დროს არ ვალდებულყოფოდა თანის პატარა ოთახი (დღეს უკვე შესამედ) და მასში არ შემოსულიყო კოჭლი სტუმარი, რომლის ასე პირდაპირ შეხვედრამ, ამდენი ხნის დაცილების შემდეგ, ნათანისათვის გადააქარბა ყოველგვარ საოცრების მოლოდინს.

ხოლო თვითონ კოჭლი მელამედი, ეტყობოდა ძალზე დამშვიდებულად ჰგრძნობდა თავს, ვინაიდან შემოსელისათანავე ხელი გაუწოდა თავის ნათალმიდარს და დიდის რიხით მიესალმა:

— შალომ-ყალეხემ, ნათან!

ნათანი პირველ წუთს დაიბნა, უაზროდ ხელი გაუწოდა, შემდეგ თითქოს კიდევ ინანა, მაგრამ გვიანლა იყო: მელამედი ჩამოჯდა და უკვე შევიდა თავის როლში:

— გამოცვლილხარ. გაზრდილხარ. დავაქაცებულხარ.

რა უნდა ეპასუხნა ნათანს, როდესაც ყოველივე ეს, რაც მელამედმა უთხრა, ჩვეულებრივი, ბუნებრივი ამბავი იყო!

ნათანის თვალები გამოხატავდნენ ეჭვს, უნდობლობას, მიუყარებლობას და ამიტომაც კოჭლმა მელამედმა გადასწყვიტა პირდაპირ შესდგომოდა საქმეს. გადასცა წერილი, ამანათი.

— მამა შენმა ისხაკმა გამომატანა, მთხოვა თვითონ გადაეციო და ისე მოუარეო, თითქოს მე ვყოფილიყვე ქალაქშიო.

ნათანმა სასწრაფოდ ვახია კონვერტი, ამოიღო მამის ხელით დაწერილი ბარათი და ხარბი თვალებით, დიდი ხნის დამშეულივით, შეუდგა მის კითხვას.

ჯერჯერობით ყველაფერი თავის რიგზე იყო: მოკითხვა, სურვილები, დედმამის ოცნება, დედის გული, უჩვეულო სიყვარული...

მაგრამ ავერ ნათანს სახე შეეცვალა, გაფითრდა.

მელამედი დაკვირებით ადევნებდა თვალს ლოვეს მის მოძრაობას, სხვადასხვა ნაოქებს მის შუბლზე, მწვე ხარე ხაზებს თვალეზში, გათეთროებას ლოყებზე. როგორი ჰგავს თავის მამას მრისხანების დროს, როგორი გაიფიქრა მელამედმა იმ წუთებში, როდესაც ნათანი უკვე კითხულობდა მისთვის ყველაზე უფრო საშინელ სტრიქონებს:

„ისრაელის რჯული მიგიტოვებია, დაგივიწყებია, წიხლი ჩაგიკრავს. ეს არ გიკმარია და ახალგაზდა ქალსთვის, რომელიც ყოფილა ისრაელის რჯულით დანიშნული, სახელი გაგიტეხია. ნუ შეილო, ნუ“...

ნათანი უსიტყვოდ დაეშვა ტახტზე და მიაშტერდა მელამედის აბურძგვნილ წვერს.

ნათანის სიჩუმე მელამედმა მიიღო როგორც სინანული და წერილს თავისი მხრითაც დაუმატა:

— თუ რამე დაემართება შენს მშობლებს, ყველაფერი შენისგანით. ისხაკი ვერ გადაიტანს ამ სირცხვილს და სამარეში ჩავა.

„როგორ? თავი ვიმართლო ეხლა ამ საზიზღარი ადამიანის წინაშე“? — უსიამოვნოდ გაიფიქრა ნათანმა და გადასწყვიტა, რომ იგი დამუნჯდებოდა, რომ იგი ხმას არ ამოიღებდა ვიდრე კოჭლი მელამედი არ გამოიყვანდა მას მოთმინებიდან.

მელამედი აგრძელებდა დატუქსვას:

— მე რამდენჯერ მისწავლებია შენთვის ბავშობაში: „უშეარესაიხ უშეხარებაიხ მიმეყაიხ იეცეუ“<sup>1</sup>. ხო ზედავ, როგორ მართლდება წმინდა თორის ბრძანება ყოველ ფეხის ნაბიჯის გადადგმაზე. რა გვიშავდა ჩვენ ისრაელის ხალხს, რომ მტრებად არ აგვდგომოდნ საკუთარი შვილები? შენ იცი ისხაკი რა დღეშია? მიიღო თუ არა ცნობა შენი საქმეების შესახებ? იგი ჩაწვა ლოგინში და შეიქნა მძიმე ავადმყოფი. შენი ცოდვების გამო აკადოშ ბარუხუ სჯის შენს უბედურ მშობლებს, წა-

<sup>1</sup> „შენი დამრღვევლები და შენი გამოხრებლები შენი წლებიდან გამოვლენ“.

ართვა იმათ ფარნასა და დღეს თუ ხელო ისინი ან ავტო-  
მყოფობით ან შიმშილით ამოსწყდებიან.

ნათანს ერთი წუთით დააფიწყდა, რომ იგი ქალაქ-  
ში იყო და თავი წარმოიდგინა ბავშობაში, ხედერში,  
როდესაც გრძელი წხელით ხელში მას თავზე ადგა კოქ-  
ლი მელამედი. მაგრამ ავტომობილის გუგუნმა, რომე-  
ლიც შემოესმა მას ამ დროს ქუჩიდან, დააბრუნა იგი  
სიტხადეში:

„ხომ არ გავიქვია ეს კოქლი. ნუ თუ მას კიდევ  
თავის ხედერში ვგონივარ“?

მელამედი იძლეოდა „რეცეპტსაც“:

— არის წამალი, რომელიც უშველის საქმეს. ჯერ  
ერთი შენ დაგვირდება მისწერო შმობლებს, რომ ამას  
იქით შენ ხელს იღებ უბედურ გზიდან და ეცდები ვა-  
მოასწორო შენი დანაშაული. მერე — მეორე. შენ უნდა  
მომცე მე სიტყვა, რომ აწი აღარ შემეხები ცუდათ არც  
მე, არც ისრაელის რჯულს და არც მის თორას. შემ-  
დეგ — მესამე. შენის ფეხით უნდა მიხვიდე ბენიამინ  
ბერიძესთან. მოიხადო ბოდიში და სამუდამოთ ხელი  
აილო მის ქალიშვილ ესთერზე, რომელიც დანიშნულია  
ყეზრა შათაშვილის მიერ „ქედათ მოშე ვეისრაელ“<sup>1</sup>.

ეს მეტისმეტი იყო და ნათანი წამოდგა აღელვებით:

— რაბი! მე არ მომიცია თქვენთვის უფლება...

— უფლება მე აკადომ-ბარუხუმ მომცა.

— აკადომ-ბარუხუ მე არ მწამს.

— ავადმყოფმა მამაშენმა დამაველა...

— მამაჩემი შემცდარა.

— შენ იმას ჩაიყვან სამარეში.

— კმარა. ხმა გაკმინდეთ!

— ვის ეუბნები ამას? შენს რაბის, რომელმაც გას-  
წავლა თორის სიტყვა?

და გაფითრებული ნათანის ვაოცებამ მიალწია თა-  
ვის კულმინაციურ წერტილს, როცა ამის შემდეგ მე-  
ლამედი გადადგა ფანჯარასთან და გადასძახა:

— ყეზრა! ამოდი აქ!

<sup>1</sup> „მოშესა და ისრაელის რჯულის მიხედვით“.

— ეხლავე, რაბი—მოისმა გარედან და თვალი დახამხამების უმაღო ოთახში გაჩნდა ყეზრა შათაშვილი რომელიც ამოეფარა მელამედის ზურგს და დამფრთხალი პირუტყვის თვალებით დაუწყო ცქერა თავის ნათლებულ მეტოქეს.

— ყეზრა! — მიმართა მას მელამედმა — იცოდე, რომ ეს კაცი არის ქვა. ამ კაცზე არ სჭირს არავითარი საშუალება, დაგრჩენია კიდევ უკანასკნელი საშუალება, ესაა მისცე მას ის წინადადება, რომელიც შენ გქონდა განზრახული.

ყეზრამ გაუბედავით დაიწყო:

— ბატონო ნათან... ჩვენ მართალია ერთმანეთთან არა ვართ კარგად, მაგრამ ამაში შენა ხარ დამნაშავე, თუმცა არც შენა ხარ დამნაშავე, მაგრამ ქალა და მნაშავე...

ნათანი განრისხდა:

— მოკლედ, რა გნებაეს?

— აიღე ხელი ესთერზე. ფული ბევრი მაქვს, ბევრი არა, მაგრამ საყოფი. მითხარი, რამდენი გინდა. მოგცემ ატსტუპნოის...

„ატსტუპნოი“?..

ნათანს მოეჩვენა, რომ იგი უკვე ვაგიჟების პირას იყო. საჩქაროდ მიიღბინა კარებთან, გამოაღო და შეპყვირა მათ:

— ამ წუთში ვაეთრიეთ ორივენი...

ყეზრამ და მელამედმა გადახედეს ერთმანეთს. შემდეგ ნათანის სახეზე წაიკითხეს მისი ნებისყოფის სიძლიერე და ხმაამოუღებლად, ბარბაკით და უკან დახევით არჩიეს დაეტოვებინათ ნათანის ოთახი, რომლის პატრონი მათი გასვლის შემდეგ დიდხანს ვერ წყნარდებოდა:

„ფული. ფული და ისევ ფული. აი მათი საზომი, აი მათი ძალა. ფულით ზომავენ მთელ ქვეყანას. ფულით უნდათ იყიდონ ესთერი, ფულით უნდათ მიყიდონ მეც“.

შემდეგ როდესაც ვანელო ცოტახანმა და მოაგონდა თავის მშობლები, მიუახლოვდა თავის საწერ მაგიდას, ამოიღო ქალაღდი და შეუღდა წერას:

„ჩემო საყვარელო და ძვირფასო მშობლებო! ნუ ენდობით კოქლ მხეცებს და უსინდისო შათაშვილებს, რომლებიც ცილს სწამებენათქვენსა და საყვარელ ნათანს.

ნუ თუ დღემდე არ მიცნობთ? ნუ თუ დარწმუნებული არა ხართ, რომ მე უზნეო საქციელის ჩამდენი არა ვარ?

ამ კორებმა გული მომიკლეს...“

და კიდევ დიდხანს სწერდა და სწერდა.

როდესაც დაასრულა წერა, უკვე დაღამებული იყო.

და ეს დღე დაღამდა ისე, რომ ნათანის პირს არ მიჰკარებია არც ერთი ლექმა.

კოქლი მელამიდი თავისას არ იშლიდა: მაინც და მაინც უნდოდა დაემტკიცებინა ყეზრასთვის, რომ ფსიქოლოგიური ზეგავლენით შეიძლებოდა ნათანისათვის კაცს ხელი აეღებინებია ესთერზე. ამისათვის მისი აზრით. საჭირო იყო ისეთი კაცის გამოძებნა, რომლის აზრს ნათანი ანგარიშს გაუწევდა.

„ასეთი კაცის“ ძებნაში მათ განვლეს რამოდენიმე ქუჩა და უკვე მიუახლოვდნენ ფეთხაინს, რომლის მცხოვრებით არა ერთხელ უნახავთ ისინი ერთად. განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ ამჟამად ისინი ჩვეულებრივზე უფრო გაწითლებული იყვნენ, ლაპარაკობდნენ გაცილებით ხმა მაღლა ვიდრე ოდესმე და ხშირად იმეორებდნენ მსგავს ფრაზებს:

— ხო გაიგონე?

— ნეტავი არ გაეგონათ ჩემს ყურებს, რაბი!

— ხო დაინახე?

— ნეტავი არ დაენახათ ჩემს თვალებს, რაბი!

— ეხლა გადადებთ აღარ შეიძლება. კაცია საჭირო.

— კაცია საჭირო, რაბი.

— ვინ?

— ვინ, რაბი?

— ვიფიქროთ.

— ვიფიქროთ, რაბი.

ამოცანა მეტად თავსატეხი აღმოჩნდა. კარგა ხანსა  
განვლო, ვიდრე მელამედის სახე გაბრწყინდებოდა.  
ყეზრამ ყურები სცქვიტა.

— უნივერსიტეტში მას ჰყავს ბევრი პროფესო-  
რები?

— ბევრი, რაბი.

— რომელია ყველაზე მთავარი?

— მთავარი არის... თუმცა მე არ ვიცი... მაგრამ  
კაცი გაიგებს... ნახევარი საათის შემდეგ, რაბი, მე მო-  
ვალ ადრესით.

და გახარებული ყეზრა გავარდა ოსიპთან, რომელ-  
მაც ყეზრა მიიღო დიდის ამბით, მიუხედავად იმისა,  
რომ წინედ იგი მას ემუქრებოდა.

— პირობაზე როგორა ხარ? — შეეკითხა შესვლის-  
თანავე ოსიპი.

— როცა კი არ ინებებ, ქეთუბას უფასოდ წაე-  
კითხვინებ, ეხლა მაინც ისეთი რაბი გვყავს, რომ ახალ-  
ციხელების ობშჩესტვა შურით პირს ილოკავს.

— გიყვარდეს...

— ნათანის პროფესორებს თუ იცნობ, პატრივცემუ-  
ლო ოსიპ?

— როგორ არა. ორმოცზე მეტია. ყველა ჩემი ძმა-  
კაცები არიან. — ძოაწონა თავი ყეზრას.

— ეინ არის მათში მთავარი?

— მთავარი?

ოსიპი შეყოყმანდა: არც ერთის სახელი არ იცოდა,  
მაგრამ უცბად, თითქოს ეშმაკმა იხსნა გასაჭირისგან,  
მოაგონდა ნათანის მხრით არა ერთხელ გაგონილი მო-  
ხუცი პროფესორის სახელი და სიხარულით მიუგო:

— მელიტონ გობეჯიშვილი.

— ადრესი არ იცი?

— ადრესი... როგორ არა. ერთხელ ამხანაგებმა მი-  
ვაცილეთ ნათანი. გამოცდები ჰქონდა, აქედან ახლოსაა.  
პუშკინის ქუჩაზე ცხოვრობს. ოცდასამი ნომერი, თუ  
ოცდახუთი...

... ყეზრა და მელამედი ისევ ერთად იყვნენ.



— საჭიროა დაუყონებლივ მასთან მისვლა — ეტბ-  
ნებოდა მელამედი.

— საჭიროა, რაბი — უდასტურებდა ყეზრაძე.

— წავიდეთ.

— შე რაღა საჭირო ვარ? არა, საჭირო კი ვარ,  
მაგრამ...

— ორი ჯობია ყეზრა. ისრაელების დელეგაცია.  
გესმის?

— ჰკვიანი ბრძანდები, რაბი.

... მელიტონ გობეჯიშვილი გართული იყო თავის  
შეცნიერულ შრომებში და როდესაც მის წინ წარსდგენ  
ყეზრა შათაშვილი და კოჭლი მელამედი, დიდ ხანს ვერ  
შოვიდა გონს და ვერც გაიგო თუ რა ჰკუის ბალხი ეწ-  
ვია მას და ვის წარმოადგენდნენ..

რამოდენიმეჯერ გაამეორებინა მათ:

„ტფილისში მყოფი ცხინვალელი ებრაელების ობ-  
შჩესტვას დელეგაცია“.

და მაინც ვერ გაიგო. გამუდმებით მხრებს სწევდა.  
ხელებს შლიდა და თავისთვის, თითქოს ვილატაზე გამო-  
ჯავრებით, ამბობდა:

— ტფილისი. ცხინვალი. ობშჩესტვა. დელეგაცია.  
გაუგებარია.

შემდეგ, თითქოს შეურიგდა ბედს, დააქნია ხელი  
და მიმართა ახლად მოსულებს:

— ვთქვათ, გავიგე ვინცა ბრძანდებით. რითი შე-  
მიძლია გემსახუროთ?

წინ წამოდგა კოჭლი მელამედი, წვერზე და ულ-  
ვაშზე ავტორიტეტულად ხელი გადაისვა, განგებ ჩაახ-  
ველა და დაიწყო:

— დიდათ პატივცემულო, განათლებულო პროფე-  
სორო. ბატონო მელიტონ! ყოველი კაცი, რომელიც რო-  
მა თქვენ გიცნობთ, იძახის, რომ თქვენ საამაყო ადამი-  
ანი ბრძანდებით. თქვენ გახასიათებთ პატიოსნება, ზნე-  
ობრიობა, ადამიანის სულის გაგება, ღრმა ცოდნა, დი-  
დი დაკვირვება...

მელიტონმა შეაწყვეტინა:

— რისთვის მელაპარაკებით აქდენს ჩემს შესახებ? ჩემს იუბილეს მოწყობას ხომ არ ეპიზუბით? გამოტყდით, სიმართლე სთქვით: თქვენ საინიციატივო კომისია ხართ? გაეიგე ხომ? იუბილე გინდათ არა? კომისია  
გამოსწავლა

ეხლა კოჭლი მელამედი დაიბნა, რომელმაც არ იცოდა, თუ რას ნიშნავდა სიტყვა „იუბილე“ და ვედრების თვალებით გადახედა ყეზრას თითქოს უნდოდა ეთქვა:

„რას ჩაგიგდია ხმა, დამეხმარე, ხო ხედავ მიჭირსო“.

და ყეზრამ მოულოდნელად „იხსნა“ თავისი რაბი განსაცდელისაგან.

— ჩვენ გიახელით ნათან ჯანაშვილის შესახებ, რომელიცა რომა არის თქვენი სტუდენტი, რომელიცა რომა...

— ჰო, ნათან ჯანაშვილის შესახებ. — გამოსწორდა წელში კოჭლი მელამედი.

— ნათან ჯანაშვილი ჩემი საუკეთესო შეგირდია. რა მოხდა?

— ჰო და ბატონო პროფესორო, თქვენმა საუკეთესო შეგირდმა — განაგრძო მელამედმა — ჩირქი მოსცხო მთელ ისრაელობას, ჩირქი მოგცხოთ თქვენ, უნივერსიტეტს...

— რა ჩაიდინა მეთქი? — უკვე გაბრაზებით შეეკითხა მელიტონი.

— აი ამ კაცმა, ყეზრა შათაშვილმა, რომელიც არის ცხინვალელების შთავარი გაბაი, ვბრაელების რჯულის მიხედვით დანიშნა თავის მეუღლედ ესთერ ბერიძე. ეხლა შუაში ჩამდგარა თქვენი სტუდენტი ნათან ჯანაშვილი, გადაუბირებია ქალი და ამ კაცს დაურღვია მთელი თავისი გეგმები.

— ეგ არაფერი. ჩემი ცოლიც სხვაზე იყო დანიშნული, მაგრამ მე მოვეწონე და მე გამომყვა. ეხლა იმ ქალს თუ ჩემი შეგირდი მოსწონს, ძალიან კარგი გემოვნება ჰქონია, თქვენმა მზემ. მე ხომ ვერ დაუშლი იმ ქალს.

— იმ ქალს არა ბატონო — გამწარებით შეჰყვირა ყეზრამ — თქვენს მოწაფეს უთხარით რამე, რომ ხელი აიღოს ჩემს დანიშნულზე.

— რაო?

— ჩამოეთხოვოს ბატონო, ესთერს — არ ეშვებოდა ყეზრა. — ის ქალი ისრაელის და მოსეს რჯულით ჩემი დანიშნულია.

— ეხლა კოლქმრის საკითხი მოსეს რჯულის მიხედვით აღარ სწყდება. ამისთვის არსებობს სამოქალაქო სამართალი. განზრახულია და აღბად მალე გამოვა სპეციალურად საოჯახო კოდექსიც. თუ კი ქალი ნათანს მიჰყვება — საბჭოთა კანონები იმათ მხარეზე აღმოჩნდება.

კოკლმა მელამედმა მიმართა თავის უკანასკნელ „არგუმენტს“:

— ბატონო პროფესორო, ჩვენ მოვედით იმისათვის, რომ საქმე გამოგვიწყობთ. თქვენი პატივისცემა ჩვენს კისერზე იყოს. დაასახელეთ, რამდენს ინებებთ.

პროფესორი შეურაცხყოფისაგან გაფითრდა, საჩქაროდ გავიდა მეორე ოთახში, საიდანაც გამოიტანა უზარმაზარი კომბალი, რომელიც აღმართა თავის ხელში:

— უყურებთ ამ კომბალს?... როგორ გაბედეთ თქვე სპეკულიანტებო... შორს, შორს აქედან. გამეცალეთ შეთქი, ვიდრე თქვენი თავები არ მიმიტეკყია...

მოხუცი პროფესორი დიდხანს ქმინავდა და ბორგავდა.

დამფრთხალმა „დელეგატებმა“ ძლივს ჩაირბინეს კიბე და შიშით იმზირებოდნენ უკან.

როდესაც გავიდნენ „სამშვიდობოს“, კოკლმა მელამედმა მიმართა ყეზრას:

— მშვიდობიანობის გზები დასრულდა...

და ყეზრამაც, ჭურივით, უპასუხა:

— დასრულდა...



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

...ფეხზე იწ — ძიხვდაც კომოტად ძიხვდასიხვდა  
...დაიფურცელს ძეგონს იფ ძიხვდასიხვდა იფურც მს — დაიფურც იფურც

...იმ 3 (სვეტი) ძეგონს იძიხვდაც ძიხვდასიხვდა. ზრუც —  
...აქაიფურცელს ძიხვდასიხვდა ძიხვდასიხვდა. ანდუფურც იფურც

...მას — „დავიდის ფარი“ გადაშლის ისტორიის ახალ  
ფურცელს — იტყოდა ხოლმე ხშირად ნათანი.

მაგრამ ეს არ იყო მისთვის ცარიელი სიტყვები.  
ნათანს ღრმად სწამდა, რომ არამც თუ ახალი ფურცე-  
ლი, „დავიდის ფარს“ უნდა შეექმნა მთლიანად ახალი  
ისტორია.

მას, როგორც ჯგუფის ხელმძღვანელს, სხვანაირად  
ვერც წარმოედგინა და ამიტომაც გასაგებები იყო, რომ ნა-  
თანი დიდი ტემპერამენტით, ენერჯიით და თავდადო-  
ყებულად გატაცებით შეუდგა იმთავითვე მუშაობას.

მუშაობა მას ვერ წარმოედგინა დეკლარაციის ვა-  
რეშე; მისი აზრით საჭირო იყო, რომ გარშემო მყოფთ  
სცოდნოდათ თუ რა სურდა „დავიდის ფარს“ და უპირ-  
ველდეს ყოველისა იგი მიეპარდა ქალაქს და შეუდგა  
წერას.

როცა დეკლარაცია მზად იყო და ამხანაგებს წა-  
კითხა, ისინი ტაშისკერით შეეგებენ, რაც ნიშნავდა მ-  
ერთხმად მიღებას.

დეკლარაციის ტექსტმა მოხიბლა ჯგუფის წევრებს  
აღფრთოვანებულნი სიტყვებით, ახალგაზრდული ცა-  
ლით, გამბედაობით, ბრძოლის წყურვილით და იმ ვა-  
რემოების დაუსრულებელი ხაზგასმით, რომ რევოლუ-  
ციის ისტორია საქ. ემბრაელთა ქუჩაზე იწყებოდა „და-  
ვიდის ფარით“.

აქ უფრო მეტი იყო ზოგადი ამბები, ვიდრე კონ-  
კრეტულად დამუშავებული საკითხები, მაგრამ ეს ვარ-  
მოება არ აწუხებდა ნათანს და ხშირად იმეორებდა:

— დეკლარაციას არ უყვარს დეტალები. დეკლარაციასა და გეგმის შორის არის დიდი მანძილი.

მაგრამ ვიდრე იგი შეუდგებოდა გეგმის დეტალურ დამუშავებას, უკვე დეკლარაციითაც თვალსაჩინო იყო, რომ ნათანს სურდა მოეწყო რაღაც „გრანდიოზული“ ცენტრალური აპარატი „კულტურის სახლის“ სახელწოდებით, რომელსაც უნდა თავი მოეყარა ყველა დაქსაქსული ძალებისათვის. შემოეკრიბა ესოდენ საქიროს ერთეულები, რომლებიც გაფანტული იყვნენ აქაიქ და გაერთიანებული ძალებით დაეწყოთ განხორციელება იმ გეგმისა, რომელიც ჯერ კიდევ არ არსებობდა.

ერთი ცხადი იყო: მთავარი ყურადღება უმთავრესად მიქცეული ჰქონდა კულტურის საკითხებს, ბოლო ფართო მასების ეკონომიური ყოფაცხოვრების გარდაქმნა და გაუმჯობესება „დავიდის ფარს“ მოქცეული ჰქონდა დეკლარაციის უკანასკნელ სტრიქონებში.

გეგმაც წავიდა დეკლარაციის გზით:

ცხრაწლედები, წერაკითხვის უცოდინარობის და მცირე მცოდნეობის სალიკვიდაციო ჯგუფები, ქოხსამკითხველოები, კლუბები, დრამატიული წრეები, მუსიკალური, სასპორტო და სამუზეუმო სექციები, პერიოდული და არა პერიოდული გამოცემები და... საკუთარსტამბაც კი.

ბოლო სტრიქონებში:

სასოფლო-სამეურნეო არტელები და კომუნები, წვრილ ვაჭართათვის საგადასახადო შეღავათები, კოოპერატივების ქსელის გაშლა და უმუშევართა შიგ ჩაბმა.

გეგმის ავტორს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ არც თვითონ და არც მისი ამხანაგები ამ ბოლო სტრიქონებს არ აქცევდნენ სერიოზულ ყურადღებას ორის მიზეზით: ჯერ თვითონაც არ იყვნენ კარგად გარკვეულნი თუ რა სურდათ და მეორე არც სწამდათ, რომ ასე ადვილად შესაძლებელი იყო საქართველოს ებრაელთა ფართო მასებისათვის ახალი ეკონომიური საძირკველის აგება. მიუხედავად ამისა ეს პუნქტი გეგმაში მაინც ირიცხებოდა.

ნათანს სურდა, რომ „დავიდის ფარი“ ყოფილყო კორპორატიულ პრინციპებზე აგებული და ამიტომაც შეიმუშავა მტკიცე შინაგანი განაწესი წევრთათვის, რის შემდეგაც „დავიდის ფარი“ მონათლულ იქნა კორპორაციად.

კორპორაციის წევრებმა შეუქვეთეს ეტონები, რომელზედაც დახატული იყო ორი ერთმანეთზე გადაჯვარედინებული სამკუთხედი და ჩამოიკიდეს ზედატან-საცმელების მარჯვენა მხარეს.

იკრიბებოდნენ თითქმის ყოველ საღამომობით. უმთავრესად — ნათანის ოთახში, სადაც ერთმანეთს უამბობდნენ, თუ რას ლაპარაკობდა ფეთხაინი კორპორაციის შესახებ.

ხოლო ფეთხაინს სინამდვილეში უყვარდა ბევრი ლაპარაკი.

და მთავარი იყო დაცინვა:

— შაულ ათანელიშვილს უნდა საპოენიკობა ასწავლოს ჩვენს ხალხს. ნათან ჯანაშვილს კი დობტურობა და არტიტობა.

— ასეა ძმაო. ნათქვამია: უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო.

— ჩამოუკიდიათ გულზე მაგენ-დავიდები, ვითომ ძალიან კარგი ისრაელები ვართო და უნდათ ამით თვალელები აგვიხვიონ.

— წვერს იპარსავენ, შაბათს სტეხენ, ტარეფას სქამენ და მაგენ-დავიდით უნდათ გაგვაბრიყვონ.

— არ დაუჯეროთ არც შაულს და არც ნათანს. მაგათზეა ნათქვამი: გინდა ქვა ქოთანსაო და გინდა ქოთანი ქვასაო.

მაგრამ არც შაულ ათანელიშვილი ჩამორჩებოდა ფეთხაინს კორპორაციის კრიტიკულ შეფასებაში:

— ინტელიგენტები არიან, ლარიბ ხალხს ეუბნებიან: „მოიცა ვირო, გაზაფხულზე იონჯა მოვა და ვაძლებიო“. ჯერ უნდა ხალხს ასწავლონ და მერე უნდა პური აქა-მონ. მანამდე?

ან და კიდევ:

— სტუდენტებსაც დაუწყიათ ჩვენი ხალხისთვის „ზრუნვა“. გეგმაში, სადღაც კუთხეში მიუწერიათ სტუდენტები და კიდევ რაღაც რაღაცეები. იმათ ხმაურობა უფრო უნდათ, თორემ ეს დანარჩენი ამბები განგებდა შიგ ჩაწერილი.

ახ:

— მართალია, იმათ სწავლა აქვთ მიღებული, მაგრამ ლობე ყორეს მიღებას სჯობია პირდაპირ მოვიდნ და ნახონ თუ რა გააკეთა „პირველმა ნაბიჯმა“. მაშინ ეცოდინებათ თუ როგორ გამოიყენონ თავისი სწავლა.

და ბევრი ამისთანა ამბები, ლაპარაკი და მითქმა მოთქმა მოსდიოდა კორპორაციას ფეთხანის მდიდრებისა და ლარიბებისაგან.

მაგრამ ფანატიკური რწმენა, რომ საბოლოო ჯამში უნდა გაიმარჯვოს „დავიდის ფარმა“ იყო ის ძალა, რომელიც არ უტეხდა მათ გულს და მოუწოდებდა მათ შემდგომი ბრძოლებისათვის.

და ამ რწმენით დღეები მიჰქროდნენ, კვირები ილეოდნენ და თვეებიც აპირობდნენ დათარიღებას, ვიდრე ერთ ნშვენიერ დღეს ყოველ მათგანისათვის არ გადაიქცა უდაოდ ის დებულება, რომ ყოველ დიდ საქმეს თან ახლავს თავისი წვრილმანები და რომ ხშირად ეს წვრილმანები ისე თვალსაჩინონი ხდებიან, რომ ისინი ამოტივტივდებიან ხოლმე ძლიერი ძალით ზედაპირზე და დაუნდობლად წალეკენ უმთავრეს საქმეს, რომლის ადგილსაც მოურიდებლად და უსირცხვილოდ თვითონ ეს წვრილმანები დაიკავენ.



ყოველ მათგანს სურდა თავის გამოჩენა.

იურიდიულად ისინი ერთგვარი უფლებებით სარგებლობდნენ: ყველანი სტუდენტები იყვნენ. ამის გამო რომელიმესთვის უპირატესობის მინიჭება, მეორეს „მეს“ მიაყენებდა საგრძნობ შეურაცხყოფას და ამიტომაც განუწყვეტლივ სტკეპნიდნენ ერთ და იმავე საზღვარს.

ნათანს კარგად ესმოდა, რომ დისციპლინისა პირადი „მეს“ შეთავსება ეს ისეთივე უბედროეობა იყო, როგორც ცეცხლისა და წყლის შეხვედრის სურათი; მიუხედავად ამისა უღაო იყო ირრრე შეშინებული უდისციპლინობა შეუძლებელი იყო, ხოლო „მე“ - თი უღველი მათგანი უხვად იყო დაჯილდოვებული.

დაიწყო სულ უმნიშვნელო წვრილმანიდან ამ დროს, როდესაც კორპორაციას სადისციპლინო წესები ჯერ კიდევ არა ჰქონდა შემუშავებული.

ამხანაგები ეწვიენ ფოტოგრაფს, რომელსაც უნდა გადაეღო კორპორაციის შემადგენლობა.

ჩვეულებრივად ექვსივენი აქ იყვნენ:

არიელი, აბიშაი, იონა, ცები, სიმონი, ნათანი.

ივარცხნიდენ თმას და ისწორებდენ ტანსაცმელს.

— აბა მოეწყეთ — მიმართა მათ ფოტოგრაფმა.

როგორღაც ბუნებრივად ნათანი დაჯდა შუაში. ერთ გვერდზე დაიჯდინა ცები, მეორეზე არიელი. აბიშაი — როგორც დაბალი ტანით, ჩამოჯდა მათ წინ პატარა ქვაზე, ხოლო სიმონი და იონა, ტანით მაღლები, უნდა დამდგარიყვნენ ფეხზე, ამხანაგების უკან.

სიმონს არ მოეწონა ორივე გარემოება, რომ ნათანი შუაში ჩაჯდა და რომ სიმონი იძულებული იყო ფეხზე მდგარიყო უკანა რიგში.

„უკვე დაგვაჯდა თავზე ეს პროვინციელი“ — გაიფიქრა სიმონმა, მაგრამ ხმა არ ამოუღია და პირსაბე აფესო მრისხანებით.

რამოდენიმე დღის შემდეგ სურათი მზად იყო. თითქმის ყველანი გამოსული იყვნენ დამაკმაყოფილებლად გარდა სიმონისა, რომელიც იცქირებოდა საშინელი მრისხანებით და არა ადამიანური სახით.

— ეიზე იყავი, სიმონ, გაჯავრებული? — სიცილით შეეკითხენ თითქმის ყველანი.

ამ ამბავმა, რომ იგი სურათში ცუდათ გამოვიდა უფრო გააჯავრა სიმონი და ხმამაღლა განაცხადა:

— ამისთანა სურათი მე არ მინდა. ჩემს წილს არც ერთს კაპიკს არ გადავიხდით.



ამხანაგებმა იცოდენ სიმონის ხასიათი და აღარ აუხირდენ.

ამბავი მაინც თავისთავად ყველას საწყენად დნობა.

გავიდა ცოტა ხანი.

კრებებს ხელმძღვანელობდა ნათანი, მოადგილეობდა დავალებული ჰქონდა ცების, ხოლო მდივანობა და მოლარეობა აბიშაის.

შემუშავებული წესის მიხედვით კრებაზე დაუსწრებლობისათვის ან დაგვიანებისათვის შემოღებული იყო ფულადი ჯარიმა პირველ ორ შემთხვევაში, ხოლო გაფრთხილება გარიცხვამდე ხელახლად განმეორების შემთხვევაში.

სიმონმა დაიგვიანა ორჯელ და აბიშაიმ, როგორც მოლარემ წაუყენა ანგარიში.

სიმონი სასტიკად განრისხდა და ქალღდი თავზე გადაახნია.

აბიშაიმ დააყენა კრებაზე სიმონის საქციელი და ნათანის წინადადებით სიმონი ამკამად გაანთავისუფლეს ფულადი ჯარიმიდან, ხოლო აბიშაისთან უხეში საქციელისათვის გამოეცხადა კორპორაციის საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

სიმონი ისევ სასტიკად განრისხდა, მაგრამ დაემორჩილა უმრავლესობის გადაწყვეტილებას და გულში ჩაიღო ეს ამბავი.

რამოდენიმე დღის შემდეგ სიმონი გახდა ხშირი სტუმარი ზებულონისა, რომელმაც სიმონის წყალობით, დეტალურად იცოდა კორპორაციის ავი და კარგი.

როცა ეს ამხანაგებმა გაიგეს, სასტიკად დაიბნენ და აღარ იცოდენ როგორ მოქცეოდენ. გამორიცხვასაც ვერ ბედავდენ და გამოურყვეველი მდგომარეობის დატოვებაც საძნელო იყო. ყოველ შემთხვევაში სიმონმა აშკარად შეამჩნია, რომ ზოგიერთ საკითხზე ამხანაგები ერთდებოდენ მასთან ლაპარაკს.

ერთ დღეს კრებაზე იგი მოვიდა მთვრალი.

აბიშაი ავადმყოფობის გამო ვერ ესწრებოდა კრებას და საქირო იყო შემცვლელი მდივანი.

— მე ვიქნები — განაცხადა სიმონმა და კალმეს-  
ტარს წაავლო ხელი.

— ეს არ შეიძლება — განრისხდა ნათანი.

— რისთვის არ შეიძლება, ყმაწვილო? — შეეკითხა  
სიმონი ისეთი კილოთი, რომელშიაც გარკვევით ისმოდა  
მუქარა.

— იმისათვის რომ კრება არსებობს ფხიზლებისათ-  
ვის და არა მთვრალებისათვის.

— სჯობს. მე მთვრალი არა ვარ...

— შენ არცხვენ კორპორაციის წევრის სახელს.

— ხმა აღარ გავიგონო მეტი, თორემ შენი ჯავრი  
ისედაც ყელში მაქვს მოწოლილი ამდენი ხანია და მგო-  
ნია ახლა დადგა დრო გასწორებისა.

ამხანაგები ჩადგენ შუაში:

— დაწყნარდი, სიმონ, არ გრცხვენია? წადი, გამოი-  
ძინე.

სიმონი მთლად აიშალა:

— როგორ ბედავთ, თქვე ასეთ ისეთებო? ილაპარა-  
კეთ რაც სათქმელი გაქვთ. მიმაღავთ არა? გეშინიათ ზე-  
ბულონს არ ვადაეცე, არა? თქვენ გგონიათ ეს პროციხ-  
ციიდან ჩამოთრეული უფრო ღირსია, არა? მე თქვენ გე-  
კითხებით, ვინ გდია ნათან ჯანაშვილი, რომ ის თავმჯ-  
დომარედ ავირჩიეთ? მაგან საყვედურების გამოცხადება  
იცის. მიმიშვით შეთქი, დაფუყეუო მაგას პირისახე...

ამხანაგებმა მოკიდეს ხელი და ძალით გაიყვანეს.

სიმონი თუმცა მთვრალი იყო, მაგრამ მას კარგად  
ესმოდა, რომ ეს იყო როგორც ფაქტიური, აგრეთვე მისი  
ფორმალური ჩამოშორება კორპორაციიდან.

მისი გასვლის შემდეგ ამხანაგობამ გამოორიქხა სიმონი  
თავის შემადგენლობიდან და ამის შემდეგ ექვის ნაცე-  
ლად დარჩენ ხუთნი.

ნათანმა მუწხარებით გადახედა ამხანაგებს და გულ-  
ში გაუელვა:

„ვაი თუ... ხომ არ არის სიმონი პირველი მერცხა-  
ლი? ხომ არ მიჰყვება სიმონს მეორე, მესამე, მეოთხე?  
ხომ არ დაინგრევა „დავიდის ფარი“ ბაბილონის კოშკი-  
ვით და ხომ არ გამართლდება გარე მტრების სისინი.

რომ კოპოროცია ეს არის ქარის მოტანილი ხეხულა, რომელსაც ისევ ქარი გააქროლებს უკან?"

ცების თვალეზში ნათანმა წაიკითხა, რომ ისიც დაახლოებით ასეთ ფიქრებში იყო გართული და რომ გაეფანტა მძიმე შთაბეჭდილება, რომელიც შეეჭმნა სიმონთან მომხდარი ინციდენტის ნიადაგზე, მიმართა ამხანაგებს:

— ჩამოვუშვათ ყურები თუ გავაგრძელოთ მუშაობა?

— რაზედაც მიიღო ამხანაგების პასუხი:

— გავაგრძელოთ. რას ჰქვია ყურების ჩამოშვება.

— ვინც წასასვლელი იყო, წავიდა.

— ჯაშუში მაინც აღარ გვეყოლება ჩვენს წრეში.

— ასე ვთქვათ, მშვიდობიანად გადავიტანეთ ბრმა ნაწლავის ოპერაცია.

ამის შემდეგ ისინი შეუდგენ მორიგი საკითხების განხილვას, თავიანთი აზრების დაუსრულებელ გამოთქმას. მაგრამ ყოველი მათგანი კარგად გრძნობდა, რომ მაინც ახსოვდა მომხდარი ამბავი. როგორც არ უნდა ყოფილიყო სიმონი, მაინც ამხანაგი იყო. ისინი მცირერიცხოვანი იყვნენ და ყოველი ერთეული მათთვის აუცილებელი იყო. ისინი ერთად ჩამოშორდენ ზებულონს და აი, არ გაუვლია ცოტა ხანს და სიმონი უკვე გაიქცა მასთან, რის შემდეგაც არ შეიძლებოდა, რომ თითოეულ წევრს არ მიეცა თავისთვის ასეთი შეკითხვა:

„რაშია საქმე? სად არის ნამდვილი მიზეზი?“

ემწელებოდათ შერიგებოდენ იმ აზრს, რომ მიუხედავად მათი კარგი სურვილებისა, ნათანთანაც გრძელდებოდა ისეთივე ატმოსფერა, როგორიც იყო ზებულონთან. მეთოდებშიაც ნათანი ცდილობდა დაახლოვებით მიეზაბა ზებულონისათვის. მაშასადამე აქ გრძელდებოდა ისევე ძველი და მათ კი სურდათ რაღაც ახალი.

ეს აზრები არ იყო ჯერ კიდევ ნათლად და გარკვევით ჩამოყალიბებული მათ შემეცნებაში, მაგრამ გაუბედავად და მკრთალად, ზედაპირზე დასცურავდა ამისგვარი ეჭვები, რომლებიც ჯერ ვერ ნახულობდენ თავის სათანადო გამოხატულებას.

ოდნავი სიახლე ზებულონის დროსთან განსასხვავებლად მოჩანდა იმაში, რომ „დავიდის ფარს“ შაულ ათანელი შვილისა და მისი საწარმოოს „პირველი ნაბიჯის“ სახით გამოუჩნდა ახალი მებრძოლი.

თავდაპირველად „პირველ ნაბიჯს“ ვერ ამჩნევდეს, უკედ, არ სურდათ შეემჩნიათ. მაგრამ თანდათანობით, საწარმოოს ზრდასთან ერთად, შაულის საზოგადოებრივ ფრონტზე მოულოდნელ ამოტივტივებასთან, კორპორაციის წევრებს გულში დაუწყო უცნაურმა მიწმა ლიტინი:

„ეს ბიჭი უფრო შორს წავა, თუ დროზე არ მივიღეთ ზომები“.

მაგრამ როგორი ზომები? არ იცოდენ რა უნდა ექნათ და დასცურავდენ ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრებში:

— იქნებ გამოვნახოთ მასთან საერთო ენა და ერთად შეუტოოთ ფეთხანის დამყაყებულ უსულგულო მდიდრებს?

— საერთო ენა... ვისთან? ფებსაცმელების მკერაკებთან და ვიღაცა უსწავლელ შაულ ათანელი შვილთან?

— ამისათვის ვსწავლობთ უნივერსიტეტებში?

— შაულს რომ უკვე ხალხი მისდევს?

— ვინ ხალხი? ლარიბები და გაკოტრებულები? მაგრამ განა მარტო ესენი შეადგენენ ისრაელის ხალხს?

და რასაკვირველია, ხალხი, რომელიც აზროვნობს უნივერსიტეტის კედლებში მოხვედრის საზომით, არასოდეს არ გაუტოლებს თავს კულტურულ ფრონტზე „უკანონოდ შობილ“ ახალ პირებს, რომლების კატეგორიასაც მათი აზრით უკმეველად ეკუთვნოდა შაულ ათანელი შვილი.

ყოველი დღე, ყოველი საათი და ყოველი პირი, რომელსაც მოჰქონდა მათთან ამბავი „პირველი ნაბიჯის“ და მისი გამგის მიღწევებისა — აფეთქებდა მათ ახალგაზრდა გულებს და აქეზებდა მათ ყოველგვარი ნაბიჯებისაკენ, რომლებსაც შეეძლოთ მათი აზრით ამ „არანორმალური მდგომარეობის“ ჩანასახშივე აღკვეთა.

ნათანი ხედავდა, რომ კორპორაციის „მუშაობის“ მთელი სიმძიმე ბოლო დროს დაექანა „პირველი ნაბიჯის“ წინააღმდეგ ბრძოლაში, რომ თითქმის მივიწყებული იქნა თავდაპირველად განზრახული გეგმები, რომ წვრილმანები, შური და უპრინციპობა იჭერდნენ ამას იქით ცენტრალურ ადგილს და რომ მას, ნათან ჯანაშვილს ველარ უჯერის საქე ხელში და მას კი აღარ მიჰყავს, პირაქით ის მიჰყვება ინერციით კორპორაციის საქეს.

ნათანმა ეს უპრინციპობა აიყვანა პრინციპში და დააჯერა თავის თავი, რომ დღევანდელ ეტაპზე შაულ ათანელიშვილთან ბრძოლა წარმოადგენს ერთადერთ სწორ გზას, ვინაიდან ათანელიშვილს გეგმებში და საწარმოოში იმალება რაღაც საშიში აზრები, რომლებსაც შეუძლიათ დიდი, გამოუსწორებელი ზიანის მოტანა.

ახალციხელების და ცხინვალელების კანტორებს ზურგი ჰქონდათ ხალხში.

შაულ ათანელიშვილი აპირობდა ღარიბ ხალხში გამაგრებას და იმავე დროს ცხადი ხდებოდა, რომ ახალი მთავრობაც მის მხარეზე იყო.

ამის გამო შაულ ათანელიშვილი უფრო საშიში ხდებოდა, ვიდრე ერთად აღებული ორივე კანტორა.

და საკითხი კორპორაციისათვის იდგა ასე:

— ან „დავიდის ფარი“ ან „პირველი ნაბიჯი“.



ირაკლი გორგაძეს არც ახსოვდა კარგად, თუ ვინ გააცნო პირველად იულია ბერგერი. სწრაფად მას არ უყვარდა შემთხვევით გაცნობილ ხალხთან ნაცნობობის გაგრძელება. მით უმეტეს არ ჰქონდა ამის სურვილი იულიასთან, რომელიც არაერთაზრ გამოხატვისს არ შეადგენდა და ერთი შეხედვით, ძნელი იყო, რომ იულიას რამეთი მიეზიდა ვისიმე ყურადღება.

ხშირად ხვდებოდნენ ისინი ერთმანეთს ქუჩებში: იულია უცქერდა პირპადირ სალამის მაღლოდინში, ხოლო ირაკლი ჩაივლიდა ისეთი სახით, რომ თითქოს არც კი შეუშინებია.

ირაკლის ბრახი მოსდიოდა თავის თავზე:

„რისთვის არ მყოფნის გამბედაობა, რომ საღამო მივცე. იგი ხომ სადღაც გამაცდეს, რას იფიქრებს ჩემზე? რა გაუზრდელი და ამპარტავანია ვინმე ყოფილაო?“

იულიაც კფიქრობდა:

„ეს მგონი ნათანის ამხანაგია, რა დაუშავე, რომ საღამს არ მადღევს?“

და ასე გრძელდებოდა კარგა ხანს, ვიდრე ერთმა ღრუბლიანმა დღემ არ ითამაშა განსაკუთრებული როლი მათ შემდგომ ურთიერთობაში.

ამ ხანებში ამინდი ცვალებადი იყო და ქუჩაში მოსიარულე ხალხსაც სხვადასხვანაირად ეცვა: ზოგი პალტოებში იყო, ზოგი კოსტუმებში და ზოგიც მხოლოდ ხალათებში. ძნელი იყო წინასწარ განსაზღვრა თუ როგორი დარი იქნებოდა.

ტრამვაის გასაჩერებელთან, ერთმანეთისაგან მოშორებით ათი-თხუთმეტი ნაბიჯის მანძილზე იდგენ ირაკლი და იულია და ელოდენ ვაგონს.

იულიას ეცვა თბილად და ხელში ქოლგაც ეჭირა.

ირაკლის ეცვა საზაფხულო ხალათი და ეტყობოდა სციოდა, სურდა რომ მალე მოსულიყო ტრამვაის ვაგონი, სახლში წასულიყო და პალტო გადაეცვა.

ვაგონი კი თითქოს ეინაზე არ მოჩანდა. სამაგიეროდ ცაზე აღარ იყო არც ერთი მოწმენდილი ადგილი. სქელი და შავი ღრუბლები საოცარი სისწრაფით უერთდებოდენ ერთმანეთს და მოულოდნელი ელვაჭექა იყო უდაოსიგნალი იმისა, რომ მალე დაიწყებოდა კოკისპირული წვიმა.

თავის შესაფარებელ ეზომდეც დიდი მანძილი იყო და ირაკლის ეშინოდა გაციებისა.

წვიმა წამოვიდა დიდი ძალით.

იულიამ გახსნა თავის ქოლგა და ბევრი არც უფიქრია, მიუახლოვდა ირაკლის და თავს გადააფარა. ირაკლიმ დაბნეულად გაიღიმა.

— ჩვენ მგონია ნაცნობები ვართ. ხომ არაფერ  
გაქვთ საწინააღმდეგო? — შეეკითხა მწრუნველობით  
იულია.

ირაკლიმ ძლივს მოახერხა:

— პირიქით... გმადლობთ... დიას..

ვაგონი არ ჩანდა, წვიმა კი ძლიერდებოდა, გაჩერება  
უაზრობა იყო და იულიამ უთხრა ირაკლის:

— გაეჩქცეთ. ეს აღმართი ავირბინოთ და იქ ახლოს  
ვდგეყარ. წვიმის გადაღებამდე ჩემთან შეაფარებთ თავს.  
და იულიას, თითქმის არც დაუცდია პასუხისათვის,  
წაავლო ხელი და სწრაფი ნაბიჯებით აიძულა ირაკლი,  
რომ უკან გაჰყოლოდა.

ირაკლი ამჟამად არაფერზე არ ჰფიქრობდა. ჰქონდა  
მხოლოდ ერთი სურვილი, რომ წვიმას გადარჩენოდა, ვი-  
ნაიდან ძალიან ეშინოდა გაციებისა. ხოლო როდესაც ის  
უკვე იჯდა იულიას თბილ და პატარა ოთახში, უნებუ-  
რად გაიფიქრა:

„ვინ იცის როგორი ყოფაქცევის ქალია. ადვილი შე-  
საძლებელია, ისარგებლა შემთხვევით — წვიმით და შე-  
მომათრია თავის ოთახში“.

მეორე მხრივ:

„რომ იულია არა, ძალიან საცოდავ მდგომარეობა-  
ში ჩავარდებოდი ჩემი თეთრი ხალათით“.

ასე თუ ისე ცნობისმოყვარეობამ მაგრად წაავლო  
ხელი ირაკლის და შეუდგა ოთახისა და მისი პატრონის  
ყურადღებით შესწავლას.

ოთახი თბილი იყო, მაგრამ სადა, ღარიბული. ეს არ  
უშლიდა ხელს, რომ ოთახი იყო სუფთა, მყუდრო, სასიამო-  
ვნო. ეტყობოდა იულიას ხელი.

სასტიკად გააოცა ირაკლი კედელმა: ლენინი, სტა-  
ლინი, მარქსი.

„რა უნდა ამ სურათებს ამ ახალგაზრდა ქალის სახ-  
ლში. ნუ თუ მართლა მას პოლიტიკა აინტერესებს?“.

ირაკლის ცნობისმოყვარეობა თანდათან იზრდებო-  
და, როცა გადაშალა ერთად ერთი ალბომი, რომელიც  
იყო იულიას ოთახში: ეს არ იყო ჩვეულებრივი ალბომი  
ნაცნობების ღია სურათებით და სხვადასხვა მეშინური

წარწერებით, ეს არ იყო ლამაზი სახეების კოლექცია, არც გამოჩენილ მხატვართა სურათები, არც ქალაქის სურათები, არც სოფლის... ეს იყო რაღაც განსაკუთრებული, რეალური, საშინელებათა კოლექცია: პეტლიტრას და დენიკინის დარბევების დროს დაზოცილ დასახიჩრებულ ებრაელთა ალბომი.

ფურცელი ფურცელზე გადადიოდა. საშინელებათა სიძლიერე იზრდებოდა: შეუბრალებელი ჰაილამაკები, უღანამაულო და უღონო ხალხი, გადატყავებული კანი, მამფურით ამომწვარი ასოები, კუბოები ასობით, ათასობით...

ირაკლიმ გელარ გაუძლო, გააერცოლა, თმა ყალყზე დაუდგა და ალბომი სასწრაფოდ დახურა.

შეხედა იულიას, რომლის თვალები არც ისე ულამაზო იყო, როგორც ეს წინედ ეგონა ირაკლის; დაუკვირდა უფრო ღრმად და კიდევ ახალი ხაზები აღმოაჩინა ირაკლიმ მათში: წაუშლელი სევდა და გაურკვეველი შიში.

და რომ დაერღვია სიჩუმე, ირაკლიმ განუცხადა იულიას:

— ეს ალბომი კი არა, საშინელებაა. არ შემიძლია გულგრილად ვუცქირო ამ სურათებს.

იულიამ ოდნავ გაიცინა, მაგრამ ირაკლი მიხვდა, რომ ეს არ იყო სიცილი, აქ იყო რაღაც მწარე ტკივილი, თან ბევრის მთქმელი.

ირაკლი ელოდა, რომ იულია აგერ აგერ დაიწყებდა და განმარტავდა თავის სიცილს, მაგრამ იულია, რომელიც გადაეარდა წარსულის მოგონებაში, იდგა გაუნძრევლად და ფანჯრიდან მისჩერებოდა წვიმას, რომელიც აღარ აპირებდა გადაღებას. ბოლოს იგი თითქოს გამოფხიზლდა, მობრუნდა ირაკლისაკენ და უპასუხა:

— თქვენ ვაქცატი ხართ და არ შეგიძლიათ სურათს უცქიროთ. როგორ გაუძლეს ჩემმა თვალებმა, როცა ყოველივე ეს თითონ ნახეს?

და როცა იულიამ წაიკითხა ირაკლის თვალებში თანაგრძნობა, მაშინ განაგრძო:

— ლამლამობით, როცა მძინავს, მეზობლები ამბობენ, რომ მათ ესმით ჩემი კივილი, რომ მე ვყვირი: „მიშ-



ველეთ“. ეს გრძელდება უკვე მეოთხე წელიწადისა და ალარა მყავს ქვეყნად არაფერს: არც დედა, არც მამა, არც და, არც ძმა, არც ახლობელი, არც შორეული ნათესავი. პეტლიურას პაიდამაკებმა ყველანი ერთ დღეს ამოსწყვიტეს, ჩემი თვალების წინ. არ დაინდეს არავინ, არც დიდი და არც პატარა. სისხლით დაკლილა მკვდრების თვალები ისევე ვედრებას გამოხატავდნენ. მე არ ვიცი როგორ ვადაფრჩი, რა იყო ეს: შემთხვევა თუ სასწაული, მაგრამ მე მაინც ვადაფრჩი, რომ ცოცხლად მეტანჯა და გულში მტარებინა უბედური წარსული. მე ალარ შემეძლო დავრჩენილიყავი უკრაინაში, ჩემს სამშობლოში, რომელიც მოიარწყა უდანაშაულო ხალხის სისხლით და სრულიად შემთხვევით გამოვეშურე ტფილისისაკენ.

ირაკლიმ თვითონაც არ იცოდა როგორ მოხდა, წამოდგა, მიუახლოვდა იულიას და ხელზე აკოცა.

იულია დააცქერდა ირაკლის:

— თქვენ გულკეთილი ხართ, ირაკლი. მე კი სხვა-ნაირი მეგონეთ.

— ყოველთვის ასეა. პირველი მცხედვით შეიძლება კაცი შესცდეს. — უპასუხა ირაკლიმ და შემდეგ განაგრძო: — მაშ თქვენ ალარაფინ გყავთ?

— ნათესავები — ალარაფინ. ისე — ნაცნობებიდან მდიდარი როზენფელდის ოჯახი, რომელმაც იქვეა და დარბევამდე უშველა თავს უკრაინიდან გამოქცევით. ხანდახან შევივლი ავგუსტინასთან. ბავშობაში ჩვენ ერთად ვთამაშობდით და ესაა სულ, რაც გვაკავშირებს. სხვა არაფერი გვაქვს საერთო: არც ხასიათი, არც მიზანი, არც მსოფლმხედველობა.

— აბა თქვენ საშინლად ვანიცდით მარტოობას?

— არა. მე მყავს კოლექტიური ნათესავი.

— ეს როგორ?

— მე ეხლა პარტიის კანდიდატი ვარ და როდესაც ვმუშაობ უდიდესი მიზნებისათვის, ვიცი, რომ სიცოცხლეს ვთმობ, უკედ რომ ვთქვა, ჩემი სიცოცხლე საჭიროა.

— თქვენ კომუნისტი ხართ? — შეეკითხა ირაკლი გაოცებით.

— ძალიან ვაოცდით? ეჰ, ამხანაგო ირაკლი, მგონი მომეცით ასე გიწოდოთ, თქვენში მხოლოდ ორი წლის ისტორია აქვს საბჭოთა მთავრობას. თქვენ, რომელთა არ ვანგიცდიათ საკუთარ ზურგზე წარსულის საშინელებანი, არ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ საბჭოთა სისტემა ეს არის ერთად ერთი სისტემა, რომელსაც შეუძლია მოსპოს მთელ მსოფლიოში უსამართლობა ეროვნული ჩაგვრისა და მდიდართა ექსპლოატაციისა. საბჭოების დამყარებამ გადაარჩინა ფიზიკურ განადგურებას დახარჩენი მილიონები. საბჭოების დამშობა — ეს იქნება ამ მილიონების საყაბოში ვაგზავნა, ისტორიის ბორბლის უკუღმა დატრიალება.

ირაკლი ღრმად ჩაადიქრა იულიას სიტყვებმა, რომელსაც იგი ამბობდა გულის სიღრმიდან, ცხოვრების გაკვეთილით და გარდაუვალი რწმენით.

იულია აგრძელებდა:

— პარტია ეს არის ძალა, რომელიც იულიას სიცოცხლის აძლევს შინაარსს, რომ არ ყოფილიყო პარტია, მაშინ ჩემი უნუგეშო ისტორია დამთავრდებოდა ჩვეულებრივი თვითმკვლელობით.

ირაკლის თვალებმა, რომელთაც ნათანი უწოდებდა „კურდღლის თვალებს“ უჩვეულო ძალით დაიწყეს თამაში; იულიას სიტყვებში მისთვის იყო ახალი აღმოჩენა ის გარემოება, რომ სასოწარკვეთილებამდე მისული ადამიანი ვადარჩა ფიზიკურ დაღობვას პარტიის საშუალებით.

„ნუ თუ მართლაც ბალშევიკებს აქვთ ასეთი მაგნეტისებური ძალა“?

და მრავალი საღამოები დასჭირდა ირაკლის იმისთვის, რომ ეს დებულება მისთვის აქსიომა გამხდარიყო.

პროცესი კი დაიწყო იმავე საღამოს მოხუცი პროფესორი მედიტონ გობეჯიშვილის ლექციაზე.

ეს პირადი შიშთხვევა იყო ირაკლის ცხოვრებაში, როდესაც მოხუცი პროფესორის ლექცია ველარ ვაიგო უკედ — არ მოეწონა.

პროფესორი თავის ახირებული აზრების გადასაწყობად ჰქეჩავდა განაყენებულ ისტორიის მტკერს, რომელსაც სიცოცხლის ნასახი არ ეტყობოდა. პროფესორის

აზრებში — მეცნიერება შორდებოდა ცხოვრებას და ირაკლის გონებაში უკვე ისახებოდა გაუბედავი პროტესტი.

მეორე დღეს, იულიას სრულიად არ გააკვირვებია, როცა მასთან ირაკლი შევიდა.

ერთმანეთის გულწრფელობაში მათ უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდათ, მიუხედავად იმისა, რომ იულია ასრულებდა მასწავლებლის როლს, ირაკლი კი ბეჯითი მოწაფის როლს.

დაიწყო წიგნებიდან.

იულია პირველი ქალი იყო, რომელმაც მას გაუწოდა არა ბელეტრისტიკა, არამედ ლენინის რჩეული ნაწერები.

ირაკლიც დაეტაკა მშვიდრით ახალ მეცნიერებას, ახალ სამყაროს, როგორც კოლუმბი ამერიკას და აკვირებდა: რატომ წინედ ასე არ აზროვნობდა, როდესაც აქ ყველაფერი ასე ცხადად, ასე მარტივად, ასე დამაჯერებლად იყო თქმული?

შერცხვა თავის თავისა, რომ იგი ამდენ ხანს არ იცნობდა ლენინს და თავის სირცხვილს იკლავდა იულიას კალთებში.

იზრდებოდა დღითი დღე გრძნობა.

ლენინმა მასწავლებელს შეაყვარა მოწაფე, მოწაფეს — მასწავლებელი. მათ ერთი სიტყვაც არ უთქვამთ ერთმანეთისთვის, მაგრამ რა საჭირო იყო სიტყვა იქ, სადაც ჩაისახა უღიდესი გრძნობა გენიოსის დროშის ქვეშ? ორივენი ჰგრძნობდნენ, რომ მათი ურთიერთობა გადაიხლართა ისეთი მაგარი ჯაჭვებით, რომ მათი გარღვევა მათ ახალგაზრდა ძაღლონეს აღემატებოდა.

არც ცდილობდნენ.

იულიას გვერდით საათები მიჰქროდნენ წუთებივით და ირაკლიმ იცოდა, რომ მისი გულიდან სქოლასტიკა-სამუდამოდ განდევნა ცხოვრებამ.

შეიცვალა ირაკლის მსოფლმხედველობა.

შეიცვალა მისი პირადი ცხოვრებაც.

ირაკლის ცხოვრება წინედ მოთავსებული იყო სემინარებში.

ამიერიდან გაირღვა სემინარების რკალი და ირაკლი იმზირებოდა ვრცელი პორიზონტისაკენ, სადაც იგი შეხედებოდა ლენინელებს.

ამიერიდან მან იცოდა რა იყო მიზანი, ისევე როგორც ბედნიერება, რისთვის უნდა ებრძოლა.

და გული სიხარულით უფეთქავდა:

გული რომელიც ამიერიდან მოწიწებით ატარებდა იულიას სახელს.

ნათანს ვაუკვირდა, როცა მასთან ირაკლი შევიდა. არ ელოდა. შეეჩვია ამ ბოლო დროს იმ აზრს, რომ ირაკლიმ იგი დაივიწყა. არამც თუ სახლში, თვით უნივერსიტეტშიაც ვეღარ ხვდებოდა, სადაც ირაკლიმ ამ ბოლო დროს გამოსტოვა მთელი რიგი სემინარების და ლექციებისა.

— მემღური არა, ნათან? — მხიარულად ჩაუცინა ირაკლიმ და შეგობრულად ხელი გაუწოდა.

— სად ხარ ირაკლი, სად? მოსწყედი ჩვენს პორიზონტს?

— პირიქით, ნათან. ეხლა ამოვედი პორიზონტზე. წინედ მოწყვეტელი ვიყავი, ეხლა—ალარა.

— არ მესმის.

— მოწყვეტილი ვიყავი, ისევე როგორც შენ ეხლა.

— მე?

— ჰო. აი ნათან, მიპასუხე აშკარად ერთ საკითხზე: შენ გაქვს მიზანი ცხოვრებაში? იცი რისთვის იბრძვი? და თუ იბრძვი დარწმუნებული ხარ გამარჯვებაში?

ამ მოულოდნელმა საკითხებმა, რომლებიც დააყარა სეტყვისავეით ნათანს, იგი შეაშფოთა და დააბნია. თან გაიფიქრა:

„მიზანი როგორ არა მაქვს. მაგრამ ვარ თუ არა დარწმუნებული გამარჯვებაში?“

ირაკლი ელოდა პასუხს, მაგრამ ამაოდ. ამხანაგის სახეზე იგი კითხულობდა მხოლოდ გაოცებას და ხელოვნურ ღიმილს.

— დამუნჯდი, ნათან?  
— მე შაინც არ მესმის, რისთვის დაგჭირდა ეს სკანდალი?  
კითხები. ამერიკა აღმოაჩინე?  
— მე აღმოვაჩინე სიმართლე.  
— რომელიც დღემდე არ იცოდა?  
— არ ვიცი, ისევე, როგორც შენ არ იცი არც.

ახლა.

— გინდა მასწავლო?

— მე მასწავლებლად ჯერ ვერ გამოვდგები. ამისთვის საჭიროა შეისწავლო ლენინი.

— ლენინი? — და ნათანი უფრო მეტის გაოცებით დააქტერდა ირაკლის, ვინაიდან ნათანის ღრმა რწმენით ამ სიტყვას უნდა მოჰყოლოდა კიდევ რაღაც ამბავი, კონკრეტული, ახალი.

ირაკლიმ პასუხის ნაცვლად გაუსწორა მეგობარს თვალი თვალში, მიუახლოვდა, მხარზე ხელი დაადო და გაჩერდა უსიტყვოდ.

ამ სიჩუმემ ნათანი ერთხელ კიდევ დაარწმუნა, რომ ირაკლიში მოხდა გარკვეული ცვლილება და მოულოდნელად გაიფიქრა:

„რა უნდა იყოს ისეთი... ხომ არ დაეკარგა ირაკლის... მაგრამ როგორი ეგოისტები ვართ ადამიანები... უპირველეს ყოვლისა ვფიქრობთ საკუთარ თავზე“.

ხოლო ირაკლის თვითონაც მოჰკიდა ხელი, გაანჯღრია და უთხრა:

— აღარ იტყვი? — რაზედაც ირაკლიმ მტკიცედ დახაზვასმით შეატყობინა თავისი უკანასკნელი ნაბიჯის შესახებ:

— დღეს მივეცი უჯრედს განცხადება პარტიაში მიღების შესახებ.

ციემა ოფლმა გადაასხა ნათანს და რეტდასხმულივით გაშეშდა. ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდა ირაკლის ასეთ ნაბიჯს და ჰქონდა ისეთი გრძნობა, თითქოს მას, ნათანს, მოულოდნელად ფეხქვეშ გამოაცალეს ნიადაგი. ძნელი იყო ამ ფაქტთან შერიგება და ასე ადვილად ნათანი არც აპირობდა დათმობას. გადასწყვიტა შეკამათებოდა, რომ როგორმე დაებრუნებინა მეგობრის თავი.

- ირაკლი! შენ უკვე შეიტანე განცხადება?
- მე გითხარი.
- შემცდარი ნაბიჯია.
- არა, ნათან. მე შინდა გულწრფელად შენც ვიყავი.



წილი.

- ირაკლი!
- რა ნათან?
- მაშ შენ ამიერიდან აღარ გწამს ცნება... ერი?
- ჩემთვის ამიერიდან არსებობს ორი ცნება: ბურ.

ეუაზია და პროლეტარიატი.

- საქართველო?
- საქართველო ამით მხოლოდ მოიგებს. გაივლის წლები და შენ დაინახავ, რომ საქართველო აღორძინდება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების ხელით.

- ებრაელები?
- ებრაელი ხალხის ნამდვილი მეგობარი მხოლოდ ბალშევიკური პარტიაა. სხვა პარტიებს ებრაელები არ უყვართ. სხვა პარტიების ხელში ისინი წარმოადგენენ შრმა იარაღს, სათამაშო ტიკინას. მე აღარას ვიტყვი მონარქისტებზე და კადეტებზე.

- ებრაელ ვაჭრებს ბალშევიკები სდევნიან.
- სდევნიან ისევე, როგორც სხვა ყველა ეროვნება. — თა მდიდრებს, წურბელებს და ექსპლოატატორებს. მათ არ სდევნიან როგორც ებრაელებს, არამედ როგორც კლასს.

— ებრაელები ჰკარგავენ თავის სახეს. მათ არ გააჩნიათ სამშობლო. საოცარი სისწრაფით მიექანებიან ასსიმილიაციისაკენ.

— თუ ეს საჭიროა მათი და საერთო კეთილდღეობისათვის, ამაში არაფერი ცუდი არაა. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ გარდამავალი ხანის მანძილზე, საბჭოთა მთავრობა რუსეთის უზარმაზარ ტერიტორიაზე გამოინახავს თავისუფალ მიწებს, რომლებზედაც დაიწყება ღარიბ ებრაელთა მოსახლეობის გადაყვანა.

- ჩვენში? — ირონიულად შეეკითხა ნათანი.
- ჩვენში... საერთოდ მიწების დიდი კრიზისია. მაგრამ შეიძლება აქაც გამოინახოს ორი ან სამი ათასი

პეტარი მიწა, რომლის დამუშავებასაც შეისწავლიან  
საქართველოს ღარიბ ებრაელებს.

— ზღაპარია — თითქმის წამოიყვირა ნათანმა.

— ამ ლამაზ ზღაპარს რეალობად გადაიქცევის თუ  
ტიის ნება.

„ძალიან შორს შეუტოპავს და ვაი თუ უკან დასაბ-  
რუნებელი ხიდეები აღარ დაუტოვებია“ — გაიფიქრა ნა-  
თანმა თავისთვის, ხოლო ირაკლის კი ერთგვარი ვულის-  
წყრომით უთხრა:

— ძალიან ძალე მოუწამლიათ შენი უმანკო ორგა-  
ნიზმი. საოცრად მეჩვენება, რომ შენი კურდღლის თვა-  
ლებიდან დღეის შემდეგ იცქირება ბალშევიკი.

— მოწამლული ის არის, ვისაც ძილს უფრთხობს  
სიტყვა ბალშევიკი. მე კი საოცრად ის მეჩვენება, თუ  
რატომ აქამდე არ გადავდგი ეს ნაბიჯი.

სათქმელი იწურებოდა. უფსკრული ღრმავდებოდა.  
ერთიერთმანეთის არ ესმოდათ და საჭირო სიტყვებიც  
ენას აღარ ეკარებოდა.

უნებურად ნათანს თვალწინ წამოუდგა შაული და  
დააყენა ის ირაკლის გვერდით:

„შაული. ირაკლი. სხვადასხვა ხალხია. მაგრამ აზ-  
როვნობენ ერთნაირად. კლასების ენით. ერის დაყოფით.  
როგორ ცდებიან, როგორ ცდებიან“.

ნათანს უკვე ერიდებოდა პირდაპირ შეეხედა ირაკ-  
ლისათვის, რომელიც მის ეუბნებოდა:

— მე რომ შენს ადგილას ვიყო ნათან. დიდი ხანია  
შევიდოდი პარტიაში, ვინაიდან ღარიბ ებრაელთა კე-  
თილდღეობისათვის — ეს არის ერთად ერთი გზა.

— შემცდარი ხარ, ირაკლი. არა. არა. მე არასოდეს  
არ დავიჯერებ, რომ ეს არის ერთადერთი გზა.

— შინ მიხვალ პატრიასთან.

— არა.

ირაკლი მოემზადა წასავლელად.

ნათანს უნდოდა ეკითხა მისთვის: „ასე ძალე?“ მაგ-  
რამ სიტყვები ენაზე გაუჩერდა.

ირაკლიმ გაუწოდა ხელი და წასვლისას შეეკითხა:

— ნუ თუ ჩემმა მსოფლმხედველობამ ასე დაადრ-  
ხო შენი შეგობრული გრძობა?

ნათანმა გაურკვეველად მხრები ასწია.

მაშინ ირაკლიმ კიდევ ერთი საკითხი მისცა: დასრულებულია

— შე მალე ცოლს ვიოთავ... ქორწილზე შეგობრულია  
ვალ?

ნათანს ჯერ ეგონა, რომ მას ეხუმრებოდა, ბოლო  
როდესაც ირაკლიმ შეხედა პირდაპირ, ექვს უკვე აღარ  
ჰქონდა ადგილი და პასუხის ნაცულად ძლივს მოახერხა:

— ვინ არის შენი საცოლე?

— შენ იცნობ... იულია ბერგერი.

— იულია?... შენ არაფერი ვითქვამს ამის შესახებ  
ჩემთვის.

— ეს მოხდა მოულოდნელად, ამ ბოლო დროს. მაგ-  
რამ ეხლა სულ ერთია, შენ ამას არ მიაჩნევ ისეთ ჯე-  
როვან ყურადღებას. შენ შეგაშფოთა ჩემმა განცხადებამ.

ნათანი გრძობდა, რომ ირაკლი ამბობდა სიმართ-  
ლეს: ნათანი ჯერ კიდევ ირაკლის მსოფლმხედველობა-  
ზე ფიქრობდა.

ამის შემდეგ მას აღარც კი ახსოვდა, როგორ გა-  
მოესალმა ირაკლის.

გულისტკივილით და მწუხარებით გამოიღო ყუთი-  
დან თავის დღიური და შეუდგა წერას.

ენდობოდა ყვითელ ფურცლებს.

გადაჰქონდა თავისი თავის ნაწილი ამ პატარა ქა-  
ლადებზე.

სწერდა და სწერდა.



„ნათან ჯანაშვილის დღიუკიდან“

„ცუდათ ხომ მაინც არაჩაიღლის  
ეს გამწირულის სულსიკეთება  
და გზა უვალი შენგან თელილი,  
მერანო ჩემო, მაინც დარჩება“.

ტფილისი, 20 იანვარი 1923 წ.  
ღამის 12 საათი

„მიყვარს პარათაშვილი. მიყვარს მისი ყოველი  
ღეჭილი.“

ჯერ არც ერთ პოეტს არ ჩამოუკრავს ასე ღრმად  
ჩემი გულის სიმებზე.

მწუხარება, მარტოობა, სულის ობლობა, მიზნის  
ძიება, მარადიული სევდა... და ყველაფერი რაც ეკუთ-  
ვნის მის კალამს, ასე ახლოა, ასე მშობლიური.

მაგრამ ყველაზე უფრო მე მაინც მიყვარს ეს ოთ-  
ხი სტრიქონი, რომელიც ჩემი აზრით ლოლიკური გამა-  
რთლებდაა იმ საკითხისა, რომელიც პოეტს დაებადა  
მტკვრის პირას: „მაინც რა არის ჩვენი ყოფა წუთისოფე-  
ლი, თუ არა ოდენ საწყაული აღმუცებელი?“.

იღია ქავჭავაძე ამბობს, რომ „მერანი“ ეს წინასი-  
ტყვაობაა „სულო ბოროტოსი“ არა მარტო იმიტ, რომ  
წინ არის დაწერილი, არამედ შინაარსითაც. „სულო  
ბოროტში“ მიზეზია ნაპოვნი იმ გონების და სიცოც-  
ხლის აღმფოთების, რომელიც შევად მღელვარე ფიქ-  
რად მისევია ჩვენს პოეტს „მერანში“ და ის მიზეზი მსუ-  
სხავი და მწვავე ეჭვი, რომელმაც პოეტს მოუკლა

„ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება“, დაუქარგა „სუდის მშვიდობა“, აღუთქვა და აღარ მისცა თავისუფლება ამ წუთისოფლად.

არა, არ მინდა დავეთანხმო ილიას, არ მინდა დავუცვა ცვა ქრონიკალური თანმიმდევრობა და მინდა, რომ „მერანი“ ჩავთვალო დასასრულად და არა დასაწყისად. მე მინდა რომ ბარათაშვილს სიცოცხლის დასასრულს სწამდეს, რომ გზა უვალი მისგან თელისი — მაინც დარჩება.

ამაშია ცხოვრების აზრი და ფილოსოფია, რომელსაც ერთნაირად შეეწირენ: ბარათაშვილი, მიცკევიჩი, ლერმონტოვი და ბაირონი.

მე ღრმადა მწამს, რომ ცხოვრება ეს არის განუწყვეტელი ბრძოლა და რომ ერთი წუთით დავიძაღვი, რომ ეს ბრძოლა გადაივლის შარშანდელი თოვლივით და მისგან არაფერი არ დარჩება — მაშინ მხოლოდ ერთი გზაა: არა მარტო „ფიქრები მტკერის პირას“, არამედ მთელი სხეულითა და სულით სამუდამოდ უნდა მივეებარო მტკერის აწვირთებულ ტალღებს.

● ● ●  
„ცხოვრებაში ბევრი რამე ხდება. არ შეიძლება ყველაფერს გამოეხმაურო, ყველაფერს გაუწიო ანგარიში. მაშინ მოვლენები და ფაქტები იზვიანებენ, ჩვენს სუსტი გული კი ნაღველით აღივსება; ეს ნაღველი ყოველდღიურად გაიზრდება და ერთ მშვენიერ დღეს გულში აღარ დარჩება ადგილი და მოხდება კატასტროფა“.

აღარ მახსოვს რა საკითხს ვარჩევდით.

ერთი კი უდაოთ ჩამრჩა თავში, რომ ეს სიტყვები ეკუთვნის ჩვენ მოხუც პროფესორს, საყვარელ შელიტონ გობეჯიშვილს.

კარგია-თეორიულად. მაგრამ პრაქტიკულად?

იქნებ შენ არც კი გრძნობ, ძვირფასო პროფესორო, რომ ამ წუთებში თვალწინ მიდგას შენი ჭალარა თავი, მრისხანების ნაოჭებით სავსე მუხლი, გულის სიღრმედე შიირალი პატარა-თვალეები, რეჟისორული მკლავები და თავისებურად მიმზიდველი ენა, რომელიც ისევ და

ისევ მაძლევს რჩევას, რომ არ შეიძლება ცხოვრებაში ყველაფერს გამოეხმაურო?

მაგრამ რატომ არ მასწავლე, პროფესორო, სად არის წყარო, საიდანაც შემეძლოს ამოვწოვო ასულგრაი ძელობის ძალა?

ფაქტები ფაქტებად რჩებიან და მათი დავიწყება ჩემს პატარა ძაღლს ალღობს.

მე ეს ფაქტები გადმომაქვს ჩემ, დღიურში. მათი თარიღი—დღევანდელი დღეა, მაგრამ მე არ ვაგვიანებ, მე მათ ვუკეთებ დაუყონებლივ ფიქსაციას.

წაიკითხავს ვინმე ოდესმე ჩემს დღიურს, გაიღიმებს დამცინავად და იტყვის ჩემი მისამართით: „რა მოცლილი ვინმე ყოფილა ეს ნათან ჯანაშვილიო!“

თავისთავად პატარა ფაქტებია, უმნიშვნელო, უფერული. შეიძლება მართლაც არ ღირდეს მათზე ყურადღების მიქცევა, მაგრამ რა ვქნა, როდესაც არ შემიძლია მათ გულგრილად აუარო?

ადრე დილით ჩამოვიარე ფეთხანის, იერუსალიმის და სიონის ქუჩები. შევედი თითქმის ყველას მაღაზიებში და დუქნებში ბენიამინ ბერიძისა და ყეზრა შათაშვილის გარდა. ვეხვეწებოდი ყველას, რომ გაესაღებინათ ჩემთვის ბილეთები. („დავიდის ფარა“ მალე საღამოს აწყობს თავისი კულტურული ფონდის გასაძლიერებლად). რეალურად ძალიან ცოტა ვაგვაკეთე. ხალხი ბუზივით ტრიალობდა, წინდაუკან მირბოდნენ. ატრიალებდნენ უთვალავ ფულებს და როდესაც მივმართავდი რომელიმე მათგანს, მე ვკითხულობდი მათ შესფოთებულ სახეებზე, რომ მე მათ ხელს უშლიდი, რომ მათ ჩემთვის არ ეცალათ და რომ მე მათ მივაჩნდიოთ რაღაც ვანსაკუთრებულ ექსპონატად.

ვიღაცამ გადმომიგდო ერთი ოსმალური ლირა. მე დავიბენი და არ ვიცოდი რა მექნა, ხელში მეჭირა იგი და უცნაური თვალებით დავეჭეროდი უცხოეთის ვალიუტას.

გვიან გამახსენდა, რომ ვინც „მიწყალობა“ ეს ერთი ლირა, ის უკვე მაღაზიაში აღარ იყო. მაშ ვისთვის უნდა მიმეცა ბილეთი? ალბად მისი ამხანაგებისათვის ან

ნათესავეებისათვის, რომლებიც დარჩენ მალაზიაში. მოგ-  
ხიე ბილეთი და გავუწოდე. რომელიღაც მოხუცმა გ-  
მომართვა, გაიღიმა და მითხრა:

— სულ ერთია, ჩვენ მაინც ვერ წამოვალთ, <sup>ნაღ</sup>  
გვცალია თეატრებისთვისო...

და როდესაც შეატყო ჩემს სახეზე დიდი გაოცება,  
მაშინ თითქოს ჩემს დასამშვიდებლად დაუშატა:

— პატარა ბავშვს გამოგვზავნითო...

ეს მეტის მეტი იყო. აივსო მოთმინების ფიალა და  
კინალამ დავიყვირე:

„შერცხვით თქვენც და თქვენი გამოგზავნილი ბავ-  
შვიც, ვის რაში უნდა თქვენი ბავშვი? იმის მაგივრად,  
რომ თვით მოხვიდეთ, გაეცნოთ ჩვენს პროგრამას, ჩვენს  
ახალ სიტყვას, „დავიდის ფარის“ უდიდეს იდეალებს,  
თქვენ დაგვცინით, გვიცქერით ზევიდან, გვეპყრობათ  
მათხოვრებებით და თან გულს გვიკლავთ: „ბავშვს გამოგ-  
ვზავნითო“. არაფერი არ მინდა თქვენი“.

მაგრამ ეს სიტყვები გულში ჩავიმარხე და ხმამალ-  
ლა ვერ წარმოვთქვი.

მე ისევ ვიდექი ქუჩაში და უცქეროდი ამ შავ ბირ-  
ქას მოფუსფუსეს, მოუსვენარს, ფულის კერპად გადა-  
შქცევს. ისევ გაშლილი მეჭირა საცოდავი ღირა, რომე-  
ლიც ჩავარდა ჩემს ხელში. ამ დროს მომიახლოვდა ვი-  
ღაც ახალგაზდა მდიდრულ შუბაში, ინგლისური ლურ-  
ჯი შევიოტის კოსტიუმში, პირში ოქრო კბილების ჯა-  
რით, ყელზე აბრეშუმის ყელსახვევით და თავზე შავი  
ფაფახით:

— ჰყიდი?— შემეკითხა იგი.

მე ვერ გავიგე, რა უნდოდა ამ კაცს ჩემგან, ხოლო  
მან მიმითითა ღირაზე და საკითხი ისევ გაიმეორა.

მაშინ მივხვდი, სასტიკად გავწითლდი და ზურგი  
შევაქციე.

ჩემმა დაბნეულობამ კინალამ არ გადაშაქცია სვე-  
კულიანტად, შავი ბირქის მაკლერად!

ეს მგონია აბიშაის ხელობაა. დეე იმან უყოს რეა-  
ლიზაცია ამ დასაქცევ ღირას.

მე კი აღარ შემძლია შეტი ამ ქუჩაზე დგომა და  
სომხის ბაზართი გავდივარ რუსთაველის პროსპექტის  
კენ.

უცნაურია: რატომღაც მიყვარს ქინძისთავეები და  
საერთოდ საკანცელარიო ნივთები.

ჩემს ტანსაცმელზე, ზედა ჯიბის თავზე ყოველთვის  
მაქვს გამწვრივებული ოთხი თუ ხუთი ქინძისთავი. ხან-  
დახან ისინი მიწვევენ სამსახურს რამოდენიმე ქალაქის  
შესაერთებლად. მაგრამ რა ვიცი, რომ ამ ქინძისთა-  
ვებს შეეძლოთ ჩემთვის მოეყენებინათ ესოდენ დიდი  
გულისტკივილი, დაუვიწყარი შეურაცხყოფა.

მივდივარ პროსპექტზე. მილიმის ნაცნობი სახე და  
შეც სინარულით ვეგებები მას. ხუმრობა საქმეა? ცნობი-  
ლი პოეტია, რომელიც შემთხვევით გამაცნეს ამ რამო-  
დენიმე დღის წინედ, რომელიღაც მეორე პოეტის სა-  
ლამოზე.

მე ძალიან თავი მომაქვს ამ ნაცნობობით. მე სია-  
მაყით ვეუბნები ხოლმე ჩემს ამხანაგებს: „მე უკვე ვიც-  
ნობ ამა და ამ პოეტს“.

და მართლაც მიხარია. საერთოდ მიხარია ხოლმე,  
როცა ვეცნობი ცნობილ მწერლებს. „რამდენ რამეს ვის  
წავლი მათგან, რამდენ ახალ ახალ აზრებს გავეცნო-  
ბი“.

და აი, როდესაც მომიახლოვდა ცნობილი პოეტი,  
მე თავაზიანობით და პატივისცემით ვართმევ მას ხელს,  
ვაგრძელებ მასთან გზას და ველი, რომ აგერ ის მეტ-  
ყვის რაღაცა ჭკვიანურს, რაღაცა ახალს, რაღაც საინ-  
ტერესოს.

მაგრამ იგი იცქირება ირონიულად ჩემი ტანსაცმე-  
ლისაკენ. მე არ შესმის რა დაპკარვა იმან ჩემს ტანსა-  
ცმელზე და იმისი მზერა თანდათან სიწითლეს შგერის  
სახეზე.

ოცტა ხანს მივდივართ ჩუმად, ხმაამოუღებლად და  
უცბად... იგი იხრება ჩემსკენ, სიცილით მაძრობს ერთ  
ქინძისთავს და მეკითხება:

— არ დაგვიწყებია ძველი ხელობა?

1

მე არ მესმის რა საკითხია და გულუბრყვილოდ ვეკითხები:

— რა ხელობა?

— ჩინძისთავეებით ვაქრობა—მიპასუხებს ცნობილი პოეტი, რომლის ხმაშიაც მე მესმის ერთგვარი გესლი, შხამი, სარკაზმი.

შეიძლება გულკეთილი, მეგობრული დაცინვა?

არა. მხოლოდ ბოროტებით აღსავსე გესლი. ასე გაინხამურეს ჩემს ყურებში.

ძველადგანვე მიღებული იყო: როცა წაიჩხუბებოდა ორი კაცი, დამსწრენი ამბობდენ—ივანე და პეტრე წაიჩხუბენო, მაგრამ თუ ეს ორი კაცი ებრაელები იყვნენ არასოდეს არ იტყოდენ—აბრაძი და მოშე წაიჩხუბენო. მაშინ სხვა პასუხი იყო მზად: ებრაელები წაიჩხუბენო.

„ებრაელები!“

ამაში იყო მთელი ტრადედია და მე გვიან მივხვდი ამ პასუხის ახსნას: თურმე ყოფილა მოჯადოებული წრე ურთიერთის პასუხისმგებლობისა. თურმე უნდა აგოს პასუხი ერთმა. ებრაელმა ყველა ებრაელების მოქმედებისათვის და ყველა ებრაელებმა უნდა აგონ პასუხი ერთი ებრაელის მოქმედებისათვის.

ვაქრობა—საძრანისი საქმეა. მე არ მიყვარს არც ვაქრობა და არც ვაქრები. მე არ მიყვარს საკუთარი მამაც კი. როცა გამახსენდება, რომ ის ვაქარია. წვრილი ვაქარია, ღარიბია, მაგრამ მაინც ვაქრის ლაქა აქვს შუბლზე წაცხებული. მამაჩემი არაა დამნაშავე, ისტორიაა დამნაშავე. მაგრამ ეს ჯერჯერობით საქმეს არა ცვლის. მე სულ სხვა გზა მაქვს არჩეული და არაფერი არ მაკავშირებს ამ უკულმართ პროფესიასთან.

მაგრამ ამ კაცს, ჩემს გვერდით რომ დგას, ცნობილ ქართველ პოეტს, მაინც და მაინც უნდა, რომ მე მაგებიანოს პასუხი ჩემი თანამოძმეთა „ძველი ხელობისათვის“. რომელსაც მან თავი მოუყარა „ჩინძისთავეებით ვაქრობაში“.

„არა, პატრივციემულო პოეტო! ძალზე შემცდარი ბრძანდებით. მე არა ვვაქრობ ჩინძისთავეებით. მე ვუც-

ქერ ცხოვრებას შეიძლება ისევე, როგორც შენ და დრო  
მოგე...  
2023-09-05 11:11

მაგრამ ამ სიტყვებს მე მხოლოდ ვფიქრობ და ვიცი  
რომ ეხლაც ვერ წარმოვსთქვამ ხმაშაღლადას ჩემი  
მობაასის გასაგონებლად.

არა. დღეს ბედი არ მწყალობს, დათარსული დღეა.  
მე ისევ მარტო ვარ და ვეკითხები ჩემს თავს: „რა  
ექნა ეხლა? ავილო ხელი სალამოს მოწყობაზე, თუ..?“

„დიან: „თუ“.

ამაშია საქმე. ეხლა ისე, როგორც არასოდეს, საჭი-  
როა პირველი ყუშბარის აფეთქება. მოვიდენ ვინც მოვ-  
ლიან, დაესწრონ ვინც დაესწრებიან! თუ დიდები არ  
ინებებენ მობრძანებას, მაშინ ეს პატარები გადასცემენ  
მათ. თუ რა ნახეს „დავიდის ფარის“ მიერ გამართულ  
სალამოზე.

დე ამ სალამომ ამოატივტივოს ჩაინი ცხოვრების  
ბნელი ძაღლები ზედაპირზე! დე შეწყდეს გველთა სისინი,  
რომელნიც მოკალათებულან ფეთხაინის ქაობში და მთე-  
ლი საუკუნეებით სწამლავენ გარშემო ჰაერს!

დე..

25 იანვარი. ნაშუადამეჯ.

სალამო, რომელსაც ველოდი მთელი რიგი დღეების  
განმავლობაში ასეთი გულის ფანქვალით—ეს ეს არის და-  
სრულდა. მაგრამ მე მინდა, რომ ზოგიერთი მნიშვნე-  
ლოვანი დეტალები, რომელიც თან ახლდა სალამოს,  
ინახებოდეს ჩემს დღიურში. იქნებ მიუდგომელმა არქი-  
ვარიუსმა თავის დროზე გამოიყენოს როგორმე.

არ მოსწონდა არც ცების ეს საშინელი დაყოფა:  
ახალციხელები, ცხინვალები, ლახლუხები, აშქენაზე-  
ბი. ჩემსავით შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს და  
იღბად იმიტომ, რომ ისიც პროვინციელია. ასე თუ ისე  
გამოსავალის ძებნის დროს ცებიმ უცბად მოისურვა შე-  
ქსპირის შემკვიდრეობა.

მოვიდა და მითხრა:

— ევი წარმოიდგებს როგორ დამიპყრო პამლეტმა, მე უნდა გავიმეორო მისი ხერხიო.

თქმა და ასრულება ერთი იყო. ცებიმ მორცხვად და მორიდებით წამიკითხა ინსტენიროვკის მსგავსი თაღვისი საკუთარი ნაწარმოები.

ყოჩალ, ცები! მე მის უახლოეს მეგობარს არც კი მეპარებოდა ეჭვი, რომ ჩვენი ცები, ასე უხვად იყო დაჯილდოებული საამისო ნიჭით. იგი შემეკითხა მოკრძალებით: „ქარგიაო?“

მე ლიტერატურული კრიტიკოსი არა ვარ, მაგრამ „ქარგია“ რომელია? შედეგია! აქტუალურია! ზედგამოჭრილია! „დავიდის ფარისათვის“ საუკეთესო ყუშმარაა!

მომქმედი პირები—ფეთხაინის მესვეურები, აქ ყველა ნაცნობებია: ბენიამინ ბერიძე, ყუზრა შათაშვილი, გაბაი შენაშე, რესტორანის პატრონი ეფრაიმი, ძია დათო.

სახელები აქვთ—მხოლოდ გამოცვლილი. აქტიორები შევარჩიეთ: ზოგი გარედან, ზოგიც გამოვიყენეთ საკუთარი ძალები.

სალამოს პასუხისმგებელ ხელმძღვანელად გამოვძებნეთ „ნეიტრალური და უწყინარი“ ინტელიგენტი, რომელსაც რატომღაც უწოდებდნენ პეტია მარკოვიჩს. ბოროტი ენები ლაპარაკობდნენ, რომ მას ბავშობაში „ხაიმი“ ერქვა და წარმოშობით ეკუთნოდა ახალციხელებს. როდესაც დაასრულა იურიდიული დარგი, იგი ნოტარუსის როლსაც ასრულებდა. ჰქონდა დიდი კერძო პრაქტიკა და ამიტომ ერთგვარი ავტორიტეტიც ჰქონდა.

საოცარი კაცია პეტია მარკოვიჩი: უაღრესად ზრდილობიანი, თავაზიანი, ხანში შესული, პატარა ბავშვებსაც ელაპარაკება თქვენობით, ქართული ეძნელება, ტანად პატარაა, დაბალი, საკმაოდ ნაყვავილარი, დადის შავი სათვალეებით. არ უყვარს პოლიტიკა. როცა ვინმე ჩამოუგდებს ლაპარაკს ამ თემაზე იგი სასწრაფოდ ცდილობს გადაარჩეს ამ ამბავს:

— დამანებეთ თავი, არაფერ ხლაფორთში გავეზაო.



აი სწორედ ეს კაცი, დანამდვილებით არ მახსოვს ვისი რჩევით, გამოვაცხადეთ აფიშაზე სალამოს პასუხისმგებელ ხელმძღვანელად.

სალამოს რვა საათამდე არც შევემცდარვართ. პეტია მარკოვიჩი იშვიათი ენერჯით დარბოდა წინდუკან, კულისებში, სცენაზე, პარტერში, ფოიეში, სალაროში, ნუფერში...

ყველგან ყველაფერი თავის რიგზე იყო და პეტია მარკოვიჩიც უაღრესი ნასიამოვნები განიერად დასერიწობდა თავის პატარა ფეხებით.

რვა საათისათვის გავწიე თეატრისაკენ, ვინაიდან ხალამოს პროგრამის ჩატარება მე მქონდა დავალებული. მიუახლოვდი აბას-აბადის მოედანზე თეატრის შენობას. რომელიც ოდესღაც ატარებდა კამერული თეატრის სახელწოდებას, სადაც პირველად ამოსულა კინარეგას „მზე“ და რომელსაც წინედ ეტანებოდა თურმე დიდძალი ხალხი.

გულისძგერამ მომიმატა და კინალამ თვალთ დამიბნელდა, როცა დავინახე, რომ მოედანი სავეს იყო ქალით და კაცით, უნდა გამოვეტყდე: არ მოველოდი, სალაროსთან უზარმაზარი კუდია. არის ნერვიული მდგომარეობა, ყვირილი, კივილი, ერთმანეთზე მიწოლა. ყველას უნდა დასწრება, ეშინიათ რომ ბილეთები აღარ იქნება.

„ნეტავ რა მოხდა? რამ მოუარა ამ ხალხს!“ გავიფიქრე და გავემართე კარებისაკენ.

ხმაურობა კი ისევ სასტიკად გრძელდებოდა. ეტყობა პეტია მარკოვიჩიც არ ელოდა ამდენ ხალხს, თორემ წესრიგისათვის უფრო ენერჯიულ ზომებს მიიღებდა.

წესრიგის დამყარება ჩვენს ხალხში—ასე ადვილი საქმეა არაა. ესეც მთელი პრობლემაა. ეტყობა ამასაც თავის მიზეზები აქვს და ამ მიზეზების აღმოსაჩენად დეესხვამ ვინმემ იტენოს თავი. კარგი იქნებოდა, რომ ზებულონს მოეკიდა ხელი. იმას უყვარს წესრიგი.

ჯერჯერობით კი წესრიგის დარღვევის იშვიათი სურათია.

ისმის სხვადასხვაგვარი ყვირილი:

- გამჭყლიტეს... გამჭყლიტეს...
- მი-ლი-ცი-ო-ნერ!
- მიიწიე, რო გეუბნები...
- ვის აქვს ზედმეტი ბილეთი?
- ვიძლევი ორ ზომას.



ამ მოედნიდან კარებამდე მისვლა აღბად უფრო ძნელია, ვიდრე ჯოჯოხეთის ბეწვის ხიდზე გავლა. კიდევ კარგი, რომ კონტროლიორმა მიცნო და დამეხმარა. თორემ მიმიტვრევდნენ გვერდებს. შევედი როგორც იქნა. მოღარე სწერდა გახცხადებას: „ბილეთები სულ გაყიდულია“.

მაშ ასე. მოულოდნელად: ანშლაგი.

მაგრამ ანშლაგზე უფრო ძლიერი ამბავი დამახვედრა ცებიმ:

— ბენიამინ ბერიძე, ყეზრა შათაშვილი და კანტორების დანარჩენი გაბაეები—ყველანი აქ არიან.

ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ქონდა, ვინაიდან ჩვენ ეჭვი არ გვეპარებოდა, რომ ცების მიერ გაკეთებული ინსცენიროვების გათამაშება და პარტერში ყუშმარის გადაგდება—ეს ერთი და იგივე იყო. მით უფრო მოლოდინში გული ფანცქალობდა.

მაშ ეხლა საქმისაკენ. ენერგიულად. უკვე ცხრის ნახევარია.

სად არის პეტია მარკოვიჩი? აღბად სცენაზეა. მივდივარ გავიგო, შეიძლება თუ არა მივცე პირველი ზარი.

დახეთ საკვირვლებას: პეტია მარკოვიჩი, ეს იშვიათად წყნარი და პატარა ადამიანი. მოულოდნელად განრისხებულა, გაფითრებულა და მოღუშული ჩამჯდარა სავარძელში.

— პეტია მარკოვიჩ, შეიძლება მივცეთ პირველი ზარი?—ვეკითხები.

— არა—თითქმის ყვირილით მიპასუხებს.

— რა მოხდა?—ვეკითხები ხელახლა, რის შემდეგაც ჩვენს შორის გაიმართა შემდეგი დიალოგი:

- რისთვის არ მიჩვენეთ გენერალური რეპეტიციონი?
- ეს სრულიად შემთხვევით მოხდა, პეტია მარკოვიჩი.

ვიჩ.

- თქვენ პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ვინ ხართ?

თვის გპირობათ?

- არა, პეტია მარკოვიჩი. რა ბრძანებაა.

— ეხლა მოკლედ ასეა. მე ვიძრე არა ვნახავ ცე-  
ბის ინსტენიროვკას. ზარს არ მიეცემ.

- როგორ თუ არ მისცემთ?

— მე ვარ პასუხისმგებელი ხელმძღვანელი და ჩემს  
უფლებას გამოვიყენებ კანონიერად.

- პეტია მარკოვიჩი...

— ლაპარაკი ზედმეტია. პროგრამისათვის პასუხის-  
მგებელი მე ვარ. მე კი პროგრამას არ ვიცნობ.

— რასაკვირველია უნდა იცნობდეთ, მაგრამ დრო  
იღარ არის.

- ინსტენიროვკა რამდენ ხანს გრძელდება?

- ოც წუთს.

- არის დრო, ადრე მაინც არ დავიწყებთ.

კამათის გაგრძელება უმიზნო იყო, ვინაიდან დრო-  
იკარგებოდა და ამიტომ გადავსწყვეტეთ სასწრაფო წე-  
სით დაგვეკმაყოფილებინა პეტია მარკოვიჩის შელახუ-  
ლი თავმოყვარეობა.

ინსტენიროვკა გაითამაშეს.

პეტია მარკოვიჩი იჯდა მოღუშული მთელი თამა-  
შის მანძილზე და როდესაც დასრულდა, იგი წამოდგა  
და სთქვა:

— პირველი ზარის მიცემა შეაძლება, მხოლოდ ეს  
ინსტენიროვკა უნდა მოიხსნას.

- არასოდეს — შეგვივლე განრისხებით.

— მაშ სალამოს ვაცხადებ მოხსნილად—განაცხადა  
პეტია მარკოვიჩმა.

— მოხსენით—განუუცხადე მეც და გავემართე გა-  
სასვლელისკენ.

პეტია მარკოვიჩი შეშფოთდა: სალამოს მოხსნა,  
ფულის უკან დაბრუნება, ამდენი ხარჯები და ამ ხალ-

ხის უკან გაბრუნება არ იყო ასე ადვილი საქმე, <sup>მარკოვიჩი</sup> ~~მარკოვიჩი~~ ლოდ ვინაიდან მე ვატარებდი პროგრამას, ჩემის წინა-  
ვლით მართლაც ჩაიშლებოდა საღამო.

მე ძალით გამაჩერეს. დაიწყო ისევ უმიზნე კამათი  
არც ერთი არ ესთმობდით.

მე ძალიან გამაკვირვა, თუ რამ ააპილპილა პეტია მარკოვიჩი. იმის მოყვანილი მოსაზრებები, რომ არ შეიძლება სტუმარი ხალხის შეურაცხყოფა, რომ ყოველივე ეს ნაადრევია, რომ ეს უტაქტობაა—არ მომეჩვენა სერიოზულად. ეტყობოდა სხვა მიზეზი იყო, რომელსაც ვარგა ხანს მალავდა და რთულა შეატყო, რომ ჩემი ნების მოტეხა არ იყო ასე იოლი ამბავი, მაშინ მას მოულოდნელად წამოსცდა:

— ეს ადამიანი კი არაა, ქეაა... რკინააა... ახალციხელები... ცხინვალელები... ყველა მთავარი გაბაები... ნათან ჯანაშვილს უნდა რომ დამიფრთხოს მთელი კლიენტები.

— ხა,ხა,ხა! აი თურმე რა ყოფილა. არა, პეტია მარკოვიჩი, ამის მოხსნა არ შეიძლება. იგი საჭიროა. იგი დროულია. იგი...

— კმარა! გააჩუმეთ. აღარ შემიძლია მეტი—და კვილი ჩქარა შესცვალა ხრიალმა, რადგან პეტია მარკოვიჩმა უკვე ხმა დაჰკარგა.

სოტა ხნის შემდეგ მუქარა შესცვალა თხოვნით და ვედრებით. მაგრამ ამანაც უშედეგოდ ჩაუარა.

შეიქმნა ძალზე დაკიმული მდგომარეობა: ფარდის იქით ხალხი ჰღელავდა და ყვიროდა: „ვრე—შია“, ხოლო ფარდის აქეთ პეტია მარკოვიჩი ასე მოულოდნელად და უხეშად ჩაგვერია „შინაურ საქმეებში“, რათა ყირამალა შეეტრიალებინა „დავიდის ფარის“ მიერ შედგენილი პროგრამა.

პეტია მარკოვიჩის თხოვნით საქმეში ჩაერიენ მესამე პირებიც, რომელთა საშუალებით იგი ფიქრობდა ჩემზე და ჩემს ამხანაგებზე ზეგავლენის მოხდენას, მაგრამ ამაოდ.

ჩვენ ვიდექით დიდი უსიამოვნების წინაშე.

ამ დროს... მე არასოდეს არ დამავეიწყებდა ეს სიტყ-  
ნა: პეტია მარკოვიჩი გაგვშორდა, სასწრაფოდ აცოცხ-  
კულისებში რომელიღაც ბოძზე და ფარდის დასაშვები  
თოკი ყელზე შემოიჭირა. სახუძარო დრო სადღა...  
პეტია მარკოვიჩი თავს იხრჩობდა! სათვალეებიდან გვი-  
გზაფენიდა წყველა კრულვას და თან... უკანასკნელი ნა-  
პერწყალი იმედისა მაინც ღვიოდა მათში.

ჩამოვსვით. დავტუქსეთ. შეგვეცოდა.

— რაც გინდათ მთხოვეთ, ოლონდ ეს მოხსენით...

— არ გვეშვებოდა.

პატარა კაცმა გვაჯობა. დავთმეთ. ოლონდ ერთი  
პირობით: წარმოდგენის დაწყებამდე მე უნდა მეთქვა  
სიტყვა. პეტია მარკოვიჩი სიხარულით ეას დაეწია:

— თუ გინდათ სუყველამ სთქვით სიტყვა, ოლონდ  
ეს საშინელი ნომერი მოშაღეთ...

...გადიწია ფარდა. მე სცენაზე ვარ. ვღვლავ. ასეთ-  
ლი თვალეები შემომტყეერიან, ხოლო მე ვერავის ვარჩევ,  
გარდა პირველი რიგში მჯდომებისა. მარჯვენა მხარეს  
ჩემი საყვარელი პროფესორი, მოხუცი მელოტონი, რომელიც  
მოვიდა ჩემის მოწვევით, მარცხენა მხარეს ბენი-  
ამინ ბერიძე თავისი მეუღლით და მათ შუაში კი... ნუ  
თუ ეს ესთერია? ექვი არაა: ესთერია. ალბად ესთერის  
მშობლები ჩემს დახახვაზე უკვე ნანობენ, რომ ესთერი  
მოიყვანეს, მაგრამ რაღა დროს...

მე არ მინდა შეევხედე ესთერის თვალებს, თუმცა  
მე უკვე ვგრძნობ იმათ მწველ სხივებს ჩემს სახეზე...

ესთერი—სტიმულია. მე მინდა ეილაპარაკო კარ-  
გად, ვიწყებ ნელა.

ხმა-დამაჯერებელია და ვგრძნობ, რომ არ ვყალბობ.  
ჩემი ხმა თანდათან ძლიერდება და ემატება მას სიმზნევე.

მე ალბად მთელი საუკუნეები მწყუროდა ტრიბუნა,  
ბოლმა მოწოლილი მქონდა ყელზე და ვისარგებლე შემ-  
თხვევით.

მოულოდნელად შევეფეთე ესთერის თვალებს. სა-  
დაც წავიკითხე გამართლება ჩემი სიტყვებისა. ამ გარე-  
მოებამ შემასხა ფრთები, ამიტაცა ზევით, ზევით და  
საშინელი ბრალმდებელის ენით გავანადგურე ყველა

ის „დიდები“, რომელთა წყალობითაც ჩვენი ხალხი მისცემია დაუსრულებელ ძილს ორიათას წლიან მანძილზე, არ დავინდე კანტორები, მათი მესვეურები, მათი საქმეები...

მე ვაგრძელებ ჩემს სიტყვას და თან მესმის, როგორ გამწარებულნი პეტია მარკოვიჩი დარბის კულისებში, აბაკუნებს ფეხებს და უნუგეზოდ ბურტყუნობს:

— გადაამლაშა... გადაამლაშა... კმარა სიტყვა... აღარ მინდა სიტყვა... დასდგით თქვენი წყეული ინსცენიროვკა... დასდგით... ის სჯობია... ის ლიბერალური მაინცაა... ეს სიტყვა კი საშინელებაა... სადღა გამოვყო სირცხვილით თავი... ოი ნათან ჯანაშვილო... კმარა... კმარა...

გვიანლაა პეტია მარკოვიჩ!

ნათან ჯანაშვილმა ჩაიგდო ტრიბუნა. აწი მისია ბურთი და მოედანი.

მე ვასრულებ სიტყვას.

დარბაზის ორი მესამედი ჰქუხს ტაშისცემით, ხოლო პეტია მარკოვიჩის პატარა ორგანიზმი იცლება ათას ნაირი გინებით.

სალამოს პროგრამა ვაგრძელდა ჩვეულებრივად. დანარჩენი უკვე აღარაა საინტერესო.

ანტრაქტის დროს მოვძებნე ჩემი პროფესორი, რომლისგანაც, მინდა გამოვტყდე, ძალიან მსურდა მიმელოქება ჩემი წარმოთქმული სიტყვისათვის.

და რა ვაეოცდი, როდესაც ჩემი სიტყვის „კვალი-ფიკაციის“ შესახებ იგი შემეკითხა:

— იცი ამას რა ეწოდება იურისპრუდენციაში?

— რა?

— თავდასხმა უვარგისი საშუალებებით.

● ● ●

1 თებერვალი, სადილობის დრო.

საინტერესო შეხვედრა მქონდა ქუჩაში ძია დათოსთან.

შემამჩნია თუ არა შორიდანვე სიხარულით გამოქანდა ჩემთან. ჯიბიდან ამოიღო ქალაღლი, რომელზედაც

გამწკრივებული იყო ციფრები და თვეების სახელწოდება.

— რა არის ეს?— შევეკითხე.

— ძველი ანგარიშია. ძალე უკვე წელიწადი შესრულდება, რაც ჯამაგირი არ მიმიღია.

— კიდევ არ მიგიღია?— შევეკითხე თანაგრძნობითა და ღიმილით.

— არ მიმიღია, ხო ხედავ. დავათრევე ამ სიას, ერთი საღარდელი მაქვს; მოხუცი კაცი ვარ და უნდა შათა-შვილის ჯავრი არ მინდა საფლავში წავიყულო. ამიტომაც ვიჩქარი, ჯამი გაუკეთე იმას, რაც მერგება და გეარიათი თანხა შედგა. ეს ფული რომ როგორმე ამალეზინა, ჩემს ბედს ძალი ალარ დაჰყუფდა.

— ხომ გაქვს იმედი ძია დათო?

— ისრაელი შვილის სიცოცხლე თავიდან ბოლომდე იმეღია. ის ვინც იმედს ჰკარგავს იმას წილი ალარ უღევს ცოცხლებში.

— კავშირში თუ იყავი რა გითხრეს?

— სიძარტლე მოგახსენო, ნათან, ალარ წავსულვარ. ჯერ კიდევ მინდა როგორმე შინაურულად მოგაგვარო. მოვიციდი კიდევ რამოდენიმე დღეს და თუ არ მეშველა, მერე წავალ და ორივეს ვუჩივლებ.

— მეორე ვიღაა?

— მეორე— ეს ახალი ქორია, კოჭლი მელამედი. აკადომ ბარუხუ სამართლიანია, ეგ რო კოჭლი არ უფილიყო ქვეყანას დააქცევდა. ჯერ ერთი ფეხით რა ამბებს სჩადის, მაგას რომ ორივე ფეხი მთელი ჰქონოდა— აღმორის ადგილს მოინდომებდა. ღმერთმა კი დაუკოჭლოს მაგას მეორე ფეხიც. ამენ.

ბედნიერია ძია დათო! მაგას მხოლოდ ერთი რამ აწუხებს: ძველი ანგარიშის განაღდება. მთელი მისი თავის ქალა შეპყრობილია მხოლოდ ამით. დღედაღამ ჰფიქრობს ერთსა და იმავე საკითხზე. თუმცა რაზე უნდა იფიქროს?— განა ძია დათოს არსებობა არ უნდა? მეო.

რე მხრით საოცარია: ჯამაგირს არ აძლევენ, რაზე არ ანებებს თავს? ლოცვას?

ფეთხაინია დამნაშავე, რომლის ქაობის ამოშრობა არც ისე ადვილია. „დავიდის ფარის“ სალამომცემი ვლო, მაგრამ რევოლუტია არ მოხდა. ყველაფერი ისევ თავის ადგილზეა. კანტორების მესვეურებმა არ შეიშინიეს შეურაცხყოფა, ბირეა ისევ მოქმედობს, ყველას გვერდით ამოუდგა კოჭლი მელამედი და ბნელეთის მოციქულები განაგრძობენ არსებობას.

მე კი დღემდე ყურში მიწივის მოხუცი პროფესორის განსაზღვრა: „თავდასხმა უვარგისი საშუალებებით“.

მინდა სიმწრით ვიცინოდე: რისთვის მოეპყრო ასე მკაცრად ჩემს სიტყვას პატივცემული მელიტონი? იგი ხომ არ იცნობს ჩვენს ცხოვრებას? ნუ თუ მართლაც იგი ასეთი კონსერვატორია? მაგრამ რა საჭიროა საყვედურები სხვების მიმართ. არ სჯობია ჩემს თავს გამოუტყდე, რომ პროფესორის სიტყვები საუბედუროდ, ჯერ ჯერობით აღსრულდა?

არის უსათუოდ რაღაც საერთო პროფესორისა და პეტია მარკოვიჩის შორის. ისინი აზროვნობენ თავისი სათვალეების ქვეშ ერთნაირი საზომით. იმათი თაობა მოდის დინჯი და ზომიერი ნერვებით. ვიკითხოთ ჩვენ —ახალგაზრდებმა!

...ფეთხაინი და გალუთი<sup>1</sup> სინონიმებია. მე და ესთერი ვუცქეროდით ერთმანეთს. მე ვიყავი სცენაზე, იგი — პარტერში. ო, როგორ გვწყუროდა ერთმანეთთან დალაპარაკება. რამდენს შეუბნებოდა მინი პატარა, ჭკვიაპური და ტანჯული თვალეები! მაგრამ ეს ჩვენ არ შეგვეძლო. ჩვენ ჯერ კიდევ შებოჭილი ვართ ვილაცა სხვის, გარეშეს, მესამე პირების ნებასურვილით.

ბენიამინ ბერიძე ეკუთვნის მეცხრამეტე საუკუნეს, ესთერი — მეოცეს. მაგრამ ჯერ მეცხრამეტეა გამარჯვებული. ჩემი და ესთერის გული კი დაჭრილია.

ნეტავი როდემდე? რითი გათავდება ეს ბრძოლა? რამდენ ხანს კიდევ გაუძლებს ესთერი წარსულ საუკუ-

<sup>1</sup> გალუთ — ტყუობა, დიასპორა.



ნეთა იერიშებს? იგი ხომ სუსტი, უღონო ქალია? არ ვიცი...

როგორი იქნება ჩემი მომავალი—ვერც კი წარმომიდგენია.

უნებურად მაგონდება ჩემი ძვირფასი საცოდავები, მოხუცები, ღარიბები...

მწამს, რომ ვუყვარვარ მათ მთელი სულით და გულით, რომ მე ვარ მათთვის ყველაფერი ამ ქვეყნად, მაგრამ მე მათი შვილი, ვარ თუ არა ღირსი ასეთი უმწიკვლო მშობლებისა? რითი ვუხდი მათ მე სამაგიეროს? და ბოლოს კიდევ ერთი საკითხი.

მინდა, ძალიან მინდა ვიცოდე, გულის სიღრმეში ხომ არ შესდით იმათ ვქვი თავისი ერთად ერთი შვილის პატიოსნებაში?

მამაჩემი ჭკვიანი კაცია, ნუ თუ შესძლებენ ფეთხაინის მოციქულები დაუბნელონ მას გონება და წყრომით აღავსონ ჩემზე?

და უნებურად მაგონდება დე სილეა.

როგორი კარგად ეუბნება აკოსტას:

— ოი ურიელ, შენ ჯერ კიდევ ბევრი ტანჯვა მოგელისო.  
ბევრი....



25 თებერვალი. დილის 10 საათი.

ვასაბჭოების ორი წლის თავი.

ვარედ ზეიშია, ჯარების აღლუმი, დემონსტრაცია. მე ისევ ვზივარ ჩემს ოთახში, ვებაასები ჩემს დღიურს, მაგრამ ხმაურობა, რომელიც მოდის ქუჩიდან ხელს მიშლის და აზრებს თავს ვეღარ ვუყარი.

ეს აღლუმი—ღირებულებათა გადაფასებაა.

მიდიან ძველები. მოდიან ახლები.

ამ ახლებში აღბად მედგრად აბიჯებენ: შაული, ირაკლი, იულია.

(საკვირველია რამდენად იუღლია შორს ყოფილა ფე-  
გუსტინასაგახს!)

ვინ იცის, შეიძლება მათთან არის გულკეთილი და  
ნიელიც, რომელიც აბიჯებს მათთან ერთად და ამბო-  
თლებს თავის საწარმოოს სახელს: „პირველი ნაბიჯი“.

რატომ არ ვარ მეც მათთან?

გასაგებია: ვერ შევეწყვე იმ მოძრაობას, რომელიც  
ძირშივე სპობს ყოველივე ეროვნულს, თანაც მაშინებს  
ასეთი პირდაპირი დაყოფა: მდიდარი, ღარიბი.

წინედ გარკვეულად იყო: ქრისტიანია, ებრაელი.

მტრობის საფუძველი იყო სარწმუნოება, ეროვნე-  
ბა და ეს გასაგები იყო.

მაგრამ როგორ გავიგო მდიდრისა და ღარიბის და-  
პირდაპირება?

ფული?

არა, არ მესმის.

მერე რა ვუყოთ, ირაკლიმ რომ მითხრა ამას წინედ  
„შენ ერთი ნაბიჯით წინ მიდიხარ, ორი-უკანაო“.

რა ვქნა, მაინც არ მესმის, არ მესმის.

ვერ შევეგუე ოცდახუთ თებერვალს, რომელმაც  
შოსპო სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლება.

მეუბნებიან: ეს თავისუფლება მოუსპეთ სხვა პარ-  
ტიებს, კლასობრივ მტრებს პროლეტარიატის საკეთილ-  
დღეობათაო. პროლეტარიატი უმრავლესობაა, მისი მტრე-  
ბი კი უმნიშვნელო უმცირესობააო.

ეს ღირსებაა, პირდაპირ მაინც ამბობენ.

მოიგონე, ნათან, 1920 წლის შემოდგომა.

ჩემი საცოდავი დაბა, რომელსაც უცბად ქალაქი  
უწოდეს.

არჩევნები ქალაქის საბჭოში.

სალოცავის ეზო. უზარმაზარი გაღაფანი, აუარებე-  
ლი ებრაელები, ქალი და კაცი.

ტრიბუნაზე ერთმანეთს სცელიან გახურებული ორა-  
ტორები: მენშევიკები, ფედერალისტები, ნაციონალდე-  
მოკრატები.

„ებრაელებო! ხმა მიეციო მენშევიკებს!“.

„ებრაელებო! ხმა მიეციო ფედერალისტებს!“.

„ებრაელებო! ხმა მიეცით ნაციონალდემოკრატებს!“  
ეს არ იყო მართო მოწოდება. თავს ნუ მოეატყუებდნენ,  
სჯობია სიმართლე ვალიაო: აქ იყო დაშინება, მუქარა,  
რევოლუციები.

და დამფრთხალმა ებრაელებმა არ იცოდენ რა ექნათ, ვიდრე ვილაც კევიანმა ებრაელმა არ ნახა მოულოდნელად თავისებური გამოსავალი:

„ებრაელებო! მიეცით ხმა მხოლოდ საკუთარ სიას!“  
სასწრაფოდ შესთითხნეს უპარტიოთა ახალი პარტია.

ასარჩევი იყო ქალაქის საბჭოში—სულ ოცი ხმოსანი.

გავიდა თორმეტი ებრაელი. (ბუნებრივი იყო: დაბის უმრავლესობას ებრაელები შეადგენდენ). დანარჩენები—თითო-ოროლა.

ეს არ მომხდარა არსად: „როგორ გაბედეს ურიებმა მენშევიკების ჩაფლავება, რომლებიც ყველგან, მთელ საქართველოში „იმარჯვებენ“.

და დაიწყო: ფარული თუ აშკარა ღეენა, საბოტაჟი, დებეშები, ვიდრე ნელ-ნელა არ მოიმაგრეს პოზიციები „შეურაცხყოფილებმა“.

ებლა ვეკითხები ჩემს თავს: ისინი გააკიოდენ თავისუფლებაზე.

ვანა ეს თავისუფლება იყო? ვანა ეს არჩევნები იყო?

და კიდევ კარგი... მოვიდენ ბალშევიკები და ყველანი გააჩუმეს.

მაგრამ მე?

მე არ ვიწამე ძველები, მაგრამ მაინც ვერ მივედი ახლებთან.

ო, მე ჯერ ბევრი რამე მყოფს, მე ჯერ საკმაოდ მტკივა ჩემი შეურაცხყოფილი ეროვნული გული.

ირაკლის არაფერი აქვს დასაკარგი. მის ეროვნულ ფუნქციებს თვითონ საბჭოები ასრულებენ, ხოლო ჩემთვის არავის სცალია.

შაულს და დანიელს უხარიათ ფესხაცმელები. იმათ შეტი არაფერი არ უნდათ. მიეცი ლუკმა და გააჩუმე.

რუთიკოს აღარ ჰქონია. მაშასადამე: პრობლემა გადაჭრი-  
ლია.

მაგრამ მე ვერ გავყიდი ჩემს სულს, ვერა.  
მე რაცა მწამს—მწამს ღრმად და შეუცვლელად.

„დავიდის ფარი“ ჩემი დროშაა და მისი ხელით  
გავანგრეთ ფეთხაინს.

ჯერჯერობით ვეცემით ბრძოლებში, მაგრამ ეს  
გულს არ ვაგვიტებს.

დავეცემით, კვლავ წამოვდგებით და ასე.

შეიძლება სრულიადაც დავემარცხდეთ და მიზანსაც  
ვერ მივადწიოთ. მაგრამ საყვარელი პოეტის თქმის არ  
იყოს.—„განწირულის სულისკვეთება ცუდათ არ ჩივი-  
ლის და უფალი ვაჟა—„დავიდის ფარის“ მიერ თელილი  
შაინც დარჩება“.

და ისტორიის პირველი გვერდიც ამით გაიხსნება...

## 5

— რამდენი ხანია აღარ მოსულხარ, გამარჯობა ოსიპ. აი შე ცუდლუტო! ასე უნდა? ძალიან კი მეფიცებოდი: მიყვარხარო! ხა,ხა,ხა!— მიეგება ავგუსტინა თავის სტუმარს მისთვის ჩვეული კისკისით.

ეს კარგი შესავალი იყო და ოსიპის ნიკაპზე ალიბეჭდა ღიმილის ხაზები. პასუხის საძებნელად თავი ოდნავადაც არ შეუწუხებია:

— მოგიკედეს ჩემი თავი, ავგუსტინა. მიბრძანე და დღეში თუ გინდა სამჯელ მოვალ. უფრო უკეთეს გეტყვი: ბარემ გადასწყვიტე, გამომყევი ცოლად და სულ შენი ვიქნები.

— ხა,ხა,ხა! ხა,ხა,ხა!— ისევ კისკისებდა ავგუსტინა.

— მე სიმატლეს გეუბნები, შენ კი დამციინი. პირდაპირ არ მესმის, რა გვიშლის ხელს. მამა ჩემი მდიდარი კაცია, როცა შეიტყობს რო ცოლს ვირთავ. ტყავს გაეაძრობ და ბევრ ფულს წავართმევ. ეს თბილი და გემოზე მოწყობილი ოთახიკ აგერაა. ქეთუბის წამკითხველიც მზადა მყამს. ერთი სიტყვა სთქვი და... გიყვარდეს! ოცდაოთხ საათში ისეთი ქორწილი გაეაჩაღო, რომ შთელი ამიერკავკასია მარტო ამაზე ლაპარაკობდეს. ნუ იცინი და ნულარ მტანჯავ, ავგუსტინა, სთქვი: თანახმა ხარ?

ავგუსტინა ზევიდან დააცქერდა ოსიპს და გაიფიქრა:

„ამ სულელს სინამდვილეში ჰგონია, რომ ეს შესაძლებელია“.

უპასუხა:

— ასეთი დიდი საკითხის გადაწყვეტა ერთ წუთში როგორ შეიძლება. მოვიფიქრებ, ავწონ-დავწონი, ვამზადებ მშობლებს და მერე გეტყვი პასუხს. ოსიპისათვის ესეც ბევრი იყო, გაურკვეველად იღიმა და თვალი ვააყოლა ავგუსტინას, რომელიც მიდოთდა სარკისაქენ თმის გასასწორებლად.

ავგუსტინამ უსაყვედურა:

— შე არ მითქვამს შენთვის გაჩუმება. აბა მომიყევი რა ახალი ამბები იცი?

— რა ვიცი, რომელი ერთი გითხრა...

— აი მაგალითად: რა ისმის თქვენს ამხანაგებში? ნათან ჯანაშვილმა ვაგაცალკევით შენ და ზებულონი, არა? ყველა ამხანაგები იმის მხარეზე გადასულან.

— ეგ არათურია. გადასულა და გადმოსულა ორივე ტყუპი ამებია. მეტი რა საქმე გვაქვს. სიმონი უკვე ჩვენთან გადმოვიდა. ახლა სამი ვართ, სიმონი ამბობს, შალე აბიშაიც წამოვაო. აბიშაინ კიდევ სხვები მოჰყვებიან.

— თავს ირთობთ. სხვა?

— ჰო, მართლა, რამხელა ამბავი მოვიტანე, კინაღამ არ დამავიწყდა.

— რა?—აინთო ცნობისმოყვარეობით ავგუსტინა.

— იუღია ბერგერი გათხოვდა.

— ნუ ხუმრობ!

— ხუმრობა რომელია. დღეს გადაიტანა ბარგი თავისი ქმარის ბინაზე.

— ეინ არის მისი ქმარი?

— ნათანის ამხანაგია: ირაკლი ვორგაძე.

— ნათანის ამხანაგი: ირაკლი ვორგაძე—გაიმეორა ავგუსტინამ და მრისხანებით აინთო.

იგი არ აქცევდა ყურადღებას ოსიპის გაოცებას და ნერვიულობას უმატებდა. თვალები აემღვრა და მათში აშკარად მოჩანდა: ბრაზი, წყრომა, შური. ამ წუთებში ძნელი გასაგები იყო ავგუსტინა, რომლის თავში საოცარი სისწრაფით ირეოდა სხვადასხვა ამბები და აზრები: „იუღია გათხოვდა... გათხოვდა... ეს ღარიბისა და ოხერტიელის ქალიშვილი, რომელსაც სამადლოდ გაუტოლეთ თავი და მეგობრად მივიღე აქ, ტფილისში. რასა-

კვირველია უკრაინაში ჩემს მეგობრობას ვერ ეღიბა... დახედეთ ერთი იმ გველს. როგორი ჩუმჩუმად გამოუწყია საქმე... აქ კი ჩემთან სჩიოდა... მამაკაცებმა უიღბლო ვარ, ულამაზო ვარ... შენ ბედნიერი ხარ, მე კი უბედური... გათხოვდა... ჩემზე ადრე... პირველად ის გათხოვდა... და მერე ვისზე... ნათანის ანხანაგზე... ეჰ, ავგუსტინა, ნუ თუ იულიამ უნდა გაჯობოს?"

და ხმამალა უპასუხა თავის თავს:

— არა.

— რა არა?— შეეკითხა ოსიპი.

— ეს შენი ჭკუის საქმე არ არის.— მიუგო გაჯაგრებით და შემდეგ როდესაც შეატყო, რომ ოსიპს ამით აწყენია, მიუახლოვდა, თავისებური ეშმაკობით თავზე ხელი გადაუსვა და შეეკითხა:

— რა დღეა დღეს?

— კვირა.

— კარგია. რომელი საათი იქნება ეხლა?

— თერთმეტი.

— ძალიან კარგი. სადილობამდე კაცი საქმეს გააკეთებს. ეხლა სახლში იქნება?

— ვინ?

— ვინ?— გამოაჯაერა— ნათან ჯანაშვილი.

— რალა საქმე გაქვს ნათან ჯანაშვილთან?— შეშფოთებით შეეკითხა ოსიპი.

— შენ რა... არ ანებებ თავს ექვიანობას?— გაჯაგრებით მოახალა ავგუსტინამ და ცოტა ხნის შემდეგ ბრძანების კილოთი უთხრა:— აბა ჩაიცივი პალტო და გამოიყევი.

— სად უნდა გამოგყვე? ნათან ჯანაშვილთან?

— ჰო.

— მე წაჩხუბებული ვარ.

— იმის ოთახამდე მომყევი. შენ დაბლა მომიციდი. მე იმასთან პატარა საქმე მაქვს. გავეჩერდები ხუთათწუთს, მეტს არა. მერე ერთად წავიდეთ ქალაქში სასიერნოდ.

ამ უკანასკნელმა სიტყვებმა მოაღბეს ოსიპი, სასწრაფოდ გადაიკვა თავის პალტო და თან სიხარულით ამბობდა:

— გიყვარ-დე-ეს...

ამის შემდეგ დაელოდა ვიდრე ავგუსტინა მორჩებოდა თავის ტუალეტს, კარებში გზა დაუთმო თავის „სატრფო არსებას“ და ვარედ გასვლისთახავე, ნამდვილი ჯენტლმენივით ხაზად და ფრთხილად გაუყარა მკლავი მკლავში.

ოსიპი განიერად მიაბიჯებდა ავგუსტინას გვერდით და უცნაური დაციხვით შესცქეროდა ახალგაზრდა ქალიშვილს, რომელიც მიდიოდა ქუჩის მეორე მხარეს პარალელურად, — თითქოს ეუბნებოდა:

„რას იჭიმები ბიძია. მდიდრის ქალიშვილი ხარ, მაგრამ ავგუსტინასთან შედარებით არაფერიც არა ხარ. ჰო, კარგად შემომხედე, ოსიპ ოსიპიჩი გახლავართ“.

ავგუსტინამ შეამჩნია, რომ მისი თანამგზავრი დაყინებით იცქირებოდა უცნობი ქალისაკენ და შეეკითხა:

— რას ჩაცობიხარ იმ ქალს, ნაცნობია?

— ასე ვთქვათ სანახევროდ, ესე იგი ვიცნობ ვინც არის. მხოლოდ პირადათ არ ვიცნობ.

— რა საინტერესოა უცნობი ქალი?

— ჰხედავ ავგუსტინა, როგორი პატარა ქალია შენთან შედარებით. უკვე ორი საქმრო ჰყავს.

— დეტალებიც რო გცოდნია...

— პირველი მაგის საქმროა ყვზრა შათაშვილი. გახსოვს იაფად რო მოგვცა საქონელი ქარვასლაში? ისა, მეორე — ნათან ჯანაშვილი...

ავგუსტინას ხელი ჩაუვარდა დაბლა და გაფითრდა.

— რა გემართება ავგუსტინა?

— არაფერი... ხანდახან ავი ზნე მომივლის ხოლმე. . . ნუ მიაჭკევ ოსიპ ყურადღებას.

მაგრამ ოსიპისათვის ძნელი იყო არ მიექცია ყურადღება: არც ისეთი დიდი ჭკუა იყო საქირო იმის მიხედვრისათვის, რომ ავგუსტინას ორგანიზმს დაუნდობლად სჭამდა ექვიანობის მატლი, ღრღნიდა, გულისცემას უზშირებდა...



ავგუსტინა თვალებით ჩაერჭო ესთერს:  
„მაშ ეს არის?... ეს... დახედეთ მაგის მწვანე თვალებს... როგორი დამშვიდებით იცქირებიან... მერე რა ნახა მაგაში... რა არის მასში ძიძხილველი... ჩვეულებრივი ფერმერთალი გოგონა... ტუჩების შეღებვაც ვერ მოუხერხებია ზეიოიანად... ჰო და ნათანი თავის ტუჩებს, თავის ვხებას უნახავს ამ...ამ...ამ გომბიოს... ოპ, ნეტავ არ მრცხვენოდეს ქუჩისა, მივეარდებოდი ამ ქალს და საკუთარი ფრჩხილებით ამოვუკაწრავდი გულიდან ნათანის სახელს... ვანანებდი ავგუსტინას მეტოქეობას“.

ესთერი მიდიოდა თავისთვის და არც კი ჰგონობდა, რომ პარალელურად მას მისდევდნენ ესოდენ მტრული თვალები.

ასე გაგრძელდა რომელიღაც მოსახვევამდე, სადაც ესთერმა ჩაუხვია.

ავგუსტინა ისევ თავის თავთან იყო:

„კიდევ კარგი, რომ ესეც იმასთან არ მოდის, თორემ აღბად რაღაც დატრიალდებოდა... ერთი საინტერესოა, თუ ყოფილა იგი ოდესმე ნათანის ოთახში?“.

და ამ საკითხზე იგი უარესად გაწითლოა.

ოსიპმა ამ დროს ხელახლა გაუკეთა თავის ხელი შკლავში, რა დროსაც სრულიად დაუმსახურებლად ავგუსტინამ მიახალა:

— გიჟი!

ეს ისე ხმამაღლა იყო ნათქვამი, რომ ზოგიერთმა გამელელებმაც გაიგონეს, შედგნენ ქუჩაში და აშკარა ცნობისმოყვარეობით დაუწყეს ძხერა უცნაურ წყვილს.

ოსიპმა „პროტესტის“ სიტყვაც ვეღარ მოასწრო, ვინაიდან ისინი უკვე მიუახლოვდნენ ნათანის ოთახს; ავგუსტინა მყის შეტრიალდა, ოსიპისთვის ზედ არც კი შეუხედავს, ჟბრძანა მას ეცადა და ამის შემდეგ სასწრაფოდ აირბინა კიბეზე.

გულმოკლული ოსიპი დასეირნობდა ქვაფენილებზე წინ და უკან და ათასი ექვეებით აღსავსე, წყევლა კრულვას უგზავნიდა თავის გულში ხან ნათანს და ხან ავგუსტინას.

ნათანი გართული იყო თავისი დღიურის წერაზე და როდესაც აევუსტინამ შეაღო მისი კარები, თითქმის არც გაუგონია, როცა ნათანმა ასწია თავი და შეხედდა: ახლად შემოსულს—საკუთარ სახეზე ვაკვირებას ალარა პგრძნობდა და თავისი დღიურისათვის სასწრაფოდ გაიფიქრა ერთი ფრაზა, რომელიც უნდა ყოფილიყო დაახლოებით ასეთი:

„მე აღარ მოცებს ეს მოულოდნელი „ვიზიტები“, როგორ შევეჩვიე მათ!“

შემდეგ მექანიკურად სკამი მიუწია სტუმარს და ხელით ანიშნა, რომ დამჯდარიყო.

აევუსტინამ გაუწოდა მას თავისი ხელი, რომელიც ნათანმა საკმაო ზრდილობით და გულგრილობით ჩამოართვა. აევუსტინამ პირველივე წინადადება ააშენა საყვედურით:

— ცუდი მასპინძელი ხარ. არც კი მთხოვ, რომ პალტო გავიხადო.

— შეშა არა მაქვს. სიცივეა ჩემს ოთახში.—მიუგო ნათანმა.

აევუსტინა გეგმავდა, როგორ აევო შემდეგი წინადადებები, მაგრამ მოულოდნელად და სრულიად უგეგმოდ, მას წამოცდა:

— ეს ჩემი უკანასკნელი შეხვედრაა.

— მიემგზავრებით ტფილისიდან? — თავაზიანად შეეკითხა ნათანი.

ამ თავაზიანობამ აევუსტინა გამოიყვანა მოთმინებიდან:

— შენ არასოდეს არ პლალატობ შენს თავს. მელაპარაკები ისევ თავაზიანობით, ისევ თქვენობით, ისევ ბანზე აგდებით. არ გინდა არასოდეს გამოვიო. შენ ისევ გაუტყეხელი ხარ, ნამდვილი კერპი, ჯიუტი...

— რა გნებაეთ? განა თქვენთვის კიდევ არ არის გამორკვეული ჩემი დამოკიდებულება თქვენსადმი? განა აღარ უნდა შესწყვიტოთ ჩემზე ნადირობა?

— ნათან! მე მინდა რომ შენ შემიერთო ცოლად.

— ეხლა ისევ თავიდან იწყებთ?

— ნათან!

— კმარა. ეს არასოდეს არ მოხდება. ვერ გამოიგია, რისთვის ამომიღეთ მიზანში. ნუ თუ ჩემს გარდა აღარ არიან ახალგაზრდები? ნუ თუ არაფერ არის მსურველი თქვენი შერთვისა?

უკანასკნელმა საკითხმა ააბილპილა ავგუსტინას თავმოყვარეობა:

— მე დღესვე დაგიმტკიცებ არიან თუ არა მსურველები ჩემი შერთვისა... ხოლო შენ კი, ჩემი ასეთი შეურაცხყოფისათვის, ამუჩად აგდებისათვის — მწარედ განანებ. ცხოვრება დიდია, გაივლიან წლები, ჩვენ კი დევ შევხვდებით ერთმანეთს.

ამ სიტყვების დროს სახეზე სიწითლის აღმური ეკიდა, თვალებიდან ცეცხლის ნაპერწკლებს ისროდა, კბილებით ტუჩებს იკვებებდა და აუწყრელი ზიზლით შესცქეროდა ნათანს, რომელიც გაცივებით მხრებს სწევდა.

ავგუსტინამ უკანასკნელად უთხრა:

— მე წავყვები პირველ შემხვედრს ეხლავე. ამ წუთში. ხოლო შენ კი...

და აღარ დაასრულა. სასწრაფოდ გამოვარდა ოთახიდან ღრმა რწმენით, რომ ეხლა კი სამუდამოდ გამოეთხოვა ნათანს და მის ოთახს და ასეთივე ღრმა გადაწყვეტილებით, რომ პირველ შემხვედრს, თავის ნაცნობს, იგი გაპყვებოდა ცოლად, დაუყოვნებლივ.

„ნუ ჰგონია ამ პროვინციელს, ნურც იმ უსვინდისო იულიას, რომ მე ვერ გავთხოვდები“.

სასწრაფოდ ჩაირბინა კიბე და როდესაც წააწყდა ოსიპს, კიდევ გაუკვირდა, ვინაიდან აღელვიბამ სავსებით დაავიწყა, რომ მას ქუჩაში ოსიპი ელოდებოდა.

„რა გაეწყობა. ოსიპს ბედი ჰქონია. ლატარიაში მომიგო“ — გაიფიქრა და თავისი „პირველი შემხვედრის“ გასაოცებლად, შეეკითხა:

- გიყვარვარ ოსიპ?
- რაფერი მერე...
- მოიტა ხელი.
- აი ჩემი ხელი.
- მაშ ასე: გადავსწყიტე. მოგყვები.
- ცოლად?

— აბა მსახურად?

— ჰო, შენ კი გენაცვალე მეგ გადაწყვეტილებაში ვაი, ქუჩა არ იყოს, როგორი მაგრად ჩაგკოცნიდი.

— მაგას მოესწრები. ეხლა სასწრაფოდ საქმეზე ვიზრუნოთ.

— ვიზრუნოთ. გენაცვალე. მე ეხლავე მივწერ წერილს მამაჩემს.

— რა დროს წერილებია. დღესვე ქეთუბა უნდა წავიკითხოთ.

— დღესვე? — გაოცდა ოსიპი.

— დღესვე. საღამომდე კიდევ ხუთი ექვსი საათია.

— კი მაგრამ... მომზადება უნდა... ფული. ჯანისა-მოსი. ვანშამი. ბინა... — გაუბედავად შებედა ოსიპმა.

ავგუსტინამ მიანათა თავისი მრისხანე თვალები:

— როგორ ყმაწვილო? შენ ეხლავე მიპირობ ურჩობას? ან მოაწყე დღესვე, როგორც მე ესთქვი, ან დასხვას წავყვები. გაიგე?

— ყველაფერს ვიზამ, შენ გენაცვალე. ოღონდ გული ნუ მოგივა.

— იქნება დღესვე ქეთუბა?

— იქნება.

— ასე მომწონს. წადი ეხლა, გაეარდი და მიიღე საჭირო ზომები.

და გამოთხოვებისას, ვიდრე ავგუსტინას ხელზე ემთხვეოდა, ოსიპი სიხარულით რამოდენიმეჯერ შეხტა ჰაერში და მთელი ქუჩის გასაგონად ხმამაღლა შესძახა:

— გიყ-ვარ-დეს...



აღბად არასოდეს, არც ერთი გამოცდების წინაშე. ასე მაგრად არ ამტკერებულა მისი გული. უნდა ითქვას ოსიპის სასახელოდ: რომ ამ რამოდენიმე საათის განმავლობაში მან გამოიჩინა იშვიათი ორგანიზატორის ნიჭი, ვინაიდან იგი კარგად გრძნობდა, რომ ასეთი დღე მისთვის ჯერ არ გათენებულა და აღბად ეს მისთვის იყო პირველი და უკანასკნელი.

როცა იგი მიჰქროდა ქუჩიდან ქუჩაზე — უკვე მას გარკვეული ჰქონდა თავისი მარშრუტი:

„ზებულონი, აბიშაი, ყეზრა“.

და თან ჰფიქრობდა:

„გამიწევენ ეხლა ამხანაგობას — კარგი, არა და დედას ვუტორებ ყველას. ეხლა კი დავატრიალებ ჩემს მკლავებს“.

ამ ღრმა რწმენით იგი შევარდა ჯერ ზებულონ-თან, რომელსაც გადმოეყარა თავისი შკაფიდან აუარბელი ჭალაღლები და შიგ საოცარის გულმოდგინებით ჰქექავდა.

— მომილოცე ზებულონ! — ხმამაღლა შესძახა ოსიპმა.

— რა იყო ბიჭო, რამ მოვიარა? — შეეკითხა ზებულონი.

— მომილოცე მეთქი. იყვირე: მაზალტობ ოსიპ! ცოლი შევირთე, შერე რაფერი ცოლი!

— ეინ შეირთე ბიჭო აღარ იტყვი?

— ავგუსტინა.

— ხომ არ გაგიყდი ოსიპ? ავგუსტინა რაღა წამოგყვებოდა?

— გიყიც ხარ და მეტიც. შე კონტრარევილიუციონერო, არასოდეს არ უნდა დამიჯერო? ვათავდა ჩემი გიყობის დრო. დღეს საღამოს ექვს საათზე იწყება ჩემი დაქვეიანება.

— საღამოს ექვს საათზე? რა მოგელანდა?

— ექვს საათზე ცხინვალელების სალოცავში ქეთუბა მაქვს. ვინდა დამეხმარო თუ არა?

— თუ ავგუსტინა მართლა გაგიყდა და მოგყვება, მაშინ მე შენი პირველი 'შოშბინი' ვარ — და ამ სიტყვებთან ერთად გადაეხეია ოსიპს და გადაკოცნა. შემდეგ შეეკითხა: — მეორე შოშბინი?

— აბიშაისთან გავვარდები ეხლა. სიმონი ძალიან შორსა ცხოვრობს და იმასთან ასვლას ვერ მოვასწრებ.

1 შოშბინი — დაახლოებით — მაყარი.

— აბიშაი—კარგია შოშბინად, მაგრამ სიმონის დაუპატიუებლობა არ ივარგებს.

— დავპატიუოთ. მაგრამ ვახშამი-სადაა?

— როგორ თუ სადაა. შენ ცოლს ირთავ და მე შეკითხები?

ოსიპი დაეღრანჯა:

— შენი ჭირიმე, ზებულონ. მეცი ეს ერთი პატივი და მერე იმსახურე ჩემი თავი, რამდენიც გინდა. დახარჯე ამალამ შენი ფული და შენს სახლში მოვაწყოთ ვახშამი. მწვადებს ჩემი ხელით შეეწვავ. მერე მამაჩემი რო გაიგებს ჩემი ცოლის შერთვას—გამომიგზავნის ფულს, აბა რა ეშმაკი დაემართება. დაკაპეიკებამდე ვაგისწორებ ანგარიშს, ავგუსტინას მზემ. კარგი? თანახმა ხარ?

— ჯანდაბას შენი თავი. თანახმა ვარ. ხუთ საათზე მოვალ ავგუსტინასთან. მერე იქიდან ლოცვაზე. მერე ჩემთან.

— გიყვარდეს... როგორი ვიქეიფებთ.

და ფრთებშესხმული ოსიპი გაეარდა აბიშაისთან.

— აბიშაი მომილოცე — შესძახა შესვლისთანავე.

აბიშაი საუზმის შემდეგ ჩვეულებად მიღებულ ლოცვას ბუტბუტებდა და თვალებით შეეკითხა „რა ამბავიაო“.

— ამ საღამოს ქეთუბა. მერე ვახშამი. გიყვარდეს... აბიშაიმ როგორც იქნა დაასრულა თავისი ბუტბუტი, ნელი ხელის კვრით ჩააგდო ოსიპი სავარძელში და უთხრა:

— აბა ეხლა მომიყევი სუყველაფერი, რაშია საქმე. არაფერი გააპარო.

ოსიპმაც მოუყვა ყველაფერი მოკლედ და გაოცებულ აბიშაის არც კი აცალა აზროვნება:

— მითხარი ჩქარა. იქნები თუ არა ჩემი მეორე შოშბინი?

— ვიქნებ, რა საკითხია. ქეთუბა საქმეა. ხუმრობა ზო არაა.

— ერთი კიდევ. სულ დამაეიწყდა: შენი კოსტუმი უნდა მათხოვო ამალამისთვის.

— კოსტუმს როგორ დაგიკავებ, მაგრამ ერთი შენ თავს შეხედე და მერე მეც გადმოძხედე. ძალიან პატარა მოგივა.

— ეგ არაფერი. როგორმე ჩავძვრები. როგორმე გავწევე. ძე ეხლა ყეზრასთან გავიქცევი და მერე ისევ შემოვირბენ კოსტუმის წასაღებად. შენ არსად გაიპარო, იცოდე, სახლში დამხვდი. ეხლა კი მოდი შე კონტრავოლუციონერო, გადამეხვие, მაკოცე, მომილოცე.

— მაზალტობ ოსიპ! ძალიან ბედი მოგწევიდა.

— მადლობელი ჩემო აბიშაი. ეს ჩვენი შერიგებისა იყოს — და ოსიპმა მაგრად ჩაჰკოცნა, რის შემდეგაც სასწრაფოდ გაემართა ყეზრას ბინისაკენ, ვინაიდან, ოსიპის აზრით კვირა დღეს ყეზრა არ იქნებოდა ქარვასლაში.

ყეზრას ბინაზე ოსიპს უთხრეს, რომ ყეზრას ნახვა შეიძლება ცხინვალელების კანტორაში, სადაც მას სხვა გაბაებთან და მელამედთან ერთად ჰქონდა მოწვეული კრება ფრიად საყურადღებო საკითხებზე.

„მით უკეთესი“ — გაიფიქრა ოსიპმა და გაუდგა კანტორისაკენ.

სალოცავში შესვლისთანავე ოსიპმა თვალი მოჰკრა ძია დათოს ზურგს, რომელიც საოცარი გულმოდგინებით იცქირებოდა პატარა კარების ხერელში.

ოსიპმა სწორად აიღო ალღო:

„ალბად ეს კარები კანტორისაა. ისინი ეხლა იქ არიან“.

და ძია დათოს ყურადღების მისაქცევად ჩაახველა. ძია დათო შემოტრიალდა გაჯაერებით, აავლო თვალი უცნობ კაცს და საკმაოდ უკმეხად, შეეკითხა:

— რა ამბავი, ახალგაზრდა?

— ყეზრა შათაშვილი მინდა ენახო საჩქაროდ.

— არ შეიძლება. კრებაზეა.

— კრებაზე როა, ვიცი. მაგრამ საჩქარო საქმეა.

— იმათაც საჩქარო საქმე აქვთ.

— თუ ეხლავე არა ენახე, ამ სალამოსთვის ქეთუპას ველარ მოვასწრებ.

ძია დათო გაიღიმა და საკმაოდ შერბილდა:

— ხოლო... შე კაი კაცო, თუ კი ქეთუბა გქონდა, ამდენ ხანს გეთქვა. როგორ არ შეიძლება ნახო. კისერს მოვტეხ და ისე გიჩვენებ.

თქმა და ასრულება ერთი იყო. ძია დათომ ხელი ჰკრა კარებს, რომელიც ჰრაქუნით შეაღო, შევიდა შიგ და დამსწრეთათვის ყურადღების მიუქცევლად ოსიპი შიგ შეიპატიჟა.

ის ის იყო ყეზრა შათაშვილი აპირებდა წამოხტომას და ძია დათოსთვის დაყვირებას, მაგრამ მოულოდნელად ოსიპის დანახვამ სულ დაავიწყა ძია დათო.

— ოსიპ ოსიპიჩს ვახლავარ! მობრძანდი, ძვირფასი-სტუმრი ხარ. გაიცანით და ხელი ჩამოართვით ყველამ ვინც არ იცნობთ.

ყველაზე ადრე ძია დათომ ჩამოართვა ხელი.

ყეზრამ ბრაზისაგან კბილები გააკრაქუნა, მაგრამ გაჩუმება არჩია.

ოთახში იყო შეიდი გაბაი, მათში ერიო მენაშეც, ხოლო კოჭლი მელამედი იჯდა საპატიო ადგილას ყეზრას გვერდით.

ბუნარში ენთო ცეცხლი, რომელიც იძლეოდა სითბოსა და კმაყოფილებას.

ოსიპმა შესვლისთანავე თავი იგრძნო თავისიანებში და საკითხი პირდაპირ დააყენა:

— ქეთუბა საღამოს ექვს საათზე.

ყეზრა მიხვდა, დახედა საათს და „საქმის კაცის“ კილოთი დაიწყო:

— მართალია ცოტა დროა ექვსამდე და ვერ მოვასწრებთ. მაგრამ მაინც უნდა მოვასწროთ. ოსიპ ოსიპიჩი დიდი განათლებული კაცია. მაგრამ საისრაელო არ ავიწყდება. რაბი! — მიმართა კოჭლ მელამედს — დასაგვიანებელი აღარ არის. შეუდევით ქეთუბის წერას. მოუნდებით ორ საათს. არა, შეიძლება მეტსაც. ეს თქვენი საქმეა. ქეთუბის დასაწერ და წასაკითხ გასამრჯელოს მიიღებთ ჩემგან, ესე იგი ობშჩესტვასგან.

— ეხლავე შევუდგები წერას. კარგია რომ დილიდანვე ყველაფერი თან წამოვიღე — სთქვა მელამედმა.



რომელმაც აიღო ხელში ფანქარი და ოსიპს შეეკითხა ხათან ქალის<sup>1</sup> სახელისა და გვარის შესახებ.

— იოსებ იოსების ძე ხანანაშვილი და ავგუსტინა ლევის ასული როზენფელდი.

— დედოფალი აშქენაზი ყოფილა — სთქვა მელამედმა მას შემდეგ, რაც ჩაიწერა მათი გვარები და თავისი მხრით დაუძარა — სალამოს ექვსი საათისათვის შეიძლება ქეთუბის წაკითხვა.

ოსიპისათვის საკითხი ამოწურული იყო, სასწრაფოდ გამოესალმა ესოდენ „გულკეთილ საზოგადოებას“ და გავიდა გარედ, რათა მოეგვარებინა დანარჩენი საკითხები.

მისი გასვლის შემდეგ ყუზრამ საჭიროდ დაინახა, რომ ამხანაგებისათვის მიეცა შემდეგი განმარტება:

— ობშჩესტვა უნდა დაეხმაროს ოსიპ ოსიპიჩს ორი გარემოებისა გამო. ჯერ ერთი ეგ როგორც განათლებული აღამიანი ძალიან გამოსადეგი კაცია. მეორე მიზეზი ის ვახლავთ, რომ ეგ როგორც ნასწავლი, მეტისმეტად ჭკვიანი კაცია, ესე იგი რა მინდა ვსთქვა, ძალიან ჭკვიანი კი არა, ცოტა კიდევ ხანდახან მოუვლის ხოლმე აქ — ამ აღგილას ყუზრამ თითო გაატკაცუნა შუბლზე და განაგრძო — და ამიტომ იგი საშიშიცაა... ესე იგი მთლად საშიში კი არა, მაინც...

გვიან მოაგონდა, რომ ძია დათოც ოთახში იყო ინანა.

— ეხლა კი, ვაბაებო, წავიდეთ სახლებში და კრება სხვა დროს გავაგძელოთ, მიეცეთ შატონ რაბის საშუალება, რომ ქეთუბა დაამზადოს მალე, ესე იგი მალე თუ არა, სალამოს ექვსი საათისათვის მაინც.

ვაბაები გამოვიდენ კანტორიდან და მელამედი შეუდგა მუშაობას.

● ● ●

ძია დათო სალოცავში დაფუსფუსებდა.

პატარა ოთახში მელამედს მუყაითად ამოჰყავდა

<sup>1</sup> ხათან ქალა — მეფე დედოფალი.

ქეთუბის ქალაქზე „ნაბეჭდი ასოები“ და იცოდა რისთვისაც მუშაობდა: ელოდა კარგ გასამჯელოს.

სწორედ ეს გარემოება უკლავდა ვულს ძია დათოს, რომელიც ცოცხით ხელში, მაგრამ უსაქმოდ დადიოდა წინ და უკან და ნერვიულობდა ისე, როგორც არასოდეს.

ბევრი რამ აკვირვებდა მას:

„რისთვის აძლევენ მელამედს ჯამაგირს თავი დროზე, ხოლო მას კი — ამდენი ხანია ასე უღმერთოდ აწამებენ?“

„რისთვის არის გამოსადეგი ეს ვილაც კაცია, რომ უფასოდ უკითხავენ ქეთუბას? (უფრო სწორია ის, რომ უჭრას ეშინია მისი).“

„და ბოლოს. ნუ თუ ამ ქეთუბამ არაფერი ხეირი არ უნდა მომცეს?“

და დიდი ხნის ფიქრის შემდეგ, სიხარულით წვერები პირში ჩაიდო.

მოაგონდა:

„იღელ ჰაზაკენი<sup>1</sup>. იყო მგონია, ალბად რამდენიმე ათასი წლის წინედ, რომელმაც სთქვა: „თუ მე არა ჩემი თავისათვის — მაშინ ვინ? თუ ეხლა არა — აბა როდის“. კარგად უთქვია, ჩემმა მზემ. ეს უნდა გაკეთდეს ეხლავე. ეს უნდა გავაკეთო მე. მხოლოდ ასე გავინაღდებ ჩემ ფულს. მხოლოდ ასე შეიძლება გასწორდეს ძველი ანგარიში. იყვირებენ, იღრიანებენ, მაგრამ, დათო, არ შეგეშინდეს! დღეს თუ ხვალ ყოლამ ჰაბას გაემგზავრები. მეტს რაღას დაკარგავ? ასე. გადაწყდა“.

შემდეგ შედგა კარებთან და ხვრელში თვალი გაჰყო:

„მგონია მალე გაათავებს“.

მელამედი მართლაც ასრულებდა ქეთუბის ტექსტს და კმაყოფილი თავისი მუშაობით, ჩვეულებრივად ლინებდა:

— ა-ა-ა-ა-ა...

<sup>1</sup> მოხუცი იღელი

„ვნახოთ ვინ აღიღინდება ამ საღამოს“ — ემუქრებოდა თავის გონებაში ძია დათო.

მელამედი წამოიღა.

ძია დათოს სკამის გაწევის ხმა რომ შემოესმა დაუყოვნებლივ გააღო ოთახი და შიგ შევიდა.

მელამედი დაახვია მზრუნველობით ქეთუბა და უჯრაში ჩასდო, რის შემდეგაც თავის დაქნევით გამოეთხოვა ძია დათოს და გავიდა ვარედ.

მელამედის გასვლისთანავე, სიფრთხილით ჩაიკეტა შიგნიდან კარები, გამოიღო ქეთუბა, ერთხანს საკმაო ცნობისმოყვარეობით უცქირა შავ ებრაულ ასოებს და შემდეგ მოულოდნელად გააქანა თავის უბისაკენ. მერე ისევ გამოაღო კარები, მოძებნა სალოცავის დიდი ბოქლოში, ჩამოჰკიდა კარებზედ და როცა დარწმუნდა, რომ კარი კარგად იყო დაკეტილი, ჩავიდა დაბლა და არხინად გადახედა ქუჩას.

უბეში ერთად მოხვდა: ოსიპის ქეთუბა და ძია დათოს ძველი ანგარიში.

ავეგუსტინას მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდა: სწრაფად დასრულებულიყო ქორწინების ცერემონიალი. მის არ სურდა ამ წუთებში ეფიქრა თავისი გადაწყვეტილების მიზანშეწონილების შესახებ. ის რაც გადასწყვეტა ავეგუსტინამ — დასრულდა. მის შეცვლაზე აღარ შეიძლებოდა ლაპარაკი. მორჩა და ვათავდა.

საზრუნავი სხვა იყო:

„რა ვუყო მშობლებს, შევატყობინო თუ არა? ისინი ასე ადვილად არ მომიწონებენ არჩევანს. იმათ იცოიან, რომ აუარებელი ახალგაზრდობა მეხვევა თავს. დამიწყებენ საყვიდურს: „ეს არის შენი ამორჩეულიო?“ დაიწყება სცენები. ტირილი, ისტერიკა. დღევანდელ ამბავს უსათუოდ ჩამიშლიან და მერე თვით ეს ამბავი საინტერესო აღარ არის... საჭიროა მხოლოდ დღეს, სწორედ დღეს და არა ხვალ... იყოს ოსიპი! სულ ერთი არაა: იქსი, იგრეკი?... ოღონდ კი იმ საძაგელს მოხვდეს

გულში... ოღონდ კი იმას შეატყობინონ, რომ მე დავ-  
გე გაუთხოვედი, რომ უკვე ქეთუბაც წავეკითხე... ხა, ხა,  
ხა! აი ნომერი!... მშობლებს კი ფაქტის წინაშე დავაყუ-  
ნებ... ქეთუბის შემდეგ, ამალამ, ახ შეიძლება ხედავ-  
დაუძახებ და ვეტყვი: „კეთილ ინებეთ ვაიცანით —  
ჩემი ქმარი, არ მოგწონთ? თქვენი საქმეა. ასე თუ ისე  
თქვენ დაკვირდებით ამ ამბავს გაუწიოთ ანგარიში.  
ფინანსად რე უკვე ჩემი ქმარია“. წარმოდგენილი შატს  
შათი ვაბეროლო სახეები... მაგრამ ოცდაათზე საათის  
შემდეგ ყველაფერი უკვე მოგვარებული იქნება და ავ-  
გუსტინა ჩაიწერება ხანანაშვილების სიაში. ხა, ხა, ხა,  
„ავგუსტინა ლვონა ხანანაშვილი“.

და ავგუსტინამ სერიოზულად გადასწყვიტა, რომ  
იმ დღეს თავისი მშობლებისათვის არ ეთქვა არც ერთი  
სიტყვა. ამასობაში იგი დროს არ ჰკარგავდა და თავის  
შკაფში სათითაოდ არჩევდა კაბებს. უნდოდა ყველაზე  
ლამაზი კაბა ჩაეცვა საქორწინოდ. ასე თუ ისე ერთგუ-  
ლი იყო თავისი დევიზისა, რომ ქალისათვის უპირვე-  
ლეს ყოვლისა საქორწინო სილამაზე.

ნასადილევს დივანზე წამოწოლილი შეიპყრო ერთ-  
მა შიშმა:

„ერთიც ვნახოთ და ვერ მოაგვარა ოსიპმა დღეს ეს  
საქმე. მაშინ? ლუკმა ლუკმა ავკუწავ. გიეი! რას ჰქვია  
ვერ მოაგვარა? მე იმას ცოლად მივყვები და ის უბრა-  
ლო ამბებსაც ვერ მოაგვარებს? მაშინ უმჯობესია არ  
მომეკაროს“.

როცა საათმა უკვე ხუთი დარეკა და ოსიპი არსად  
ჩანდა, მაშინ ავგუსტინას საფუძვლიანად წაავლო ხელი  
აღელვებამ და თვალები ბოროტებით აეცსო.

ათი წუთის შემდეგ ოთახში შემოვარდა ოსიპი.

— ძლივს! — წამოხტა ავგუსტინა, რომლის სახეზე  
ნახალადვე სიხარულთან ერთად კრთოდა გაუგებარი  
შურისძიების ხაზები.

ოსიპის გარეგნულმა შეხედულებამ ავგუსტინა  
დააწყნარა: ოსიპს ეცვა პატარა, მაგრამ მაინც ახალი  
კოსტიუმი, გაეკეთებია თეთრი საყელო. რაც ასე იშვია-  
თი იყო ოსიპის ცხოვრებაში, არ დავიწყებია არც ადუ-

კალონი და ხელში ეჭირა უზარმაზარი კონა ყვავილედ  
ბისა, რომელიც დიდის გაჭირვებით ეშოვა დამკრძალვე  
ბიუროს მაღაზიაში.

— ეს შენ ჩემო მტრედო — მიაართვა ავგუსტინას  
და ხელზე აკოცა.

— გმადლობ — უპასუხა ავგუსტინამ და გვერდით  
მოისვა — როგორაა საქმეები?

— ძალიან კარგად. უკვე ყველაფერი მოგვარებულ  
ლი მაქვს.

— მაინც როგორ? ხო იცი, მიყვარს წინასწარ ვი-  
ცოდე უოველგვარი დეტალი.

— სრულ ექვს საათზე, ცხინვალელების ჯამაათის  
სალოცავის ეზოში დანიშნულია ქეთუბა. შოშბინებად  
იქნებიან: ზებულონი და აბიშაი. მოვა სიმონიც. ქეთუ-  
ბის შემდეგ იქნება დიდი ვახშამი, რომელსაც ვაწყობ  
ზებულონის სახლში. იგი უკვე დაბლა გვიცდის.

— ყოჩაღ ოსიბ, შენც არც ისე მოუხერხებელი კა-  
ცი ყოფილხარ, როგორც წინედ მეგონა. მოსაზრებაც  
გქონია და საქმის მოწყობაც შეგძლებია.

— მაშ არა?

— ყველაზე კარგად ის მოგსვლია თავში, რომ ვახ-  
შამი ზებულონთან მოგიწყვია. ჩემმა მშობლებმა მაინც  
ჯერჯერობით არაფერი იციან და ვამჯობინე მათ შე-  
ვატყობინო ხვალ ან ზეგ. რას იტყვი?

— შენი მშობლები რაში მედარდება? შენ ხომ  
მომყვები! გიყვარდეს... იმათ თუ არ უნდათ იყონ ისე.  
შეტყობინებით როგორც გსურდეს: ვინდა ხვალ და ვინ-  
და ერთი წლის შემდეგ.

— ხა, ხა, ხა! რა სასაცილო ხარ, ოსიბ. ხომ არ წა-  
ვიდეთ ნელნელა, რომ ჩემმა მშობლებმა არაფერი ექვი  
მიიტანონ?

— წავიდეთ, შენ გენაცვალე.

— აბა ორი წუთიც დამიცადე.

ავგუსტინა შევიდა შირმის იქით, მოიყვანა პირისა-  
ზე წესრიგში, სასწრაფოდ გადაიცვა თავისი ამორჩეული  
კაბა, თან საზამთრო პალტოში გაეხვია და ოსიბთან

ერთად, ნელა და ფრთხილად გამოვიდა თავის ოთხ-  
ნიდან.

ისინი მიაბიჯებდნენ დიდმნიშვნელოვანად. ყოველმა  
მათგანისათვის ამ ნაბიჯებში თითქოს ძველისა და ახა-  
ლის საზღვარი იყო: ავგუსტინა ბედს ეთხოვებოდა,  
ოსიპი — უბედობას.

... დასაწყისი მოეწონათ:

ქვაფენილზე მათ უკვე ელოდებოდათ სამი ამხანა-  
გი: ზებულონი, სიმონი, აბიშაი.

ყოველივე მათგანმა თავისებურად მიულოცა ავ-  
გუსტინას, მაგრამ ერთი აზრი — რომ ეს ამბავი მოუ-  
ლოდნელად მოხდა — წითელი ხაზივით იყო გავლებუ-  
ლი ამ მოლოცვებში და რათა დაეკმაყოფილებინა მათი  
ცნობისმოყვარეობა, ავგუსტინამ მიმართა ყველას ერ-  
თად:

— იტყვიან: „ავგუსტინა გაგიცდაო“? დამიფურთ-  
ხებია! მე ყოველთვის მიყვარდა ორიგინალობა. არც  
ენლა ვიხეე უკან. მე მივყვები ოსიპს, მორჩა და გა-  
თავდა.

— გიყვარდეს... — ვერ მოითმინა ოსიპმა, რო აღ-  
ტაცებით არ წამოეძახა.

მისმა თანამგზავრებმა ოდნავ გაიღიეს.

როცა მიუახლოვდნენ ცხინვალელების სალოცავს,  
უკვე საათის ექვსი იყო.

ეზოში მოგროვილიყო საჭირო მინიანი! აქვე და-  
ფუსფუსებდა გაბბი მენაშე და კოჭლი მელამედი.  
არსად არ ჩანდნენ: ყეზრა შათაშვილი და ძია დათო.

„სად არის ყეზრა? ეს რას ნიშნავს?“ — გაუელვა  
თავში ოსიპს.

თანდათანობით ოსიპი ამჩნევდა, რომ ხალხს, ჰქონ-  
და შეშფოთებული სახეები, რის გამოც მასაც მოუ-  
ლოდნელად ფერმა გადაჰკრა: „ნეტავი რა მოხდა?“.

1 მინიან — ათი სრულწლოვანი მოაწმუნე ებრაელი, რომელთა  
დასწრება აუცილებელია, რათა შესრულებულ იქნეს საჯაროდ ებრა-  
ული ღონისძიებები და სხვადასხვა ტრადიციული რიტუალები.

აიხედა სალოცავისაკენ: კარებზე დიდი ბოქლომა იყო ჩამოკიდებული.

კოქლი შელაშქდა და გაბაი მენაზე უცნაური აღმოსავლური ლექსებით ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ.

ზებულონი, სიმონი და აბიშაი ჩაცვივდნენ უხერხულ მდგომარეობაში.

ოსიპი და ავგუსტინა იდგნენ საბტად, უაზროდ.

მათ შესცქეროდა მთელი ეზო: დარცხვენით, თანაგრძნობით, დაცინვით.

უჩვეულო, არ მომხდარი და არ გავგონილი ამბავი იყო.

აშკარად სენსაცია:

ძია დათოს დაეკეტა სალოცავი და სადღაც დამალულიყო.

„ხათან ქალა“ და მლოცველები სიცივესა და გაუგებრობაში დარჩენილიყვენ გარედ.

გამწარებული ყეზრა შათაშვილი თავქუდმოვლევით დარბოდა მთელ ქალაქში ძია დათოს მოსაძებნად და მოსაყვანად.



ძია დათო შორს არ იყო. იგი ტრიალობდა ახლო მახლო და როცა შეამჩნია, რომ მალე ღამდებოდა, ხოლო არეულობა ლოცვის ეზოში თანდათან უფრო ძლიერდებოდა, გადასწყვიტა გამოჩენილიყო. ჯერ კიდევ ეზოში შესვლამდე მის ყურებს ესმოდა გახურებული ლაპარაკი:

— დაგვაჯდა ძია დათო და ესაა.

— რამდენჯერ გადავწყვიტეთ მისი მოხსნა. გაბაები მაინც ვერ შევლიენ.

— რას შეილევოდნენ. ფულს მაგას არ აძლევენ. მაგისტანა მუქთ შამაშს სად იშოვიდნენ.

— რაც უნდა სთქვი, ძალიან დროს გვაჭამა სირცხვილი. მერე განათლებული ხალხი მაინც არ იყოს!

— ვაი დედასა მისას.

— ყველა ყველა — მაგრამ გასაღების წაღება  
გორ შეიძლება. ხალხს ლოცვა უნდა.

— ეს ჯამაათის უპატრივისცემლობაა.

— ეს ჩვენი მასხარად აგდებაა.

— მოხსენით, გააგდეთ, პასუხისგებაში მიეცით!

— მანამდე კი რას უდგეხართ. ხედავთ, დაღამდა.

— შეამტვრიეთ კარები. ძია დათოს მერე გაუს-  
წორდებით.

— გამოიტანეთ ქეთუბა და მორჩით ბარემ!

ხალხი ეზოს თანდათან ემატებოდა. ყველაზე უფ-  
რო გულსაკლავი გარემოება ცხინვალელებისათვის იყო  
ის, რომ ხმაურობაზე ეზო აივსო აუარებელი ახალცი-  
ხელებით, რომლებიც აშკარად მოვიდნენ სეირის საყუ-  
რებლად და რომლებიც ხვალ ამ ამბავს საქვეყნოდ სა-  
მასხროდ გახდიდნენ.

ძია დათოს მოულოდნელი გამოჩენა დაემთხვა ერ-  
თი წუთით აღრე გაოფლიანებული ყეზრას შემოსვლას,  
რომელმაც უიმედოდ ხელი ჩაიჭნია:

— ვერ ვნახე ის სულძაღლი...

— სულძაღლიც ხარ და ერთიც მეტი — მიიღო  
პასუხად.

მოიხედეს. ამას ამბობდა ძია დათო. მისი მოულოდ-  
ნელი შემოსვლა სეირისა და სენსაციის ატმოსფეროს  
უფრო აძლიერებდა.

ოსიპი ბრაზისაგან ცეცხლივით აენტო და მზად იყო  
რალაც საშინელი საქმის ჩასადენად, მაგრამ მას დიდი  
დაჯერება ჰქონდა ზებულონისა, ხოლო ამ უკანასკნელ-  
მა მას ურჩია, რომ არ ვარეულიყო მათ შინაურ საქ-  
მეებში.

„ესენი თვითონ მოაგვარებენ ერთმანეთში“.

მოგვარებას პირი არ უჩანდა. ძია დათომ ეზოს  
ყუთხეში შეამჩნია მოზრდილი ქვა, მივიდა და ჩამოჯ-  
და. შემდეგ დაიკრიფა გულხელი და მიაშტერდა ყეზრა  
შათაშვილს.

ყეზრა შათაშვილი მიუახლოვდა ძია დათოს:

— რას გვიშვები ძია დათო! ნუ მოგვეჭერი ქვეყა-  
ნაზე თავი. მოიტა გასაღები. თუმცა გასაღები ჩვენ არ



გვინდა. ჩვენ ქეთუბა გვინდა. მელაშედს იქ დაუტოვებია.

— ხათან ქალა იცდის ძია დათო, ჩქარა. მათა თაეის მხრით მენაშემატ.

— ხათან ქალა!

— ხათან ქალა!

— ხათან ქალა!

გაიშეორეს ზოგიერთებმა.

ყველანი მიუბრუნდნენ ძია დათოს, რომელიც ერთხანს განაგრძობდა ჩუმად ყოფნას, ხოლო შემდეგ თანდათან გაიხსნა მისი შეკრული პირი და საოცარის გულგრილობით მიმართა ყუზრას:

— აღონაისა და ბალშევიკების მეტს აღარაეის აქვს უფლება უბრძანოს ძია დათოს. შემომხედე, შვილად გამომადგები. შენ კი... ზღვა ვერ დაიტევს შენს უსამართლობას, ყუზრა.

უბიდან ამოიღო ძველი ანგარიში და განაგრძო:

— შესრულდა უკვე ერთი წელიწადი, ესე იგი თორმეტი თვე. როდესაც შემოვიტანე განცხადება, რომ ჯამაგირი მომიმატეთ-თქო, თქვენ არც ჰო მითხარით, არც არა. მქონდა ოცდახუთი მანეთი. ვითხოვდი სამ თუმანს. მე ეხლა მაინც სამი თუმნის კვალობაზე ვანგარიშობ. თორმეტი თვე რომ სამთუმანზე გადავამრავლოთ — იქნება ოცდათექვსმეტი თუმანი. ოთხას მანეთს აკლია — რაღაც ოთხი თუმანი. მაგრამ ჩემი ამდენი წვალეებისათვის ეს ოთხი თუმანიც მერგება. გაიგე? ვიდრე არ ჩამაბარებთ მთლიანად ოთხას მანეთს, ქეთუბის წაკითხვა არ მოხერხდება. აი ლოცვის გასალები.

თქმა და ლოცვის გასალების ყუზრასთვის ვადაცემა ერთი იყო.

დამსწრენი და რასაკვირველია მათ შორის ყველაზე უფრო ყუზრა შათაშეილიც ვააოცა ამ მოულოდნელმა წინააღმდეგობამ, რომელიც არსებობდა ძია დათოს სიტყვებსა და მისივე მოქმედების შორის.

„აღბად ჭკუაზე შეირყა“ — გაიფიქრა ბევრმა მათგანმა და ზოგიერთებმა თანაგრძნობითაც მოიხსენიეს:

— საწყალო!

ძია დათო გაუნძრევლად აგრძელებდა ჯდომას.

გაბაეები და კოჭლი მელამედი სიხარულით ავიარდნენ სალოცავში.

ბავშვებმა სალოცავიდან გამოიტანეს დიდი ტალე-  
თი, ოთხივე კუთხივე წამოაგეს ჯოხებზე და გადააფარეს  
ხათან ქალას. ზებულონი, აბიშაი და სიმონი ამოუდგნენ  
მათ გვერდით. ყეზრამ და მენაშემ ჩამოიტანეს ღვინო  
და ჭიჭები, ვინაიდან ისინი აპირებდნენ ხათან ქალას  
მოწმებლად ყოფნას და თითქმის უკვე სავსებით დაა-  
ვიწყდათ ძია დათოსთან მომხდარი ინციდენტი. რომე-  
ლილაც მორწმუნემ ჩამოიტანა სიდური<sup>1</sup> და ყველაფე-  
რი ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ მოსალოდნელი  
უსიამოვნება უკვე აცილებული იქნა.

ელოდენ მელამედის ჩამოსვლას, რომელსაც უნდა  
ჩამოეტანა ქეთუბა და დაეწყო მისი კითხვა.

მელამედი იგვიანებდა და ეს დაგვიანება ისევ ხე-  
ლახლა ჰქმნიდა ნერვიულ მდგომარეობას.

ყეზრას გულმა უგრძნო, რომ საქმე კიდევ არ იყო  
კარგად და გაქანდა მელამედთან, რომელიც მაგიდის ვა-  
ლებულ უჯრასთან იდგა თავზარდაცემული და სასო-  
წარკვეთილებაში გახვეული.

— რაბი! რა მოხდა?

— ქეთუბა მოუპარავს.

— ქეთუბა? — ეცვალა ფერი ყეზრას და თავის  
არსებაში საშინლად გააეროლა:

„ვინ გადურჩება ეხლა ოსიპს, აშკარად მიმბეკვავს  
სახალოზოდ“.

ხოლო მელამედის გასაგონად ხმამაღლა წარმოს-  
თქვა:

— ოჰ, ძია დათო, როდის უნდა ამოვიყარო შენი  
ჯავრი.

ბევრი ფიქრის შემდეგ ყეზრამ არჩია კიბეებზე  
წყნარად ჩამოსულიყო, რომლის შემდეგ მივიდა ძია  
დათოსთან და ჩურჩულით დაუწყო ვედრება:

<sup>1</sup> სიდურ—სამლოცველო წიგნი.



- თორის გულისთვის, ღმერთის ხათრისთვის...
- ოთხასი მანეთი — ამბობდა ძია დათო.
- ხათან ქალა რა შუაშია. გავასწოროთ...

დროს ანგარიში. თუმცა არაფერი გერგება. მოგცემთ რაც გერგება...

- ოთხასი მანეთი...
- ძია დათო, სირცხვილი, შენი წვერების მაინც...

მოიჩრიდე...

- ოთხასი მანეთი,
- ძია დათო...

უმიზნო იყო ყოველგვარი ლაპარაკი გაქვავებულ გულთან, რომელსაც ოთხასი მანეთის მეტი არაფერი ახსოვდა.

ავგუსტინა იჩენდა საოცარ თავდაჭერილობას, რომელსაც არ ესმოდა თუ რა ხდებოდა მის გარშემო. ხოლო ოსიპი, რომელსაც ესმოდა, რომ კაკალი მის თავზე ტყდებოდა, ველარ იკავებდა თავს, თანდათანობით მისი სახე ღრუბლებით იფარებოდა და უცბად ეძგერა ყურას:

- ვინ გგონივარ მე შენ? ვის ივლებ მასხარად?
- არა, ბატონო ოსიპ, მე არა.. ძია დათო.
- ძია დათო მე არ ვიცი. საჩქაროდ წაიკითხეთ...

ქეთუბა...

- ქეთუბა მოუპარავს...

— მოუპარავსო? — და ოსიპი გამოვარდა წრიდან და მორთო ყვირილი:

— მოვეკლავ, მოვეკლავ, გავგიჟდები, გამიშვით, მე შავათ უტირებ დედას...

ზებულონი და სიმონი ძალით აკავებდნენ ოსიპს, ყურა შიშისაგან ცახცახებდა, აბიშაი ეწეოდა უმიზნო არბატრობას ძია დათოსთან. ძია დათო კი უკვე ერთგვარ კმაყოფილებას გრძნობდა შექმნილი არანორმალური მდგომარეობიდან.

მაგრამ ერთ წუთს ძია დათოსთვისაც შეიქმნა კრიტიკული მდგომარეობა. ეს ის მომენტი იყო, როდესაც ოსიპი მივარდა ეხლა უკვე მას მოქნეული მუშტით. ძია

დათომ გაუძლო ოსიპის თვალებს და ამ ერთმა წუთმა ფაქტიურად შიანიქა ძია დათოს უპირატესობა, რომლის შემდეგაც იგი ფენზე წამოდგა, ავიდა იმ ქვაზე, რომელი მელზედაც იჯდა და მიმართა ოსიპს, ყეზრას და და ნარჩენ იქ მყოფთ:

— მე ღრმა მოხუცი ვარ და ორი დღის სიცოცხლე კიდევ დამრჩენია. ვისაც უნდა მოვიდეს და შემომკრას. მე არავის არაფერს არ ვედავები. მე ვითხოვ ჩემსას, ჯამათო! ღმერთი აღარ არის ქვეყანაზე? ცოლშვილი მშიერ მწყურვალე, შიშველტიტველი მე არ მიტირის? მთელი წელიწადია კენესით და ვაებით გამაძლო ყეზრა შათაშვილმა კმარა ისრაელებო, ჩემი ამდენი დაძალვა. მოვიდა დრო და მეც უნდა გავინაღდო ჩემი ძველი ანგარიში. ქეთუბა გადამაღლული მაქვს ისეთ ადგილას, რომ ადამიანის შვილი ვერ მიაგნებს. ან ყეზრა შათაშვილმა გადამიხადოს ეხლავე ოთხასი მანეთი, ან ქეთუბა გადასდევით. მე სულ ერთია აქვე რომ ჩამომახროჩოთ — ქეთუბას მაინც არ მოგცემთ...

სთქვა და გადმოვიდა დაბლა.

შეიქმნა ნამდვილი არეულობა, ყვირილი, გინება, მელამედის, ყეზრას, ოსიპის და სხვების ბოღმის უაზრო ვადმონთხევა:

— რჯულის ლალატია.

— გაახერხეთ. შეაჩვენეთ.

— ოთხასი მანეთი არ ერგება.

— რაც ერგება მიეცით და გაათავეთ.

— ეს რა საქმე მიყო ყეზრამ? მოვკლავ, მოვკლავ, ვავგიყდები...

ძია დათო მოულოდნელად აეტუზა ოსიპს და ავგუსტინას პირდაპირ, რომელთაც მიმართა:

— ხათან ქალა! თქვენ მოსწრებინართ მრავალ კარგ წელიწადებს, ბედნიერ სიცოცხლეს, საყვარელ შვილებს — გეხვეწებით, მიიღოთ წილი ჩემს საქმეში და მატყუარა ყეზრა შათაშვილი აიძულეთ, რომ გადაიხადოს ჩემი ოთხასი მანეთი, თქვენი ქირიძე...

ავგუსტინამ არ იცოდა რაში იყო საქმე, მაგრამ  
ძალზე მოეწონა მოხუცი ძია დათოს სახე და ოსიპს  
უთხრა:

— დაეხმარე.

ეს ოსიპისათვის საკმარისი იყო. იგი ხელახლა გა-  
მოვარდა წრიდან, წააგლო ხელი ყეზრას. წაუჭირა  
ყელში და უთხრა:

— ეხლავე ამოიღე ოთხასი მანეთი.

— ბ... ბატ... ტონ... ნო ო... ოსსს... იიპ...

— ხმა, კრინტი! შენი ჯავრი ძველიც მაქვს შე-  
წონახული, იძლევი თუ არა ფულს?

— არ ერგება ბატონო ამდენი! — წაიხრიალა  
ყეზრამ.

— ანგარიშისათვის არა მცალია. ჩქარა ფული,  
თორემ წაგახრჩობ ეხლავე ქათამივით — და როგორც  
პირველი სიგნალი ფრჩხილები ღრმად ჩაარქო.

ყეზრამ ჩაიყო უბეში ხელი, ამოიღო ფული, გა-  
დათვალა ოთხი ასეული მანეთი და საშინელი სინანუ-  
ლით გაუწოდა ოსიპს.

— გიყვარდეს... თვალები საიქიოში ხომ არა ვაქვს?  
არ იცი ვანა ვის უნდა მისცე თავისი ვალი?... იი შე  
მატყუარა, შენა.

ყეზრა შათაშვილმა თავისი საკუთარი ხელით გაუ-  
წოდა ძია დათოს ოთხასი მანეთი.

ძია დათომ ხელების კანკალით გადათვალა ფული,  
შემდეგ გამოხვია მაგრად ცხვირსახოცში, ჩასდო ღრმად  
გულის უბეში, ზევიდან ღილები შეიკრა, მიუახლოვდა  
ხათან ქალას, მადლობის ნიშნად ხელი ჩამოართვა და  
განაცხადა:

— ძველი ანგარიში დასრულდა. ეხლა შეუდგეთ  
ქეთუბას.

ნელნელა უბიდან ამოაცოცა ქეთუბა. გაისმა დამს-  
წრეთა სიცილი. ზოგიერთებმა ტაშიც დაუკრეს.

მელამედი შეუდგა ქეთუბის კითხვას მგლოვიარესა-  
ვით.

ოსიპი ოფლს იწმენდდა. ავგუსტინას გამოეჩინა თა-  
ვისი თეთრი კბილები.

ყურა მოშორებით ძლივს სუნთქავდა და ბრაზისა-  
გან კბილებს ერთიერთმანეთზე აკეპინებდა.

ახალციხელები და ოსიპის ამხანაგები დროგამოშ-  
ვებით ილიმებოდნენ.

ძია დათო იდგა ხათან ქალას გვერდით წელგამარ-  
თული, ამაყად, შოშბინივით. და როდესაც დასრულდა  
ქეთუბის კითხვა, ყველაზე ადრე და ყველაზე ხმამაღ-  
ლა ძია დათომ შესძახა ტრადიციული:

„კოლ სასონ ვეკოლ სიმხა  
კოლ ხათან ვეკოლ ქალა“.<sup>1</sup>

ამის შემდეგ იგი მიუახლოვდა ყურას და უსურვა:  
— შენიც მომასწროს ღმერთმა.

---

<sup>1</sup> „ხმა ლხენისა და ხმა სიხარულისა,  
ხმა მეფისა და ხმა დედოფლისა“

ნაწილი მეხუთე



მსხვერპლი

1

ბენიამინ ბერიძე ეკუთვნოდა იმ ადამიანების მოღვაწეს, რომლებმაც თაობიდან თაობამდე მოსდევდათ ყოველგვარი წინააღმდეგობის სიძულვილი.

მსოფლიო ომმა და მენშევიკური მთავრობის ხანმოკლე არსებობამ უფრო ღრმად განამტკიცა მასში ის რწმენა, რომ იგი თავის „თანამოძმეებში“ უნდა სარგებლობდეს განსაკუთრებული პატრიოსტატიკითა და ავტორიტეტით. ძველი ქვეყნის იდეოლოგია, რომელიც აგებული იყო მხოლოდ ვაჭრობასა და „ყოვლად შემქმნელ ღვთის“ საფუძველზე — ყოველნაირად ხელს უწყობდა ბენიამინ ბერიძის ჰეგემონობას.

ამიტომაც იყო, რომ მას არა სავსებით ესმოდა უკანასკნელი ორი წლის ამბები. ბენიამინ ბერიძის შემეცნებაში — არ არსებობდა არაერთი განსხვავება ერთი მთავრობისა და მეორე მთავრობის შორის. მისაზრით ბრძოლა სწარმოებდა მხოლოდ იმისათვის, რომ ივანეს ადგილი პეტრეს დაეჭირა და ასე დაუსრულებლივ. სახელმწიფოებრივი წესწყობილების სხვადასხვა ფორმები — მისთვის იყო უბრალო საბაბი, რომლებმაც ებლაუქებოდნენ სხვადასხვა პირები თავიანთი ბატონობის განსამტკიცებლად.

მისი ასეთი შესწავლება ლოლიკურად იწვევდა შემდეგ დასკვნას:

„არ შეიძლება ქვეყნად მოვადრეს ისეთი მთავრობა, რომელთანაც ისეთმა მოღიარმა და ქვეყანმა კავრო, როგორაცაა ბენიამინ ბერიძე — არ ნახოს საერთო ენა“.



1921 წლის 25 თებერვალს ბენიამინ ბერიძე შეხვედრა და გაცილებით უფრო დამშვიდებით, ვიდრე ჩველა მისი დანაოჩენი მეგობარი ვაჭრები სხვადასხვა სახეობის დოებათა ვაყად-პაკეილებიდან. ოდნავ აწუხებდა „ხმები“, რომლებიც მას ესმოდა ბოლშევიკების შესახებ, მაგრამ მაინც ღრმად აჯერებდა თავის თავს, რომ იქ სადაც ფულია — იქნება პატივისცემა, იქნება საერთო ენა, იქნება ბენიამინ ბერიძე ისევე პირველი, რომელსაც თავის „თანამოძმეთა“ შორის ვერავინ ვერ შეკბედავს სიტყვის შებრუნებას.

და მაინც... დღე და დღე მას ეპარებოდა გაურკვეველი შიში. მისი შეხედულებები და დასკვნები როგორც არ ეგუებოდა ახალ მთავრობას. საბჭოთა ხელისუფლებას არამც თუ არ უყვარდა ფულიანი ხალხი და არ სურდა მასთან საერთო ენის დაჭერა, არამედ ამკარად მოდიოდა იერიშით და თავდასხმით, სურდა გაენადგურებია მდიდრები და სამაგიეროდ მტკიცედ დაყრდნობოდა მხოლოდ ღარიბ-ღატაკთა მასას.

ორი წელიდაწი გაძლიერებული ცნობისმოყვარეობით და აშკარა დაციხვით აღევნებდა თვალყურს ამ „უცნაურ“ ცდას; ყოველდღე ეძებდა გაზეთებში ცნობას იმის შესახებ, რომ დიდი ანტანტის კრეისერები მოადგენ შავ ზღვას ამ „ხუხულისათვის“ სულის შეაზერად, მაგრამ ამ ამოდ ლოდინის დროს მან შეამჩნია, რომ ახალი ქვეყნის „უცნაური აზრები“ უკვე გადაეღობენ მას ცხოვრების წინსვლის გზაზე.

დაიწყო წინააღმდეგობა მის მიმართ, რომელიც ყოველდღიურად უფრო ძლიერდებოდა და მტკიცდებოდა. ხოლო ბენიამინის ვულს ღრღნიდა ათასი შიშით და ეპვიით:

„ხომ არ ნიშნავს ეს წერტილს, საიდანაც იწყება ჩემი უფროსობის დასასრული?“

რა „საზიზღარი“ სახელები იყო: „დანეილი, შაული, ნათანი“.

და სადღაც მათ ახლოს, გაუბედავად და მკრთალოდ, საკუთარი სისხლი და ხორცი: „ესთერი“.

გასაგები იყო, რომ ამ სახელებმა დაუნდობლად აწეწ-დაწეწეს მთელი მისი ნერვიული სისტემა. ზილფას, მისი ცხოვრების თანამგზავს, მაინც და მაინც დიდი პატივისცემით არ სარგებლობდა ქმრის თვალში, კარგად ესმოდა თუ რა მიზეზებმა გამოსცვალეს ამ ბოლო დროს ბენიამინის ხასიათი. მაგრამ მაინც მეთათხედ ეკითხებოდა:

— რა მოგდის მამაკაცო ამ ბოლო დროს?

ბენიამინი ყოველთვის კმაყოფილდებოდა მრისხანე შებღვერით, რომლის შემდეგ გავიდოდა მეორე ოთახში, ან ცხვირს ჩაჰყოფდა თავის საანგარიშო დაეთარში და ცოლს ზედაც არ შეხედავდა.

მიუხედავად ბენიამინის ასეთი საქციელისა, ზილფას თითქმის ყოველდღიურად იმეორებდა თავის საკითხს და ელოდა, რომ ბენიამინი დღეს თუ ხვალ ზილფასაც ჩააგლებდა ადამიანად და მთელ თავის ჭირვარამს გაუზიარებდა. ბენიამინი კი ამ შეკითხვაში ხედავდა მხოლოდ თავის გამოჯავრების განზრახვას, უკეთეს შემთხვევაში დედაკაცის უჭკუობით გამოწვეულ ცნობისმოყვარეობას და განაგრძობდა ზილფას უფულეებელყოფას.

მაგრამ ერთ დღეს — (შემდეგში ბენიამინი ბევრს ჰფიქრობდა ამ დღის შესახებ და ვერ აეხსნა თავის თავისთვის, თუ როგორ მოხდა ასეთი რამ) — როცა ზილფამ გაუმეორა გაზეპირებული შეკითხვა, ბენიამინი მოუბრუნდა ცოლს, თავი წარმოიდგინა სასამართლოს დარბაზში — ბრალდებულის როლში, რომელსაც მისცეს უკანასკნელი სიტყვა და უდიდესი ძალით შეუუვა თავის „გასამართლებელ“ მონოლოგს:

— შენ შეკითხები: რა მომდის ამ ბოლო დროს. მართალია, რაღაც უცნაური შემართება. თავს ველარ ეცნობილობ. დროს ველარ ეცნობილობ. აშკარად ჩემი ვარსკვლავი შემობრუნებას აპირობს. მაშ რას ხიზნაის ეს ამბები? როდის იყო, რომ ბენიამინ ბერიძეს საქმე წაეგო სასამართლოში? ვინ ოხერია დანიელ თათლიაშვილი, რომელმაც შესძლო ჩემი დამარცხება? ყურები გამოიბერტყე ზილფა და ქვეყანას დააკვირდი, როგორ იცვლება. რა ამბებია, რა ამბებია! ერთი მხრით თამა-

ქოს მანანდა დაეცა, მეორე მხრით იძახიან, რომ სხ-  
ხელმწიფო — მონოპოლიას ეპირებაო. ბენიამინ ბერძნე/  
შორს იტყობდა და მას კარგად ესმის, რომ ეს ნიშნავს  
ბოლშევიკების განმტკიცებას, ხოლო ამავე დროს ჩემი  
ეკონომიური მდგომარეობის შერყევას. დანიელ თაფ-  
ლიაშვილი ჩემს დანახვაზე ყოველთვის წელში მოიკაკე-  
ბოდა, ესლა ისე გამივლის გვერდს, რომ სალამსაც აღარ  
იძლევა და მის თვალებს რომ დაეაკვირდები — ასე  
მგონია კიდეც დამცინის-თქო.

ამ ადგილას აღბად პაუზის ნაცვლად, რამოდენი-  
მეჯერ გაიმეორა:

— ტ-ტ-ტ ტ-ტ-ტ-ტ...

შემდეგ ისევ განაგრძო:

— ვინ იყო შაულ ათანელიშვილი? და უბრალოდ, კო-  
ტორი, ობოლი, რომლის გვარმა ჩემი ვალიც კი არ გა-  
დამიხადა. ვინ არის დღეს შაულ ათანელიშვილი? დღეს  
იგი საწარმოოს გამგეა, რომელმაც შეიკრუა აუარებე-  
ლი მუქთახორა და საუბედუროდ, ჯერჯერობით ისე  
შეუკრავთ ერთმანეთში პირი, რომ იმათი დაღუპვის  
ნიშნების არა ისმის რა. გესმის ჩემო ცოლო? არაფითა-  
რი კარგი ნიშნები. შაულ ათანელიშვილი დღითი დღე  
უნერგავს ხალხს საშინელ აზრებს, რომლის შედეგად  
უკვე იზრდება საკმაო რიცხვი ჩემი მოწინააღმდეგეები-  
სა. მას შემდეგ რაც მან მოაგებინა საქმე დანიელ თაფ-  
ლიაშვილს, ყველა ჩემი მონისიავეები ნელნელა მიცო-  
ცავენ მისკენ. ყველას სულში ჩაძვრა ის აზრი, რომ  
ამიერიდან შეიძლება ბენიამინ ბერიძეს გაუწიონ წი-  
ნააღმდეგობა. „პირველი ნაბიჯი“ ეს მართლაც პირვე-  
ლი ნაბიჯია, რომლითაც გასთელეს ჩემი ქვესავით შავა-  
რი გული. მათსავით მებრძვის „მათხოვარი“!

გახსოვს ჩემო ცოლო, როცა იმ დაწყევლილ თეატ-  
რში, იგი გადმოდგა და დაიწყო ქადაგობა? თვალე-  
ბი მიაშტერა ჩემს ქალიშვილს — ვამოაკლდეს ის ქა-  
ლიშვილობაში — ხოლო თავისი მოწამლული და შხა-  
მიანი ენით — ზარბაზნავით მესროდა ტყეიებს.

დანიელი. შაული. ნათანი. ერთი მიორეზე საძაგე-  
ლი და დაუნდობელი მტრები. მაგრამ რა დავემდგრო

მათ? რისთვის უნდა მაწუხებდეს გარეშე მტერი? ვინა  
ნაკლები მტერი მყავს შიგნით, ოჯახში? განა ესთერი  
ჩემი ქალიშვილია? განა ესთერმა თავი არ მომჭრა? ~~ნაკლები~~  
ვეყნოდ? განა ესთერი ნაკლები მტერია? განა ~~ნათანი~~  
ასე გამამწარებდა რო ესთერი არა?

ბენიამინმა ოდნავ თვალი დახუჭა და მწარე სიცი-  
ლით განაგრძო:

— ვისი იმედი უნდა მქონდეს? უთაურის და უდიდ-  
ლო ყეზრასი? ჭკუა იმას არა აქვს და ტვინი, სალამოს  
აღარ ახსოვს — დილას რა ჭკუაზე იყო და დილას აღარ  
რაფერი ახსოვს სალამოსი. წინეთაც ჩერჩეტი იყო, მაგ-  
რამ ამ ამბავმა მთლად გამოაჩერჩეტა. რა ვქნა, ვის და-  
ვეყრდნო? შინ — მტერი, გარედ — მტერი. ყველანი  
თავიანთ გუნებაში ალბად ნიშნს მიგებენ და დღე-დღე-  
ზე ელიან როდის წაიქცევა ბებერი ლომიო.

ამ სიტყვის დროს ფეხი ისე მაგრად ჩაჭკრა იატაკს,  
რომ მთელმა სახლმა ზანზარი დაიწყო, ხოლო ზილფას  
შიშით ხელიდან გაუფარდა საშინაო ჭურჭელი. ბენი-  
მინს ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია და საშინელი  
ყვირილით დაასრულა:

— არა. მე არ მინდა წაქცევა. მე ვარ მამა და  
მქვია ბენიამინ ბერიძე. ან მე და ან ჩემი ქალიშვილი. ან  
მე და ან ისინი. მთელი ქვეყანა! დეე! მებრძვიან და  
ვებრძვი! ნურავის მოეჩვენება ასე ადვილად ჩემი ადგი-  
ლის დაჭერა! ნუ! თორემ...

და ამ სიტყვებთან ერთად წააელო თავის ცოლს  
მაგრად ხელი, რამდენიმეჯერ მიახლევენა თავი კედელ-  
ზე, რის შემდეგაც ძლიერი წიხლის კვრით დასცა ში-  
წაზე.

ზილფამ შეჰკივლა.

ბენიამინი უგონოდ დასცქეროდა თავის ცოლს და  
არ ესმოდა რა აკივლებდა მას.



ესთერი შესქცეროდა თავის მამას და ყურების არ  
სჯეროდა. ჯერ არასოდეს არ უღაპარაკნია ბენიამინ

ბერიძეს თავის ქალიშვილთან ასეთი კილოთი. რა იყო ეს: მშობლიური სიყვარულის გულწრფელი აღსარება? უკან დახევა? შეგნებული მანევრი?

ასე თუ ისე ესთერი თავჩაღებით, მორცხვობით და განსაკუთრებული ყურადღებით უსმენდა თავის მამას, რომელიც ებაასებოდა მას დინჯად, ალერსიანად და უჩვეულოდ:

— შენ შემოგვევლოს შენი მამა, ესთერ. შენ უნდა კარგად იცოდე, რომ ჩემთვის ყველაზე ძვირფასი ამ ქვეყნად არის მხოლოდ შენი თავი. მე შენს მეტი არავინა მყავს. რა შავ ქვად მინდა ჩემი ქონებ-ცხოვრება? მე უკვე ვბერდები. როცა მოვეკვლება ვის უნდა დარჩეს ყოველივე ეს? შენს მეტი ხომ შემკვიდრე არა მყავს? მაშასადამე, მთელი ჩემი ბრძოლა ცხოვრებაში მიმართულია იქითკენ, რომ შენი მომავალი უზრუნველყო უფრო უკეთესად და უკეთესად. თუ ვწვალობ, ვშრომობ, დღე და ღამე ოფლს ვღვრი. — ყოველივე ამას ერთი მიზანი აქვს. ეს ხდება მხოლოდ შენი გულისათვის, რომ შენ გაგიადვილდეს ცხოვრება, რომ არასოდეს არაფერი არ გაგიჭირდეს. ხომ გესმის შეილო?

— მესმის მამა—ძალაუნებურად წამოცდა ესთერს.

— ჰო და თუ ყოველივე ეს გესმის, ერთიც უნდა გესმოდეს: რისთვის მოინდომებს მამაშენი შენთვის ცუდს? განა შენი ცუდი ჩემთვის ცუდი არ იქნება? შენ უნდა ენდო ჩემს უფროსობას, პატიოსნებას, გამოცდილებას, განა არ იცი, რომ მთელი ქვეყანა ჩემგან სწავლობს ჭკუას? მაშ რა დავიმსახურე შენს წინაშე ისეთი, რომ შენ, ჩემს ერთად ერთ ქალიშვილს, ჩემი აღარ გჯერა?

— მჯერა მამა, რომ კარგი გინდა, მაგრამ შენ თვითონ ვერ ამჩნევ იმას, როგორ სჩადიხარ შეცდომას.

— ახალგაზრდობას სისხლი უღულს, სამაგიეროდ გონებაში ნაკლები უყრია. ამიტომაც ყოველთვის ასე ჰგონია ახალგაზრდობას, რომ უფროსი თაობა ცდება, მხოლოდ თვითონ კი შეუმცდარია.

— რას იზამ მამა, ყოველი ახალი თაობა ცდილობს წინ გაუსწროს თავის ძველ თაობას. ის, რაც ძველ

დროს ძალიანაც მისაღები იყო და დასაფასებელი, ჩვენ დროში შესაძლებელია ის სავსებით უარსაყოფი გა-  
მოდგეს.

— ვინ ჩაგინერგა შეილო ასეთი აზრები?

— ახალმა დრომ, მამა.

— წყეულოც იყოს ეს ახალი დრო. ეს წინსვლა კი არაა. გარყვნაა. მე რომ არ მღომებოდა შენი წინსვლა და სწავლა-განათლება, მაშინ აღარ მივხაბარებდი შენს თავს გიმნაზიაში. მხოლოდ ყველაფერს ცხოვრებაში საზღვარი აქვს. აიღე მაგალითად წყლით სავსე ქოქა. საკმარისია ერთი ზედმეტი წვეთი, რომ იგი დაიღვაროს. ასეა შეილო. ყველაფერს ზომა და საზღვარი უნდა. ზედმეტი სწავლით ხალხი ირყვნება. სწავლა — ეს კარტის თამაშია, ჩათრევა იცის. ნეტავი იმას, ვინც ალ-  
ლოს აუღებს და დროზე წერტილს დაუსვამს.

— წერტილის დასმა ეს უკან სვლაა, კაცობრიობის დაღუპვაა.

— კარგი შეილო. ფილოსოფოსობას თავი დავანებოთ. ამ საკითხებისათვის ბევრია მოცლილი ქვეყანაზე. ეხლა ჩვენ ისევ ჩვენს საკითხს დაუბრუნდეთ და გადავწყვიტოთ სიამტკბილობითა და ერთმანეთის სიყვარულით. ნულარ მატკენიებ ამაზე ზედმეტათ გულს, ჩემო ესთერ. შენ კარგად ყური მიგდებ. შენ ოღონდ დათანხმდი და რაც გინდა მთხოვე. მზითევი ხომ კარგა გაქვს შეილო. დამავალე და ხუთი მაგაზე უკეთესს გამოგიწყობ. რასაც კი ინატრებ, ჩიტის რძეც რომ მთხოვო, იმასაც მოგიტან. აი შეილო, მე როგორ გეპყრობი და დავინახავ ეხლა, შენ რას მიპასუხებ. შეიძლება წარსულში გაწყეინე, ბევრიც გიყვირე, როცა მოთმინებიდან გამოვედი ხელიც შეგახე, მაგრამ ეს ყველაფერი მომივიდა შენი ზედმეტი სიყვარულით და შენი კეთილდღეობის სურვილით. აბა ესთერ, როდისთვის დავნიშნო ქეთუბა, რომ შენი და ყეზრას ბედნიერების დღემ ჩვენც გაგვაბედნიეროს შენი მშობლები?

— ეს არასოდეს არ მოხდება მამაჩემო — შესძახა შეშინებულმა ესთერმა.

— ესთერ...

— ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ, მამა. ვანა შენ  
იცო, რომ აღრე სიკვდილს ვირჩევ, ვიდრე ყვზრას მხარ-  
ში ამოუდგები?

— ესთერ...

— არა, არა, მამიკო, გენაცვალე — და ამ სიტუ-  
ვებთან ესთერმა მუხლთქვეშ მოიყარა და მამას მიაპყრო  
ვედრების თვალეები — თუ მე გიყვარვარ, თუ სულ  
ცოტა მაინც გებრალეები, ნუ ინებებ ჩამადლო ისეთი კა-  
ცის ხელში, რომელიც მეზიზღება, მძაგს და რომელ-  
თან არაფერი საერთო არასოდეს არ მექნება. მამა, გე-  
ვედრები.

— ესთერ...

ეხლა უკვე ხმააწეული კილო იყო. ესთერმა ეს  
ფარგად იგრძნო და უფრო მეტიც: იცოდა რომ ეს წუ-  
თი საზღვარი იყო, რომლის შემდეგაც ბენიამინის გან-  
წყობილება ისევ შეიცვლებოდა და განმეორდებოდა  
ძველი, ნაცნობი ეპიზოდები.

— ყვზრა შათაშვილი თუ არა გასურს, მაშინ რომე-  
ლიმე ვაჭარი ამოარჩიე. ბენიამინ ბერიძეს მოყვრობა-  
ზე კაცი არ იტყვის უარს.

— მე არაფერ არა მსურს.

— არაფერ? სულ არაფერ? — ბენიამინ ბერიძე თან-  
დათან მოთმინებიდან გამოდიოდა. — არც ნათან ჯა-  
ნაშვილი? გესმის, რას გეკითხები? არც ნათან ჯანა-  
შვილი?

ესთერი ჩუმად იყო, მაგრამ ეს სიჩუმე საუკეთესო  
შეტყველი იყო ორივესათვის.

— თუ ასეა, შენ მაინც შენსას არ იშლი, იმ შენ  
ნათან ჯანაშვილს, იმ შენ მათხოვარს სანთელივით გა-  
ვაჭრობ ამ ქვეყანაზე და მერე აღდექი და თუ გინდ საფ-  
ლაგში ჩაპყევი.

დაასკვნა ბენიამინმა და ოთახიდან გავიდა.



— თვითონ ბენიამინ ბერიძეს სურს თავის პირით  
ელაპარაკოს ბატონ მათხოვარს! ეს ალბად იქნება ჩემი  
უკანასკნელი ცდა, რომლის შემდეგაც ჩემი ქკუა დაპ-





ქიქები ძიაკავენეს, რომლის შემდეგაც შეუდგენ  
ენერგიულად სხვადასხვა ნამცხვრებს.

ბენიამინს თვალყური ექირა კარებისკენ და გულში  
ფანცქალით ელოდა ყვარას მიერ თავზე აღებულ მოსა-  
სიის შედეგებს, მელამედს კი მიმართა მხოლოდ ამის  
თვის, რომ სიჩუმე არ ყოფილიყო:

— ცუდი დრო დადგა, რაბი.

— ცუდი. — გამოუხმაურა მელამედი და თავის  
რამოდენიმე დაქნევით ეცადა უფრო ხაზი გაესვა ამ  
აზრისათვის.

— ორი წლის წინედ ვინ გაბედავდა ამისთანა ამ-  
ბებს — სთქვა ისევ ბენიამინმა.

— ორი წლის წინედ — განიმეორა მელამედმა და  
ვიდრე განაგრძობდა თავი ისევ გადააქნია: — ორი  
წლის წინედ ჯამაათი ჯამაათს ჰგავდა, რაბი—რაბის,  
გაბაი—გაბაის. ორი წლის წინედ ჩვენი რჯულის მოლა-  
ლატეებს შევაჩვენებდი, რომლის შემდეგ აღარც ერთი  
ისრაელი ხლარ გაბედავდა მათთან სამი ნაბიჯით ახ-  
ლოს გავლას. ორი წლის წინედ ყველაფერი შესაძლე-  
ბელი იყო. დღეს კი...

— რა დრო იყო! შეადარე! ორი წლის წინედ დამ-  
ფუძნებელ კრებაში ჩვენი კაცი გვყავდა და მერე რო-  
გორი კაცი! ახალვაზრდა რაბი — ხახამ მოშე დავარა-  
შვილი. და მერე არ იკითხავ ვინ გაიყვანა? თვითონ  
მენშევიკებმა შეიყვანეს თავის სიაში! გესმის, რაბი? იმ-  
დენათ უყვარდათ მენშევიკებს ისრაელობა და მისი  
რჯული. ომ თავისი ხმებით გაიყვანეს ჩვენი რაბი. ეჰ,  
ბარე ორჯერ ვინატრებ ხოლმე იმ დროს, მაგრამ ნიშ-  
ნები არ არის, არ არის...

— პირიქით, ბენიამინ. ეს უნიშნობა არის ნიშანი.  
განა არ ბრძანებს ჩვენი წმინდა თორა: „როცა მოახ-  
ლოვდება შველის დრო, მაშინ აურევ მთელ ყო-  
ლამსაო“. აი სწორედ ეს არეული ყოლაში არის ნიშანი  
იმისა, რომ ისრაელის მტრები განადგურდებიან, ხოლო  
ისრაელის ერს დაუდგება მშვიდობა და ბედნიერება.

ბენიამინ ბერიძე შესქეპროდა თავის სტუმარს ისე-  
თი თვალებით თითქო ეუბნებოდა: „როგორ ფიქრობ

კოქლო, გგონია შესც გინდა მომატყო?" ხმაძილა კი  
საწინააღმდეგო აზრს წარმოსთქვა:

— სწორია რაბი, არეულია ყოლაში და ალბიდა ახ  
ლოვდება დრო.  
მელამედმა ისარგებლა შემთხვევით და  
როლში:

— რა არის თორა? თორის ყოველი ასო არის ცეც-  
ხლი და ვაი იმას, ვინც თავისი ბინძური ხელეებით მიე-  
კარება წმინდათა წმინდას. ცეცხლი დასწვავს და შთან-  
თქავს იმის მიმკარებელს, იმის დედმამას, იმის წვრილ-  
შვილებს, იმის მთელ მოდგმას. იმის თავზე გადაივლის  
ყველა ის წყველა-კრულეა, რაც კი ჩანოთვლილია სე-  
ფერ თორაში.<sup>1</sup>

— ეს ხომ ასეა, რაბი. მოდი ეხლა იმაზე ვილაპა-  
რაკოთ, თუ როგორ ვუშველოთ ჩვენს ხალხს, რომ მო-  
მაგალში მაინც აღარ გაგრძელდეს ეს უბედურება. ამ  
მუშაობის დროს ყველა ჯამაათების უფროსები ერთად  
უნდა იყონ, ვინაიდან კოდევილიანი შვილები ყველა ჯა-  
მაათში მოიპოვება. აი მაგალითად ნათანი — ცხინვა-  
ლელია, მაგრამ შაული—თითქმის ახალციხელია. გასა-  
გებია?

— ბენიამინ! მგონი თქვენ უფრო შორს ჰფიქრობთ.

— სწორია რაბი. მე ერთი აზრი მომივიდა. მაგრამ  
ვიდრე ამ აზრს გამოვთქვამდე მე მინდა ვიციოდე შენი  
შეხედულება ერთი საკითხის შესახებ, ვინ უფრო საში-  
ში მტერია ჩვენთვის: ნათანი თუ შაული?

მელამედი ჩაფიქრდა. კოტახნის შემდეგ უპასუხა:

— ორივე საშიშარია. მაგრამ შაული მაინც უფრო  
საშიშარია, ვინაიდან იმას ანოუდგა მხარში ღარიბი  
ხალხი. ნათანის ყბედობას კი მაინც და მაინც ბევრი არ  
აქცევს ყურადღებას.

— მეც ასე ვფიქრობ. რაბი. ეხლა მომისმინე. შაუ-  
ლის საწარმოოს მუშები ორი სამის გამოკლებით—ყვე-  
ლანი ახალციხელები არიან. ცხინვალებს ის სდეფ-

<sup>1</sup> სეფერ თორა—პერგამენტზე დაწერილი დაბადება, რომელიც  
დაბეული სახით ინახება სალოკავებში.

ნის, არ იღებს სამუშაოზე. ხოლო ღარიბები ცხინვალელების შორის ბლომად არიან. გამიგე?

— ესე იგი მე რა უნდა ვქნა?

— შენზე ბევრია დამოკიდებული, რაბი. და ელაპარაკო იმ ცხინვალელებს, რომლებიც მუშაობენ მასთან, შეაგნებინო ეს ამბავი და ჩაახედო ისინი ამ საქმეში. ამის შემდეგ იგივე უნდა აუხსნა იმ ღარიბ ცხინვალელებს, რომლებიც უსაქმოდ დაეხეტებიან და შიმშილით წყდებიან. ხალხის ხმას ბევრი შეუძლია. უნდა მოახერხო, რომ უახლოეს დღეებში „პირველი ნაბიჯის“ ახალციხელი და ცხინვალელი მუშები ერთმანეთს დაერიონ ცემატყეებით. ეს ამბავი უნდა გამოვიდეს ჟურნალში, რომ იმათ წარმოებას სახელი გაუტყდეს. ერთი სიტყვით, ციხე უნდა შიგნიდან გატყდეს. როცა ეს საქმე გამოეწყო შენი პატივისცემა ჩემს კისერზე იყოს. თანახმა ხარ, რაბი?

— თანახმა რომელია. ეს ხომ ჩვენი საერთო მოვალეობაა.

— ხელი, რაბი!

— აი ხელი!

— ესეც ასე. საერთო საქმეს მოვრჩით. ეხლა ნეტავ ის მათხოვარი ჩამაგდებინა ხელში და გაყურებინებთ რა დღეს დავაყრი. როგორ ჰფიქრობ, ყეზრა მოახერხებს მის მოყვანას?

მელამედმა ველარ მოასწრო თავისი იმედის გამოთქმა. კარი გაიღო და ოთახში შემოვიდა აღელვებული და გაწითლებული ყეზრა. თვითონ ხმას არ იღებდა, მხოლოდ ოთახში მყოფნი მოუთმენლად ელოდნენ მის მოტანილ ამბავს. როცა შეატყო ბენიამინმა, რომ ყეზრა ენას ველარ იდგამდა, განრისხებით შეუტია:

— დაგამუნჯა აკადოშ-ბარუხუმ?

მელამედმაც დაუმატა:

— ა?

ყეზრა როგორც იქნა მოვიდა გონს და შორიდან დაიწყო:

— მივედი ძია დათოსთან. უთხარი, ჯერ ჩხუბი დამიწყო: მე ცხინვალელების შამაში ვარ, ახალციხე-

ლების ხომ არაო, ბენიამინ ბერიძეს თავისი შამაში ჰყავს და ის გააგზავნოსო. ბევრი ვეჩხუბე, ისიც შეჩხუბა. მერე ვუთხარი, მართალია ახალციხელების შამაში არა ხარ, მაგრამ ჩვენი ხო ხარ და ამ საქმეს შეგავალოლებ თქო. იქით აქეთ და როგორც იქნა დათანხმდა.

— ვერაფერი გაბაი ყოფილხარ თუ შამაშიც არ გიჯერის.

— აი რა დღეში ვარ, ჩემო სიმამრო, რო იცოდე ძია დათომ ოთხასი მანეთი ჩემი საკუთარი ფული ჩაჯობა. მართალია ეკუთვნოდა, მაგრამ ამდენი — არა, ეხლა კიდევ—ურჩობას უშატა...

— ეგ საინტერესო არაა. შენ ისა სთქვი რა გააკეთე?

— ჰო, რა გავაკეთე. გავაკეთებდი, რომ გამეკეთებია, მაგრამ ძია დათო დიდი უსვენდისო ვინმეა. ჯერ შევიდა ნათანთან. მე ქუჩაში დაეუწყე ცდა. ნახევარ საათზე მეტი მაცდევინა, არა, მეტი იქნებოდა. შემდეგ გამოვიდა, ჩაახველა ისე მაგრად, რომ კინალამ გული შემიწუხდა, შემდეგ თითით მანიშნა და მეც გავყევი მეორე ქუჩამდე. იქ ელექტრონის ბოძთან გაჩერდა და ასე მითხრა... თუმცა... ეს შეიძლება ძია დათომ მოიგონა... აბა რა ვიცი... ჩემო სიმამრო, ყურებს არ დაუჯერო... თუმცა მეტი რა გზაა... უნდა დაუჯერო.

— ბოღვას თავი დაანებე. რა გითხრა ძია დათომ?

— ძია დათომ სთქვა ასე: „გადაეცი ბენიამინ ბერიძეს, რომ იმისთანა სპეკულიანტებთან და სისხლისმწოვ წურბელებთან არაფერი საქმე არ მაქვსო და მეორედ აღარ გაბედოს ჩემი შეწუხებაო“.

ბენიამინის შრისხანება გადატყდა ყეზრას თავს საშინელი ყვირილით:

— უშნო! აყლაყუდა! გამეცალე აქედან!

მეორე ოთახში გაისმა სიცილი, რომელიც ზილფას მეტს არავის გაუგონია.

იცინოდა მწოლიარე ესთერი.

ეს იყო მისი პირველი გაცივება ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში.

2

„დაგიგვიანე წერილი, მაგრამ არა იმეოტომ, რომ დამავიწყდა შენი დავალება, არა, არ იფიქტრო. ჩემი ქალაქში ჩამოსვლის პირველ დღიდანვე შევეუდექი ამ დავალებას, ვინაიდან ეს არ არის მარტო შენი პირადი საქმე, ან ჩემი, არამედ ეს არის მთელი საისრაელოს საქმე. თუ აქამდე არაფერი არ მომიწერია, ეს ჩავიდინე განზრახ, რადგანაც ყოველ დღე ველოდი, რომ დაეძლევდი ნათანის იეცერ-არაყს,<sup>1</sup> რასაც მთელი სულითა და გულით მოგახარებდი. დღე დღეზე იღევა, ჩვენი სიცოცხლე თანდათან მოკლდება. მაგრამ ვაი რომ ჯერ კიდევ სატანია გამარჯვებული.

რა მოგწერო? როგორ დავაწყო? საიდან დავიწყო? გამრავლდა ჩვენი ცოდვები, რის გამო ჩვენს ხალხს მოელის უფრო და უფრო უარესი გაქირვება. უბედურება და ათასი განსაცდელი.

ნეტავი უმალ ჩემს დაბაში დამბრძავებოდა თვალები და არ შენახა ამ ქალაქში ის, რაც ვნახე.

საცოდავო ისხაკ! უბედურზე-უბედური კაცი ხარ და არ შესმის აკადომ-ბარუხუს გზები—დაილოცა მისი სახელი — თუ რისთვის ამოგარჩია შენ პატიოსანი ისრაელი, რომ შენი საზიზღარი შვილის მაგიერ ეჯანჯო. მეცოდები ისხაკ მაგრამ რა ვუყო, რა ვქნა, უნდა ყოველივე შეგატყობინო.

ვახსოვს ბატონი ყეზრა მათაშვილის წერილი? რა არის ის წერილი იმასთან შედარებით, რისი მოწმენიე ვახდენ ჩემი საკუთარი თვალები?

<sup>1</sup> იეცერ-არაყ — ავი კმნილება, (მორწმუნეთა აზრით ადამიანში ხის ორი კმნილება: ავი და კეთილი).

ოი ისხაკ, ზღვა ვერ დაიტევს ნათანის ცოდ-  
ვებს. კალამი გატყდება და ქალღმერთი დაიხვევა —  
ამ აბების ძალით, დღეს მთელი ქალაქი ზიზღით  
და წყევლა კრულვით იხსენიებს შენს ნათანს. ყვე-  
ლას თითი აქვს გაშვერილი და ყველა იძახის — აა  
ეს არისო.

მე აღარ მინდა ჩამოვთვალო მისი ბოროტი და  
ცუდი საქმეები. საკმარისია გაცნობო მხოლოდ ის,  
რომ ამ ბოლო დროს მან გალანძლა და მიაყენა სა-  
შინელი შეურაცყოფა, საქვეყნოთ ცნობილს და  
სახელგანთქმულ ადამიანს, ყველაზე დიდი საზოგა-  
დოების, ე. ი. ახალციხელების ვაყად-ჰაყეილას  
მთავარ გაბაის ბატონ ბენიამინ ბერიძეს!

ადონაიმ გონება წამართვა და აღარ ვიცი რა  
მოვიფიქრო.

იქნებ ადონაიმ შენ გადმოგხედოს წყალობის  
თვლით და გაგიხსნას გონება, მოიქეცი ისე რო-  
გორც შეეფერებოდეს მისი წმინდა სახელის დამ-  
ფასებელს.

სხვაფრივ გფარველობდეს ადონაის კალთა და  
მეტე უსიამოვნება აღარ შეგახვედროს. მომიკითხე  
მთელი ჯამაათი სიყვარულით და ნახვის ნატვრით.  
თქვენი მელამედი“.

როდესაც ისხაკი შორჩა წერილის წაკითხვას, ლიას  
არც კი გადახედა თავის ჩვეულებისამებრ. თვალეზი  
დახუჭა და თავი მკლავებში ჩასდო. ერთი მაგრად ამო-  
იკენესა და თან ამოიძახა.

— ოი, უბედურო ისხაკ! რისთვის გაჩნდი ამ ყოლა-  
მზე...

ლიაც, ნათანის გულკეთილი დედა, იმავეს ჰფიქ-  
რობდა. მათთვის—ნათანი ყველაფერი იყო და თუ ნა-  
თანი ასეთი საქმეების ჩამდენი იყო—მაშინ უკვე ორი-  
ვენი ერთნაირად ემდუროდენ ქვეყნის გამჩენს.

ისხაკმა დიდხანს ვერ შეიმავრა თავი წყნარად.  
წამოხტა:

— გაგიყებულა! გაგიყებულა ის ოჯახდასაქცევი...

რა უნდა ეთქვა ლიას სამაგერო? ისხაკი კი ყვიროდა:

— რა ვქნა, რა წყალს მივეცე, ვაიმე შევილო, ეს რა საქმე მიყავი....

და ლიას გული სანთელივით დნებოდა, როცა ხედავდა, როგორ სდიოდა მის მამაკაცს ცრემლები.

...მთელი დღე დარბოდა ისხაკი ადგილიდან ადგილზე და ვერსად ვერ პოულობდა ხუფეშს; იგი დაემგზავსა ადამიანს, რომელიც შეუპყრია შიშს, რომ აგერ-აგერ მიწა გასკდება და თავის უფსკრულში შთანთქავს მის უხუგეშო სხეულს.

ვერ შესჩივლებდა ვერავის, ვერც უამბობდა. ეშინოდა აქაც არ გადაქცეულიყო ქვეყნის სალაყბოდ. მწუხარებით და დარდით ისხაკი ჩამოყვითლდა; საქმელს აღარ ეკარებოდა და ყოველ გამვლელში ხედავდა თავის მტერს, თავის არა სახარბიელო ბედის დამცინავს.

სალამოზე, დაღლილი, დაქანცული, გახშირებული გულისცემით და უსაზღვრო ტკივილით—შევარდა თავის სახლში და ლიას შეეკითხა.

— ჩემო ცოლო, რამდენია ჩემი თანხა?

— რამდენიც იყო, ისხაკ. ორმოცდა ჩვიდმეტ მანეთი.

— მომეცი. მივდივარ.

— სად? რა ამბავია?

— ქალაქში. იქ ჩასასვლელად ხომ მეყოფა და მერე რაღაც მომივა—ჯანდაბას.

— ვაიმე ისხაკ, გამაგებინე რა გავიზრახავს?

— თუ კიდევ ერთ დღეს გავჩერდი აქ, ბოლმით და ჯავრით გული გამისკდება. უნდა წავიდე და ჩემი თვალით ვნახო ჩემი გაუბედურებული შვილი. აღარ შემოდღია მეტი, აღარა...

— დედის გული კი ნაკლებია?

— რა უყო ლია, შენც ხომ ვერ წავიყვან თან...

— ფეხით ვივლი, ვიშიმშილებ. მეც უნდა წამიყვანო. მე აქ გამჩერებული აღარა ვარ.

— რას ამბობ დედაკაცო...

— ამაზე უარესად ნულარ მომიკლავ გულს. უჩე-  
ვოდ რომ წახვიდე—მე ამ ამბავს ვერ გადავიტან და  
ებლავე გამომეთხოვე.

— ლია!

— ისხაკ!

ისხაკი გაოცდა. მის მოყვარულ მეუღლეს, არასო-  
დეს, მთელი მათი ერთად ცხოვრების მანძილზე არ უღლა-  
პარაკნია ასეთი დაჟინებული ენით. კამათს აზრი არა  
ჰქონდა, მაგრამ ორივეს ერთად ქალაქში გამგზავრება  
— აღემატებოდა მის ძალღონეს და ამიტომაც მოაგონა  
ლიას:

— სად არის ქალო ფული? განა არ იცი ჩემი მდგო-  
მარეობა?

— ვიცი ისხაკ, მაგრამ რადგან ასე გაგვიჭირდა—მე  
გავყიდი ჩემს კაბას, რომელიც ჩამიცვამს ჩემს სიცოც-  
ხლეში მხოლოდ ერთხელ, ჩვენი ქეთუბის წაკითხვის  
დღეს.

— არა ლია, მე მაგის გაყიდვას არ დაგანებებ.

— როგორც გინდა, მე თან უნდა წამიყვანო, არა  
და აქვე დამახრჩე შენი ხელით.

...მთელი ღამე ბროგავდა ისხაკი ლოგინზე. ძილა  
არ მიკარებია არც ერთი წუთით და თეთრად გაათენა-  
ეს ღამე. ეძებდა გამოსავალს, ვინაიდან მისთვის ცხადა-  
ვახდა, რომ ლიას წაყვანა აუცილებელი შეიქნა.

ვალი ბევრის ემართა, ეს ხელს უშლიდა სესხის  
აღებას. ვალიც რომ არ ჰქონოდა, საეჭვო იყო ვინმე  
რაიმე მიეცა მისთვის, როცა ყველამ იცოდა მისი  
მძიმე ვასაჭირი. მისი „მარადიული თანხა“ ორმოცდა  
ჩვიდმეტი მანეთი მას გაჰქივრებით ეყოფოდა ქალაქ-  
ჩასასვლელად, რომლის შემდეგ ისინი დარჩებოდნენ  
უკაპეიკოთ, როგორც თევზი უწყლოდ.

ისხაკმა იცოდა, რომ არ ეძინა არც ლიას, რომელს-  
საც განგებ თვალები დაეხუჭა და თავი მოემძინარებია.  
ოცნებაში დედა ეხვეოდა თავის შვილს და სტუქსავდა:  
„რისთვის ჩემო ნათან, რისთვის?“

ისხაკი დააკვირდა ლიას, რომელსაც შუბლი ნაო-  
ქებით ავსებოდა. ხოლო ლოყებზე სიმწრის ხაზები



ერთმანეთზე გადაჯვარედინებულოყვენ და ამოიქცა; ისეთი ძალით თითქოს სურდა ამ ობრისათვის გაეტანებოდა მთელი თავისი მწარე სიბერე.

...დილით ადრე გავარდა ბაზარში. ლიამ მხედდა, რომ ისხაკმა რაღაც გადასწყვიტა, მაგრამ ამ გადაწყვეტილების არსი ლიასათვის ცხადი შეტქნა მხოლოდ მაშინ როცა ისხაკი დაბრუნდა და ლიას უთხრა:

— მოემზადე ლია, შეტქარი ბარგი, მივდივართ ქალაქში.

— ფული სად იშოვე? — შეეკითხა ლია.

— სახლი გავყიდე.

ლიამ ველარ შეიკავა თავი და ცრემლები წამოსკდა, ხოლო ისედაც დამწვარმა ისხაკმა ამაზე უსაყვედურა:

— სახლი — უსულოა. ნათანს კი ჯერ სული უდგია, რომელი უფრო ძვირფასია შენთვის?

ლიამ ცრემლები მოიწმინდა, ბედს შეურიგდა, რა საკვირველია ეს „შერიგება“ ასე ადვილი არ იყო. ათეული წლები მიჯაჭული იყვნენ ისინი ამ პატარა ქოხს, თავიანთ მყუდრო ბინას, აქ უნახავთ მრავალი ბედნიერებაც და უბედურებაც — და ეხლა უცბად, ერთი ხელის დაკვრით, თითქმის ნახევარ ფასში სთმობდენ თავის საკხოვრებელ კარშიდამოს და მასთან ერთად თავის შეჩვეულ დაბას, თავის მამაპაპათა საფლავებს — სამუშაოდ და საუკუნოდ!

სახლთან ერთად ისხაკმა გაჰყიდა საოჯახო ნივთებიც. როცა მყიდველები და ახალი პატრონები მივიდნენ, ლია ეზოში გავიდა და იქ იჯერა ჩირილით გული, რადგან არ უნდოდა მისი სისუსტე ისხაკსა და მიწობლებს შეემჩნიათ, შემდეგ პირსახე დაიბანა და სახლში დაბრუნდა.

დაბის მცხოვრებთათვის — სახლის გაყიდვა, სხვისათვის გადაცემა და შეჩვეული მიწობლის სხვა ქვეყანაში გამაზიარება, რომელსაც ისინი „გადასახლებას“ უწოდებენ — იშვიათი და საყურადღებო მოვლენა იყო. ამიტომ ჯანაშვილების ყოფილი სახლი საჩქაროდ აივ-

სო დაბის აუარებელი ებრაელებით, კაცებით და ქალებით, დიდებით და პატარებით.

ათასნაირი ხმები დადიოდა და მეზობლები მსუბუქებით და თანაგრძნობით, ერთმანეთს ყურში ჩურჩულით ეუბნებოდნენ:

— საცოდავი ისხაკი...

— თურმე ნათანი გახდომიათ ძალიან ავად და იმისათვის მიემგზავრებიან.

— ფული რო აღარ ჰქონიათ, სახლი გაუყიდიათ.

— მე კი ასე გავიგე, გუშინ კოჭლი შელაშენისგან მოსვლიათ რალაც კუდი წერილით.

— თურმე ნათანი გაუხერხებიათო...

— სსს... ნულარ იტყვი. უარესათ გულს ნულარ მოუკლავთ.

— რაც უნდა სთქვი და... ძალიან საწყენი კია ისხაკ ჯანაშვილის ჩვენი ქვეყნიდან წასვლა. მაგისთანა პატიოსანი ისრაელი ბარე ორი არაა ჩვენს დროში.

იცლებოდა სახლი. მიდიოდა ძველი პატრონი, მოდიოდა ახალი. იკვრებოდა სიღარიბის და გაჭირების ბარგი. იბნეოდა და ილუოდა ფული ათას გაუთვალისწინებელ ხარჯებში. და როდესაც ოთხცხენიანი ეტლი, რკინის ბორბლებით და ზევიდან თბელი ნრიზენტით გადაფარებული—რომელსაც ამ დაბაში „დილიყანს“ უწოდებდნენ—მოადგა ხარების წკარუნით ისხაკ ჯანაშვილის ყოფილ სადგომს, ისხაკმა ერთხელ კიდევ ამოიოხრა და დანახების გრძნობით გადახედა გარშემო შეგროვილთ:

— მშვიდობით, ჯამაათო...

მათ თვალეებში წაიკითხა გულწრფელი თანაგრძნობა და სიბრაალული.

ეტლი ზანტათ დაიძრა. მოხუცი ჯანაშვილები შეუდგნენ ვრძელ და დამქანცავ გზას.



სომხის ბაზარზე მოხუცი ჯანაშვილები გამვლელ გამომვლელებს ეკითხებოდნენ დანიელ თაფლიაშვილია

მისამართს. უმეტესობა ხელს აქნევდა, ხოლო ზოგთათვის აშკარად ეცილებოდათ, ერთი კიდევ გაჯავრდა:

— ვინ ეშმაკია დახიელ თაფლოს შეილია არაბთა უნდა ვიცოდე?

ისხაკმა უთხრა ლიას:

— ხედავ ლია, ქალაქში როგორი ხალხია?

— შენ აკი ქალაქში ყოფილიხარ?— შეეკითხა ლია.

— ეს იყო ბავშობაში, როცა მე კიდევ ცბინვალშე ვცხოვრობდი. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა.

ისხაკ ჯანაშვილს ზურგზე ეკიდა საკმაოდ მოზრდილი ბარგი სხვადასხვა წერილი საოჯახო ნივთებით. ლიაც დატვირთული იყო ღონეზე მეტად და ამიტომაც, ორივენი გრძნობდნენ ძლიერ დაღლილობას, რასაც უფრო აძლიერებდა ქალაქისათვის ჩვეული ახლად დაწყებული ზაფხულის ცხელი დღე.

ისხაკ ჯანაშვილი მაინც არ ეშვებოდა გამვლელებს. მგვრამ ამაოდ, არავინ არ იცოდა დანიელის ბინა და ისხაკი თავისთვის უსიამოვნოდ ჰფიქრობდა: „რაა, ამდენ ხალხში ნუ თუ მართლა არავინ გამოჩნდება ისეთი, რომ იცოდეს სად ცხოვრობს დანიელი?“

— მოეშვი ამ ხალხს, ისხაკ—უთხრა ლიამ—ვინმე შეგეხვდება ისრაელი და იმას ჰკითხე.

— ქალაქში ყველა წვერს იპარსავს. საიდან გავიგო ვინ ისრაელია და ვინ ქრისტიანი.—უბასუხა უკმაყოფილოდ ისხაკმა და ისევ დაუწყო, ხალხს მზერა ისეთის თვალებით, თითქოს უნდოდა მათ სახეზე წაეკითხა, ვინ იყო პატიოსანი და ვინ არა.

ამ სახეების შერჩევის დროს, ისხაკმა შეამჩნია, რომ ერთი მალაზიის ვიტრინასთან იდგა ახალგაზრდა ქალი, რომელიც საოცრად მოწყენილი გამომეტყველებით და დაფიქრებული, მეტის მეტად უხალისოდ, ათვალისწინებდა სხვადასხვა საქონელს.

რატომღაც ისხაკმა, თავისი შემდგომი „ნადირობის“ ობიექტად ამოიჩინა ეს ქალი, მიუახლოვდა და ისეთი ხმით, რომელშიაც ისმოდა ბოდიში შეწუხებისათვის, მიმართა:

— მამაშვილობას, დანიელ თაფლიაშვილი ხომ არ იცი სადა დგას?

— დანიელ თაფლიაშვილი?—გაოცდა ახალგაზრდა ქალი.—როგორ არა, ვიცი ძია. ჩვენი მეზობელია ფეთხაინზე ცხოვრობს, წაეიდეთ, მე გიჩვენებთ.

მადლიერი თვალებით გადახედეს მოხუცებმა ახალგაზრდა ქალს, რომელიც უცნაური ცნობისმოყვარეობით ათვალისწინებდა მათ. ისინი ერთად მიდიოდნენ და ერთმანეთს უცქეროდნენ.

„ამ მოხუცის სახეში—რაღაც ნაცნობი ხაზებია“—პფიქრობდა ახალგაზრდა ქალი, რომელსაც უკვირდა, რომ ამ ხალხს ვერ მოეხერხებინა მუშის აყვანა და თერთონ ათრევდნენ ამდენ მძიმე ბარგს. და უცხად მიმართა მოხუც ქალს:

— მოიტა დედი, დაგეხმარებით...—და ვიდრე ღია მოასწრებდა მადლობისა და უარის თქმას—მისი ხელბარგი უკვე გადავიდა მათი თანამგზავრის ხელში.

— კარგი ადამიანი ყოფილხარ, შვილო. ქალაქში ბევრი არ უხდა იყოს შენისთანა—მიმართა ისხაკმა,

ახალგაზრდა ქალი გაწითლდა და იმისათვის რომ რაიმე ეთქვა, შეეკითხა:

— საიდან მობრძანდებით, ძია?

როცა ისხაკმა უპასუხა, ქალი მოულოდნელობისგან გაფითრდა, მაგრამ თავს ძალა დაატანა და შეეკითხა:

— თქვენ ისხაკ ჯანაშვილი ხო არა აბრძანდებით?

— კი შვილო... ისხაკ ჯანაშვილი. მაგრამ შენ... საიდან იცი?

არა ნაკლებ შეშფოთდა ღია, რომლის მთელი გულისყური დაიპყრო ამ უკანასკნელმა, ამბავმა.

ახალგაზრდა ქალს ეტყობოდა, რომ ლაპარაკის დაწყება უმძიმდა. ის ფიქრობდა თავისთვის რაღაცას და დარცხვენილი თვალები გადაჰქონდა ქვაფენილიდან მოხუცებზე. შემდეგ როგორც იქნა მოახერხა:

— მე ვყოფილვარ თქვენს ქვეყანაში.

— აბა ჩემს შვილს ნათანსაც იცნობ?— უფრო მეტად დაინტერესდა ისხაკი.

— ვიცნობ— უბასუხა და თავი უფრო დაბლა დაწყო.

— ქალაქშიაც შეხვედრილხარ?

— ხანდახან...

— როგორ არის, რას აკეთებს?

— სწავლობს. მეტად ნიჭიერია.

— ხალხი რისთვის ემდურის?

— ვინ ხალხი?

— აბა რა ვიცი, ქალაქში ვინ ხალხია... იწერებიან ისეთ ამბებს, თითქოს ჩემს შვილს მთელი ქალაქი გადაუბრუნებია. ყველას ეჩხუბება: ღმერთსაც და ხალხსაცაო. კიდევ ასე იწერებიან, რომ შეუტყდენია ვიღაც ახალგაზრდა ქალი, რომელიც ყოფილა სხვაზე დანიშნული და მისთვის სახელი გაუტეხიაო.

— სიცრუეა, სიცრუე!— შეჰკივლა უცბად ახალგაზრდა ქალმა ისეთი ხმით, რომ გამვლელ გამომვლელელები უნებურად მიაშტერდა მას.

ისხაკ ჯანაშვილს ახალგაზრდა ქალის ხმაში ესმოდა ადამიანური გულისტკივილი, მაგრამ ძალზე აოცებდა მას, ისევე როგორც ღიას, ის გარემოება თუ ეს ამბავი რისთვის მიიღო ამ ქალმა გულთან ასე ახლოს.

— შენ საიდან იცი ყოველივე ეს?— შეეკითხა მას ღია.

— ვიცი...— უბასუხა გაურკვეველად ქალმა.

— აბა შენ ისიც გეცოდინება— მიმართა ისევ ისხაკმა— ჩემმა შვილმა მართლა მიაყენა შეურაცყოფა ბენიამინ ბერიძეს თუ არა?

— ესეც სიცრუეა. არ დაუჯეროთ მამაშვილობას, არაფერ ჭორებს. ნათანი საყვარელი და საუკეთესო ახალგაზრდაა... მხოლოდ ერთი რამე მინდა გთხოვოთ...

— სთქვი შვილო.

— როდესაც ნახავთ ნათანს, გადაეცით, რომ ფრთხილად იყოს. ბენიამინ ბერიძეს არ უყვარს ნათანი და სულ იმუქრება. ბენიამინი ბოროტი ქაცია და მეშინია. ნათანს ცუდი არაფერი უყოს... უთხარით, რომ უსათუ-

ოდ ერიდოს, ვინაიდან კარგად ვიცი, ის კაცი არ დაიხვეწება, ვიდრე მსხვერპლი არ იქნება...

„მსხვერპლი“? და ისხაკი შიშმა აიტანა. ლიასაც გადაედო მისი განწყობილება. ახალგაზრდა ქალმა შეაჩინა ის მძიმე შთაბეჭდილება, რომელიც მისმა სიტყვებმა მოახდინა და შეეცადა მათ შერბილებას:

— ცხოვრებაში ყველა ერთნაირი გზით არ მიდის. ნათანი ახალგაზრდაა და მომავალი მისია, ბენიამინ ბერიძეს კი ჯაგრისა და ბოდმის მეტა აღარაფერი დარჩენია, ამიტომაც არის, რომ ასე იკბინება შემოდგომის ბუზივით. შეიძლება არც არაფერი იქნეს, მაგრამ სიფრთხილით არც არაფერი დაშავდება... აი კიდევ მოვედით... ეს ჭიშკარი დანიელ თაფლიაშვილისაა... ინებეთ თქვენი ბარგი... მაგრად დაარაკუნეთ... შვილობით ბრძანდებოდეთ.

უდიდესი სურვილი ჰქონდა ლიას, რომ გადახვევოდა ახალგაზრდა ქალს მადლობის ნიშნად, მაგრამ თავი შეიკავა: „ქალაქელია... არ ეწყინოსო“.

ხოლო ისხაკი იდგა უდიდესი მოწიწებით ამ ახალგაზრდა ქალის წინაშე, არ აჩქარებდა ჭიშკარზე დაკაკუნებას და ხელის მაგრად ჩამორთმევასთან ერთად, ეუბნებოდა:

— დიდი მადლობა შეილო... სახელი მაინც მითხარი შენი.

ქალმაც უპასუხა გაუბედავად:

— ესთერ ბერიძე.



ისხაკი არ მოტყუებულა, რომ თავის სადგომად დანიელის ღარიბული ბინა აირჩია.

თაფლიაშვილისთვის მათი სტუმრობა მთელი მოვლენა იყო. დანიელი შემთხვევით სახლში იმყოფებოდა და როდესაც მოულოდნელად თავს წაადგა ისხაკი, გადაეხვია თავის სიყრმის მეგობარს ისე მაგრად, თითქოს სურდა ამ გადახვევით აენაზლაურებია უერთმანეთოდ დაკარგული ათეული წლები. ამის შემხედვარე ხანა-

შაც გულში ჩაიკრა ღია, რის შემდეგაც მოხუცების ხათითაოდ გაეცნენ თავლიაშვილების ბავშვებს. რომლებმაც სიხარულით ერთი აურხაური ასტეხეს. ჯერჯერობით განზე იდგა რუთიკო, რომელიც იცავდა თავის „უფროსობის“ ღირსებას.

— რამდენმა ხანმა, რამდენმა წელმა გაიარა!— იმყორებდენ ზედიზედ დანიელი და ისხაკი.

დანიელის ოთახს უკვე სხვა იერი მიეღო. ფანჯარაში უკვე ჩაესვა შუშები, და კედლებიც გაეთეთრებნა. რომლებზედაც გადაჭიმული იყო ელექტრონის მათეთლები.

როდესაც ცოტაოდნად მილაგდენ, ხანამ და რუთიკომ გაშალეს სუფრა და რაც კი რამ ებადათ სახლში, წრფელის გულით დააწყეს ზედ.

— მობრძანდით, ჩემო ძვირფასო სტუმრებო, ნუ დამემდურებით ამ ცოტა რამეზე. ნამგზავრები ხართ. ჯერ ცოტაოდენი მომაგრდით და მერე-ღმერთი პატრონია.— ეპატიეებოდა მათ დანიელი.

— მადლობელი, დანიელ, ერთი თავი ჩვენებური ყველი შენც წამოგიღე და არც შენ დამემდურო ამ პატარა ძღვენზე. ალბად გაგებული ვაქვს ჩემი მდგომარეობა.

ისხაკმა ხურჯინიდან ამოალაგა რამოდენიმე თავი დაწნული ყველი და გადასცა ხანას.

ამის შემდეგ შეუდგენ საუზმესა და ერთმანეთის დალოცვას.

— როგორი გაეხარდება ნათანს.— წამოიძახა რუთიკომ.

ყველა შეაცქერდა ამ ბავშვს, რომელმაც დაარღვია ერთგვარი მორიდება, რომელიც აშკარად მოსჩანდა ნათანის გახსენებაში— როგორც დანიელის, აგრეთვე ისხაკის მხრივ.

განწყობილება ისეთი იყო, თითქოს რუთიკომ მაგრად დააჭირა ხელი ელექტრონის ზარს, რომელიც მყისვე აწყრიალდა. ამავე დროს კიდევ შერცხვით, რომ ბავშს, რუთიკოს დასჭირდა ხმამაღლა მოეგონებია მათ-

თვის ნათანი,—ეს უმთავრესი გმირი და მათი ცხოვრების შინაარსი.

— ჩემი ნათანი... იმას მოუყვდეს დედა, როგორ არის?—წამოიძახა დედამ.

ისხაკი ელოდა პასუხს ხმაამოუღებლად და დანიულმაც არ დააყოვნა:

— ნათანი კარგადაა, ნეტავი ჩემი შვილები დამეზრდებოდეს ისეთი...

— საისრაელოს არ არცხვენს?

— როგორ გეკადრება, ისხაკ.

— აბა რატომ ემდურის ქვეყანა?

— ვინ ქვეყანა?

— აბა რა ვიცი, ვინ ქვეყანა... ასე კი იწერება კოჭლი მელამედი.

— შენც დაუჯერე? შემეცდარხარ ისხაკ. ნათანს ემდურის ორი სამი კაცი—მდიდრები.

— ნათანს არასოდეს არ უყვარდა მდიდრები.

— ჰო და არც ეხლა უყვარს. ან რა საყვარელი არიან ისინი? ეჰ, რომ იცოდე როგორ სწოვა ჩემი სახლი ბენიაშინ ბერიძემ, შეგეცოდებოდი, მაგრამ ეს ვრძელი ისტორიაა. ამისთვისაც მოვიცლი როგორმე, ეხლა ეს მითხარი, ისხაკ: განა შენ თვითონ გიყვარდა ოდესმე მდიდრები?

— სიმართლე რომ სთქვას კაცმა არც მე მყვარებაა ისინი.

— აბა რისთვის სძრახავ მას, ისხაკ?

— ვინ სძრახავს, რა ვიცი... აღარ მომასვენებს უბედური და ავადმყოფი კაცი. წერილს წერილზე მიგზავნიდენ, და მერე როგორ წერილებს! ნომიკლეს გული აღარ მინდოდა, რომ ქვეყანაზე მეტოცხლა. ამოჰავდეს, ოჯახიანად, გაეყიდე სახლი, ნივთები, გამოეჭანდი ქალაქში, რომ ჩემი თვალით დავრწმუნდე, თუ რა ჩამდენია ჩემი ნათანი.

კოტა ხნის პაუზის შემდეგ დაუმატა:

— როგორი მიყვარს ნათანი! იმის გულიათვის თვალდახუჭული გადაეარდებოდი მტკვარში. იმაა შე-



მოვევლე, იმას ვენაცვალე.. ნეტავი როდის ვნაავ, გუ-  
ლი საგულეში აღარ მიდგება.

— ეხლა ჩემიც იკითხე—დაუმატა ლიამ.

— ნახავთ, ნახავთ სულ მალე. მოესწრებინათ  
სახლში არც იქნება. ცოტა კიდევ ვილაპარაკოთ და მა-  
ლე რუთიკოს გავგზავნი. პირდაპირ აქ მოგვევროთ.

— შენ კი ვენაცვალე, დანიელ, ხშირხშირად ნახუ-  
ლონდი?

— ძალიან შემოყვარდა იმასთან ლაპარაკი. ვანუ-  
წყეტლივ დავდიოდი მასთან.

— შითხარი რამე იმის შესახებ. დამარწმუნე, დამა-  
ჯიერე, გული გამიკეთე: მაშ ნათანი არ არის ცუდი სა-  
ქმეების ჩამდენი? მაშ ნათანს არა აქვს ცუდი სახელი?

— არა, არა, არა, დამიჯერე ისრადლო. ყოველ-  
ნაირად სუფთა და საყვარელი ახალგაზრდაა... თვითონ  
დარწმუნდები ამაში... გატყობ, არც შენ და არც ლიას  
ოთმინება აღარ გყოფნით. გადადი შეილო რუთიკო და  
ნათანი ვადმოიყვანე. უთხარი, რომ ძია შემოგეხვეწა-  
თქო. ნუ ეტყვი, რომ ჩვენთან მისი დედმამაა ჩამოიუ-  
ლი, თორემ უცბად შეშინდება. გაიგე?

— გავიგე—სთქვა რუთიკომ და სასწრაფოდ გაქა-  
იდა.

— ეხლა კი ჩვენ იმათ მოსვლამდე—განაგრძო და-  
ნიელმა და ხელში ჭიქა აიღო—დავლიოთ თქვენი ქალა-  
ქში გადმოსახლებისა, კეთილი ყოფილიყოს.

— ამენ!—უპასუხა ისხაკმა და ქალებმაც იგივე  
გაიძეორეს.

— აბა ისხაკ, მოვეყვით აქეთური-იქითური—შეიტა-  
ნა წინადადება დანიელმა, რომლის შემდეგ ძველმა შე-  
გობრებმა ბევრი რამ საყურადღებო უამბეს ერთმანეთს  
თავისი გავლილი ცხოვრებიდან.

ისხაკი პრაქტიკული კაცი იყო და მოხერხებულ  
მომენტში ჩაუბრუნა:

— ეხლა ერთი დარდი მაწუხებს. ამ სიბერის დროს  
არ გვინდა თავზე დავაწვეთ ზედმეტ ბარჯად ჩვენს  
შვილს ნათანს, არ გვინდა სწავლაზე ხელი შეუშალოთ.  
ამდენი გვიწვალთ, კიდევ ამდენსაც ვიწვალებთ, ოღონდ

იმან თავის მიზანს მიალწიოს... ესეც გადმოვსახლდეთ  
ქალაქში. რაზე საქმე უნდა ვიშოვო. მომცემს ვინმე  
ხისიას?

დანიელმა ნელა გაიტანა:

— ქალაქში გადმოხვედი და კიდევ ნონისთავედ  
გინდა ვაატარო შენი დარჩენილი ცხოვრება?

— აბა რა ვქნა, სხვა რა დამრჩენია?

— მეც ასე მეგონა, რომ სხვა არაფერი შემიძლია  
თქო. მაგრამ დახე დროებას. ბალშეველებმა ამ სიბერის  
დროს წერაკითხვა მასწავლეს და ბენიამინ ბერიძე და  
იმის მსგავსი წურობელა ხალხი აღარ ევახარეს ჩემზე. ლა-  
რიბ ისრაელებს ფეხსაცმელების საწარმოო ვაგვიხსნეს  
და მე საწყობის გამგედ დამნიშნეს. დღეს დასვენებაა.  
აბა ხეალ გიჩვენო—ჩვენი საქმეები. იტყვი: „ეს რა აქ-  
ბავი ყოფილაო“!

ისხაკ ჯანაშვილი საწარმოოს უნახავადაც უკვე ჰფხ-  
ქრობდა, რომ ქალაქის ღარიბი ისრაელების ცხოვრე-  
ბაში დაწყებული რაღაც კარგი და ახალი ამბები გუ-  
ლი შიშნარევი სიხარულით ევსებოდა და უნდოდა,  
რომ დანიელს დაუსრულებლად ელაპარაკნა და უფრო  
კარგი და კარგი ამბები ეთქვა მისთვის.

— აბა დანიელ, არის იმედი?

— შენისთანა ალაღმართალი და ღარიბი ისრაელ-  
სათვის თუ არ არის იმედი—აბა ვისთვის უნდა იყოს?—  
და ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ დაუშატა: — იცი, რას  
გეტყვი, ისხაკ? მე ამ საქმეს არ გადავდებ და ხეალვე  
მოველაპარაკები ჩვენს გამგეს; ჩვენს წარმოებაში ერთი  
საშენო ადგილი მეგულება. ჩვენი გამგე ყოველთვის მ-  
ნდობა და მუდამ მადლიერია ჩემი; იმედი მაქვს არ მეტ-  
ყვის უარს. იცი, ისხაკ, რა გამგე გეყავს? თელ ჩვენს  
მტრებს თვალები დაუყენა. შაულ ათანელიშვილის ს-  
ხელი მთელმა მთავრობამ იცის. ღარიბი ხალხისათვის  
— მარჯვენა ხელია, ხოლო მდიდრებისათვის ნამდვილი  
მალაქ-ჰამავეთი.<sup>1</sup>

— ჩემი შვილი ნათანი ხომ გეხმარებათ?

<sup>1</sup> მალაქ-ჰამავეთი — სიკვდილის ანგელოზი.

— ნათანი? — და დანიელი ჩაფიქრდა.

— რალას ჩაფიქრდი? ნათანს ხომ უყვარს ლარია ხალხი?

— უყვარს მაგრამ... ეს საქმე სიმარტოლე გითხრა არ მესმის. შაულსა და ნათანს ერთმანეთში კანათი აქვთ და ერთი მეორის აზრებს არ ეთანხმებიან.

— რა აკამათებთ?

— აბა რა გითხრა... ეს რალაც განათლებულებას კამათია. მე და შენ ამ საქმეში ვერაფერს მივხვდებით. ორივენი კარგი ახალგაზრდები არიან და ესენი რომ ერთად იყვნენ — ჩვენი საქმე სულ უფრო წინ ივლის.

ისხაკ ჯანაშვილმა ამ წუთს თავისთვის გადასწყვიტა: „რათაც არ უნდა დამიჯდეს, ეს საქმე მე უნდა მოვაგვარო“. ხოლო დანიელს შეეკითხა:

— ეხლა ეს გამაგებინე შენი ჭირიმე, რისთვის გადაეკიდენ ჩემ შვილს ეს ყეზრა შათაშვილიო, ეს კოჭლი მელამედიო, ეს ბენიამინ ბერიძეო?

— კუზიანს გამართული კაცი არ უყვარს, უსწავლელს კიდევ ნასწავლი. ზოგი შურით სკდება, ზოგი ბოღმით და ზოგიც შეუგნებლობით.

— ეს ხომ ასეა, მაგრამ რისთვის ემუქრება ბენიამინ ბერიძე ჩემს შვილს?

დანიელმა მძიმედ უპასუხა:

— მამა ხარ და რა გაეწყობა. ყველაფერი უნდა იცოდე. შეიძლება უჩემოდაც იცი. ყური მივდე. ბენიამინ ბერიძეს უნდოდა თავისი ქალიშვილი მიეთხოვებინა ყეზრა შათაშვილისათვის. ხო იცნობ, რაც დოვლათია. პო-დ ბენიამინის ქალიშვილს კი თურმე გაგიჟებით მოსწონებია თქვენი ნათანი. ნიშნობას რო აპირებდენ, იმ ღამეს უთქვამს: ან ცოცხალი ან კვდარი მე მხოლოდ ნათანს გავყვებიო. მას უკან არის და გრძელდება ეს ამბავი. ვერავითარმა კაცმა და ძალამ— ვერ გადაათქმევინეს ეს სიტყვა.

— იმ ქალს რა ჰქვია? — უცბად შეეკითხა ისხაკო, რომელსაც რალაც აზრმა გაუელვა.

— ესთერი.

— ესთერი? — წამოიძახეს ერთსა და იმავე დროს  
გაოცებულმა ჯანაშვილებმა, რომელთაც მოაგონდათ  
თავისი შეხვედრა ესთერთან. მაგრამ ამ დროს რუთიკომ  
კარები გააღო და ოთახში შემოუძღვა ნათანს, რომელმაც  
მაც მშობლების მოულოდნელი ნახვით აღტაცებულმა,  
სიხარულით შეჰკივლა:

— მამა! დედა!

და მოხუცმა ჯანაშვილებმა აუწყრელი სიყვარუ-  
ლით და მხურვალე ცრემლებით ჩაიკრეს გულში თავისი  
ღარიბი სიცოცხლის ერთად ერთი სიხარული და ნუგე-  
ში. და დახიელი ორმაგად სტკებებოდა, როცა ესმოდა  
მოხუცების დაუსრულებელი:

— ნათან! ჩემო ნათან!

---

### 3

არავინ იცოდა, თუ საიდან იწყებოდა ამ ამბების სათავე.

დაიწყო დილით, როცა შაული ჯერ კიდევ არ იყო საწარმოოში მოსული.

„პირველი ნაბიჯისათვის“ უჩვეულო ამბავი იყო: მუშების ნაწილმა უარი განაცხადა მუშაობაზე, რომელსაც მოჰყვა ყვირილი, გინება, ხმაურობა. მალე მოედო მთელ ფეთხაინს ეს ამბავი: „პირველ ნაბიჯში“ ბუნტი დაწყებულაო...

მოგროვდა ცნობისმოყვარე, უსაქმო და განზრახ დაინტერესებული ხალხი, რომელიც აშკარად და მოუკრიდებლად ჩაერია საწარმოოს შინაურ საქმეებში და ამხნეებდა „აჯანყებულ“ ცხინვალელებს, რომლებიც თავის პროტესტით და ხმაურით ერთი ერთმანეთს ასწრებდნენ:

— დროა მოეღოს ამდენ უსამართლობას ბოლო!

— ღარიბი—ცხინვალელია ის, თუ ახალციხელი, მაინც ღარიბია!

— განსხვავება არ უნდა იყოს!

— არ უნდა იყოს, არა!

— ჩვენი გამგე კი ისე გვეპყრობა, თითქოს ბენიამინ ბერიძის ადგილი დაეჭიროს.

— რამოდენიმე ცხინვალელია ამხელა საწარმოოში. დანარჩენები სულ ახალციხელები მოჰყარა.

— თურმე ვინც მოდის ცხინვალელი, ყველას აგდება, სამუშაო არ არისო.

— აქაც ახალციხელები გვძალავენ.

— აქაც ლოცვა ხო არაა!

გარეშე ხალხიც აქტიურად ექომაგებოდა:

— მართალს ამბობენ ჩემმა მზემ!

— ნუ გეშინიათ, ხმა ამოიღეთ, ათანელიშვილის დააძაღვეინოთ თავი. დღეს სიტყვა ღარიბებს ეკუთვნის.

— მოითხოვეთ ათანელიშვილის მოხსნა.

— სულ იმის ბრალია, სულ იმისა!

— როცა ღმერთი სწამდა, ცხინვალელების ლოცვაზე დადიოდა, მაგრამ ეს ფოკუსი იყო.

— კვიცი თავის გვარზე ხტის, იმის ბიკოლა რო ახალციხელი იყო, ეს მთელმა ქვეყანამ იცის.

— ჰო და შაულ ათანელიშვილმაც თავის ნამდვილი სისხლი გამოიჩინა.

— ახალციხელი ახალციხელს უკეთებს საქმეს.

— ღარიბებო, არ დაუთმოთ, მოხსენით, დასაჯეთ, იყვირეთ!

და ეს ყვირილი და ხმაურობა ისე გაძლიერდა, რომ საწარმოოს დანარჩენ მუშებსაც დაეკარგათ სურვილი და შესაძლებლობა მუშაობის გაგრძელებისა. ყველანი მოგროვდნენ დიდ ოთახში. „აჯანყებულები“ აქნევდნენ მუშტებს, წარამარა ისროდნენ საწარმოოს იარაღებს და თითქოს ერთმანეთი შეჯიბრში გამოეწევიით, ცდილობდნენ ყვირილში ერთიმეორისათვის გადაეჭარბებინათ.

საწარმოოში შექმნილი არანორმალური მდგომარეობა — ყველაზე უფრო გულისტკივილით იგრძნო ორმა მოხუცმა მუშამ. მათი სახელები იყო: დანიელი და ისხაკი. ამაოდ ცდილობდნენ ისინი წესრიგის შექმნას, ძველი მდგომარეობის აღდგენას. ისინი გადადიოდნენ ერთი ჯგუფიდან მეორეში, ამშვიდებდნენ, უხსნიდნენ, ეხვეწებოდნენ, მაგრამ მათ არაფერს უკერიდა, მათ ყურს არავინ ათხოვებდა.

— სცდებით ძმებო, სცდებით—გაიძახოდნენ ოროვენი, მაგრამ მათი ძახილი, თვითონაც ჰგრძნობდნენ, რომ რჩებოდა „ხმალ უდაბნოსა შინა“. მუშების უმეტესი ნაწილი, რომელიც არ თანაუგრძნობდა ამ ამბებს, იღვა გულგრილად და სეირს შესცქეროდა, ხოლო თუ

ისინი არ გამოდიოდნენ აქტიურად არეულობის ინიციატორების წინააღმდეგ. ეს აიხსნებოდა ძბოლოდ იმათ, რომ ისინი ჯერ-ჯერობით კარგად ვერ ერკვეოდნენ ამ ამბებში და ვერც წარმოედგინათ, თუ რა ზიანის მოტანა შეეძლოთ ამგვარ მოვლენებს.

ამ ხმაურობასა და ორომტრიალში მათ ვერც კი შეამჩნიეს, თუ როგორ შემოვიდა შაული საწარმოოში. შაულს ჰქონდა საოცარი უნარი მოვლენების სწრაფი ათვისებისა და ამიტომაც შესვლისთანავე, როცა დაიქირა პირველი ფრაზები, თუმცა ოდნავად ფერმა გადააქრა. არ დაიბნა და ყველასათვის მოულოდნელად სასწრაფოდ აეარდა მაგიდაზე, ასწია ხელი მაღლა და დასქექა:

— ხმა...

ჩამოვარდა სიჩუმე. წუთი—მოგებულ იყო.

— დაუყოვნებლივ საწარმოო დაიცალოს გარეშე პირებიდან — განაცხადა შაულმა.

ეს გარეშეები კარგად იცნობდნენ შაულის კილოს და მის ხასიათს. ისიც იცოდნენ, რომ ზურგი მაგარი ჰქონდა ვინაიდან „მთავრობა მის მხარეზე იყო“. რამოდენიმე წუთის განმავლობაში საწარმოოში აღარ დარჩენილა არც ერთი ზედმეტი კაცი.

ამის შემდეგ, შაულმა კარები ჩაკეტა, დაჯდა მაგიდასთან და სთქვა:

— ეხლა ვისაც რამე აქვს სათქმელი, სათითაოდ და წყნარად შეუძლია ყოველ თქვენგანს ილაპარაკოს.

საოცარი სიჩუმე იყო. კაცი ხმას არ იღებდა. იდგნენ თავჩაღებით და მორიდებით. შაული განაგრძობდა:

— ასე არ ვარგა. წელან ყვიროდით და მთელი მოედანი გაგქონდათ. ფეთხაინზე კაცი აღარ დარჩენილა, რომ აქ არ მოსულყო: ეხლა კი რა მოგივიდათ? მე ხომ კარგად ვიცი, ვინც ყვიროდა. რაღას უდგენართ? გამოდით. დაიწყეთ. გისმენთ.

ნელა და მოკრძალებით გამოვიდა ერთი მათგანი:

— აი ამხანაგო შაულ. მუშები უკმაყოფილო არიან იმით, რომ შენ „პირველ ნაბიჯში“ ატარებ ახალციხელების პოლიტიკას.

— ეს არის სულ? მე ხომ თვითონ ცხინვალელი ვარ?— შეეკითხა ოდნავი ღიმილით შაული.

მეორე მუშამაც გაბედა:

— ბიკოლაშენი ხო ახალციხელი იყო...

— ამას მიყვანელნელა და გაუბედავად:

— რამდენი ღარიბი ცხინვალელი დადის უსაქმოდ. რატომ არ შიილენ?

— ახალციხელებით აივსო აქაობა.

— ისინიც უნდა იყვნენ, მაგრამ არც ცხინვალელები უნდა დაიჩავრონ.

— დიდი დიდი—ცხინვალელები—მთელ საწარმოში ათი კაცი მოგროვდეს.

— მთავრობა იმას ხო არ გეუბნება—მარტო ახალციხელები შიილენ?

როდესაც იჯერეს გული და გამოსთქვეს ყოველივე ის, რის თქმაც უნდოდათ, ჩაჩუმდნენ და შეაცქერდნენ შაულს, რომელიც საოცარი დამშვიდებით უსმენდა ყოველ მათგანს და როგორც ჩანდა პასუხისათვის არ ჩქარობდა.

ამ სიჩუმით უნდოდა ესარგებლა დანიელს და დაეწყო ლაპარაკი, მაგრამ შაულმა ანიშნა, რომ გაჩუმებულიყო.

შაულმა რამოდენიმეჯერ გაიარა საწარმოში წინ და უკან. შეჩერდა ზოგიერთ მუშასთან, დააკვირდა მათ თვალებში, შემდეგ ცხვირსახოცით ოფლი გადაიწმინდა, მიუახლოვდა თავის მაგიდას, ფანქრით რალაც შენიშვნები ჩასწერა თავისთვის ქალაქდზე და შემდეგ ნელი და დინჯი ხმით მიმართა ვარშემო მყოფთ.

— აი ძმებო რა გითხრათ. ეს აღელვება ერთ გაბერებულ კაპეიკად არა ღირს. ამდენი ხანია ერთად კმუშაობთ და ერთად ვაკეთებთ საერთო საქმეს. არავითარ ვაუგებრობას ჩვენში ადგილი არ ჰქონია. დღევანდელი საქმე, სიმართლე გითხრათ, კარგად არ მესმის. ერთი ჩემთვის უდაოა: აქ ურევია გარეშე მტერი, რომელსაც ხელს აძლევს, რომ ჩვენი საქმე დაიღუბოს, რომ ჩვენ ერთმანეთს წავეჩხუბოთ, რომ „პირველ ნაბიჯს“ სახე-



ლი გაუტეხოს და რომ საბოლოო ჯამში ამ დარჩენილს ჩამოგვიდოთ დიდი ბოქლომი.

— ვერ მოესწრებიან მაგას— შეაწყვეტინა დაწველმა.

— შაცალე, ძია დანიელ, ცოტა ხანს, ვიდრე შეგაღწევა ვიდოდე უმთავრესზე— მე მინდა შეგვეკითხოთ თქვენ და დეე ნურავინ მომერიდება. პირდაპირ მიპასუხეთ. ვინ მოვაწყვე ისეთი კაცი, რომელიც ან ჩემი ნათესავი იყოს, ან მეგობარი? რომელ დარბ და პატროსან ცხინვალელს უთხარი უარი, თუ კი მან ისურვა მუშაობა? დაასახელებეთ გვარები.

ამაოდ ელოდა შაული (პასუხს. განაგრძო:

— თქვენ სდუმხართ. მაშასადამე ასეთი გვარი არ არსებობს. ეხლა ახალციხელებზე და ცხინვალელებზე. ეს არის უმთავრესი, ვინაიდან აქ იმარხება დიდი ბორბოტება. ვინაიდან ეს დაყოფა— იშვიათი ხერხია თვალების ასახვევად. რამდენჯერ მითქვამს კერძო საუბარში და ეხლაც ვიმეორებ: ეს დაყოფა არის— საზიზღარი დაყოფა. ახალციხელი და ცხინვალელი მდიდრები ერთმანეთში ძალიან კარგად არიან. ბენიამინ ბერიძე და ყეზრა შათაშვილი— დამოყვრებასაც აპირობდენ.

— არ დააცლით ღმერთი— წამოიძახა დანიელმა.

შაულმა არ შეიმჩნია დანიელის წამოძახილი და განაგრძო:

— ისინი მხოლოდ დარიბებს უსევენ ერთმანეთს, ეს ახალციხელი დარიბიო, ეს ცხინვალელი დარიბიო. კმარა ძმებო. სიბნელეში ყოფნა, გაახილეთ თვალები. ახალციხელების და ცხინვალელების დაყოფა უნდა მოისპოს, ისინი ერთმანეთის მტრები როდი არიან. ხოლო თუ ხანდახან ერთმანეთს დაეტაკებიან— ეს მდიდრების წასისრინებით. მაშასადამე დაიხსნომეთ კარგად: ცხოვრებაში არსებობს მხოლოდ შემდეგი დაყოფა: მდიდრები და დარიბები. მდიდარი საოიაურცი არ უნდა იყოს იგი — ჩვენი მტრია, დარიბი— სადაყოლი არ უნდა იყოს იგი ჩვენი ძმა. რაც შეეხება იმას, რომ ჩვენ საწარმოოში უფრო მეტი არიან ახალციხილი მოშეები, ეს მხოლოდ შემთხვევით აიხსნება. ცხინვალელების რიცხვი ქალაქში საერთოდ უფრო ცო-

ტაა ახალციხელებთან შედარებით და გარდა ამისა, ყოფილა სრც ერთი შემთხვევა, რომ ღარიბი ქვიშაღელი მოსულყო და უკან გამებრუნებოს. ორჯერ არაა დანიელმა მოიყვანა — ისხაკ ჯანაშვილი. ვინაა იგი არ მოვაწყუთ?

— მართალია, მართალი — გაისმა მორცხვი ხმები.

— ოლონდაც კი მოვიდენ, მეტი არაფერი გვირდა. ჩვენი მიზანიც ეს არის — დაასვენა შაულმა.

სიჩუმე საუკეთესო მქერმეტყველი იყო შაულის ბრწყინვალე გამარჯვებისა. როდესაც დაირღვა ეს სიჩუმე და შაულს მიუახლოვდა ერთი მუშა ბოდბის მოხდის სტრვილით, შაულმა მას შეაწყვეტინა:

— ასეთი ამბებისათვის მიღებულია სხვადასხვანაირი ადმინისტრატული ზომები, მაგრამ მე არ მივმართავ არც ერთ ამ ზომას. დეე დღევანდელი დღე ყოფილიყოს პირველი და უკანასკნელი. დეე ამიერიდან მაინც აღარ წამოვევით ჩვენი მტრების ახკესზე.

მოულოდნელად მასთან წარდგა მეორე მუშა, საშუალო ხნისა:

— გვაბატოვე, შაულ. რაც ილაპარაკე — სუყველადერი ქეშმარიტია. მართლაც შეგეაცდინა და ამოგაწყუვიტა კოქლმა შელამედმა.

მეორე მუშა შესცვალეს დანარჩენებმა:

— დაუმოკლოს იმას ღმერთმა დღეები!

— აწი ჩვენ იმას აღარ გავაბრიყვებინებთ თავს.

— ოლონდ შენ ჩვენზე გული არ გამოიცივლო.

შაულმა დაასრულა:

— კმარა ამხნაგებო. თქვენ უკვე საკმაოდ დაინახეთ თუ როგორ შეუძლია მტრის ცილისწამებას დააბრმავოს ადამიანის გონება. ამის შემდეგ განვაშტკიცოთ ჩვენი რიგები უფრო მკიდროდ, შევიყვაროთ ერთმანეთი და საერთო საქმე. ეხლა-კი შეუდგეთ მუშაობას.

და როდესაც ბრუნდებოდენ თავიანთი დაზგებისაკენ — ყველა მუშები და მათ შორის, რასაკვირველია, დანიელი და ისხაკი — ფიქრობდენ შაულზე და ფიქრობდენ დაახლოებით ერთ და იმავეს:

„შაული-იშვიათი ადამიანია... რაღაცა სხვანაირი ყალიბისაა... ოქროს გული აქვს და გიხარია როცა უნდა ჩა... თავიდან ბოლომდე — იმედი და ნუგეშია“.

საქონელი  
საბავშვო

● ● ●

ირაკლი წამოწოლილი იყო დივანზე და გაზნის კითხულობდა.

იულია ამზადებდა გამოცდებს, როცა ნათანი შევიდა მათთან, ირაკლის სიხარულით თვალები გაუბრწყინდა და მიეგება.

— მე ვიცოდი, ნათან, რომ მოხვიდოდი.

ირაკლისა და იულიასთვის—ნათანი იშვიათი ძვირფასი სტუდარი იყო. ჩაისვეს შუაში და დაუწყეს ნელ-ტუქსვა, ვისაც როგორ შეეძლო.

ირაკლი ეუბნებოდა:

— ჩემმა მსოფლმხედველობამ დაგაფრთხო. არც ქორწილზე ისურვე მოსვლა. მაგრამ მე ყოველთვის მწამდა, რომ შენ ადრე იქნებოდა, თუ გვიან — მოხვიდოდი.

იულია:

— ერთში უთუოდ მართალი იყო ავგუსტინა: „ნათანი ძალიან ჯიუტიაო“.

ნათანმა უბასუხა ირაკლის:

— მართალი ხარ. მე მოვედი შენთან, მაგრამ არა შენს მსოფლმხედველობასთან.

— შენ მაღე მოხვალ ჩემს მსოფლმხედველობასთანაც — უთხრა მას ირაკლიმ.

ხოლო იულიამ ამასობაში გაამზადა მაგიდა:

— აბა ნათან, მაგიდასთან. ესეც ჩვენი სტუდენტური სუფრა. ეხლა მაინც მოგვილოცე.

— სიამოვნებით ქალბატონო იულია...

— მხოლოდ არა ქალბატონო...

— მაშ?

— „ამხანაგო იულია“.

— „ამხანაგო იულია?“ ო, რომ იცოდეთ მეგობრებო, როგორ სჭირს ყურს...

— შეუჩვეველისთვის მხოლოდ — ჩაერია ირაკლი და თან დაუმატა — ეხლა ტერმინებს თავი დაეხანებო და შემოუსხდეთ ჩვენს პაწია მაგიდას.  
სუფრა მართლაც სტუდენტური იყო: ჩაეკრებოდნენ კონსერვები.

ნათანმა არ იცოდა როგორ დაეწყო, გადახედა ახალგაზრდა კოლქმარს და თავისთვისაც მოულოდნელად მისცა მათ ასეთი შეკითხვა:

— კმაყოფილი ხართ ერთმანეთისა?

ირაკლიმ და იულიამ გადახედეს ერთმანეთს და გულთანად გაიციინეს. ამ მხიარულმა სიცილმა ერთის მხრით დაარწმუნა ნათანი, რომ ახალგაზრდები კარგად ცხოვრობდნენ, ხოლო მეორე მხრივ წარმოიდგინა თავის თავი განმარტოებულად. დაიწყეს სხვადასხვა საინტერესო ეპიზოდების მოგონება. დიდხანს ილაპარაკეს მელიტონ გობეჯიშვილზე, რომელიც გულწრფელად უყვარდათ მეგობრებს. იულიამ გაიხსენა ოსიპი, ავგუსტინა, ბაასი ატარებდა მეტის მეტად მეგობრულ და მსუბუქ ხასიათს, რის გამოც ნათანი ძალზე კარგად და თავისუფლად ჰკრძნობდა თავს.

ირაკლი არც ჰფიქრობდა ნათანის კარგი განწყობილების გაფუჭებას; სხვათა შორის, მას მოაგონდა ერთი სახელი, რომლის ხსენებაზედ მისი მეგობრის სახეს უკმაყოფილობის ჩრდილი დაეცა.

ირაკლიმ შესტოპა, უკან დახევა გვიან იყო:

— მე თავიდანვე მომეწონა შაულ ათანელიშვილი. ვახსოვს მე და შენ როცა სალოცავში ვიყავით, იმან სთქვა შესანიშნავი ფრაზა: „ჩვენ ყველაფერს ვიწყებთ ზეიმით და ვასრულებთ ტრაურითაო“. ვახსოვს ნათან? ძალიან კარგად სთქვა. დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინა. ვასაგებია, რომ პარტიას უყვარს შაული და ძალიანაც ენდობა. მე ძალიან მიხარია რო შაული ასე წინ წავიდა. შენ ნათან?

— მე ისევ ძველებურად...

— შემცდარი ხარ. შენს წინაშე ორი ვზაა. ემსახურო ლარიბებს, გაქირავებულებს, მშრომელებს. მაშინ უნდა მიხვიდე შაულთან.

— მეორე?

— მეორემ შეიძლება მიგიყვანოს სიონიზმამდე.

— ხომ არ გავიყედი, ირაკლი!

— რისთვის გაოცდი ჩემო კარგო. შენ კონსტიტუციონალიზმის ნაციონალისტურად, სიონისტებიც აზროვნობენ შესავით. შე არც კი ვიცი რამდენი მანძილი-ლა დარჩა თქვენს შორის.

— ჩვენ ვიბრძვით საქართველოს ებრაელთა ეროვნული თვითგამორკვევისათვის, -ქ, ადგილბრძოლად, საქართველოში, არა პალესტინაში. გესმის, ირაკლი?

— ბრძოლას თავისი ლოლიკა აქვს. როცა შემოგეფანტება შენი სამწყსო, რომელიც ალბად ორნახევარკაცისაგან შესდგება, მაშინ შენ დადგები არჩევანის წინაშე. ან შეიგოძნობ საღად იმას, რომ ისტორიამ კბილები ჩაგამტვრია და გააკეთებ სათანადო დასკვნას. ან წყალწაღებულებით ისევ ხავსს ჩამოეკიდები.

— ირაკლი! შენ მეტად სასტიკი ხარ.

— ეს სისასტიკე არაა, ეს სიმართლეა. ასეა, არა იუღია?

— ასეა, ჩემო კარგო. გარდაუვალი სიმართლეა — დაემოწმა იუღია.

— მაშ თქვენ არა გწამთ, რომ ჩვენი სტუდენტების ჯგუფი „დავიდის ფარი“ გაიმარჯვებს?

იუღია გამოეხმაურა პირველად:


— ებრაელს უყვარს კითხვაზე კითხვით მიუგოს. წინედ იყავით ერთად რვა კაცი. ეხლა მგონია ხართ — ხუთი. რისთვის წავიდენ დანარჩენები?

— რას იზამ, საცა ორი ებრაელია იქ სამი პარტიაა — მიუგო ნათანმა.

— უნდა გაიგო ჩემო ნათან, რომ ამისთანა წმინდი ინტელიგენტური ჯგუფები — ჩვენს ეპოქაში მოკლებულნი არიან ყოველგვარ ნიადაგს. პირადათ შენ კი — შესანიშნავი უტოპისტი ხარ. ამოდ არ გინდა გაუწიო ანგარიში შაულს, რომელიც წარმოადგენს ერთადერთ რეალურ ძალას.

... როცა გულგატეხილი ნათანი უკან ბრუნდებოდა, მას უმოწყალოდ აედევნა შაულის „მკედრებით აღმდ-

გარი“ სიტყვები, რომლებიც ირეოდა მის შიშით აღსაქმე  
მეშვებში:

„დავიდის ფარც“ ჩამოყალიბდა ზეიმით.  ქართველი  
დასრულდება მისი არსებობაც ტრაურით?“

● ● ●

ღლითი დღე ატყობდა ნათანაი, რომ „დავიდის ფა-  
რის“ შექანიზმი მოიშალა და მის მიერ მიღებული ყო-  
ველგვარი „ენერგიული სომები“ ვერ უზრუნველყოფდა  
კორპორაციის ხანგრძლივ არსებობას.

ნათანაი მაინც თავისას არ იშლიდა. თვალის ჩინი-  
ვით უვლიდა კორპორაციაში დარჩენილ ოთხ ამხანაგს  
და არ ეგონა, რომ ერთ მშვენიერ დღეს...

დაიწყო აბიშაიდან.

ღიღი ხანია ხმები დადიოდა, რომ აბიშაის ჰქონდა  
რიდაც საეჭვო კავშირი შავი ბირჟის მაკლერებთან, სპე-  
კულიანტებთან და გადამყიდველებთან. ამხანაგები აბი-  
შაის უწოდებდნენ „პატარა სპეკულიანტს“, მაგრამ მაინც  
და მაინც არ სჯეროდათ ამ ხმებისა, ვინაიდან ამის უარ-  
საყოფად აბიშაის ყოველთვის ჰქონდა „ძლიერი“ არ-  
გუმენტი:

— მორწმუნეთა მასასთან კავშირი ეს არ ნიშნავს  
აპეკულიანტობას. მე, ერთი კაცი ვარ, რომელსაც შექმ-  
ნლობა და ავტორიტეტი ხალხში, თქვენ ამით უნდა  
ისარგებლოთ, უნდა გამოიყენოთ. სირცხვილიც არის,  
რომ კორპორაცია აპყვეს ამისთანა ქორებს.

და უჯეროდენ იმ დრომდე, ვიდრე ერთმა მოხუცმა  
კაცმა — რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე გაუტა-  
რებია ძველი წიგნების ყიდვა გაყიდვაში — არ შემოა-  
ლო ნათანაის ოთახის კარები კრების დროს. ხელში ეჭირა  
დაწნული კაღითი საგსე-ძველი, გადაყვითლებული წიგ-  
ნებით და ამბობდა:

— მადლობას მეტყევით... რომ იცოდეთ, რა წიგ-  
ნებია.

ამხანაგებმა დაუწყეს კალათს ჩიჩქნა, ზოგიერთი  
წიგნი მართლაც მოეწონათ, ამოირჩიეს და გადასწყვი-

ტეს, რომ ამ წიგნებით ჩაეყარათ საფუძველი კორუპციის მომავალი ბიბლიოთეკისათვის.

— აბა, ჩვენო მოლარე, გადაუხადე ფული — მიმართა ნათანმა აბიშაის.

— რა ეჩქარება, ხვალ მოვიდეს, ზეგ. მივცემთ. ვადაუხდით — დამწვიდებით მიუგო აბიშაიმ.

— ოთხმოცი წლის მოხუცი რამოდენიმეჯერ უნდა მოიყვანო გროშებისთვის? — ამოიკენესა მოხუცმა.

— რაღას სჭიმავე, ფული ხომ გაქვს, ამოიღე და მიეცი, შე მართლა არარაობავე — ჩაერთა არიელი.

— ჩქარა, გადაუხადე, ნულარ აცდევინებ მოხუცს — მიმართა ისევ ნათანმა.

აბიშაიმ მძიმედ ამოიღო საფულე. ამხანაგებმა შეამჩნიეს, რომ იქ ელაგა დოლარები და ლირები, ხოლო საბჭოთა ნიშნები თითქმის სულ არ იყო.

— სად არის ჩვენი ფული? — იკითხეს თითქმის ერთბაშად.

— ვალიუტაზე გადავანურდავე. ხვალზევით კურსი აიწევს, მაშინ გავყიდი და ამგვარად კორუპციას მოგება დარჩება. აი, ხო ხედავთ, როგორ ვზრუნავ თქვენზე.

— მაშ მართლა სტეკულიაციას ეწევი? — შეეკითხა ნათანი.

— ეს სტეკულიაციაა? — თავს იმართლებდა აბიშაი.

— აბა რა ეშმაკებია — გაჯავრდა ცები და დაუძაბა: — წინადადება შემომაქვს „დაჭიდის ფარის“ თავის მოჭრისათვის აბიშაი გაირიცხოს ჩიენი შემადგენლობიდან.

— გაირიცხოს! — წამოიძახა არიელმაც.

ნათანმა შეიჯანა შემარიგებელი წინადადება:

— გამოეცხადოს სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით, ხოლო მოლარეობა დაუყონებლივ ჩამოერთვას და გადაეცეს არიელს.

მაგრამ აქ უკვე აპილპილდა თვითონ აბიშაი:

— თქვენც შერცხვით და თქვენი მოლარეობაც ამის შემდეგ შე ერთ წუთსაც აღარ გავჩერდები თქვენს წრეში. განა თქვენ ამხანაგები ხართ?

ცები ისევ ცხარობდა:

— ჩვენს თავს ოსიპიც კი გირჩევენია. გახსოვს, შოშ-  
ბინადაც წაგიყვანა.

— ხა, ხა, ხა! — ასტებეს სიცილი იონამ და არაქოძე  
წიგნების გამყიდველი მოხუცი შესტკეოდა მის სე-  
ნას და არ იცოდა როგორ მოქცეულიყო, მაგრამ მას უშ-  
ველა არიელმა, რომელსაც მოაგონდა მისი თავი, გა-  
დაუხადა ფული და გაისტუმრა.

აბიშაი განავრძობდა პირიქით თავდასხმას:

— თქვე ასეთებო, თქვე ისეთებო, თქვენ ტაქტიკის  
არაფერი გაგეგებათ, თქვენ დაჰლუბაეთ ჩვენი ხალხის  
საქმეს, თქვენ..

— ესე იგი ვალმა შეედავე, გამოლმა მაინც შეგრჩე-  
ვაო? — არ ეშვებოდა ცები.

ეხლა იონამაც ხმა ამოიღო:

— იცით, რას გეტყვით..

და ვინაიდან ჯერ აზრებს თავი ვერ მოუყარა, ისარ-  
გებლა ისევ ნათანმა შემთხვევით:

— შემოსულია ორი წინადადება, მე კენჭს ვუყრი..

მაგრამ ვინაიდან აბიშაიმ გადასწყვიტა, რომ პირველ  
სიტყვას კორპორაციიდან გასვლის შესახებ თვითონ იტ-  
ყოდა, საჩქაროდ წამოხტა და უთხრა მათ:

— მიმიფურთხებიან თქვენი კენჭის ყრისთვისაც და  
თქვენი კორპორაციისთვისაც.

ამის შემდეგ დაიხურა ქუდი და დასტოვა ოთახი.

დარჩენ ოთხნი.

ჩამოვარდა ისეთივე მძიმე ატმოსფერო, როგორც  
იკმნებოდა ყოველთვის, როცა მათ რიგებს აკლდებოდა  
რომელიმე ამხანაგი. ასეთ შემთხვევებში კარების გახურ-  
ვასთან ერთად ისინი განიცდიდნენ უსიამოვნო გრძნობას,  
თითქოს მათ ჩონგურზე ჩასწყდა კიდევ ერთი სიმი.

— განვაგრძოთ — სთქვა ნათანმა, მაგრამ ასე აღ-  
ვილი არ იყო ეს გაგრძელება. ყველანი ჰხედავდნენ იონას  
სახეზე, რომ მას ვარდა ჩვეულებრივი „იცით, რას გეტყ-  
ვით“-ისა, კიდევ რალაც ჰქონდა სათქმელი. მის სახეზე  
ეწერა მრისხანება და გულისწყრომა:



— თქვენ ყველანი დამაშავე ხართ აბიშაის წინაშე, მერე რა რომ ვალიუტა ჰქონდა? რაა ამაში თქვენ ბრძები ხართ, თქვენ საქმის გაკეთება არ ღირს ლიათ, თქვენი წინდაუხედავობით დააფრთხელებენ საუკეთესო ამხანაგები...

— ერთი უყურეთ ამ არაბობას— წამოხტა არიელი.

— იქნებ ძალიან გშურს აბიშაის ბედი? შეგიძლავ უკან გაჰყვე — წასძახე ცებიმაც.

— გავხვეები კიდევ! — შეყვირა იონამ.

— ვზა მშვიდობისა, აი კარები. — ამბობდა ისევ ცები.

— კარგად ვიცი, საცაა კარები. იცით, რას ვერტყვით... მე მრცხვენია, რომ აქამდე თქვენი ამხანაგი ვიყავი. ზებულონი თქვენთან შედარებით ყოფილა— იდეალი. აი მე მივდივარ და თქვენი კისრის ტენასაც მალე ვნახავ.

ამის თქმასთან ერთად გამოაღო კარები და დააპირა გასვლა, ამ დროს არიელმა თან გააყოლა:

— ჯანდაბამდისაც ვზა გქონია...

იონა გავიდა.

დარჩენ სამნი.

ნათანს დასცხა და საყელოზე ღილი შეიხსნა. ცები ცნობისმოყვარეობით აღევნებდა ნათანს თვალს და ძალიან დიდი სურვილი ჰქონდა, რომ ნათანს რამე ეთქვა, მაგრამ ნათანი ჯერ თვითონაც ვერ მოსტლიყო გონს ამ მოულოდნელი ამბების გამო და ამიტომ ჩუმად იყო.

ყველაზე კარგად გრძნობდა თავს არიელი, რომეც კილ გულთან იხლოს არასოდეს არ იკარებდა ასეთ ამბებს. და არც ჰფიქრობდა მათზე ყოველ მოვლენაში იგი ეძებდა მხოლოდ ერთ მხარეს — ხუმრობის საბაბს და როდესაც ასეთს ჩაიგდებდა — იწყებდა დაუსრულებელ ნაფარდს და ჯირითს. ჯერჯერობით კი, ნათანისა და ცების, სახეებზე არიელი კითხულობდა უადრეს სერიოზულობას, რის გამოც ცდილობდა შეძლების დაკარგად მიეზადა მათთვის.

ცები შესქეუროდა ნათანს და ეჩვენებოდა თითქოს ნათანს ეცინებოდა, მაგრამ როდესაც დააკვირდა კარგად,

შეამჩნია, რომ სხვადასხვა ირიბული ხაზები მის ლოკატორზე — შემცდარად გამოხატავენ მის სულტერ განწყობას; ნათანის სახე „იციხოდა“, ხოლო თვალები... ვაგებულყო. და როდესაც ოდნავად შეინძრუნებოდა, ცების გულს მოეშვა.

— განვაგრძოთ კრება? — შეეკითხა ცების და არიელს.

ცები მზად იყო ეთქვა თანხმობა, მაგრამ ამ დროს არიელს წასვდა სიცილი.

— რაა სასაცილო? — შეეკითხა უკმაყოფილო ცები.

— ტრალედიას შეუძლია გააციხოს მსოლოდ არიელი — წარმოსთქვა ნათანმა.

— ტრალედია? არა ამხანაგებო, ეს ნაზღვილი კომედიაა.

— დაანებე თავი მასსრობას, არიელ. შენს გუნებაზე არა ვარ — უთხრა მას ცებიმ.

— აბა თქვენმა სიცოცხლემ, თქვენსავეთ შევაკლავ თავს ამ ამბებს. წავიდენ და წავიდენ! არც მათი ყოფნით კეთდებოდა რაშე. არც მათი წასვლით დაშაკებულა.

— კი მაგრამ... ჩვენ რა ვქნათ? — იკითხა ისევ ცებიმ.

— ჩვენ? — უპასუხა არიელმა — დავიხუროთ ქედები და წავიდეთ სახლებში.

— „დავიდის ფარის“ ლიკვიდაცია? იარაღის დაყრა? გაკოტრება?

— რაც გინდა უწოდე.

— არიელ! შენ იმათზე უარესი ყოფილხარ.

— აბა უკეთესი გეგონე, ამხანაგო ცები? ჩვენ — ყველანი ვართ არარაობა. პატარა ბავშებივით შევვროვდით და ასანთის ღერებით მოვიწოდებთ მონუმენტალური შენობის აგება. მე ყოველთვის ვიძახობდი, რომ ლაყბობის მეტს არაფერს გავაკეთებთ — თქო. გამაჩთულა ჩემი სიტყვები.

— თუ ასეთი აზრები გიდრდნიდა ტვენს, მაშინ რა გინდოდა ჩვენთან? — შეეკითხა ისევ ცები.

— ეს ამტკიცებს იმას, რომ მე ყველაზე პატიოსანი  
ვიყავი თქვენს წრეში. მაინც გიჯეროდით. მოგდევნიდით  
უკან. ხელს არ გიშლიდით. პირიქით გეხმარებოდით.

— მადლობა გინდა?

— არა, ჭკუის სწავლება. ეხლა როცა წავაწყდით  
დამტვრეულ კიდობანს, ჩემის აზრით, რაც მალე დავა-  
საფლავებთ „დავიდის ფარის“ ხსოვნას — მით უკეთესა  
ჩვენთვის.

აქამდის გარუმებული ნათანი მოუბრუნდა არიელს:

— რას დავგდგომიხარ თავზე მოტირალი დედაკა-  
ცივით. შეგიძლია დაიხურო ქუდი და თვითონ მიბრ-  
ძანდე.

— მე კი მეგონა ახალ წლამდე არ ამოიღებდა  
ხმას — ოდნავ დასცინა არიელმა.

— რა ვნებაგს ეხლა?

— მოხუცის წიგნები. ფული მე გადაეხადე და მე  
მეკუთვნის.

— წაილე. სხვა?

— სხვა არაფერი. ჭკუის მასწავლებლად არ მიმი-  
ღეთ. რა გაეწყობა. ყოველ არარაობას თავი გენიოსი  
ჰგონია. თუ ამაზე უფრო ვაგიჟირდეთ, მაშინ დამიძახეთ.  
სიტყვა და არიელიც გავიდა.

დარჩენ ორნი.

ცების აღარ სურდა, რომ ნათანს გაეგრძელებინა სი-  
ჩუმე და ამიტომ სცადა მისი ლაპარაკში ჩაბმა:

— კორპორაცია გაიხრწნა, დაირღვა, დაიშალა, სა-  
ჭიროა სულ სხვანაირი გზების გამოძებნა. საჭიროა სულ  
სხვაგვარი საფუძვლები. რას იტყვი შენ ნათან?

— დავიღალე. გამოსავეალს იელარ ეხედავ.

— მე კი ვიცი ერთი გამოსავეალი.

— გისმენ—უთხრა ნათანმა მეგობარს ისეთი ხმით,  
რომელშიაც უიმედობა და სასოწარკვეთა მიღწეული  
იყო უმაღლეს წერტილს.

— შეუერთდეთ შაულ ათანელიშვილს.

— რა? — წამოხტა თოფნაკრაფივით ნათანი.

— ცხოვრებამ დაამტკიცა შაულ ათანელიშვილი/ხ  
ხაზის სისწორე. იმის გარშემო შემოკრბენ ღარიბები,  
ნაიდან იგი აკეთებს საქმეს რეალურად. შენი მშობელი  
მამაც კი მოეწყო „პირველ ნაბიჯში“. აბა ელაპარაკე  
მას. დარწმუნდები როგორი კმაყოფილია.

— ეს ჩვენი პრინციპების ღალატია. ეს არ მოხდებ-  
და არასოდეს.

— ჩვენს პრინციპებს ისტორია ამარცხებს ყოველ  
ნაბიჯზე. ჩვენ ვმარცხდებით სასტიკად ყოველ ფეხის გა-  
დადგმაზე. ნუ თუ ეს დიდი გზა, რომელიც განვლეთ  
ჩვენ, საკმარისი არაა იმისათვის, რომ აქედან გავაკეთოთ  
საჭირო დროული დასკვნა?

— ცები! შენი დასკვნა დამლუბველია.

— იქნებ შენი ჯიუტობაა, ნათან დამლუბველი?

ეს იყო პირველი საყვედური, რომელიც მოხვდა ნა-  
თანს ცების მხრით, იმ ცების მხრით, რომელსაც ყველა-  
ზე უფრო სწამდა ნათანი და რომელიც იყო მისი საუკე-  
თესო მეგობარი.

საყვედურმა ღრმად ატკინა გული და იმ ზომამდე  
გამოიყვანა წონასწორობიდან, რომ ცების სრულიად  
დაუმსახურებლად უპასუხა:

— მე კი მეგონა, რომ შენსა და დანარჩენებს შორის  
იყო რაღაც განსხვავება.

— ნათან!

— კმარა ცები, ჩვენ სხვადასხვა ენაზე ვლაპარა-  
კობთ.

სთქვა და მიბრუნდა ფანჯრისაკენ, სადაც დადგა  
ზურგით. ცებმა ერთხანს კიდევ უცქირა თავის მეგობარს,  
შემდეგ აიღო ქუდი და სიტყვის უთქმელად, მძიმე და  
ნელი ნაბიჯებით დასტოვა ოთახი.

კარის ქრიალთან ერთად, ნათანი უცბად შეკრთა.  
იგრძნო:

დარჩა ერთი.

მარტოობის გრძნობა კოშმარივით შემოევიღო თავს.  
უდიდესი სიყვარულით დაწყებული საქმე სამუდამოდ  
დაენგრა, დაერღვა.

ფანჯარასთან ზეზე მდგომი, გარინდებული ადამა-  
რებდა ხელს წარსულში და უნდოდა ჩაბლაქუჭებოდა  
რაიმე ნათელ წერტილს, რასაც იგი ამაოდ ეძებდა და  
ეკითხებოდა შიშით თავის თავს: მისწრაფება

„რა არის ეს? ხომ არ ნიშნავს ჩემი სიცოცხლის  
დასასრულს?“

და უცბად... თვალწინ წარმოუდგა შაული:

ამაყი, გამარჯვებული და წინასწარმეტყველი.

და ოდნავ გასავგონი ხმით, თან მწარე სიცილით  
ვაიმეორა მისი ნათქვამის დასაწყისი:

— „ჩვენ ყველაფერს ვიწყებთ ზეიმით...“

4

შიში, რომელმაც შეიპყრო ისხაკ ჯანაშვილი მასა ქალაქში ჩამოსვლის პირველი დღიდანვე — ყოველ-დღიურად იზრდებოდა, მტკიცდებოდა და მოხუცს გულს ევლებოდა გარშემო მწარე ნაღველად.

არ ახარებდა არაფერი: არც ბინა და არც სამუშაო. პირიქით, რამდენადაც კარგად მოეწყო დანიელისა და „პირველი ნაბიჯის“ დახმარებით — შით უფრო ნათელი ხდებოდა მისთვის, რომ მისი ბედნიერება არ იყო სრული, ვინაიდან მას შემოვლებული ჰქონდა გაუგებარი ჩრდილები, რომლებიც აბნელებდნენ მის მოხუც დღეებს.

ნათანი არ გადავიდა მათ ბინაზე, ვინაიდან არ სურდა მოხუცების მყუდროება დაერღვია თავისი ხშირი შელანქოლიური განწყობილებით, ხოლო მშობლებმა ეს მიაწერეს განვლილ წელიწადს:

„თვალი თვალს რო მოშორდება — გულიც გადასხვაფერდება“.

და არა ერთხელ; სალამოს ქამს, ისხაკი შესჩივლებდა ლიას:

— გამოიცვალა ჩვენი ნათანი, ძალიან გამოიცვალა, ძალიან გულჩათხრობილი გამხდარა და ხანდახან ასე მგონია, რომ მეც აღარ მენდობა.

— იმას მოუკვდეს დედა, ვინ იცის რა აწუხებს — უპასუხებდა ლიაც უსაზღვრო მწუხარებით.

მაგრამ ერთ სალამოს ისხაკი დაბრუნდა სამუშაოდან საოცრად დაღონებული. ამ დღეს მას ესთერმა ისევ შეატყობინა, რომ ბენიამინ ბერიძეს განუზრახავს ცუდი საქმე და ნათანს თავს დასტრიალებს რაღაც უბედურება.

ახალგაზრდა ქალი ეხვეწებოდა მამას, რომ შევილი აქედან  
ფრთხილდებინა.

ისხაკმა სახლში შემოსვლისთანავე უთხრა ლიას:

— მეშინია რაღაც, ლია.

— რა ამბავია, ისხაკ? ხომ მშვიდობაა? — შემფოთ-  
და მეუღლე.

— არაფერია. მაგრამ მე მაინც მეშინია.

— ნათანს ხომ არაფერი უჭირს?

— არა... მაგრამ გული მტკივა, აი აქ, ამ ადგილას.

— ნათანმა ალბად კარგად იცის, ვინ არის გულის  
ექიმი. წავიდეთ ისხაკ, გავასინჯოთ.

— ეჰ, ექიმი არ მიშველის.

— ვაიმე უბედურს, როგორ ლაპარაკობ? გადავალ  
ნათანთან და გადმოვიყვან.

— არა. მე თვითონ წავალ იმასთან.

— შენ რაღაცას მიმაღაც. ისხაკ, მეც წამოველ.

— შენი წამოსვლა არ ივარგებს. მაშინ შეიძლება  
ველარ ველაპარაკო, როგორც მსურს. მე კი მინდა, ძა-  
ლიან მინდა — როგორმე ნათანი და შაული დავაშეგობ-  
რო. მაშინ შეიძლება მომეშალოს გულისტკივილიც და  
შიშიც.

— შენ იცი, ისხაკ, მაგრამ ჯერ რო არაფერი ვი-  
ქამია?

— სულ ერთია, როცა რამე მაწუხებს, ლუკმა ყელ-  
ზე გამიჩერდება. წავალ, ველაპარაკები, ცოტას დავწყ-  
ნარდები და მალე დავბრუნდები. მაშინ შევქამ რამეს.

— თუ გიყვარდე, მაშინ ეს თხოვნა შემისრულე-  
დღეს ქაღალურები დავაცხე, წაიღე თან, ნათანიც შესქამს  
და შენც.

— კარგი. — უთხრა ისხაკმა და მოემზადა წასასე-  
ლელად.

ლიამ გაუხვია გაზეთში ცხელი ქაღალურები, ამოუ-  
ღო ილიაში და თან დაატანა:

— ღმერთმა გამარჯვებული გამოგიყვანოთ ყველა  
საქმიდან მამაცა და შვილიც.

— ამენ! — უბასუხა ისხაკმა და გაემართა შვლი-  
საკენ.

... ნათანი არ ელოდა მამას.

იგი იწვა დივანზე, ტანსაცმელგაუხდელი და უაზრო თვალებით შესცქეროდა იატაკს. მამას მიეგება თავაზიანად, იკითხა დედა და მოიმიზეზა გამოცდებისათვის მზადება, რამაც ხელი შეუშალა მათ უნახაობაში.

— შენ მგონი ამალამ არც არაფერი გაქვს საჭმელი. დედამ გამოგიგზავნა. მამამვილობას ნუ აწყეინებ. ზოგი ამალამ სჭამე, ზოგიც დილას.—და გადასცა გაუნხნელად.

— კარგი, მამა. მადლობელი — უპასუხა ნათანმა და გვერდზე გადასდო.

— იქნებ ერთი ორი ლუკმა ეხლა მოსტეხო?

— არა მამა, არა მშობი. გვიან ვისადილე.

— ეპ შეილო — ამოიოხრა ისხაკმა.

— რას ოხრავ მამა? — შეეკითხა ნათანი.

მამა უცქერდა შვილს გამომცდელის თვალეებით და ჯერ არ პასუხობდა.

მაშინ ისევ ნათანმა განაგრძო:

— ვიცი მამიკო. არ გაგიმართლეთ არც შენ და არც დედიკოს იმედები. რა ვქნა, ცუდი შვილი გამოვედი. ქალაქში ვადმობვედით. ამაზე ვოცნებობდი მთელი წელიწადი და როდესაც ეს საჭმე უჩემოდ გამოეწყო და თქვენ აქა ხართ, მე ერთი კაპიკითაც ვერ დაგეხმარეთ. უჩემოდ მოეწყვეთ ბინაზე. უჩემოდ იშოვე სამუშაო. თითქოს არც გყოლიათ შვილი. ასე არა?

— არა შვილო, მე არ გემდური, არც დედა. მაგრამ ერთი მითხარი მამაშვილობას: ის ხალხი, ვინც ჩვენ დაგვეხმარა და მოგვაწყო — განა შენთვისაც საყვარელი ხალხი არაა?

— მე ყოველთვის მიყვარდა ძია დანიელი. პირველი ტკბილი სიტყვა ქალაქში ჩამოსვლისთანავე, მითხრა დანიელმა, ეს იყო სადგურზე, როცა ფულები ამომაცალეს. ნეტავი შევძლებდე და გადაუხდიდე იმ ამავს, რომელიც მას თქვენზე აქვს დახარჯული.

— მარტო დანიელი ხომ არა, შვილო. შაული? დაილოცა იმის მშობელი.

ნათანმა თავი ჩაილო დაბლა. ისხაკმა განაგრძო:



— დანიელი ამბობს: „არ მესმის რა აქვთ ნათანს და შაულს გასაყოფიო“. სიმართლეა შვილო. მოხუც კაცს ყველაფერი დაეჯერება. არც მე მესმის.

— ეს დიდი საკითხია, მამა. მოდი ამაზე გულდასაშინებლად ვაპრობებო.

— რისთვის შვილო, რისთვის არ ეილაპარაკოთ. მოგიკვდეს მამა თუ არ მიპასუხო: რა დაუშავებია შენთვის შაულს ათანელი შვილს?

— არაფერი, მამა.

— აბა რაშია საქმე. რა გაჩხუბებთ? რატომ არ ხართ ერთად?

— მამა! ხომ არ შეიძლება ყველა აღამიანებს ჰქონდეს ერთნაირი გემო, ერთნაირი მოწონება, ერთნაირი შეხედულება?

— აქ სულ უბრალო საკითხია და გზა კვალს რაზე მიბნევ. მითხარი აშკარად, გულახდილად: „პირველ ნაბიჯში“ ცუდი საქმე კეთდება თუ კარგი?

ნათანმა თავს ძალა დაატანა და უპასუხა:

— კარგი.

— ღარიბები შენ ხომ ყოველთვის გიყვარდა და გიყვარს?

— მართალია.

— ბენიამინ ბერიძე და ყუბრა შათაშვილი შენ ისევე გიყვარება ალბად, როგორც კოჭლი მელამედი?

— სწორია.

— ამ საკითხებზე შაულიც ასეთი შეხედულებებისაა. აბა ეხლა ამიხსენი — რა განსხვავებაა თქვენს შორის...

— ეს ასე ადვილი არაა, მამა.

ისხაკმა ღრმად ამოიოხრა:

— როდემდის უნდა იყო შვილო ასეთი გულჩათხრობილი?

ნათანი ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ შეეკითხა:

— განა სულ ერთი არაა მე და შაული ერთად ვიქნებით თუ არა?

— არაა სულერთი. ძალა — ერთობაშია. როცა ერთად იქნებით, მაშინ მტრები ვერას დაგაკლებენ.

— ეხლა რას დამაკლებენ?

— ნუ იტყვი შეილო, ნუ. გეშინია. ლამეები აღარ  
შძინავს. გული მიკანკალებს.

— რისთვის მამიკო, რისთვის? — ჰკითხა ნათანმა  
ისეთი ღიმილით, თთქოს ამით სურდა გაეზათილებინა მამის  
უსაფუძვლო შიში.

— ყური მივდე კარგად, შეილო. მე ცოტახნის აი-  
ცოცხლე დამრჩენია კიდევ. მიხარია ღმერთმა რო მომას-  
წრო ასეთ დროს, როცა მდიდრები ღარიბებს ველარ სძა-  
ლავენ. გასახარელია კიდევ ის ამბავი, რომ ჩვენმა ხალხ-  
მა ვაჭრობის გარდა სხვა საქმეშიაც გამოიჩინა თავისი  
შნო და მარიფათი. ამ საქმეებს მდიდარი ხალხი ასე აღ-  
ვილად ვერ შეუწივდება და ყოველნაირად შეეცდება  
ჩაიდინოს მხოლოდ ცუდი და ბოროტი. თქვენ რომ ერ-  
თად იქნებით, ხელები დაუმოკლდებათ... ხოლო, თუ შენ  
მარტო იქნები, ისრაელის მტერს, რამე ხიფათს შეგამთხ-  
ვევენ და იცოდე ნათან, შენ რომ რამე მოგივიდეს, მეცა  
და დედაშენიც, ჩვენის ხელით გავითხრით სამარეს.

ნათანს ცრემლები მოადგა თვალებზე და მიბრუნ-  
და ზურგით, რომ მამისთვის არ ეჩვენებინა თავისი სუს-  
ტე; შემდეგ შეუმჩნეველად შეიმშრალა, მიუახლოვდა მამას  
და გადაეხვია:

— ეს რა აზრები მოგსვლია, ჩემო ძვირფასო მამი-  
კო თავში? ნუ გეშინია. ნათანს ვერაფერ ვერაფერს დაუ-  
შავებს.

ისხაკმა გულში ჩაიკრა ნათანი და უთხრა:

— ბენიამინ ბერიძე დიდი ბოროტი კაცია. იმას ფუ-  
ლი აქვს. ფულით შეუძლია მოიყიდოს ვინმე თავზე ხე-  
ლადებული. ერიდე ნათან!

— უსაფუძვლო შიშია.

— არაა უსაფუძვლო. ისევ ესთერმა შემატყობინა.  
იმას გაუგრძელოს ღმერთმა დღეები.

— მოგწონს მამა, ესთერი?

— ძალიან, შეილო.

— ავილო ხელი? — შეეკითხა ნათანი შეპარვით.

— მაგას ვერ გირჩევ, ნათან. მაგრამ მეორე მხრივ,  
გული საგულეში აღარ მიდგება. რა ეცი. რითი დას-  
რულდება ეს საქმე. მამა რო ასეთი მხეცი ჰყოლია იმ

ქალს! თურმე სულ იმას ოცნებობს, მანამ რაიმე მსხვერპლი არ მოხდება, არ დაეწყნარდება.

ნათანი ჩაფიქრდა. ისხაკი ისევ მოეხვია.

— ნათან! ჩემო სიცოცხლე!

— რა მამა?

— მეშინია. გული მტკივა, ცული წინადგრძობა მაქვს.

— დაანებე თავი ცულ ფიქრებს.

— როცა შენ არ გიცქერი, ყოველ წუთში ველი გულისკანკალით, რომ მართლა მოხდება მსხვერპლი.

— სისულელეა.

— გადმოდი ჩვენთან. რამდენიმე დღით მაინც. ზეგთიშყა-ბეაბია<sup>1</sup> მოიგონე ძველი. გაახარე დედისა და ამის გული.

ძველი იყო უარის თქმა და ნათანმაც უთხრა:

— კარგი, გადმოვალ.

ისხაკმა სიხარულით გადაჰკოცნა შვილი:

— გაგახაროს ღმერთმა — შენ გაახარე მშობლის გული.



მთვარე, ვარსკვლავები, ლურჯი მოკამკამე ცა.

ჯერ კიდევ აღრეა. საღამოს რვა საათია.

რა იქნენ ფეთხაინის მცხოვრებნი ათასცხრას ოცდასამი წლის ივლისის ერთერთ საღამოს?

ფეთხაინზე ხმაურობა არ იდგა. სახლებში სინათლე ჩაქრობილი იყო. დროგამოშვებით თუ აივლიდა ფეთხაინის აღმართს „პირველი ნაბიჯის“ რომელიმე ახალგაზღვა მუშა.

დანარჩენები? ქალები, კაცები, ბავშვები? მდიდრები, ლარიბები? მოხუცები?

რას ნიშნავდა ეს მოულოდნელად გამეფებული აჩუმი? შეიცვალა რამე ფეთხაინზე?

<sup>1</sup> თიშყა-ბეაბი—ღამე ცხრა აბის (ებრ. თვეა დაახლოებით ივლისის).

ფეთხაინი ამ სიჩუმეშიაც ერთგული იყო თავის თავისა.

ამალამინდელი ღამე, ეროვნული გლოვის ღამე, საკმაოდ ცნობილი იყო:

ღამე ცხრა აბის.

და ყოველწლიურად, ამალამინდელ საღამოს, მორწმუნენი იმეორებდნენ ერთსა და იგივეს.

სალოცავში წასვლამდე, ყოველი ოჯახი აწყობს თავის სახლში „შემწყვეტ სადილს“, რასაც ებრაულად უწოდებენ „სეყუდა ჰამაფსეკეთს“. ეს ხდება დაახლოებით საღამოს 5 — 6-მდე. სადილი უნდა იყოს უბრალო, აკრძალულია ღვინო და ხორცი. სადილის შემდეგ მეორე დღის დაღამებამდე ცხადდება მარხვა, ნამდვილი შიმშილი, ვინაიდან ოცდაათი საათის განმავლობაში არც ერთი მორწმუნე არ იგემებს არც ერთ ლუქმას, არც ერთ წვეთ წყალს. „შემწყვეტი სადილის“ დასასრულს მამაკაცები გაიხდიან ფეხთ და ფეხსაცმელების ნაცვლად ჩაიცვამენ კალოშებს ან უბრალო ჩუსტებს. ზოგი მათგანი თან წაიღებს მუთაქას, რომ სალოცავში გაათიოს ღამე. ასე იყო ძველდგანვე დაწესებული. ღამე ცხრა აბის იყო-გლოვა და ისრაელის შვილებს უნდა ხელი აეღოთ ყოველგვარ ამქვეყნიურ სიამოვნებაზე.

ნათანი მისდევდა თავის მოხუც მამას სალოცავში და აკვირებდა:

„რისთვის მივდივარ? სად მივდივარ? სატირლად? ვინ უნდა ვიტირო? რა უნდა ვიტირო?“.

და მაინც მიდიოდა. რა იყო ეს: მამის სიყვარული? დაბრუნება ბავშობასთან? ძველის მოგონების განცდის სურვილი? ჭკუაზე შეშლა? თუ სარწმუნოების გამარჯვება? ნათანს ეშინოდა განსაზღვრის, ეშინოდა ფიქრებში ჩაღრმავების. უკან მისდევდა—უშედეგო ბრძოლა. წინ—ბუნდოვანი მომავალი. აწმყოს მიჰყავდა მის მიერ უარყოფილ სალოცავისკენ.

თავის გარშემო კიდევ ესმოდა, თუმცა მორიდებით, მაგრამ მაინც გარკვეული ხმები:

— დახედეთ ერთი. ეს ნათანი არაა?

— ნათანია. ისხაკის ვაჟი.

— თეატრში რომ ეჩხუბებოდა ღმერთსა და ვაჭრებს?

— ეხლა მამას მისდევს.

— ღმერთი თუ შწამს, ლოცვაზე მოდის.

„ჯერ კიდევ გვიან არაა. გაიქეცი აქედან“ — გაუელვა ნათანს, მაგრამ ამ დროს შეხედა თავისი მამის დაფიქრებულ და შეშინებულ თვალებს და გადასწყვიტა: „არა, მამიკო. გულს არ მოგიკლავ. დეე შევსვა ეს სიმწრის ფიალა ბოლომდე. წამოგყევი და უკან აღარ გავიპარები. მოვდივარ სალოცავში“.

ისხაკი თავის გვერდით ჰგრძნობდა მომავალ შეილს. მისი გული სიამაყით ივსებოდა, რომ ნათანი მას დაუბრუნდა.

აგერ უკვე ცხინვალელების სალოცავი. ყაზარათ ჰანაშიმიდან უკვე მოსჩანან თავშალგაკრული ქალები. კიბებზე უკვე აღიოდენ მორწმუნენი და როგორც სჩანდა, ლოცვაც მალე დაიწყებოდა.

ძია დათოსთვის ნათანი იშვიათი სტუმარი იყო და საჩქაროდ უშოვა ადგილი. მაგრამ ეს ადგილი იყო არა სკამზე, არამედ მიწაზე.

ასეთი იყო წესი და ნათანმაც ფეხთ მოიკეცა.

... მკერდგაღელილები, ფეხმოკეცილები, იჯდენ და ემზადებოდენ მოსათქმელად. ხელში ეჭირათ კინოთები და წინ ენთოთ ოდნავ მბეუტავი თაფლის სანთელი, რომლის შექმნედაც უნდა ეკითხათ ირმიაუ ჰანაბის<sup>1</sup> გოდება — „ეხა-იაშბა“-ს<sup>2</sup> სახელწოდებით ცნობილი.

თებაზე, დაბალ სამფეხა სკამზე იჯდა მელამედი, რომელსაც უნდა ჩაეტარებინა გლოვის საღამო. მის ახლოს თების საფეხურებზე ჩამომსხდარიყვენ ყუზრა, შენაშე და დანარჩენი ვაბაები. ძია დათოს ფეხი მოეკეცა შესასვლელ კარებთან და წვერები პირში ჩაედო. დანიელი და ისხაკი მოწყობილიყვენ ერთად.

<sup>1</sup> კინოთ — წიგნი გლოვის თდებით და პოემებით.

<sup>2</sup> ირმიაუ-ჰანაბი — ერეშია წინასწარმეტყუელი.

<sup>3</sup> ეხა-იაშბა — ერეშიადა, ერეშიას გოდება.

ნათანი იჯდა სადღაც კუთხეში, ძია დათოს მიწერ მიჩნეულ ადგილას, ჰგონებდა საშინელ მარტოობას და შემკრთალი თვალებით ჩაშტერებოდა გოდებისაწიგნში გაყვითლებულ ებრაულ ასოებს.

სალოცავი გაქედილი იყო ხალხით. ზევიდან, თხელი ფარდიდან მორიდებით იცქირებოდნენ მორწმუნე ქალები.

ზაფხულის მწველი სიცხე შექრილიყო სალოცავში იმ ზომამდე, რომ იდგა დახუთული ჰაერი. თაფლის სანთლებიდან იგრძნობოდა უსიამოვნო ნამწვი. ისმოდა მთქნარება, მოლოდინი, ოხვრა, სეჟდა.

და კოკლმა მელამედმა დაიწყო გოდება ბოხი და მონოტონური მოთქმით:

„ბაბილონის მდინარეებთან ვისხედით და ვსტიროდით, როს მოგვაგონდებოდა სიონი;

„იქვე ტირიფებზე ჩამოვკიდეთ ჩვენი ჩონგურები;

„როგორ ვიმღეროთ აღონაის სიმღერა უცხო მიწაზე;

„თუ დაგივიწყო იერუშალაიმ, გახმეს ჩემი მარჯვენა;

„გაუხსენე აღონაივ, ედომის შვილებს, რომლებმაც...  
„ოაიკენ გვამები, ძუძუმწოვრები და ბალები. არავინაა წამომყენებელი, არავინაა შემბრალებელი...

„როგორ დაეცა დიდი ქალაქი“...

მელამედმა თანდათან უმატა ხმას, თითქოს თვითონ ყოფილიყოს წინასწარმეტყველი:

„ხელოვნურად ქმნილ თიხის ნამტვრევებს

როგორ ემსგავსენ სიონის ძენი

უფალო ღმერთო, შენს ძვირფას შვილებს

რათ დაამწარე თავანთი დღენი“.

ამოიკენესა ხმამაღლად და გადახედა თავის სამწყმსოს, რომელიც დამწუხრებულყო და გარინდებულყო. მორწმუნეთა თვალებში მირბოდნენ საუკუნეები. შეშინებული თვალები მოძრაობდნენ ცრემლებით. და მათ ცრემლებს აძლიერებდა მწუხარების აღმძვრელი და თან უსიამოვნო ბოხი ხმა:

„ამაღამ მთელ მსოფლიოში აქვითინდება შთამომავალი აღმოსავლეთის წინაპრებისა... ამალამინდელ ღამეს

ერმა დაპყარვა თავისუფლება, სამშობლო, დამოუკიდებლობა და მონა გახდა ძლიერი თვითმპყრობელებსა... ამალამინდელ ღამეს მას დაუხოცეს საამაყო შევილები და შეგვრჩა უკანასკნელი მწარე მოგონება“...

ბოლო ეს მოგონება რამდენი იყო:

„კანაიმები“, რომლებმაც იბრძოლეს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. ჯალათი ნებუზარადანი და ზეზარია წინასწარმეტყველი. ქვრივი ხანა და მისი შვიდი შვილი, ათი მოხუცი ისრაელის „მნათობები“—გაბატონებული სახელმწიფოს მიერ — მოკლულნი. მეფე ციდეკიაუ და მისი შვილები, გაოხრებული ქვეყანა, მეორე ტაძარი და საკურთხეველი. დახოცილები და დაღუპულები შემდგომ საუკუნეებში და სხვადასხვა ქვეყნებში.

და როდესაც მორჩა ამ დაუსრულებელ მოგონებებს — შეჰკივლა ზეცის მისამართით:

— გაიხსენე ადონაივ, რა მოგვივიდა, ვადმოხედე და დაინახე ჩვენი სივალაღე! ვადმოხედე შენს შვილებს, 14 მილიონ ისრაელს, რომლებიც ამალამ მთელ ყოლამზე დააყენებენ ცრემლების ოკეანეს...

მელამედი შევიდა მგლოვიარეს როლში და ატირებულმა გასცა განკარგულება:

— ჩაჰქრეს ჩემი სანთელი, რადგანაც ამ საღამოს ჩავიდა ჩვენი მზე; ჩაჰქრეს სანთელი და სიონის გაოხრებისათვის ფეხი მოვირთხათ სიბნელეში...

წინადადებების ბოლოს იგი ყოველთვის აგრძელებდა, რასაც უფრო უნდა გაემძლიერებინა გლოვისა და უბედურების შთაბეჭდილება. ამ წუთებში თითოეულ მორწმუნეს გული უკანკალებდა და ჰჭონდა რაღაც წინაღვრძობა. ეს განცდა უფრო თანდათან ძლიერდებოდა, როცა სულის შებერვით ერთი მეორის შემდეგ, ზედიზედ ჰქრებოდნენ ისედაც ნელა მბეუტავი სანთლები.

ალარ ენთო არც ერთი სანთელი და გამეფდა სიბნელე, საშინელი, ეგვიპტის წყედიადი. სიბნელეს თან მოჰყვა საოცარი სიწყნარე და მყუდროება. ორი წუთი — არავინ არღვევდა ამ „წმინდა იდუმალებას“.

<sup>1</sup> კანაიმ — ფანატოკოსები.

და იბადებოდა უცნაური განცდა:

თითქოს მთელმა ხალხმა ამოჰყო თავი სამარეში,  
რომლისთვისაც ზევით დიდი ქვა დაუდევიათ.

და მელამედმა გადასწია ეს ქვა და დაარღვია სამარე  
რისებური სიჩუმე:

— ძმებო! სახლეულო ისრაელისაც! ყური დამიგდე:  
ამალამინდელ ღამეს შესრულდა...

პატარა პაუზა. საშინელების წინადგრძნობა გრძელ-  
დება. რა უნდა მოხდეს?

უნდა წარმოითქვას საშინელი ციფრი, საშინელი  
რიცხვი.

საშინელი, საშინელი, საშინელი.

და წარმოითქვა:

— შესრულდა ათას რევას ორმოცდა თხუთმეტი წუ-  
ლიწადი, რაც გაოხრდა საყვარელი ქვეყანა და ერი წმინ-  
და, რაც აგვერთვა თავზე თავჯი და მშვენება...

და საშინელის კვილით და შეძახილით დაასრულა:

— ვაი ჩვენ, რომ შევეცო-ო-ო-ო-დეთ!...

— ვაი... — გაისმა ქვითინი და ტირილი მოხუცე-  
ბისა.

— ვაი... — მათ ბანს აძლევდა ქალების ქანღარა.

— ვაი... — აკენესდენ ბავშვები, როცა დაინახეს  
ატირებული მშობლები.

— ვაი... — სტიროდა სიბნელე გამეფებული სალო-  
ცავის კედლებში.

და ამ ღმუილმა, არაადამიანურმა გლოვამ და უაზ-  
რო ქვითინმა საჩქაროდ წამოაგდო ფეხზე ნათან ჯანა-  
შვილი, რომელმაც ამ წუთებამდე არ იცოდა თუ რამ  
მოიყვანა ის აქ, ამ „მისტიურ“ ღამეს. დაკლული პა-  
რუტყვივით გაუმწარდა სული და საზარელი ხმით შეჰ-  
კვილა:

— გაჩუმდით! ნუ სტირიხართ, საცოდავებო!

მოულოდნელობისაგან მორწმუნენი გაშეშდნენ. ერთ  
წუთს ბუნებრივად ჩაჩუმდა ყოველივე.

ვიღამაც აანთო ასანთის ღეროვით წვრილი სანთე-  
ლი. მის შუქზე მობრუნდა მასა, ხალხი, ბრბო. მგლის  
თვალები შეეფეთენ ახალგაზრდა მებრძოლს.



ასე მოეჩვენა ნათანს. გააგონეს საშინელი განაჩეხი:  
— ნათან ჯანაშვილი გაგივებულა.  
და ნათანი დაუყონებლივ გაემართა კარებისაკენ.  
— ვაიმე შეილო — მოესმა მას, როგორც მორევე-  
ლი ეხო.

● ● ●  
— ზილფა! მიდიხარ თუ არა ლოცვაზე? ხო არ და-  
გავიწყდა: ამაღამ სიონის ტირილია.

— ვიცი, ბენიამინ, როგორ არა. მალე წავალ.

— დაღამდა და კიდევ იძახი: მალე წავალო. გაეტუე-  
თუ მიდიხარ.

„შენ?“ უნდოდა ეკითხა ზილფას, მაგრამ შეხედა  
ქმარს დამკინავ თვალებში და საკითხი დარჩა უთქმელი.  
სასწრაფოდ გადაიცვა შავი კაბა და გაემზადა გასასვლე-  
ლად. ბენიამინმა დაადევნა კითხვა:

— რა შაგები ჩაგიცვამს? ჯერ ხომ არ მოემკედარ-  
ვარ?

ზილფამ წყნარად მიუგო:

— სიონის ტირილში თეთრებს ხო არ ჩაგიცვამდი?  
ბენიამინმა თითქოს თავის გასამართლებლად უთხრა:

— აბა კარგი. წადი. მეც მალე მოვალ. კაცს უცდი.  
საქირო საქმე მაქვს.

„ამ დროს ისრაელის შვილი არ მოვა. ვინ უნდა  
მოუვიდეს? ვილაცა საექვო კაცი უნდა იყოს“ — გა-  
დასწყვიტა ზილფამ.

როცა ზილფა გავიდა, თავისუფლად ამოისუნთქა.  
თან გაიფიქრა:

„დიდი სულელები ყოფილან ჩვენი წინაპრები. ისანი  
დახოცეს და ჩვენ ყოველწლიურად უნდა გვატირონ...  
არა! მე არ ვიტირებ. მე არ მიყვარს ტირილი. არა ვარ  
ჩვეული. იტირონ სხვებმა, გლახაკებმა, ლატაკებმა, მათ-  
ხოვრებმა. მე მიყვარს, როცა სხვები სტირიან. მაგრამ მე  
კი. პირადათ ბენიამინ ბერიძეს რა მაქვს სატირალი?..“

ხელები ჯიბეში ჩაიწყო და მიაჩერდა ქალიშვილს.  
ოთახს. თითქოს ჰფიქრობდა: დაეძახა თუ არა.

და როდესაც ესთერი უკვე მის წინაშე იდგა, ორ-  
ვემ იცოდნენ, რომ ეს იყო მათი უკანასკნელი დიალოგი:

— არ უნდა მოეღოს ბოლო შენს საკითხს?

— მოეღოს.

— მე მამა ვარ თუ არა?

— ჰო.

— როდემდის გნებავს თვალდახუჭული ვიარო?

— მამა!

— სსს... ძველი ამბების გაგონება აღარ მინდა. შენ  
წრიბინისთვის არა მცალია. მე ამ საღამოს მაქვს შენთან  
უკანასკნელი ლაპარაკი. შენთან მამაშვილურმა ლაპა-  
რაკმა არ ვასჭრა. ალბად დაგავიწყდა, რომ ბენიამინ ბე-  
რიძეს ხელში ძალა უჭირავს.

— ვიცი.

— თუ იცი, დაგიბრმავდა თვალეები, რაღას მაკლუ-  
ვინებ ამდენ ხანს. მიყვები თუ არა ყუბრა შათაშვილს?

— არასოდეს.

— განანებ. არ მოესწარი არაფერ კარგს. ეხლა კი  
აფასრულებ ჩემს მუქარას. დაგიყენებთ შავბნელ თიშა-  
ბებას. მაინც სატირალი ღამეა და იტირეთ. ყველამ იტი-  
რეთ! ყველა ჩემმა მტრებმა! მთელმა ყოლამმა! გაეთრიე  
აქედან. ნულარ მიჩვენებ შენს უწმინდურ სახეს!

ესთერი სასწრაფოდ შეეპარდა თავის ოთახში და სარ-  
ქაროდ ჩაიკეტა შიგნიდან.

ბენიამინმა კი ჩვეულებისამებრ, როცა მისი გაბრა-  
ზება აღწევდა ასეთ ზომამდე, დაიწყო ნერვიული ნაზი-  
ჯიბით სიარული წინ და უკან, რომლის დროსაც წამდა-  
უწუმ იცქირებოდა კარებისაკენ.

ეტყობოდა ვილაკას ელოდა. ხოლო ამ ვილაკა „საე-  
ქვო კაცის“ მოლოდინში, მის ტვინში სასწრაფოდ სხვა-  
დასხვა ბოროტი აზრები და გეგმები სცვლიდნენ ერთ-  
მანეთს:

„ვინ სთქვა, რომ ქალიშვილი არ უნდა უჯერიდეს  
მამას? მაინც და მაინც მათხოვარი გინდა? დაუმოკლდე-  
ბა ღლები შენს საყვარელს. ამაღამვე. ჯერ მოვიდეს ჩე-

მი თათარი. მაიდანზე ბარე ოცი კაცი ჰყავს მოკლულნი. მერე რაფერი ოსტატია! კაცი ვერ იგებს მაგის ასაჯილ დასაჯალს... ფულს ყველაფერი შეუძლია... ფულით ვიყიდი მთელ ქვეყანას. ფულით ვიყიდი „მათხოვარის“ სულსაც... მერე როგორ მოჰკლავს? სახლში? ქუჩაში? დანით? რევოლვერით? ეს იმის საქმე იყოს. მე კი ფულს მივცემ, ფულს, აუარებელ ფულს!... ერთი კვირის შემდეგ შაულ ათანელიშვილსაც გავასტუმრებინებ საიქიოსკებს... აუცილებლად... აუცილებლად... ოხრადაც დამრჩენია ეს ქონება, თუ ამნაირი ქალიშვილი გამომეზრდებოდა, თუ ბენიამინ ბერიძის ურჩობას გაბედავდა... ოღონდ მალე, მალე მოვიდეს“...

დახედა საათს და გაცეცხლდა თავის თავზე:

„ჯერ მხოლოდ რეა საათია. მე კი ის დავიბარე ცხრა საათისათვის. რისთვის მომივიდა ასე? რა ექნა ეხლა? როგორ მოვკლა ეს ერთი საათი? წავიდე ლოცვაზე? არა, არ მინდა. მაშ?“

დააკაკუნეს.

„ეინ ოხერია“ — გაიფიქრა უსიამოვნოდ ბენიამინმა და ქარი გააღო. შემოვიდა ყეზრას გამოგზავნილი კაცი, რომელმაც შეატყობინა მას ეხლახანს მომხდარი ინციდენტი ცხინვალელების სალოცავში. ბენიამინს თვალუბი აენტო:

— მერე რა იქნა ის ნათანი?

— წავიდა იქავე.

— მამამისი?

— დარჩა სალოცავში და სტირის.

— წადი, გადაეცი მელამედს, ყეზრას, მენაშეს, ვაბაებს, რომ ამისთანა შემთხვევა არასგზით არ გაუშვან ხელიდან. აამხედრეთ ხალხი, ააჯანყეთ. სარწმუნოების შეურაცხყოფისათვის თვითონ ბოლშევიკებიც სდევნიან. ეს არ უნდა შერჩეს მას. ნუ დაბრმავებულხართ. შესთხოვეთ ადონაის, რომ იმან ბოლო მოუღოს მისი წმინდა თორის მტრებს. წადი, ნულარ დამდგომიხარ თავზე. შეუდექით საქმეს. მეც მალე მოვალ. გესმის? თვითონ ბენიამინ ბერიძე მოვა ცხინვალელებთან!

გამოგზავნილი კაცი გავიდა, ხოლო ვინაიდან ბენიამინ ბერიძეს მთელი საათი ჰქონდა თავის განკარგულებაში, ვადასწყევტა მართლაც წასულიყო იქ, სადაც ასეთი მოულოდნელი შემთხვევის გამო შესაძლებლობა ექნებოდა ამღვრეულ წყალში თევზის დაჭერისა.

„მგონია თვითონ ღმერთი მეხმარება“ — გაიფიქრა, მყის ვადაიცვა საზაფხულო პალტო და მეტად ჩქარი ნაბიჯებით გაემართა გასასვლელისაკენ.

ესთერმა იცნო ნაბიჯები:

„ეს მამაჩემია რომ გავიდა“.

არასოდეს ესთერის შიში და აღშფოთება არ ყოფილა ესოდენ ძლიერი, როგორც ამ წუთებში. ნერვიულადა მძიმე ნაბიჯები, რომელიც ისმოდა მეორე ოთახიდან, ახალგაზდა გულმკერდს ესობოდა, როგორც მჩხვლეთავი ისარი.

როდესაც ცხინვალელების გამოგზავნილი კაცი შემოვიდა, ესთერმა ყური მიაპყრო კარებს და უნდოდა გაეგო თუ რაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ აღლევებისა და ათრთოლების გამო მან დაიჭირა მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვები:

„ადონაი... ნათანი... სატირალი“.

და გულმა უფრო დაუწყყო ცემა, ვინაიდან მამა მისი, როგორც ჩანდა, თავის მუქარას იმეორებდა სხვებთან.

„რა შეშველება... ვაიმე... მამაჩემი რალაცას აპირებს... ნუჯავი რას?“

ამაოდ სურდა ესთერს მიხვედრილიყო მამის დეტალურ გეგმას და ულონობით, სასოწარკვეთით ეკითხებოდა თავს: „რა ვქნა, რომ არც ვიცი როგორ ვუშველო?“

ესთერი ღელავდა, შფოთავდა, ბორჯავდა. ველარსად ველარ პოულობდა თავის ადგილს. ხან სკამზე იჯდა. ხან მივარდებოდა საწოლს, ხან დადგებოდა ფანჯარასთან. გამოსავალი არ იყო, არ იყო, არ იყო. და პირველად თავის სიცოცხლეში გაუელვა თვითმკვლელობის აზრმა. ჯერ შეეშინდა ამ აზრის, მხრები აეწია თითქოს შესცივდაო და სურდა განედევნა ბოლო ფიქრები.

მაგრამ ეს აზრი, როგორც ბოროტი ჯალათი აეკვიატა და მოსვენებას არ აძლევდა.

თითქოს, ვიღაცა მეორე ადამიანი ჩაჯდა მის არსებობაში, რომელმაც ყველაფერი ზუსტად იცის, რაც უნდა მოხდეს და ამიტომ ესთერს ეუბნებოდა:

„ესთერ! შენი სიცოცხლე საჭირო არაა. ესთერ, შენ უბრალო ტყინა ხარ ადამიანების ხელში! ესთერ, შენ უბრალო ქია და მატლი ხარ!.. ნათანს დასდევენ მოსაკლავად... ნათანს მოჰკლავენ დღეს თუ ხვალ... მე რა უნდა ჰქნა შენ ესთერ? შენ არაფერი არ შეგიძლია. შენ ნათანს ვერ გადაარჩენ, მამაშენი ყოველად შემძლია. მამაშენი — ძალაა, მამაშენი — ფულია. მოჰკლავენ ნათანს და შემდეგ გაგაყოლებენ ყეზრას... შენც გაჰყვები აბა სხვა რაღა სიხარული დაგრჩება... არ გინდა? ვერ შეურიგდები ნათანის სიკვდილს? ყეზრას ცოლობას? მამის ბოროტებას?.. მაშინ... ადექი და დაასწარი, თავი მოიკალი, დაასრულე ეს უაზრო სიცოცხლე“.

ესთერს შუბლი საშინლად შეეჭმუხნა. თავის მოკვლის ფიქრი ღრმად ჩაეჭედა გონებაში. უნებურადა მომოიხედა გარშემო. ეშინოდა ამ აზრის, მაგრამ თან ჰფიქრობდა:

„რით? იარაღი მე არა მაქვს, ალბად რო მჭაონდეს ვერც მოვიხმარდი, კარგი იყო, რომ რამე წამალი მქონოდა. მაგრამ არა მაქვს, რა ვქნა?“

გამოალო მაგიდის ყუთი და უცბად გული აუძგერდა:

სარეცხი თოკი.

აიხედა ჭერზე, ყველაფერი ხელს უწყობდა. თავისუფლად შეეძლო თავის ჩამონრჩობა.

„ჩემი სიცოცხლე არაა დასანანი“ — გაიფაქრა და გადასწყვეტა წერილების დაწერა. სწერდა, შლიდა, ისევ სწერდა. სწერდა ნათანს, დედას, მამასაც. მზურვალე ცრემლებით ასოვლებდა ამ სტრიქონებს. შემდეგ გადაიკითხა დაწერილი და სრულიად დაუფიქრებლად და მოულოდნელად ნაფლეთ ნაფლეთებდად აქცია.

„რა მომივიდა, აზრის გამოთქმაც აღარ შემძლია?“

ამის შემდეგ კვლავ აიღო სუფთა ქაღალდი და დასწერა ერთი სტრიქონი. იგულისხმებოდა ალბად ყველასთვის:

„წყველიმც იყოს წარსული, რომელმაც მესაქე პარების მონებად გადაგვაქცია“.

დასლო მაგიდის შუაგულში.

„ეხლა, ჩქარა ესთერ. მალე ლოცვა გამოცვალებული რუნდება ან დედა, ან მამა და ვეღარ მოიყვან სისრულეში შენს განზრახვას“ — აჩქარიდა მას იგივე მეორე ადამიანი, რომელსაც მაგრად მოეკალათებინა შინ უღონო სხეულში.

„იქნებ გადაიფიქრო?“ — იკითხა ერთ წუთს ძველმა ესთერმა, რომელსაც აღარ ეტყობოდა სიცოცხლის ნასახი.

„არა, გვიანაა!“

ესთერმა გადადგა ერთი ნაბიჯი.

„ნუ თუ ეს ჩემი უკანასკნელი ნაბიჯია?“

„სამაგიეროდ ეს იქნება უძლიერესი პროტესტი“.

„გადაწყდა!“

„მშვიდობით ნათან, მშვიდობით...“

და ესთერმა შემოიჭირა სქელი და უხეში თოკი თავის პატარა ყელზე.



საჩქაროდ აანთეს მბეჭუტავი სანთლები.

ეძებდენ დამნაშავეს, რჯულის შეურაცხმყოფელს, „ისრაელის მტერს“, მაგრამ ნათანი იქ აღარ იყო.

მაშინ მობრუნდენ ისხაკისაკენ, რომელსაც თავი ჩაეყო მუხლებში და პირისახე არ უჩანდა. მოხუცს რკალივით გარშემოერთყენ კოჭლი მელამედი, ყეზრა შათაშვილი, ვაბაი მენაშე და სხვა მორწმუნენი.

კოჭლი მელამედი, რომელიც თავს მდგომარეობის ბატონ-პატრონად გრძნობდა, ემზადებოდა საშინელი „გამანადგურებელი“ სიტყვისათვის. მის წინ მოზღვავებული მასა — ეს იყო ნედლი მასალა, რომლის დამუშავებაც არც ისე ძნელი საქმე იყო. მასა ისმენდა „ღვთაებრივ სიტყვებს“, ხოლო ღვთაების წარმომადგენელი განავრძობდა:

— ჯერ კიდევ ათი წუთის წინედ მოვთქვამდით და ვიძახოდით: „ვაი ჩვენ, რომ შევეცოდეთ!“ ჯერ კიდევ ათი წუთის წინედ ვიდექით აკადოშ-ბარუხუს წინაშე ერთი სულით და ერთი გულით, სინანულით და კედრებით, ტირილით და ლოცვით. ვაი ჩვენ! რაღა გვეთქმის ახლა? ჩვენი ვადარჯულებული შვილები ტირილსაც აღარ გვანებებენ, ლოცვაში გვექრებიან და აღონაის ტახტის წინაშე იწყებენ ორგულობას. ძმებო! ისრაელ-ებო! ცხინვეალებების წმინდა ჯამაათო! იცოდეთ ყველამ, რომ მას შემდეგ, რაც გათხრდა მეორე მიკლამში<sup>1</sup> ამის მსგავსი ამბავი არ ყოფილა საისრაელოში!

ყაზარათ ჰანაშიმში ქალები შთოთავედენ:

— ვაი ჩვენს მოსწრებას!

— დამდგომოდა თვალები და ეს არ მენახა!

— ვაი ჩემს ყურებს, რა ვაიგონეს!

— შე უბედურო ღია, შვილმა გაგიმზადათ გეინამ-ში<sup>2</sup> ადგილი!

— მშვიდობა ისრაელის ერზედ!

ღია სტიროდა, იღვრებოდა ცრემლებით და უბედობით და შავ საფარში ჩაემალა თავისი სახე.

ქალებს არ ჩამორჩებოდენ მოხუცი მამაკაცები:

— ჯერ ამისთანა უბედური თიშყაბებაბის მომსწრე არა ვარ.

— დაილოცა მისი სახელი, გეცდის.

— ვინ ვაიგებს აღონაის გზებს...

— ვაი რაშაყებს...<sup>3</sup>

— ვაი მათ, ვინაიდან ისინი გვიგრძელებენ გალუთს.<sup>4</sup>

მორწმუნეთა შორისაც ბევრი თანაუგრძნობდა ისრაელს. ყველაზე უფრო კი დანიელი და დათო. მათ არ სწამდათ, რომ ნათანმა რაღაც დანაშაული ჩაიდინა თავის წამოძახილით, მაგრამ სალოცავში ისეთი მძიმე ატ-

<sup>1</sup> მიკაშ—ტაძარი

<sup>2</sup> გეინამ—ჯოჯობეთი.

<sup>3</sup> რაშაყ—ურჯულო.

<sup>4</sup> გალუთ—ტყვეობა.

მოსყვარა იყო გამეფებული ნათანის წინააღმდეგ, რომ  
უაზრობა იქნებოდა ეხლა რაიმე სხვა აზრის თქმა.  
კოჭლი მელამედი კი ნიშნით დასცქეროდა  
ხევიდან წელში მოხრილ და თავჩაღუნულ ისხაკს.  
გუბნებოდა:

— ვაი შენ, უბედურო ისხაკ ჯანაშვილო, მამების  
შორის ყველაზე უბედურო მამავ! რამდენჯელ მჭონია  
შენთან ლაპარაკი, რამდენჯელ გამიფრთხილებიხარ.  
გეუბნებოდი, რომ შენ გეზრდება შვილი—ურჩი და  
რაშაყი, საისრაელ-ოს მტერი და შენ არ გჯეროდა! გეუბ-  
ნებოდი — ნუ შეგყავს გიმნაზიაში და შენ არ დამოჯე-  
რე! გეუბნებოდი...

ერთ წუთს დასჭირდა შეეწყვიტა ქადაგი.  
სალოცავს მოაწვა აუარებელი ხალხი, ახალცახე-  
ლების სალოცავიდან, რომელთაც გაეგოთ საოცარი სის-  
წრაფით, რომ ცხინვალელების ლოცვაზე რაღაც „საშინ-  
ელი“ მომხდარა.

- რა ამბავია?
- რა მოხდა?
- როდის?
- როგორ?
- ვინ?
- მერე?
- რა იქნა თვითონ?

და კიდევ სხვა მრავალი კითხვები სხაპასუბით და-  
ყარეს ახლად შემოსულებმა თავის მეზობლებს, ნაცნო-  
ბებს და თანამორწმუნეთ ცხინვალელების სალოცავი-  
დან. და ისინიც უხალისოდ და სირცხვილით აძლევედნ  
პასუხს.

მელამედს სურდა ისევ გაეგრძელებინა, მაგრამ ამ  
დროს ხალხში შეიქნა გაურკვეველი ჩოჩქოლი. აშკარა  
იყო, რომ ადგილს უთმობდნ ვიღაცას, მიიწ-მოიწიეს და  
ან ამბობდნ:

- ბენიამინი მობრძანდება!
- უყურეთ ერთი!
- თვითონ ბენიამინ ბერიძე?



ბენიამინ ბერიძე შემოვიდა სალოცავში ამაყი და მართული ნაბიჯებით. შეამჩნია რკალი მოხუცი შვილის გარშემო და დაუყოვნებლივ იქით გაემართა.

მელამედმა და ბენიამინმა დაიწყეს ჩურჩული. ბენიამინი თავს აქნევდა, თითქოს დიდი უბედურება შეხვეოდეს, ხოლო სინამდვილეში მისი მოსვლით მორწმუნე მოხუცების თვალში ინციდენტის შინაარსი ასკვეცავდა ვაიზარდა.

ისხაკ ჯანაშვილს თავი ბურანში ეგონა და თითქოს სიზმარში მოეჩვენა, რომ ახსენებდნენ ბენიამინ ბერიძის სახელს; საჩქაროდ თვალეზი მოიფშვნიტა და დარწმუნდა, რომ არ ეძინა. მაშინ გულმა დაუწყო ცემა არა ჩვეულებრივი ძალით, საჩქაროდ ასწია თავი და შეეფეთა ბენიამინ ბერიძის ბოროტებითა და მრისხანებით აღსავსე მწვანე თვალებს.

„მაშ ეს არის ბენიამინ ბერიძე? ეს არის ესთერის მამა? ერთნაირი თვალეზი აქვთ... მაგრამ რატომ გულა არა აქვთ ერთნაირი?“ — ჰფიქრობდა ისხაკი და თან უმზერდა ბენიამინს, რომელიც აგრძელებდა საიდუმლო ჩურჩულს მელამედთან.

ეს ჩურჩული კარგს არას მოასწავებდა და—ისხაკს ნელნელა თვალეზი უბნელდებოდა. იგი ძლივსძლივობით წამოდგა და გაქვივრებით მიეყრდნო კედელს. მელამედი ისევ მიუახლოვდა:

— ისხაკ! შენ უნდა დასწყევლო შენი შვილი.

— ჰა? — ამოუშვა ისხაკმა მკერდიდან ვაოცება.

უნლა ყეზრა მიუახლოვდა:

— მართალია, შვილია. მაგრამ თითქოს არც გყოლია. ხელი უნდა აიღო.

ისხაკი მძიმედ სუნთქავდა. მელამედი ისევ ეუბნებოდა:

— დღეს თუ ხვალ აღონაი თვითონ გაუსწორდებ შენს შვილს. მაგრამ თუ გინდა, რომ გეინამში არ გვებინონ პასუხი იმის საქციელისათვის — მაშინ დეველე.

— დასწყევლე! — დასკვეტა ბენიამინ ბერიძემ



ყაზართ ქანაშიშში კანკალობდა — ღია, დაბლა  
 — დანიელი და დათო.  
 ისხკმა მოიკრიფა თავისი უკანასკნელი და  
 და შესძახა მათ:

— იყავით თვითონ თქვენ წყეულნი! თქვენ ღირსა  
 არა ხართ ნათანს ახსენებდეთ. თქვენ...  
 და სასწრაფოდ წაივლო გულზე ხელი.  
 — ვაი შეილო — შეჰკივლა.  
 — მაშ შენც ასე? — მუქარით შეეკითხენ ბენიამინა,  
 კეზრა, მელამედი.

და ისხაკი შიშმა აიტანა:  
 „ვაიმე, ჩემო ნათან, ეხლა კი ველარ გადარჩები ამ  
 უაჩაღებს“.

და უკანასკნელად თავის სიცოცხლეში ამოიკენესა:  
 — რა გინდათ... რა... თქვე...  
 და ველარ დაათვა, თვალთ დაუბნელდა. გონება  
 დაეკარგა, დაბარბაცდა და წაიქცა.  
 თავი დაახალა ქვის იატაკს და სისხლი ჩაექცა ტე-  
 ნში.

სალოცავში გამეფდა სიკვდილი და სიჩუმე.

1021



აქ რაღაც სხვია. მინდა ეიცოდე ვიდრე ცოცხალი ვარ, რომ ჩემს გარდა სხვებიც არიან უბედურები. ეს კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ სიცოცხლე არა ღირს... მოუშვა თოკს, მაგრამ არ შემოიხსნა ყელიდან. საჩქაროდ შეაფიდან გამოიღო დედის საზამთრო მოსასხამი, მოისხა, რომ არ შეემჩნიათ მასზე თოკი, გამოალო ფანჯარა და გაიხედა ქუჩაში.

ფეთხანის აღმართზე საკაცით მიჰქონდათ მიცვალებული, რომელსაც მისდედენ როგორც ახალციხელები, აგრეთვე ცხინვალელები.

ვიღაცა ქალებს მიჰყავდათ გამწარებული ღია, რომელიც იგლეჯდა თმებს, იკაწრავდა სახეს და თავის უბედურებით გულს უწევდა დანარჩენებს.

საკაცე მიჰქონდათ თავჩაღებულ ძია დათოს და დანიელს, რომელთაც ჰქონდათ ისეთი თვალები, თითქოს ეუბნებოდენ თავის თავს:

„ყოველ ჩვენთაგანს მოვლის ასეთი ბოლოო“.

ესთერმა ღია ვერ იცნო, მაგრამ ეს სიკვდილი მიიღო რაღაც განსაკუთრებით ახლოს და საშინელი დაჭიმულობით ყური მიაპყრო იმ ნაწყვეტ-ნაწყვეტ ფრაზებს, რომლებიც იჭრებოდენ ქუჩიდან ფანჯარაში:

— რა უცბად ვათავდა.

— წაქცევა და სიკვდილი ერთი იყო.

— გულმა ველარ გაუძლო.

— საცოდავი კაცი... ყორანებივით შემოეხვიენ ბენიამინ ბერიძე და სხვები.

— დიდი ზღალმართალი ისრავლი იყო.

— რა ყვარებია თავის შვილი.

— რა კარგი მუშა მოუკვდა „პირველ ნაბიჯს“.

აფსუს, ისხაკ ჯანაშვილო!

— „ნათანის მამა?“

მეზივით დაეცა ეს ამბავი ესთერს.

სასწრაფოდ მოიხსნა თოკი და გადაავლო.

— კმარა მსხვერპლი!—წამოიძახა და კარებს ეცა.

„ვინ იცის... ვინ იცის... ისხაკ ჯანაშვილმა მიიტაწმინდა მსხვერპლი... ამ მსხვერპლმა გადამარჩინა მე...“

შეიძლება ნათანიც... ეჰ, საცოდავო ნათან... სად ხარ  
ებლა... როგორ საშინელ უბედურებას შეიტყობ შალე!

ჩარბოდა ესთერი კიბეებზე და ჰფიქრობდა:

„ვინ იცის ეს მსხვერპლი იყოს საზღვარი...  
ლიმც იყავით ბოროტო ძალებო... ამის შემდეგ მე რაც  
მომივია-მომივიდეს...! ამაზე მეტი აღარ იქნება... მე აღარ  
დავბრუნდები ამიერიდან ჩემი მამის სახლში... ჩემი გზა  
მიდის უბედური ნათანისაკენ... და თუ დალუპვა გვიწე-  
რია, დე ორივენი ერთად დავიღუპოთ“...

საჩქაროდ და შეუშინებლად გაერია ხალხში.

გზა მიდიოდა განსვენებულის ბინისაკენ და ესთე-  
რიც გაჰყვა ამ გზას:

საშინელი გულისტკივილით, ცრემლებით და ახალი  
აზრებით.



ღამე ცხრა აბის თან სევდა ყოველ ფეხის ნაბიჯს  
გადადგმაზე.

სალოცავიდან მოყოლებული დაედევნა კოშმარო-  
ვით და არ სცილდებოდა ახალგაზრდა ბუნტარის მარად  
მოუსვენარ სულს. მიდიოდა მაგრამ სად? ქუჩა ქუჩას  
სცვლიდა, შესახვევი შესახვევს, და ასე დაუსრულებ-  
ლად. ერთი ფილაქნიდან გადადიოდა მეორეზე ისეთი  
სახით, რომ ვიღამაც მთვრალი უწოდა. აღბად, მთელი  
ნიცოცხლის მანძილზე არ უხეტიალებია მას იმდენი და-  
ისე უაზროდ, როგორც ამჟამად ათასცხრასაც ოცდა სამი  
წლის ივლისის შეხუთულ საღამოს.

ბავშვები გაჰკიოდენ:

— ტონელის წყალი! ცივი წყალი!

ნათანი შეჩერდა და სამი კიქა ზეტიზედ გამოს-  
ცალა. წყურვილი მაინც ახრჩობდა, არ ასვენებდა. ში-  
დგამდა ფეხებს—განურჩევლად, უხალისოთ, გულგრ-  
ლად, არ უნდოდა თავის ოთახში დაბრუნება. ეშინო  
თავის ოთახის, ეშინოდა თავის მარტოობის. ეშინო  
თავის საკუთარი დღიურისაც კი.

„მაგრამ მაინც სად მივდივარ?“ — ნაძალადევად შეეკითხა თავის თავს. „ირაკლისთან და იულიასთან? არა არა. იმათ არ ესმით ჩემი. ცებისთან? არა, ალარც იმას ესმის. მოხუც მელიტონთან? ეჰ, არა. პეტია მარკოვთან? ეჰ, ნათან, ნათან! ალარაგინ გყავს. შენი ფესვები ისევ ჰაერშია“.

თვითონაც არ იცოდა როგორ გაჩნდა რუსთაველს პროსპექტზე. საკვირველი იყო: ერთსა და იმავე დროს ეშინოდა მარტო დარჩენა, მაგრამ არც ხალხს ეკარგებოდა. შეუშინევლად ამოეფარა რომელიღაც ბოძს და დაუწყაო ხალხს თვალყურის დევნება. იგი იდგა საოპერო თეატრის ახლოს.

„ნუ თუ ამ ხალხს, რომელიც სეირნობს წაჩაღებულ არაფრის დარდი არა აქვს?“

ჩაიარეს ოსიპმა და აევგუსტინამ ამაყად და მღვდელურად.

„ოსიპიც კი ჩემზე ბედნიერია“ — აღნაფი შუკით გაუღელვა ნათანს. „მაგრამ ცოტახნის შემდეგ მისი თვალე ბი მიიპყრო ერთმა სურათმა, რომელმაც იშვიათი გავიჟენა მოახდინა მასზე.“

მისგან მოშორებით, მეორე ბოძთან იდგა ახანავების ჯგუფი, რომელიც ერთმანეთში ბაასობდა. მეტრის მეტი სახალისით, გაცხოველებული ენერჯით და ხაჩამალაი სიცილით.

ნათანმა გაარჩია ხმები და შემდეგ იცნო! ახეებიც. ხებულონი, სიმონი, იონა, არიელი, აბინაია.

მწარედ გაიცინა:

„თითქოს არც არაფერი მომხდარა... ისტორია ისევ მეორდება... მაინც ბრუნავს, მაინც ბრუნავს... ვანა მარტო დედამიწა ბრუნავს? არა დიდო ვალილეი!... დედამიწასთან ერთად მისი მცხოვრებნიც ბრუნავენ“...

ცოტა ხნის შემდეგ ცნობისმოყვარეობამ შეიპყრო: „ნეტავი რას ლაპარაკობენ?“

თვითონვე უპასუხა თავის თავს:

„ისინი გავინებენ, გლანძღავენ, გიგონებენ ათას სორებს. სთხზავენ საშინელ ცილისწამებათა ქსელს. მაგრამ შენთვის განა სულ ერთი არ არის?“

და მაინც იდგა და თვალები მიეპყრო ამხანაგებ-სათვის, რომელთაც ფიქრადაც არ მოსდიოდათ, ვინმე ასეთი დიდი გულმოდგინებით თვალყურს ადევნებდა მათ საუბარს.

და ფრაზის ნაწყვეტები, რომელიც მას ესმოდა იყო ჩვეულებრივი, ნაცნობი, განვლილი:

— აჰა...

— მე იმ პროვინციელს...

— იცით რას გეტყვით...

— არარაობა...

— სიფრთხილე, ტაქტიკა...

მოულოდნელად მათ მიუახლოვდათ ოსიპი და ავგუსტინა.

ამხანაგები ხმამაღალი ყიყინით მიესალმენ მათ, განსაკუთრებით ავგუსტინას. წარმოითქვა რამოდენიმე მიღებული ტრაფარეტული ფრაზა. შემდეგ ისევ დაისვა არა ნაკლებ ტრაფარეტული საკითხი:

— სად წავიდეთ ეხლა?

ოსიპს თვალები გაუბრწყინდა და თავისი წინადადებით სხვებიც აღტაცებაში მოიყვანა:

— გიყვარდეს... რა ინდაურები ჩამოვიდენ ქუთაისიდან. აბა წავიდეთ ჩემთან.

— წავიდეთ — შესძახეს ამხანაგებმა და მხიარულად გაუდგენ ვზას.

ნათანი ისევ მარტო დარჩა.

„ისინი წავიდენ საქეიფოთ. ხოლო შენ სად წავალ? საით მიდის შენი ვზა?“

ნათანმა არ იცოდა. ინერციულად მოსცილდა ბოძს და გაემართა ქუჩის მეორე მხარეს.

ჯვარედინ ვზაზე მას მოაგონდა შაული:

„ყველა გზები მიდიან რომში... ყველა გზები მიდიან შაულთან“.

და თვალწინ წამოუდგა: ირაკლი, იულია, ცეზი, ძია დანიელი, საკუთარი მამა. მაგრამ იყო რაღაც მაზეზი, რომლისთვისაც თვითონაც ვერ დაერქვა სახელრაც მას ხელს შეუშლიდა, რომ წასულიყო შაულთან

რა იყო ეს: ეთნიანობა? ინტელიგენტური თავმჯდომარეობა? თუ პრინციპიალური სხვაობა?

არ უნდოდა ამაზე ეფიქრა, რადგან ეშინოდა, რომ აქაც დამარცხდებოდა.

და რომ მოსცილებოდა ამ მისთვის უსიამოვნო ფაქტებს—მოიგონა ისევ სალოცავი. უარესად გააქრეოლა. მოაგონდა დეტალები: უაზრო ტირილი, მორწმუნეთა დაბეჩავება, კოჭლი მელამედი.

ინანა, რომ წავიდა სალოცავში. მაგრამ ამ დროს მოაგონდა მამა და გული დაწყდა:

„ვთქვათ არ უნდა წავსულიყავი. დაუშვი შეცდომა და წავედი. წამოვიყვირე ის, რაც გულს მომაწვა. მაგრამ რა სარგებლობა მოვიტანე ამით? ვინ წამომყვა? არავინ. სამაგიეროდ მამას გული ვატკინე, ჩავაგდე აღბად საშინელ ცუდ მდგომარეობაში. ეხლა კი დეც ნანობს, რომ წავედი ლოცვაზე, მაგრამ გვიანაა. ეპ, მამა, მამა, მამატივე... უბედური შვილი გყავს... არ ვაგვიმართლა იმედები“.

და საოცარის ძალით მოუარა სურვილმა, რომ დაუყონებლივ ენახა თავისი მამა.

გამობრუნდა.

სომხის ბაზარზე შეეფეთა ეტლების მწკრივს, რომელიც ყიყინით და ხმაურით მიაქროლებდა ვილაც „შეფე დედოფალს“, მახარობლებს, მაყრებს, ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს.

იდგა ქრიაშული, სიცილი. უკრავდა აზიური მუსიკა: ზურნა, დოლი. უცნაური ბგერები იყო: ერთფეროვანი, მონოტონური, გულის შემაწუნებელი. რატომღაც მოაგონდა კოჭლი მელამედი და შეადარა მის ლიდინს. გრძელულუვაშიანი და წითელლოყებიანი მეზურნენი კი ისეთი ძალით და ენერგიით იბერებოდნენ და განაგრძობდნენ თავიანთ ინსტრუმენტებზე დაკვრას, თითქოს ამ ანგებში ჰქონდათ მოქცეული მთელი სიცოცხლის საიმლოება.

ვანგლო იერუსალიმის ქუჩა, გაუხვია ფეთხაინისა-საიდანაც მოესმა ტირილი.

„სად ქორწილია და სად ტირილი“—გაიფიქრა.



მაგრამ ქორწილს თუ არ მიაქცია გულისყური, არ შეეძლო ჯერ კიდევ ქუჩაში მყოფს, რომ ამ ტირილსათვის სარ მიექცია ჯეროვანი ყურადღება.

ტირილი მოდიოდა საშინელი, გულშემზარავი. ადრე ადრე და თანდათან ტირილი ღრმად ესობოდა გულში.

ერთ წუთს შეჩერდა გაფითრებით:

„ნაცნობი ხმაა... რა ამბავია... ეს მგონი დედაჩემია“....

გული აუძგერდა:

„ნეტავი რა მოხდა?... ცოცხლად ხომ არ დამტარიან... ნუ თუ აძალაშინდელმა ლამემ ასე იმოქმედა მათზე?“.

და რაც უფრო უახლოვდებოდა მშობლების ბინას, გული უფრო და უფრო უცემდა.

აგერ დანიელ თავლიაშვილის ბინაც, მაგრამ შიგ არაფერინაა, სინათლე ჩამქრალია.

ერთი სახლიც კიდევ... და იგი უკვე მზადაა შეყარდეს.

რა ამბავია ეზოში? რა უნდა ამდენ ხალხს აქ? საიდან გაჩნდა შაული? რა ატირებს ძია დანიელს და ძია დათოს აივანზე?

ეს ქალები ვილა არიან, რომლებთაც სახე დასივებიან ტირილით? ხანა, რუთიკო, ესთერი. დედა—თმებს ივლეჯს. მამა? მამა სადღაა?

ნათანი შედის და მის დანახვაზე კივილი სიგიჟედ იქცევა.

აგერ მამაც. მამა წევს წყნარად, უძრავად, სამუდამოდ თვალდახუჭული. უსულო და გაცივებული გვაში. მთელი სამყარო ჩამოეხვრა თავზე.

— მამა! — შეჰკივლა ნათანმა.

და დაობლებული შვილი დაემხო პირქვე.



ისხაკ ჯანაშვილის სიკვდილი გავარდა, როგორც მოულოდნელი ყუმბარა, რომელმაც თავზარი დასაფეთხაინის მესვეურებს.

იმავე ღამეს ცხინვალელების კანტორამ მჭიდროდ დააკავშირა სამივე: ბენიამინ ბერიძე, ყეზრა შათაშვილი და კოჭლი მელამედი. ისინი ისხდნენ ერთად, თათბირობდნენ, ჩურობდნენ. ძია დათო არ ეგულებოდათ სალოცავში და ამიტომ უფრო თავისუფლად გრძობდნენ თავს.

სამაგიეროდ, ყოველი მათგანი, გულის სიღრმეში, შემფოთებული იყო ამ ამბით. ეს შემფოთება ოდნავათაც არ იყო გამოწვეული ისხაკის სიბრალულისთ.

არავის არ უნდოდა გასტყდომოდა თავს ამამ, მაგრამ ყოველმა მათგანმა კარგად იცოდა, რომ წილი ედო ამ მკვლელობაში. შეიძლება არც უნდოდათ ისხაკ ჯანაშვილის ფიზიკური სიკვდილი, მაგრამ ეს მაინც მოხდა და მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ თითოეულმა მათგანმა განსვენებულს ყორანივით დასჩხავლა.

ბენიამინ ბერიძე ამ ამბის შემდეგ სალოცავიდან ვეღარ დაიძრა და სრულიად დაავიწყდა თავისი „თათარი“, რომელსაც მან დაუნიშნა დრო ცხრა საათისათვის. კოჭლი მელამედი ეძებდა „მისტორ“ ახსნას:

— სიკვდილი ცხრა ამის ღამეს ეს ღმერთის ნიშანია... უნდა ისწავლონ დანარჩენმა ორგულებმა და უჩიებმა, რომ იმათაც მოვლით ასეთი დღე თუ...

მაგრამ ყველაზე უფრო ნაკლებ სჯეროდათ ასეთი ახსნისა მის გვერდში მყოფთ.

ყეზრა, როგორც ყოველთვის, მსჯელობდა თავისი პარადოქსებით:

— მოკვდა, მაგრამ ხომ შეიძლებოდა რომ არ მოკვდარიყო... და რომ არ მომკვდარიყო ვინ იცის რა იქნებოდა... და კიდევ რომ გვეცოდნოდა, ვინ იცის ეს საქმეს უშველიდა თუ არა...

ბენიამინმა უსიამოვნოდ გადახედა თავის უიღბლო „სიძეს“.

— ნუ იცი ათასი ვერსის იქით ლაპარაკი. თუ მაინც და მაინც გინდა გამოსთქვა შენი აზრი, მასაქმეზე ილაპარაკე.

კარგად იცოდნენ, თუ რაზედაც უნდა ელაპარაკნათ, ამ სამივენი ერიდებოდნენ მიახლოებოდნენ საქმის

შუაგულს, საერთო წერტილს. ეშინოდათ და ამჯერდროს გარკვეულ პასუხისმგებლობასაც გრძნობდნენ, რომ მიჩქმალვაც აუცილებელი იყო უპირველეს ყოვლისა.

კოჭლს ჰქონდა თავისი ნაცადი „რეცეპტი“: ყველაფერი გადაებრალებინა აღონაისათვის, რომლის გზებზეა გაგება მომაცვდავებს არ შეეძლოთ. ამის გამო მისი აზრით, ამ სიკვდილის გამოყენება შეიძლებოდა ღმერთის სახელისა და ისრაელის რჯულის განმტკიცებისათვის.

ყეზრა შათაშვილი ეხლა უკვე აღარ ეთანხმებოდა თავის „დიდ სწავლულს“, მაგრამ სიტყვები არ ჰქონდა, რომ ეთქვა სხვა რამ მის საწინაღმდეგო.

ერთად ერთი—ეს იყო ბენიამინ ბერიძე, რომელიც კარგად ერკვეოდა შექმნილ მდგომარეობაში; მას საჭიროდ მიაჩნდა რაღაც ისეთი გარკვეული საქმის გაკეთება, რომელსაც თავისი მოცულობით შეეძლო დაეფარა მომხდარი საქმის სიმძიმე.

თავისთვის უკვე გადასწყვიტა:

„მართალია ჩემი გეგმა ჩაიშალა დღეს, მაგრამ ეს დროებით... ეხლა საჭიროა ამ სიკვდილის მიჩქმალვა, ისხაკ ჯანაშვილის სასწრაფოდ დასაფლავება და ამ ამბის დავიწყებას მიცემა... გაიელის ცოტა ხანი და თუ შეიღს არ გამოაფხიზლებს მამის სიკვდილი, მაშინ ისიც მიყვება მას უკან“.

ამაოდ ეძებდა თავის თანამობაასეების სახეზე რაიმე აზრს:

— რაბი, რას იტყვი? ყეზრა, რას იტყვი?

ისინი გაიმეორებდნენ უკვე თქმულს.

შორეული ტირილი, რომელიც მოდიოდა გაურკვეველი გზებით ჯანაშვილების ბინიდან, არღვევდა არა მარტო ღამის მყუდროებას, არამედ ძილს უფრთხოვდა ამ ხალხს, რომელიც თავის სიცოცხლეში არ უწევდა არავითარ ანგარიშს ისხაკ ჯანაშვილის არსებობას.

ბენიამინ ბერიძეს სჭიროდა ეფიქრა, როგორც თავის თავისათვის, აგრეთვე ამ ორისთვისაც.

მას უკვე ჰქონდა რაღაც გარკვეული მოსაზრება.

და ვიდრე იტყოდა მას, შეეკითხა მელამედს:

— ხომ სწერია თორაში, რომ ისრაელის ხალხ-  
მეტის მეტად შემბრალება?

— „რახმანიმ — ბენე რახმანიმ“ — დაუმტკიცა მელა-  
მელმა და ცოტახნის შემდეგ შეეკითხა: — შერე?

— შერე? — შეეკითხა ყეზრაძე.

— ისხაკ ჯანაშვილის დასაფლავების მთელი ხარ-  
ჯები უნდა ავილოთ თავზე.

ბენიამინის მოსაზრება ძალზე მოეწონათ ორივეს.  
ყეზრამ მაინც ვერ მოითმინა და საკითხის უფრო დაზუს-  
ტებისათვის შეეკითხა:

— ესე იგი ახალციხელებიც შემოგვიდგებით ხარ-  
ჯში?

— შემოგვიდგებით რომელია. მართალია ისხაკ ჯა-  
ნაშვილი არ იყო ახალციხელი, მაგრამ მაინც — ნახევარს  
ჩვენ ვავილებთ. ამისთანა საქმეზე უკან არ დავიხევთ.

— ძალიან კარგი — სთქვა ყეზრამ, რომელმაც თა-  
ვისთვის გაიფიქრა:

„თახრიხინისათვის“ — მიტკალს შე მივყიდა“.

ბენიამინი განაგრძობდა:

— ეხლა საჭიროა შევატყობინოთ ოჯახს და ჭირს-  
უფლებს, დეე იცოდენ, როგორ ვეხმარებით ღარიბებს  
და გაჭირვებულებს.

მაგრამ საკითხი წამოიჭრა მთელი სიმწვავეით:

— ვინ?

არც ელოდენ, რომ ასეთ სიძნელეს წააწყდებოდენ.  
არც ერთ მათგანს არ სურდა მისულიყო ისხაკ  
ჯანაშვილის ბინაზე, სადაც წააწყდებოდა ნათანს.

ყველას კარგად ესმოდა, რომ ვაყად-პაკეილების  
„ქველმოქმედებას“ არ შეეძლო დაეძლია ნათანთან პი-  
რისპირ შეხვედრის უსიამოვნო განცდის სიძლიერე.

თან ეშინოდათ კიდევ რალაც გაურკვეველის:

„ვინ იცის რა მოხდეს“.

და საკითხი ისევ იდგა მათთვის გადაუჭრელი:

1 რახმანიმ — ბენე რახმანიმ — შემბრალებლები — შვილები შემ-  
იარებლებისა.

2 თახრიხინ — მკედრის სუფარა.

— ვინ?

...სწორედ ამ დროს, შემთხვევით ქუჩაში გამოაღწეოდა ღია დათო, გაოცებით იცქირებოდა ცხინვალელებს.  
“სალოცავისაკენ, საიდანაც მოდიოდა შუქი.

„ხომ არ დამრჩა აღუხებელი სანთელი? არა, ეს არ შეიძლება. მაშ რას ნიშნავს ეს? ნუ თუ ვინმემ უჩემოდ აანთო? ხომ არავინაა შიგ? შეიძლება რამე კრებაა?“

სასწრაფოდ აირბინა კიბე და შეიცქირა ქუჭრუტანაში.

როცა დაინახა იქ მყოფნი, ჩაახველა მაგრად, შეალო კარები და შევიდა კანტორაში.

მისმა მოულოდნელმა შემოსვლამ ერთხანს გამოიწვია დაბნეულობა, მაგრამ მალე მოერივნ თავის თავს და კიდევ გაეხარდათ, რომ ძია დათო გაჩნდა. ეხლა უკვე საჭირო იყო მისი გამოყენება.

ძია დათო უნდობლად ათვალიერებდა დაგვიანებული კრების მონაწილეებს და თავისთვის ჰფიქრობდა:

„როდის იყო ცხვარი და მგელი ერთად რო სძოვდა?... ამბზეა ნათქვამი: გაქიერება მიჩვენეო და გაქცევას გიჩვენებო... ასე გვეგონება თითქოს ყოველთვის სიამტკბილობით მუშაობდენ... მამა აბრამის ბატკნები!“

— სად იყავი ძია დათო? იქ ხო არ ყოფილხარ?— შეეკითხა ბენიამინი.

ძია დათომ იცოდა, რომ „იქ“ იგულისხმებოდა ისხაკ ჯანაშვილის ბინა.

— იქ ვიყავი—უპასუხა.

— რა ამბავია იქ?— შეეკითხნ სამივენი თითქმის ერთხა და იმავე დროს.

ძია დათომ შეხედა მათ ზიზლით.

— რას შეკითხებით... ვანა არ იცით, რაც ამბავია? ისრაელის მტერს დაემართოს ის ამბავი, რაც უბედურ ისხაკის ოჯახს ეწვია.

— სტირიან?— შეეკითხა ყენრა.

ძია დათომ მხრები ასწია და პასუხი არ გასცა.

მაშინ ისევ ბენიამინი შეეკითხა:

— ნათანმა გაიგო? იქ არის?

— იქ არის.

— რას ამბობს? — იკითხა კოჭლმა ძელამედმა.

— მიბრძანდი და ვაიგებ, რასაც ამბობს. მე რა  
იხები — ფოსტა ხო არა ვარ? — ველარ მოითმინა  
ქმეხად მიახალა.

სხვა დროს ძია დათოს არ აპატივებდენ ასეთ თავ  
პასუხებს, მაგრამ ესლა უთმობდენ, ვინაიდან სხვა  
არ ჰქონდათ.

ისევ ბენიამინმა მიმართა:

— შენ კი ნუ ბრაზობ. გვიპასუხე, რასაც გეკითხე-  
ათ, ვინაიდან შენს პასუხზე ბევრია დამოკიდებული.  
ჩვენ განვიზრახეთ კეთილი საქმე და ეს ცნობები ამ-  
ტომ გვესაჭიროება.

ძია დათომ აღმატებულად გადახედა ბენიამინს, რომე-  
ლიც ისევ აძლედა ახალ შეკითხვას.

— ძალიან უჭირთ ხომ?

— უჭირთ — დაუდასტურა ძია დათომ.

— ჰო და ჩვენ სწორედ ამაზე გეჭონდა ლაპარაკი.  
გადავსწყვიტეთ, რომ მთელი დასაფლავების ხარჯები  
ავილოთ ჩვენს თავზე. წადი ესლა და შეატყობინე მას  
ოჯახს.

ძია დათომ უარი განაცხადა:

— ეს ჩემი საქმე არაა.

ოთახში მყოფნი დაიბნენ. მაგრამ მაინც თავს იკა-  
ვებდენ გაბრაზებისაგან. ბენიამინი ცდილობდა მშვიდი-  
ბიანად გამოენახა საერთო ენა:

— შამაში ხარ ხომ?

— ვარ.

— ისხაკ ჯანაშვილი ცხინვალელია ხომ?

— მერე?

— მერე და მერე. შენს გასამრჯელოსაც ცალკე  
მოგცემთ.

მოულოდნელად მათ დაინახეს სრულიად ახალი  
ძია დათო:

— მე კაცისმკვლელებისაგან გასამრჯელოს არ  
ვებ.

ბენიამინი გაწითლდა. თითქოს ლოყაზე გააწნეს  
რი სილა. გველნაკბენივით წამოხტა:

— გაითრიე აქედან შე წუპაკო!  
მაგრამ ძია დათო ვერ შეაშინა, რომელმაც სა-  
ერო მიუზნა:

— წუპაკიც ხარ და უარესი. თვითონ შენ გაე-  
რა გესაქმება აქ. ეს ხომ ცხინვალებს ლოცვია  
არა ახალციხელებისა. უბრძანე შენს შამაშს. მე კი  
გამიბედო ბრძანება...

წამოხტენ ყეზრა და მელამედიც:

— დათო... დათო...

მეტის თქმა ვერ მოახერხეს. ხოლო ბენიამინმა, რომელიც ბრაზისაგან კბილებს აკრაკუნებდა, მრისხანებით მიმართა ყეზრას:

— ძალიან დაგისვამთ თავზე, ყოჩაღ! თქვენც იტყვით გაბაეები ვართო!

ყეზრა ლულულობდა:

— ხვალ უსათუოდ გავაგდებთ... რაც არ უნდა მოხდეს... უსათუოდ.

კოკლმა მელამედმაც დაუდასტურა:

— დაწყნარდით პატივცემულო ბენიამინ. გაძლევთ სიტყვას, რომ ხვალიდან მაგის სსნება აღარ იქნება ცხინვალებს სალოცავში.

ძია დათომ სათითაოდ გაუსწორა ყველას თვალი:

— შემაშინეთ? ვერა! ჩემზე მტერს არ გავახარებ. ვთქვათ-მომხსენით, რა გგონიათ—მშიერი მოგვკვდები? დაგავიწყდათ „პირველი ნაბიჯი?“

ო, რამდენი მუქარა იმალებოდა მათთვის ამ სახელწოდებაში!

ძია დათომ შეატყო, რომ მისი აქ ყოფნა უკვე საჭირო აღარ იყო. იმან თავისი გააკეთა. დათესა შიში და ეკვი. ამის შემდეგ შეეძლო წასვლა.

ძია დათომ მიიტოვა კანტორა. დარჩენილებისათვის აღდგლი არ იყო ძია დათოს მიერ მიყენებული ტკაფულების მოშუშება.

— ვინ ყოფილა... რა ყოფილა... ვაი, ვაი...

შესჩიოდენ ერთმანეთს.

როცა კოტაოღნად დაწყნარდენ, მოაგონდათ მკვარი საკითხი. რომელიც ისევ გადაუწყვეტელი იყო.



— წილი ვყაროთ — სთქვა ყვებრამ.  
 — სისულელეა — უთხრა ბენიამინმა — მე და შენ  
 ერთ წაველოთ, ვინაიდან ჩვენ გვაქვს პირადი მტრობა  
 ნათან ჯანაშვილთან ოჯახური საკითხების გამო.

— აბა ვინ უნდა წავიდეს? — შეეკითხა მელამედი.  
 — ისევე შენ უნდა დაიძალო, რაბი. ჯერ ერთი —  
 ისხაკ ჯანაშვილს ყველაზე ახლოს იცნობდი. მერე მეო-  
 რე მისი შვილი — შენი ნათალმიდარია და შენზე ისე არაა  
 გადაკიდებული, როგორც ჩვენზე. მერე მესამე — რაც არ  
 უნდა იყოს, როგორც ცხინვალელების რაბის, შენ მოგი-  
 წევს ისხაკის დასაფლავება ისრაელური წესით. ასე თუ  
 ისე დღეს თუ ხვალ ხომ მაინც უნდა მიხვიდე?

„ძლიერმა არგუმენტებმა“ იქონიეს გავლენა. კოჭ-  
 ლი მელამედი დასთანხმდა, ხოლო თავის თავს მაინც  
 უწოდა უსიამოვნოდ:  
 „სეყირ ამიშთალეახ ლაყაზაზელ“.<sup>1</sup>

● ● ●  
 გათენდა.  
 „პირველი ნაბიჯის“ საწარმოო აუწერელი გულის-  
 ტკივილით შეხვდა ისხაკის დაკარგვას.  
 დილიდანვე დარაბაზე გამოაკრეს სამგლოვიარო  
 განცხადება:

ტფილისის ღარიბ ებრაელთა ფებსაცმელების საწარ-  
 მოო არტელის „პირველი ნაბიჯის“ მუშები უდიდესი  
 მწუხარებით იფწყებიან საუკეთესო და პატიოსანი მუშის  
**ისხაკ ჯანაშვილის**  
 უცარ გარდაცვალებას  
 დაჯრძალვა ხვალ საღამოს 5 საათზე.

შესვენების დროს მუშებმა მოაწყვეს საგანგებო  
 რეზი. მუშების გამოსვლებში იყო საერთო: მწუხარება,  
 მისი შეფასება, მისი პატივისცემის სურვილი.  
 მაული თვალყურს აღევჩნებდა მუშებს. მას უკვე  
 თარ ეპარებოდა, რომ მუშებში თანდათან ღრმად

აჯობებში გასაგზავნე ციყანი ბიბლიური თქმაა და ფი-  
 ას ჩვეულება.



იკრებოდა კლასობრივი შეგნება. იგი ხედავდა, რომ ან  
ვინც წინედ ებოდა ათასნაირი პროვოკაციის ქსელში,  
დღეს გამოდიოდა კრებაზე და საშინელი სიტყვებით  
პკიცხავდა ფეთხაინს და მის მესვეურებს.

ფაქტი იყო: ისხაკის სიკვდილმა, ამ საშინელს  
მსხვერპლმა, ბევრს აუხილა თვალები.

არ დავიწყებით არც პრაქტიკული საკითხი: დასა-  
ფლაფების მთელი ხარჯები მიიღეს მუშებმა თავის თავ-  
ზე. ამ მიზნით დაადგინეს შემდეგ დასვენების დღეს ყვე-  
ლას ემუშავა. არ გამოორჩათ ნხედველობიდან არც ქვრი-  
ვი ლია, რომლისთვისაც გადასდეს ერთდროული გან-  
საზღვრული თანხა.

ძია დანიელი ეუბნებოდა ძია დათოს, რომელიც  
დაესწრო ამ კრებას.

— ჰხედავ, დათო, რას ნიშნავს ლარიბი კაცი. ლა-  
რიბი უყვარს შარტო ლარიბს და სხვას — არაგის.

ძია დათო სავსებით თანახმა იყო ამ განსაზღვრის  
და ამ წუთებში ღრმად გადასწყვიტა, რომ იგი შეიტან-  
და განცხადებას „პირველ ნაბიჯში“ ისხაკის დასაფლა-  
ვების მეორე დღესვე.

ის ის იყო კრება უახლოვდებოდა თავის დასასრულს,  
რომ კარები გაიღო მორიდებით და ყველასათვის  
მოულოდნელად თავი შემოჰყო კოქლმა მელამედმა:

— შეიძლება?

კაცმა ხმა არ გაიღო. მელამედს ეს გარემოება ლახ-  
ვარივით მოხვდა გულში. იგი მიუახლოვდა დანიელს და  
ნაწყვეტ ნაწყვეტად უთხრა:

— ვიყავი საწყალი ისხაკისას... იქ არაგისთან არ  
შეიძლება დალაპარაკება... ტირილის მეტს არაფერს აკე-  
თებენ... დასაფლაობაზე არც ფიქრობდენ... მოვედი  
გითხრა... ახალციხელების და ცხინვალელების ჯამ  
თნა დაადგინა, რომ მთელი ხარჯები მიიღონ  
თავზე.

ჩაჩუმდა და გადახედა გარშემო მყოფთ,  
სურდა გაეგო ის შთაბეჭდილება, რომელიც  
მისმა მოტანილმა ანბაემ. დანიელმა სახე მი  
დათო უქცეროდა შაულს და აინტერესებდ

ირი სიტყვებით შეუკურობებდა ახლად მოსულს, მაგრამ  
შაული ჩუმად იყო, უქცეროდა მუშებს და ელოდა, თუ  
რას იტყოდნენ ისინი.

და აი -- ნელ-ნელა გაიხსნა შეკუმშული და სარის-  
ხანე ბაგეები:

— არ გვინდა!

— არ გვინდა!

— არ გვინდა!

— კმარა თვალების ახვევა!

— კმარა მსხვერპლი!

— მოგვეცილდით!

— მოგვეცილდით!

მაშინ ძია დათო მიეარდა კარებს, გამოალო, უჩვე-  
ნა გასასვლელი და უთხრა.

— ხო გაიგონე? ეს კანტორა არ გეგონოს. აბა შე-  
ასრულე განკარგულება. ჩქარა!

აწყრილდა საწარმოოს ზარი. შესვენება დასრულდა.

● ● ●  
ისხაკ ჯანაშვილის დასაფლავება გადაიქცა ახალი  
ძალების მძლავრ დემონსტრაციად.

სალამოს სრულ ხუთ საათზე ფეთხაინი გაიქედა  
აუარებელი ხალხით. ჭირისუფალი იყო „პირველი ნა-  
ბიჯი“, რომელიც ხელმძღვანელობდა — ცერემონიალს.  
სახელდახელოდ გაკეთებული იყო პატარა ტრიბუნა,  
რომელზედაც იდგა შაული და ლაპარაკობდა უდიდესი  
გრძნობით და დამაჯერებლობით:

— ჩვენ დასაფლავებთ საყვარელ მუშას და პატიო-  
სან ღარიბს ისხაკ ჯანაშვილს. ისხაკ ჯანაშვილი არ მო-  
მკვდარა თავისი ბუნებრივი სიკვდილით. ისხაკ ჯანა-  
შვილს ჰყავს თავისი მკვლელები. იმათ ვერც კი გაბედეს,  
რომ დასაფლავებაზე გამოჩენილიყვნენ. სამი ადამიანი,  
რომელთა სახელები თქვენ ყველანაირად იცით — აკლია ამ  
აედანს. ისინი ჩაძვრენ თავიანთ სოროებში, მაგრამ მა-  
ამოყვანა მშის სინათლეზე ჩვენ აწი აღარ გაგვიქირ-

დებო. დე ნურაინი იფიქრებს, რომ დღეს ვასაფლავებო  
მარტო ისხაკ ჯანაშვილს. ისხაკ ჯანაშვილი—უღანა  
ულო მსხვერპლია ფეთხაინისა და მისი ძველი დრომოქ-  
მული ადათწესებისა. ისხაკ ჯანაშვილთან ერთად ჩვენ  
ვასაფლავებთ თვითონ ფეთხაინს, რომელიც საბჭოთა ხე-  
ლისუფლებამდე გადაქცეული იყო ნამდილ სასაფლა-  
ოდ. ვასაფლავებთ თვით სასაფლაოს! დიახ! ძმებო!  
ლარიბებო! დე ეს საშინელი მსხვერპლი ამ უმან-  
კო და საყვარელი ადამიანისა გახდეს გაკვეთი-  
ლ დ ყველა იმათთვის, ვინც ჯერ კიდევ იმყოფება  
ბურჟუაზიაში და თავის სიღარიბითა და შეუგნებლობით  
ჯერ კიდევ ბრძოდ მიჰყვება ლარიბი ხალხის მტრებს,  
ყველა ამ მდიდრებს და სასულიერო წოდების პირებს,  
რომლებიც ხელიხელჩაკიდებულნი და შეკავშირებულ-  
ნი განაგრძობენ ჯერ კიდევ დაუსჯელად თარეშს. იყო-  
ღვთ ყველამ, რომ ერთად ერთი მთავრობა, რომელიც  
არუნავს მთელი ქვეყნის ჩაგრულებისა და ლარიბებისა-  
თვის—ეს არის საბჭოთა მთავრობა. ძმებო! ლარიბო ის-  
რადებო! ისწრაფეთ „პირველი ნაბიჯისაკენ“, ამაყად!  
ჩვენ გავხსნით კიდევ ახალ-ახალ საწარმოებს. ჩვენ დაე-  
სახავთ კიდევ ახალ-ახალ გზებს. ყელაზე უფრო ძნე-  
ლია ბრძოლა საკუთარ თავთან. გახსოვდეთ ეს კარგად.  
როცა თავს გაინთავისუფლებთ ძველი ქვეყნის უკუღმა-  
რთი წესებიდან, მაშინ ყველა დაიხახავთ იმ დიდ სიმა-  
რტეს, რომელიც ჩვენ მხარეზეა. ლარიბების რიგების  
შემქიდროება, შეერთებული ძალებით მდიდრებისა და  
ჩვენი ცხოვრების ხორცმეტებთან ბრძოლა და ებრაელი  
მღმრესი შექმნა—აი ეს იქნება საუკეთესო ხსოვნა ჩვენი  
საყვარელი, უდროოდ დაღუპული მოხუცი ისხაკ ჯანა-  
შვილისა.

შაულმა დაასრულა. შთაბეჭდილება იყო ძლიერი,  
გარდატეხის დასაწყისის წინასწარმეტყველი.

ნათანს ღრმად ჩარჩა შაულის ექვსი სიტყვა:

„ყველაზე უფრო ძნელია ბრძოლა საკუთარ  
თან“.

როცა შაულმა გაათავა სიტყვა, ნათანი მი-  
ვიდა და მავრად ხელი ჩამოართვა.

რას ნიშნავდა ეს? უბრალო თავაზიანობას? მაღლო-  
ბის გრძნობას მამის ხსოვნის ასეთი პატივისცემისათვის?  
თუ შერიგებას, საკუთარი ხაზის უარყოფას და შეფლას  
თან შეგნებულად მისვლას?

ამ საკითხზე პასუხის გაცემა ძნელი იყო.

ეს შეეძლოთ მხოლოდ მომავალ წლებს, რომლებ-  
ზედაც ამ წუთებში ძნელი იყო ფიქრი.

... კუბო შემკული იყო აუარებელი ყვავილებით და  
გვირგვინებით.

„პირველი ნაბიჯელები“ მიუძღოდნენ წინ საწარ-  
მოოს წითელი დროშით.

საყვარელი ცხედარი მიჰქონდათ უდიდესი მოწი-  
წებით დანიელს, დათოს, ირაკლის და ცების.

მათ უკან მიდიოდნენ ზებულონი და არიელი.

ქვრივ ლიას მხარში ამოსდგომოდნენ ხანა, იულია,  
რუთი, ესთერი.

ნათანი მიდიოდა თავჩაღებული, უცრემლო, გამომ-  
შრალი თვალებით და საუკუნოდ ეთხოვებოდა საყვა-  
რელ მამას.

იგი გრძნობდა, რომ მას გვერდით მოსდევდა შეუ-  
ლი, რომელიც ასე ძლიერ უყვარდა ისხაკს, ვინაიდან  
მას მოჰქონდა სიმართლე და სხვანაირი სიცოცხლე.

და ნათანის დაქრილი გული კვლავ ემზადებოდა  
ახალი ბრძოლებისთვის.



დასასრული პირველი წიგნისა.

მოსკოვი — ტფილისი.

1929 — 1933

## შინაარსი:

ნაწილი პირველი	83
ერთი ღამე . . . . .	7
ნაწილი მეორე	
გაორება . . . . .	37
ნაწილი მესამე	
მათხოვარი . . . . .	149
ნაწილი მეოთხე	
ძველი ანგარიში . . . . .	235
ნაწილი მეხუთე	
მსხვერპლი . . . . .	369

---

ყდა და ფორზაცი  
მხატვ. ნ. ჩერნიშკოვის



ა-1

899.963.1-3

ბ. 12-ფ

პ/რედაქტორი ბ. ჩხეიძე  
რედაქტორი ვ. გორგაძე  
მხატვ. კახაძე  
კორექტორი ვ. ფერაძე  
გამომცემი ს. ლორთქიფანიძე

მთაველ. რწმ. № 2163  
გად. წარმოებას 20/XII.  
ხელმოწ. დასაბ. 14/III  
სტ. ჯალ. 72X105, 5X  
შეკ. № 209. ტირაჟი

ა. ფ. მიახნიკოვის საბ. წ. დ. სტ. გამც-მა „ხარია ვოსტ“

